ბაჩეჩილაძეთა საგვარეულო 2

ბაჩეჩილაძეთა საგვარეულო

ბაჩეჩილაძეები ჯაჭვაძეები

წეველიძეები

2

თბილისი

2012

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო

(გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები)

კრებულის შემდგენელი, რამდენიმე კვლევითი და საინფორმაციო
სტატიის ავტორი, მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ეკატერინე გაჩეჩილაძე

2

თბილისი 2012

UDC(უაკ)929.52(479.22)+94(479.22-22)
გ-247

ჩემს ნაშრომს ვუძღვნი მშობლების – მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის და მარიამ პლატონის ას. ღიბრაძის ნათელ ხსოვნას.
ეკატერინე გ-ძე.

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ ყველა წევრს, მათ ახლობლებს და ყველა ადამიანს, ვინც დაგვეხმარა ამ კრებულისათვის მასალის შეკრებაში.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ მეგი იესეს ას.*, დალი იესეს ას.* და **თენგიზ ალექსანდრეს ძე*** **გაჩეჩილაძეების** მნიშვნელოვან წვლილს კრებულისათვის ბიოგრაფიული, გენეალოგიური და სხვა მასალების მოძიება-მომზადებაში.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორი

აღნიშვნების მნიშვნელობა

* – ერთი ასეთი ვარსკვლავით აღნიშნულია იმ პირთა სახელები, რომელთა ბიოგრაფიები შეტანილია კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ I ტომში.

** – ორი ვარსკვლავით აღნიშნულია იმ პირთა სახელები, რომელთა ბიოგრაფიები შეტანილია კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ II ტომში.

ISBN978-9941-0-4879-1(ყველა წიგნის)
ISBN 978-9941-0-4880-7(მეორე წიგნის)

§ 1. შემდგენელ-რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებული წარმოადგენს „გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის“ ათწლიანი შრომის შედეგს.

ზემოხსენებული „დარბაზი“ დაარსებულია 2001 წლის დეკემბერში. მისი მიზანია საგვარეულოს შეკავშირება, ზრუნვა დადებითი ეროვნული და საგვარეულო ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, გაჩეჩილაძეთა „ბუდე“ სოფელ წევის აღორძინებისათვის, საგვარეულო სალოცავში, წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში, მუდმივი წირვა-ლოცვის აღდგენისათვის და სხვა.

კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ (გაჩეჩილაძეები-ჯაჭვაძეები წეველიძეები) I წიგნი გამოვიდა 2005 წელს. მასში შესულია, ისტორიულ დოკუმენტებზე დაფუძნებული, ოთხი სტატია – აღნიშნული გვარებისა და მათი „ბუდე“ სოფლის ისტორიის საკითხებზე, ასევე, ბიოგრაფიული, გენეალოგიური და სხვა მასალები.

ამავე კრებულის III წიგნი გამოვიდა 2010 წელს. მასში შესულია სოფ. წევის ფოლკლორი (XIX ს-ში შეკრებილი ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის მიერ) და გაჩეჩილაძეების და ჯაჭვაძეების, XX-XXI საუკუნეების, ლიტერატურული და სახვითი შემოქმედების ნიმუშები.

წინამდებარე წიგნი კი შეიცავს გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო ლეგენდებსა და მათ კომენტარებს, ამ საგვარეულოს, სოფ. წევის, მისი ეკლესიის, გზისა და სკოლის ისტორიასთან დაკავშირებულ, კვლევით და საინფორმაციო ხასიათის სტატიებს, ასევე, ბიოგრაფიულ, გენეალოგიურ და სხვა მასალებს.

წიგნზე მუშაობა რამდენიმე წელიწადს გაგვიგრძელდა და, ამ დროში, ცოცხალი ადამიანების ცხოვრებაში, რომელთა ბიოგრაფიებიც ამ წიგნშია შეტანილი, ალბათ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მაგრამ, რადგან ჩვენ არ გვქონდა ინფორმაციის ხელახლა შეკრება-რედაქტირების საშუალება, ბიოგრაფიებს ვბეჭდავთ იმ სახით, რა სახითაც ისინი წარმოგვიდგინეს 2005-2008 წლებში.

საგვარეულო წიგნში შესატან პირთა შესარჩევ კრიტერიუმად ჩვენს მოგვარეებს შევთავაზეთ პიროვნების გამორჩეულობა რაიმე დადებითი ნიშნით (პროფესიაში წარმატებულობით, საზოგადოებრივი აქტიურობით, პიროვნული ღირსებებით). ჩვენ ვენდეთ ჩვენი მოგვარეების არჩევანს. დაე მკითხველმა განსაჯოს როგორც ჩვენს მიერ შეთავაზებული კრიტერიუმის, ისე ჩვენი მოგვარეების მიერ გაკეთებული არჩევანის სისწორე (ბიოგრაფიული მონაცემების გადამოწმება ჩვენ არ გვიცდია – გარდა ცალკეული შემთხვევებისა. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან მასალის მომწოდებელნი).

სამწუხაროდ, ჩვენი საგვარეულო კრებულის I და II წიგნებში ვერ შევიდა მრავალი ღირსეული პიროვნების ბიოგრაფია, რომელიც, ქრონოლოგიის მიხედვით, სწორედ ამ წიგნებში იყო შესატანი, (ჩვენ გამოვაქვეყნეთ, მხოლოდ იმ პირთა ბიოგრაფიები, რომლებიც ჩვენ მოგვაწოდეს). მაგრამ საგვარეულო კრებულის შემდეგი წიგნებისათვის მასალების შეკრება გრძელდება და იმედია, ჩვენი მოგვარეები იზრუნებენ, რათა სათანადო ბიოგრაფიული, გენეალოგიური და სხვა მასალები მიაწოდონ ჩვენს „საგვარეულო დარბაზს“.

§ 2. მურმან ლებანიძე

იმერული ბალადა

ვინმე ბიქტორა
ფარჯანიკიძე – ამას
ვინ იფიქრებდა
სამოც წლის მერე გალექსილს! –
ჩვენი პოეტის
ჩვენი დავითის მამას –
სახლში სწვევია
გაჩეჩილაძე ალექსის.

ნათელ-მირონი,
პატივისცემა, ხათრი
კაი ოცი წლის
ერთმანეთშუა ჰქონიათ.
„რა გახაროო,
რა გახაროო, ნათლი!“ –
ზალაში მძინარ
მასპინძელს გაუგონია.

წამოვარდნილა
სტუმრის ნატრული კაცი,
უთქვამს: „შე კაცო,
გავთავდი მარნის ფერებით! –
მოსახდელია
ჩემი ჭურები აწი!“ –
გადახვევიან
ავთანდილ-ტარიელივით.

რაღა თქმა უნდა,
ბურტყლი გამდგარა ქათმის,
სამზადში ქალებს
საცრისთვის წაუშენიათ.
„რა გახაროო,
რა გახაროო, ნათლი!“ –
ბიქტორას
დაუჟინია.

წინ წასძღოლია
სტუმარს მარანში ფრენით,
ქვევრებს უხდის და
ჭაშნიკს ჭიქაში უწვეთებს:
„შენ რომ მესტუმრე,
რომ მომიხვედი შენით,
რას მახარებო,
კაცო, მაგაზე უკეთესს!“

„რა და, გავკეთდით,
რა და, ავშენდით, ნათლი –
წელს თბილისს ღვინო
აღარ შევაო კახეთით –

დოუსეტყვია,
მთლად მოუსპია ქართლიც –
საპალნე ღვინოს
წელს ხუთ-ხუთ თუმნად გავყიდით!“

შესცივებია
ხელში მასპინძელს ხრიკა,
ღვინო – შხამი და
ხრიკა –ასპიტი ჰგონია,
მარნის კედლისთვის
შეუქცევია ჭიქა,

უთქვამს: –“იფ, ბიჭო,
მე ნათლიმამა მყოლია!

ფუ, შენს კაცობას!
არ ყოფილხარო კაცი!
რაფრად გაბედე
შენ ჩემთვის მაგის ხარება!
ადარ გნახოსო
ჩემმა თვალებმა აწი,
არ მაკადროო
ჩემს რიადაგზე გარება!“

მოუგოზია
უმალ საჩქაროდ ჭურები,
გამოუხურავს
ალექსის მარნის კარები;
შემოხვევიან
ხვეწნა-მუდარით, მდურებით,
მიზეზს წყენისას
ვერას მიმხვდარან ქალები.

„აქ მოართვითო
თქვენს ნათლიმამას ცხენი!
არამც და არამც!
ცხენს აჰკიდეთო ტიკჯორა!“ –
არ მიუღია
ნათლიმამისგან ძღვენი,
ცხენზე შეუსვამს
ფარჯანიკიძე ბიქტორა.

ცხენი ყოფილა –
ოქროფერილი იაბო,
კაცი ყოფილა –
როგორც იტყვიან შავი...
მე ეს ამბავი
ჩემმა დავითმა მიამბო:
შენს გულს – მადლობა!
შენს სულს ნათელი, დავით!

ჩვენ ხელს ვითბობდით
მაგ შენი გულის კოცონთან,

შენი მართალი გულის
დღესაც ვარ დამჯერე;
რაც შენ მიამბე,
რაც შენ ამბავში მოგწონდა,
რაც ვერ მოასწარ,
ის ავიღე და დავწერე:

გული იმერის –
პატიოსანი თონეა,
გული ამერის –
არანაკლებად იწვის,
ლიხთამერეთი
ლიხთიმერეთის ღონეა,
და შენ ხარობდი,
რომ ეს გლეხკაცმაც იცის.

შენ იმას სწუხდი,
რომ კაცს ქართველსაც უჭირს,
რომ შიგადაშიგ...
გაზრდა სჭირდება მაინც...
ერთი რკინისგან –
ფოლადიცა და თუჯიც!
ერთი რცხილისგან –
ნიჩაბიცა და ბარიც!

საერთო „ფუძის“ მქონე სამი გვარის: გაჩეჩილაძეების, ჯაჭვაძეების და წეველიძეების „საგვარეულო დარბაზი“ დაარსდა 2001 წლის 10 დეკემბერს „საქართველოს გვარიშვილობის კავშირისა“ (ხელმძღვ. აკად. ი. ახუაშვილი) და ჟურნალისტ თენგიზ გაჩეჩილაძის* თაოსნობით და ქორეოგრაფ თენგიზ გაჩეჩილაძის* ხელშეწყობით. მას შემდეგ, უკვე ათი წელია, ეს „დარბაზი“ ეწევა აქტიურ საქმიანობას.

მართალია, ჩვენი მუშაობა საგვარეულო მოძრაობის ხელმძღვანელ მეცნიერთაგან სრულებით დამოუკიდებლად წარიმართა, მაგრამ მათი მხრიდან ჩვენი საგვარეულოს მიმართ გარკვეული ინტერესი გამოიხატა: ერთჯერ პროფ. ლ. ფრუიძე, ერთჯერ კი პროფ. გ. ბედოშვილი მობრძანდნენ „დარბაზის“ სხდომებზე, გაეცვნენ ჩვენს მუშაობას, მოიწონეს ჩვენი აქტიურობა და აღნიშნეს, რომ ჩვენი მუშაობა სწორი მიმართულებითა და თანმიმდევრობით მიმდინარეობდა; ბ-ნ თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძის* თქმით, 2004 წელს ჩატარებულ საგვარეულოთა კავშირის კრებაზეც დადებითად შეუფასებიათ ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ აქტიურობა.

2004 წ. პროფ. გ. ბედოშვილს, გაზ. „ჯაჭვში“ გამოსაქვეყნებლად, დაუწერია წერილი სოფ. წევის სახელწოდების შესახებ, ხოლო 2005 წელს, გაზ. „საპოვნელაში“ გამოაქვეყნა რეცენზია ჩვენი „საგვარეულო კრებულის“ I წიგნის შესახებ; ამავე წიგნის შესახებ მცირე რეცენზია მოგვაწოდა პროფ. ზ. ჭუმბურიძემ; აკად. ი. ახუაშვილმა თავისი წიგნის „ქართული გვარ-სახელები“ VI ტომში გამოაქვეყნა სტატია ჩვენი საგვარეულოს შესახებ, რომელშიც თავისებურად გამოიყენა ჩვენს I წიგნში მოყვანილი მასალებიც...

ცხადია სასურველია, რომ თითოეული გვარის კვლევა მიმდინარეობდეს როგორც პროფესიონალი ონომატოლოგების, ისე თვით საგვარეულოს წარმომადგენლების მიერ და ზოგ შემთხვევაში ასეც ხდება.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე გვარების კვლევა რთული საქმეა და შეცდომებისაგან არ არიან დაზღვეული არც პროფესიონალი და არც, გვარის „შიგნიდან მცოდნე“, მოყვარული მკვლევარები, მით უფრო, რომ საგვარეულოთა კვლევა ჯერ მხოლოდ საწყის სტადიაშია და კვლევის მეთოდიკაც ჯერ კიდევ დასახვეწია.

ვფიქრობთ, რომ ამა თუ იმ გვარის ისტორიით დაინტერესებულ, სხვადასხვა პროფესიის მქონე მკვლევართა კეთილგანწყობილი, ურთიერთკრიტიკული მიმართება წაადგება ჩვენს საერთო საქმეს. ამიტომ, ვაქვეყნებთ ზემოხსენებულ მეცნიერთა სტატიებს, ჩვენი კომენტარების დართვით.

ეკატერინე გაჩეჩილაძე

გურამ ბედოშვილი, *ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი.*

§ 3. საშვილთაშვილო წიგნი

ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთი ანთროპოლოგიური ნაშრომი მიიღო: სულ ახლახან, 2005 წელს, გამოიცა თვალსაჩინოდ ილუსტრირებული და მდიდარი საგვარეულო დოკუმენტაციით შეჯერებული წიგნი–მატიანე, რომელიც სამი სანათესაო გვარის: **გაჩეჩილაძეების, წეველიძეების** და **ჯაჭვაძეების** წარმოშობასა და შემდგომ საუკუნეებში მათ აღმასვლა-განვითარების ისტორიას ეძღვნება. წიგნი-კრებული შეუდგენია, შესავალი წერილი, სამეცნიერო ხასიათის სტატიები (გამოკვლევები) დაურთავს და რედაქტირება გაუწევია ხელოვნებათმცოდნეს, მოქანდაკეს „გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ქალბატონ **ეკატერინე გაჩეჩილაძეს**. წიგნი მატიანე იხსნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რომელიც მას 2002 წლის 10 მარტს, სიონის საკათედრო ტაძარში გაჩეჩილაძეთა გვარის დალოცვისას წარმოუთქვამს.

„დიდი მადლი ტრიალებს ამ გვარში“, – უბრძანებია ამ შეხვედრაზე უწმინდესსა და უნეტარესს. გაჩეჩილაძეთა გვარში მართლაც ძველთაგანვე არაერთი

ღირსსახსოვარი პიროვნება ყოფილა – სასულიერონიც და საერონიც, განსაკუთრებით კი ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ხელოვნების, აგრეთვე, მედიცინისა და ზუსტი მეცნიერებების დარგში.

კრებულში სამი მონათესავე გვარის: გაჩეჩილაძეების, წეველიძეების, ჯაჭვაძეების მიერ განვლილი დიდი და საინტერესო ისტორიის შესახებ მასალაა წარმოდგენილი, რომელიც, ვფიქრობთ, მკითხველს გულგრილს არ დატოვებს, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებულ გვართა წარმომადგენლების ბიოგრაფიული მასალების საარქივო საცავებში მოძიებას, აგრეთვე, გვარიშვილთა ზეპირგადმოცემათა აღნუსხვა-გამომზეურებას „საგვარეულო დარბაზის“ წამყვანმა წევრებმა, პირველ რიგში კი – ქალბატონმა ეკატერინე (ეკა) გაჩეჩილაძემ, თავაუღებელი, უანგარო შრომის სამი წელი მოანდომეს.

ნებისმიერი პირი, განსაკუთრებით – ქართული საგვარიშვილო მოძრაობით დაინტერესებული, ამ წიგნის პირველი გაცნობისთანავე აღფრთოვანებული შეაფასებს მისი შემდგენელ-გამომცემლის მიერ გაწეულ უზარმაზარ შრომას, რომელიც დიდი პასუხისმგებლობისა და სიყვარულის გარეშე არ მიიღწევა!

წიგნში არავინ და არაფერია საგვარეულოს ისტორიიდან თუ დღევანდელობიდან გამორჩენილი. და თუ მაინც ზოგი რამ (მასალის უკმარისობის გამო) წიგნის I ტომში ვერ მოხვდა, ის დღის სინათლეს იხილავს საგვარეულო მატიანის II ტომში, რომლის შედგენაზე მუშაობაც, რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კარგა ხანია მიმდინარეობს.

გაჩეჩილაძეების გვარი ერთ-ერთი ცნობილი და გავრცელებული გვარია საქართველოს ამერ-იმერში. XX საუკუნის დასასრულს, 1995-96 წლებში, ოფიციალურად დადგინდა, რომ მთელ საქართველოში გაჩეჩილაძის გვარს ატარებდა დაახლოებით 4.400-მდე პირი, დაახლოებითო, იმიტომ ვამბობთ, რომ ავთ. სილაგაძისა და ანზ. თოთაძის საცნობარო წიგნში „გვარ-სახელები საქართველოში“ (თბ., 1997 წ.) გაჩეჩილაძეთა რიცხოვნობა რესპუბლიკის სამი ქალაქის (თბილისი, ზესტაფონი, ქუთაისი) მიხედვით 4325 კაცით არის განსაზღვრული, თუმცა იმ დროს ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ (და, ალბათ, გაჩეჩილაძეთა არაერთმა წევრმაც) უარი თქვა სავაუჩერო ბარათის მიღებაზე. მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. მთავარი და მნიშვნელოვანია მკითხველი საზოგადოებისთვის მიწოდება იმ უზარმაზარი დოკუმენტური მასალისა, რომელიც ცხადყოფს ამ ისტორიული გვარის ცალკეულ წარმომადგენელთა თვალსაჩინო ღვაწლსა და უანგარო სამსახურს მშობელი ქვეყნისა და ერის ცხოვრების გაუმჯობესება-გაკეთილშობილების საქმეში. ნათელი ხდება, რომ გვარიშვილობის მაღალი სახელი განუპირობებია არა იმდენად გვარის მრავალრიცხოვნობას, რამნდენადაც მის ცალკეულ წევრთა გამორჩეულ მამულიშვილობას, მათ თავდადებას და უპირობო სიყვარულს როგორც საკუთრივ თავისი გვარის, ისე მთელი ქვეყნის წინაშე.

როგორც სწორადაა გარკვეული, გაჩეჩილაძეების „ბუდე-ქვეყანა“ ზესტაფონიის რაიონის სოფელი წევაა. გვარის ფორმირება-ჩამოყალიბებაში დიდი ადგილი ჰქონია დათმობილი ს. წევის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედ ეკლესიას, რომლის დაარსებაც დავით IV აღმაშენებლის მეფობის პერიოდს ემთხვევა. ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია: იმ დროს წევის (ზოგადად – ზემო და ქვემო სოფლების) ტერიტორია იმდენად ხალხმრავალი და უხვმოსავლიანი ყოფილა, რომ მიზანშეწონილად მიუჩნევიათ აქ წმინდა გიორგის ფუნდამენტური ეკლესიის აგება. ისიც უთუოდ საგულისხმოა, რომ „ქვედა წევა“, თავისი ახალშენი ვენახებით როსტევან რჩეულაძეს ვაჰანის (ვანის) ქვაბების მონასტრისათვის შეუწირავს. ეს საგულისხმო ცნობა ვაჰანის ქვაბის წესდების („განგების“) ხელნაწერში იკითხება. მართალია, მას წყაროთმცოდნე მეცნიერები (თ. ჟორდანია, ზ. ალექსიძე, ვ. სილოგავა...) სხვადასხვა ეპოქის ძეგლად მიიჩნევენ, მაგრამ რომელ საუკუნესაც უნდა განეკუთვნებოდეს იგი, XIII-ს თუ XIX-XV-ს, უდავოა სოფ. წევისა და მისი XI საუკუნეში აგებული წმინდა გიორგის ეკლესიის როლი და მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზების სახელმწიფოებრივ საქმეში. ერთი რამ ცხადია: წიგნის ავტორ-შემდგენელის ერთგვარი

დაეჭვება წევის ჭალისა და ვენახ-პარტახის შეწირვა ვაჰანის ქვაბთა მონასტრისათვის ტერიტორიული სიშორის გამო, შესაძლოა რეალობას არ ასახავდესო, უსაფუძვლოდ გვეჩვენება, რადგან ძველი ქართული სამონასტრო-საეკლესიო ცხოვრების ისტორიაში არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა ამა თუ იმ ეკლესიას, თუნდაც ქვეყნის გარეთ მდებარეს, მეტოქე ეკლესიად უნიშნავდნენ ეკონომიკურად დაწინაურებულ რომელიმე მრევლმრავალ მონასტერს, რათა მას ხელი შეეწყო მისი მაღალ საეკლესიო დონეზე ფუნქციონირებისათვის. არ არის შეუძლებელი, სწორედ ასეთი მეტოქის როლი დაკისრებოდა წევის ეკლესიას ვაჰანის ქვაბის მონასტრის მიმართ. რაც შეეხება ხსენებული ხელნაწერის სილოგავასეული კითხვის –**„წევის ბოლოს“** ნაცვლად **„ჴ ევის ბოლოს“** გულვებას, მას დაუძლეველი წინააღმდეგობა ახლავს: ძველი ქართული **„წ“ და „ ჴ “** ერთიმეორისაგან იმდენად განსხვავდებიან, რომ მათი აღრევა წარმოუდგენლად გვეჩვენება. ასეა თუ ისე, უკვე სრულიად სარწმუნო ცნობებით XV ს-ის შუა წლებში, 1452 წელს გიორგი მეფეს გოგია და გოგნია მაჭავარიან-სიქდურიშვილებისათვის განუახლებია წევის შეწირულობის საბუთი (სარეცენზ. წიგნი, გვ. 09). ეს იმაზე მეტყველებს, რომ თუ მეფე სოფლის წყალობას მის მფლობელს განუახლებს, მაშ მას თავდაპირველი წყალობა 1-2 საუკუნით ადრე მაინც უნდა ჰქონდეს გაცემულ-ნაბოძები.

ისიც უთუოდ საინტერესოა, რომ წევის ძირძველი მფლობელები თუ მოსახლენი მაჭავარიანები და სიქდურიშვილები ყოფილან. პირველი ცნობა გაჩეჩილაძეების ს. წევაში სახლობის თაობაზე წერილობით წყაროებში XVI ს-ის 60-70-იან წლებიდან ჩნდება (გვ. 12). როგორც ჩანს, ამ დროისათვის მაჭავარიანები და სიქდურიშვილები სოციალურად ქვეითდებიან (ან სამოსახლოს იცვლიან) და გაჩეჩილაძეთა გვარი იწყებს აღმავლობას.

წიგნში საინტერესოდ არის ნაჩვენები, თუ ერთი ძირითადი გვარიდან, გაჩეჩილაძიდან, როგორ იღებს სათავეს სისხლხორცეულად მონათესავე სხვდასხვა გვარი: **ოთიაშვილი, წეველიძე, ჯაჭვაძე**... აქვე დავძენთ, რომ თუ წეველიძეთა გაჩეჩილაძეებისაგან წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (წევიდან ქართლში გადასული ორი ძმა დასახლებულა სოფ. ტეზერში და გვარად ფსევდონიმი-წეველიძე მიუღიათ), რამდენადმე გაჭირდება ჯაჭვაძეთა ადრინდელი გაჩეჩილაძეობის დამტკიცება. ეს მტკიცებულება, ფაქტიურად ემყარება წევისა და წეველების ისტორიის პირველი მკვლევარის, სევასტი გაჩეჩილაძის, ინფორმაციას. იგი 1899 წ. „აკაკის თვიურ კრებულში“ (№3, გვ. 32-33) წერდა, რომ მცირემიწიანობისა და ღუხჭირი ცხოვრების გამო წეველი გაჩეჩილაძეების ერთი ნაწილი აყრილა და ზოგი „ქვემოთში“, ზოგიც კახეთში დასახლებულა **ჯაჭვაძის** გვარითო (სარეცენზიო წიგნი, გვ. გვ. 21, 32). ერთი ვერსიით კი თვით ჯაჭვაძე ყოფილა გაჩეჩილაძეთა თავდაპირველი გვარი და ამიტომ კახეთს (ს. ჭერემი, ს. ფშაველი) საცხოვრებლად გადასულ გაჩეჩილაძეებს თითქოს თავიანთი ისტორიული გვარი დაუბრუნებიათ და, ამრიგად, ჯაჭვაძეებად დაწერილან. ვიმეორებთ, ამგვარ ვერსიას არ ახლავს რაიმე წერილობითი საბუთი, სიგელი ან წყალობის წიგნი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თვითონ ამ გამოცემის შემდგენელ-რედაქტორიც ზეპირ გადმოცემებს აგრერიგად არ ენდობა და გაჩეჩილაძე – ჯაჭვაძეთა იგივეობის დასამტკიცებლად დამატებითი არგუმენტების მოპოვებას თვლის საჭიროდ. უთუოდ სწორია ქალბატონი ეკატერინე, როცა უარყოფს თვალსაზრისს ჯაჭვაძის სამშენებლო ქვის **„ჯაჭვისებური** წესით“ ხელიდან ხელში მიწოდების ან „მჭედლობის რეწვის“ გზით შერქმევის თაობაზე (გვ. 33). ჩვენი ფიქრით **ჯაჭვა** პიროვნული სახელია, რომლის ბოლო **ა** სუფიქსი რაღაცასთან მსგავსებაზე (ძალ-ღონე, ხასიათის სიმედგრე, სიმტკიცე, შეუვალობა...) მიგვანიშნებს. არ არის გამორიცხული, რომ **ჯაჭვ-ა** რომელიმე ხვიარა ბალახის (მცენარის) სახელიც იყოს (შდრ. ანალოგიური გზით მიღებული გვარი **ხმალაძე,** რომელიც მცენარე **ხმალა**-საგან იღებს სათავეს და არა იარაღისაგან. საჭურველ – იარაღის ხელოსნობის აღნიშვნა ქართულ გვარებში **მე-ე** კონფიქსით ხორციელდება; **მე-თოფ-ე** (მეთოფიშვილი), **მე-ფარ-ე** (მეფარიშვილი, მეფარიძე//ნეფარიძე) **მე-ხანჯლ-ე** (მეხანჯლიშვილი) და მისთ.

რადგან სახელწოდებათა ეტიმოლოგიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა

შევნიშნოთ, რომ სოფ. წევის შესახებ შემოთავაზებული ეტიმოლოგიები (იხ. გვ. გვ. 7-8) ნაკლებკვალიფიციურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვარაუდები უკმარია. რაც შეეხება ხაშურის რაიონის სოფელ **ტეზერის** ეტიმოლოგიას (მერაბ წეველიძე, ვ. და ლ. აბრამიშვილები), იგი სრულებით არამეცნიერულია და ამდენად-არასარწმუნოც. ჯერ ერთი, თურქულ **კოშკ** სიტყვას საერთო არაფერი აქვს უძველეს ზანური წარმოშობის **ო-შქ (//-ო-შკ-)** სიტყვასთან (VII-IX საუკუნეებში იქ თურქების სახსენებელიც არ იყო!) და, მეორეც, ძველქართულ ონომასტიკონში არასოდეს არსებობდა კომპოზიტი **„მტერმზვერი“,** საიდანაც, ვითომდა, ტოპონიმი **ტეზერი** იყოს წარმომდგარი! ჩვენი ფიქრით **„ტეზერი“** ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი ტოპონიმი უნდა იყოს. თავდაპირველად უნდა გვქონოდა „თეზელი“, რომელიც მოგვიანებით (უთუოდ რუსულის გავლენით) **ტეზერ-ად** გადაკეთებულა. ტეზერთან დაკავშირებით გვაგონდება ერთ-ერთი ხალხური ეტიმოლოგისტის მიერ გვარის, მეტრეველის ახსნა, როგორც „მტერმრეველი“, „მეტი მტრის მრეველი!“ როცა სოლიდურ გამოკვლევაში აქა-იქ უმწიფარი ეტიმოლოგიები გამოჩნდება, ამას წიგნისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით-კი!

სარეცენზიო წიგნში უმდიდრესი ანთროპოლოგიური მასალაა წარმოდგენილი ბაბუაშვილობის ხაზის (შტოს) მისათითებლად (გასარჩევად). მათში ჩანს წეველი გაჩეჩილაძეების მაღალი ინტელექტი, მდიდარი ფანტაზია, წარმოსახვის უნარი და შეფარული იუმორიც კი. გვარიშვილობის შტო-გვარებად გამოიყენებოდა როგორც საკუთრივ გვარები: **ოთიაშვილი, ლანჩავა, გუნდაეთელი, თომაშვილი, გოგებაშ, პაპუჩელა...** ისე პიროვნების ფიზიკურ-სულიერი მახასიათებლების აღმნიშვნელი მეტსახელები: **ბელტიყლაპია, ბღოჭიალა, კრეჭია, კუნკურახი, ღიღინა, ლობიო, ლულია...** ისინი პირველად შემოდიან საენათმეცნიერო (ონომასტიკურ) მიმოქცევაში და, გვჯერა, კუთვნილ ადგილსაც დაიმკვიდრებენ. ღმერთმა ინებოს, სხვა საგვარიშვილო მოძრაობის მოთავეებსაც მიებაძოთ ქალბატონ ეკატერინე გაჩეჩილაძის საშვილთაშვილო საქმიანობისათვის!

§ 4. სოფელ წევის სახელწოდების შესახებ

სოფელი წევა თანამედროვე ოფიციალურ წყაროებში ორ სოფლად – ზედა და ქვედა წევად მოიხსენიება, თუმცა აშკარაა, რომ ძველად, X-XI საუკუნეებიდან დაწყებული XX საუკუნემდე, მდ. ძირულის ხეობაში მდებარე ორი უბან-სოფელი მხოლოდ ერთი სახელით (წევა) იყო ცნობილი. საინტერესოა, რომ სოფელი წევა ქართველ მეფეთა და ეკლესიის საჭეთმპყრობელთა ყურადღებას იმთავითვე მიიპყრობდა,როგორც ძირულის ხეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული, ხალხმრავალი და ეკონომიკურად დაწინაურებული სამოსახლო ადგილი. ამ ფაქტის დასტურია ის, რომ ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში, მეფე დავით აღმაშენებლის წინარე ხანაში (XIს.) აქ საფუძველი ეყრება წმინდა გიორგის ეკლესიას, რომელსაც ჩვენი დიდი გეოგრაფი, ისტორიკოს-კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (1696 – 1758) „სასწაულთმოქმედად“ მოიხსენიებს: „შორაპანს ზეით... მოერთვის ფუთს ვარძიის წყალი (დღევანდელი მდ. ბორიმელა, გ. ბ.)... ამ ხევს ზეით ერთვის ძირულასვე მეედნის ხევი. ამასზედ არს მწყერის-ციხე (მეწყერის ციხე ? გ. ბ.), მრავალგზის შემუსრვილი. ამის პირისპირ, ძირულის ჩდილოთ და შორაპნის აღმოსავლით, არს წევას ეკლესია წმიდის გიორგისა, სასწაულთმოქმედი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1997 წ. გვ. 156).

საისტორიო-ეკონომიკურ წერილობით ძეგლებში სოფელი წევა, აგრეთვე, მისი მიმდებარე სამეურნეო ნაკვეთები სახელწოდებით „წევის ბოლო“ XV საუკუნის შუა წლებიდან არის მოხსენიებული. 1452 წლის თიბათვის 12 რიცხვში შედგენილ (თუ გადაწერილ) საბუთში ნათქვამია, რომ **„წევის ბოლო“** (ე. ი. სოფლის ქვემოთ მდებარე სავარგულები, გ. ბ.) როსტევან რჩეულასძეს ვანის ქვაბებისათვის შეუწირავს. მეორე ცნობით სოფ. წევის წყალობის საბუთი იმერეთის მეფე გიორგის განუახლებია გოგია და გოგნია მაჭავარიან–სიქდურიშვილებისათვის (იხ. მასალები საქართველოს

ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის წ.I თბ., 1964, გვ. 258). ამ საბუთში დაცული ცნობები არაერთ საინტერესო საკითხს აღძრავს. პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას ის ამბავი მიიპყრობს, რომ **„წევის ბოლოს“**, ვითარცა უხვმოსავლიან და ნაყოფიერ ადგილებს, სწირავენ მესხეთში, ვარძიის სიახლოვეს მდებარე ვანის (ვაჰანის) ქვაბებს ანუ მონასტერს. მაშასადამე „წევის ბოლო“ ისეთი მნიშვნელოვანი ადგილ-მამული ყოფილა, რომ უმაღლეს ხელისუფალთ ვანის ქვაბთა მსახურთათვის (მღვდლები, ბერ-მონაზვნობა) საზრდოდ და სახსრად შეუწირავთ.

და კიდევ, თუ სოფელ წევის წყალობის სიგელს მეფე გიორგი 1452 წელს კვლავ განუახლებს მაჭავარიან-სიქდურიშვილებს, ეს გარემოება იმას მიგვანიშნებს, რომ სოფელს ამაზე უწინარეს 5-6 საუკუნით ადრე უარსებია; სულ რომ არაფერი, აქ, ამ სოფელში ხომ წმინდა გიორგის ეკლესია XI ს-შია აგებული! აღნიშნული საბუთი იმასაც ცხადყოფს, რომ წევაში XV საუკუნის შუა წლებში ორი გვარი ყოფილა დაწინაურებული (პრივილეგირებული): **მაჭავარიანი** და **სიქდურიშვილი**. აქვე ბარემ იმასაც ვეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველს, რომ გვარის მაჭავარიანის იმერული წარმოშობა აშკარაა. მართალია, საგვაროვნო – იან – სუფიქსი სვანური ენის კუთვნილებად არის გამოცხადებული, მაგრამ ჩანს, ეს სუფიქსი ადრეულ საუკუნეებში ქართული ენის კილოებში, კერძოდ, იმერულში, ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად, ალბათ, ვერ ავხსნიდით ქართლურ, კახურ, მთიულურ და სხვა დიალექტებში ისეთი საგვარეულო სახელების არსებობას, როგორიცაა: **ხუც–იან–ი, შალიკ–იან–ი, გამიხარდ–იან–ი...** რაც შეეხება **სიქდურიშვილ** გვარს, ამ შემთხვევაშიც ჩვენს წინაშე მოჩანს–სახელის ფონეტიკური (ბგერობრივი) ცვლილების საგულისხმო ფაქტი: ძველ ქართულში, ალბათ, უკვე XIII-XIV საუკუნეებში, არსებობდა მამაკაცის საკუთარი სახელი სიქადული, რაც სიამაყეს, ზოგ შემთხვევაში მუქარას, ნიშნავდა: „სიქადული ჩემი შენ ხარ! (**იერემ**. 17, 14): (იხ. **ილ. აბულაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973 წ.). დოკუმენტის შედგენისას (და ალბათ, შედგენამდე ბევრად უფრო ადრეც!) **სიქადულ** - ფუძიდან **ა ხმოვანი** ამოვარდნილა (სახელის ნათეს. ბრუნვაში დასმის გამო), ხოლო **ლ** თანხმოვნის **რ** თანხმოვნად ქცევის გზით (**სიქადულ–სიქდულ–სიქდურ-**) საბოლოოდ **სიქდურისშვილი // სიქდურიშვილი** მიგვიღია. დამატებით იმის თქმაც არ იქნება ურიგო, თუ ვიტყვით, რომ ეს უძველესი გვარი დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას და რამდენიმე ფორმით არის დადასტურებული: **სიკტურაშვილი, სიქთურაშვილი, სიქტურაშვილი**. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის წერილობით ძეგლებში სოფ. წევის ძირითად მკვიდრებად **გაჩეჩილაძეები** რატომღაც არ ჩანან. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმას, რომ გაჩეჩილაძეთა გვარის წარმომადგენლები ამ პერიოდისათვის სოციალურად ჯერ კიდევ არ ყოფილან დაწინაურებულები? ან ხომ არ არიან გაჩეჩილაძეები ს. წევაში იმერეთის სხვა რომელიმე ხევიდან (საზოგადოებიდან) მოსული? ეს ჩემი კერძო აზრია, ამიტომ მას მტკიცებულების ძალა არა აქვს. საკითხს დამატებითი კვლევა სჭირდება.

აქვე გვინდა მკითხველს გავუზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება სოფელ წევის სახელწოდების წარმომავლობის თაობაზე. ტოპონიმი **წევა** ისევეა **ა** სუფიქსით გაფორმებული, როგორც სხვა არაერთი ქართული გეოგრაფიული სახელი: **კოდ-ა, ქედ-ა, ლეღვა-ა, თიღვ-ა, ბოყვ-ა, ნაძვ-ა, ხიზ-ა, ფერეთ-ა** და სხვ. მრ. – **ა** სუფიქსი სახელებში თვისება-მქონებლობას აღნიშნავს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში რას უნდა აღნიშნავდეს **წევ** – ფუძე, მთლად ნათელი არ არის. ხომ არ შეიძლება **წევ** – ძირი ზმნურ **მიწევნა-ს** ან **შეწევნა-ს** დავუკავშიროთ? შეიძლებოდა გაგვეხსენებინა, აგრეთვე სახელზმნური ფორმა **მო-წევ-ა** (მოსავლის, ხილის...). როგორც ჩანს, **წევა** ძველთაგანვე გამოირჩეოდა ხილის დროული მოწევით (შემოსვლით) ან უხვი მოსავლის მიღებით. ეს გარემოება ხომ არ ედო საფუძვლად „წევის ბოლოს“ ვანის ქვაბების მონასტრისათვის შეწირვის ფაქტს? როგორც ვხედავთ, წევის ეტიმოლოგიური კვლევა-ძიება არაერთ ვარაუდს გვიჩენს, თუმცა, მათგან რომელ თვალსაზრისს მივანიჭოთ უპირატესობა, ერთობ ჭირს. ჩვენ მაინც ინტუიტურად მხარს დავუჭერდით წევის, როგორც სასოფლო-სამეურნეო დარგის აღმნიშვნელ ტერმინს („მოსავლის, ჭირნახულის მოწევა, აღება“), თუმცა არც მისი რელიგიურ-სარწმუნოებრივი ასპექტი („შე-წევ-

ნა“) არის ნაკლებ ანგარიშგასაწევი.

დასასრულ დავძენთ, რომ სოფელმა წევამ, როგორც ცნობილმა ტოპონიმმა, სათავე დაუდო ქართულ გვარს, **წეველაძე** // **წეველიძეს**, რომელთაგან მხოლოდ ბოლო ფორმა **წეველიძე** გავრცელებულა–XIX საუკუნის მიწურულს. 1995-96 წლებში, მთელს საქართველოში ამ გვარს 284 პირი ატარებდა. ამათგან ყველაზე მეტი (104 პირი) თბილისში სახლობს, ბორჯომში 32 წეველიძეს უცხოვრია, გორში კი ოდნავ ნაკლებს – 27 პირს, დანარჩენი წეველიძეები (121 პირი) (284-163=121) უთუოდ ქართლის რეგიონის დაბა-სოფლებში არიან განსახლებულნი, რადგან გამორიცხულია, რომ **წეველიძეები** (ნიშნავს „სოფელ წევიდან საცხოვრებლად სხვაგან დადასტული პირი“) ზესტაფონის რაიონშივე იყვნენ დაფუძნებულები (კახეთელიძე კახეთის მკვიდრი ვერ იქნება, ისევე, როგორც მეგრელიძე–სამეგრელოს მკვიდრად არ მოიაზრება). რაც შეეხება **წეველაძე** გვარს, მას მხოლოდ 2 კაცი ატარებს. სად ცხოვრობს ეს ორი წეველაძე, უცნობია. მთავარი აქ ისაა, რომ წეველაძე არ გავრცობილა, უპირატესობა ი-ნიან ფორმას (წეველიძე) მოუპოვებია, სხვათა შორის **წეველიძე** გვარის არსებობა ხაშურის რაიონის სოფ. **ტეზერში** დადასტურებული აქვს ცნობილ ონომატოლოგს პროფ. **ილ. მაისურაძეს** (იხ. მისი „ქართული გვარ-სახელები“ თბ., 1990, გვ. 213). საფიქრებელია, რომ ხაშურის რაიონში იმერეთიდან მიგრირებული წეველიძე სხვაც არაერთი სახლობდეს.

როგორც ზემოთ ითქვა, დღევანდელი საცნობარო ლიტერატურის მიხედვით სოფ. წევა ცალკე აღებული, ცნობილი არ არის. მის ნაცვლად არსებობს **ზედა წევა** და **ქვედა წევა**, სასურველად კი გვეჩვენება, რომ წევა, როგორც ისტორიული სოფელი, ცალკეც იყოს მოხსენებული.

გურამ გედოშვილი, ფილოლოგიის
მეცნ. დოქტორი, პროფესორი.
მაისი, 2004 წ..

§ 5. ზურაბ ჭუმბურიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I წიგნის შესახებ

გაჩეჩილაძეების გვარი დღეს საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარია, რომლის რიგებსაც არა ერთი სახელოვანი მეცნიერი, მწერალი, ხელოვნების მუშაკი თუ სახელმწიფო მოღვაწე ამშვენებს. ბუნებრივია, რომ დღეს, როცა განუწყვეტლივ იზრდება ინტერესი ქართული გვარების ისტორიის, სტრუქტურის, ეტიმოლოგიის საკითხებისადმი და გამოდის წიგნები და მონოგრაფიული გამოკვლევები ცალკეული ისტორიული გვარების შესახებ, ცალკე წიგნად გამოიცა ასეთივე ნაშრომი გაჩეჩილაძეთა გვარის შესახებ. აქვე მკითხველი გაეცნობა ამ გვარის განშტოებებსაც: ჯაჭვაძეებსა და წეველიძეებს.

კრებული შედგენილია ხელოვნებათმცოდნე ეკატერინე გაჩეჩილაძის მიერ, ერთვის მისივე შესავალი წერილი და გამოკვლევა, წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა. როგორც უწმინდესი ბრძანებს, „დიდი მადლი ტრიალებს ამ გვარში... გაჩეჩილაძეების სალოცავი არის წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედი ტაძარი, ხოლო წმიდა გიორგი გახლავთ მებრძოლი ბოროტების წინააღმდეგ და სიმბოლო გამარჯვებისა“.

ეკ. გაჩეჩილაძის წერილი „მასალები გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის“ საინტერესოდ იკითხება და ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს გვარის წარსულიდან. ასევე საინტერესოა მისივე მეორე ნაშრომი „ჯაჭვაძეების კვალდაკვალ“, მაგრამ, ჩემი აზრით, აჯობებდა ეს ორი ნაშრომი გაერთიანებული

სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

წიგნში სხვაც არაერთი საინტერესო წერილია: გოჩა არონიშიძის „ღვთისმსახური გაჩეჩილაძეები“, კონსტანტინე გაჩეჩილაძის „წევის სკოლა ას ათი წლისაა“. აქვეა გვარის ცნობილ წარმომადგენელთა ბიოგრაფიული ცნობები, ფოტოები, მათ შორის – XIX ს. ფოტოსურათები და სხვა მასალა. ბიოგრაფიებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მათი „გადამოწმება“ შემდგენელ-რედაქტორს არ უცდია და მთლიანად მინდობია მასალის მომწოდებლებს. ჩვენი აზრით, ზოგ შემთხვევაში მაინც სასურველი იყო ამ მასალების რედაქტირება, რათა ზოგი თანამოგვარის რევოლუციური დამსახურება და ბიოგრაფიის დეტალები უფრო ზომიერად ყოფილიყო წარმოდგენილი.

საერთოდ, კრებულის შემდგენელსა და თანაავტორებს არ ღალატობთ ზომიერების გრძნობა, წიგნში ფრიად საგულისხმო მასალაა თავმოყრილი და, როგორც ვთქვით, ის თავიდან ბოლომდე ინტერესით იკითხება.

როგორც ჩანს, ამ წიგნს მოჰყვება გაგრძელება მეორე წიგნის სახით. ვუსურვებ მის ავტორებს შემდგომ წარმატებებს.

25. IV. 2006 წ.

§ 6. ეკატერინე გაჩეჩილაძე

კომენტარები „გაჩეჩილაძე-ჯაჯვაძე-წეველიძეთა საგვარეულო“-ს I წიგნის, პროფესორების გ. ბედოშვილისა და ზ. ჭუმბურიძისეულ, რეცენზიებზე და გ. ბედოშვილის სტატიაზე „სოფელ წევის სახელწოდების შესახებ“

2005 წლის დასაწყისში, როცა „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I წიგნი გამოვიდა, თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძეს (გოგება)* პროფესორ გ. ბედოშვილისთვის უთხოვია (ჩვენთან შეუთანხმებლად) წიგნის შესახებ აზრის გამოთქმა. ბ-ნი გურამი გამოხმაურებია მის თხოვნას და გაზ. „საპოვნელაში“ (2005 წ. №7-8) გამოუქვეყნებია ვრცელი რეცენზია სათაურით „საშვილთაშვილო წიგნი“. უფრო ადრე, 2004 წ., ბ-ნი თენგიზისავე თხოვნით, მას დაუწერია სტატია, სოფ. წევის სახელწოდების შესახებ, გაზ. „ჯაჭვში“ გამოსაქვეყნებლად, მაგრამ, რადგან აღნიშნული გაზეთი 2003 წლის შემდეგ აღარ გამოსულა, ბ-ნ თენგიზს შეუნახავს ეს სტატია და, გაზ. „საპოვნელაში“ დაბეჭდილ სტატიასთან ერთად, გადმოგვცა 2005 წლის შემოდგომაზე. გ. ბედოშვილის ორივე სტატიას ვაქვეყნებთ წინამდებარე წიგნში, ჩვენი კომენტარების დართვით.

უპირველეს ყოვლისა, მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ ბ-ნ გ. ბედოშვილის რეცენზიაში გამოსჭვივის კეთილგანწყობა სარეცენზიო ნაშრომის ავტორისა და მისი კვლევის ობიექტისადმი, რაც უეჭველად ხაზგასასმელია, მით უფრო, რომ, ჩვენდა გასაკვირად, სხვა მკვლევარის ნაშრომში წავაწყდით საპირისპირო დამოკიდებულებას აღნიშნული „მისამართით“, რაზეც § 7 -ში, იმ ნაშრომის კომენტირებისას, გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

ჩვენ ვაპირებდით ბ-ნი გურამის სტატიებზე პასუხის გაცემას ჩვენი კვლევის დასრულების შემდეგ, მაგრამ კვლევა საკმაოდ დიდხანს გაგვიგრძელდა და, სამწუხაროდ, ბ-ნი გურამი მის დასრულებამდე გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვაქვეყნებთ პასუხს მის სტატიებზე.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ბ-ნი გურამის რეცენზიის კრიტიკული შეფასება – არ შეიძლება პრეტენზია გვქონდეს იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც, სრულიად უანგაროდ, ამდენი დრო და ენერგია დაუთმო ჩვენი ნაშრომის განხილვას, მით უფრო, რომ გვესმის: მოკლე დროში მომზადებულ საგაზეთო რეცენზიის ავტორს შეუძლებელია მოსთხოვო იმ კონკრეტულ თემაში სკრუპულოზური ჩაღრმავება, რომელშიც მას პირადად კვლევა არ უწარმოებია. ოპერატიული საგაზეთო რეცენზიის მომზადებისას რეცენზენტები, მეტწილად, ხელმძღვანელობენ იმ ზოგადი

შთაბეჭდილებით, რაც მათ რჩებათ სარეცენზიო ნაშრომის, ხშირ შემთხვევაში, ერთხელ წაკითხვით (განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ნაშრომი, ჩვენი ნაშრომის მსგავსად, საკმაოდ ვრცელია), რაც ზოგჯერ არ კმარა ნაშრომის შინაარსის ზოგიერთი ნიუანსის აღსაქმელად.

თუმცა, როცა სათანადო დარგის პროფესიონალი, კეთილგანწყობილი რეცენზენტი რამდენადმე არაადექვატურად აშუქებს ზოგიერთ საკითხს, რისი წარმოჩენაც სარეცენზიო ნაშრომის ავტორს სხვაგვარად სურდა, ამაში ბრალი, ალბათ, თვით ნაშრომის ავტორს მიუძღვის. როგორც ჩანს, ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი აზრი იმდენად მკაფიოდ, რომ პროფესიონალ მკითხველს მაინც აღექვა ადექვატურად, აღარაფერს ვამბობთ არაპროფესიონალ მკითხველზე...

ამიტომ, რეცენზიაში მოყვანილ შენიშვნებზე პასუხის გაცემა აუცილებლად მიგვაჩნია, ჩვენივე აზრის უფრო მკაფიოდ გამოსაკვეთად და ჩვენი კვლევის შედეგებზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

პირველ რიგში აღვნიშნავთ რეცენზენტის მიერ, ჩვენი ნაშრომის საფუძველზე, წევის ეკლესიის აგების დროდ დავით აღმაშენებლის მეფობის ხანის მიჩნევის შესახებ:

„გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I ტომში (გვ. 7-8) ჩვენ მოყვანილი გვაქვს ასეთი ტექსტი: „გაჩეჩილაძეთა **საგვარეულო გადმოცემებში <u>სოფ. წევის სახელწოდება ორგვარადაა განმარტებული: I</u> – როგორც გაწევა, გადაადგილება (ტვირთის).** („დავით აღმაშენებელს, აღდგენითი და სააღმშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, იმერეთში ჩაუყვანია ხელოსნები. მათი ერთი ჯგუფი, რომელიც ახლანდელი წევის ტერიტორიაზე მუშაობდა, მშენებლობამდე ქვას ჯაჭვისებური, ანუ ხელიდან ხელში გადაცემის წესით ეწეოდა. იმ ადგილისათვის, საიდანაც ქვას ეწეოდნენ, წევა შეურქმევიათ“...)...

ერთი აბზაცის შემდეგ კი ვწერთ: „წევა რომ ძირძველი სოფელია, ამას ადასტურებს მის ტერიტორიაზე XI საუკუნით დათარიღებული ეკლესიის არსებობა“. (ეს თარიღი ჩვენ ავიღეთ ქსე – დან და ქართული კულტურის ძეგლების კატალოგიდან)[1]. მაგრამ საუკუნე ხომ 100 წელიწადს მოიცავს. ჩვენ, „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I წიგნში, არ გვაქვს დაკონკრეტებული, XI საუკუნის რომელ მონაკვეთში აიგო ეს ეკლესია, ვინაიდან ეს ძეგლი პირადად ჯერ არ გვქონდა გამოკვლეული. მაგრამ, რეცენზენტმა, რადგან ეკლესიის აგების თარიღად XI საუკუნეს ვასახელებთ,ხოლო ლეგენდაში დავით აღმაშენებელია ნახსენები,აღარ მიაქცია ყურადღება იმას, თუ რა კონტექსტშია იგი ნახსენები და გამოიტანა დასკვნა, რომ ეკლესია დავით აღმაშენებლის მეფობის დროს (1089-1125 წწ.) აიგო, ანუ XI საუკუნის ბოლოს[2]. (*შემდგომში ჩვენ ჩავატარეთ ეკლესიის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი, რის საფუძველზეც იგი X საუკუნის ბოლო – XI სუკუნის საწყისი წლებით დავათარიღეთ*[3]).

სხვა შემთხვევებშიც, იქ სადაც ჩვენ ჩვენს ნაშრომში ფრთხილად, ვავითარებთ აზრს და, თითქოსდა შინაარსობრივად დაახლოებულ ინფორმაციებს შორის, არ ვაბამთ კავშირებს, თუკი ამ კავშირის დამადასტურებელი საბუთი არ გაგვაჩნია, რეცენზენტი ჩვენს ტექსტში მოყვანილი ინფორმაციებით უფრო თამამად ოპერირებს, მათ შორის კავშირებს აბამს, რის შედეგადაც ზოგჯერ გაზვიადებული დასკვნები გამოაქვს, ზოგჯერ კი დაუსაბუთებელი, ცალსახა დასკვნები:

ბ-ნი რეცენზენტი აღნიშნავს, რომ „იმ დროს წევა იმდენად ხალხმრავალი და უხვმოსავლიანი ყოფილა, რომ მიზანშეწონილად მიუჩნევიათ აქ წმინდა გიორგის ფუნდამენტური ეკლესიის აგება“. *(წევის ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი მართლაც ფუნდამენტური ნაგებობაა, მაგრამ მცირე ზომის – სულ 10,25 მ. · 6,25 მ., რაც, მისი აგების დროისათვის, წევის განსაკუთრებულ ხალხმრავლობაზე მსჯელობის საფუძველს არ გვაძლევს. ასეთი და უფრო დიდი ზომის ეკლესიები საქართველოს თითქმის ყველა სოფელში იყო და არის).* წევის უხვმოსავლიანობაზე გაზვიადებული წარმოდგენა ბ-ნ გურამს, ალბათ, შეუქმნა ჩვენს სტატიაში გამოთქმულმა აზრმა, რომ „წევას მეზობელ სოფლებზე მეტი ჰქონდა მიწა, წყალი და ყოველგვარი სიკეთე“[4] *[ზესტაფონისა და ხარაგაულის სოფლები უხვმოსავლიანობით არასოდეს გამოირჩეოდნენ, თუმცა,*

ყველაფერი შეფარდებითია[5]...], მით უმეტეს, რომ თავისი აზრის დამადასტურებელ, უეჭველ, საბუთად მას მიუჩნევია თ. ჟორდანიას მიერ „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ მოყვანილი ცნობა „წევის ბოლოს“ ვაჰანის გამოქვაბული მონასტრისათვის შეწირვის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ცნობა არ მიგვაჩნია უეჭველად დადასტურებულად, (რაც განმარტებული გვაქვს რეცენზირებულ წიგნში, გვ. 8-11) და შესაძლოა რეცენზენტიც დაგვთანხმებოდა ამ დაეჭვებაში, ჩვენ რომ ჩვენს სტატიაში ყველა ის არგუმენტი მოგვეყვანა, რამაც გამოიწვია ჩვენი დაეჭვება. ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ ის სამი არგუმენტი *(და არა ერთი, რომელსაც რეცენზენტი ახსენებს),* რის გამოც ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ ამ ცნობის გადამოწმება და რის გამოც მოვიძიეთ, თ. ჟოდრანიას გარდა, „ვაჰანის ქვაბთა განგებაზე“ მომუშავე სხვა მეცნიერთა შეხედულებებიც, რომელთაგან ჩვენი ეჭვები უფრო მკაფიოდ გამოკვეთა პროფესორ ვალერი სილოგავას, ჩვენი სატელეფონო საუბრის დროს გამოთქმულმა, არგუმენტებმა. ჩვენს სტატიაში არ მოვიყვანეთ ეს არგუმენტები იმიტომ, რომ ბ-ნ ვალერის თავისი ნაშრომი ჯერ არ ჰქონდა გამოქვეყნებული (თუმცა, აღნიშნული მოსაზრებები უკვე დაფიქსირებული იყო მისი ასპირანტის, ირმა ტალახაძის, სადისერტაციო ნაშრომში[6]).

ბ-ნმა ვალერიმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „ვაჰანის ქვაბთა განგებაზე“, როსტევან რჩეულაძის ზემოხსენებული მინაწერის წინაც და შემდეგაც, მრავალი სხვა ადამიანის მინაწერია, რომლებიც, ასევე, მონასტრისათვის მამულების შეწირვას გვაუწყებენ. ამ მინაწერებში დასახელებული ყველა მამული, თმოგვის ახლოს მდებარე, ვაჰანის მონასტრის ახლოს მდებარეობს, გარდა ამისა, „განგებაზე“ არის თვითონ როსტევან რჩეულაძის სხვა მინაწერიც, მონასტრისათვის სხვა მამულების შეწირვის შესახებ, რომელშიც, ამავე მონასტრის ახლოს მდებარე, მცირე მამულებია დასახელებული.

ზემოხსენებული მამულების შეწირვა რომ სწორედ თმოგვის ახლოს მდებარე გამოქვაბული მონასტრისათვის ხდებოდა, ამას ადასტურებს „განგების“ მინაწერებში ნახსენები ტოპონიმები და ის ფაქტი, რომ მონასტრის კედლებზეც არის XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული წარწერები, რომლებშიც რჩეულაძე – რჩეულაშვილების გვარი იკითხება. აქედან გამომდინარე, **ვ. სილოგავა ფიქრობდა, რომ დოკუმენტში წერია არა „წევის ბოლო და ახალშენი“, არამედ „ხევის ბოლო და ახალშენი“,** რომლებთანაც ის აიგივებდა აღნიშნული მონასტრის ახლოს, ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორ მცირე, რამდენიმე კომლიან დასახლებას – „ვანის ხევს“ და „ახაშენს“, რომელსაც ადრე ახალშენი უნდა რქმეოდაო. იქ შემორჩენილია ვაზის უძველესი ჯიშებიო (თუმცა, ვაზის უძველესი ჯიშები საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე გვხვდება...).

რეცენზენტის მითითება, პალეოგრაფიის სპეციალისტი პროფესორის, ვალერი სილოგავასადმი, რომ ძველი ქართული გრაფემები **„წ“** და **„ჴ“** იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ „წევის ბოლოს“ ნაცვლად „ხევის ბოლოს“ გულვება წარმოუდგენელიაო, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უხერხულია...

ზემოხსენებული ტექსტის ის ადგილი, სადაც ეს **„წ“** ან **„ჴ“**-ა საგულვებელი, ცხადად რომ იკითხებოდეს, მაშინ საკვლევიც აღარაფერი იქნებოდა:

თ. ჟორდანია 1896 წ. გამოქვეყნებულ „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“-ში, რჩეულაძის ზემოხსენებული აღაპის წინ წერს, რომ იგი ნაწერია XIII-XIV საუკუნის ხუცურით, ლამაზი ხელით და (ძლივსღა გაირჩევა), ხოლო იმ ადგილას, სადაც იგი „წევის ბოლოს“ კითხულობს, საგანგებოდ ფრჩხილებში აღნიშნული აქვს, რომ ტექსტი (გაურჩეველია).

თ. ჟორდანიას მიერ, დასახელებულ საბუთში ნახსენები, მამულის „წევის ბოლოდ“ გულვება ლოგიკურია. ასეთ წაკითხვას აქვს საფუძველი, რის შესახებაც ჩვენ აზრი გამოვთქვით I წიგნში (იხ. I წ. გვ. 8-9). ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ამ აღაპის წაკითხვის ჟორდანიასეული ვარიანტი უფრო მომხიბლავია, უფრო ფართო ჰორიზონტს შლის ფანტაზიისათვის... იგი თუ დადასტურდება, ამით ახალი, ფრიად საინტერესო ფურცელი ჩაიწერება სოფ. წევის ისტორიაში... სილოგავასეული ვარიანტი კი გაცილებით უფრო მარტივი და „პროზაულია“. იგი რჩეულაძისეული შეწირულობის წევასთან კავშირს გამორიცხავს, მაგრამ სიმართლეს ჰგავს... თუმცა კი, მაინც

რჩება მცირე ეჭვი: სახელები „ვანის ხევი“, და „ახაშენი“ მცირედ განსხვავდება „(ჯ)ევის ბოლოსა“ და „ახალშენისაგან“, ადგილის სახელი „წევის ბოლო“ კი დღესაც არსებობს და იქ დღესაც საკმაოდ კარგი ვენახებია, ხოლო „ახალშენი“ ყველგან შეიძლება ყოფილიყო...

თ. ჟორდანიასეული ვარიანტის სასარგებლოდ ჩვენ სხვა არგუმენტებიც მოვიძიეთ და წარმოვადგინეთ ჩვენს პირველ წიგნში (იხ. I წ., გვ. 9), ერთ-ერთ არგუმენტად მოვიყვანეთ „რჩეულ“ ფუძიანი გვარის ორი ვარიანტით – რჩეულაძე, რჩეულაშვილი – ხსენება ვანის ქვაბების (გამოქვაბულების) კედლებზე, რომელთაგან ძე – ზე დაბოლოებული ფორმა უფრო ადრინდელი დროით არის დათარიღებული, რაც, შესაძლოა, რჩეულაძეების საცხოვრებელად დასავლეთ საქართველოდან სამხრეთ საქართველოში გადასვლაზე მიუთითებდეს *[ოუმცა, გვარი რჩეულაძე წევის მიდამოებში არც ამჟამად გვხვდება და არც ისტორიულ საბუთებში... მკვლევარი ვალერიან კიკნაძე, რჩეულაშვილ-რჩეულიშვილების გვარის შესახებ არსებული ისტორიული მასალების შესწავლის შედეგად, მოკლედ, ასე წარმოგვიდგენს მათ ისტორიას: მათი წინაპრები ყოფილან იტალიელები, რომლებიც ჯერ ანაპაში გადასულან საცხოვრებლად, შემდეგ კი, კავკასიის მთით, ქართლში გადმოსულან. ერთ-ერთი მათგანისთვის, მისი გამორჩეული პიროვნული ღირსებების გამო, ოსებს რჩეულა შეურქმევიათ, რაც მის შთამომავლებს გვარად გამოჰყვათ. რჩეულაშვილები სამაჩაბლოში დამკვიდრებულან. შემდეგ მათი ნაწილი მესხეთში გადასახლებულა და თმოგვის მფლობელები გამხდარან (მას შემდეგ, რაც XIV სს. I ნახევარში, თმოგველთა გვარმა თმოგვი დატოვა). შემდეგ, როცა XVII საუკუნის II მეოთხედში მესხეთი ოსმალებმა დაიმორჩილეს, რჩეულიშვილები კახეთში გადასახლებულან...*[7]], მაგრამ, ამჟამად, ამის დამტკიცება შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენ „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ „წევის“ სახელის არსებობა ეჭვქვეშ დავტოვეთ – ერთ-ერთი მოსაზრების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტის გამოჩენამდე.

თუკი ეჭვის ნატამალი მაინც რჩება, თუკი რომელიმე საკითხის შესახებ არსებობს ორი, საკმაოდ არგუმენტირებული, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, რატომ უნდა გამოვიყენოთ რომელიმე მოსაზრება ისე, თითქოს იგი უეჭველია? ჩვენ ხომ წევის ნამდვილი ისტორია გვაინტერესებს[8]...

ბ-ნ რეცენზენტს ტყუილად უგულებელუყვია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებაც, რომ დოკუმენტში, რომლითაც გიორგი მეფე გოგია და გოგნია მაჭავარიან-სიქდურიშვილებს წევის მფლობელობას განუახლებს[9], სიქდურიშვილი – გოგია და გოგნია მაჭავარიანების მამის სახელი ან მაჭავარიანთა ერთ-ერთი შტოს მეტსახელი (ქვეგვარი) უნდა იყოს (საერთო ბაბუის შთამომავლობის აღმნიშვნელი[9a]) და არა დამოუკიდებელი გვარი, როგორც ამას რეცენზენტი მიიჩნევს:

სრულებით წარმოუდგენელია, რომ მეფეს ორი, სხვადასხვა გვარის მქონე, აზნაურისათვის, ქონებრივ მფლობელობაზე, ერთი საერთო საბუთი მიეცა. ეს ხომ ორ გვარს შორის მუდმივი დაპირისპირების მიზეზი გახდებოდა... ამ შემთხვევაში მაჭავარიანი და სიქდურიშვილი ორი სხვადასხვა გვარი რომ იყოს, მაშინ საბუთის შემდგენი ამ გვარებს „და“ კავშირით გამოჰყოფდა და არა დეფისით.

სიქდურიშვილის გვარი წევის და მისი მიდამოების საეკლესიო საბუთებში საერთოდ არ ჩანს. მაჭავარიანები კი საკმაოდ მრავლად არიან. ამჟამად ამ გვარის წევრთა ბაბუშვილობის შტოს მიხედვით გამოსარჩევი სახელებია: – „გრძელიშვილი (საქარიქედი), ფაზიაშვილი (ილემი, ბორი), ჯანაშვილი (იგორეთი)“[10] და სხვ.. როგორც ჩანს, მაჭავარიანებს XV საუკუნეშიც ჰქონდათ ბაბუშვილობის შტოს აღმნიშვნელი სახელები[11]. *(ამგვარი სახელები გარკვეული დროის შემდეგ იცვლება – მომდევნო თაობის წინაპრის სახელის ან მეტსახელის შესაბამისად. მაგ. გაჩეჩილაძე-ოთიაშვილები შემდგომში დაიყვნენ: კურკიებად, ბათმანებად, ჩიჩინებად, კოტრიალებად.... XIX ს-ში წევის ერთი ნაწილის მფლობელი აბაშიძეების ბაბუაშვილობის შტოს სახელი ღაბუაშვილი იყო და სხვა).* ერთმანეთს მიმსგავსებული სახელების მქონე მაჭავარიან-სიქდურიშვილები გოგია და გოგნია, ალბათ, ძმები – ერთი გაუყოფელი ოჯახის შვილები იყვნენ და ამიტომ განუახლათ მათ მეფემ წევის მფლობელობა ერთი სიგელით.

მაჭავარიანების ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები წევის ძირძველი მფლობელები ყოფილან, მაგრამ წინაპართა გადმოცემისა და XIX საუკუნიდან მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, წევის მფლობელ მაჭავარიანებს სოფ. ილემში უცხოვრიათ და არა წევაში. (*1817 წლის 24 ივლისით დათარიღებულ, ლომსიათხეველი აზნაურების მოწმობის წიგნში აღნიშნულია: „ბაგრატიონის მეფობაშიდ ილმელი მაჭავარიანების მეტს აბაშიძის გვარს წევის ეკლესიაშიდ საქმე არ ქონდეს რა“*[12].

1818 წლის ახლო ხანით დათარიღებულ „იმერეთის „ჯამიერის სასამართლოსადმი“ მიცემულ „წევას მცხოვრებ გაჩეჩილაძეების „ხელით წერილში“ აღნიშნულია: „არ გაგვიგონია და [ა]რც ვიცით ილემს მცხოვრებლის მაჭავარიანის მეტი მემკვიდრე ბატონი ჩვენ გვყოლებოდეს“...)[13].

ის ამბავი, რომ წერილობით წყაროებში გაჩეჩილაძეების წევაში სახლობა XVI ს-ის 50-70-იანი წლებიდან ჩანს, სულაც არ ნიშნავს იმას (როგორც რეცენზენტი აღნიშნავს), რომ ამ დროს „მაჭავარიანები და სიქდურიშვილები სოციალურად ქვეითდებიან (ან სამოსახლოს იცვლიან) და გაჩეჩილაძეთა გვარი იწყებს აღმავლობას“. (თვით ამ საბუთშივე ჩანს, რომ მახარებელ გაჩეჩილაძე და მისი „განაყოფური“ გლეხები იყვნენ და ისინი ვახუშტი აბაშიძემ შესწირა წევის ეკლესიას[14]) ფეოდალურ ხანაში გაჩეჩილაძეები მუდამ გლეხები იყვნენ (ზოგი საეკლესიო, ზოგი საბატონო), ხოლო მაჭავარიანები – მუდამ აზნაურები (ჯერ მეფის, შემდეგ თავადის).

XV საუკუნიდან მხოლოდ ერთადერთი საბუთია მოღწეული, მაჭავარიანების წევასთან მიმართების მაჩვენებელი[9], ხოლო XVI საუკუნიდან მხოლოდ ერთადერთი საბუთია მოღწეული, სადაც გაჩეჩილაძეები იხსენებიან წევასთან მიმართებით[14] (შემდეგი წერილობითი ცნობები, რომლებშიც ამ გვარების წარმომადგენლები წევასთან მიმართებით არიან ნახსენები XVIII საუკუნის ბოლოს განეკუთვნება), მაგრამ მაჭავარიანების XV საუკუნის საბუთში ჩანს, რომ ისინი წევის მფლობელები XV საუკუნის შუა წლებამდე გაცილებით ადრე ყოფილან... და გაჩეჩილაძეების საბუთშიც ჩანს, რომ ისინი წევაში XVI საუკუნის 50-70-იან წლებზე კარგა ხნით ადრე ცხოვრობდნენ (საბუთში ნახსენები მახარებელ გაჩეჩილაძის ოჯახი უკვე მრავალწევრიანია და უკვე ჰყავს განაყოფი...). გარდა ამისა, ერთ-ერთი საბუთით, მაჭავარიანები წევის ეკლესიას თავიანთი მამა-პაპის მიერ „აღშენებულად ანუ დადგმულად“ და „შემკობილად“ იხსენიებენ[15]. ასევე, გაჩეჩილაძეებსაც აქვთ ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მათი გვარის ეთნარქი წევის ეკლესიის ხუროთმოძღვარი ყოფილა... (იხ. გვ. 168, ლეგ. № 40). ასეროვ,საუკუნეებს გამოღწეული,ზემოხსენებული ორიოდე საბუთი იმის დადგენის საშუალებას არ გვაძლევს მაჭავარიანები უფრო ადრე გამოჩნდნენ წევაში, გაჩეჩილაძეები, თუ ორივენი ერთდროულად. თუმცა სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ ფეოდალურ ხანაში, გაჩეჩილაძეები, სოციალურად, მაჭავარიანებზე მეტად არასოდეს დაწინაურებულან.

ბ-ნი რეცენზენტი წერს, რომ ჩვენს „წიგნში საინტერესოდ არის ნაჩვენები, თუ ერთი ძირითადი გვარიდან, გაჩეჩილაძიდან როგორ იღებს სათავეს სისხლხორცეულად მონათესავე სხვადასხვა გვარი: ოთიაშვილი, წეველიძე, ჯაჭვაძე“.

ჩვენს ნაშრომში გაჩეჩილაძე-ოთიაშვილები, წეველიძეებისა და ჯაჭვაძეებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ გვარად არ არიან ნახსენები. გაჩეჩილაძე-ოთიაშვილებისათვის „ოთიაშვილი“ ბაბუაშვილობის შტოს აღმნიშვნელი სახელია (ქვეგვარია), ისინი გაჩეჩილაძე ოთიას (რომელსაც XVIII სს. II ნახევარსა და XIX სს. I ნახევარში უცხოვრია სოფ. წევაში) შთამომავლები არიან და არ ენათესავებიან აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ გვარად ოთიაშვილებს.

შემდეგ ბ-ნი რეცენზენტი აღნიშნავს: „თუ წეველიძეთა გაჩეჩილაძეებისაგან წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, რამდენადმე გაჭირდება ჯაჭვაძეთა ადრინდელი გაჩეჩილაძეობის დამტკიცება. ეს მტკიცებულება, ფაქტიურად, ემყარება... სევასტი გაჩეჩილაძის ინფორმაციას... მცირემიწიანობისა და დუხჭირი ცხოვრების გამო წეველი გაჩეჩილაძეების ერთი ნაწილი აყრილა და ზოგი „ქვემოთ“ და ზოგი კახეთში დასახლებულა ჯაჭვაძის გვარით“–ო.

უკვე მაშინ, როცა ჩვენს I წიგნში ჯაჭვაძეთა ერთი ნაწილის გაჩეჩილაძეთაგან წარმომავლობის შესახებ ვწერდით, სევასტი გაჩეჩილაძის ინფორმაციის გარდა, ხელთ გვქონდა მრავალი ჯაჭვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მათი წინაპრების გაჩეჩილაძეობის შესახებ, ამის შესახებ ჩვენ აღნიშნული გვაქვს რეცენზირებული წიგნის 32-ე გვერდზე *(არა მგონია, რომ მრავალი ჯაჭვაძისაგან წერილობით მოწოდებული ინფორმაცია ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძის ინფორმაციაზე ნაკლებად დამაჯერებელი იყოს...).* გარდა ამისა რეცენზირებულ წიგნში გამოქვეყნებული გვაქვს ჯაჭვაძეების ერთ-ერთი ოჯახის გენეალოგიური სქემა, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ მათი წინაპარი გაჩეჩილაძე ყოფილა (იხ. I წ. 217-ე გვერდზე...), არ ვიცით, რატომ ჩათვალა რეცენზენტმა, რომ ჯაჭვაძეების ნაწილის გაჩეჩილაძეებიდან წრმომავლობის დასადასტურებლად მხოლოდ ს. გაჩეჩილაძის მოგონებებს ვეყრდნობოდით...

(ამ საკითხის შესახებ მასალას, უფრო შევსებულს და კომენტირებულს, ვაქვეყნებთ წინამდებარე წიგნში (იხ. § 16,– ლეგენდები: № 8-23 და 32ა § 18).

ჯაჭვაძის გვარის ეტიმოლოგიის შესახებ ბ-ნ რეცენზენტს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს გვარი წარმომდგარი უყნდა იყოს პიროვნული სახელიდან „ჯაჭვა“, „რომლის ბოლო ა სუფიქსი რაღაცასთან მსგავსებაზე (მაგ. ღონე, ხასიათის სიმედგრე, სიმტკიცე, შეუვალობა...) მიგვანიშნებს. არ არის გამორიცხული, რომ ჯაჭვა რომელიმე ხვიარა ბალახის (მცენარის) სახელი იყოს“-ო.

ამ გვარსახელის წარმომავლობის ძიების დასაწყისში, ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ შემდეგ უარვყავით ეს აზრი – ჩვენს მოსაზრებებს ამ საკითხზე იხილავთ წინამდებარე წიგნში § 18, გვ. 241, 242).

შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ჩვენს წიგნში „სოფ. წევის შესახებ ეტიმოლოგიები ნაკლებკვალიფიციურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვარაუდები უკმარია“-ო – ჩვენ მოყვანილი გვაქვს გაჩეჩილაძეთა საგვრეულო გადმოცემებში მოცემული, ზემოხსენებული, ორი განმარტება: I. **გაწევა, გადაადგილება** (ტვირთის) და II **მიწევნა, მიღწევა** (გარკვეულ ადგილამდე) და გამოთქმული გვაქვს საკუთარი ვარაუდიც – რომ წევა **ღვთის შეწევნას** უნდა ნიშნავდეს. სოფ. წევის სახელი მრავალგვარი განმარტების საშუალებას იძლევა. ამიტომ მე ვალდებული ვიყავი, ყველა თვალსაზრისი შემეკრიბა და გამეთვალისწინებინა. თვითონ ბ-ნმა გურამმა ამ სახელის ორგვარი განმარტება შემოგვთავაზა – **I. (კარგი) მოსავლის (ადრე ან დროული) მოწევა** *(რის საბუთადაც მოყვანილი აქვს „ვაჰანის ქვაბთა განგების ტექსტზე მიწერილი როსტევან რჩეულაძისეული აღაპის თ. ჟორდანიასეული წაკითხვა, რომელშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ).* **II. ღვთის შეწევნა** (ჩვენ ბედოშვილისეული განმარტების II ვარიანტის ანალოგიურ ვარაუდამდე მისი სტატიის წაკითხვამდე მივედით. თუ როგორ – აღწერილი გვაქვს I წიგნის № 38 გვერდზე). რაც შეეხება I განმარტებას, თუ სოფ. წევის მიწების მოსავლიანობის რეალურ მაჩვენებელს გავითვალისწინებთ, ბ-ნი გურამის ეს მოსაზრება შეიძლება არაკვალიფიციურად მივიჩნიოთ (წევა არც უხვმოსავლიანობით და არც მოსავლის ადრე მოწევნით არ გამოირჩევა), მაგრამ ვინაიდან ყველაფერი შეფარდებითია, წევის მოსავლიანობას თუ ისეთი ადგილის მოსავლიანობას შევადარებთ, სადაც ის ან უფრო გვიან *(მაგ. ცნობილია, რომ XX საუკუნეში სოფ. ჭერემის გასახლების მიზეზი ის გახდა, რომ იქ მოსავალი გურჯაანის რაიონის სხვა სოფლებზე უფრო გვიან მოიწეოდა და რაიონს მოსავლის ჩაბარების გეგმა ეშლებოდა...),* ან უფრო ნაკლები მოიწევა, მაშინ არ არის გამორიცხული წევის ამგვარი სახელდება. ამიტომ, ბ-ნი გურამისეულ ამგვარ განმარტებასაც აქვს არსებობის უფლება. *(სოფ. წევის სახელის შესახებ ჩვენ შემდგომაც განვაგრძეთ კვლევა, რომლის შედეგებსაც გთავაზობთ ამავე წიგნში იხ. § 26).*

შემდეგ ბ-ნი გურამი წერს, რომ ჩვენს I წიგნში მოყვანილი მ. წეველიძისა და ვ. და დ. აბრამიშვილებისეული მოსაზრებები ხაშურის რ-ის სოფ. ტეზერის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ „...სრულებით არამეცნიერულია და ამდენად არასარწმუნოც“-ო და დასძენს: „როცა სოლიდურ გამოკვლევაში აქა-იქ უმწიფარი ეტიმოლოგიები გამოჩნდება, ამას წიგნისათვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს, პირიქით –კი!“-ო.

ცხადია, რომ ჩვენი ნაშრომი უფრო ეფექტური გამოჩნდებოდა, თუ მხოლოდ იმ საკითხებით შემოვიფარგებოდით, რომლის გამოკვლევას პირადად შევძლებდით და რის შესახებაც მომწიფებულ, სარწმუნო დასკვნებს წარმოვადგენდით, მაგრამ, რადგან ჩვენი მიზანი ჩვენი ნაშრომის გამართულობით თავის მოწონება კი არა, არამედ ჩვენი საგვარეულოს ისტორიის კვლევისათვის მაქსიმალური ხელშეწყობაა, ამიტომ საგვარეულოს ისტორიასთან დაკავშირებულ, ჩვენს „თვალსაწიერში“ მოხვედრილ, ყოველგვარ მასალას ვკრებთ, რათა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის მომავალ მკვლევარებს ზედმეტი დრო არ დაეხარჯოთ მის საძიებლად. ცხადია, ამ მასალას არ მოგაწვდიდით, რაღაცით მაინც რომ არ მოგვჩვენებოდა საყურადღებოდ. მასში არის შედარებით უფრო დამაჯერებელი და სრულებით დაუჯერებელი მონაკვეთები *(ზოგჯერ არადამაჯერებელი ინფორმაციაც ხომ გვეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში. თანაც, ისტორიკოსისთვის ისიც საინტერესოა, თუ რა გზას გადიან მკვლევარები საბოლოო ჭეშმარიტების დადგენამდე)*: სოფ. ტეზერის სახელის მ. წეველიძისეული განმარტება (მტერმზვერი) ჩვენთვისაც სრულებით მიუღებელია, მაგრამ ვ. და დ. აბრამიშვილების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტეზერი ტაძარს უნდა ნიშნავდეს უფრო დამაჯერებელია ჩვენთვის, ვიდრე გ. ბედოშვილისეული მოსაზრება, რომ ტეზერი ადამიანის სადაურობის (თეზელი) მაჩვენებელი ტოპონიმი უნდა იყოს. (სადაურობის მიმანიშნებელი **ელ** სუფიქსით, უფრო მოსალოდნელია, ადამიანის გვარი წარმოებულიყო, ხოლო, ადგილნაცვალი ხალხი, ადრინდელი საცხოვრებელი ადგილის ხსოვნის შესანარჩუნებლად, თავიანთი განსახლების ახალ ადგილს, ალბათ, პირდაპირ დაარქმევდა მის სახელს, მაგ. საქართველოში არის სოფლები: აჭარა, ასურეთი, გეთსამანია, აფენი...).

აბრამიშვილები სიტყვა „ტეზერს“ განმარტავენ, როგორც „ტაძარს“ იმიტომ, რომ ამ სოფელში ორი საკმაოდ დიდი ტაძარი მდგარა – „კოშკისა“ და „ხახუტის“. ეს სახელები, ავტორთა აზრით, წარმომდგარია ოშკისა და ხახულის დიდებული ტაძრების (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია) სახელებიდან... მკვლევარებს ყურადღება გაუმახვილებიათ იმაზე, რომ ძველ წერილობით წყაროებში, გარდა ამჟამად დამკვიდრებული სახელისა, „ტეზერი“ „ტეძერადაც“ მოიხსენება. მათ მოჰყავთ **„ზ“** და **„ძ“** ასოთა მონაცვლეობის მაგალითები ისტორიული წყაროებიდან და ასკვნიან, რომ სიტყვა ტეზერი (ტეძერი) ნიშნავს ტაძარს.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში და ქ. ძოწენიძის ზემოიმერულ ლექსიკონში მოყვანილია სიტყვა **ტაზარი**, რომელიც განმარტებულია როგორც **ტაძარი.** (ეს სიტყვა მეც არაერთხელ შეგვხვედრია XIX საუკუნის ლიტერატურაში – ა. წერეთლის თვიურ კრებულებში და სხვა).

ძ და **ზ** თანხმოვნების ურთიერთმონაცვლეობის მაგალითები მოყვანილია ი. მაისურაძის წიგნშიც[16]...

ჩვენ ენათმეცნიერი არ ვართ, მაგრამ, ქართულ მეტყველებაზე პრაქტიკული დაკვირვების შედეგად, ხშირად გვიფიქრია, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში იყო პერიოდი, როცა ზოგიერთ სიტყვაში, იმ ადგილას, სადაც ახლა ხმოვანი **„ა“** გამოიყენება, ხმოვანი – **„ე“** იხმარებოდა. (მაგ. ტელევიზიით მოსმენილი გვაქვს, რომ ტაო-კლარჯეთში არსებულა სოფელი (თუ ნასოფლარი) **მედანი,** რომელსაც ეს სახელი იმიტომ რქმევია, რომ იქ **მადანს** მოიპოვებდნენ; ჩვენი გურჯაანელი მეგობრები ხილს – **ჭერამს** დღესაც **ჭერემს** ეძახიან. ყოფილ ქალაქს – ჭერემს (რომლის მიმდებარედ მოგვიანოდ სოფ. ჭერემი შეიქმნა), სავარაუდოდ, ხილის – ჭერამის (რომელსაც ადრე, ალბათ, ჭერემი ერქვა) სახელი ჰქვია. *(თუმცა, შესაძლებელია სიტყვა ჭერემს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს –ქ. ძოწენიძის ზემოიმერულ ლექსიკონში ჭერემი ახსნილია, როგორც „საგვიანო“, მაგალითად* ***ჭერემი ვაშლი*** *– საგვიანო ვაშლს ნიშნავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფ. ჭერემში, რომელიც ზღვის დონიდან 1800 მეტრზეა განლაგებული, მოსავალი ერთი თვით უფრო გვიან მოიწევა, ვიდრე დაბლობ სოფლებში...).* კუთხურ გამოთქმებში: **წევიდა, მევიდა, ეხლა** და სხვა, შესაძლოა, შემორჩენილია მეტყველების ძველებური ფორმა, რომელიც, შესაძლოა, ადრე საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყო გავრცელებული[17].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თუ წარსულში

თანხმოვანი „**ზ**“ – ს ნაცვლად, ერთ დროს, „**ძ**“ იხმარებოდა, ხოლო ხმოვანი „**ა**“ – ს ნაცვლად – „**ე**“, სავსებით შესაძლებელია, რომ სიტყვა „**ტაძარი„** ადრე გამოითქმოდა როგორც „**ტეზერი**“...

არ მიგვაჩნია სწორად გ. ბედოშვილის შენიშვნა ვ. და ლ. აბრამიშვილების მიმართ – მათ მიერ სოფ. ტეზერში არსებული **კოშკის** და **ხახუტის** ტაძრების სახელების **ოშკის** და **ხახულის** ტაძრების სახელებიდან „გამომდინარედ“ გულვების გამო.

ბ-ნი გურამი წერს: რომ „თურქულ კოშკ სიტყვას საერთო არაფერი აქვს უძველეს ზანური წარმოშობის ო-შქ (//-ო-შკ-)სიტყვასთან (VII-IX საუკუნეებში იქ თურქების სახსენებელიც არ იყო!)“.

ჩვენ არ გვგონია, რომ ამ ტაძრებისათვის „კოშკისა“ და „ხახუტის“ დამრქმევს გაეაზრებინა, რა წარმომავლობისა იყო ეს სიტყვები. ამ შემთხვევაში, ჩვენ ლოგიკურად გვეჩვენება აბრამიშვილების მსჯელობა: ისინი წერენ, რომ მტერთაგან მრავალგზის იავარქმნილ სოფ. ტეზერში მოსახლეობა მრავალჯერ შეიცვალა საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ხალხით. ტეზერში აგებულ ორ ტაძარს მათმა ამშენებელმა ან ვიღაცამ (შესაძლოა სამხრეთ საქართველოდან ჩამოსახლებულმა), ალბათ, ოშკისა და ხახულის დიდებული ტაძრების საპატივცემულოდ და მათი ხსოვნის შესანარჩუნებლად, ოშკი და ხახული დაარქვა. მაგრამ, აქ უფრო გვიან ჩამოსახლებულ მოსახლეობას, რომელსაც კონტაქტი არ ჰქონდა ტაო-კლარჯეთთან და ამ ტაძრების შესახებ, ალბათ, გაგონილიც არაფერი ჰქონდა, მათი სახელები არაფერს ეუბნებოდა, ამიტომ დროთა განმავლობაში ამ სახელებმა ადგილობრივებისათვის, ალბათ, უფრო გასაგები და მისაღები ფორმა – კოშკი და ხახუტი – მიიღეს (სიტყვა კოშკი ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან ჩნდება).

მაშინ, როცა სახელის შინაარსი დავიწყებას ეძლევა, ხშირია მისი ფორმის ცვლილების შემთხვევები, მაგ. სოფელს, რომელიც ისტორიულ წყაროებში ვანკოდად იხსენება [რაც გამოქვაბული სავანის კვეთას (კოდვას) ნიშნავს], მას შემდეგ, რაც მისი სახელის შინაარსმა აქტუალობა დაკარგა, ზოგი მანკოდად იხსენიებს და ზოგი მამკოდად. ასე გადაკეთდა სახელი ქვაშვეთი – ქაშვეთად, გვარსახელი ჭაკოდაძე – ჭამკოტაძედ და ჭანკოტაძედ და ა.შ.

რაც შეეხება პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძისეულ რეცენზიას (§ 5) – გარდა მასში გამოთქმული მოსაზრებებისა, თვით ტექსტის სიმოკლე და რეცენზენტის მშვიდი „ტონიც“ მიგვანიშნებს, რომ ბ-ნ ზურაბს, ჩვენს ნაშრომში, განხილული საკითხებისადმი მკვეთრად არასწორი მიდგომა და უხეში შეცდომები არ შეუმჩნევია. მას გამოთქმული აქვს ერთადერთი შენიშვნა, რომელსაც არ ვეთანხმებით. კერძოდ, ის წერს: „ბიოგრაფიებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მათი „გადამოწმება“ შემდგენელ-რედაქტორს არ უცდია და მთლიანად მინდობია მასალის მომწოდებლებს. ჩვენი აზრით, ზოგ შემთხვევაში მაინც სასურველი იყო ამ მასალების რედაქტირება, რათა ზოგი თანამოგვარის რევოლუციური დამსახურება და ბიოგრაფიის დეტალები უფრო ზომიერად ყოფილიყო წარმოდგენილი“.

წიგნის შესავალში ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ არ გვიცდია ბიოგრაფიებში მოყვანილი ინფორმაციების გადამოწმება, *(მართლაც, ჩვენ არ გვიცდია ბიოგრაფიებში დასახელებული დამსახურებების და ჯილდოების გადამოწმება – რადგან დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი, ამ ბიოგრაფიების წარმომდგენი, თავის თავზე ან თავის ახლობელზე ისეთ რამეს არ დაწერს, რაც მათ, ნაცნობებისა და ახლობლების წინაშე, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებთ...),* მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ რამდენად სერიოზული რედაქტირება გავწიეთ, ამაში ყველას შეუძლია დარწმუნდეს, წიგნში შეტანილი ბიოგრაფიების შედარებით მათ დედნებთან, რომლებიც ჩვენ საგვარეულო არქივისთვის შევინახეთ...

ჩვენი სარედაქციო მუშაობა მიმართული იყო ტექსტის არაარსებითი დეტალებისაგან განტვირთვის და, რამდენადაც შეგვეძლო, გრამატიკული გამართვისაკენ – მისი შინაარსის უფრო მკაფიოდ გამოსავლენად. მაგრამ შინაარსის კორექტირება

ჩვენ არ გვიცდია – ყოველ ეპოქაში სხვადასხვა მოვლენები და შეხედულებებია პრიორიტეტული და ყოველ ეპოქაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვანაირად აფასებენ. საზოგადოების ცხოვრებაში ყოველ ადამიანს თავისი ადგილი აქვს. ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს საყოველთაო მსაჯულობის უფლებას. ჩვენ ჩვენს მოგვარეებს ვთხოვეთ, წარმოედგინათ, მათი აზრით, თვალსაჩინო და საყურადღებო ადამიანების ბიოგრაფიები. ის მასალა რაც მათ მოგვაწოდეს, საზოგადოების რეალურ შეხედულებებს ასახავს და სწორედ ამით არის საინტერსო. საკუთარი შეხედულებები ჩვენ ჩვენს საკუთარ სამეცნიერო სტატიებში გვაქვს გამოთქმული...

ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი წიგნის რეცენზენტების როგორც მათი კეთილგანწყობილებისათვის გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეების საგვარეულოს და პირადად ჩვენს მიმართ, ისე მათი შენიშვნებისათვის, რომლებმაც საშუალება მოგვცეს დაგვეზუსტებინა ჩვენს მიერ ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილი შეხედულებები.

შენიშვნები:

1. ქსე ტ. IV, თბ. 1979 წ., გვ. 498; საქართველოს კულტურის ძეგლები, თბ. 1954 წ., გვ. 58.

2. ბ-ნ გურამს თავის სტატიაში, „სოფელ წევის სახელწოდების შესახებ“ წევის ეკლესიის აგების თარიღი უფრო სწორად განუსაზღვრავს (იხ. გვ. 10), რეცენზიის წერისას კი ეტყობა ჩვენი ტექსტის ბუნდოვანებამ შეიყვანა შეცდომაში...

3. სათანადო დასაბუთება წარმოდგენილი გვაქვს წევის ეკლესიისადმი მიძღვნილ ჩვენს მონოგრაფიაში, რომელიც მოკლე ხანში გამოქვეყნდება.

ამავე დასკვნამდე მივიდნენ 2006 წ. ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების ჩამტარებელი რესტავრატორები. მათ ეს დასკვნა, დასაბუთების გარეშე, გამოქვეყნებული აქვთ სარესტავრაციო სამუშაოების საანგარიშო ალბომში. იხ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა, თბ., 2006, გვ. 153.

იგივე თარიღი მოყვანილია დალი გაჩეჩილაძის, გაზ. „ჯაჭვის“ № 3-ში (2003წ. 5/V) გამოქვეყნებულ, სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ ეს თარიღი მითითებულია წევის ეკლესიის „შიდა ნაგებობის წარწერებში“, (რაც სიმართლეს არ შეესაბამება. წევის ეკლესიას მისი აგების დროის მიმანიშნებელი წარწერა არა აქვს და არც XIX სს. ბოლოს და XX საუკუნეში ჰქონია. ამ პერიოდში ის რამდენიმე მკვლევარს აქვს მოკლედ აღწერილი და წარწერის არსებობა არავის აღუნიშნავს);

ძეგლის ისტორიული ანალიზის საფუძველზე, იგი ასევე (X ს-ის ბოლო XI ს-ის დასწყისით) აქვს დათარიღებული შალვა (გურამ) გაჩეჩილაძეს იხ. მისი წიგნი „წევის ესკიზები“, თბ. 2006 წ., გვ. 45, და წინამდებარე წიგნში მისი სტატია გვ. 272.

4. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. I, გვ. 25.

5. წარსულში წევის მძიმე სამეურნეო ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას ქმნის წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებული ს. გაჩეჩილაძის სტატია (იხ. გვ. 143), ს.ჯ-ს სტატია (იხ. გვ. 314) და „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ III წიგნის მე-20 გვ-ზე გამოქვეყნებული ლექსი „წეველების ლხინიო“... სამწუხაროდ,წევაში არც ახლაა ბევრად უკეთესი მდგომარეობა...],

6. ირმა ტალახაძე, „ვაჰანის ქვაბთა განგება როგორც საისტორიო წყარო“. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 1998 წ. 07.00.02. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

7. ვალერიან კიკნაძე, რჩეულიშვილების გვარის (კახეთის შტო) წარმომავლობის შესახებ, ანუ გვეძახის სული ჩვენი წინაპრებისა. თელავი, 1999 წ.

8. ეს შენიშვნა ეხება ბ-ნ შალვა (გურამ) გაჩეჩილაძის ნაშრომსაც, რომელიც ამავე წიგნშია გამოქვეყნებული და რომელშიც, ამავე საკითხთან დაკავშირებით, იგივე აზრია განვითარებული, რაც გ. ბედოშვილისეულ რეცენზიაში (იხ. გვ. 275-277).

9. (1452 VI.12 –1564), მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, გვ. 258;

9ა. ჩვენ შეგნებულად არ ვხმარობთ ონომატოლოგიაში, ამგვარი კოლექტიური მეტსახელების აღსანიშნავად, მიღებულ ტერმინს „სახინჯარი“, იმიტომ რომ იგი ამ და მრავალ სხვა შემთხვევაში არ შეესატყვისება აღსანიშნავი სიტყვის შინაარსს...

10. ზ. მაისურაძე, ქართული გვარ სახელები, თბ. 1990, გვ. 105.

11. თუ ეს დოკუმენტი ნაყალბევი არ არის, შესაძლოა, გოგია და გოგნია სიქდურიშვილი-მაჭავარიანები, ჩვენამდე მოღწეულ, უადრეს სამკომპონენტიან სახელთა მქონე ადამიანები

იყვნენ ქართველთა შორის...

12. გ. ცქიტიშვილი, „ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის“, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ.72 (საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 226; № 7881).

13. ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ, 1960, საბ. № 81. ხელნაწერთა ინსტ. ფ. დ. № 8230.

14. სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 24/5; „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. I., გვ. 12.

15. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, საბუთი დ- 8354. ლოსიანთხეველი აზნაურების, მაჭავარიანების სათხოვარი იმერეთის მმართებლისადმი...

16. ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ. 1979, გვ. 23. (მაგ. – ქავთარაზი, გოხაზი – ქავთარასძისა და გოხაისძის პარალელურად – იერუსალემის მონასტრის აღაპებიდან... (ი მაისურაძეს ეს მაგალითები მოუყვანია წიგნიდან ელ. მეტრეველი, მასალები... გვ. 163, 153).

17. ამ საკითხს ჩვენ ვეხებით § 26-შიც, გვ. 299.

§ 7. ეკატერინე გაჩეჩილაძე

აკადემიკოს ი. ახუაშვილის წიგნებში გაჩეჩილაძეების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის კომენტარები

ი. ახუაშვილის წიგნში ქართული გვარ-სახელები – 2, (გამომც. „მესხეთი“, თბ., 1999წ., გვ. 69) გაჩეჩილაძეების შესახებ წერია:

„გაჩეჩილაძეთა ადრეული გვარები ყოფილა ნიორაძე, ჯაჭვაძე, წეველიძე“ *(ინფორმაციის წყარო მითითებული არ არის),* რაც შეცდომაა: წეველიძეები შეირქვეს წევიდან 1840 წლის შემდეგ, სხვდასხვა მიზეზით, საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილებში (აწყურში, ტეზერში, ნუნისში...) გადასულმა გაჩეჩილაძეებმა. წეველიძეებს ახსოვთ თავიანთი გაჩეჩილაძე წინაპრები *(იხ. წინამდებარე წიგნში ლეგენდები № 2-7 გვ.),* გაჩეჩილაძეებსაც ახსოვთ პირველი გაჩეჩილაძე, რომელმაც გვარი წეველიძედ გადაიკეთა *(იხ. ლეგ. № 1 გვ. 161).*

რაც შეეხება ნიორაძეების გვარს, როგორც თვითონ ნიორაძეები ყვებიან, ისინი ყოფილან სამხრეთ საქართველოში, მდ. მაჭახელას ხეობაში მცხოვრები ლიონიძეების შთამომავლები, რომლებიც გათურქებას გამოქცევიან, ჯერ აჭარაში ჩასახლებულან და კარგა ხანს იქ უცხოვრიათ, შემდეგ კი იმერეთში გადასულან და იმ ადგილისთვის, სადაც დასახლდნენ, სოფ. აჭარა შეურქმევიათ (იხ. ლეგ. № 75, 75ა, გვ. 181).

გაჩეჩილაძეებისა და ნიორაძეების წარმომადგენლები ხშირად ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე [მაგ. ნიორაძე იყო ჩვენი საგვარეულო დარბაზის წევრის, მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძის* ბებია – *(გარდ. 1929 წ., ხანდაზმული...)* და ჩვენი საგვარეულო დარბაზის წევრის, თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* დედა]. სოფ. წევაში და მის მიდამოებში ეგზოგამიას მკაცრად იცავდნენ. გაჩეჩილაძეებსა და ნიორაძეებს სისხლისმიერი ნათესაობა რომ ჰქონოდათ, მათ შეუღლებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ...

ი. ახუაშვილის ზემოხსენებულ წიგნში, 276-ე გვერდზე წერია:

„გაჩეჩილაძეები წარმოშობით ზესტაფონის რაიონის სოფ. წევადან არიან. სოფელში არის XI საუკუნეში აგებული წმ. გიორგის ეკლესია. სოფლის გაჩენასაც ამ ეკლესიის აგების ხანას უკავშირებენ“.

ეკლესიის თარიღის მითითებისას ბ-ნი იაკობმა, ალბათ, ოფიციალური წყაროებით[1] ისარგებლა, ამიტომ, თარიღთან დაკავშირებით, პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ სოფელი ამ ადგილას არსებობდა ეკლესიის აგებამდე დიდი ხნით ადრე, რასაც მოწმობს წევაში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები, ტოპონიმი – „დეისმამაური“ (დევის მამული) და ამ სოფელში, სავარაუდოდ, ანტიკური ხანის სავაჭრო გზის და ციხის ნაშთების არსებობა.

იმავე გვერდზე ვკითხულობთ: „გაჩეჩილაძეები თვლიან, რომ მათი წინარე გვარი ჯაჭვაძე და წეველიძე იყო. (მთხრ. თენგიზ გაჩეჩილაძე, გაზ. „ლელოს“ რედაქტორი, თბილისი, 29 აპრილი, 1997 წ.).“

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს გაჩეჩილაძე ან წეველიძე, რომელიც თვლის, რომ წეველიძე იყო გაჩეჩილაძეების წინაპარი. გაჩეჩილაძეებმაც და წეველიძეებმაც კარგად იციან, როდის შეიქმნა წეველიძეების გვარი და ამ საკითხზე მათ შორის გაუგებრობას ადგილი არასოდეს ჰქონია. ბ-ნმა თენგიზ გაჩეჩილაძემ *(განათლებით ფილოლოგმა)*, რომელმაც მიაწოდა ი. ახუაშვილს ეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, იხელმძღვანელა ფილოლოგთა წრეში გავრცელებული მოსაზრებით, რომ „ელ“ სუფიქსიანი გვარები უფრო ადრეა წარმოშობილი, ვიდრე ძე-ზე დაბოლოებული გვარები, (ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვს თვითონ ი. ახუაშვილსაც, მის წიგნში „ქართული გვარ-სახელები“, ტ.VII, გვ.10). შესაძლოა, გვარების ჩასახვის საწყის საფეხურზე ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ელ“ სუფიქსის დართვით გვარის შექმნის პრეცენდენტი გაჩნდა, „ელ სუფიქსიანი გვარების წარმოშობა არ შეწყვეტილა დღემდე.

ახუაშვილის წიგნის „ქართული გვარ-სახელები“-ს VII ტომში (თბ. 2007), გაჩეჩილაძეების საგვარეულოსთან დაკავშირებულ მასალას სათაურად აქვს: **გაჩეჩილაძე// ჯაჭვაძე// წეველიძე// ოთიაშვილი**. ოთიაშვილი აქ დამოუკიდებელ გვარად იხსენება, რაც, არ არის სწორი. მოცემულ შემთხვევაში, ოთიაშვილი გაჩეჩილაძეების ერთ-ერთი ბუნის (ბაბუიშვილობის შტოს) სახელია. გაჩეჩილაძეთა ოთიაშვილებს არა აქვთ ნათესაური კავშირი გვარად ოთიაშვილებთან.

შემდეგ ბ-ნი ი. ახუაშვილი წერს: „გაჩეჩილაძეების ადრინდელი გვარი ჯაჭვაძე ყოფილა. მათ სოფელ წევაში უცხოვრიათ. აქედან ჯაჭვაძეები სხვაგან გადასულან, გვარი შეუცვლიათ და, სოფლის სახელწოდების მიხედვით, წეველიძეები გამხდარან“, რაც სწორი არ არის: წევიდან ჯაჭვაძის გვარით წასულ ადამიანებს გვარი არ შეუცვლიათ. ჯაჭვაძეების ბოლო ნაკადი 1840 წლამდე გადასახლდა წევიდან კახეთში, მათთან ერთად კახეთში გადასახლდა გაჩეჩილაძეთა ნაწილი, რომელმაც გვარი ჯაჭვაძედ გადაიკეთა (ზოგიერთის აზრით, დაიბრუნეს ძველი გვარი). გაჩეჩილაძეების გადასახლება კახეთში XIX საუკუნის II ნახევარშიც გაგრძელებულა. 1840-იან წლებში და შემდეგ იქ გადასახლებულ გაჩეჩილაძეებსაც გვარი ჯაჭვაძედ გადაუკეთებიათ.

წეველიძეები კი, როგორც აღვნიშნეთ, გვარად შეურქმევიათ 1840 წლის შემდეგ წევიდან ტეზერში, აწყურში, ნუნისში... გადასახლებულ გაჩეჩილაძეებს.

ბ-ნ ი. ახუაშვილს მოყვანილი აქვს ალ. ღლონტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გვარი ჯაჭვაძე წარმოშობილი ჩანს კაცის საკუთარი სახელიდან ჯაჭვა. ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრება გამოთქმული გვაქვს წინამდებარე წიგნში (იხ. გვ. 241)

შემდეგ ი. ახუაშვილი წერს: „ჯაჭვაძე-წეველიძეებიდან ნაწარმოებ გვარადაა მიჩნეული გაჩეჩილაძე“, რაზეც ზემოთ უკვე გავეცით პასუხი... და კვლავ დასძენს: „ჯაჭვაძე-წეველიძეთა გვარი ძირძველ გვარადაა მიჩნეული. ასევე უძველესია სოფელი წევა. ამ სოფელშია XII საუკუნეში აგებული წმინდა გიორგის ეკლესია. სოფლის გაჩენასაც ამ ეკლესიის აგების ხანას უკავშირებენ“. (ეკლესია ახლა XII საუკუნისადაა გამოცხადებული...).

ჩვენც კიდევ გავიმეორებთ: წეველიძე ერთ-ერთი უახლესი გვარია, იგი XIX სს. 40-იანი წლების ბოლოსაა შექმნილი, ხოლო ჯაჭვაძე, როგორც ჩანს, ნამდვილად იყო გაჩეჩილაძეების წინაპრების მეტსახელი, საუკუნეთა განმავლობაში დარჩა მათ მეტსახელად და, როგორც ჩანს, გაჩეჩილაძეების გვარზე უფრო გვიან გაფორმდა გვარად. ეს გვარი ისტორიულ წყაროებში პირველად 1827 წელს იხსენება – წევის საეკლესიო აქტების დავთარში[2]. გვარი ჯაჭვაძე ძირძველი რომ იყოს, ისტორიულ საბუთებში სადმე მაინც იქნებოდა ნახსენები *(ჩვენი აზრი ამ საკითხზე შეიცვლება, თუ მომავალში ასეთი საბუთები აღმოჩნდება)*. (ისტორიულ საბუთებში არც სახელი „ჯაჭვა“-ა ნახსენები). XIX საუკუნეში მრავალმა გაჩეჩილაძემ გადაიკეთა გვარი ჯაჭვაძედ და ახლანდელი ჯაჭვაძეების უმეტესი ნაწილი გვარგადაკეთებული გაჩეჩილაძეები არიან (რაც კარგად ჩანს ჯაჭვაძეების გადმოცემებიდან. იხ., წინამდებარე

წიგნში, ლეგენდები № 8–23 და №32[2]).

შემდეგ ბ-ნი იაკობს მოჰყავს ცნობა ისტორიული საბუთიდან: „გაჩეჩილაძე მახარებელი – წევას მცხოვრები, იგი თავის განაყოფითურთ ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს (1550-1570 წწ.)“. მოცემულ შემთხვევაში, „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნის“ არასწორად წაკითხული ნაწყვეტია მოყვანილი: სინამდვილეში, ვახუშტი აბაშიძემ გაჩეჩილაძეები შესწირა არა კაცხის მონასტერს, არამედ წევის წმინდა გიორგის ეკლესიას. „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნი“ განმოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძეს წიგნში „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“[3]. საბუთი იუწყება, რომ თავადი სწირავს თავის სამკვიდრო კაცხის მონასტერს **და სხვა ეკლესიებს** მიწა-წყალს, სასახლეებს, გლეხებს... მოგვყავს ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან: - **„არის შეწირული ღმრთისათვის და მის წმიდათათვის და წმიდის გიორგის წევისათვის** სააღაპოდ ჩემის სულისათვის საყდართან ლომინის მოსყიდული პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად, მახარებელი გაჩეჩილაძე და მისი განაყოფური ...“

მოგვიანებით იგივე დოკუმენტი გამოქვეყნდა პირთა ანოტირებული ლექსიკონის I ტომში (თბ. 1991 წ.). შემდგენელმა, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ დოკუმენტის დასაწყისში ნახსენები შეწირულობის „ადრესატი“ (კაცხის მონასტერი), ტექსტის მომდევნო ნაწილში შეცვლილია და შეწირულობა სხვა ეკლესიებისთვისაც გამოიყოფა... ბ-ნ იაკობს საბუთის ამგვარად წაკითხული ვარიანტით უსარგებლია (რაც, ცხადია, მისი ბრალი არ არის).

ჩვენი საგვარეულოს სულადობის და განსახლების ადგილების დასახელებისას, ბ-ნ ახუაშვილის წიგნში, საგვარეულოში შემავალი სამი გვარიდან, მხოლოდ თბილისში მცხოვრებ გაჩეჩილაძეთა სულადობაა აღნიშნული, სხვადასხვა ადგილებში განსახლებული გაჩეჩილაძეების რაოდენობა კი წეველიძეებს აქვთ მიწერილი – წერია, რომ 1071 წეველიძე ცხოვრობს ზესტაფონში, 367 კი ქუთაისში. სინამდვილეში ზესტაფონში და ქუთაისში წეველიძეები არ ცხოვრობენ. წეველიძეთა საერთო რაოდენობა, 1995 წ. ჩატარებული მასობრივი პრივატიზაციის მასლების მიხედვით, სულ 283 სულია... ალბათ, ზემოხსენებული უზუსტობები კორექტურული შეცდომებია, მაგრამ ასეთი შეცდომები მკვეთარად ცვლიან საგვარეულოს შესახებ წარმოდგენას...

შეცდომები წიგნში სხვაც ბევრია, მაგ.: 1973 წ. დაბადებული გივი რევაზის ძე გაჩეჩილაძის ბიოგრაფიას ახლავს ხანდაზმული ადამიანის, გივი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძის ფოტოსურათი, განსაკუთრებით დამახინჯებულია გაჩეჩილაძეთა „თიკუნები“, მაგალითად: ჭიმატის ნაცვლად – ჭიმადი წერია, ჩიჩინას ნაცვლად – ჩოჩინა, გუნდაეთელის მაგივრად – გუნდაურ ეთელი, თხაჭამიას მაგივრად – თრაჭამია. როგორც ჩანს, ჩვენზე უმართებულოდ განაწყენებულ ბ-ნ იაკობს (განაწყენების მიზეზს ქვემოთ მოგახსენებთ), გაჩეჩილაძეთა გვარის მეტსახელების წარმოსაჩენად, ალბათ, ჩვენს დასაცინად, საგულდაგულოდ ამოუკრებია ჩვენს წიგნში წარმოდგენილი ბიოგრაფიების სიიდან (იხ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. I, გვ. 200-203) „გვარის მეტსახელების“ გრაფაში შეტანილი, არა საკუთრივ გაჩეჩილაძეთა „გვარის მეტსახელები“, არამედ გაჩეჩილაძეთა რძლებისა და შთამომავლების სახელები (ჩვენ, იმისთვის რომ ცხრილში დამატებითი გრაფა არ გამოგვეყო, ამავე გრაფაში ჩავსვით მათი სახელები და იქვე მივუთითეთ, გაჩეჩილაძეთა რომელი შტოს რძლები ან შთამომავლები არიან). რა თქმა უნდა, ჩვენ ეს კარგად ვერ მოვიფიქრეთ... მაგრამ იმ კონტექსტში, რომელშიც ეს სახელებია წარმოდგენილი, ყველაფერი გასაგებია და არც ერთ ჩვენს მოგვარეს და მათ ახლობელს პრეტენზია არ გასჩენია... ბ-ნი იკობის მიერ, მათი კონტექსტიდან ამოგლეჯის შემდეგ კი ძალიან უცნაური რამ გამოვიდა, კერძოდ ის, რომ გაჩეჩილაძეთა გვარის მეტსახელებია: არონიშიძე (ოთიაშვილების შთამომავალი), ქადაგიძე (ოთიაშვილების შთამომავალი), ქურდაძე (ლობიოების რძალი), რაფავა (ბელტიყლაპიების რძალი), შურღაია (ოთიაშვილების შთამომავალი), ქვლივიძე (ოთიაშვილების რძალი), კანდელაკი (ოთიაშვილების რძალი). ამ ჩამონათვალისთვის ბ-ნ იაკობს სიამოვნებით მიუწერია: იხ. წიგნი „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ შემდგენელ-გამომცემელი ეკატერინე გაჩეჩილაძეო, ოღონდ წიგნის გამოცემის თარიღის დასახელებაში კიდევ ერთი კორექტურული შეცდომა გაჭპარვია – 20005 წელია მითითებული).

(რადგან ამ საკითხს შევეხეთ, ჩვენს ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „გვარის მეტსახელი“[4] უნდა დავაზუსტოთ. სინამდვილეში ჩვენს მიერ ამ ტერმინით – ნახსენები სახელები არა მთლიანად გვარის, არამედ გვარის შიდა, სხვადასხვა ბაბუის შთამომავალობითი შტოების (იმერულად – ბუნის) სახელებია – ქვეგვარებია, რომლებიც წარმოებულია: 1). ოჯახის მეთაურის სახელიდან (მაგ. ოთიაშვილი, თომაშვილი), 2). მისი მეტსახელიდან (მაგ. ბელტიყლაპია, ლობიო, სუქსუქი...) ან 3). ოჯახის განსახლების ადგილის სახელიდან (მაგ. გუნდაეთელი, ლოპანელი).

ჩვენთვის განსაკუთრებით გულსატკენია ის, რომ ი. ახუაშვილის წიგნში გამოქვეყნებულია 2001 წელს დაწერილი ჩვენი სტატია:

[[[[5] 2001 წლის 10 დეკემბერს საგვარეულოთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ახუაშვილმა და თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძემ მოიწვიეს ჩვენი საგვარეულოს I ყრილობა და დაარსეს გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო დარბაზი, რომლის პრეზიდენტად ყრილობამ ბ-ნი თენგიზ თომას ძე აირჩია. ყრილობაზე ჩვენ სიტყვა ვითხოვეთ და მოვყევით ჩვენი გვარის წარმოშობის შესახებ მამისგან გაგონილი ლეგენდა. სხდომის დამთავრებისთანავე, ბ-ნმა თენგიზ თომას ძემ, ალბათ, ბ-ნი ი. ახუაშვილის თხოვნით, დაგვავალა, დაგვეწერა, რაც ვიცოდით ამ საკითხის შესახებ და მისთვის სამსახურში (გაზ. „ლელოს“ რედაქციაში) მიგვეტანა. ჩვენ მაშინ ვიცოდით მხოლოდ მამისგან მოსმენილი ლეგენდა, სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში, „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“, მოყვანილი ლეგენდა და რესტავრატორთა, ერთმანეთისგან განსხვავებული, მოსაზრებები წევის ეკლესიის თარიღის შესახებ. მართალია, ჩვენ როგორც ლეგენდები, ისე რესტავრატორთა მოსაზრებები საჭვოდ გვეჩვენებოდა, მაგრამ, რადგან მათი არსებობა ვიცოდით, საგვარეულოს პრეზიდენტს ხომ არ დავუმალავდით? დავწერეთ ყველაფერი და მივუტანეთ ბ-ნ თენგიზს. მან წაიკითხა და გვთხოვა, რომ ეს მასალა ბ-ნი ი. ახუაშვილისთვის მიგვეტანა. ჩვენ შევასრულეთ მისი თხოვნა, ვინაიდან ვფიქრობდით, რომ, რადგან ჩვენი გვარის ისტორიით თვით საგვარეულოთა კავშირის ხელმძღვანელი დაინტერესდა, ესე იგი ეს ისტორია, გვარების ისტორიის სფეროში, ყველაზე უფრო კომპეტენტური ადამიანების მიერ იქნებოდა შესწავლილი და ჩვენ აღარ დაგჭირდებოდა დროის ხარჯვა მის შესასწავლად, (ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა, მამის ჩაგონებით, ბავშვობიდან გვაინტერესებდა).

ამის შემდეგ, ჩვენ გავეცანით ბ-ნი ახუაშვილის ნაშრომებს, რომლებზეც მანამდე ყურადღება არ გაგვიმახვილებია და დავინახეთ, რომ მათი ავტორის ამოცანა ცალკეულ საგვარეულოთა ისტორიის შესწავლა არ იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი გვარის ისტორია ჩვენ თვითონ შეგვესწავლა. დავიწყეთ მუშაობა, რომლის შედეგების ამსახველი ორი სტატია გამოვაქვეყნეთ გაზ. „ჯაჭვში“ (2002 და 2003 წწ.), შემდეგ გამოვეცით კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I წიგნი (2005წ.). სამივე ეს ნაშრომი, ბ-ნი თენგიზ თომას ძის ხელით, მივაწოდეთ ბ-ნ ი. ახუაშვილს.

„საგვარეულო დარბაზის“ 2006 წლის ერთ-ერთ სხდომაზე, ბ-ნმა თენგიზმა მოიტანა გაზ. „ჯაჭვის“ 2002 წლის ნომერი, რომელშიც ჩვენი სტატიაა დაბეჭდილი, გვითხრა, რომ ახუაშვილი აპირებდა თავის წიგნში ამ სტატიის გამოქვეყნებას და ხელი მოგვაწერინა, რომ ჩვენ თანახმა ვიყავით, ეს სტატია ახუაშვილის წიგნში დაბეჭდილიყო. მაგრამ, როცა ახუაშვილის წიგნი გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ მასში ის სტატია კი არ იყო დაბეჭდილი, რომელზეც ჩვენ ბ-ნმა თენგიზმა ხელი მოგვაწერინა, არამედ ის ხელნაწერი სტატია, რომელიც ჩვენ 2001 წელს მივუტანეთ ახუაშვილს. ბ-ნმა თენგიზმა გვითხრა, რომ მან გადასცა ახუაშვილს ჩვენს მიერ ხელმოწერილი სტატია...

როგორც ჩანს, ჩვენზე უმართებულოდ განაწყენებულმა ი. ახუაშვილმა, ჩვენი ნარკვევის გამოქვეყნებას, ლეგენდების გამოქვეყნება არჩია. (ლეგენდები კი, როგორც ჩვენმა შემდგომმა მუშაობამ აჩვენა, ჩვენს საგვარეულოს იმდენად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი აქვს, რომ რომელიმე მათგანის საგვარეულოს ისტორიის ნაწილად მიჩნევა არ შეიძლება, მათი ძალიან საფუძვლიანი ანალიზის გარეშე]]]][5].

[ბ-ნი იაკობის ჩვენზე განაწყენების მიზეზი შემთხვევით შევიტყვეთ: ბ-ნი ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი) მოგვიყვა, რომ გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს I

წიგნის *[რომელიც გამოსვლისთანავე (2005წ.) გავუგზავნეთ საჩუქრად ბ-ნ იაკობს წარწერით, რომელშიც მადლობას ვუხდიდით მას, როგორც ჩვენი საგვარეულო დარბაზის დამაარსებელს]* გამოსვლის შემდეგ, იგი სადღაც, ხალხმრავალ ადგილას შეხვედრია ი. ახუაშვილს, რომელსაც, როცა ბ-ნი ელგუჯას გვარი გაუგია, დიდი გულისწყრომა გამოუხატავს იმის გამო, რომ ჩვენ, მას არ არ ვკითხეთ და ისე გამოვეცით ჩვენი წიგნი. იგი, თურმე, თვლის, რომ ჩვენ მან გზა გაგვიკაფა, გეზი მოგვცა და ჩვენ კი, თურმე, მის მიმართ უპატივცემულობა გამოგვიჩენია იმით, რომ ჩვენი გვარის ისტორია მის დაუკითხავად შევისწავლეთ და გამოვეცით.

ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი საგვარეულოს ისტორიის კვლევის მიმართ ინტერესი მამაჩვენმა ჩაგვინერგა. როცა ბ-ნმა ახუაშვილმა და თ. გაჩეჩილაძემ ჩვენი საგვარეულო დარბაზი დაარსეს, ბ-ნი ახუაშვილი მაშინ პირველად ვნახეთ, კიდევ ერთხელ მაშინ ვნახეთ, როდესაც ზემოხსენებული წერილი გადავეცით, ორჯერ კი სხვადასხვა შეკრებებზე მოვკარით თვალი...

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო წიგნები ჩვენი საკუთარი და ჩვენი მოგვარეების შრომით შევქმენით და ჩვენი საკუთარი ფულით დავაფინანსეთ. არ გვესმის, მისთვის რატომ უნდა გვეკითხა, ჩვენი გვარის ისტორია გამოგვეკვლია თუ არა და როგორ გამოგვეკვლია? [წინამდებარე წიგნში ჩვენ ვაქვეყნებთ ბ-ნი ი. ახუაშვილის წიგნში გაჩეჩილაძეების საგვარეულოს შესახებ დაბეჭდილი მთელი ტექსტის (ბიოგრაფიების გარდა) სკანერით გადაღებულ ასლს (იხ. გვ. 27-31), ხოლო სტატიაში „საგვარეულო ლეგენდების კომენტარები“,(იხ. გვ. 211-268) გაანალიზებული გვაქვს ახუაშვილის წიგნში მოყვანილი და სხვა ლეგენდები...). მკითხველმა თვითონ განსაჯოს, უნდა გვეკითხა თუ არა მისთვის აზრი...].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის წიგნში წარმოდგენილი ტექსტი ვერ იძლევა სწორ ინფორმაციას ვერც ჩვენს საგვარეულოში შემავალი გვარების შემადგენლობაზე, ვერც ამ გვარების წარმოქმნის თანმიმდევრობაზე, ვერც მათ რიცხოვნობაზე, ვერც განსახლების ადგილებზე, ვერც „თიკუნებზე“ და რაც მთავარია, ამ წიგნში არ იგრძნობა პასუხისმგებლური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩვენი (დაახლოებით 6000 სულიანი) საგვარეულოს მიმართ...

ჩვენს მიერ ამ კომენტარების დაწერის მიზანი ბ-ნი ახუაშვილის გაკრიტიკება კი არ არის, არამედ ის, რომ ჩვენი საგვარეულოთი დაინტერესებულ ადამიანებს *(რომლებიც, ალბათ, ინფორმაციას, პირველ რიგში, ი. ახუაშვილის, საცნობარო ხასიათის, წიგნებში მოიძიებენ და, ალბათ, წიგნის შემდგენელის მაღალი სამეცნიერო წოდების გამო, მას სანდოდ ჩათვლიან)*, გავაგებინოთ, რომ გაჩეჩილაძეები ახუაშვილის წიგნებში, ჩვენი საგვარეულოს შესახებ, მოყვანილ ინფორმაციას არ ვეთანხმებით და, იქ განხილულ საკითხებზე, მოკლედ მივაწოდოთ მათ სწორი ინფორმაცია.

2011 5/VI.

შენიშვნები:

1. ქსე ტ. IV, თბ., 1979, გვ. 498; საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, 1959, თბ., გვ. 58.
2. საქართველოს საისტორიო არქივი, „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა“ 1817-1875, ფონდი 489, აღწერა 6, 1827წ., საქმე №
3. სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 24/5.
4. *რაც შეეხება გვარის მეტსახელებს, როგორც ზოგიერთი ლეგენა იუწყება (იხ. წინამდებარე წიგნში ლეგ. № 39, 39ა...), შორეულ წარსულში გაჩეჩილაძეებს ჰქონიათ საერთო მეტსახელი –„ჯაჭვაძე“, XIX საუკუნის ბოლოს კი გაჩეჩილაძეთა გვარის საერთო მეტსახელი ყოფილა „მეწურბლე“. („ჯაჭვაძის“ შერქმევის სავარაუდო მიზეზი ჩვენ განმარტებული გვაქვს 241-ე გვ-ზე. „მეწურბლე“ კი შერქმევიათ იმიტომ, რომ XIX სს. ბოლოს, გვარში ყოფილა ორი თუ სამი პოპულარული ექიმბაში, რომლებიც ავადმყოფების ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად წურბლებს იყენებდნენ. ყოფილა, აგრეთვე, ორი თუ სამი წურბლების გამყიდველიც...). „ჯაჭვაძე“ დამოუკიდებელ გვარად ჩამოყალიბდა. „მეწურბლე“ კი, მისი შინაარსის დაკარგვის შემდეგ, მივიწყებული იქნა.*

გაჩეჩილაძეთა გვარს აქვს ორი შტო გვარი (ჯაჭვაძე, წეველიძე) და რამდენიმე

ათეული ქვეგვარი (ბუნის სახელი), ჯაჭვაძეთა გვარს აქვს – ათამდე ქვეგვარი, წეველიძეების გვარს, რამდენადაც ვიცი, ქვეგვარები ჯერ არ აქვს.

5. ასეთ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი განმეორდება § 18-ში გვ. 221.



ზემოხსენებული გვარებისა და ტოპონიმის მოკლე ისტორია. მაშინებს, არქიტექტორის მიხედ ნაკლიზის ძეს (1911-1990 წწ.) მიამო, თავისი ბიძის, იპროხორ გარჩილაძისაგან მოისმენილი:

დავით აღმაშენებლის დასაწყისი საქართველის ნაგებობათა შესაკეთებლად და ახალ მშენებლობათა სანარმოებლად საქართველის სხვადასხვა მიდამო კეთილად შეკრებია მშენებელი ხელოსნები და მათი მეშვიდე. მათი ერთი ნაწილი შორაპნის ციხის აღდგენაზე დაუსაქმებია.

სამშენებლო ქვას ისინი, თურმე, ახლანდელ სოფელ წყვას მახლობლად მდებარე კლდიდან ამტვრევდნენ და ეწეოდნენ (ეზიდებოდნენ) ახლო-მახლო მშენებლობებისაკენ.

შორაპნის ციხეშე ქვა, თურმე, ხელიდან ხელში გადაცემის, ე.წ. ჯაჭვისებური წესით გადაჰქონდათ.

მთას, საიდანაც ქვას ამტვრევდნენ, თურმე, მეტების, თუ კლდეკარას ეძახდნენ.

იმ ადგილისათვის, სადაც სამშენებლო მასალას თაყს უყრიდნენ და საიდანაც მას ეწეოდნენ - წყვა შეურქმევიათ, ხოლო ცოცხალი „ჯაჭვის" მონაწილე, სხვადასხვა კეთილიდან ჩამოსული მშენებლები ჯაჭვაძეებად „მოუნათლავთ".

ჯაჭვაძეები წყვის ტერიტორიაზე დასახლებულან და, ბუნებრივია, დასჭირვებიათ ეკლესია, რომლის მშენებლობა დაუვალებიათ, საეკლესიო მშენებლობის საქმეში სხვა თანასოფლელებზე უკეთ, გარკვეული, ეიმეგონებიათ დაკვალიანებაც.

დაკვის ეკლესიის ასაგებად იმ არემარეში ყველაზე ლამაზი და მოხერხებული ადგილი შეურჩევია, მაგრამ, ეიმიდან სამრკალის გათხრისას იქ დიდი რაოდენობით ადამიანის ჩონჩხი აღმოჩენილა და სოფლელებს კი წინასწარვე სჯეროდათ, რომ დიდი სისხლისღვრის ადგილას, ეკლესიის, ავება ცოდვა იყო, მშენებლობა შეუწყვეტიათ და მისი სხვა ადგილას გადატანა დაუპირებიათ, მაგრამ მშენებლობის ხელმძღვანელი დიაკვანი ეკლესიათვის შერჩეულ ღამაზ ადგილს კერ შელეოდა და თანასოფლელები დაუთანხმებია, რომ მშენებლობა იქვე განეგრძოთ. უოქვამს, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებდა ღვთის წინაშე და თუ ღმერთი ამას ცოდვად ჩაუვლიდა, პირადად-თვითონ იტყვრთავდა ღვთის რისხვასა და სასჯელს.

ეკლესია და მაღალი სამრეკლო საკმაოდ სწრაფად, დაუბრკოლებლად ამენათ. მისი მშენებლობის პროცესში, არც დიაკვანს და არც მის თანასოფლელებს ეცდა არაფერი შეშიზეცნათ, ამიტომ,

ეკლესის მაშენებელი, რომ ღმერთმა ამ ადგილას ეკლესიის აგება ამცნოთ.

ეკლესიის კურთხევის დღეს, დიდი ზეიმი გაუმართავთ. გამარჯვებული დიაკვანი შეხარხარებულა ასეთ სამრეკლოზე, რათა ზარი, ხარკვლის, თვითონ დაერეკა, მაგრამ ნასვამს ზარის შემოკრთომა თავი კვლავ შეეშინებია, სამრეკლოდან გადმოვარდნილა და დაღუპულა..

ეიმიდან ამაგონებელი დიაკვანი თანასოფლელთაგან გამოირჩა, რადგან ეკლესიის ზურგთმიბეჭდავი და მის მშენებლობას შეწირული ადამიანი, მის შემდეგაც შედ ეკითხულა, თურმე, **გამრეკლის-შვილს** გვარიც იხსენებდნენ, მაგრამ, შემდგომში, ეიმიდან იპურეთში გვარები ძე-ზე ბოლოდება, მათი შთამომავლების გვარი **გამრეკლაძედ** გადაეკეთებიათ.

გამრეკლაძეები მაღე ისე გამრავლებულან, რომ ჯაჭვაძეებისათვის რიცხობრივად ბევრად გადაუჭარბებიათ. წყვაში ერთი და იმავე სახლისა და მამის სახელის მქონე გამრეკლაძე, თურმე, ათიოდე იყო, ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გამოარჩევად დამატებითი გვარები მოუგონებიათ. მაგალითად, ჩემს წინაპრებს, თურმე, ღამნავებს უსახელებენ (იმიტომ, რომ ისინი, თურმე, ფეხსაცმლის ღამნას ამზადებდნენ). გამრეკლაძეების დამატებითი გვარები იყო, ავრეთვე: „მეწერაბლე", „თხაჭამია", „ბელტოცლაძია", „უწნავი", „ყვავურახი" და ა.შ.

იპურეთში, ერთხანს (დაახლოებით XIX საუკუნის II ნახევარში), სამინდე სიღუხჭირეს დაუხდგურებია. ზოგ **ჯაჭვაძეს** წინაპრისგან გაგონილი ჰქონია, რომ იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გადმოსახლებულ, ნაყოფიერი მიწები იყო და შეძლებოდა თავის გატანა. ამიტომ, ჯაჭვაძეთა ერთი ნაწილი აჭრილა და თავისი ძველ საცხოვრებელ ადგილს - კახეთს, კერძოდ კი სოფელ ჭერეშს დაბრუნებია. იპურეთში მიღებული გვარი - **ჯაჭვაძე** კი შეუნარჩუნებიათ. (გამრეკლაძეებთან შედარებით ჯაჭვაძეების რაოდენობრივი სიცოცხლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება, იყოს ის, რომ მათმა ნაწილმა ძველი გვარი დაიბრუნა). ჯაჭვაძეები ახლაც ცხოვრობენ სოფელ ჭერეშში. მათ იციან, რომ გამრეკლაძე მათი გვარიდან „გამშტერებული" გვარია.

1991 წელს მე, ჭერეშში ექსკურსიაზე ყოფნისას, გავიცანი რამდენიმე იპური ჯაჭვაძე, რომლებმაც ჩემი გვარი რომ გაიგეს, ბიძაშვილის შვილებად ჩამთვალეს. იქვე ერთ მოხუცი ჯაჭვაძე, რომელიც ძალიან ავადა მამაკაცი.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან, წყვის მთიდან მის ძირას მოსახ-



ლეების ნაწილის ჩამოსახლების შედეგად, გაჩენილა სოფელი ქვედა წვევა.

XIX საუკუნის ბოლოს თუ XX საუკუნის დასაწყისში სოფ. წვევდან საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასულ გაჩენილაძეთა ერთერთ ოჯახს გვარი წვევლიძედ გადაუკეთებია და მაღალ გაჩრილდენ **წვევლიძეები.**

1944 თუ 47 წელს საბჭოთა მთავრობამ, ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ეროვნებულ, არასაიმედოდ მიჩნეული მოსახლეობა საზღვისპირა ადგილებიდან ასცარა და ქვეყნის სიღრმეში გადაასახლა, მათ ადგილას კი ადგილობრივი მკვიდრნი ჩასახლა. ეს ღონისძიება შეეხო სოფელ წვევასაც, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ასცარეს და ჩასახლეს სოფელ ზაკალიაში (ახალციხის რ.), - იქიდან შეა აზიაში გადასახლებული ე.წ. „თურქი მესხების" ნაცვლად. წვევაში კი დატოვეს **გაჩრილაძეთა რამდენიმე ოჯახი,** რომლებიც გამრავლდნენ და შეუნარჩუნეს სოფელს არსებობა.

თუ აქ მოცემილი გადმოცემა სინამდვილეს შეესაბამება, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ წვევის ეკლესია დახლოებით XII საუკუნის I ნახევარში უნდა აგებულიყო (ყველ შემთხვევაში, არაუადრეს XI საუკუნის მიწურულისა) და ამაც ჰერიოდში, უნდა ჩასახულიყო გაჩრილაძის გვარიც - თავდაპირველად გაჩრილისშვილის სახით.

(ამგვარად წვევის ეკლესიის პირველი ნაგებობიდან შემორჩენილა მხოლოდ აღმოსავლეთის კედლის შუა ნაწილი, ნაგებობის დანარჩენი ნაწილები მრავალჯერადი, საბოლოოდ კი, XIX-XX სს-ების ღრონდელი აღდგენა-გადაკეთების შედეგია).

ამაც გადმოცემის მიხედვით, გამოდის, რომ გვარი ჯაჭვაძე მხოლოდ მცირე ღროით (არაუმეტეს ერთიორი ათეული წლით), უხნესი უნდა იყოს გაჩენილაძის გვარზე, თუმცა, თუ ამ გვარის წარმოშობა, მართლაც, სამშენებლო მასალის ჯაჭვისებური წესით გადაზიდვას უკავშირდება, შესაძლებელია, რომ ჯაჭვაძეთა ნაწილს ეს გვარი მანამდეც ჰქონდა (სამშენებლო მასალის ამგვარად გადატანას ხომ გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს) და ამ ეპიზოდში ახლიდან საშუალოთი დასაბამებულ სხვა დამთხვევებზეც გაურკვეველია.

ამის გამო, რომ: I გაჩენილაძეები, იმერეთის შორის, გამოირჩევიან სიდინჯით, მუყაითობით, ხასიათის სიმტკიცით და პირდაპირობით;

II... რომ გაჩენილი დიაკვნის პირველ მემკვიდრეებს შეილზე დაბოლებული გვარი ამსჯნებიდნენ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს არის დამახასიათებელი;

III... რომ სოფელ ჭურემში ნახახი ადამიანები ძალიან მოკრძალებულ ზოგ რემს ამლიმლებს;

IV... რომ საქართველოს მთავ რეგიონებს შორის ჭერემში და მასი მიმდებარე ტერიტორია ერთ-ერთი გამორჩეულია, შუასაუკუნეების (და უფრო ადრინდელი), მაღალი სამშენებლო ტექნიკით შესრულებული ნაგებობების სიმრავლით (და არა გასაკვირი, რომ დღეს აღმშენებელს მშენებლობისთვის იქიდან წამოუყვანა), შესაძლებლად მისაჩნია, რომ **გაჩენილაძეები** კახელი (შესაძლოა, სწორედ, ჭერემელი) **ჯაჭვაძეების** შთამომავლები იყვნენ.

სოფელ წვევისა და წვევლების თაყვანსაცემი საკლის განსხვავებული ლურსმანი აქვს გამოქვეყნებული **ფილარეტ სვეშნიკოვ გაჩენილაძეს** 1899 წელს ჟურნ. „ცისკრის" კრებულში (№3, გვ. 25-48). ამ გადმოცემის მიხედვით ფოფლა 135 წლის წვევლი მოხუცი, **რომლისგანაც გაჩენილაძე** ტექსტს წარმოადგენდა შემდეგნაირი:

„თამარ ღედოფალს სვანეთიდან გადმოუვლია შჭობრის მთაზე. გამოუვლია „ულევი". ამ ჯაკე, დაესრულებელი სერტიფიკატისაგან, **გაულეველი უწოდებია** და სრული **„ულევი"** დარჩენია. განაპირებ ეკლესიათ და დარჩენიათ ჩვენი სოფლისათვის „წვევა". წვევლებისამებრ აუშენებია საყდარი პირტიკის ქვისა. ჩაუწერიებია ქვის სატეხამდე ამ ქვის საყდრის საფუძველ ბალავრიდან ჯარისკაცები (სოფელ მირონ-წმინდაზე) და მათ ერთი – მეორისათვის უმცროსით ქვა. სამ დღეში აუშენებიათ მთელი საყდარი. მაშინ დაეტოვებია თავის მხლებელთაგან აქ სამი ყმა, ეკლესიაზე შეწირულნი: ერთი ოხი **ჯაჭვაძე,** ერთი **თათარი ებანოძე** და ერთიც **ლეგი ხიბზაბაძე.** ... მიქმედა... გადმოცემის სინამდვილეს ასაბუთებს მით, რომ იმ ოხის ამჟამინდელი ჩამოსახლება ნამდვილი ოხის ხასიათისაა: ჩქარი, მკერეხლი, მოწიწყარა, მოუთმენელი, მეტი ფიცხი და კალეკენის ოხისას წაუგავს, როგორც ავტორებსაო. ხიბზაბაძეებს ხომ პირწმინდა ლეკების გამოძერწილობა აქვთ და ხასიათიც ეკლერისა, სახე ჯმუხი და ავტორებაც თავისებური. ებანოძეებს კერ უყურებ, როგორი ტკბილი და თავაზიანი ჭკუა-გონა, ნაზი მიხრა-მოხრა და მოჭნილი ენა და ლაპარაკი აქვთ და სხვ. ეს თვისებები ამ სამი გვარისა მეც მეკამათება (ს.გ.), მაგრამ 7 საუკუნის შემდეგ გაპარკვევთ თუ არა, ეგ მეთხეველისათვის და მისი მოსაზრება - ცოდნისათვის მაძიდეა. - შეეწირაეს ეს სამი ყმა ამ ეკლესიისათვის და შეე ეკლესიის ცაში ყოფილა მიწერილი

ჯაჭვაძე"-ო. ს. წევაში დასახლებულა ოხი. ლეკი ს. ხანაზმირეში, ქანჩოძე კი ს. ლაშეში დასახლებულა. დღესაც ეს სამი გვარი ამ ქელეხის შემავალი არის, სასაფლაოც საერთო აქვსთ აქ, უხსოვარი დროიდან. ... ოხის ჩამომავლობა, ერთ დროს ერთ ობოლ ბიჭზე დამდგარა. მიზეზი ომიანობა, სახადობა, შიმშილობაა - ამისას არას ამბობს გარდმოცემა. ამ კინაღამ გადაშენებული გვარეულობის ერთადერთი ნორჩის დედა ეთხოვა ლაშელ მანჯავიძეს და ობოლიც თან გაჰყოლოდა".

შემდეგ ეს ბიჭი გაიზარდა სოფელ წევის ღიაკვანი - „ამ ღიაკონს ისეთი გამუქებული ბალანი ჰქონდა, თურმე, რომ „ოხი" კაცი შეირქილებდაო, **გარჩილი** გვეონებოდაო და უძახიდენ **ოხი-გარჩილა დიაკონს.** მის შვილს და ნაშიერს ჯაჭვაძეების მაგიერად „**გარჩილაძეები"** დაერქვათ...

აი, ამ ოხა გარჩილის ჩამომავლობა დღეს მთელ წევაში მოდებულა. სულ მეხოერები, წევაში 190 კომლი... და ერთი ამდენი ჯერ, დღეს რომ ვიცით, გადასახლებულა თუ კახეთში, თუ ქვემოთში, რომ ძველებური გადასახლებულები არ ვიანგარიშოთ, რომლის ცნობაც აღარა აქვთ თანამოგვარეებს. კახეთში ბევრია **გარჩილაძე** ჯაჭვაძის გვარით. ესენი ბატონ-ყმობის უსამართლობას გაქცევიან. სეიდროვის გამო, უფრო ქვემო ქვეყნისაკენ ესახლებიან ხოლმე"...

სოფელ ზემო წევის წმინდა გიორგის სახელობის ქელეხის შესახებ (რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული გვარების: **ჯაჭვაძე და გარჩილაძის** ისტორია), სპეციალისტთა (არქიტექტორ-რესტავრატორთა) განსხვავებული მოსაზრებები არსებობს:

საქართველოს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრში დაცულ, ამ ძეგლის 1953 წელს ჩატარებული აღწერის აქტში, არქიტექტორ-რესტავრატორები, რ. გვერდწითელი და ნ. მანუჩაროვი, მხოლოდ ზოგადად მიანიშნებენ ძეგლის აგების დროს (განვით. შუა საუკუნეებს) და გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ თავდაპირველად ძეგლი წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას და რომ მისი მოხატულობა XVI საუკუნისაა.

1955 წელს კვლავ ჩატარებულა ამ ძეგლის აღწერა, რომლის შემსრულებლები არქიტექტორ-რესტავრატორები, ა. გოგელია, გ. ჭეიშვილი და ო. ციბაძე, ძეგლს XIV საუკუნით ათარიღებენ და თვლიან, რომ იგი, თავდაპირველად, წარმოადგენდა მეორე ზომის ერთნავიან ეკლესიას.

კრებულში - „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები" (შემდგენელი თ. ბარნაველი, პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ცინცაძე,

1959 წ., თბილისი) ძეგლი დათარიღებულია XI საუკუნით, მისი მოხატულობა - XVI-XVII საუკუნეებით.

ზემოხსენებულ ავტორებს, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ მოკლედ, დასაბუთების გარეშე.

ძეგლის ხელოვნებათმცოდნეობითი შესწავლა ჯერ არ ჩატარებულა.

ვფიქრობთ რომ, როგორც სახალხო მთქმელთა გადმოცემები, ისე სპეციალისტთა დასკვნები, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ცნობებს შეიცავენ და მრავალ მოსაზრებას და კითხვას ბადებენ. ამ ცნობების ობიექტურობის ხარისხზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია. ქეშმარიტებასთან მიახლოება მხოლოდ საითაძეო ისტორიული, ხელოვნებათმცოდნეობითი და ეთნოგრაფიული მასალების შესწავლა-შეჯერების შედეგად გახდება შესაძლებელი.

გალაქტიონ გარჩილაძე (ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე)
24/XII 2001 წ.

შენიშვნები: 1. **„ლეღვარად"** წოდებულ მთას ახსენებს **ბატონი სვიმონ გარჩილაძეც** სოფ. წევის მიდამოების აღწერისას: - „სამხრეთ-დასავლეთისაკენ კი აიზიდება, როგორც კოშკი სალებით გარს შემორტყმული „ლეღვარი", ხატის სახელობელი" (აკაკის თვიური კრებული, 1899 წ. №2, გვ. 5).

2. ერთ-ერთი უძველესი სამრეკლოთაგანი საქართველოში. ახლანდელი სამრეკლო XX საუკუნის მინაშენია. ბატონ სვიმონ გარჩილაძეს დასახელებული კრებულის 1899 წლის №3-ში, გვ. 35 ნახსენები აქვს წევის ეკლესიის სამრეკლო, რომელიც იმ დროისათვის უკვე აღარ არსებულა: „ეს სვეტი მისულა ხის მაღალ სამრეკლოსთან, რომელიც დღეს აღარ არის"...



გარჩილაძე გივი (როთაშვილი)
კომპანია „საქართველოსნავთობის" დამაარსებელი და გენერალური დირექტორი.

დაიბადა 1973 წელს, თბილისში. **მშობლები: რევაზ გივის ძე გარჩილაძე** – საქართველოს ყოფილი სავაჭრო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, **მზია მარსაგიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მარიას სამედიცინო ფაკულტეტზე სურდა სწავლის გაგრძელება. სოლომონი ურჩევდა, რომ სამედიცინო მეცნიერების ნაცვლად დაეუფლებინათ გერმანული ენა მეცნიერება. მართა შეეცადა გერმანული ენის კურსებზე, მაგრამ მამის გარდაცვალების შეუძლია ხელი. შემდეგ, მას თვლაში გაუვლია სამასწავლებლო კურსები. ერთხანს პედაგოგად უმუშავია, მაგრამ, გათხოვების შემდეგ, 1926 წ. ყველაფერს ჩამოშორდა, ოჯახის ბერუად იქცა და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ოჯახსა და შვილების აღზრდას შეალია.

მართა ჯაჭვაძეს ეყოლა **ორი შვილი: ღალი და სულა (ვიორგი). ორდანიშვილები, ღალი** – არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნ. ტერმინოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნ. – თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატია (აკადემიკოს შ. შათირიშვილის მეუღლე).

სულა (ვიორგი) – ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის რადიაციული ბიოჯანმის ლაბორატორიის გამგეა.

ჯაჭვაძე ზაქარია (შაქრო)

ექონომისტი, პედაგოგი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1908 წ. 2 იანვარს, ოცხეთის რ. სოფ. უმაღლესში. გარდაიცვალა 1972 წ. 25 სექტემბერს. **მშობლები: სიმონ ჯაჭვაძე, ნატო ტუსუნაშვილი.**

ზ. ჯაჭვაძეს, წლინახევრის ასაკში დედა გარდაეცვალა. მამის – სიმონის (სიკო) ხელშეწყობით გაზარდა ბიძაშვილმა – **მართა გიორგის ას. ჯაჭვაძემ** (ცნობილი ენათმეცნიერის, ლიტერატურის ისტორიის მკვლევრის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის – **სოლომონ ორდანიშვილის მეუღლემ**).

თვლაში ვაჟთა გიმნაზია დაამთავრა და 1930 წ. ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკ-ზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაესწრებლად სწავლობდა მაშინდელ პუშკინის სახ. პედაგოგური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს.

ჯარში გაწვევამდე მასწავლებლობდა ჯერ თვლაის რ. სოფ. ვანათში, შემდეგ ახალტბში, სოფლებში: ფერისში, ჯოყოლოში, ბოლოს – სოფ. უმაღლესში. ამ სოფლებში იგი პირველი უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი იყო, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და სასწავლო ნაწილს განაგებდა.

1941 წ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე, იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში – ნალჩიკთან, 1944 წ. დაიჭრა. ომში მონაწილეობისათვის, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. ომის დამთავრების შემდეგ, კახეთის ზონის მატყლის დამზადების უფროსი იყო. შემდეგ, მუშაობდა ს. ფშაველის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ბუღალტრად, ფოსტის გამყის მოადგილედ, წლების განმავლობაში, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას თავჯდომარეობდა. პარალელურად, თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადის", გაზეთების –„კომუნისტის", „სოფლის ცხოვრებისა" და სხვა ეროვნულ-გაზეთების რედაქციებთან. აქვეყნებდა წერილებს, ძეგლთა დაცვისა და მოყვა-სამრონოების შესახებ, მდ. სტორზე საკალმახის მოწყობის შესახებ და სხვ.

შ. ჯაჭვაძე სწავლობდა და მუშაობდა კულტურის ძეგლებს. მისი თაოსნობით აღდგინეს ს. ფშაველის „კოხტა ღვთისმშობლის" ტაძარი (მე-8 მე-9 სს.).

საწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო საკუთარ პოეტურ კრებულს – **„მე სხვა არაფერი მინდა"** (თუმცა, მას არასდროს უზრუნია წიგნის გამოცემაზე).

ბატონ ზაქარიას პაატა მეუღლე – ნატო არზუმანიძე, მათ შეეძინათ ხუთი შვილი: ირაკლი, რუნო, იზა, ზოია და ანზორ ჯაჭვაძეები.

გარეჩილაძე-ჯაჭვაძე-წულაძეთა თიკუნებია: კვაცა, ბუღაშვილი, ძაღლუა, ხრაკი, ნოღა, ცეტა, ხბოსთავა, ჭიმდი, კაწახა, კრეჭია, ლანჩავა, ჭიჭილი, სუჭუტა, უწეკავი, ლობიო, ხმელი, პუწკეტა, რერო, უთო, ჩოჩია, ღილია, ოთიაშვილი, გუნდური ეთელი, ლულია, ბელტოყლაპია, ღვირძლი, თრაჭამია, არონიშძე (ოთიაშვილების შიამოშვალი), ჭურდაე (ლობოების რძალი), რაფავა (ბელტოყლაპიების რძალი), ჭიდავაძე (ოთიაშვილების შიამოშვალი), ლეკლეციანი, შურღაია (ოთიაშვილების შიამოშვალი), ჯუკურახი, ჭოლოხტი, წულა, ქლაევაძე (ოთიაშვილების რძალი), კანდელაკი (ოთიაშვილების რძალი), პაპუნელა – ხბოსთავა, ბღოჭალა (იხ. წიგნი: „გარეჩილაძეთა სგეარეული" (გარეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წულაძეები) შემდგენელ-გამომცემელი ეკატერინე გარეჩილაძე, თბილისი, 20005 წელი).

§ 8. გაჩეჩილაძეთა ბიოგრაფიები

1. აკაკი გაჩეჩილაძე (ლობიო)

ინჟინერი – ენერგეტიკოსი,
ფერმწერი, მწერალი.

დაიბადა 1970 წ., თბილისში. **მამა ვახტანგ სიმონის ძე გაჩეჩილაძე.**

1987 წ. დაამთავრა 154-ე საშ. სკოლა.

1998 წ. დაამთავრა სპი-ის ენერგეტიკის ფაკულტეტი. მუშაობს თავისი პროფესიით.

ავტორია წიგნების – „ბარდი“, „ვისოცკის 101 შედევრი“ (ინახება ვლადიმერ ვისოცკის მუზეუმში, მოსკოვში).

ბავშვობიდან გატაცებულია ხატვით. (ამჟამად აწყობს გამოფენას გერმანიაში). მისი ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში ევროპაში.

ბ-ნ აკაკის ჰყავს **მეუღლე – ირმა კახურაშვილი, შვილები: ირმა და ელენე, ძმა – ნუგზარი, ძმისშვილები: ეკატერინე, ნია და ნიკოლოზი.**

2. ალექსანდრე გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი პედაგოგი, სოფ. ქვაციხის და
ქ. ზესტაფონის სკოლების დირექტორი.

დაიბადა 1906 წ. 17 იანვარს, ზესტაფონის რ. სოფ. პირველ სვირში, გარდაიცვალა 1996 წ. 26 იანვარს. **მამა გედევან გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა სოფ. პირველი სვირის საშ. სკოლა შემდეგ, 1937 წ., ქ. ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჭიათურის რ. სოფ. ქვაციხის სკოლის დირექტორად.

1940 წ. გადავიდა საცხოვრებლად ქ. ზესტაფონში და დაიწყო მუშაობა ღამის სკოლის დირექტორად. შემდეგ, 1969 წლამდე, მუშაობდა ზესტაფონის №4 საშ. სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

კარგი მუშაობისათვის მრავალჯერ იყო დაჯილდოებული.

იყო ყველასგან პატივცემული, ძალზე კეთილშობილი, სტუმართმოყვარე ადამიანი.

ბ-ნ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – მარიამ ისიდორეს ას. ბარათაშვილი** და **ხუთი შვილი**: **ოთარი** – მშენებელი ინჟინერი, მუშაობდა ფეროშენადნობთა ქარხანაში ცვლის უფროსად, იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1979-1985 წლებში, **შოთა** – მშენებელი ინჟინერი, მუშაობდა ჟინვალჰესის მშენებლობაზე, **გიზო** – მშენებელი ინჟინერი მუშაობდა ჟინვალჰესზე, **ლამარა** – მთავარი ენერგეტიკოსი მაგადანის ოქროს საბადოზე, **ლილი** – ფინანსისტი-ბუხჰალტერი. ბ-ნმა ალექსანდრემ და ქ-ნმა მარიამმა საკუთარი შვილივით აღზარდეს, ბ-ნი ალექსანდრეს ობოლი **ძმისშვილი – ჯაბაც;** მათი შთამომავლობაა, აგრეთვე, **ცხრა შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი.**

3. ალექსანდრე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ღვაწლმოსილი პედაგოგი, თელავის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე.

დაიბადა 18.., გარდაიცვალა 1931 (32) წ.. **მამა ოთია გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა ქუთაისის სემინარია. როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, გააგზავნეს მასწავლებლად აღმოსავლეთ საქართველოში. მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მეგობრობდა იაკობ გოგებაშვილთან. მუშაობდა მასთან დამხმარე სამუშაოზე.

ბ-ნი ალექსანდრეს ოჯახში ინახებოდა მისი მიმოწერა ი. გოგებაშვილთან, რომელიც ბ-ნი ალექსანდრეს რძალმა – ნინო ლაშხიამ ჩააბარა პედაგოგიურ მუზეუმს, რომელიც მდებარეობდა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის შენობაში. შემდგომში ის მუზეუმი დაიშალა და აღნიშნული მასალა დაიკარგა.

ბ-ნმა ალექსანდრემ სკოლა დააარსა კახეთში (სახელდობრ სად, უცნობია). რამდენიმე წელი იგი თელავის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე იყო.

კახეთში ყოფნისას სოფ. წევა ენატრებოდა. წავიდა წევაში და იქ გარდაიცვალა. კახეთში მასწავლებლად დატოვა თავისი შვილი მარო, რომელიც ასევე თვალსაჩინო პედაგოგი იყო. (შესანიშნავი გადმოცემის უნარი ჰქონია. მაროს გამორჩეულ მეტყველებაზე საგანგებოდ გაუმახვილებია ყურადღება სკოლაში სტუმრად მისულ ვანო სარაჯიშვილს).

ბ-ნ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – ნინო (ნუშო) ნიკოლოზის ას. დუჩიძე და ექვსი შვილი: მარო** (პედაგოგი), **გიორგი** (1897-1941) – ქირურგი, **შალვა** (ეკონომისტი), **თამარი, ილიკო**(პედაგოგი), **ელიზბარი** (1908-1994) – ფიზიკოსი.

4. ალექსანდრე გაჩეჩილაძე (ხიხინი)

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკი.

დაიბადა 1913 წლის 3 ოქტომბერს, ზესტაფონის რ. სოფ. წევაში, გარდაიცვალა 2004 წელს. მშობლები: **პავლე თედორეს ძე გაჩეჩილაძე, სონა სიმონის ას. ცნობილაძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. წევის სკოლაში. 1928 წ. დაამთავრა ძირულის შვიდწლიანი შრომის სკოლა. 1932 წ. კი ზესტაფონის პედაგოგიური ტექნიკუმი და დაინიშნა სოფ. წევის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1938 წ. წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და დაინიშნა ძირულის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი ამავე სკოლის დირექტორად.

1939 წლის ნოემბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. იბრძოდა ბელორუსიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში. სამჯერ დაიჭრა. დაჯილდოებულია 4 საბრძოლო ორდენით და 13 მედლით.

1945 წელს დემობილიზებული იქნა გვარდიის მაიორის წოდებით.

1946-1949 წლებში მუშაობდა ზესტაფონის რაიკომში ინსტრუქტორად, 1949-1952 წწ. – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტბიუროს მდივნად, ხოლო 1952 წლიდან 1972 წლამდე – ზესტაფონის № 4 საშუალო სკოლის დირექტორად, 1976 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა № 99 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ.

ბ-ნი ალექსანდრე, როგორც პედაგოგი და ხელმძღვანელი, გამოირჩეოდა პატიოსნებით, პრინციპულობით, ენერგიული თავდაუზოგავი, შრომით. იგი იყო

ძალიან მომთხოვნი როგორც თავისი თავის, ასევე სხვების მიმართ.

განსაკუთრებით დიდია მისი პედაგოგიური ღვაწლი. მან ათეული წლები შეალია ახალგაზრდა თაობის აღზრდას. მოწაფისათვის განათლების მიცემის გარდა, მისთვის მთავარი იყო ახალგაზრდის კარგ პიროვნებად ჩამოყალიბება.

ალ. გაჩეჩილაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“, იყო პერსონალური პენსიონერი.

ბ-ნ ალქსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – თამარ გელაშვილი**. მათ დარჩათ **შვილები: ჯემალი, გურამი ნუგზარი და შვილიშვილები**.

5. ალექსანდრე გაჩეჩილაძე (გოგება)

ქ. ზესტაფონის ნოტარიუსი 1913-1936 წლებში.

დაიბადა 1890 წლის 26 თებერვალს, ზესტაფონში, გარდაიცვალა 1962 წ. 16 ივლისს. დაკრძალულია ზესტაფონში. **მშობლები: ყარამან გიორგის ძე გაჩეჩილაძე, მარიამ ივანეს ას. წკეპლაძე**.

(ალექსანდრეს დედა, მარიამი, ყარამან გაჩეჩილაძის III ცოლი იყო. მის შერთვამდე, ყარამანს ორი ცოლი გარდაეცვალა. პირველი ცოლისგან ჰყავდა გოგონა – დონიკო. მარიამ წკეპლაძისაგან შეეძინა ოთხი შვილი: ალექსანდრე, ანიჩკა, თინა და შალვა).

მათი ოჯახი ცხოვრობდა ზესტაფონში, რკინიგზისა და სკოლის ახლოს, 6 ოთახიან ბინაში, რომლის 3 ოთახი ნაქირავები ჰქონდა რუს ნოტარიუსს. ჰქონდათ პატარა მაღაზიაც.

1906 წ. ალექსანდრეს მამა, ყარამანი, გარდაიცვალა. მაშინ ალექსანდრე 16 წლის იყო, ზესტაფონში მიღებული ჰქონდა 7 კლასის განათლება. იმისთვის, რომ ბიჭს შეძლებოდა უმამოდ დარჩენილი ოჯახის მატერიალური დახმარება, მათმა მდგმურმა, ნოტარიუსმა ასწვლა მას ნოტარიუსობა.

1913 წ. რუსი ნოტარიუსი თავის სამშობლოში დაბრუნდა, სანოტარო კანტორა კი ალექსანდრეს მიჰყიდა. ამის შემდეგ, 1936 წლამდე, ალექსანდრე იყო ზესტაფონის ნოტარიუსი (1913 დან 1921 წლამდე კერძო ნოტარიუსი, 1921 წლიდან კი სახელმწიფო). ბ-ნი ალექსანდრე იყო პატიოსანი, კანონების ზუსტად დამცველი, ნაკითხი, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი. მან კარგად იცოდა რუსული ენა. ჰქონდა შესანიშნავი კალიგრაფია – ქართულიც და რუსულიც. ყოველივე ამის გამო, იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ზესტაფონში.

ბ-ნ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – ოლია ივანეს ას. კაპანაძე**.

მათ დარჩათ **შვილები: თენგიზი** (1927)* (ჩვენი საგვარეულო დარბაზის აქტიური წევრი), **მედეა** (1931), **ინეზა** (1934), შვილიშვილები და შვილთაშვილები.

6. ალექსანდრე გაჩეჩილაძე (ცივი)

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ჟურნალისტი, მეთოდისტი, სოფ. ტყემლანის სკოლის დირექტორი.

დაიბადა 1905 წ., სოფ. საწაბლეში, გარდაიცვალა 2000 წ.. **მშობლები: ჩიქოვან გიორგის ძე გაჩეჩილაძე, კესარია დავითის ას. სალაძე.**

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ენერგიულობით, საუცხოო მეხსიერებით და მათემატიკისადმი ნიჭით. მშობლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ შვილის ეს მონაცემები და თავს არ იზოგავდნენ, რათა თავიანთი მწირი შემოსავლით მისთვის კარგი განათლება მიეცათ.

ცნობისმოყვარე ყმაწვილი ხარბად ითვისებდა კეთილშობილი ოჯახის ტრადიციებს, პატარაობიდანვე შეიყვარა შრომა და სწავლა.

შვიდი წლისა წერა-კითხვას აზიარა სოფლის მღვდელმა, გრიგოლ სუხიაშვილმა, რომლის პედაგოგიურ ალღოსა და ადამიანურ თვისებებს მადლიერებით იგონებდა ხანდაზმულობისას.

სოფ. ბოსლევის დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1924 წ., სწავლა განაგრძო ზესტაფონის ცხრაწლიან სკოლაში. იქაც გამოიჩინა თავი. ნიჭიერი ახალგაზრდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გადაიყვანეს.

1926 წელს იგი სასწავლებლად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიდა.

1930 წ. მუშაობა დაიწყო სოფ. ბოლოკიანის (ლაგოდეხის რ.) არასრული საშ. სკოლის დირექტორად. სათავეში ჩაუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. დღისით მთელი დატვირთვით მუშაობდა ბავშვებთან, საღამოს კი ზრდასრულ ადამიანებს ასწავლიდა.

„გვჯერა, რომ შენს მიერ ნათეს ადამიანურ გრძნობებზე აღიზრდება მრავალი თაობა, რომელიც აღიბეჭდავს გულში უკვდავ ძეგლად შენდამი ღრმა სიყვარულს, რაც საუკეთესო ჯილდოდ უნდა ჩაითვალოს ყველა პატიოსანი მოღვაწისათვის“, – წერდა, ახალგაზრდა მასწავლებლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, გაზეთი „სახალხო განათლება“–1931 წელს.

1941-1945 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, იბრძოდა ბულგარეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, სამხედრო კომენდატურაში ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას (იგი გრამატიკულად გამართულად ფლობდა რუსულ ენას), დაჯილდოებული იყო 15 საბრძოლო მედლით.

1945 წლის 10 ოქტომბერს ბ-ნი ალექსანდრეს ოჯახი, სოფ. საწაბლის მოსახლეობასთან ერთად, სოფ აწყურში გადაასახლეს. ამავე წელს ბ-ნი ალექსანდრე მუშაობას იწყებს დირექტორად სოფ. ტყემლანის არასრულ საშ. სკოლაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. პარალელურად მუშაობდა სოფლის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, სოფსაბჭოს თავმჯდომარედ.

„ბედმა სად არ მატარა, რას არ შემახვედრა ავსაც და კარგსაც, მაგრამ არასოდეს გადამიხვევია იმ უმთავრესისაგან, რასაც კაცის სამსახური და ღმერთის წყალობა ერქვა, არასოდეს ვყოფილვარ იოლი გამდიდრების მოყვარული, სხვისი შეწუხება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თავმოყვარე კაცის ცხოვრებით ვცხოვრობდი მუდამ“... „მოწოდებით მასწავლებელი ვიყავი, არ ვერიდებოდი ბავშვის მიმართ მკაცრ მოპყრობას... საშუალო სკოლა ხომ ის საფუძველია, რომელზეც უნდა დაშენდეს ადამიანის მომავალი ცხოვრება“...

„ყოველი ბავშვი ჩემთვის განსაკუთრებულ საიდუმლოებას წარმოადგენდა, რომლის ახსნაც მევალებოდა, როგორც აღმზრდელს, როგორც მასწავლებელს,“ – წერდა იგი.

განათლების განყოფილების შეფასებით: „ბატონ ალექსანდრეს გაკვეთილები პედაგოგის შემოქმედების ნიმუშს წარმოადგენდა“.

ბ-ნ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – ანა ბარბაქაძე, შვილები: ფელიქსი, ნინო, კიზი, აზა, რუსუდანი, ხუთი შვილიშვილი, თორმეტი შვილთაშვილი.**

„გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, № 2, 2012 წ., რედ. ეკატერინე გაჩეჩილაძე.

7. ალფეზ გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

კომერსანტი, ქველმოქმედი.

დაიბადა 1866 წ., სოფ წევაში, გარდაიცვალა 1949 წელს, დაკრძალულია ზესტაფონში. **მამა ფარსადან გაჩეჩილაძე**. (ალფეზს ჰყავდა სამი ძმა: სტეფანე, გიგო და ოქროპირი).

9 წლის ალფეზი მამამ ზესტაფონში ჩაიყვანა და დუქანში ბიჭად მიაბარა. მან ისეთი გერგილიანობა გამოიჩინა, რომ 19 წლისა უკვე რამდენიმე დუქნის მეპატრონე იყო.

სტუმრის მისაზიდად თავის დუქნებში ასეთი სიახლე დანერგა: ერთი დოქი ღვინო, მწვანილი და პური უფასო იყო. კომერციული ალღოს მეოხებით ალფეზი თანდათან უფრო წარმატებული ვაჭარი გახდა და მეორე გილდიის ვაჭრის წოდებაც მიენიჭა (ზესტაფონში პირველი გილდიის ვაჭარი არავინ იყო). დუქნების გარდა, მას ჰქონდა ფართლეულობის მაღაზიები, სახლები ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში (შემდეგში ამ სახლებში სკოლები იყო განთავსებული), ფლობდა ჭიათურის მანგანუმის საბადოს აქციებს. საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა თავის რუს და სომეხ კოლეგებთან (აღსანიშნავია, რომ თავის ვაჟებს საქმიანი მეგობარ-პარტნიორების სახელები დაარქვა: მიტროფანე – როსტოველი ვაჭრის, ტიგრანი (ტიტე) კი სომეხი ვაჭრის პატივსაცემად. ალფეზს პირადი დაცვა ჰყავდა – 12 ცხენოსანი ლეკი. ოჯახში იყო უამრავი შინამოსამსახურე. ამ გოგოებს კარგად ექცეოდნენ და, გათხოვებისას, ღირსეულად ამზითვებდნენ. ისინი ამის შემდეგაც არ კარგავდნენ ფარსადანის ოჯახთან კონტაქტს. იყო ნათელმირონობა და ურთიერთპატივისცემა. ალფეზის გარდაცვალების შემდეგაც მოდიოდნენ და ძღვენის მორთმევით გამოხატავდნენ მადლიერებას.

როცა ბოლშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლების მოსაპოვებლად, ალფეზი ბოლშევიკების რაზმსაც კი ინახავდა, მაგრამ, გასაბჭოების შემდეგ, მაინც ყველაფერი წაართვეს: სახლები, დუქნები, მაღაზიები, აქციები, ოქრო და ციხეშიც ჩააგდეს. გაუსაძლის პირობებში, მას ფეხზე განგრენა განუვითარდა და, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, ციხიდან გამოაგდეს – აქ არ მოკვდესო.

ხეიბრობის მიუხედავად, იგი, შეძლებისდაგვარად, მაინც შრომობდა. ზესტაფონში, „ირინეს ბაღის“ გვერდით, პატარა ბაღი ჰქონდა (2500 მ²), რომელიც ნამდვილ წალკოტად აქცია. მოჰყავდა „ადესა“, უამრავი ხილი და უამრავ ყვავილსაც ახარებდა. პატარა სამფეხა სკამების მეშვეობით გადაადგილდებოდა, მაგრამ მაინც დილიდან დაღამებამდე საქმიანობდა.

ალფეზი 1893 წ. დაქორწინდა ჭიათურის რ. სოფ. ვაჭევის მამასახლისის – იოსებ ცერცვაძის 14 წლის ქალიშვილზე, მარიამზე (1879–1967). შეძლებულ ოჯახში გაზრდილ, სწავლით დაინტერესებულ მარიამს, იმ დროისათვის, კარგი განათლებაც ჰქონდა მიღებული. (მათ სასწავლებელში სტუმრად ჩასულმა ილია ჭავჭავაძემ, წარჩინებული სწავლისათვის,მარიამს ოქროს ჯვარი და ლოცვანი აჩუქა).

მარიამი, განსწავლულობასთან ერთად, უაღრესად ღვთისმოსავი და ძალზე მამაცი პიროვნება იყო: გადმოცემის თანახმად, ზესტაფონში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ალფეზ გაჩეჩილაძის დიდ, ორსართულიან სახლში მძარცველები შეიჭრნენ, მარიამი თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად მარტო იყო სახლში, მაგრამ არ დაიბნა და ნამდვილი სპექტაკლი მოაწყო: იძახდა მამაკაცთა სახელებს და ავალებდა, თუ რომელ მათგანს სახლის რომელი ნაწილი უნდა დაეცვა. ქურდებმა დაიჯერეს, რომ სახლი მამაკაცებით იყო სავსე და გაიქცნენ.

მარიამი და ალფეზი დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ. მაგ.: ზესტაფონის თეატრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის შესასყიდად, მარიამმა, დაუთვლელად, ორი პეშვი ოქროს ფული გადასცა ამ საქმის ორგანიზატორებს (ამის შესახებ წერია დოდო ანთაძის წიგნშიც „თეატრალური ზესტაფონი“)...

ალფეზს და მარიამს 10 შვილი შეეძინათ. ამათგან ორი მცირეწლოვანი გარდაიცვალა. დანარჩენი რვა შვილი გაიზარდა და შექმნეს ოჯახები:

ალექსანდრა (შურა) – მეუღლე მინაგო ბოგვერაძე, ორი შვილი;
ოლია – მეუღლე კასიონ ვაჭარაძე, ერთი შვილი;
თამარი – მეუღლე ევგენი ჩიხლაძე, ორი შვილი;
მარიამი – მეუღლე სოლომონ ლეონიძე, შვიდი შვილი;
მიტროფანე (მიტო) – მეუღლე რუსუდან კაჭკაჭიშვილი, ხუთი შვილი;
ტიგრანი (ტიტე) – I მეუღლე ლუბა ნიორაძე, ერთი შვილი,
II მეუღლე სულიკო დადუნაშვილი,
III მეუღლე ლუბა შალამბერიძე, ერთი შვილი;
ლილი – I მეუღლე ჟორა ჩინჩალაძე, ერთი შვილი,
II მეუღლე ალექსანდრე შაორშაძე, ორი შვილი;
მერი – მეუღლე ზურაბ დევდარიანი, სამი შვილი.

8. ამბროსი გაჩეჩილაძე (ნოღა)

„დიდი სამამულო ომის“ ვეტერანი. სოფ. სანახშირის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე (1950-1997 წლებში), პარტიული ორგანიზაციის მდივანი და პროფკავშირის თავმჯდომარე...

დაიბადა 1919 წ. აპრილში, ს. წევაში. **მშობლები: ნიკოლოზ ზალიკოს ძე გაჩეჩილაძე, ნადეჟდა ამბაკოს ას. ფერაძე.**

1936 წ. დაამთავრა სოფ. შროშის სკოლა.

1939 წ. –ზესტაფონის პედაგოგიური ტექნიკუმი.

1940 წ. მუშაობა დაიწყო სოფ. სანახშირის შვიდწლიან სკოლაში მასწავლებლად.

1940 წლის ოქტომბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

1941 წლის ივნისიდან ჩაერთო დიდ სამამულო ომში – როგორც ტანკისტი, ზემდეგის წოდებით.

მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინის, მოსკოვის, კავკასიის, შავიზღვისპირა ტერიტორიებისათვის მიმდინარე ბრძოლებში. დაჭრილი და საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სოფელში და მუშაობა განაგრძო სანახშირის სკოლაში. პარალელურად სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე.

1950 წლიდან 1997 წლამდე იყო სანახშირის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი და პროფკავშირის თავმჯდომარე.

1952 წლიდან – 1959 წლამდე – სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სამამულო ომის ორდენი და 14 მედალი.

ამჟამად ბ-ნი ამბროსი პენსიონერია, შრომის ვეტერანი,

დამსახურებული მასწავლებელი, ომის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი – ლეიტენანტის სამხედრო წოდებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და ინვალიდობისა, იგი აქტიურად მონაწილეობს სოფლისა და რაიონის აქტუალური საკითხების მოგვარებაში.

ბ-ნ ამბროსის ჰყავს მეუღლე აგრაფინა ბეგაძე, ორი შვილი შვილიშვილი და შვილთაშვილი.

9. ანდრო გაჩეჩილაძე

რიონჰესის ბუღალტერი,
„დიდი სამამულო ომის“ ვეტერანი.

დაიბადა 1903 წ. 3 თებერვალს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1984 წელს. **მშობლები: სამსონ გაჩეჩილაძე, ნინო (ერო) ფხალაძე.**

დაამთავრა ზესტაფონის საშ. სკოლა.

1921 წლიდან მუშაობდა ჭიათურაში „მარგანეცმშენში“.

1925-1930 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1930 წელს დაამთავრა ზესტაფონის საბუღალტრო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ზესტაფონში რაიფინგანის განყოფილებაში ბუღალტერ-ინსპექტორად.

1942 წლის აგვისტოში გაიწვიეს სამამულო ომში. 1943 წლის მარტში, ჭრილობების გამო, დაუბრუნდა ოჯახს.

1943 წლიდან მუშაობდა რიონჰესში – გასამხედროებული ნაწილის ბუღალტრად.

1963 წელს გავიდა პენსიაზე.

ბ-ნ ანდროს ჰყავდა **მეუღლე – ალექსანდრა ივანეს-ას. გაჩეჩილაძე, შვილი: ბორის გაჩეჩილაძე (1942)** - ინჟინერ-ელექტრიკოსი, **შვილიშვილები: ანდრეა და ლელა გაჩეჩილაძეები.**

10. ანდრო გაჩეჩილაძე (პაპუჩელაშვილი-ხბოსთავა)

ხე-ტყით მოვაჭრე, 1937 წ. რეპრესირებული.

ანდრო გაჩეჩილაძე დაიბადა 1899 წ., გარდაიცვალა 1945წ.. **მამა – სპირიდონ ათანას ძე გაჩეჩილაძე** – შეძლებული გლეხი.

ანდროს მამა სოფ. წევაში ცნობილი იყო კაცური კაცობით და კარგი მეურნეობით. მისი მამული განთქმული იყო ვაზის და ხეხილის კარგი ჯიშებით და წაბლის ტყის მასივით. მისი ხარ-ურემიც მთელ სოფელში გამორჩეული იყო – ამ ურმით ჭიათურიდან შორაპანში ყველაზე მეტი მარგანეცი ჩამოჰქონდა.

სპირიდონს ჰყავდა ოთხი ქალიშვილი: ფაცია (ფედოსი), ვერიჩკა, ალექსანდრა და კატო და ერთი ვაჟი – ანდრო.

მამამ თავისი ერთად-ერთი ვაჟი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ზესტაფონში, ხის დამამუშავებელ საწარმოში მიაბარა შეგირდად. ანდრო მაღალ დონეზე დაუფლებია სპეციალობას და ამავე საწარმოში დაუტოვებიათ საქონელმცოდნედ. მას ხის მასალა შემოჰქონდა როგორც საქართველოს დასავლეთი რაიონებიდან (ანაკლია, ზუგდიდი, ხობი და სხვ.), ისე რუსეთიდან.

ანდრო გაჩეჩილაძე 1937 წ. დააპატიმრეს, იმის გამო, რომ მან არ გასცა თავისი ახლობელი – ელისე გაჩეჩილაძე, რომელსაც მილიცია ეძებდა კონტრაბანდისტობისათვის, კომუნისტი მოხელის მოკვლისათვის და მისი დამბეზღებლების ოჯახების დაწიოკებისათვის.

ელისე ხშირად იმალებოდა და მრავალმხრივ დახმარებას იღებდა ანდროს ოჯახში, რის გამოც ანდრო სამშობლოს ღალატის მუხლით გაასამართლეს და 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელს კიროვის ოლქში, სოლიკამსკის საბადოებში იხდიდა. იქ ტუბერკულოზით დაავადდა და 1945 წ. გარდაიცვალა.

ანდრო გაჩეჩილაძეს დარჩა სამი მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც ანდროს მეუღლემ, ვერა კოპაძემ, მარტომ გაზარდა.

10ბ. (55). ვერა კოპაძე

(ანდრო გაჩეჩილაძის მეუღლე)
სამაგალითო დედა, მეოჯახე და მოქალაქე.

დაიბადა 1903 წ., გარდაიცვალა 1965 წ. **მშობლები: ალექსანდრე კოპაძე, კასიონე რობაქიძე.**

ვერა კოპაძემ დიდი სულიერი მხნეობა და ოჯახისადმი თავდადება გამოიჩინა და, მეტად რთულ დროში, კარგი შვილები გაზარდა. სამთავემ უმაღლესი დაამთავრა და კარგი ოჯახები შექმნეს.

1950 წ. ანდრო გაჩეჩილაძე გაამართლეს და ქალბატონ ვერას პენსია დაუნიშნეს.

1990-იან წლებში ანდრო გაჩეჩილაძე სხვა გადასახლებულებთან ერთად უკანონოდ რეპრესირებულად გამოცხადდა და მის შვილებს პენსია დაენიშნათ.

ქალბატონი ვერა, რომელიც ყველასთვის საპატივცემულო ადამიანი იყო, ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. მას დარჩა **შვილები რევაზ*, ვახტანგ და მალონი გაჩეჩილაძეები,** რძლები და შვილიშვილები. უფროსი ვაჟი – **რევაზი** - მეცნიერებათა კანდიდატი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრია. იგი გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის აქტიური წარმომადგენელია მისი დაარსების დროიდან დღემდე.

11. ანზორ კობერიძე

წევის ეკლესიის ერთ-ერთი მცველი. ამავე ეკლესიის მღვდლის, სამსონ გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) შთამომავალი.

დაიბადა 1933 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 2008 წ., სოფ. წევაში. **მამა – იერემია კობერიძე.**

ბ-ნი ანზორი იყო მშვიდი, თბილი ბუნების ადამიანი, კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა თანასოფლელთა შორის. სიცოცხლის ბოლო წლებში უანგაროდ ასრულებდა წევის ეკლესიის მცველის მოვალეობას.

11ბ. (81). ლილი გაჩეჩილაძე

წევის ეკლესიის ერთ-ერთი მცველი.
ბ-ნ ანზორ კობერიძის მეუღლე.

დაიბადა 1932 წ., დ. შორაპანში. **მამა–არკადი გაჩეჩილაძე.**

მეუღლის მსგავსად, ქ-ნი ლილიც, წლების განმავლობაში უანგაროდ მეთვალყურეობს წევის ეკლესიას.

იგი მშვიდი, თბილი ბუნების ადამიანია, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თანასოფლელთა შორის. მას და ბ-ნ ანზორს „შეხმატკბილებული“ ცოლ-ქმრობა ჰქონდათ.

მათ ჰყავთ **შვილები: გელა და ნუგზარ კობერიძეები,** რძლები და შვილიშვილები.



12. არჩილ (იაშა) გაჩეჩილაძე

თბილისის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების უფროსი ინსპექტორი...

დაიბადა 1915 წ. 14 ივნისს, წევაში. **მამა - ლავრენტი გაჩეჩილაძე**.

განათლება მიიღო წევის სკოლაში, შემდეგ - შორაპნის მუშფაკში.

1934 წ. გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში და სწავლა განაგრძო კოოპერაციის ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

1935-1937 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში.

1937-1941 წლებში – თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემაში – სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

1941წ. გაიწვიეს სამამულო ომში. 1942 წელს დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. გამოიარა ყველა ის უბედურება, რაც ტყვეებს ხვდათ წილად. განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდა წითელ არმიაში.

დაჯილდოებული იყო სამამულო ომის ორდენით, 70 წლის საიუბილეო მედლით (1988 წ.).

1945 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებაში უფროს ინსპექტორად.

ბ-ნ იაშას უზომოდ უყვარდა წევა და წეველები. ომიდან დაბრუნებულს სოფელი გასახლებული დახვდა. მისი ერთი ძმა – კაკო ომში დაიკარგა უგზო-უკვლოდ, მაგრამ მამისეული კერა არ მოშლილა – მეორე ძმა – თომა, ომიდან დაბრუნებული, სოფელში დამკვიდრდა.

წევაში სახლი იაშამაც აიშენა. თბილისიდან მისი სოფელში ჩასვლა მისთვისაც დღესასწაული იყო და სოფლელებისათვისაც: არავის ტოვებდა უყურადღებოდ, ბევრ მათგანს ოჯახში აკითხავდა, არავისთან ხელცარიელი არ მივიდოდა. ბევრი სიკეთე გაუკეთებია მოგვარეებისათვის. განსაკუთრებით ზრუნავდა გვარის ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე...

უყვარდა ნათესავებთან სტუმრობა. ყველას აკავშირებდა ერთმანეთთან.

მისი დიდი სურვილი იყო, რომ მის შთამომავლობას წევასთან კავშირი არ გაეწყვიტა. ეს სურვილი ასრულდა – მისმა სიძემ, არქიტექტურის აკადემიკოსმა, ვახტანგ დავითაიამ,საკუთარი პროექტით,სასოფლო ტიპის უნიკალური საცხოვრებელი სახლი ააგო იაშა გაჩეჩილაძის ნასახლარზე, რაც თავისებური ძეგლიცაა ამ შესანიშნავი პიროვნების უკვდავსაყოფად.

ბ-ნ იაშას ჰყავდა **მეუღლე – გალინა სტოროჟნიჩენკო**. მათი შთამომავლები არიან **ქალიშვილი – ნათელა გაჩეჩილაძე, შვილიშვილები: მაია და თეა დავითაიები, შვილთა შვილები: გუგა და მარი გვაზავები და ნუციკო და თიკა მახარაშვილები**.

13. არჩილ გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

დაიბადა 1979 წლის 5 ივნისს. **მშობლები: რამაზ მიტროფანეს ძე გაჩეჩილაძე** (შპს „მწვანე სახლის“ ფინანსური დირექტორი), **ნანა კვიკვინია** (ქიმიკოსი).

1996 წ. დაამთავრა ა. რაზმაძის სახელობის 25-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა.

1995 და 1996 წლებში არჩილი იყო საქართველოს მათემატიკური ნაკრების შემადგენლობაში და მონაწილეობდა საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადებში კანადასა და ინდოეთში, სადაც იგი დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით.

წარჩინებით დაამთავრა თსუ – ეკონომიკის ბაკალავრისა და იურისპრუდენციის ბაკალავრის კვალიფიკაციით.

რამდენიმეწლიანი პროფესიული მუშაობის შემდეგ, მათ შორის მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროექტში და ევრობანკის საქართველოს წარმომადგენლობაში, სწავლა განაგრძო აშშ-ში. 2006 წელს მიიღო მაგისტრის წოდება ნიუ იორკის შტატში მდებარე კორნელის უნივერსიტეტში – ბიზნესის ადმინისტრირების განხრით.

არჩილი არის ლონდონის საერთაშორისო ფინანსური ანალიზის საზოგადოების წევრი, მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის წოდება.

2006 წლიდან მუშაობდა ლონდონში,საინვესტიციო ბანკის ლემან ბრაზარსის კერძო კაპიტალის მართვის განყოფილებაში, ასოცირებული ბანკირის თანამდებობაზე. 2008 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობდა „თიბისი ბანკში“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. ხოლო 2009 წლიდან მუშაობს „საქართველოს ბანკში“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

ბ-ნ არჩილს ჰყავს **მეუღლე – ნინო ამონაშვილი** და **ქალიშვილი – ანა გაჩეჩილაძე.**

14. ბაბალე (ბაია) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

მათემატიკის მასწავლებელი, თბილისის 117-ე საშ. სკოლის დირაქტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში...

დაიბადა 1948 წ. 7 ნოემბერს, სოფ. წევაში. **მშობლები: ივანე ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე (გ.1951წ.), მარიამ ამბროსის ას. ბერაძე (გ.1993 წ.).**

1963 წ. დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა და სწავლა განაგრძო თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში მუშაობდა თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის უფროს ინჟინერ-ტექნოლოგად – მასალათა ნორმირებაზე.

1977 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის 82-ე საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1979-1980 სასწავლო წელს დაინიშნა თბილისის 117-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1996-1997 სასწავლო წლიდან მუშაობს ამავე სკოლის მატემატიკის მასწავლებლად. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა შორის.

ქ-ნ ბაბალეს ჰყავს **მეუღლე – ნოდარ აბელის ძე ცუცქირიძე**– ინჟინერ-მშენებელი, **შვილები: ბადრი – ქირურგი, ხათუნა – მეან-გინეკოლოგი და შვილიშვილები: ანა და ნიკა ცუცქირიძეები და კოკა ზარქუა.**

15. ბარბალე (თალიკო) გაჩეჩილაძე
(ოთიაშვილი)

ღვაწლმოსილი პედაგოგი, თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, განსაკუთრებით ამაგდარი მოყვასი...

დაიბადა 1902 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1977წ., დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე. **მშობლები: კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე – წევის ეკლესიის მოძღვარი, ლეონინე იოსების ას. კალანდაძე.**

სწავლობდა წევაში, ზესტაფონში, ქუთაისში, თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სკოლებში. იყო კარგი სპეციალისტი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამსახურებრივ მოვალეობებს.

იგი იყო ბრძენი ქალბატონი, დაჯილდოებული ლიდერობის და ორგანიზატორობის ნიჭით. 1946-1055 წლებში მუშაობდა თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილებაში: უფროს მეთოდისტად, განყოფილების გამგის მოადგილედ, გამგედ.

იყო ინტერესიანი, აქტიური, ენთუზიაზმით აღსავსე, ხალისიანი, ძალზე გულისხმიერი ადამიანი, ნათესავების, მეზობლების, მეგობრების, თანამშრომლების შემაკავშირებელ-დამაახლოვებელი, ამიტომ ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

ქ-ნ თალიკოს ჰყავდა **მეუღლე შალვა ნადირაძე, შვილი – ზურაბი** და **რძალი თამარ ნატრიაშვილი,** მისი **შვილიშვილები: მერაბი და დავითი** დაოჯახებულები არიან და ჰყავთ შვილები.

P.S. *გაჩეჩილაძეთა საგვარეულო წიგნის III ტომში ქალბატონი თალიკოს შესახებ გამოქვეყნებულია მისი ძმისშვილის, შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძის, მოგონება.*

16. ბელოვან (ლევი) ეფრემის ძე გაჩეჩილაძე
(ოთიაშვილი)

ქუთაისში საფიჩხიაზე მდებარე ეკლესიის მოძღვარი, პედაგოგი, გორის მაზრის სოფ. წიფას სკოლის დამაარსებელი.

გაზ. „ივერია“-ს 1893 წლის 29 იანვარის ნომერში (№21) გამოქვეყნებულია გორის მაზრის სოფ. წიფადან მიღებული ინფორმაცია:

„ძლივს გვეღირსა სკოლა მამა მღვდლის ლევი გაჩეჩილაძის წყალობით და ბ-ნ მიხეილ ქ. ყიფიანის დახმარებით. წარსულ წლის 10 ოქტომბრიდან მღვდელმა გამართა საეკლესიო სკოლა სოფელ წიფაში თავის საკუთარის ხარჯით, რომელშიაც თითონვე ასწავლის ყველა საგნებს. სკოლის გამართვისთანავე მშობლებმა სიხარულით მოიყვანეს თავიანთი ყმაწვილები. ამ სკოლაში სწავლობენ დღეს ვაჟები და ქალები ოცდა-ათამდე. რიცხვი ყმაწვილებისა თანდათან მატულობს.

იმედია,მამა მღვდელი ლევი გაჩეჩილაძე, როგორც დახელოვნებული და დიდი ხნის გამოცდილი მასწავლებელი, სამაგალითოდ აწარმოებს ამ სკოლის საქმეს. ვისურვებთ, რომ ამ მღვდლისთვის მიეცაძოთ სხვა მღვდლებსაც“.

[აქ დასახელებული მოძღვარი, უეჭველად, უნდა იყოს **ბელოვან (ლევი) ეფრემის***

ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი), რომელსაც უმოღვაწია ქუთაისში საფიჩხიაზე მდებარე ეკლესიაში. როგორც ჩანს, ზემოხსენებული პედაგოგიური გამოცდილება ბ. გ-მ ქუთაისში მიიღო (გაზ. ივერიის 1887 წლის 4 აგვისტოს №160-ში, მე-4 გვ-ზე გამოქვეყნებულია ლევი გაჩეჩილაძის წერილი – „განმეორებითი ეგზამენები დაიწყო ქუთაისის ორკლასიან საქალ-ვაჟო პეტრე-პავლეს სამრევლო სკოლაში“...).

ბ. გაჩეჩილაძე ნახსენებია „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I წიგნში გამოქვეყნებულ გ. არონიშიძის სტატიაში და ოთიაშვილთა გენეალოგიურ სქემში. მისი და მისი მეუღლის, კატოს, ფოტოსურათი დაბეჭდილია იმავე წიგნში გვ. 205].

17. ბესარიონ-კოტორი გაჩეჩილაძე

ადვოკატი. იუმორის გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ბ-ნ ბესარიონს უცხოვრია ქ. ზესტაფონში XX საუკუნის I ნახევარში.

ყოფილა კარგი განათლების მქონე ცნობილი ადვოკატი, გამორჩეული იუმორის გრძნობით და ენაკვიმატობით. მისი ოხუნჯობები, თურმე, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ზესტაფონში და მთელ იმერეთში.

მსახიობ თენგიზ ჩანტლაძეს (დ. 1933წ.) მისი ოხუნჯობები გამოუყენებია სპექტაკლში „პაემანი ხეზე, ანუ ბესარიონის თავგადასავალი“, რომელშიც ბესარიონის როლი თვითონ განუსახიერებია (სპექტაკლის სცენარი დაუწერიათ თენგიზ ჩანტლაძეს და ავთანდილ (ბაჯული) გელოვანს).

ბესარიონის ორი ოხუნჯობა ყოფილა გამოქვეყნებული გოლა ხიჯაკაძის წიგნში, რომელიც ზესტაფონის კულტურულ ცხოვრებას ეხება.

ბ. გ. დაოჯახებული ყოფილა, მაგრამ უშვილო. მის ახლობლებს ვერ მივაკვლიეთ. ინფორმაცია მის შესახებ მოგვაწოდა მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძემ.

18. ბორის გაჩეჩილაძე

„საქნერგოს” სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე.

დაიბადა 1942 წ. 2 აპრილს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: ანდრო სამსონის ძე გაჩეჩილაძე, ალექსანდრა ივანეს ას. კაპანაძე-გაჩეჩილაძე.**

1959 წ. დაამთავრა ზესტაფონის № 4 საშუალო სკოლა (რუსული სექტორი). იმავე წელს მუშაობა დაიწყო „ზესტაფონმშენში”.

1962 წ. საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო „საქნერგოში“–კავშირგაბმულობის ცენტრალურ კვანძზე – მორიგედ, შემდეგ – დისპეტჩერად.

1979 წ. დაამთავრა სპი-ს ენერგეტიკის ფაკულტეტი ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით.

1980 წლიდან სამუშაოდ გადავიდა „საქნერგოს” სასწავლო ცენტრში უფროს მეთოდისტად, ხოლო 1986 წლიდან დირექტორის მოადგილეა სასწავლო ნაწილში.

დაჯილდოებულია „შრომის მოწინავის“ და „შრომის ვეტერანის“ მედლებით.

ბ-ნ ბორისს ჰყავს **მეუღლე – ეთერ (ნანი) ვლადიმერის ას. ჩაჩუა-გაჩეჩილაძე** – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, **შვილები: ანდრეა და ლელა გაჩეჩილაძეები.**

19 - 19ა ბორის გაჩეჩილაძე

ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის
ყოფილი დოცენტი.

დაიბადა 1909 წ., გარდაიცვალა 1972 წ.. **მშობლები: ტრიფონ გაჩეჩილაძე, ზინაიდა ფუტკარაძე.**

კითხულობდა ფიზიკის კურსს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში და ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში.

ბ-ნი ბორისი მოსკოვში გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, შვილმა იგი მშობლიურ სოფელში – წევაში ჩამოასვენა. დაკრძალულია წევის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოზე.

ბ-ნ ბორისს ჰყავდა **მეუღლე – ვერა ვლადიმერის ას. კაპირინა** – მოსკოვის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის გამგე და **შვილი – ბორისი** (დ. 1945 წ.). **ბორის ბორისის ძე** ინჟინერ-კონსტრუქტორია. ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში. ჰყავს **ორი შვილი – ვახტანგი და ანჟელიკა.**

სურათზე ბორის ტრიფონის ძე გაჩეჩილაძე თავის ვაჟთან, ბორისთან ერთად.

20. გალინა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

სოფ. ბაღდადის სკოლის რუსული
ენის მასწავლებელი.

დაიბადა 1892 წ., შორაპნის მაზრის სოფ. წევაში, გარდაიცვალა დაახლოებით 1957 წ.. **მშობლები: მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე** – დეკანოზი, წევის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, **ანა ივანეს ას. არაბიძე.**

განათლება მიიღო ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრებისთანავე დაქორწინდა ექიმ ვ. ამაღლობელზე, რომელიც სამუშაოდ გაანაწილეს სოფ. ბაღდადში (ქუთაისის მაზრა).

გალინა გაჩეჩილაძემ მოღვაწეობა დაიწყო რუსული ენის მასწავლებლად ბაღდადის საშ. სკოლაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. მასწავლებლობის პერიოდში, დაუსწრებლად დაამთავრა თსუ-ის რუსული ენის ფაკულტეტი.

ქალბატონ გალინას ჰყავდა **მეუღლე – ვალერიან ამაღლობელი, შვილები: რეზო (ბიჭიკო), ნანა, ქეთევან, ეთერ, ლევან ამაღლობელები.**

21. გენო გაჩეჩილაძე (ბურდუხა)

საქართველოს საპატიო რკინიგზელი,
შორაპნის რკინიგზის სადგურის უფროსი,
სოფ. წევის კოლორიტული პიროვნება.

დაიბადა 1923 წ. 31 დეკემბერს, სოფ. წევაში. ტრაგიკულად დაიღუპა 1991 წ.. დაკრძალულია წევის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოზე.

მშობლები: ერმალოზ მოსეს ძე გაჩეჩილაძე (გ.1954), თამარ ცაგურია-გაჩეჩილაძე.

1938 წ. დაამთავრა წევის არასრული საშუალო სკოლა, 1941 წ. კი ზესტაფონის საშუალო სკოლა.

1943 წ. დაამთავრა რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი – მატარებელთა მოძრაობისა და ექსპლოატაციის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო შორაპნის სადგურის მორიგედ.

50 წელზე მეტ ხანს იმუშავა რკინიგზის სისტემაში. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო შორაპნის რკინიგზის სადგურის უფროსი. მიღებული ჰქონდა მრავალი მედალი და სიგელი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს საპატიო რკინიგზელის წოდება.

ბ-ნი გენო იყო კეთილი, გულღია, იუმორის გამორჩეული გრძნობის მქონე პიროვნება – ყველასათვის საყვარელი ადამიანი. თავისი კეთილშობილური ბუნება მან სიკვდილის წინაც გამოამჟღავნა – ექიმს და მილიციელს არ გაუმხილა, რომ მანქანა დაეჯახა (უთხრა – სიმაღლიდან გადმოვვარდიო...), იმ მოტივით, რომ – მე მაინც აღარაფერი მეშველება და მძღოლის ცოლ-შვილი რატომღა გავაუბედურო...

ბ-ნ გენოს დარჩა **შვილი გია** – ინჟინერ-მელიორატორი, **რძალი – ნინო ამირანის ას. ჯაში** – ექიმი **და შვილიშვილი – დათო.**

22. გივი (კაკო) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ინჟინერ-ენერგეტიკოსი, „საქმთავარენერგოს"
ზესტაფონის რაიონის ენერგოსისტემის
ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი.

დაიბადა 1954 წ. 16 მაისს, სოფ. წევაში. **მშობლები: გრიგოლ (ბახვა) კასიანეს ძე გაჩეჩილაძე, ლოლა ამბროსის ას. ვაჭარაძე- გაჩეჩილაძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო წევის რვაწლიან სკოლაში. 1981 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინ-სტიტუტეს ენერგეტიკის ფაკულტეტი.

1975-1981 წლებში მუშაობდა „თბილქალაქგანათება"–ში დისპეტჩერად.

1982-1984 წლებში –„საქმთავარენერგოს" ზესტაფონის ელექტრო ქსელში უფრ. ინჟინრად.

1984-1993 წლებში –„საქმთავარენერგოს" დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის სისტემათა ზესტაფონის რაიონის საწარმოს უფროსად.

1993-2002 წლებში მუშაობდა „საქენერგოს" ზესტაფონის რაიონის ელექტროსისტემის დირექტორის მოადგილედ.

1984 წ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სოფ. ზედა წევაში დაიდგა სატრანსფორმატორო ჯიხური, რომელმაც უზრუნველყო სოფ. ზედა წევის ნორმალური ელექტრომომარაგება.

1993 წელს მისი პირადი ინიციატივით და მისი და ბ-ნ გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძის ძალისხმევით, სოფ. წევის ისტორიაში პირველად, ფუნქციონირება დაიწყო საშუალო სკოლამ.

ბ-ნ გივი გაჩეჩილაძეს **ჰყავს ოთხი შვილი: გიორგი, მაია, ლონდა, მარიამი და შვილიშვილი – ლაშა.**

23. გიორგი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

უროლოგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1897 წ., გარდაიცვალა 1941 წ.. **მშობლები: ალექსანდრე ოთიას ძე გაჩეჩილაძე, ნინო (ნუშო) ნიკოლოზის ას. დუჩიძე.**

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (I გამოშვება) – ქირურგიის სპეციალობით. სამუშაოდ გაგზავნეს ქ. პეტერბურგში – სომეხ ქირურგ ორბელთან. იქ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – უროლოგიის სპეციალობით. შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და აქ უროლოგიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა.

ავტორიტეტული ექიმი იყო. ფილიპე მახარაძე, ვანო სტურუა და მაშინდელი პარტიული ელიტის სხვა წარმომადგენლები მასთან მკურნალობდნენ.

დაიღუპა კუჭის წყლულის ოპერაციის შედეგად 1941 წ., ომის დაწყების დღეს.



24. გიორგი არტევანის ძე გაჩეჩილაძე

24ა. (117). რიმა მალაქიას ას. გელაშვილი

წეველი მრავალშვილიანი მშობლები.

ბ-ნი გიორგი და ქ-ნი რიმა 8 შვილის მშობლები და 23 შვილიშვილის ბაბუა-ბებია იყვნენ.

ქ-ნი რიმა (დ. 1916 წ., გ. 2011 წ.), თავისი მხნეობითა და შრომისმოყვარეობით, სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის. ცოცხალი ბუნების, დაუზარელი, ყველასადმი კეთილგანწყობილი, ტკბილმოუბარი, იგი ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი იყო წევაში.

25. გიორგი აბესაძე (გაჩეჩილაძე – ოთიაშვილების შთამომავალი).

საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის და მღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი...

დაიბადა 1915წ., ზესტაფონის რ. სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1982წ., თბილისში. მშობლები: **ელეფთერ სიმონის ძე აბესაძე (18..-1921)** – წევის ეკლესიის წინამძღვარი და წევის სკოლის პედაგოგი, **ანასტასია ალფეზის ას. გაჩეჩილაძე.**

1932წ. თბილისის მექანიზაციის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ს. ბელღევის და ს. წევის სკოლების დირექტორად.

1933-1938წწ. სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1938-1941წწ. სსსი-ს აგროქიმიის კათედრის ასპირანტია.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან დამთავრებამდე საბჭოთა არმიის რიგებშია. 1942 წ. დაამთავრა ვოროშილოვის სახ. სამხედრო-ქიმიური აკადემია. ომის დასრულების დროისთვის ჰქონდა მაიორის ჩინი. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის ორდენით“ და მრავალი საბრძოლო მედლით.

1946-1954 წწ. სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოებზეა.

1947 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1946-1948 წწ. მუშაობდა საქ. კპ ცკ-ს სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად,

1948-1951 წწ. – ამავე განყოფილების გამგის მოადგილედ,

1951-1952 წწ. – საქ. კპ. ჯერ ქუთაისის და შემდეგ აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1953 წ. ნიშნავენ საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

1972 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1974 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება.

1974 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის გამგედ. გამოქვეყნებული ჰქონდა 80 სამეცნიერო სტატია და 3 მონოგრაფია.

ბ-ნი გ. აბესაძე იყო სოფ. წევის პატრიოტი, წევაში ბევრი სასიკეთო საქმის წამომწყები და განმახორციელებელი. წევის საავტომობილო გზა პირველად გაიყვანეს 1950-1951 წწ. გ. აბესაძის და სიმონ გაჩეჩილაძის თაოსნობით და ხელშეწყობით. ეს გზა აღდგენილი და კეთილმოწყობილი იქნა 1972-1973 წწ. ისევ გ. აბესაძის ხელშეწყობით და თაოსნობით.

ბ-ნი გიორგი იყო წეველების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი., სოფლის და იქ მცხოვრები გაჩეჩილაძეების მოამაგე, საოცრად გულისხმიერი ადამიანი, ყველა წეველისათვის საყვარელი „ჟორა ბიძია“..

ბ-ნ გიორგის ჰყავდა **მეუღლე – ლილი იოსელიანი, შვილი – თამარ აბესაძე.**

26. გიორგი გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

სამართალმცოდნე, სპორტსმენი.

დაიბადა 1978 წ. 6 მაისს, ქ. გორში. **მშობლები: თამაზ ვასილის ძე გაჩეჩილაძე** – მძღოლი, მემონტაჟე, **ლალი ვახტანგის ას. ტატიაშვილი** – ბუხჰალტერი.

1984-1995 წლებში სწავლობდა გორის მე-4 საშ. სკოლაში.

1995 წ. ჩაირიცხა გორის საერო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1999 წ..

1991 წ. ქ. გორში დაიწყო ვარჯიში კარატე დო-ში.

1997 წ. აჭარის ღია პირველობაზე კარატე დო-ში I ადგილი მოიპოვა ინდივიდუალურ კუმიტეში.

1998 წ. აჭარის მინისტრთა საბჭოს პრიზზე I ადგილი მოიპოვა ინდივიდუალურ კუმიტეში და გუნდურ კუმიტეში.

1998 წ. თურქეთის ღია ჩემპიონატზე კარატე დო-ში – III ადგილი ინდივიდუალურ კუმიტეში.

1998 წ. საქართველოს ჩემპიონატზე – I ადგილი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში.

1999 წ. საქართველოს ჩემპიონატზე კარატე დო-ში I ადგილი ინდივიდუალურ და გუნდურ კუმიტეში.

2001 წ. თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე – III ადგილი გუნდურ კუმიტეში.

1999-2000 წლებში, თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით, ხელჩართულ ბრძოლაში ავარჯიშებდა ოფიცერთა ჯგუფს.

1997 წ. შესულია კარატე–დოს საუკეთესო სპორტსმენთა სიაში.

არის საქართველოს ნაკრების წევრი, შავი ქამრის და მეორე დანის მფლობელი.

27. გიორგი გაჩეჩილაძე (მაღალი)

სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1955-დან 1967 წლამდე, ზიკილიის სოფსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე 1975-1988 წლებში...

დაიბადა 1927 წ., სოფ წევაში. **მშობლები: ივანე და მარიამ გაჩეჩილაძეები.**

1941 წ. დაამთავრა სოფ. წევის შვიდწლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ძირულის საშ. სკოლაში, მაგრამ, ამავე წლის ოქტომბერში, ზესტაფონის კომისარიატმა სამხედრო მობილიზაციით გაგზავნა სამუშაოდ ჭიათურის მაღაროში.

1944 წლის დეკემბერში მისი ოჯახი, სოფ. წევის მოსახლეობასთან ერთად, იძულებით ჩაასახლეს ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში.

1945 წ. იგი გაათავისუფლეს ჭიათურის მაღაროდან. იმავე წელს სწავლა განაგრძო ზიკილიის საშ. სკოლაში, რომელიც 1948 წ. დაამთავრა და ჩაირიცხა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1952 წ.. იმავე წელს დაინიშნა კოლმეურნეობაში აგრონომად.

1956 წ. დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობა.

1955 წ. ახალციხის კპრ-ის რეკომენდაციით აირჩიეს სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1967 წლამდე. შემდეგ, კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა მეურნეობა. 1967 წლიდან 1975 წლამდე ბ-ნი გიორგი მუშაობდა აღნიშნული მეურნეობის უბნის უფროსად, მთავარ აგრონომად.

1975 წლიდან 1988 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, იგი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო.

ბ-ნი გიორგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის" ორი ორდენით და ათი სხვადასხვა მედლით. იგი არის შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი. ამჟამად ეწევა ოჯახურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

მას ჰყავს **მეუღლე – ელისაბედ გაჩეჩილაძე** – გეოგრაფი (ქ-ნ ელენეს 40 წლის პედაგოგიური სტაჟი აქვს, მათ შორის 39 წელი სოფ. ზიკილიის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო) და **შვილები: მარინა** – ამჟამად ახალციხის გუბერნატორის მთავარი მრჩეველი, **დავითი** – ეკონომისტი. მუშაობს ახალციხის საბაჟოს გამშვებ პუნქტზე.

28. გიორგი (ჟორა) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ზესტაფონის რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორი, ზესტაფონის სახალხო თეატრის რეჟისორი და მსახიობი...

დაიბადა 1945 წ. 25 იანვრს, სოფ. წევაში. **მშობლები: ივანე ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე** (გ.1951 წ.), **მარიამ ამბროსის ას. ბერაძე** (გ.1993 წ.).

დაამთავრა ს. წევის რვაწლიანი სკოლა, შემდეგ თბილისის 49-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი.

მუშაობდა თბილისის კიბერნეტიკის ინსტიტუტში ტექნიკოსად.

დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

მუშაობდა: ჭიათურის სახალხო თეატრში მსახიობად,

ზესტაფონის რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორად,

ზესტაფონის სახალხო თეატრის რეჟისორად და მსახიობად.

1980-იანი წლებიდან მუშაობა განაგრძო რუსეთში – ამურის ოლქის ბლაგოვეშჩენსკის რაიონში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

I მეუღლე – ცემზა ჩახვაშვილი.

II მეუღლე – ელნარი გუმბერიძე (ზესტაფონის მე-3 საშ სკოლის პედაგოგი), **<u>შვილები:</u> ზვიადი (1964), ლელა (1969), ეკა (1973), სიძეები გოჩა კიკვაძე, გია ღიბრაძე, <u>შვილიშვილები:</u> ალექსანდრე, ანა, იულია, ილია გაჩეჩილაძეები, ნუკა და გიორგი კიკვაძეები, ნოდარი და ნია ღიბრაძეები, <u>შვილთაშვილი</u> – ნუცა გოგიბერიშვილი.**

29. გიორგი (ჟორა) გაჩეჩილაძე (ჭიჭილი)

II მსოფლიო ომის ვეტერანი. სოფ ზიკილიის საშ. სკოლის მასწავლებელი...

დაიბადა 1925 წ. 15 ივლისს, სოფ. წევაში. **მამა ნიკოლოზ გაჩეჩილაძე**.

დაწყებითი განათლება მიიღო ამავე სოფლის შვიდწლიან სკოლაში, შემდეგ სწავლობდა სოფ. ძირულის საშუალო სკოლაში.

სკოლა რომ დაამთავრა, მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. 17 წლის ყმაწვილს ომში წასვლა უნდოდა. მაგრამ გაწვევაზე სამხედრო კომისარიატმა უარი უთხრა. მან მოხალისედ წაყვანა მოითხოვა. მიავლინეს სნაიპერთა ერთწლიან სასწავლებელში, რომელიც 1942 წლის ნოემბერში დაამთავრა და ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს. იბრძოდა ბელორუსიის მიწა-წყლის დასაცავად. ქალაქ ბობრუისკისათვის ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა. მოსკოვის ჰოსპიტალში სამთვიანი მკურნალობის შემდეგ ისევ წინა ხაზზე გაგზავნეს. 1944 წლის გაზაფხულზე ბელორუსიის ქალაქების ორშასა და ვიტებსკისათვის ბრძოლებში მეორედ დაიჭრა მძიმედ. ქალაქ კისლოვოდსკის სამხედრო ჰოსპიტალში ოთხი თვის მკურნალობის შემდეგ სამედიცინო კომისიამ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად სცნო და ჯარიდან გაათავისუფლა, როგორც ინვალიდი. 1944 წ. შემოდგომაზე დაბრუნდა სამშობლოში.

საბრძოლო დავალებების სანიმუშო შესრულებისათვის მიღებული აქვს „დიდების" ორდენი და მრავალი მედალი.

1944 წ. მისი ოჯახი, სოფ. წევის მოსახლეობასთან ერთად, ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში ჩაასახლეს, სადაც მუშაობა დაიწყო სამ. სკოლაში სამხედროს მასწავლებლად. შემდეგ გადავიდა სამუშაოდ ცეკავშირის სისტემაში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

1945 წ. დაოჯახდა. ჰყავს **მეუღლე – ოლია სვანიძე** – ყოფილი პედაგოგი, **შვილები: – ჯამბული გაჩეჩილაძე** – ეკონომისტი, **ჯანერი გაჩეჩილაძე** – ინჟინერი, ასევე, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

30. გიორგი გაჩეჩილაძე (წველა)

სამხედრო, ზესტაფონის სამხედრო კომისარიატის საფინანსო განყოფილების გამგე.

დაიბადა 1903 წ., ქ. ზესტაფონში. **მშობლები: სტეფანე გაჩეჩილაძე** (ვაჭარი, ქველმოქმედი. წვლილი აქვს შეტანილი ზესტაფონის თეატრის მშენებლობაში), **მაიკო ბარბაქაძე** (დიასახლისი).

დაამთავრა ქ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1940-1974 წლებში მუშაობდა ზესტაფონის სამხედრო კომისარიატში – საფინანსო განყოფილების გამგის თანამდებობაზე. ჰქონდა კაპიტნის წოდება. იყო თავისი პროფესიის ერთგული, უანგარო მუშაკი. პატიოსანი შრომით თანაქალაქელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი ცხოვრების დევიზი იყო – დაეხმარე მოყვასსა შენსა...

სამამულო ომის „ზურგში" თავდადებული სამსახურისათვის მიღებული ჰქონდა რვა მედალი.

ბ-ნ გიორგის ჰყავდა **მეუღლე – თამარ მიხეილის ას. ლილუაშვილი** (ბუხჰალტერი), **შვილები: ლიანა გაჩეჩილაძე-თოხაძე** (გინეკოლოგი), **ჯუმბერი, მაგული, რუსუდანი** (ინჟინერ-გეოლოგი).

31. გიორგი გაჩეჩილაძე (ან – ჯაჭვაძე)

ვაჩნაძიანის ყველაწმინდას მოძღვარი
1910–1920-იან წლებში.

აღნიშნულ წლებში ვაჩნაძიანის ყველაწმინდაში უმოღვაწია მღვდელს, გიორგი გაჩეჩილაძეს (ან ჯაჭვაძეს), რომელსაც, თურმე, მეტსახელად „გაჩეჩილა მღვდელს" ეძახდნენ.

მას ჰქონია მოწყობილი ობოლთა თავშესაფარი, სადაც ზრდიდა ობლებს, შემდეგ აბარებდა „ფეზეოში" და მფარველობდა მათ მანამდე, სანამ ისინი დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებდნენ.

მის შესახებ პროფესორ ეთერ ჯაჭვაძისათვის უამბია ვინმე ალიკა არუთინოვს (რუსთავში მცხოვრებ ბუხჰალტერს), რომლის მამა მცირეწლოვანი გამოქცევია თურქების მიერ სომხებისათვის მოწყობილ გენოციდს და საქართველოში მოხვედრილა. გიორგი მღვდელს შეუფარებია ლტოლვილი, გაუზრდია, უსწავლებია და გზაზე დაუყენებია, რისთვისაც ის, თურმე, დიდად ემადლიერებოდა თავის მოძღვარს და მისდამი პატივისცემა და მადლიერება შთაუგონებია თავისი შთამომავლებისთვისაც.

32. (89ა). გიორგი კურდღელაშვილი

მეფეა ტერენტის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე. იხ. ბიოგრ. № 89ა.

33. გიული გაჩეჩილაძე-აბაშიძე (ოქროპირი)

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგი.

დაიბადა 1940 წლის 21 მაისს, ზესტაფონში.

მშობლები: მიტროფანე ალფეზის ძე გაჩეჩილაძე – მეცნიერი აგრონომი, საჩხერის საკავშირო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელი, **რუსუდან ივანეს ას. კაჭკაჭიშვილი** – დიასახლისი.

1964 წ. დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგად.

ქ-ნ გიულის ჰყავს **მეუღლე ევსევი (ომარ) აბაშიძე** და **სამი შვილი: თამარი, მაია და ალექსანდრე.**

თამარს ჰყავს მეუღლე გიორგი მანჯავიძე და ორი შვილი,

მაიას ჰყავს მეუღლე გიორგი ხეცაძე და ორი შვილი,

ალექსანდრე მუშაობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ჰყავს ერთი ვაჟი – ირაკლი აბაშიძე.



34. გრიგოლ (ბახვა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

„დიდი სამამულო ომის“ ვეტერანი, ლეიტენანტი...

დაიბადა 1920 წ. 21 აპრილს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1988 წ. 8 მაისს, სოფ. წევაში. **მშობლები: კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე** (წევის ეკლესიის მოძღვარი) და **ლეონინე იოსების ას. კალანდაძე** — ცხრა შვილის აღმზრდელნი.

განათლება მიიღო წევის რვაწლიან სკოლაში, შემდეგ ქუთაისის ეპარქიალურ და თბილისის საარტილერიო სასწავლებლებში.

1941 წ. გაიწვიეს სამამულო ომში. უნგრეთში, ბალატონის ტბასთან ბრძოლის დროს, ჩავარდა ტყვედ. სამშობლოში დაბრუნდა 1949 წლის გაზაფხულზე. 1950 წელს **დაქორწინდა ს. წევის სკოლის მასწავლებელ ლოლა ვაჭარაძეზე.**

1951 წლიდან მუშაობდა ქ. ზესტაფონში მაღაზიის გამგედ, 1973 წლიდან კი სასტუმრო „იმერეთში“ ადმინისტრატორად. კარგად ფლობდა გერმანულ და რუსულ ენებს.

აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მოვლასა და აღმშენებლობაში. მისი და ვანო და სერგო გელაშვილების ინიციატივით და მონაწილეობით შეკეთდა სოფლის გზა.

გრიგოლ გაჩეჩილაძეს, მეუღლესთან ერთად, უდიდესი წვლილი მიუძღვის წევის წმინდა გიორგის ეკლესიის მოვლა-პატრონობაში. 1965 (1967) წელს მისი ინიციატივით

და ძალისხმევით, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დახმარებით, წევის წმინდა გიორგის ეკლესია გადაიხურა თუნუქის სახურავით, რითაც განადგურებას გადაურჩა უძველესი ფრესკები. 1974 წ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკლესიის ეზოს შემოღობვის საქმეში.

ბ-ნი გრიგოლი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და რამდენიმე მედლით.

34ა. (82). ლოლა ვაჭარაძე-გაჩეჩილაძე

გრიგოლ (ბახვა) კასიანეს ძე გაჩეჩილაძის მეუღლე. წევის წმინდა გიორგის ეკლესიის მცველი 1954- 2001 წლებში, წევის სკოლის პედაგოგი.

დაიბადა 1925 წლის 13 ივლისს, ზესტაფონის რ. სოფ. კვალითში, გარდაიცვალა 2001 წ. 3 იანვარს, სოფ. წევაში. **მშობლები: ამბროსი ანთიმოს ძე ვაჭარაძე, ალექსანდრა პეტრეს ას. სამხარაძე.**

დაამთავრა კვალითის საშ. სკოლა, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1949 წ. სამუშაოდ გაანაწილეს წევის სკოლაში მასწავლებლად. ოცი წლის განმავლობაში ასწავლიდა ფიზიკა-მატემატიკას წევის რვაწლიან, შემდგომ საშუალო სკოლაში.

1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო წევის წმ. გიორგის ეკლესიის ოფიციალური მცველი. თავის მეუღლესთან ერთად, უდიდესი წვლილი შეიტანა ეკლესიის მოვლა-პატრონობაში. მისი დამსახურებაა, აღნიშნულ წლებში, ეკლესიის ბიბლიოთეკისა და ნივთების გადარჩენა.

ბატონ გრიგოლ (ბახვა) გაჩეჩილაძეს და ლოლა ვაჭარაძე- გაჩეჩილაძეს დარჩათ ორი შვილი: ნელი (ელა) დ.1951 წ., ფარმაცევტი, ექიმი-ფიტოთერაპევტი, **გივი (კაკო)** დ. 1954 წ., ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ექვსი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

35. გურამ გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

დაიბადა 1937 წლის 6 აპრილს, ზესტაფონში, გარდაიცვალა 1994 წელს. **მშობლები: მიტროფანე ალფეზის ძე გაჩეჩილაძე** – მეცნიერი აგრონომი, საჩხერის საკავშირო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელი, **რუსუდან ივანეს ას. კაჭკაჭიშვილი** – დიასახლისი.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება გერმანული ენის სპეციალობით. ასევე, დაუსწრებლად დაამთავრა 1985 წ. მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი აგროქიმიის სპეციალობით.

სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ.

ბ-ნ გურამს დარჩა **მეუღლე ეთერ თურმანიძე** და **ოთხი შვილი:**

მარინა – ჰყავს მეუღლე სპარტაკ საყვარელიძე და ორი შვილი,

ირინა – ჰყავს მეუღლე ვეფხია ხიჯაკაძე და ორი შვილი,
ეკატერინე – ჰყავს მეუღლე ბეჟან სამხარაძე და სამი შვილი,
დიმიტრი – ჰყავს მეუღლე ეკატერინე აბულაძე და ერთი შვილი.

36. დავით (ღუტუ) გაჩეჩილაძე (ღიღინა)

ინჟინერ–მეტალურგი, წევის მკვიდრი.

დაიბადა 1932 წ., 10 თებერვალს, სოფ. წევაში. **მშობლები ვარლამ გიორგის ძე გაჩეჩილაძე, სონა ილიკოს ას. კიკნაძე.**

სწავლობდა ს. წევის საშ. სკოლაში, შემდეგ სოფ. ძირულის საშ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1951 წ..

1952-1957 წლებში სწავლობდა და დაამთავრა სპი–ს მეტალურგიის ფაკულტეტი – მგლინავის სპეციალობით.

6 თვე მუშაობდა მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში.

1958 წლიდან 1992 წლამდე – რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ჯერ ოსტატად, შემდეგ ცვლის უფროსად.

1992 წ. დაბრუნდა მშობლიურ სოფელში, სადაც ეწევა სამეურნეო საქმიანობას.

ბ-ნ დავითს თანასოფლელები ახასიათებენ, როგორც ალალ, მშრომელ, კეთილ ადამიანს, იგი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს თანასოფლელთა შორის.

36ა. (102). ნანული (ნანა) შარიძაძე

სოფ. წევის საშ. სკოლის პედაგოგი.
დავით (ღუტუ) გაჩეჩილაძის მეუღლე.

დაიბადა 1937 წ. 15 ივნისს, ხარაგაულის რ. სოფ. ლედვანში. **მშობლები: მარიამ თხელიძე, სევერიან შარიქაძე.**

დაამთავრა ლედვანის საშ. სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1963 წ..

სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად თბილისის და რუსთავის სკოლებში.

1992 წლიდან ცხოვრობს სოფ. წევაში და მუშაობს იქაურ საშ. სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად.

მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება.

ქ-ნი ნანა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს მოსწავლეებსა და თანასოფლელებს შორის.

ბ-ნ დავითს და ქ-ნ ნანას ჰყავთ **შვილი –თემური** (დ. 1963 წ.), **რძალი – მანანა ჭოველიძე და შვილიშვილები დათო** და **ლაშა.**

37. დავით გაჩეჩილაძე

სოხუმის თეატრის მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების მედლის კავალერი.

დაიბადა 1950 წ. 19 იანვარს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1998 წ.. **მშობლები: ივანე გაჩეჩილაძე, სონა ლელაძე**.

1973-1977 წლებში სწავლობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა დრამის მსახიობის სპეციალობით.

1977 წელს დაიწყო მოღვაწეობა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ბრძოლა ტახტისათვის", „მარადისობის კანონი", „მიღების დღე", „დიდოსტატის მარჯვენა", „ყვარყვარე თუთაბერი" და სხვა.

1992-1993 წლებში აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში აფხაზეთში. 1993 წლის თებერვალში მიიღო მაიორის წოდება.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 13 მაისის ბრძანებულებით დავით გაჩეჩილაძე, ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის, ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

ბ-ნ დავითს დარჩა **მეუღლე – მაყვალა უგრეხელიძე** და **შვილები: გოგა, ივიკო, სოფიო** – თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი.

38. დავით გაჩეჩილაძე

სხვადასხვა დროს სოფლების-ტყემლანის და თისლის აგროუბნის უფროსი.

დაიბადა 1909 წ. 1 ივნისს, ზესტაფონის რ. სოფ. საწაბლეში. გარდაიცვალა 1980 წელს. დაკრძალულია სოფ. აწყურში. **მამა - ლავრენტი გაჩეჩილაძე.**

საწაბლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სოფ. შროშის სკოლაში, სადაც დაამთავრა ცხრა კლასი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქუთაისის ორწლიან ეკონომიკურ-პედაგოგიურ სასწავლებელში.

მასწავლებლად მუშაობდა სვანეთში, კახეთში – ლაგოდეხის რაიონში.

1941-1945 წლებში იბრძოდა „დიდ სამამულო ომში".

ომის დამთავრების შემდეგ, ჩავიდა ახალციხის რაიონის სოფ. აწყურში, სადაც ჩასახლებული იყვნენ მისი მეუღლე და შვილი. და დაიწყო დაიწყო მუშაობა სოფლის მეურნეობაში.

თორმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა სოფ. ტყემლანის აგროუბნის უფროსად, შემდეგ კი, პენსიაზე გასვლამდე, სოფ. თისლის აგროუბნის უფროსი იყო. დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით, როგორც საბრძოლო, ისე შრომითი ღვაწლისათვის.

აღზარდა ოთხი შვილი. მას დღემდე იხსენებენ, როგორც პატიოსან, მშრომელ, გულკეთილ ადამიანს.

39. დალი გაჩეჩილაძე

ექიმი, „ღირსების ორდენის“ კავალერი...

დაიბადა 1945 წ. 2 სექტემბერს. **მშობლები: ირაკლი ლეონტის ძე გაჩეჩილაძე** – პედაგოგი, **ქეთევან ალექსანდრეს ას. გუგუციძე** – პედაგოგი, საშუალო სკოლის დირექტორი.

1962 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1968 წ..

მუშაობდა ჯერ ექიმ ინფექციონისტად – ინფექციურ საავადმყოფოში, შემდეგ ექიმ რეაბილიტოლოგად – ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრში – სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილების გამგედ, შემდეგ, მე-9 სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში ექიმ – ფიზიოთერაპევტად.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 1 ივნისის № 663 ბრძანებულებით დაჯილდოებულია ღირსების ორდენით – როგორც კარგი სპეციალისტი, გულისხმიერი და კეთილსინდისიერი ექიმი.

ჰყავს **მეუღლე – დათო ლაფაური** – ქირურგი და **ორი ვაჟი:** ზურაბი – ექიმი სტომატოლოგი **და გოჩა** – ფინანსისტი, რომელმაც განათლება აშშ-ში მიიღო.

ქალბატონი დალის მშობლების, ძმის – ვახტანგის და დის – მერის ბიოგრაფიები შეტანილია ამავე წიგნში.

40. დიმიტრი (მიტუშა) გაჩეჩილაძე

სამეურნეო სფეროს ხელმძღვანელი მუშაკი
„საპატიო ნიშნის ორდენის” კავალერი...

დაიბადა 1911 წ. 15 მარტს, ზესტაფონის რ. სოფ. კვალითში, გარდაიცვალა 1999 წლის 10 მაისს.

მშობლები: მიხეილ მახარობლის ძე გაჩეჩილაძე, ლიზა გიორგის ას. მესხი.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა სავაჭრო ტექნიკუმი და სამწლიანი პარტიული სკოლა.

სამამულო ომის დროს მუშაობდა კვალითის სოფსაბჭოს თავმჯდომარედ; შემდეგ ხარაგაულის კოოპვაჭრობის თავმჯდომარედ; ომის დამთავრების შემდეგ – ზესტაფონის რაიონის ცხოველდამზადების დირექტორად;

1953-1956 წლებში – რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ; 1950-1960 წლებში საქვაჭრობის დირექტორად; 1960-დან 1974 წლამდე იყო ყველ-კარაქხორცის კომბინატის დირექტორი; 1976-1984 წლებში კი ზესტაფონის რაიონის ხილბოსტანვაჭრობის დირექტორი – პენსიაზე გასვლამდე.

წარმატებული მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა და ფულადი პრემია. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის” ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის”.

თავისი აქტიური მოღვაწეობით და კეთილშობილური ბუნებით გარშემო-მყოფთა დიდ სიყვარულსა დაპატივისცემას იმსახურებდა.

ბ-ნ დიმიტრის ჰყავდა მეუღლე – მარიამ გოგლიჩიძე და სამი შვილი: ომარი, სიმა და ნანული.

41. (116ა). დომნა სიმონის ას. აბესაძე

რაჟდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძის (კრეჭია) მეუღლე.
იხილეთ ბიოგრაფია № 116ა.

42. ეთერ (ელენა) გაჩეჩილაძე

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი...

დაიბადა 1930 წ. 29 დეკემბერს, ზესტაფონის რ. სოფ. საწაბლეში, გარდაიცვალა 2003 წ.. **.მამა – ერასტი გაჩეჩილაძე** – მეღვინე, შეძლებული გლეხი.

1948 წ. დაამთავრა ზესტაფონის ქალთა სკოლა. იყო ძალიან ნიჭიერი, სწავლაში წარჩინებული და ძალიან აქტიური მოსწავლე. გატაცებული იყო სპორტით. მონაწილეობდა სპორტულ შეჯიბრებებში. ჩემპიონი იყო ბადროს ტყორცნაში და სირბილში. შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს.

ძალიან უნდოდა ექიმი გამოსულიყო. მაგრამ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებისას, ქულები არ ეყო. შემდეგ თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე მოეწყო.

მაღალ დონეზე ფლობდა რუსულ ენას. უმაღლესი შეფასება ჰქონდა სინქრონული თარგმნის სისწრაფეში. იყო აქტიური სტუდენტი. ახასიათებდა სიახლისადმი დაუოკებელი ლტოლვა. არ ჰქონდა მნიშვნელობა ეს სიახლე მის პედაგოგიურ საქმიანობას ეხებოდა, საქვეყნო საქმეს, საოჯახო ცხოვრებას, კულინარიას, კულტურას, სპორტს თუ მედიცინას... ყველაფერი უნდოდა, რომ სცოდნოდა, ყველაფერი კარგად გამოსდიოდა.

კარგი პედაგოგი იყო,მაგრამ უფრო უკეთესი „უდიპლომო ექიმი“. ის თვითონ ამზადებდა მალამოებს. მის მეზობლებს, ახლობლებს, ამხანაგებს ფაქტიურად მის მეტი ექიმი არ სჭირდებოდათ. თითქმის ყველაფრის წამალი იცოდა. რაც მთავარია, მის წამალთაგან უპირველესი იყო ადამიანისადმი დამოკიდებულება. შეეძლო სიტყვით მოერჩინა ავადმყოფი. იყო ოპტიმისტი და შეეძლო სიცოცხლის ხალისი დაებრუნებინა ადამიანებისათვის.

1952 წ., ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი, განაწილებით, რუსულის მასწავლებლად მუშაობდა (2 წელი) წყალტუბოს რ. სოფ. ოფშკვითში. სადაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

შემდეგ მუშაობდა ზესტაფონის რ. სოფ. ილემში. იყო რაიონის ახალგაზრდა პედაგოგთა „სული და გული“. აქ გაიცნო თავისი მომავალი **მეუღლე – ოთარ ალექსანდრეს ძე კვინიკაძე**, ზესტაფონში ცნობილი პიროვნება [ლამაზი, ნიჭიერი, უაღრესად განათლებული ვაჟკაცი, საუკეთესო მეგობარი, პედაგოგი და დირექტორი. (1955წ-დან 1998წ-მდე იგი სხვადასხვა სკოლების დირექტორი იყო), ღრმად მორწმუნე ადამიანი, შეუცვლელი თამადა].

1955 წ-დან ქ-ნი ეთერი მუშაობდა შორაპნის საშ. სკოლაში რუსულის მასწავლებლად. 25 წელი იყო პარტორგანიზაციის მდივანი. იგი იყო ჰუმანისტი, საქმის ერთგული, უღალატო ადამიანი, ნოვატორი, მჭერმეტყველი, უაღრესად გაწონასწორებული.

იყო უამრავი სასკოლო და სარაიონო ღონისძიების ორგანიზატორი. მიღებული ჰქონდა უამრავი სიგელი, მადლობა, მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1973წ.). ის იყო ყველასათვის საყვარელი და სამაგალითო პიროვნება, მასწავლებელთა მასწავლებელი – მასთან სახლში სამეცადინოდ

მოდიოდნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ ახალგაზრდა პედაგოგებიც, ამიტომ ყველას გული დასწყდა, როცა იგი პენსიაზე გავიდა, რათა ჯერ ერთი, გზა დაეთმო ახალგაზრდებისათვის და მეორეც – დედამთილ-მამამთილს უკვე აღარ შეეძლოთ დიდი ოჯახის მოვლა, მას კი არ შეეძლო საქმის მოვალეობის მოხდის მიზნით კეთება...

ის იქცა ოჯახის დედაბოძად. ხელბარაქიანმა, მთელი ოჯახი ბელღლად აქცია. იმ დროსაც კი, როცა ქვეყანაში ბევრი შიმშილობდა (1991-1995 წლებში) მის ოჯახს, მისი შვილების და მულების ოჯახებს, მისი წყალობით არაფერი აკლდათ.

გარდაიცვალა მოულოდნელად (თრომბით). მისმა მეუღლემ მძიმედ განიცადა მისი დაღუპვა და ისიც მალე – 2006 წ. გარდაიცვალა.

მათი **შვილები: მზია** (ფრანგული ენის მასწავლებელი სოფ. შორაპნის სკოლაში), **ზურაბი** (პროფესიით ინჟინერ-ელექტრიკოსი, მუშაობდა უშიშროებაში. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში) და **მზევინარი** (ქართულის მასწავლებელი, შორაპნის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე) ცდილობენ ღირსეულად გააგრძელონ სამაგალითო მშობლების ტრადიციები.

43. ელენე გაჩეჩილაძე (ბაჩა)

მსახიობი, მომღერალი,
მსახიობ რამაზ ჩხიკვაძის დედა.

დაიბადა, სავარაუდოდ, 1903 წ., გარდაიცვალა, სავარაუდოდ, 1989 წ.. **მშობლები: მოსე (ბაჩა) ივანეს ძე გაჩეჩილაძე, თებრონე ნებიერიძე.**

1920 – იან წლებში მსახიობობდა ზესტაფონის თეატრში. შემდეგ, დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია – ვოკალის განხრით. რადიოში ხშირად ასრულებდა საოპერო არიებს. დაოჯახების შემდეგ მსახიობობას და მომღერლობას თავი დაანება.

სავარაუდოდ, 1927 წ., **ცოლად გაჰყვა** მუსიკათმცოდნეს, კომპოზიტორს, ფოლკლორისტსა და პედაგოგს **გრიგოლ ზაქარიას ძე ჩხიკვაძეს** (შემდგომში პროფესორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს).

1928 წ. შეეძინა **ვაჟი – რამაზ ჩხიკვაძე**, შემდგომში სახელოვანი მსახიობი.

44. ელენე გაჩეჩილაძე

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის
დირექტორის მოადგილე.

დაიბადა 1907 წ. 2 აგვისტოს, ქ.ზესტაფონში. **მამა – სამსონ გაჩეჩილაძე.**

საშუალო განათლება მიიღო ზესტაფონის ქალთა გიმნაზიაში. 1923 წ. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1927 წ.. იმავე წელს სამსახური დაიწყო ფეხსაცმელების №2 ფაბრიკაში ეკონომისტად. 1933 წლიდან – 1983 წლამდე მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე (რიგითი ეკონომისტიდან დირექტორის მოადგილემდე – ეკონომიკის საკითხებში).

დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის” და „საპატიო ნიშნის” ორდენებით და ხუთი მედლით.

მეუღლე – სერგო ფუტკარაძე – ეკონომისტი.

შვილები: ნინო ბარნაბის ასული გარდავა – ფინანსისტი ეკონომისტი, **ნუგზარ ფუტკარაძე** – ინჟინერი, **რევაზ ფუტკარაძე** – იურისტი.



45. ელგუჯა გაჩეჩილაძე (ლოპანელი)

ეკონომისტ-მენეჯერი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი...

დაიბადა 1959 წლის 25 ოქტომბერს, ზნაურის რ. სოფ. ლოპანში. **მშობლები: ივანე ამბროსის ძე გაჩეჩილაძე, ფენია გრიგოლის ას. სამხარაძე.**

1976 წ. დაამთავრა ზნაურის საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ჯერ თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, შემდეგ თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით.

მუშაობდა თბილისის ავტომობილების სარემონტო ქარხანაში.

1985 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა ზნაურის რაიკავშირში სავაჭრო ცენტრის გამგედ. პარალელურად მუშაობდა დამხმარე მეურნეობის უფროსად.

1991-1993 წლებში ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 ბრიგადის 115-ე სპეცბატალიონის ოცმეთაურად.

2006 წ. მან მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიერ ჩატარებულ ბიზნესპროექტების კონკურსში. მის მიერ საკონკურსოდ წარდგენილმა ოთხივე პროექტმა გაიმარჯვა.

ე. გ-მ პირველი ადგილი დაიკავა 30000 კონკურსანტს შორის. ამავე დროიდან იგი აირჩიეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სადაც მან მე-5 პროექტი წარადგინა) საპატიო წევრად.

ბ-ნ ელგუჯას ჰყავს **მეუღლე: ნათელა ავთანდილის ას. გრძელიშვილი** – დიასახლისი, **შვილები: მთვარისა (დ.1983წ.)** – ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი (ქმარ-შვილიანი), **ფრიდონი (დ.1985წ.)** – თბილისის ხარისხის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი.

46. ელიზბარ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფიზიკოსი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

დაიბადა 1908 წ., გარდაიცვალა 1994 წ.. **მშობლები: ალექსანდრე ოთიას ძე გაჩეჩილაძე, ნინო (ნუშო) ნიკოლოზის ას. დუჩიძე.**

1925 წ. დაამთავრა I საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1932 წ. დაამთავრა თსუ. სამუშაოდ გაანაწილეს ზესტაფონის განათლების განყოფილების გამგედ. ამასთანავე, ფიზიკას ასწავლიდა ზესტაფონის სკოლაში. თბილისსა და ზესტაფონს შორის ერთ-ერთი მგზავრობის დროს, გზაში შეხვდა გიორგი ახვლედიანს, რომელიც მაშინ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი იყო. მან ბ-ნი ელიზბარი წაიყვანა ამ ინსტიტუტში დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად. ქუთაისიდან გადაიყვანეს სოხუმის პედინსტიტუტში

უფროს მასწავლებლად.

1947 წ. დაქორწინდა. 1961წ. სამუშაოდ გადმოვიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ფიზიკის წამყვანი ლექტორი იყო 1981 წლამდე – პენსიაზე გასვლამდე. ლექციებს კითხულობდა ქართულ და რუსულ ენებზე. შექმნა ფიზიკის სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლისათვის.

ბ-ნ ელიზბარს დარჩა **მეუღლე – ნინო მელიტონის ას. ლაშხია** (პედაგოგი – ფილოლოგი) და **ორი ქალიშვილი – ლიანა და ქეთინო** – ექიმები.

47. ელისე გაჩეჩილაძე

საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ადამიანი –კონტრაბანდისტი.

1930-იან წლების დასაწყისში ზესტაფონის რ. სოფ. წევა საქართველოს ძალოვანების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში ყოფილა მოქცეული – წევის მკვიდრის, ელისე გაჩეჩილაძისა და მისი თანამოსაქმის, ვანიჩკა კუპატაძის, გამო.

ელისე ვაჭარი იყო. მას კონტრაბანდული მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი შემოჰქონდა საქართველოში, კერძოდ იმერეთის რეგიონში და ჰყიდდა, რასაც კომუნისტები კრძალავდნენ. ელისეს დაჭერა მილიციას გასჭირვებია, რადგან ძალიან მოძრავი და მოუხელთებელი კაცი ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი დევნის დროს, როგორც ელისეს, ისე მისი მდევნელების მიერ არაერთი ადამიანი განადგურებულა ან დაზარალებულა, ელისე გაჩეჩილაძეს, მისი მოხერხებულობის, ბევრისათვის საძულველი კომუნისტური რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის და, ასევე, ზოგიერთი ვაჟკაცური თვისების გამო, მრავალი ადამიანის სიმპათია დაუმსახურებია. მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არაერთმა ჩვენმა მოგვარემ გვთხოვა. ამიტომ, „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ III წიგნში შევიტანეთ ჩვენი ოთხი მოგვარის მონათხრობი მის შესახებ.

48. ვაჟა გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

ფიზიკოსი, თსუ-ის ბირთვული ფიზიკის კათედრის ყოფილი ასისტენტ-პროფესორი.

დაიბადა 1942 წლის 13 აგვისტოს, ზესტაფონში. **მშობლები: მიტროფანე ალფეზის ძე გაჩეჩილაძე** – მეცნიერი აგრონომი, საჩხერის საკავშირო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელი, **რუსუდან ივანეს ას. კაჭკაჭიშვილი** – დიასახლისი.

ვ.გ-მ დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებშივე ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში. იყო ბირთვული ფიზიკის კათედრის ლაბორანტი, კვლევის საგანი – ბირთვული სპექტროსკოპია. პარალელურად მუშაობს არქეოლოგიური ნიმუშების დათარიღების რადიონახშირბადის მეთოდზეც. სამეცნიერო კვლევების პერიოდში არაერთხელ იყო მივლინებული ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში დუბნაში (მოსკოვის ახლოს), ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, ტარტუს უნივერსიტეტის რადიონახშირბადის განყოფილებაში და ა.შ..

1963 წ-დან, 44 წლის განმავლობაში მუშაობდა თსუ-ის ბირთვული ფიზიკის კათედრაზე – ლაბორანტიდან დაწყებული ასისტენტ-პროფესორამდე. ატარებდა სხვადასხვა სალექციო კურსს. არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის

ავტორი ბირთვული სპექტროსკოპიის, არქეოლოგიური ნიმუშების რადიონახშირბადის მეთოდით დათარიღებისა და ეკოლოგიის სფეროში.

ბ-ნი ვაჟას **I მეუღლე იყო – ნანული დავითის ას. ტაბატაძე**. (1942-1992) მან დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტში, ბოლოს, თსუ–ში მეცნიერ თანამშრომლად. მათ შეეძინათ **სამი შვილი: რუსუდანი** (დ.1967 წ.). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტეტი და ლონდონის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემია. გაიარა სტაჟირება ბრიუსელში – ევროკომისიაში,შემდეგ დიპლომატიურ სამუშაოზეა ბელგიასა და ისრაელში – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით. ამჟამად დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ლონდონში. მეუღლე– მაიკლ ჰენკოკი – დიპლომატია. ჰყავთ სამი ვაჟი.

გიორგი (დ.1970წ.) დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტი. პროფესიით ინჟინერ-დიზაინერია. ცხოვრობს მოსკოვში. არის რუსეთის მოქალაქე. აქვს დიზაინის საკუთარი ფირმა. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ირაკლი (დ.1977 წ.) პროფესიით დიზაინერია. მუშაობს გამწვანების სისტემაში.

ვაჟა გაჩეჩილაძის II მეუღლეა – გულნარა გიორგის ას. ბაშარული (დ. 1949წ). მან 1972 წ. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „ივერია-ექსპრესის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და ა. შ.. ბოლო 14 წელი მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში წამყვან სპეციალისტად, მთავარ სპეციალისტად, განყოფილების უფროსად. მინიჭებული აქვს საჯარო სამსახურის პირველი კლასის მრჩევლის ჩინი.

49. ვასილ გაჩეჩილაძე (ჭიმატი)

მშენებელი ინჟინერი, ბიზნესმენი.

დაიბადა 1968 წლის 31 აგვისტოს, ლაგოდეხის რ. სოფ. კართუბანში. **მშობლები: ვახტანგ, ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე** (ეკონომისტი, გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის აქტიური წევრი), **იზოლდა მიხეილის ას. რეხვიაშვილი**.

დაამთავრა სოფ. კართუბნის საშ. სკოლა. ორი წელი იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. შემდეგ, დაამთავრა თელავის სამშენებლო ინსტიტუტი. მუშაობდა ლაგოდეხის სამშენებლო კანტორაში.

ამჟამად ცხოვრობს თბილისში. დაკავებულია მცირე ბიზნესით.

ბ-ნ ვასილს ჰყავს **მეუღლე – ლია გრიგოლის ას. ხაჩიძე და ოთხი შვილი: მარი, თათია, მიშიკო და გუგა**.

50. ვასილ გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

50ა. (65). თამარ ნიშნიანიძე-გაჩეჩილაძე

მრავალშვილიანი მშობლები.

ვასილ გაჩეჩილაძე დაიბადა 1900 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1970 წ., სოფ. ზიკილიაში. **მშობლები ნიკოლოზ ოქროპირის ძე გაჩეჩილაძე, ეკატერინე ყაფლამის ას. გელაშვილი.** მუშაობდა ჭიათურის მაღაროში მუშად. მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში.

1944 წ. მისი ოჯახი, წევის მოსახლეობასთან ერთად, გადაასახლეს ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში, სადაც მუშაობდა კოლმეურნეობაში, შემდგომში – გაერთიანებულ მეურნეობაში.

ბ-ნი ვასილის **მეუღლე - თამარ ალექსანდრეს ას. ნიშნიანიძე** დაიბადა 1912 წ., სოფ. ქვედა წევაში, გარდაიცვალა 2011 წ., ს.ზიკილიაში.

ორივე მათგანი უაღრესად მშრომელი, პატიოსანი ადამიანები იყვნენ.

მათი შთამომავლობაა: 9 შვილი, 22 შვილიშვილი, 32 შვილთაშვილი, 14 შვილთა შვილიშვილი, ჯერჯერობით, სულ 78 ადამიანი.

ფოტოებზე ვასილ გ-ძე და თამარ ნიშნიანიძე შვილებთან და შვილიშვილებთან.

51. (69ა). ვასილ ქრისტეფორეს ძე მეცუგოვი (მეწუღიშვილი)

თინათინ ლავრენტის ას. გაჩეჩილაძის (გუნდაეთელი) მეუღლე.

იხილეთ ბიოგრაფია № 69ა.

52. ვახტანგ დავითაია

*ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი... წეველების საამაყო სიძე – ნათელა არჩილის** ას. გაჩეჩილაძის მეუღლე.*

დაიბადა 1934 წ. 22/12., ს. ძველ-სენაკში (სენაკის რ-ნი).

1958 წ. დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფ-ტი, არქიტექტურის სპეციალობით.

1957-1962წწ.–მუშაობდა „საქქალაქმშენსახ-პროექტში“. 1962 წლიდან იყო: სტუ-ს ასპირანტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი.

პროფესიული პოზიცია. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე (1995-2000); შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმის თავმჯდომარე (1996-2000); სტუ-ს არქიტექტურული გაგმარების კათედრის გამგე (1995წ-დან დღემდე); არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1994); ასა-ს მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსი (1991) და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი (1995); საქ. საინჟინრო აკადემიის (1996) და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი (2001); ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი (1992-2007); საქ. კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი (1996-1999); სტუ-ს სამეცნიერო და პროფესორთა საბჭოს წევრი (1995-2005); თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს წევრი (1995-1999); თბილისის ქალაქგეგმარებითი საბჭოს წევრი (1985-2003); თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე (1997-2000; 2004-2006).

წოდება – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

საპატიო წევრობა: რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერების და უკრაინის არქიტექტურის აკადემიების უცხოელი წევრი; ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი; მარ დელ პლატას (არგენტინა) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი; მექსიკის ჯალისკოს შტატის არქიტექტურული კოლეჯის საპატიო პროფესორი; მანსის (აშშ) ბოლის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი; ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი; ქ. ფოთის და ქ. მანსის საპატიო მოქალაქე.

პრემიები: რუსთაველის პრემიის ლაურეატი; სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი; საქართველოს კომკავშირის და მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი, სოფიის მსოფლიო არქ. ბიენალეს „ინტერარქ–83“ და „ინტერარქ–85“-ის ლაურეატი; სსრკ-ის არქიტექტორთა კავშირის „წლის საუკეთესო პროექტის“ 1984, 1985, 1986, 1987, 1990 წლების და „წლის საუკეთესო ნაგებობის“ 1986 და 1988 წლების (გრანდ პრი) ლაურეატი; თბილისის საერთაშორისო არქ. ბიენალეს ლაურეატი.

პერსონალური გამოფენები: თბილისი, მოსკოვი, რიგა, კაუნასი, მინსკი, კიევი, როდნო, ხარკოვი, სოფია (ბულგარეთი), დრეზდენი, ვაიმარი, ბერლინი (გერმანია), სერუ-პონტუაზი (საფრანგეთი), მანსი, ატლანტა, ოქსფორდი (აშშ), ბუენოს-აირესი (არგენტინა), ნარა (იაპონია).

ძირითადი რეალიზაციები: „მზიური ველი“ ბაკურიანში; გალერეა ქ. სენაკში; საცხ. სახლები: საგარეჯოში, ქუთაისში, წყნეთში, ოფშქვითში, ტაბახმელაში, პურის ქარხნები: ვაზისუბანში, თბილისის ზღვის რაიონში, საგამოფენო დარბაზი თბილისში, ხელოვნების ცენტრი გულრიფშში, კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში, მეზღვაურთა მემორიალი ქ. ფოთში, გამარჯვების მონუმენტი გორში, შრომის მემორიალი ქუთაისში, „ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანში, „ალგეთის ბაზილიკა“ სოფ. ტბისში, „ხსოვნის კუბი“ ქ. სენაკში, დავით აღმაშენებლის ძეგლი

ქ. ქუთაისში, ცოტნე დადიანის ძეგლი ქ. ფოთში.

პუბლიკაცია: არის 250-მდე სტატიის ავტორი.

წიგნები: არქიტექტორი ვახტანგ დავითაია, 1998წ. (მინიჭებული აქვს არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს პირველი პრემია); არქიტექტურა, ოცნება და სინამდვილე, 2000 წ.; ამერიკული დღიური, 2004წ.; მონუმენტები. მემორიალები. მცირე არქიტექტურა, 2004წ.; იაპონური დღიური, 2007 წ..

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მინიჭებული აქვს:

საერთაშორისო ელჩის ორდენი, 2005; XXI ს-ის უდიდესი მოაზროვნეები, 2005; მეგობრობის მსოფლიო მედალი, 2006. შეტანილია „ვინ ვინაა პროფესიაში“ 2004/06 გამოცემაში (აშშ).

53. ვახტანგ გაჩეჩილაძე

საქართველოს სამედიცინო აკადემიის კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

დაიბადა 1948 წ., ზესტაფონის რ. სოფ. შროშაში. **მშობლები: ირაკლი ლევანტის ძე გაჩეჩილაძე** – შროშის საშ. სკოლის მათემატიკის პედაგოგი, **ქეთევან ალექსანდრეს ას. გუგუციძე** –პედაგოგი, შროშის სკოლის დირექტორი 45 წლის განმავლობაში.

1966 წ. წარჩინებით (მედალზე) დაამთავრა შროშის საშ. სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში – სამკურნალო ფაკულტეტზე. რომელიც დაამთავრა 1972 წელს. ერთი წელი იმუშავა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგად. შემდეგ, ორი წელი მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ვიბორგში – პოლკის უფროს ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობა განაგრძო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში (ახლანდელი სამედიცინო აკადემია), სადაც მუშაობს დღემდე – კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

გაკეთებული აქვს 3500 – ზე მეტი ქირურგიული და უროლოგიური ოპერაცია; არის 16 სამეცნიერო და საჟურნალო სტატიის ავტორი.

ბ-ნ ვახტანგს ჰყავს **მეუღლე – ნესტან მიხეილის ას. ადამია** – ექიმი – ბავშვთა უროლოგი **და შვილი – ირაკლი** – კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსი.

54. ვახტანგ გაჩეჩილაძე

სოფ. აწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფლების: საყუნეთის ზიკილიის და აწყურის საშ. სკოლების დირექტორი...

დაიბადა 1918 წლის 20 იანვარს, სოფ. საწაბლეში, გარდაიცვალა 1993 წ.. **მამა – ლავრენტი გაჩეჩილაძე**.

1925 წ. შევიდა საწაბლის დაწყებით სკოლაში. სწავლა განაგრძო შროშის საშ. სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1935 წ. და სწავლა განაგრძო ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში.

1939 წ. დაქორწინდა. ქორწინებიდან ხუთი თვის შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მოუწია მონაწილეობა ფინეთის ომში, სადაც დაიჭრა და დროებით დაბრუნდა ოჯახში. გამოჯანმრთელების

შემდეგ გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში.

1944 წ. მისი ოჯახი გადაასახლეს ახალციხის რ. სოფ. აწყურში.

1945 წ. დაბრუნდა ომიდან. 1950 წ. სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1954 წ..

1951 წ. ნოემბერში აირჩიეს ქ. ახალციხის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. პარალელურად სწავლობდა თბილისის პარტიულ სკოლაში.

1955 წლიდან 1961 წლამდე მუშაობდა სოფ. აწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდეგ, ამავე სოფლის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნად.

1962 წლიდან დაინიშნა ჯერ საყუნეთის, შემდეგ ზიკილიის, შემდეგ კი აწყურის საშ. სკოლების დირექტორად.

დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, მედლით და ორდენით, როგორც საბრძოლო, ისე შრომითი ღვაწლისათვის.

1988 წ. დაენიშნა პერსონალური პენსია.

ბ-ნ ვახტანგს ჰყავდა **მეუღლე – ირა ალექსანდრეს ას. კაპანაძე. მათი შთამომავლები არიან: ოთხი უმაღლესდამთავრებული შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.**

55. (10ა). ვერა (ვერიჩკა) კოპაძე-გაჩეჩილაძე

ანდრო სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის
(პაპუჩელა შვილი-ხბოსთავა) მეუღლე,
სამაგალითო დედა, მეოჯახე და მოქალაქე.
იხ. ბოიოგრაფია **№ 10ა**.

56. ვერა გაჩეჩილაძე

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

დაიბადა 1900 წ., ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 19.. წ.. მამა – **სამსონ გაჩეჩილაძე**. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ფეროშენადნობთა ქარხნის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად. წარმატებული მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენით და სამი მედლით.

57. ვერიკო გაჩეჩილაძე (ღორისთავი)

ღვაწლმოსილი ექიმი და მეცნიერ-თეორეტიკოსი.

57ა. (132). შოთა გორშკოვი

ვერიკო გაჩეჩილაძის მეუღლე...

ვერიკო გაჩეჩილაძე დაიბადა 1923 წლის 5 მარტს, ქ. გორში, გარდაიცვალა 2008 წ., თბილისში.

მშობლები: შალვა გიორგის ძე გაჩეჩილაძე და**

თამარ სიმონის ას. ცერცვაძე** – დამსახურებული პედაგოგები, ლენინისა და სხვა ორდენების კავალერები.

თვალსაჩინო პედაგოგების მაღალზნეობრივი, სტუმართმოყვარე ოჯახი საუკეთესო მაგალითი გახლდათ შვილებისათვის, თინასა* და ვერიკოსათვის, რომლებმაც მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ქართული ტრადიციული თვისებები – თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა, გულისხმიერება. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობეს ვერიკოს სურვილი გამხდარიყო ექიმი.

1941 წ. იგი ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. მალე დაიწყო მსოფლიო ომი. ვერიკო საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა.

ქ-ნი ვერიკო. იყო მაღალი დონის პროფესიონალი ექიმი. სხვადასხვა დროს იყო პრაქტიკოსი და მეცნიერ-თეორეტიკოსი. მუშაობდა ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში მთავარი ექიმის მოადგილედ, თბილისის სასწრაფო დახმარების ექიმად, შრომის დაცვისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მის მიერ ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მრავალ შრომით კოლექტივს, მუშახტეებს, მეტალურგებს, სხვადასხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს, რომლებსაც ასწავლიდა ჯანმრთელი შრომისათვის საჭირო პირობების შექმნასა და დაცვას, რამაც მკვეთრად შეამცირა პროფესიულ დაავადებათა შემთხვევები საქართველოში.

დაუღალავი შრომითა და პროფესიონალიზმით ვ. გაჩეჩილაძემ კოლეგების და ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სანიმუშო მუშაობისათვის მან მრავალი მადლობა და საპატიო სიგელი მიიღო, მაგრამ ყველაზე მთავარი მისთვის იყო პაციენტთა ნდობა და სიყვარული. როდესაც იგი სასწრაფო დახმარების ექიმად მუშაობდა, ავადმყოფები ითხოვდნენ, რომ გამოძახებაზე მათთან ვერიკო-ექიმი მისულიყო, ასე გრძელდებოდა მაშინაც კი, როდესაც ვერიკო-ექიმი უკვე პენსიაზე იყო გასული.

ქ-ნ ვერიკოს შესანიშნავი, ბავშვობიდან დაწყებული წრფელი სიყვარულით შექმნილი, ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. იგი **1948 წ. დაქორწინდა თავის თანაკლასელ შოთა გორშკოვზე (1923-2002),** მსოფლიო ომში გამობრძმედილ ოფიცერზე, ნამდვილ გმირზე, რომელმაც სრულად იწვნია ომის საშინელებანი, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ხალასი და კეთილი ბუნება, ბავშვობის სიყვარული – პირველი და განუმეორებელი. შემდგომში ინჟინერ-პოლკოვნიკი, შოთა გორშკოვი, ომის დროს, მეთაურობდა არტილერიის დივიზიონს, მიღებული ჰქონდა მრავალი საბრძოლო ორდენი, მათ შორის: ლენინის, ალ. ნეველის, წითელი დროშის და სხვა მრავალი ორდენი და მედალი. თადარიგში გასვლის შემდეგ პოლკოვნიკი გორშკოვი მსახურობდა საქართველოს სანაოსნოში კაპიტნის პირველ თანაშემწედ. **მათ სამი ვაჟი დარჩათ: თეიმურაზი და ტყუპები: ავთანდილი და ვახტანგი**.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, **თეიმურაზ გორშკოვი,** საქართველოს რკინიგზის მარკეტინგის ცენტრს ხელმძღვანელობს, ამავე დროს იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. მას ჰყავს ულამაზესი მეუღლე – გულნარა ნოღაიდელი და შვილები – თინიკო და თამუნა. თინიკო გათხოვილია და პატარა ნუციკოს დედაა.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, **ავთანდილ გორშკოვი,** მოსკოვში ცხოვრობს და კარდიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს განყოფილების უფროსად. მას მეუღლე და ქალიშვილები ჰყავს.

ინჟინერი **ვახტანგ გორშკოვი** კი ამერიკაში მოღვაწეობს. მას მეუღლე და ქალვაჟი ჰყავს.

ძმები გორშკოვები ღირსეულად აგრძელებენ მშობლების დანატოვარ უმთავრეს

ტრადიციას – პატიოსან, ვაჟკაცურ, სიყვარულით სავსე ცხოვრებას. ქ-ნი ვერიკოს ვაჟის, თეიმურაზ გორშკოვის აზრით, დედამისმა სრულად განახორციელა დიდი პოეტის ანდერძი:

„დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.“

58. ვიქტორ გაჩეჩილაძე (ლულია)

სოფ. წევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1930-1933 წლებში.

დაიბადა 1885 წ. სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1968 წ. სოფ. ზიკილიაში. **მამა – ოსია გაჩეჩილაძე.**

სამი წლისა დაობლდა. გაზარდა რძალმა.

1930-1933 წლებში იგი არჩეული იყო სოფ. წევის ახალჩამოყალიბებული არტელის (კოლმეურნეობის) თავმჯდომარედ.

ბ-ნი ვიქტორი სამამულო ომში არ გაუწვევიათ ასაკოვნობის გამო, მაგრამ იგი დახმარებას უწევდა კავკასიის დამცველ მებრძოლებს: თავისი ხარ-ურმით ეზიდებოდა საბრძოლო ჭურვებს და სხვა საომარ მასალებს მთებში, რისთვისაც ექვსი საბრძოლო მედალი და ქების სიგელი დაიმსახურა.

ვ. გ. იყო ენერგიული ადამიანი, ახალგაზრდების კარგი აღმზრდელი. მის მრავალრიცხოვან შთამომავალთაგან (ექვსი შვილი, მრავალი შვილიშვილი და შვილთაშვილი) ბევრმა ისახელა თავი ქვეყნის სასიკეთო საქმეებით. მისი **შვილის – ნიკოლოზის (კოლია) და შვილიშვილის – ანზორის (კუკური)** ბიოგრაფიები შეტანილია საგვარეულო წიგნის I ტომში, ხოლო **შვილთაშვილის – ციურის** ბიოგრაფია II ტომში.

ბ-ნი ვიქტორის **ვაჟი აკაკი (კაკო)** ბიზნესის სფეროში საქმიანობდა ზესტაფონში, მისი შვილები: **გურამი** – ცნობილი ეკონომისტია, **ნუგზარი** – კვების ტექნოლოგი, ბიზნესითაა დაკავებული, **ქალიშვილი – გუგული** – ინჟინერ–ქიმიკოსია, ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. დანარჩენი შვილები და შვილიშვილებიც კარგი მოქალაქეები იყვნენ და არიან. მათ არასოდეს შეურცხვენიათ გაჩეჩილაძეების გვარი.

სამამულო ომში მონაწილეობა მიიღო ბ-ნი ვიქტორის ოთხმა ვაჟმა და ორმა სიძემ. ყველამ ისახელა თავი და დამსახურებული ჯილდოებით დაბრუნდნენ ომიდან, ერთი სიძის გარდა – რომელიც ფრონტზე დაიღუპა...

59. ზვიად გაჩეჩილაძე (ღიღინა)

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

დაიბადა 1979 წ. 10 მაისს, ქ. ქუთაისში. **მშობლები: მელერი ვარლამის ძე გაჩეჩილაძე, ნაილი აპოლონის ას. წვერავა.**

1985-1994 წლებში სწავლობდა ქუთაისის სიმონ ყაუხჩიშვილის სახ. საშუალო სკოლაში. 1994-1996 წლებში კი ნიკო ნიკოლაძის სახ. ეკონომიკის ლიცეუმში. 1996 წელს ჩაირიცხა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტზე,

ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა ბაკალავრის ხარისხით. 2003 წ. დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „ქართული კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პრობლემები და პერსპექტივები" და მიენიჭა მარკეტინგის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

2003 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის თეორიისა და მარკეტინგის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორად.

გამოქვეყნებული აქვს სამი სამეცნიერო სტატია.

ბ-ნ ზვიადს ჰყავს **მეუღლე – მირანდა გაჩეჩილაძე და შვილი – ნიკოლოზი** (დ. 2006 წ.).

60. ზვიად გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ენერგეტიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

დაიბადა 1981 წ.. მშობლები: **შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძე, ლიანა ჭკუასელი.**

1999 წ., სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე. 2003 წ. წარჩინებით დაამთავრა ბაკალავრიატი სპეციალობით – ელექტროენერგეტიკული სისტემები და ქსელები, მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი და ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია. ხუთი წლის განმავლობაში იყო სტიპენდიატი და სტუდსაბჭოს წევრი.

ზვიადი 2002 წლიდან არის, მის მიერ დაფუძნებული, საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა და საქართველოს ახალგაზრდა ინჟინერთა ასოციაციების გამგეობათა წევრი. სტუდენტობის პერიოდში ჰუმანიტარული და ტექნიკური სახის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს დიპლომები, სიგელები და ფულადი ჯილდოები.

ზვიადის სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვების მისალოცად და სამაგალითო შვილის აღზრდისათვის, მის მშობლებს მადლობის ბარათი-სიგელი გამოუგზავნა ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. დ. ლაოშვილმა.

ზვიადი აქტიურად მონაწილეობდა კახეთის და სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლების აღდგენით სამუშაოებში. ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის „აღდგენით სამუშაოებში გაწეული დახმარებისათვის" სტუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა რამაზ ხუროძემ მას მადლობის სიგელი გადასცა.

2004 წ. ზვიადმა, ცოდნის გამდიდრების მიზნით, გამოცდები ჩააბარა, ენერგეტიკის მენეჯმენტის სპეციალობაზე, მაგისტრატურაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

სწავლასთან ერთად, იგი 2003-2004 წლებში მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროს სამრეწველო პოლიტიკის დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად – ენერგეტიკის სფეროში.

2004 წლის დეკემბერში ზვიადმა გაიმარჯვა ელექტროსისტემის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

ზვიადი მუშაობს სპეციალობის მიხედვით, სადისპეტჩერო მომსახურების დეპარტამენტში – ქსელების მუშაობის რეჟიმების ინჟინრად.

2008 წ. იგი ჩაირიცხა სტუ-ის დოქტორანტურაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, დაიცვა დისერტაცია თემაზე „ინვესტიციები საქართველოს ენერგეტიკაში" და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. ამჟამად იგი ლექციებს კითხულობს სტუ-ის მაგისტრატურსა და დოქტორანტურაში

ზვიადს ჰყავს **მეუღლე – ნინო მაისურაძე** (მუშაობს ბანკში მთავარ მოლარედ), **შვილი – გიორგი** (დ. 2009 წ.).

61. ზურაბ გაჩეჩილაძე (კრეჭია)

წარჩინებული მოსწავლე და სპორტსმენი.

დაიბადა 1996 წლის 3 აგვისტოს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: დავით გაჩეჩილაძე, ნატო ლეჟავა** (პედაგოგი).

ზურაბი ზესტაფონის მე-7 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა. წარმატებები აქვს სპორტშიც. იგი ზესტაფონის სპორტსკოლის ძიუდოს კლუბის წევრია.

2005 წელს იმერეთის რეგიონის პირველობაზე იგი დაჯილდოვდა II ადგილის დაკავებისათვის სპორტის ამ სახეობაში.

2006 წ. იმერეთის ღია პირველობაზე დაჯილდოვდა II ადგილის დაკავებისათვის.

2006 წ. იმერეთის ღია პირველობაზე ქ. ქუთაისში – I ადგილის დაკავებისათვის.

2006 წ. ქ. თერჯოლაში ჩატარებულ ტურნირზე ჭიდაობა სამბოში II ადგილის დაკავებისათვის.

2007 წ. დააჯილდოვეს ზესტაფონში გამართულ დ. ღავთაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მე-4 რესპუბლიკურ ტურნირში I ადგილის დაკავებისათვის.

2007 წ. ქუთაისში გამართულ იმერეთის ღია პირველობაზე დაჯილდოვდა I ადგილის დაკავებისათვის.

პედაგოგები, ახლობლები და ნაცნობები მას ახასიათებენ როგორც თავაზიან, ბეჯით ახალგაზრდას. იმედია, რომ იგი მომავალშიც მრავალი წარმატებით ასახელებს თავის ქვეყანას და ახლობლებს.

62. ზურაბ გაჩეჩილაძე (შონზო) (მეწურბლე)

რადიოს, ტელევიზიის, შოუ-ბიზნესის და კინოს მოღვაწე, ქ. თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.

დაიბადა 1971 წლის 23 ნოემბერს, თბილისში. **მამა თენგიზ ერასტის ძე გაჩეჩილაძე** (ინჟინერ-მექანიკოსი), **დედა დარეჯან აკაკის ას. პაიკიძე.**

დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მშენებლობის მართვისა და მენეჯმენტის სპეციალობა.

სხვადასხვა დროს მუშაობდა რადიოებში: „რადიო 105 (მამაჩემის რადიო)," „რადიო 101", „რადიო რეზონანსი";

ტელევიზიებში: „მეორე არხი", „იბერვიზია", ტელეკომპანია „202"

(იყო მულტსერიალ „დარდუბალას" თანაავტორი), „ტელე იმედი",

„მზე", „რუსთავი 2", „საზოგადოებრივი მაუწყებელი".

წამყვანისა და კონფერანსიეს სტატუსით მონაწილეობდა მრავალ სატელევიზიო და საზოგადოებრივ შემეცნებით-გასართობ სპორტულ პროექტში. მოპოვებული აქვს ქართული მან სან კანის (КВН) ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო თსუ-ის გუნდის შემადგენლობაში („Голосящий кивин 2001").

არის 2008 წელს „ფორმულა კრეატივის" მიერ შექმნილი მხატვრული ფილმის „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" ერთ-ერთი შემქმნელი.

2010 წ. აირჩიეს ქ. თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად (ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით).

ბატონ ზურაბს ჰყავს **მეუღლე – ნინო ანზორის ას. მამუკაშვილი**
და **შვილი – გიორგი** – გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლის მოსწავლე.

63. (104ა). თამაზ ალექსანდრეს ძე ხუსკივაძე

ზესტაფონის პურის ქარხნის დირექტორი,
საყოფაცხოვრებო სამმართველოს უფროსი
ქ-ნ ნელი რაჟდენის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე.

იხილეთ ბიოგრაფია № 104ა.

64. თამაზ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის
პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის მედლისა და
ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა 1929 წ., თბილისში. **მშობლები: გიორგი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე, თამარ ალექსანდრეს ას. მდივანი.**

დაამთავრა თბილისის მე-5 საშ. სკოლა.

1948-1953 წლებში სწავლობდა თსუ-ის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე.

1954-1961 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად.

1958-1959 წლებში მან, პირველად საქართველოში, შემოიტანა მათემატიკური ლინგვისტიკის დარგი. ამჟამად ეს დარგი ფართოდ განვითარებული მიმართულებაა.

1961 წ. მუშაობა დაიწყო თსუ-ში, სადაც კიბერნეტიკის მიმართულების ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

1962 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბირთვული ფაზიკის დარგში, თემაზე –„მძიმე სტრიპინგის მოვლენები მსუბუქი ბირთვების დაჯახებისას.”

1961 წლიდან უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა კიბერნეტიკის ლაბორატორიას, რომლის საფუძველზე დაარსდა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სადაც 45 წლის განმავლობაში მიჰყავდა მათემატიკური სტატისტიკის, ალბათობის თეორიის, ინფორმაციის თეორიის, მონაცემთა დამუშავების და გადაწყვეტილებების მიღების კურსები.

1995-2004 წლებში იყო თსუ-ის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის დოცენტი.

2004 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე– „განუზღვრელობის ენტროპიული ზომები და მათი გამოყენება”.

2004-2006 წლებში იგი პროფესორი იყო ზემოხსენებულ კათედრაზე. არის 120 სამეცნიერო შრომის ავტორი. მის 19 ასპირანტს დაცული აქვს დისერტაცია – ერთს სადოქტორო, თვრამეტს კი საკანდიდატო. წარმატებული მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობისათვის დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 აგვისტოს № 517 განკარგულების საფუძველზე თამაზ გაჩეჩილაძე, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბ-ნ თამაზს ჰყავს მეუღლე- **ლაურა დიმიტრის ას. ხიხაძე-**
I კატეგორიის ინჟინერ-ენერგეტიკოსი,
ქალიშვილი – ჯინა –ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, **სიძე – თენგიზ ლომაძე** და **ორი შვილიშვილი – თამარ და გიორგი ლომაძეები.**

65. (50ა) თამარ ალექსანდრეს ას. ნიშნიანიძე

მრავალშვილიანი დედა, ვასილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის (ლანჩავა) მეუღლე.

იხილეთ ბიოგრაფია №50ა.

66. თამარ გაჩეჩილაძე

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სმაკ-ის მებაღეობა-მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი...

დაიბადა 1918 წ. 20 აგვისტოს, ზესტაფონის რ. სოფ საქარაში, გარდაიცვალა 2003 წ., თბილისში. **მამა ტრიფონ გაჩეჩილაძე** – რკინიგზელი.

1935 წ. დაამთავრა ქუთაისის №1 სკოლა, 1941 კი თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტი და იქვე დაიწყო მუშაობა მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრაზე უფრ. მასწავლებლად.

1945 წ. ჩააბარა ასპირანტურაში. ამავე წელს გადავიდა ქ. მახარაძეში, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, უმცრ. მეცნ. თანამშრომლად.

1947 წ. ცოლად გაჰყვა თავის მეცნიერ-ხელმძღვანელს, ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორს, შალვა გიგიბერიას (ბ-ნი შალვა მეციტრუსეობის დარგის საუკეთესო სპეციალისტი იყო, იგი სამჯერ მიიწვია თავისთან სტალინმა – დასავლეთ საქართველოში ციტრუსების გაშენების შესახებ კონსულტაციისათვის).

1950 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამავე წელს დაინიშნა უფრ. მეცნიერ-თანამშრომლად.

1950-იან წლებში და მის შემდეგ ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (ხელმძღვ. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, ი. გამყრელიძე) ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დარგში ერთ-ერთი სანიმუშო სამეცნ. კვლევითი დაწესებულება იყო მსოფლიოში, რომელიც, ამ დარგში, კონსულტაციას უწევდა მრავალი ქვეყნის მეცნიერებს. ამ ინსტიტუტში ქ-ნი თამარის და მისი მეუღლის ერთობლივ ნაყოფიერ მუშაობას დიდი გამოხმაურება ჰქონდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

1954 წ., მეუღლის გარდაცვალების (1953 წ.) შემდეგ, ქ-ნი თამარი თბილისში გადმოვიდა და 1955 წ. მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ჯერ უმცროს, 1957 წ-დან კი უფროს მეცნ. თანამშრომლად. იგი მეცნ. მუშაობას ეწეოდა ამ ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ხილკენკროვანთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის განყოფილებებში, რომელთა სხვადასხვა დროის ხელმძღვანელები, მეცნ. დოქტორები: პ. თავაძე, ბ. მაყაშვილი, რ. გიორგობიანი, გ. ჭანკოტაძე, ე. გიორგობიანი, ზ. შაფათავა, მ. ჟღენტი ქ-ნი თამარის შესახებ აღნიშნავენ, რომ: „იგი კარგად ფლობდა ხილის ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის საკითხებს, რაც აძლევდა შენახვისუნარიანობასთან დაკავშირებული პროცესების ახსნისა და კვლევით მიღებული შედეგების თეორიული

და პრაქტიკული მხარის განმარტების საფუძველს.

ქ-ნი თანმარის მიერ, აღნიშნულ სფეროში, გამოქვეყნებულია ოცამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მეცნიერული დონით. მათ დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ქ-ნი თამარის კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენდა:

– თესლოვანი და კურკოვანი ხილის, აგრეთვე ყურძნის ბიოქიმიური მონაცემების შესწავლა;

– ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ობიექტის გამოვლენა, ვიტამინები, ფენოლური ნაერთები, მაკრო და მიკროელემენტები;

– მოკრეფის შემდგომ პერიოდში ნაყოფში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების განსაზღვრა – სუნთქვის ინტენსივობა, ფერმენტების აქტივობა;

– ხილის შენახვა რეგულირებულ აირთა ატმოსფეროში.

ქ-ნი თამარი გამოირჩეოდა არა მხოლოდ ცოდნით, იგი იყო დიდი ინტელექტის ადამიანი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მის ადამიანურ თვისებებს – კეთილი, გულისხმიერი, ურთიერთობაში სუფთა. იგი დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათ მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეში“.

ქ-ნი თამარი თავისი ერის, სანათესაოს და გვარის დიდად მოყვარული იყო. დიდ ყურადღებასა და სითბის იჩენდა თავისი მოგვარეების მიმართ.

1985 წ. ქ-ნი თამარი პენსიაზე გავიდა აკადემიური დოქტორის წოდებით.

ქ-ნ თაარს დარჩა ერთი **შვილი – გიორგი გიგიბერია.**

ქ-ნი თამარის შესახებ ინფორმაცია შეკრიბა და მოგვაწოდა მისმა კოლეგამ და თანამშრომელმა, ბ-ნმა რევაზ ანდროს ძე გაჩეჩილაძემ (პაპუჩელაშვილი-ხბოსთავა).*

67. თენგიზ გაჩეჩილაძე (წველა)

ზესტაფონის რაიკავშირის
უფროსი საქონელმცოდნე...

დაიბადა 1925 წ. 28 დეკემბერს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 2005 წ. 14 თებერვალს, თბილისში.

მისი **მშობლები: კონსტანტინე გაჩეჩილაძე და ლეუცია ფანჩულიძე,** ზესტაფონში განთქმული პროვიზორები იყვნენ.

1948 წ. დაამთავრა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი და, შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, მუშაობდა ზესტაფონის რაიკავშირში – უფროსი საქონელმცოდნის თანამდებობაზე.

თ. გაჩეჩილაძემ თანაქალაქელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც პატიოსანმა ადამიანმა და ჭეშმარიტმა პროფესიონალმა. მისი, ქართული ტრადიციების მატარებელი, ოჯახი სამაგალითო გახლდათ ყველასათვის.

ბ-ნი თენგიზის **მეუღლე, სარა ორაგველიძე** – მისი თანაკურსელი, ასევე, ეკონომისტია.

შვილები: მარინა და ქეთევანი პროვიზორები არიან. მარინას მეუღლე, ნიკო ბილანიშვილი, პედიატრია – თერჯოლის საავადმყოფოს მთ. ექიმის მოადგილე, ქეთევანის მეუღლე,ზაალ ბოტკოველი, ლიტერატორია,საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

68. თინა გაჩეჩილაძე (ქშუტუნი)

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

დაიბადა 1921 წლის 17 თებერვალს, ზესტაფონის რ. სოფ. წიფლავაკეში, გარდაიცვალა 2002 წ., დაკრძალულია ქუთაისში. **მშობლები: ერმილე მურმანის ძე გაჩეჩილაძე, ნინა დავითის ას. გველესიანი.**

დაწყებითი განათლება მიიღო წევის სკოლაში. დაამთავრა ქუთაისის მე-12 საშ. სკოლა.

1939 წ. მუშაობა დაიწყო ქუთაისის მე-15 საბავშვო ბაღში.

1943 წ. დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1943-58 წლებში მუშაობდა შორაპნის რკინიგზის 21-ე საბავშვო ბაღში მასწავლებლად. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში: რამდენჯერმე იყო არჩეული ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

1058 წლის ნოემბრიდან 1986 წლის სექტემბრამდე – პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა ქუთაისის რკინიგზის 23-ე საბავშვო ბაღში მასწავლებლად.

ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1973 წ. მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო მედლებით: „1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს მამაცური შრომისათვის", „1941-45 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წელი". იყო „შრომის ვეტერანი", რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

მეუღლე – ვლადინმერ (კუკური) ლომთაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

შვილი – რუსუდან ლომთაძე – ექიმი, ცხოვრობს და მოღვაწეობს ქუთაისში.

69. თინათინ გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

ექიმი, რესპუბლიკური სეროლოგიური ლაბორატორიის ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე.

დაიბადა 1915 წ. 11 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა 2002 წ. 15 დეკემბერს, ქ. თბილისში.

მშობლები: ლავრენტი ანდრიას ძე გაჩეჩილაძე, ნატალია ლუკას ას. გეგელაშვილი-გაჩეჩილაძე.

1930 წ. ქუთაისში დაამთავრა შვიდი კლასი.

1931-1934 წლებში სწავლობდა თბილისში, ფარმაცევტულ ტექნიკუმში. ამასთანავე, დაამთავრა კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ტექნიკუმი – ვიოლინოს განხრით.

1934-1937 წლებში მუშაობდა წითელი ჯვრის სააფთიაქო საზოგადოებაში.

1937-1942 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, სამკურნალო ფაკულტეტზე.

1942 წ. მივლინებული იყო ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში – ქირურგიულ ციკლზე.

1942-1943 წლებში მუშაობდა № 142-ე ევაკოჰოსპიტალში – ექიმ-ორდინატორის თანამდებობაზე. გაიწვიეს ჯარში.

1942-1943 წლებში სამხედრო საინჟინრო ბატალიონის მე-8 განყოფილების სანიტარული სამსახურის უფროსი იყო, 1945-1946 წლებში – საჰაერო თავდაცვის მე-2 კორპუსის მე-4 საზენიტო დივიზიონის სამედიცინო პუნქტის უფროსი. სამხედრო წოდება – სამედიცინო სამსახურის კაპიტანი.

1946-1950 წლებში მუშაობდა თბილისის მე-3 სამშობიარო სახლში –ექიმ მიკროპედიატრის თანამდებობაზე.

1952-1968 წლებში იყო რესპუბლიკური სეროლოგიური ლაბორატორიის ექიმი, ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე. დაჯილდოებული იყო ერთი ორდენით და ექვსი მედლით.

69ა. (51). ვასილ მეცუბოვი (მეწუღიშვილი)

თინათინ ლავრენტის ას. გაჩეჩილაძის (გუნდაეთელი) მეუღლე. ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.

დაიბადა 1919 წ. 11 დეკემბერს, გარდაიცვალა 2003 წ. 20 მაისს. **მამა – ქრისტეფორე მეცუბოვი** (მეწუღიშვილი).

ბ-ნი ვასილი წლების განმავლობაში იყო სტუ-ის თეორიული მექანიკის კათედრის გამგის მოადგილე, ზოგადტექნიკური და ავტომატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სპი-ს სამეცნიერო საბჭოს წევრი, სპი-ს სამეცნიერო შრომების„ მათემატიკა და მექანიკა" და „უწყვეტ ტანთა მექანიკა" კრებულის სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეორიულ მექანიკაში.

ომისა და შრომის ვეტერანი, ბ-ნი ვასილი იყო მრავალმხრივ განათლებული მეცნიერი და პედაგოგი. იგი 50-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. მისი სამეცნიერო ნაშრომები მიძღვნილია დრეკადობის მათემატიკური თეორიის საკითხებისადმი. დიდია მისი წვლილი საქართველოში ინჟინერთა მრავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ქ-ნ თინათინ გაჩეჩილაძეს და ბ-ნ ვასილ მეცუგოვს დარჩათ **შვილები: ნატალია მეწუღიშვილი-კობახიძე** (1948) – ლინგვისტი, ინგლისური ენის სპეციალისტი; **მარტა მეწუღიშვილი** (1949)– მათემატიკოსი, სტუ-ის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი; სიძე – გიორგი კობახიძე (1950) – მათემატიკოსი, მე-3 გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი; შვილიშვილები: ირინა და არჩილ კობახიძეები.

70. თორნიკე გაჩეჩილაძე (თომაშვილი)

სტუდენტი, გაზ. ლელოს კორესპონდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული...

დაიბადა 1988 წ. 22 ივნისს, თბილისში. **მშობლები: ბაქარ თენგიზის ძე გაჩეჩილაძე, ირმა ჭანტურია.**

დაამთავრა თბილისის სკოლა-ლიცეუმი „რიტორი". ბავშვობიდან გატაცებული იყო ცხენოსნობით, ცურვით, ფეხბურთით და ლიტერატურით. იყო ლიცეუმის პრესსტუდიის წევრი, მღეროდა თემურ ქევხიშვილის

ცნობილ ანსამბლ „დარიალში“. მონაწილეობდა კავკასიონზე მთის ნორჩ მოყვარულთა მიერ მოწყობილ ექსპედიციაში.

2001 წ., 13 წლის ასაკში, გაიმარჯვა ჯერ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ლიტერატურულ კონკურსში, შემდეგ კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლიტერატურულ კონკურსში. დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით და სოკ-ის დიპლომით. მისი ნაშრომი დაიბეჭდა კონკურსის შედეგების შემაჯამებელ კრებულში, ხოლო თორნიკე გაგზავნილი იქნა ათენის ოლიმპიადის საერთაშორისო ახალგაზრდულ ოლიმპიურ ბანაკში.

ამჟამად თ. გ. თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის სტუდენტია. ამასთანავე არის გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი. მალე იგი ამთავრებს უნივერსიტეტს და მიემგზავრება საბერძნეთში – ასპირანტთა ერთთვიან სწავლებაზე.

ზემოხსენებულ ლიტერატურულ კონკურსებზე გამარჯვებული მისი თხზულება შეტანილია კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ III წიგნში.



71. იასონ (იაშა) გაჩეჩილაძე (ქშუტუნი)

სხვადასხვა დროს სოფ. წევის, სოფ. ზიკილიის და აგარის სოფსაბჭოში შემავალი სოფლების კოლმეურნეობების თავმჯდომარე.

დაიბადა 1903 წ. 11 ივლისს, სოფ. წიფლავაკეში, გარდაიცვალა 1998 წ.. **მშობლები: ვლადიმერ გაჩეჩილაძე, დომენიკა მშვენიერაძე.**

1910-1911 წლებში მიიღო ორი კლასის განათლება სოფ. წევის სკოლაში. 12 წლის ასაკში მსახურობდა ვ. ჩხეიძის ოჯახში მოსამსახურედ. 1917 წლიდან მუშაობდა ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანაში მუშად.

1919-1922 წლებში მუშაობდა ჭიათურის მაღაროში,

1928 წ. – სოფ წევის მაღაზიაში – გამყიდველად.

1928-1929 წ-ში გახდა სკკპ-ს ჯერ კანდიდატი, შემდეგ წევრი.

1930-1941 წ-ში მუშაობდა სოფ. წევის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1941-1944 წ-ში იბრძოდა სამამულო ომში. 1944 წ. წევის მოსახლეობა, მათ შორის მისი ოჯახიც (მეუღლე და ოთხი შვილი) ჩაასახლეს ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში.

1945-1950 წ-ში მუშაობდა სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1950 წ. გაიგზავნა სასწავლებლად საგურამოს სამწლიან სასოფლო სამეურნეო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა აგრონომის წოდება.

1954-1963 წ-ში მუშაობდა აგარის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1960-1963 წ-ში – ახალციხის რაიკავშირის სავაჭრო სისტემაში.

1963-1965 წ-ში ისევ სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

1965 წლიდან მუშაობდა სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის ბრიგადირად, შემდეგ, ღრმა მოხუცებულობამდე – ამავე სოფლის საწყობის გამგედ.

1985 წ. გახდა რაიონული მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ბ-ნ იასონს ჰყავდა **მეუღლე – მარიამ ნიშნიანიძე**. მათი შთამომავლობაა: **ექვსი შვილი (ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი),** 16 შვილიშვილი, 17 შვილთაშვილი და 5 შვილთაშვილიშვილი.

72. იესე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ხარაზი. კეთილი, სტუმართმოყვარე ადამიანი...

დაიბადა 1894 წ. 27 ივლისს (კვირიკობის დღეს), სოფ წევაში, გარდაიცვალა 1970 წ. ივლისში, ქ.ზესტაფონში.

იესე გაჩეჩილაძე წევის ერთ-ერთი თავკაცისა და ქველმოქმედის – იესე (სესია) გაჩეჩილაძის შვილთაშვილი, მრავალშვილიანი (8 ქალი და 2 ვაჟი) **ალმასხან გაჩეჩილაძის** (ვაჭარი) და **პელაგია ნიორაძის** (ბებიაქალი) მეათე შვილი იყო.

დაამთავრა სოფ. წევის ერთკლასიანი სასწავლებელი; ზესტაფონში ხარაზის ხელობას დაეუფლა; ცოტა ხანს იმსახურა მეფის ჯარში, შემდეგ კი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თავის ხელობას მისდევდა: ძალიან წუხდა იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მცირე მეწარმეებს გასაქანს არ აძლევდა. ამბობდა: –„ამას ჰქვია მთავრობა? ჩემი მარჯვენის მოხმარების საშუალება არ მომცაო".

იესე გაჩეჩილაძე ცნობილი იყო გულისხმიერებით, სიკეთით, სტუმართმოყვარეობით. ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს უყვარდათ მის ოჯახში შეკრება, ამიტომ, როცა მის სახლს ანგრევდნენ (იმ ადგილას ხიდი აშენდა), მრავალი მისი ნათესავი და ნაცნობ-მეგობარი შეიკრიბა გამოსათხოვრად სახლთან, რომელთანაც მათ მრავალი სასიამოვნო მოგონება აკავშირებდათ.

ბ-ნ იესეს უყვარდა თავისი სოფელი და ნათესავები. ინტერესიანი ბუნებისა და გამორჩეული მეხსიერების წყალობით, მათ შესახებ ბევრი რამ იცოდა, ამიტომ, როცა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა დავიწყეთ, ბევრჯერ ინატრეს მისმა ქალიშვილებმა და ნათესავებმა – ნეტავ ან თვითონ იყოს ცოცხალი, ან ჩვენ, თავის დროზე, ჩაგვეწერა მისი ნაამბობიო...

ი. გ. და მისი სათნო და დარბაისელი მეუღლე დიდად დაჩაგრა ცხოვრებამ – 7 შვილიდან მხოლოდ 3-ის გაზრდა შეძლეს.

ბ-ნი იესე დიდად აფასებდა სწავლა-განათლებას, ამიტომ შვილებს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

საკუთარი სოფლისა და მოყვასისადმი სიყვარული, ინტერესიანი ბუნება და გამორჩეული მეხსიერება მის შვილებსაც გამოჰყვათ: ქ - ნი **მეგი** ჩვენი საგვარეულო დარბაზის აქტიური წევრია. ამ კრებულში შესული არაერთი ბიოგრაფიული და გენეალოგიური მასალა მისი და მისი დის, **დალის**, მიერ არის მოძიებული.

ბ-ნი იესეს **მეუღლე იყო ნინო გველესიანი**. მათი შთამომავლები არიან; **შვილები: მარიამი*** (1927-1990) – მეან-გინეკოლოგი, **მეგი*** – ინჟინერ-ელექტროქიმიკოსი, **დალი***– ინჟინერ-ტექნოლოგი, მეღვინე, **შვილიშვილები: ქეთევან ნანობაშვილი** – ინჟინერ-ელექტროქიმიკოსი, მეცნიერი, **დავით კოპაძე** – მხატვარი, 4 შვილთაშვილი: **ნინო** – ექიმი-ფსიქიატრი, **მანანა** – ექიმი-პედიატრი, **მაია** – მხატვარი – **ნანობაშვილები** და **მარიამ კოპაძე** – მოსწავლე.

ბ-ნი იესეს სამივე შვილის ბიოგრაფია შესულია საგვარეულო წიგნის I ტომში.

73. ირაკლი გაჩეჩილაძე

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, სოფ. შროშის საშ. სკოლის დირექტორი, „საპატიო ნიშნის”ორდენის და სხვა ჯილდოების კავალერი.

დაიბადა 1915 წ., ზესტაფონის რ. სოფ. შროშაში, გარდაიცვალა 1988 წ.. **მამა – ლევანტი სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე** – ცნობილი ვაჭარი და ქველმოქმედი, **დედა – ერმონია გველესიანი**.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის 24-ე საშ. სკოლა, შემდეგ, 1938 წ.– თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1939 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა მათემატიკის მასწავლებლად სოფ. შროშის საშ. სკოლაში და სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად და წარმატებით ემსახურებოდა ამ ეროვნულ საქმეს. ასობით ახალგაზრდას შეაყვარა მათემატიკა. 5 წელი იყო ამავე სკოლის დირექტორი.

გარდა პედაგოგობისა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისა, იგი მრავალმხრივ აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. რაიონულ და რესპუბლიკურ პედაგოგიურ კონფერენციებზე გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით პედაგოგიკის თეორიულ საკითხებზე. მისი აქტიური მონაწილეობით აშენდა საშ. სკოლის მრავალსართულიანი შენობა სპორტული დარბაზითა და კეთილმოწყობილი ინტერნატით, მუსიკალური შვიდწლედი, შროშაში გაგრძელდა კერამიკის წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. აქ წარმოებულმა კერამიკულმა ნაწარმმა წარმატება მოიპოვა ქ. მოსკოვში და აშშ-ის ქალაქებში: სან ფრანცისკოში, სიეტლში და ატლანტაში მოწყობილ გამოფენებზე.

სოფლის ამ თავკაცის თაოსნობით, სკოლა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ათეული წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა რაიონში საარჩევნო კომისიას.

ბ-ნ ირაკლის მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული პედაგოგის წოდება. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის”, სიგელებით...

73ა. (126). ქეთევან გუგუციძე-გაჩეჩილაძე

სოფ. შროშის საშ. სკოლის დირექტორი – ორმოცი წლის განმავლობაში. ირაკლი ლევანტის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.

დაიბადა 1917 წ., ბაღდადაის რ. სოფ. როხში. **მშობლები: ალექსანდრე გუგუციძე, კალისტინე ადეიშვილი.**

1940 წ. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის პირველ მდივნად. ამავე წლებში იყო ქალაქკომის წევრი.

1941-1945 წლებში მუშაობდა კომკავშირის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1945-1948 წლებში კომპარტიის რაიკომის ინსტრუქტორად.

1948 წლიდან, 40 წლის განმავლობაში, მუშაობდა სოფ. შროშის საშ. სკოლის დირექტორად.

მის წარმატებულ მოღვაწეობას უკავშირდება განათლების ამ კერის

ჩამოყალიბება. მისი ხელმძღვანელობით შეიკრიბა ღირსეული პედაგოგიური კოლექტივი, აშენდა სკოლის მრავალსართულიანი შენობა კეთილმოწყობილი ინტერნატით, სპორტული დარბაზით, მუსიკალური სკოლა. ასობით ახალგაზრდამ მიიღო შესაფერი განათლება.

სკოლის წარმატებები აღინიშნა დიპლომებით ქ. თბილისში,მოსკოვში,აშშ-ის ქალაქებში: სან ფრანცისკოში, სიეტლში, ატლანტაში მოწყობილ ფოლკლორულ გამოფენებზე.

ღვაწლმოსილი პედაგოგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით", მედლებით შრომითი მამაცობისათვის, სიგელებით.

ბ-ნ **ირაკლი გაჩეჩილაძეს და ქ-ნ ქეთევან გუგუციძეს ჰყავთ შვილები: დალი**-თერაპევტი, **მერი** – პედიატრი, **ვახტანგი** – უროლოგი – თბილისის მე-9 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

74. კეკლუცა (ნანა) ჯუმბურიძე-გაჩეჩილაძისა

ჟურნალისტი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რევაზ გაჩეჩილაძის (პაპუჩელაშვილი-ხბოსთავა) მეუღლე.*

დაიბადა 1926 წ. 31 XII, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 2009 წ. 15 XI, თბილისში. **მამა – ევგენი ჯუმბურიძე.**

1948 წ. დაამთავრა თბილისის ქალთა მე-13 საშ. სკოლა, ხოლო 1965 წ. თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი.

1956 წ-დან მუშაობდა საქ. კპცკ-ს გამომცემლობაში – კადრების ინსპექტორად, კორექტორად, ლიტერატურულ მუშაკად.

1964 წ-მდე მუშაობდა გაზეთებში „ლელო" და „ახალგაზრდა კომუნისტი", ხოლო 1964 წ-დან „საქართველოს ბუნების" რედაქციაში – ლიტმუშაკად.

1970 წ-დან გაზ. „სოფლის ცხოვრების" რედაქციაში ლიტმუშაკად,1975 წ-დან – რედაქციის გამგედ.

1986 წ-დან გავიდა პენსიაზე. 1989 წ-დან იყო ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

პრესაში მუშაობისას დიდი გულისყურით ეკიდებოდა რედაქციაში მისულ საზოგადოებას, რის გამოც დიდი სიყვარულით სარგებლობდა როგორც თანამშრომლებში, ისე მკითხველებში. მრავალი საპატიო სიგელი აქვს მიღებული სხვადასხვა რედაქციებიდან.

1976 წ-დან იყო საქართველოს და სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და გაზ. „სოფლია ცხოვრების" არსებობის 60 წლისთავთან დაკავშირებით, მას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წ. 25 V ბრძანებულებით, მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

კეკლუცა ჯუმბურიძე იყო პატრიოტი, ძალზე სამართლიანი ადამიანი, ვერ იტანდა ადამიანის ჩაგვრას. იგი იყო ოჯახის წევრების, ნათესავების, ამხანაგების და მეზობლების დიდად მოყვარული ქალბატონი, კარგი დიასახლისი, მისი ყოველი ნახელავი მაღალი გემოვნებით გამოირჩეოდა.

ქ-ნი კეკლუცა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა გაჩეჩილაძეების მიმართ და მათგანაც იგივეს იღებდა.

ქ-ნ კეკლუცას დარჩა **მეუღლე – რევაზ ანდროს ძე გაჩეჩილაძე*** (საქ. ეკოლოგიურ

მეცნ. აკადემიის წევრ. კორ-ი, გაჩეჩილაძეების საგვარეულო დარბაზის ერთ-ერთი აქტიური წევრი) და **შვილები: ამირან და ლალი ჯინჭარაძეები და მამუკა და მარინა გაჩეჩილაძეები.**

75. ლავრენტი გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

ქ. ჭიათურის ფოსტის უფროსი. თბილისის ერთ-ერთი საფოსტო განყოფილების გამგე.

დაიბადა 1872 წ. 15 სექტემბერს, შორაპნის მაზრის სოფ. გუნდაეთში, გარდაიცვალა 1944 წ., თბილისში. **მშობლები: ანდრია გიორგის ძე გაჩეჩილაძე** (იხ. სტატია № 59, ტ. I), **ანნა ივანეს ას. აბდუშელიშვილი**

იყო ქ. ჭიათურის ფოსტის უფროსი; თბილისში – პლეხანოვის გამზირზე მდებარე საფოსტო განყოფილების გამგე.

მეუღლე – ნატალია (ნატაშა) ლუკას ას. გეგელაშვილი-გაჩეჩილაძე (1889-1930). **შვილი – თინათინი** – ექიმი, რესპუბლიკური სეროლოგიური ლაბორატორიის ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე.

76. ლევან გაჩეჩილაძე (ღიღინა)

უფროსი ლეიტენანტი, კავკასიის დივიზიის ქიმიური ნაწილის უფროსი, სამამულო ომში დაღუპული.

დაიბადა 1920 წ.. **მამა - გიორგი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა წევის რვაწლიანი სკოლა, შემდეგ კი ზესტაფონის ათწლიანი სკოლა – წარჩინებით.

სწავლობდა თსუ-ში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. იყო წარჩინებული სტუდენტი.

1941 წ. გაიწვიეს ჯერ თელავის საოფიცრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა უფროსი ლეიტენანტის წოდებით, შემდეგ კი სამამულო ომში – კავკასიის ფრონტზე, სადაც იგი იყო დივიზიის ქიმიური ნაწილის უფროსი. დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს. დაჯილდოებული იყო სხვადასხვა მედლებით. ომის დამთავრების შემდეგ, მისი, სამამულო ომის მეორე ხარისხის, ორდენი გაუგზავნეს წევაში მის მამას.

77. ლევან (ლეო) გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი მეღვინე, საქღვინმრეწვის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი...

დაიბადა 1927 წ. 1 აპრილს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 2006 წ. 26 სექტემბერს. **მშობლები: ერასტი გაჩეჩილაძე, თებროლე მუმლაძე.**

1945 წ. დაამთავრა ზესტაფონის №2 ვაჟთა საშუალო სკოლა.

1950 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი–ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით.

მუშაობდა ზესტაფონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში სახელოსნოს გამგედ, ზესტაფონის ადგილმრეწველობის ლითონდამმუშავებელი საამქროს უფროსად;

1959-1968 წლებში იყო სამტრესტის ზესტაფონის ქარხანათა სამმართველოს მთავარი მექანიკოსი;

1968-1979 წლებში კი ზესტაფონის ღვინის ქარხნის დირექტორის მოადგილე;

1979-1980 წლებში დირექტორის მოვალეობას ასრულებდა იმავე ქარხანაში;

1980-1983 წლებში იყო საქღვინმრეწვის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელი;

1983 წლიდან პენსიაზე გასვლამდე იყო ამავე გაერთიანების მთავარი ინჟინერი.

იყო რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. მის მიერ შექმნილი ბოთლების საცობით დამხუფავი აპარატი დღესაც გამოიყენება ღვინის ქარხანაში.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, რაც აღნიშნული იყო მაშინდელ პრესაში (ჟ. „მეცნიერება და ტექნიკა").

რამდენჯერმე არჩეული იყო საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ჩვეულ გულისხმიერებას იჩენდა ამ საქმეშიც. დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა მშობლიურ კოლექტივში.

ბატონ ლევანს დარჩა **მეუღლე – ლეილა ჩუბინიძე-გაჩეჩილაძე** – ეკონომისტი, სახალხო ბანკის ზესტაფონის ფილიალის მმართველი, **შვილები: ლევანი** (1968) – ექიმი, სამედიცინო ფირმა „ავერსის" დირექტორის მოადგილე, **თათია** (1969 – ფარმაცევტი, „ავერსი-გეოფარმი"-ს № 47 აფთიაქის გამგე.

78. ლევან გაჩეჩილაძე

კომპანია „ავერსი"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე რეალიზაციის დარგში.

დაიბადა 1968 წ. 19 მარტს. **მშობლები: ლევან ერასტის ძე გაჩეჩილაძე** (გ..2006 წ.) – საქღვინმრეწვის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, **ლეილა ვალერიანის ას. ჩუბინიძე** – „სახალხო ბანკი"–ს ზესტაფონის ფილიალის მმართველი.

1974-1985 წლებში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა ზესტაფონის № 3 საშ. სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თსსი-ს პედიატრიულ ფაკულტეტზე.

I კურსის დამთავრების შემდეგ, 1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში – დასავლეთ უკრაინასა და ჩეხოსლოვაკიაში. მიღებული აქვს მრავალი

მადლობა და ჯილდო.

1988 წ. დაბრუნდა არმიიდან და განაგრძო სწავლა.

1988 წ. წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი.

1993-1994 წლებში ინტერნატურის კურსი გაიარა პედიატრიის ინსტიტუტში.

1995 წლიდან მოღვაწეობს ფარმაცევტულ სფეროში. 1998 წლიდან მუშაობს კომპანია „ავერსში". ხელმძღვანელობისაგან მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო სხვადასხვა დამსახურებისათვის. ამჟამად იგი „ავერსის" გენერალური დირექტორის მოადგილეა რეალიზაციის დარგში.

ბ-ნ ლევანს ჰყავს **მეუღლე ლელა დავითის ას. ხუჯაძე** (1973) – რომელსაც დამთავრებული აქვს თსსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტი და **შვილები: ლაშა (1997) და ელენე (1999).**

79. ლიანა გაჩეჩილაძე (წველა)

ექიმი გინეკოლოგი

დაიბადა 1930 წ., დაბა ხარაგაულში, გარდაიცვალა 1978 წ.. **მამა გიორგი სტეფანეს ძე გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ექიმ-გინეკოლოგად.

ქალბატონ ლიანას დარჩა **მეუღლე – ედუარდ თოხაძე** – ექიმი-სტომატოლოგი, **შვილები: არჩილი** – ექიმი-გინეკოლოგი (მუშაობს ქ. გორში), **ნანა** – უცხო ენათა სპეციალისტი, **შვილიშვილი – ნუცა ერისთავი** – ექიმი.

80. ლიდა ლობჟანიძე

ვეტერანი წეველი. აკაკი იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძის (ლობიო) (1920-1970) მეუღლე.

დაიბადა 1924 წ.. **მამა ალექსი ლობჟანიძე.**

წევაში ცხოვრობს 1947 წლიდან.

ეს სიმპათიური გარეგნობის, სათნო, კეთილშობილი, სპეტაკი ბუნების, სტუმართმოყვარე ქალბატონი ერთი იმათგანია, ვინც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია განუმეორებელ ხიბლს უნარჩუნებენ წევას.

ქ-ნმა ლიდამ და მისმა ოჯახმა დიდად შეუწყეს ხელი ჩვენი საგვარეულო დარბაზის თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლების მუშაობას სოფ. წევაში.

ქ-ნ ლიდას ჰყავს **შვილი – აზა გაჩეჩილაძე** – წევის სკოლის პედაგოგი (1988-1991 წლებში ამავე სკოლის დირექტორი) და **სიძე – თამაზ ალავიძე.**

ამ ოჯახის წევრებმა კეთილშობილებითა და გულითადობით წეველთა, წევის სტუმართა და ყველა ნაცნობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

81. (11ა). ლილი არკადის ას. გაჩეჩილაძე

ვეტერანი წეველი. წევის ეკლესიის მცველი, ბ-ნ ანზორ კობერიძის მეუღლე.
(იხ. ბიოგრაფია № 11ა.)

82. (34ა). ლოლა ამბროსის ას. ვაჭარაძე

ბ-ნ გრიგოლ (ბახვა), გაჩეჩილაძის მეუღლე,
წევის სკოლის პედაგოგი, წევის ეკლესიის
მცველი 1954-2001 წლებში.
(იხ. ბიოგრაფია № 34ა.).

83. მაია გაჩეჩილაძე (თხაჭამია)

თბილისის ოპერის თეატრის რეჟისორი

დაიბადა 1959 წელს. **მამა გივი შალვას ძე გაჩეჩილაძე***.

84. მაია გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

მუსიკოსი, გორის რ. სოფ. ერედვის მუსიკალური სკოლის დირექტორი.

დაიბადა 1973 წ. 27 ოქტომბერს, თბილისში. **მშობლები: ნოე (ნოდარ) ვასილის ძე გაჩეჩილაძე, მზია იოსების ას. კილასონიძე-გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა თბილისის 174-ე საშ. სკოლა და 25-ე სამუსიკო შვიდწლედი – ფორტეპიანოს განხრით.

სწავლობდა ხალხურ საკრავებზე-სალამურზე და ფანდურზე დაკვრასაც.

1989-1993 წლებში სწავლობდა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახ. მუსიკალური სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე.

1993-1998 წლებში- თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე.

მუშაობდა თბილისში, კერძო ქორეოგრაფიულ სტუდიაში – კონცერტმაისტერად, საბავშვო ბაღში – მუსიკის მასწავლებლად.

2000 წლიდან მუშაობდა ქ. გორის რ. სოფ. ერედვის მუსიკალურ სკოლაში გუნდისა და ფორტეპიანოს მასწავლებლად.

2005 წ. დაინიშნა ამ სკოლის დირექტორად.

მისი მოწაფეები წრმატებით მონაწილეობენ ქ. გორში მოწყობილ კონკურსებში – საგუნდო და საფორტეპიანო ნაწარმოებებით.

ქ-ნ მაიას ჰყავს **მეუღლე - ზაზა ხადური** და **შვილები: გიორგი** და **დავითი**. ჰყავდა ძმა, ამირან გაჩეჩილაძე, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა 33 წლის ასაკში 2005 წ..

85. მანანა გაჩეჩილაძე (გოგება)

თბილისის ტოიოტა ცენტრის ფინანსური მენეჯერი.

დაიბადა 1950 წ. 7 ოქტობერს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე*** (საქართველოს დამსახ. ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი, გაჩეჩილაძეთა „საგვარეულო დარბაზის“ აქტიური წევრი), **თამარ (თალიკო) გრიგოლის ას. კახელი** – ინჟინერ-ტექნოლოგი.

1957 წ. დაიწყო სწავლა ქ. ტყვარჩელის საშ. სკოლაში.

1960 წ. მათი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ქ. რუსთავში.

1967წ. დაამთავრა ქ. რუსთავის მე-2 საშ. სკოლა. იმავე წელს ჩააბარა სპი-ს ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1971 წ. და მუშაობა დაიწყო ქიმიური დარგის საკონსტრუქტორო ბიუროში. შემდეგ მუშაობდა სახელმწიფო გეგმარების ინსტიტუტში ინჟინრად; საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ქიმიურ ლაბორატორიაში ჯერ ინჟინრად,შემდეგ ლაბორატორიის გამგის მოადგილედ. (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ლაბორატორიამ მუშაობა შეწყვიტა).

ქ-ნმა მანანამ კვალიფიკაცია შეიცვალა და 1998 წლიდან მუშაობა დაიწყო ტოიოტას ფირმაში ფინანსურ მენეჯერად. კარგი მუშაობისათვის, იგი ფირმის ხელმძღვანელობამ დააჯილდოვა ტოიოტას ფირმის მანქანით, ხოლო 2011 წ., მისი, როგორც წარმატებული მენეჯერის, ფოტოსურათი განათავსეს ბილბორდებზე.

ქ-ნ მანანას ჰყავდა **მეუღლე – დავით მაჭავარიანი** (ინჟინერი, გ.1996 წ.), მათი **შვილები არიან: იასონ მაჭავარიანი** (დ. 1976 წ., ინჟინერი, ლაგოდეხის სათევზე მეურნეობის დირექტორი),

თამარ მაჭავარიანი – (დ. 1977წ., ინგლისური ენის სპეციალისტი. ცხოვრობს ინგლისში, ქ. მანჩესტერში, გათხოვილია მწერალ ალან ფორესტ სმიტზე).

86. მარია (მაშურა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენის კავალერი.

დაიბადა 1894 წ., შორაპნის მაზრის სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1952 წ.. **მამა – წევის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მაკარ გაჩეჩილაძე,** განათლებული კაცი იყო. **დედა – ანა არაბიძე** – ჭკვიანი და გამჭრიახი ქალბატონი, ამიტომაც შვიდივე შვილს მიაღებინეს განათლება.

(მაშურა) მარია გაჩეჩილაძემ დაამთავრა ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის ახალჩამოყალიბებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1926 წ. და დაიწყო მუშაობა თბილისის რკინიგზის № 7 საშ. სკოლაში – ქართული ლიტერატურის მასწავლებლად.

აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იყო რკინიგზის სასკოლო განყოფილების შტატგარეშე მეთოდისტი.

რკინიგზის № 7 საშ. სკოლა გადაეცა ქალაქს და გახდა 116-ე საშ. სკოლა. მარია (მაშურა) გაჩეჩილაძე მუშაობდა ამ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ –

სიცოცხლის ბოლომდე.

ქ-ნ მაშურას ჰყავდა მეუღლე – **მიხეილ (თენგიზ) არდიშვილი**, რომელიც ადრე გარდაიცვალა. მათ დარჩათ ერთი **ქალიშვილი – მედეა არდიშვილი** (გერმანისტი) და **ორი შვილიშვილი: რუსუდან ოძელი** – ისტორიკოსი, **მიხეილ (მიკა) ოძელი** – კომპოზიტორი.

87. მარინა გაჩეჩილაძე (გოგება)

მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკოეს საავადმყოფოს ექიმი.

დაიბადა 1957 წ. 9 სექტემბერს, ქ. ტყვარჩელში. **მშობლები: თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე*** (საქართველოს დამსახ. ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი, გაჩეჩილაძეთა „საგვარეულო დარბაზის“ აქტიური წევრი), **თამარ (თალიკო) გრიგოლის ას. კახელი** –ინჟინერ-ტექნოლოგი.

1960 წელს მათი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქ. რუსთავში.

1974 წ. დაამთავრა რუსთავის მე-2 საშ. სკოლა. შემდეგ თბილისის სახელმწ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და დაიწყო მუშაობა ქ. რუსთავის საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად.

1987 წ. დაოჯახდა თავის კოლეგაზე.

1995 წ. ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკოეში, სადაც ის და მისი მეუღლე მუშაობენ ექიმებად № I საავადმყოფოში.

მისი **მეუღლეა – ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თედეევი**, მათ ჰყავთ **შვილები: ანა და ალექსანდრე** –სტუდენტები.

88. მედეა გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1931 წ. 20 აგვისტოს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: ალექსანდრე ყარამანის ძე გაჩეჩილაძე, ოლღა ივანეს ას. კაპანაძე-გაჩეჩილაძე.**

1949 წ. დაამთავრა ზესტაფონის რკინიგზის სკოლა, ხოლო 1957 წ. – ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სკოლებში პედაგოგად.

ქალბატონი მედეა ამჟამად პენსიონერია. ჰყავს **მეუღლე – თენგიზ ბლიაძე** – მეტყევე –ინჟინერი და **შვილები: ბესიკ ბლიაძე** (1959) – მეტყევე ინჟინერი (დაამთავრა ასპირანტურა რუსეთში 1987 წ.), **მაია ბლიაძე** (1962) – აგროინჟინერი.

89. მედეა გაჩეჩილაძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1938 წ. 22 ივნისს, თბილისში, გარდაიცვალა 2009 წ. 25 აპრილს, თბილისში. **მამა ტერენტი გაჩეჩილაძე.**

1964 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი მცენარეთა დაცვის სპეციალობით.

1965 წ. დაიწყო მუშაობა ნ. ლომოურის სახ. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე.

1985 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ერთხანს მუშაობდა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტად, პარალელურად აგრძელებდა მუშაობას მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტში, სადაც 1986 წ. გადაიყვანეს უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. ამ ინსტიტუტში ქ-ნმა მედეამ 40 წელი იმუშავა მეულღლესთან ერთად.

ქ-ნ მედეას დარჩა **მეუღლე – გიორგი კურდღელაშვილი, შვილი – ნინო კურდღელაშვილი** და **შვილიშვილი – ლევან ღამბაშიძე.**

89ა. (32). გიორგი კურდღელაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ-ნი მედეა გაჩეჩილაძის მეუღლე.

დაიბადა 1932 წლის 13 ივლისს, კასპის რ. სოფ. თეზში. **მამა იოსებ კურდღელაშვილი.**

1952 წ. დაამთავრა სოფ. თეზის საშ. სკოლა.

1953 წ. დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრაზე ლაბორანტად.

1968 წ. 21 მაისიდან მუშაობდა ნ. ლომოურის სახ. საქართველოს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უმცრ. მეცნ. მუშაკად მებოსტნეობის განყოფილებაში.

1987 წ. 26 ნოემბერს დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. (2006წ. 31 დეკემბერს საქართველოში აღიარებული მეცნ. კანდიდატის ხარისხი ავტომატურად გათანაბრდა დოქტორის აკადემიურ ხარისხთან).

არის შრომის ვეტერანი და ვეტერანთა კავშირის წევრი.

90. მელანო გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

პედაგოგი, ინჟინერი, გამორჩეულად ამაგდარი მოყვასი.

დაიბადა 1938 წ. 29 ნოემბერს, სოფ. წევაში. **მშობლები: ვასილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე, თამარ ალექსის ას. ნიშნიანიძე.**

1944 წ. მისი ოჯახი, ს. წევის მოსახლეობასთან ერთად, გადასახლებული იქნა ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში.

1954 წ. დაამთავრა ზიკილიის რვაწლიანი სკოლა;

1959 წ. – აწყურის საშ. სკოლა; 1959 წ.– ახალციხის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი – საბავშვო ბაღის აღმზრდელის სპეციალობით.

1960 წ. მუშაობა დაიწყო ქ. გორის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის კვლევით ინსტიტუტში ავტომატიკა-ტელემექანიკის განყოფილების ლაბორანტად.

1968 წ. დაამთავრა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობა.

1971 წ. ზემოხსენებულ კვლევით ინსტიტუტში გადაყვანილი იქნა უფროს ტექნიკოსად. 1977 წ. კი უფროს ინჟინრად.

იგი იყო დისციპლინირებული, ინიციატივიანი თანამშრომელი. ხარისხიანად ასრულებდა დავალებულ საქმეს. შრომითი წარმატებებისათვის მიღებული აქვს სხვადასხვა სახის ჯილდოები: სიგელები, პრემიები...

1986 წ. მან მოსკოვში გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი –„ხელსაწყოთმშენებლობის ნაწარმის და მართვის სისტემების საიმედოობაში".

1991-1924 წლებში მუშაობდა ქ. გორის სამრეწველო გაერთიანება „დილა"-ს ანალიზური ხელსაწყოების საცდელ ქარხანაში საამწყობო უბნის უფროსად. 1994 წ. გავიდა პენსიაზე.

ქ-ნი მელანო ცხრაშვილიან ოჯახში აღიზარდა. მისი დედმამიშვილებიდან მხოლოდ მან არ შექმნა საკუთარი ოჯახი. სამაგიეროდ, მან იტვირთა მზრუნველობა დაქვრივებულ დედაზე, თავისი მრავალრიცხოვანი დედმამიშვილებისა და მათი შთამომავლების ოჯახებზე. იგი არ ეპუება არც ცუდ ამინდს, არც მანძილს, არც არანაირ საფრთხეს და დაუყოვნებლივ ჩნდება იქ, სადაც მისი, საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალში განსახლებული, ოჯახის რომელიმე წარმომადგენელს უჭირს. თვითონაც ცხოვრებისაგან საკმაოდ შეჭირვებული, ყოველთვის პოულობს ძალას და საშუალებას, რათა ახლობლებს ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს. მთელი მისი ცხოვრება მოყვასთა მიმართ უანგარო თავდადების მაგალითია.

91. მერი გაჩეჩილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის განყოფილების გამგე, უმაღლესი კატეგორიის ექიმი.

დაიბადა 1953 წ., ზესტაფონის რ. სოფ. შროშაში. **მამა – ირაკლი ლევანტის ძე გაჩეჩილაძე** (გ.1988 წ.) – ღვაწლმოსილი პედაგოგი, **დედა – ქეთევან გუგუციძე** – სოფ. შროშის საშ. სკოლის დირექტორი 40 წლის განმავლობაში, საზოგადო მოღვაწე.

წარჩინებით დაამთავრა: საშ. სკოლა, თსსუ-ის პედიატრიული ფაკულტეტი (1977წ.) და თსსუ-ის კლინიკური რეზიდენტურა (1979 წ.).

1979-1985 წლებში მუშაობდა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში – რეანიმატოლოგად.

1985 წლიდან დღემდე მუშაობს თსსუ-ის პედიატრიულ კლინიკაში დღენაკლ ახალშობილთა განყოფილების გამგედ. პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა: გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ ინსტიტუტში, თსსუ-ის პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრაზე, სტომატოლოგიურ ინსტიტუტში „კავკასია", სადაც 2001 წ., სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა დოცენტის წოდება პედიატრიაში;

1987 წ. – ექიმის უმაღლესი კატეგორია.

2001 წ., საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მიენიჭა სახელმწიფო სერტიფიკატი ნეონატოლოგიაში.

ქ-ნი მერი აქტიური საზოგადოებრივი დატვირთვით ცხოვრობს: იგი არის საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრი, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის გამგეობის წევრი, პერინატოლოგთა და ნეონატოლოგთა პროფესიული ასოციაციის წევრი, პედიატრთა ასოციაციის წევრი, საქართველოს საპატპიარქოსთან არსებული ქალთა ასოციაციის წევრი.

1980-2005 წლებში დაბეჭდილი აქვს ნაშრომები: პედიატრიული ყრილობების კრებულში (თბილისი, მოსკოვი, ერევანი), სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ნაშრომთა კრებულში– პედიატრიის აქტუალური პრობლემები, პედიატრია XXI საუკუნის მიჯნაზე.

ქ-ნი მ. გაჩეჩილაძე უანგაროდ ემსახურება საქართველოს ბავშვთა მკურნალობისა და კვების საკითხებს. წარმატებულ კლინიცისტს ასობით „მძიმე" ახალშობილი გადაურჩენია – ქართველი ოჯახებისათვის მომავლის იმედი არ დაუკარგავს.

მ. გაჩეჩილაძეს დიდი წვლილი მიუძღვის არამარტო საკუთარი შვილების ცხოვრების წარმატებით წარმართვაში, არამედ ათობით ახალგაზრდა ექიმის ჩამოყალიბებაში.

ქ-ნ მერის ჰყავს **მეუღლე – ჯინჭარაძე მურთაზი** – ეკონომისტი, **ორი შვილი: ჯინჭარაძე რუსუდანი** – სტომატოლოგი, **ჯინჭარაძე ქეთევანი** – თსსუ-ის წარჩინებული სტუდენტი.

რუსუდანს ჰყავს მეუღლე – გიორგი ბაბილაშვილი და შვილი – ნიკა.

92. მერი ფანქველაშვილი-გაჩეჩილაძე

ვეტერანი წეველი. სოფ. წევის საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგე 1957-1995 წლებში.
სოსო გაჩეჩილაძის (ხიხინი) (1926-1988) მეუღლე.

დაიბადა 1930 წ.. **მამა – ვასილ ფანქველაშვილი.**

1956 წ. ცოლად გაჰყვა სოსო პავლეს ძე გაჩეჩილაძეს (რომელიც, სხვადასხვა დროს, მუშაობდა რკინიგზაში და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში) და საცხოვრებლად გადმოვიდა სოფ. წევაში.

1957-1995 წლებში ქ-ნი მერი წევის საფერშლო და საბებიო პუნქტის გამგე იყო. მან ხელი შეუწყო მრავალი წეველის ამ ქვეყნად მოვლინებას.

მ. ფანქველაშვილი სტუმართმოყვარე, იშვიათი ენერგიულობით გამორჩეული ქალბატონია. იგი უნარიანად უძღვება თავის საოჯახო მეურნეობას, მხარში უდგას თავის შვილებს.

ქალბატონი მერისა და ბატონი სოსოს შთამომავლები არიან **სამი შვილი: ნანი, ლია და ზაზა გაჩეჩილაძეები და ორი შვილიშვილი – ბადრი სარალიძე და თორნიკე გაჩეჩილაძე.**

93. მზია გაჩეჩილაძე (ჭიმატი)

ეკონომისტი...

დაიბადა 1964წ. 14 აგვისტოს, ლაგოდეხის რ.,სოფ. კართუბანში. **მშობლები: ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე, იზოლდა მიხეილის ას. რეხვიაშვილი.**

1881 წ. დაამთავრა სოფ. კართუბნის საშ. სკოლა, შემდეგ კი თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ლაგოდეხის რაიკავშირში ეკონომისტად, შემდეგ კი ლაგოდეხის სახელმწიფო მუზეუმში.

ქ-ნ მზიას ჰყავს **მეულლე – მურად შალვას ძე ჯალაბაძე** – ბიზნესმენი და **შვილები: შალვა** – სწავლობს ინგლისში – კოლეჯში, **ქეთევანი** – მე-5 კლასის მოსწავლეა.

94. მიტროფანე (მიტო) გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

მეცნიერი – ბოტანიკოსი.

დაიბადა 1909 წელს, ზესტაფონში, გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია ზესტაფონში. **მშობლები: ალფეზ ფარსადანის ძე გაჩეჩილაძე** –** მეორე გილდიის ვაჭარი, მრავალი სახლის, დუქნისა და მაღაზიის მეპატრონე, ჭიათურის მაღაროების მნიშვნელოვანი მეპაიე, **მარიამ იოსების ას. ცერცვაძე** – ფრიად განათლებული, კეთილშობილი, ღვთისმოსავი და ქველმოქმედი ადამიანი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მ. გ-ს ოჯახის კეთილდღეობა რეპრესიებმა შეცვალა: დააპატიმრეს მისი მამა, რომელიც ციხეში დაინვალიდდა (განგრენა დაემართა და ფეხი მოჰკვეთეს), მათი ოჯახი „შავ სიაში“ მოხვდა, რის გამოც, მ-სათვის შეუძლებელი გახდა უმაღლესი განთლების მიღება, ამიტომ იგი, ფიქტიურად, გამოეყო ოჯახს და, მხოლოდ ამის შემდეგ, შეძლო სასოფლო –სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრება (თუმცა, „შავსიელობის“ გამო, რამდენჯერმე გარიცხეს ინსტიტუტიდან).

ინსტიტუტში სწავლისას, მ-ს დიდი მეგობრობა აკავშირებდა მის თანაკურსელ ნიკო კეცხოველთან. ეს მეგობრობა შემდეგ გადაიზარდა მეცნიერულ თანამშრომლობაში ჯერ თბილისის ბოტანიკურ ბაღში, შემდგომ ჯიშთა გამოცდის საკავშირო სისტემაში. მ. გ. ცხოვრობდა სამსახურთან ახლოს – ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და ღამეებს ათენებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახის (ალფეზს და მარიამს ათი შვილი ჰყავდათ, მიტროფანე უფროსი ვაჟი იყო) ტვირთმა და ინვალიდი მამის მდგომარეობამ აიძულა საცხოვრებლად ზესტაფონში გადასულიყო.

ბუნებრივია, მეცნიერებას ვერ შეელია – ჯერ არგვეთის სასელექციო სადგურში მუშაობდა, შემდგომ – საჩხერის მარცვლეულ კულტურების საკავშირო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში უფროს მეცნიერ მუშაკად.

მ. გ. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მრავალჯერ იყო წარგზავნილი მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით, მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაშიც.

როგორც მეცნიერ-მუშაკს, მიტროფანეს ჰქონდა „ჯავშანი“, მაგრამ ის მაინც,

მოხალისედ, წავიდა ომში და, მრავალი ჭრილობის მიუხედავად, იბრძოდა ომის დამთავრებამდე. იგი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ომის დამთავრების შემდეგ, მ. გ. დაბრუნდა ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში, მაღალმთიან სოფელ კორბოულში, რომლის მცხოვრებლებსაც ჭეშმარიტ „კულტურტრეგერად“ მოევლინა: მიტო გაჩეჩილაძემ შეიტანა ამ სოფელში, სადაც დენიც კი არ იყო, პირველი რადიო, ფოტოაპარატი, წიგნები, საკერავი მანქანები. რუსული ენის ბრწყინვალედ მცოდნე, თანასოფლელებს ეხმარებოდა საყოფაცხოვრებო თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოწერაში საკავშირო გზავნილებათა სავაჭრო სისტემა „Посылторг“-იდან. შესაბამისად, მოსახლეობის უღრმესი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა.

1934 წ. მ.გ. **დაქორწინდა რუსუდან ივანეს ას. კაჭკაჭიშვილზე**. ქ-ნი რუსუდანი (ლუსიკო) (1916-2000) უკეთილშობილესი ადამიანი იყო და ღირსეული რძლობა გაუწია ალფეზ გაჩეჩილაძის დიდ ოჯახს.

ბ-ნ მიტროფანეს და ქ-ნ რუსუდანს შეეძინათ **ხუთი შვილი**. ამათგან ერთი – **იური** – სამი თვისა გარდაიცვალა, ოთხი გაიზარდა და დაოჯახდა:

მ. გ-ს ვაჟი, **გურამი**** დაიბადა 1937 წ.. სსსი-ს დამთავრების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ. მას ჰყავს მეუღლე – ეთერ თურმანიძე, ოთხი შვილი და რვა შვილიშვილი.

გიული** (დ. 1940 წ.) – თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგად. ჰყავს მეუღლე – ევსევი (ომარი) ალექსანდრეს ძე აბაშიძე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

ვაჟა **(დ. 1942 წ.) – თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 44 წლის განმავლობაში მუშაობდა ბირთვული ფიზიკის კათედრაზე. „გაიარა გზა“ ლაბორანტიდან პროფესორამდე. მისი პირველი მეუღლე იყო ნანული ტაბატაძე (1942-1992) – მათემატიკოსი. მეორე მეუღლეა გულნარა ბაშარული (დ.1949 წ.) – ჟურნალისტი. ჰყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

რამაზი** (დ. 1949 წ.) – სპი-ს დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იყო საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. ამჟამად მუშაობს შპს „მწვანე სახლის“ ფინანსურ დირექტორად.

ჰყავს მეუღლე – ნანა კვიკვინია – ქიმიკოსი, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

ფოტოზე I რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: გურამ გაჩეჩილაძე, მიტროფანე გაჩეჩილაძე, რუსუდან კაჭკაჭიშვილი.

II რიგში: გიული, რამაზ და ვაჟა გაჩეჩილაძეები.



95. მიხეილ გაჩეჩილაძე (კვიცინა)

ინჟინერ ჰიდროტექნიკოსი, ეკონომისტი.

დაიბადა 1968 წ. 19 ივნისს, ქ. გორში. **მშობლები: ემირ მიხეილის ძე გაჩეჩილაძე, მზია ივანეს ას. აბაიაძე.**

1984 წ. დაამთავრა თბილისის 58-ე საშ. სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1991 წელს, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

2000 წ. სწავლა განაგრძო ქ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 2004 წელს, ეკონომისტის კვალიფიკაციით.

1985-87 წლებში იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1991 წ. მუშაობა დაიწყო კონცერნ „საქართველოში“ წამყვან სპეციალისტად.
1998 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის ერთ-ერთი ღვინის ქარხნის დირექტორად.
მიხეილი თავის საქმის კარგი სპეციალისტია, ყოველთვის პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რისთვისაც მიღებული აქვს მრავალი მადლობა და სიგელი.

96. მიხეილ (მიტო) გაჩეჩილაძე (ლობიო)

დაიბადა 1913 წ. 16 აგვისტოს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1992 წ.. **მშობლები: იპოლიტე გაჩეჩილაძე, პოლინა მაღრაძე.**

სწავლობდა ს. ძირულის დაწყებით სკოლაში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. ხაშურში. სწავლა განაგრძო თბილისის თეატრალურ ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფში – სამსახიობო ხელოვნების სპეციალობით. მონაწილეობდა ხაშურის სახალხო თეატრის სპექტაკლებში: „სამშობლო“, „ჩაძირული ქვები“, „ღრმა ფესვები“.

დაიწყო ომი და მიტო გაიწვიეს ფრონტზე. საბრძოლო დავალების შესრულების დროს (სევასტოპოლის მისადგომებთან) შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს სამი ძმა გაჩეჩილაძეები: ვანო, მიტო და კაკო. ეს შეხვედრა ლამაზ ზღაპარს ჰგავდა...

ომმა მძიმე კვალი დაატყო მათ ოჯახს: ხუთი ძმიდან ერთი (დავითი) დაეცა ბრძოლის ველზე. სამი ძმა ტრამვირებული დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მიტომ დაკარგა ცალ ყურში სმენა, მეორე ყურში კი არ ჰქონდა სრული სმენადობა. თეატრალური ინსტიტუტი და სცენა მის განუხორციელებელ, სანუკვარ ოცნებად დარჩა.

მისი ბუნებრივი ვოკალური თუ სამსახიობო მონაცემები დროდადრო თავს იჩენდნენ: მიტო ქ. ხაშურში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების აქტიური მონაწილე იყო. იყო შესანიშნავი დეკლამატორი, მღეროდა მამაკაცთა ვოკალურ ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა, წარსულში ცნობილი ლოტბარი, მარო თარხნიშვილი.

ბ-ნი მიტო იყო სპეტაკი და უანგარო ადამიანი, საუკეთესო მეუღლე და მამა, თბილი, მოსიყვარულე ბაბუა.

მას ჰყავდა **მეუღლე – მარიამ ბერიძე, შვილი ნანი გაჩეჩილაძე*** (დ.1941 წ.), **შვილიშვილი გიორგი კაპანაძე** (დ. 1979 წ.).

97. მიხეილ გაჩეჩილაძე (ცეტი)

ინჟინერი ტექნიკის დარგში,
კომერსანტი.

დაიბადა 1882წ., ს. წევაში. გარდაიცვალა 1934 წ.. **მშობლები: ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, სალომე გაჩეჩილაძე.**

წევიდან იგი გადასახლდა ჭიათურაში და იქ დაოჯახდა. კარგად ფლობდა რუსულ ენას. გერმანიიდან იწერდა ზინგერის მარკის საკერავი მანქანის ნაწილებს, თვითონ აწყობდა ჭიათურაში და ყიდიდა.

ბ-ნ მიხეილს ჰყავდა **მეუღლე – ალექსანდრა (ფატი)**

ბიწაძე, შვილები: პეტრე (1916-1996), პავლე (კუკური) (1918-1943) და შალვა (1922-1976), პავლე „დიდ სამამულო ომში“ დაიღუპა, პეტრეს და შალვას დარჩათ შვილები და შვილიშვილები.

98. მურმან (ბადრი) გაჩეჩილაძე (ბურდუხა)

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. თბილისის მეორადი საფეიქრო ნედლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკის დირექტორი.

დაიბადა 1949 წ. 29 იანვარს, ქ. თბილისში. **მშობლები: გიორგი ერმალოზის ძე გაჩეჩილაძე, მარიამ ისაკაძე.**

1966 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-4 საშ სკოლა, შემდეგ, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი.

1971 წ. ჩაირიცხა მოსკოვში ასპირანტურაში.

1973 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მუშაობდა მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში განყოფილების უფროსად. შემდეგ, გადაყვანილი იქნა თბილისის მეორადი საფეიქრო ნედლეულის დამამუშავებელი და გადამამუშავებელი ფაბრიკის დირექტორად, სადაც მუშაობს დღემდე.

ბ-ნ ბადრის ჰყავს **მეუღლე – ევა პავლოვიჩი**.

99. ნათელა გაჩეჩილაძე (კრეჭია)

მედიცინის მუშაკი, გამორჩეულად მხნე, კარგი მეურნე და მეოჯახე ქალბატონი.

დაიბადა 1930 წ. 15 ივლისს (15 დეკემბერს) ქ. ზესტაფონში. **მშობლები: რაჟდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე, დომნა სიმონის ას. აბესაძე**.

მამამისი უგზო-უკვლოდ დაიკარგა „დიდი სამამულო ომის“ ფრონტზე, ისე, რომ ვერ მოესწრო მეოთხე შვილის დაბადებას. (ქ-ნი ნათელა უფროსია რ. გაჩეჩილაძის შვილთაგან).

დაობლებული ბავშვები მარტომ გაზარდა დედამ – სპეტაკმა, მხნე და გამრჯე ადამიანმა.

ქ-ნმა ნათელამ 1955 წ. დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი – ფერშლის პროფესიით. 1956 წლიდან 21 წლის განმავლობაში მუშაობდა ონკოლოგიის ინსტიტუტში ექთნად ჯერ ქირურგიულ, შემდეგ კი რეანიმაციის განყოფილებაში. შემდეგ, გადავიდა წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის რითმის მოშლის განყოფილებაში.

ქ-ნ ნათელას თავისი პროფესია ძალიან უყვარს და თავის სამუშაოს კეთილსინდისიერად და ენთუზიაზმით ასრულებდა.

1963 წ. იგი დაოჯახდა. შეეძინა 2 ქალიშვილი. ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ, მოულოდნელად, მისი მეუღლე ოჯახიდან წავიდა სხვა ქალთან და, მას შემდეგ, შვილებზე აღარ უზრუნია.

ქ-ნი ნათელა დარჩა, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ახალაგებულ კოოპერაციულ ბინაში, რომლის გადასახადი 15 წლის განმავლობაში უნდა ეხადა. ექთნის მცირე ხელფასი საკმარისი არ იყო ოჯახის სარჩენად. ამიტომ, ქ-ნი ნათელა

დადიოდა რუსეთში, ჩამოჰქონდა დეფიციტური საქონელი და ყიდდა; დედის რჩევით შეიძინა არყის გამოსახდელი მოწყობილობა და დაიწყო არყის გამოხდა თავისი ბინის სარდაფში; შემდეგ, იქ მინის ტარის მიმღები პუნქტი გახსნა; რამდენიმე წელი თურქეთში დადიოდა სავაჭროდ; შემდეგ, ღვინის მარანი მოაწყო და მეღვინეობას მოჰკიდა ხელი, რასაც დღემდე მისდევს.

ყველა საქმეს, რასაც ხელს ჰკიდებს, აკეთებს მაღალ დონეზე. თავისი პატიოსანი, დაუღალავი შრომის შედეგად, ქ-ნმა ნათელამ შეძლო კარგი შვილების გაზრდა, შეუქმნა მათ კარგი პირობები ცხოვრების, სწავლისა და შრომისათვის. იგი ამჟამადაც ენერგიული და ხალისიანი ადამიანია, ჩვენი საგვარეულო დარბაზის აქტიური წევრია.

ქ-ნ ნათელას ჰყავს **შვილები: ირინა და მარიამ ბერიძეები,** შვილიშვილები და შვილთაშვილები.

100. ნანი გაჩეჩილაძე (ლობიო)

მუსიკის პედაგოგი, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ავტორი, რეჟისორი, წამყვანი...

დაიბადა ქ. ხაშურში 1941 წ. 18 აპრილს. **მშობლები: მიხეილ (მიტო) იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძე, მარიამ ბერიძე.**

დაამთავრა ხაშურის რუსული საშ. სკოლა და მუსიკალური სკოლა. ერთდროულად დაეუფლა ვიოლინოზე და ფორტეპიანოზე დაკვრას. შემდგომში, დაამთავრა თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის –ფორტეპიანოს პედაგოგის და კონცერტმაისტერის სპეციალობა და გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა.

მრავალი წელია ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ხაშურის სამუსიკო სკოლაში. ჩატარებული აქვს კლასის მრავალი კონცერტი: –თბილისში, გორში, ბორჯომში. კონკურსებზე მისი მოწაფეები ჯილდოვდებოდნენ დიპლომებით, სიგელებით. ბევრმა მისმა მოწაფემ დაამთავრა თბილისის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი და სწავლა განაგრძო კონსერვატორიაში.

ერთხანს მუშაობდა დაბა თერჯოლაში. იქ რიტუალების სასახლის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დრიჟორი აჭარის ავტონომ. რესპ. დამსახ. მოღვაწე –ტარიელ დუგლაძე), დაუკრეს თერჯოლის სამუსიკო სკოლის მოწაფეებმა, მათ შორის ქ-ნი ნანის ორმა მოწაფემ და მისმა ვაჟმა.

ხაშურში დაბრუნების შემდეგ, მოღვაწეობს სარაიონო ტელევიზიაში. ჩამოაყალიბა საყმაწვილო სტუდია „დიადემა“–1089 წ.. 1990 წ. გადაიღო პირველი საბავშვო კლიპი საქართველოში.

მოყვარულთა კონკურსზე მიიღეს ჯილდო და დიპლომი, რომელიც იტალიაში გამგზავრების უფლებას აძლევდათ (სამწუხაროდ გამგზავრება ვერ განხორციელდა).

თბილისში გამართულ პრესტიჟულ კონკურსზე „სივრცე-95“, „ოქროს არწივი“, „დელფიადა“, სტუდია „დიადემას“ ნორჩმა მომღერლებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს. მათ დიდი წარმატებით მიიღეს მონაწილეობა გადაცემაში „ბარი-ბარში“ (ხელმძღვ. გივი ბერიკაშვილი).

ქ-ნმა ნანიმ გადაიღო საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ქორწილი“, „ბოშათა ბანაკი“. იგი წლების განმავლობაში იყო ხაშურის რაიონში კულტურული ღონისძიებების რეჟისორი, ავტორი, წამყვანი. შეხვედრები მოუწყო ცნობილ პოეტებს: ირაკლი აბაშიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მორის ფოცხიშვილს: კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს, სიმებიან კვარტეტს, სიმფონიურ ორკესტრს; მოამზადა სატელევიზიო გადაცემები: „9 აპრილი“, „ოცნებით მსოფლიოს გარშემო“, „საქართველო გამარჯვება შენ“;

იყო სარაიონო გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი და გაზეთ „ლამპრის“ (ხაშურის რ. დამოუკიდებელი ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზ.) ხელოვნების რუბრიკის ხელმძღვანელი.

ამჟამად განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის სხვადასხვა ღონისძიებების უცვლელი წამყვანი. ახლახან, სამუსიკო სკოლების მოსწავლეთათვის შეადგინა კრებული, რომელშიც თავი მოუყარა მსოფლიოს გენიოსთა საფორტეპიანო შედევრებს...

ქ-ნ ნანის ჰყავს **შვილი გიორგი კაპანაძე** (დ. 1979 წ.)და სამი შვილიშვილი.

101. ნანული გაჩეჩილაძე

ბებიაქალი

დაიბადა 1939 წ. 5 დეკემბერს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: დიმიტრი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე**, მარიამ გოგლიჩიძე.**

1958 წ, დაამთავრა ზესტაფონის № 2 სას. სკოლა.

1960წ. დაამთავრა თბილისის სამეანო ტექნიკუმი–ბებიაქალის სპეციალობით.

1960-1962 წლებში მუშაობდა ნევროლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ კი ზესტაფონის აფთიაქში. 1964-1975 წლებში – თბილისის ბავშვთა მე-17 პოლიკლინიკაში, 1986-1992 წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანება „განთიადში“.

ქ-ნ ნანაულის ჰყავდა **მეუღლე – ჯუმბერ ვლადიმერის ძე ტეფნაძე** – ინჟინერ-გეოლოგი (გ. 1998), ჰყავს **შვილები: ვლადიმერი** – იურისტი, **ბესიკი** – იურისტი და სპორტსმენი (რაგბისტი), **რძლები: თეა აბრამიშვილი, ეკა ჩლაიძე და შვილიშვილები: სალომე, მარიამ და სანდრო ტეფნაძეები.**

102. (36ა) ნანული სევერიანის ას. შარიძაძე

წევის საშ. სკოლის მასწავლებელი.
დავით (ღუტუ) გაჩეჩილაძის მეუღლე.

იხ. ბიოგრაფია № 36ა.

103. ნატალია (ნატაშა) გაჩეჩილაძე (ბაჩა)

ექიმი, ქ. ზესტაფონის პოლიკლინიკის ქალთა კონსულტაციის განყოფილების გამგე.

დაიბადა 1897 წ., გარდაიცვალა 1943 წ.. **მამა – მოსე გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა საფერშლო სასწავლებელი, შემდეგ, სმედიცინო ინსტიტუტი და გარდაცვალებამდე მუშაობდა ზესტაფონის რაიპოლიკლინიკაში ქალთა კონსულტაციის განყოფილების გამგედ.

104. ნელი (ელა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ოზონოთერაპიის და სტერილიზაციის ცენტრის ექიმი ფიტოთერაპევტი და ბიოკორექტორი...

დაიბადა 1951 წ. 20 თებერვალს, სოფ. წევაში. **მშობლები: გრიგოლ (ბახვა) კასიანეს ძე გაჩეჩილაძე, ლოლა ამბროსის ას. ვაჭარაძე.**

1966 წ. დაამთავრა წევის რვაწლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის ფარმაცევტულ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1969 წ.

სწავლის პერიოდში იყო კომკავშირის მდივანი და ინტერნაციონალური წრის ხელმძღვანელი, წერდა ლექსებს, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებში.

1969 წლიდან 1973 წლამდე მუშაობდა მოლითის აფთიაქის გამგედ. შემდეგ კი თბილისის ცენტრალური სააფთიაქო საწყობში კონტროლიორად. პარალელურად სწავლობდა ფიტოთერაპიას.

1978 წ-დან მუშაობდა რკინიგზის № 4 აფთიაქში განყოფილების გამგედ.

1990 წ. დაამთავრა ამერიკა-კანადა-სსრკ-ის ერთობლივი ბიოენერგოთერაპიული სასწავლებელი და მიენიჭა პირველი კატეგორიის ექსტრასენსის კვალიფიკაცია.

1990 წ-დან 1995 წ-მდე მუშაობდა სამედიცინო ფირმა „მედსერვისის“ აფთიაქის გამგედ.

1995 წ-დან ეწეოდა კერძო პრაქტიკას. წარმატებით მუშაობდა რთულ დაავადებებზე, რაც ბევრჯერ აღინიშნა პრესით და ტელევიზიით. შემუშავებული აქვს ორგანიზმის გასუფთავების და კომპლექსური მკურნალობის (მხოლოდ ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით) მეთოდი.

თანამშრომლობს სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებთან და „ქალთა გაზეთთან“.

2003 წ. მირზა ბაღაშვილთან ერთად გამოსცა წიგნი – „ცხოვრების წიგნი“–I ტომი.

ამჟამად მუშაობს ოზონოთერაპიის და სტერილიზაციის ცენტრში ექიმ-ფიტოთერაპევტად და ბიოკორექტორად.

ქ-ნ ელას ჰყავს **ორი შვილი: მაკა და ნატო კვინიკაძეები** და **ოთხი შვილიშვილი: ნიკა, ლიზა, სოფიკო და გვანცა.**

105. ნელი გაჩეჩილაძე

თბილისის გ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი...

დაიბადა 1921 წ. 4 ოქტომბერს, თბილისში, გარდაიცვალა 2002 წ. 11 იანვარს. მშობლები: **გრიგორი მალაქიას ძე გაჩეჩილაძე** – ინჟინერი, **ლიდია ბორისის ას. ტუნოშენსკაია** – პიანისტი.

ნ.გ-მ მაღალი დონის მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის კონსერვატორიაში – ღვაწლმოსილ პედაგოგთან, ქართული პიანისტური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელთან, პროფესორ ა. თულაშვილთან. შემდეგ, იგი ნაყოფიერ პიანისტურ-საშემსრულებლო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. აღზარდა ნიჭიერი მუსიკოსების მთელი პლეადა, რომელთა შორის არიან მაღალი დონის პიანისტი-შემსრულებლები,

პედაგოგები, სოლისტები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ კონსერვატორიაში, საქართველოს რაიონების მუსიკალურ სასწავლებლებში და სკოლებში (თ. აფაქიძე, თ. ბრაგვაძე, ზ. ბალიაშვილი, ლ. კანდელაკი, მ. ჭუმბურიძე, ნ. წერეთელი და სხვები), ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში (მოსკოვში – თ. გვერდწითელი, ამერიკაში – ბ. ფიზიცკაია, ეგვიპტეში – ი. ჯავახაძე, გერმანიაში – ე. გორდელაძე და სხვები).

ნ. გ. მრავალი წლის განმავლობაში სისტემატურად გამოდიოდა სოლო კონცერტებით კონსერვატორიაში, ფილარმონიაში, რადიომაუწყებლობაში... მისი ფართოპროგრამიანი კონცერტები მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა. კონცერტებზე იგი ევროპელ კლასიკოსთა ნაწარმოებებთან ერთად ასრულებდა თანამედროვე ქართველ და სხვა ქვეყნების კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც.

დიდი ენერგია, ღრმა ცოდნა, მეცნიერული აზროვნება, განსაკუთრებულად პასუხისმგებლური დამოკიდებულება მუსიკალური ნაწარმოებისადმი და პედაგოგიური საქმიანობისადმი, პრინციპულ მომთხოვნელობასთან ერთად განაპირობებდა მისი მუშაობის კარგ შედეგს. უქმნიდა მას დიდ ავტორიტეტს.

გარდა საშემსრულებლო და პედაგოგიური საქმიანობისა იგი ეწეოდა მეთოდისტურ საქმიანობასაც. სისტემატურად წარმოადგენდა კათედრაზე ნაშრომებს, რომლებშიც აშუქებდა პიანისტურ-საშემსრულებლო საკითხებს.

ნ. გ. მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს კონსულტანტი – დიდ დახმარებას უწევდა მუსიკალურ სასწავლებლებს და სკოლებს...

მისი ნიჭიერება, მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება, პედაგოგიური მოღვაწეობა არაერთხელ იქნა აღნიშნული.

მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, რომლის წევრები იყვნენ მუსიკალური კულტურის საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები, ნ. გ-ს, როგორც მაღალი დონის პიანისტს-შემსრულებელს და პედაგოგს ერთხმად მიანიჭა სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორის სამეცნიერო წოდება.

მუსიკალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები: კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები, პროფესორები, სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, კონსერვატორიის რექტორები, კათედრის გამგეები: ს. ცინცაძე, ალ. მაჭავარიანი, ვ. შიუკაშვილი, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი, ნ. გაბუნია, შ. ჩხიკვაძე, რუსეთის მუსიკალკური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გ. ნეიგაუზი, ა. იოხელისი, ი. ტულინი, მ. მილმანი და სხვები მას ახასიათებენ, როგორც მრავალმხრივი მუსიკალური ნიჭიერებით დაჯილდოებულ პიროვნებას, მაღალი დონის პიანისტ-შემსრულებელს, პედაგოგს და შესანიშნავ პიროვნებას. მათ მიერ ხელმოწერილი დახასიათებები, რომელთა მოკლე შინაარსი მოგვაწოდა ქ-ნი ნელის **მეუღლემ, ბ-ნმა შ. ყაველაშვილმა**, ინახება ქ-ნი ნელის ოჯახში.

106. ნელი (მერი) გაჩეჩილაძე (კრეჭია)

პედაგოგი, სათნოების სახლის გამგე...

106ა. (63). თამაზ ხუსკივაძე

ქ-ნ ნელი (მერი) გაჩეჩილაძის მეუღლე, ზესტაფონის პურის ქარხნის დირექტორი, საყოფაცხოვრებო სამმართველოს უფროსი...

ქ-ნი ნელი დაიბადა 1942 წ. 8 იანვარს ქ. ზესტაფონში. **მშობლები: რაჟდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე, დომნა სიმონის ას. აბესაძე.**

მამამისი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა ისე, რომ მეოთხე შვილის –

ნელის დაბადებას ვერ მოესწრო. გაზარდა დედამ – ძალზე მშომელმა, მხნე და სპეტაკმა ადამიანმა.

დაამთავრა ზესტაფონის მე-3 საშ. სკოლა. შემდეგ კი ქ. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობა დაიწყო ზესტაფონის მე-3 ბაგა-ბაღში პედაგოგად. ძალიან უყვარს ბავშვები. დიდ სითბოსა და სიყვარულს იჩენდა მათ მიმართ. მუშაობდა, აგრეთვე, ძნელად აღსაზრდელ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო ასოციაციის მიერ დაარსებულ სათნოების სახლის გამგედ. კეთილშობილებით და გულისხმიერებით გამორჩეული ქ-ნი ნელი ყოველთვის პასუხისმგებლობით და თავდადებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რითაც ბავშვების და მათი მშობლების დიდ სიყვარულს იმსახურებდა.

ქ-ნ ნელის და მის **მეუღლეს თამაზ ალექსანდრეს ძე ხუსკივაძეს** (1941-2009), რომელიც, დიდი მსახიობის, უშანგი ჩხეიძის დისშვილი იყო) დიდი წვლილი მიუძღვით უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში მრავალი ღონისძიების ჩატარებაში.

ბ-ნი თამაზი სხვადასხვა დროს მუშაობდა ზესტაფონის ღვინის ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსად, შემდეგ პურის ქარხნის დირექტორად, საყოფაცხოვრებო სამსახურის უფროსად. იგი იყო მრავალმხრივი ნიჭისა და უნარის მქონე, თავმდაბალი, სპეტაკი, გულისხმიერი ადამიანი. გარდა იმისა, რომ მაღალ დონეზე ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობებს და იყო სამაგალითო მეუღლე და მამა, იგი შესანიშნავ ლექსებსაც წერდა.

ქ-ნ ნელის და ბ-ნ თამაზს ჰყავთ შვილები: ალეკო – ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი, ერთ-ერთი საამქროს უფროსი, **მაკა** და **ლიკა** – პედაგოგები (სამთავე დაოჯახებული), და **რვა შვილიშვილი.**

107. ნინო გაჩეჩილაძე

თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.

დაიბადა 1980 წლის 31 მარტს, თბილისში. **მშობლები: გივი გიორგის ძე გაჩეჩილაძე და თინათინ გიორგის ას. გაჩეჩილაძე.**

1995 წ. დაამთავრა თბილისის II სამუსიკო სასწავლებელი.

1995 წ. მუშაობდა რადიო 106-ში (იყო მუსიკალური გადაცემის ავტორი და წამყვანი).

1997 წ. დაამთავრა თბილისის მე-100 საშ. სკოლა.

1996-1999 წწ. მუშაობდა გაზეთ „ვარსკვლავების“ კორესპონდენტად.

2000-2001 წწ. მუშაობდა ცენტრალურ რადიოში (იყო მუსიკალური გადაცემის ავტორი).

2001 წ. დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი.

2001 წ. მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტის სადიპლომო მონოსპექტაკლში „ბედნიერი დღეები“ – სემიუელ ბეკეტის პიესის მიხედვით (რეჟისორი გ. აფხაზავა).

2003 წ. მონაწილეობდა ქართულ ტელესერიალში „წვრილ ვარსკვლავთა ღამე“.

2002 წ., თეატრალურ სარდაფში, თ. დოსტოევსკის „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ასრულებდა ნატაშა იხმენევას

როლს (რეჟ. ნ. ლიპარტიანი).

2003 წ., მარჯანიშვილის თეატრში, ლ. თაბუკაშვილის პიესის „თოვლივით თეთრი თოვლის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში თამაშობდა ხათუნას როლს (რეჟ. ა. ენუქიძე).

2004წ., ვაკის თეატრალურ სარდაფში, ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში (რეჟ. ლ. წულაძე) ასრულებდა პატარძლის როლს;

2006 წ., მარჯანიშვილის თეატრში, ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ასრულებდა ჟორჟეტ დიუბუას როლს. (რეჟ. გ. ჟორდანია).

2008 წ., ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მორის მეტერლინკის ნაწარმოების „ნიშნობას“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში თამაშობდა მერის ქალიშვილის როლს (რეჟ. გ. თავაძე).

2008 წ., მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში „ფერხული“ (არტურ შნიცლერის მიხედვით) თამაშობდა ლორას როლს (რეჟ. ლ. წულაძე).

2009 წ. რეჟ. რ. რამიშვილის ფილმში „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“ ასრულებდა პატრულის – ელენე არსენიშვილის როლს.

ამჟამად, მარჯანიშვილის თეატრში, მუშაობს რეჟ. ლ. წულაძის სპექტაკლზე ბოკაჩოს დეკამერონის მიხედვით და სხვა.

108. ნინო გაჩეჩილაძე (ჭიმატი)

ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1925 წ., სოფ. ყარსუბანში (ლაგოდეხის რ.). **მშობლები: ზოსიმე გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე და ვალენტი ბიჭიას ას. ნანიტაშვილი.**

1942 წ. წარმატებით დაამთავრა ყარსუბნის საშ. სკოლა. კოლმეურნეობის გამგეობის მივლინებით, სწავლობდა და 1943 წ. დაამთავრა ლაგოდეხის სარაიონთაშორისო საბუხჰალტრო სკოლა – მოანგარიშის სპეციალობით.

1944 წ. უგამოცდოდ ჩაირიცხა სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა IIკურსის I სემესტრის ჩათვლით. ოჯახური პირობების გამო (მისი ორი ძმა დაიღუპა „დიდი სამამულო ომის“ ფრონტზე), სწავლას თავი დაანება. ყარსუბნის საშ. სკოლის დირექტორის მიწვევით, მუშაობა დაიწყო სკოლაში სამეურნეო ნაწილის გამგედ.

1949-1955 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობით. ხუთი ათეული წელი უანგაროდ ასრულებდა მასწავლებლის რთულ და საპატიო მოვალეობას.

ქ-ნ ნინოს ჰყავდა **მეულლე – რაჟდენ ბიწაძე** (მე-5 ხუთწლედის შრომის დამკვრელი), ჰყავს **შვილი – მამუკა ბიწაძე** – მეტალურგი (უმაღლესი განათლებით), **რძალი – მზია თამაზის ას. თოდუა, შვილიშვილები: ალექსანდრე, ლუკა, ნიკოლოზი.**

109. ნინო (ნუნუ) გაჩეჩილაძე

მეღვინე ტექნოლოგი, სპორტსმენი.

დაიბადა 1919 წ. 27 აპრილს, ქ. ზესტაფონში., გარდაიცვალა 1990 წ.. **მშობლები: მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე** – საპატიო რკინიგზელი, **დედა – ლიუდმილა ყიფშიძე** – ცნობილი დეკანოზის ივლიანე ყიფშიძის ქალიშვილი.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი – მეღვინე-ტექნოლოგის სპეციალობით. სტუდენტობის დროს აქტიურად იყო დაკავებული სპორტით. იყო წარმატებული ტანმოვარჯიშე. მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატებში.

1945 წლის 9 მაისს, გამარჯვების პარადზე (მოსკოვში), სხვა ქართველ ულამაზეს ქალბატონებთან ერთად, წინ უძღოდა საქართველოს დელეგაციას. მიწვეული იყო ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ნადიმზე და მიღებაზე ი.ბ. სტალინთან. მისი სურათი ამშვენებდა ქ. ბუქარესტის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე მდებარე შენობას (1946-1947 წლებში) – საქართველოს წარმოსაჩენად.

მუშაობდა შამპანური ღვინოებისა და №4 ღვინის ქარხნებში სხვადასხვა თანამდებობებზე: ქიმიკოსად, მიკრობიოლოგად, ტექნოლოგად.

ქ-ნ ნინოს ჰყავდა **მეუღლე – ზურაბ იმნაიშვილი** (ეკონომისტი) – საქართველოს ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების ინსპექციის უფროსი, **შვილები: თენგიზი** – ინჟინერი, ტექნიკურ მეცნ. კანდიდატი, სასტენდო მსროლელი და წყალბურთელი (გ. 1987 წ.), **მანანა** – ინგლისური ენის პედაგოგი, **თამაზი** – საქართველოს, სსრკ-ს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სასტენდო სროლაში, 1981 წლის მსოფლიო რეკორდსმენი, რამდენიმე ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ქ-ნი ნუნუს ბიძები აბო (აგაბო) და სამსონი პირველი მრეწველები იყვნენ ზესტაფონში; მამიდა – ელენე – დამსახურებული პედაგოგი, ლენინის ორდენის კავალერი; ძმა – მიხეილი – სტუდენტი გაიწვიეს ომში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

110. ნიკოლოზ გაჩეჩილაძე (წველა)

ექიმი. ჭიათურის რკინიგზის საავადმყოფოს დირექტორი.

დაიბადა 1896 წ., გარდაიცვალა 1956 წ.. **მშობლები: გრიგორ გაჩეჩილაძე, ელპიდე შეყრილაძე.**

ბ-ნმა ნიკოლოზმა მრავალი წელი იმუშავა საავადმყოფოს დირექტორად. იგი იყო კარგი ექიმი და კეთილშობილი ადამიანი. თუ შეამჩნევდა, რომ ავადმყოფის პატრონს მატერიალურად უჭირდა, ფულს არასოდეს გამოართმევდა და წამალსაც გაატანდა (რკინიგზის საავადმყოფოს თავისი აფთიაქი ჰქონდა). თუ საავადმყოფოს მძიმე ავადმყოფი ჰყავდა, ყოველთვის, გამოძახების გარეშე, აკითხავდა, ამიტომ იგი ყველასთვის

საყვარელი ექიმი იყო.

სამამულო ომის განმავლობაში, იყო ომში გასაწვევი ახალგაზრდების ჯანმრთელობის შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე.

ბ-ნ ნიკოლოზს ჰყავდა **მეუღლე – ელენე ხარიტონის ას. გოდაბრელიძე, შვილები: თინა** (აგრონომი. მუშაობდა ზესტაფონის აგროტექნიკუმში, გარდაიცვალა 1986 წ.), **ნიკოლოზი** – ქირურგი (დაიღუპა II მსოფლიო ომში), **ქეთევანი** – ტექნოლოგი (პურის მე-3 ქარხნის ყოფილი დირექტორი).

111. ნიკოლოზ გაჩეჩილაძე (წველა)

ქირურგი – სამამულო ომში დაღუპული.

დაიბადა 1916 წ., უგზო-უკვლოდ დაიკარგა II მსოფლიო ომში. **მშობლები: ნიკოლოზ გრიგორის ძე გაჩეჩილაძე** – ექიმი, ჭიათურის რკინიგზის საავადმყოფოს დირექტორი, **ელენე ხარიტონის ას. გოდაბრელიძე** – დიასახლისი.

დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ქირურგად კიევის ჰოსპიტალში. ომის გამოცხადებისთანავე გაწვეული იქნა ჯარში. გერმანელებისაგან კიევის აღების შემდეგ, ოჯახს მისი წერილები აღარ მიუღია.

112. ნორა გაჩეჩილაძე (უწვავი)

სოფ. ზიკილიის საშ. სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

დაიბადა 1926 წ. 19 ივნისს, სოფ. წევაში. **მამა – ერმინე გაჩეჩილაძე**ˇ .

წევის რვაწლიანი სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, წარჩინებით დაამთავრა შროშის საშ. სკოლა, შემდეგ კი (1945 წ.) პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობა და განაწილებული იქნა სამუშაოდ სოფ. ზიკილიის საშ. სკოლაში, სადაც მუშაობდა მასწავლებლად 2003 წლამდე. 2003 წ. გავიდა პენსიაზე.

თანასოფლელთა შვილების მოამაგე მასწავლებელი და მამიდა, ქალბატონი ნორა, სოფელში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

ქ-ნ ნორას ჰყავს **მეუღლე – გიორგი ჩერქეზია, შვილები: ნათელა** (იურისტი) და **თამაზი** (ეკონომისტი), ექვსი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი.

ა. ერმინე გაჩეჩილაძეს, რომელიც სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა, ქ-ნი ნორას გარდა კიდევ რვა შვილი ჰყავდა. მისი უფროსი ვაჟი მიხეილი, რომელიც აგრონომი და მფრინავი იყო, ომიდან დაჭრილი დაბრუნდა და სამშობლოში გარდაიცვალა.

113. ოთია გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

„პატარა ოთია“ – „დიდი ოთიას“ შვილიშვილი, ვაჭარი XIX სს. II ნახევარში.

დაიბადა დაახლოებით 1830-იანი წლების დასაწყისში. **სავარაუდოდ, ნიკოლოზ ოთიას ძე გაჩეჩილაძის შვილი.**

„პატარა ოთია“, თურმე, სავაჭროდ დადიოდა თურქეთში და სპარსეთში. შემოჰქონდა საჭმლის სანელებლები და ხელოსნური ნაწარმი. ყიდდა დასავლეთ საქართველოში.

მას ჰყავდა **ვაჟები – ალექსანდრე და აკაკი.**

114. ომარ (ომია) გაჩეჩილაძე

პურის ცხობის ტექნოლოგი.

დაიბადა 1941 წ. 22 ივნისს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1997 წ. 16 ნოემბერს. **მშობლები: – დიმიტრი გაჩეჩილაძე**, მარიამ გოგლიჩიძე.**

1959 წ. დაამთავრა ქ.ზესტაფონის მე-2 საშ. სკოლა და სწავლა განაგრძო სპი-ს ენერგეტიკის ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან გადავიდა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ზესტაფონის რაიკავშირში პურის ცხობის წარმოების დირექტორად, შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, – პურის ცხობის ტექნოლოგად. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და საქმისადმი ერთგულებით, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბ-ნ ომიას კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონდა, შესანიშნავად მღეროდა.

მას დარჩა **მეუღლე – ანჟელიკა იშხნელი** – ინჟინერ-მეტალურგი (ამჟამადაც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური განყოფილების წამყვანი ინჟინერია).

შვილები: მიხეილი – ინჟინერ-მეტალურგი – ცხოვრობს და მუშაობს ქ. კრივოი-როგში, ჰყავს მეუღლე – ტატიანა კისილიოვა (ინჟინერ-მეტალურგი) და ვაჟი დიმიტრი.

დიმიტრი – თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. ჰყავს მეუღლე –ქეთევან ფაიქრიძე და შვილები: სიმა და ომია – სკოლის მოსწავლეები.

115. რამაზ გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

ქიმიურ მრეწველობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი. შპს „მწვანე სახლის“ ფინანსური დირექტორი.

დაიბადა 1949 წლის 7 ივლისს, ზესტაფონში. **მშობლები: მიტროფანე ალფეზის ძე გაჩეჩილაძე**** – მეცნიერი აგრონომი, საჩხერის საკავშირო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელი, **რუსუდან ივანეს ას. კაჭკაჭიშვილი** – დიასახლისი.

1966 წ., ვერცხლის მედალზე დაამთავრა ზესტაფონის

რკინიგზის №7 საშ. სკოლა, 1971 წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1973-1992 წლებში მუშაობდა ქიმიური მრეწველობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალში მთავარი სპეციალისტის, განყოფილების უფროსის, დირექტორის თანამდებობებზე. 1985-1991 წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციების კურსს წარმოების ეკონომიკასა და ორგანიზაციაში.

ამჟამად მუშაობს შპს „მწვანე სახლის“ ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე.

ბ-ნ რამაზს ჰყავს **მეუღლე – ნანა კვიკვინია და ორი შვილი: სოფიო და არჩილი.**

სოფიო დაიბადა 1977 წლის 15 სექტემბერს. დაამთავრა სპი სახელმწიფოს მართვის სპეციალობით, 2003 წელს კი ვაშინგტონის ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობით. ცხოვრობს ლონდონში, ჰყავს მეუღლე – დავით სანდროშვილი და ორი ვაჟი – თედო და მათე.

არჩილი** დაიბადა 1979 წლის 5 ივნისს. წარმატებით დაამთავრა თსუ ეკონომიკის ბაკალავრისა და იურისპრუდენციის ბაკალავრის წოდებით, შემდეგ აშშ-ში დაამთავრა ნიუ-იორკის შტატის კორნელის უნივერსიტეტის მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით. 2009 წ-დან მუშაობს საქართველოს ბანკში – არის გენერალური დირექტორის მოადგილე. ჰყავს მეუღლე – ნინო ამონაშვილი და ქალიშვილი – ანა გაჩეჩილაძე.

116. რაჭდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე (კრეჭია)

„დიდ სამამულო ომში“ დაღუპული ჯარისკაცი.

116ა. (41). დომნა სიმონის ას. აბესაძე

რაჭდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.

*ვაქვეყნებთ მათი ქალიშვილის – ნათელას** ჩანაწერს:*

მამაჩემი, რაჭდენი, ხელოსნის, **ზაქარია თევდორეს ძე გაჩეჩილაძის**, მრავალშვილიან ოჯახში აღიზარდა. მას ჰყავდა **ძმები: გიორგი, ბესარიონი, გრიგოლი, ილია და დები: ნატა და ივლიტა.**

მამამ დაწყებითი განათლება წევის ორწლიან სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი ფეხსაცმლის მკერავის პროფესიას დაეუფლა. მათი ოჯახი წევიდან ზესტაფონში „ტევრის“ დასახლებაში გადასახლდა.

23 წლის ასაკში მამამ **ცოლად შეირთო დომნა სიმონის ას. აბესაძე**. გაუჩნდათ **შვილები: ნათელა, კარლო, გურამი**. დედა მეოთხე შვილზე იყო ფეხმძიმედ, როცა, 1941 წ., მამა ჯარში წაიყვანეს.

ომის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა. დედა გასცქეროდა გზას, ელოდა რაიმე ცნობას მამისაგან. მივიღეთ ბარათი, რომ ის მცხეთაში იყო და ამზადებდნენ ფრონტზე წასაყვანად. საოცარი იყო – ფეხმძიმე დედამ გაგვამზადა სამი მცირეწლოვანი ბავშვი და მამის სანახავად წაგვიყვანა მცხეთაში. ჩვენსავით იქ ბევრი იყო ჩასული ახლობლების სანახავად. მამისთვის ჩვენი იქ ყოფნა რომ გვეცნობებინა, იქვე ვწერდით ბარათებს და ჯარისკაცებს ვატანდით, რადგან იქ ძალიან ბევრი სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული – სხვადასხვა ადგილას. დილით ჩასულებს

გზისკენ გვქონდა თვალები, მაგრამ, მოსაღამოვდა და მამა არსად ჩანდა. ჩვენ გულდაწყვეტილნი და ატირებულნი ვისხედით მატარებლის მოლოდინში და როცა დავაპირეთ უკან წამოსვლა, უცებ, მამა დაგვადგა თავზე, ამხანაგებითურთ. ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი შეხვედრა. დედამ იქვე სუფრა გაშალა და ისე მადიანად შეექცეოდნენ, რომ კიდევაც თქვეს: – ასე გემრიელად კარგა ხანია არ დავნაყრებულვართო. ბავშვები მამას ძლივს მოგვაცილეს. დავემშვიდობეთ და წამოვედით. მალე ბარათი მივიღეთ: – ქერჩის ფრონტზე მივდივართო. – შემდეგ კი მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ცნობა მოგვიტანეს.

დედას შეეძინა მეოთხე ქალიშვილი – ნელი და გაიზარდა მამის უნახავი.

დედა იყო სათნო, სპეტაკი და შრომისმოყვარე. მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა 4 მცირეწლოვანი ბავშვი ვესაზრდოვებინეთ. მამის შესახებ აღარაფერი გაგვიგია. დედა მაინც იმედით გასცქეროდა გზას, მაგრამ ამაოდ. დიდი შრომით და წვალებით გაგვზარდა. ყველას გვყავს ოჯახი, შვილები და შვილიშვილები...

117. (24ა) რიმა გელაშვილი

მრავალშვილიანი დედა. გიორგი (ჟორა) არტევანის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.
იხ ბიოგრფია № 24 ა.

118. სანდრო (სანდალა) გაჩეჩილაძე

ზესტაფონის თეატრის მსახიობი
1897 წლიდან, სავარაუდოდ, 1940-იან წლებამდე.

1897-1905 წლებში „ზესტაფონის სცენის მოყვარეთა შორის იყვნენ ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები: განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ვასო და ფაცია არაბიძეები, კოლია ასათიანი, ოლიმპიადა ბაქრაძე, მარო მდივანი, **სანდრო გაჩეჩილაძე (სანდალა),** კოწია მოდებაძე და მირიან ჭანიშვილი.

ვასო არაბიძე, **სანდალა გაჩეჩილაძე,** მარო მდივანი, მერაბ ჭანიშვილი შემდეგ პროფესიული მსახიობები გახდნენ და დაამშვენეს ჩვენი მშობლიური სცენა“...

ციტატა მოყვანილია დოდო ანთაძის წიგნიდან – თეატრალური ზესტაფონი, თბილისი, 1978 წ., გვ. 90, 112.

119. სიმა გაჩეჩილაძე

№1 ბავშვთა ბიბლიოთეკის დირექტორი...

დაიბადა 1935 წ. 1 მარტს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1993 წ. 27 თებერვალს. **მშობლები: დიმიტრი (მიტუშა) გაჩეჩილაძე, მარიამ გოგლიჩიძე.**

1953 წ. დაამთავრა ზესტაფონის ქალთა №2 საშ. სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. პარალელურად მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად. შემდეგ კი გარდაცვალებამდე იყო №1 ბავშვთა ბიბლიოთეკის დირექტორი. ეწეოდა აქტიურ აღმზრდელობით მუშაობას პიონერ-მოსწავლეებთან.

იყო ბავშვების საყვარელი აღმზედელი. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ბიბლიოთეკაში მოწყობილ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, თანამშრომლებმა, მკითხველებმა და მათმა მშობლებმა დიდი სითბოთი და მადლიერებით მოიგონეს ეს ამაგდარი ადამიანი.

მეუღლე – ოთარ კონსტანტინეს ძე მუმლაძე.

შვილები: ლალი და თამაზი – ექიმები, **რძალი – მარინა მთვარელიძე** – ექიმი, **სიძე – პეტიკო ბოხოჩაძე** – ინჟინერი, **შვილიშვილები: ნინო** (გ. 1998წ. 20 წლისა), **მარიამ** და **შოთიკო, შვილთაშვილები: ოთიკო მუმლაძე, ოლიკო და ელენე ბოხოჩაძეები**.

120. ტარასი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე

სოფ. აჭარის სკოლის მასწავლებელი და
ქართული გაზეთების კორესპონდენტი
XIX ს-ის ბოლო წლებში.

XIX ს-ის 80-90-იან წლების გაზეთ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ მრავლად გვხვდება ვინმე ტარასი გაჩეჩილაძის მცირე ზომის კორესპონდენციები, რომლებიც ეხება სოფ. წევისა და იმერეთის სხვა სოფლების საჭირბოროტო საკითხებს.

1897 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ თავის წერილში იგი თავის ვინაობას უფრო დაკონკრეტებულად ასახელებს: – სოფ. აჭარის სკოლის მასწავლებელი, ტარასი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.

(1895 წ. 9 თებერვალს, გაზ. ივერიაში გამოქვეყნებული მისი კორესპონდენციიდან – „აჭარა (შორაპნის მაზრა) [სკოლის დაარსების განზრახვა]“ ვიგებთ, რომ სოფ. აჭარაში სკოლა 1895-1897 წლებში დაარსებულა).

121. ტარიელ გაჩეჩილაძე (ქშუტუნი)

ინჟინერ-მშენებელი

დაიბადა 1925 წლის 23 ნოემბერს, ზესტაფონის რ. სოფ. წიფლავაკეში, გარდაიცვალა 2008 წლის ოქტომბერში. დაკრძალულია სოფ. წიფლავაკეში. **მშობლები: ერმილე მურმანის ძე გაჩეჩილაძე, ნინა დავითის ას. გველესიანი**.

დაწყებითი განათლება მიიღო წევის სკოლაში. დაამთავრა შორაპნის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი და დონის როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

1948-1991 წლებში ცხოვრობდა ქ. ჭიათურაში. მუშაობდა „საქსახტექმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოს ჭიათურის უბანზე სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად.

კეთილსინდისიერი შრომისათვის დაჯილდოებული იყო მთავრობის არაერთი ჯილდოთი, სამკერდე ნიშნითა და საპატიო სიგელებით.

1991 წელს საცხოვრებლად მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.

იყო ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე, მზრუნველი მამა და ბაბუა.

ბატონ ტარიელს ჰყავდა **მეუღლე – ეთერ მიხეილის ას. კახნიაშვილი** (გ. 2007 წ.).

მათ დარჩათ **შვილები: ნინო (1962)** – მუსიკის მასწავლებელი, **ნატო (1963)** – ეკონომისტი, **ნუგზარი (ნუკრი) (1965)** – ეკონომისტი.

122. ტატიანა (თათუშა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

დაიბადა 1911 წ., ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა 1986 წ. აპრილში. მშობლები: **ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძე** – პროფესორი – ფიზიკოსი, **თამარ ვასილის ას. ლოსაბერიძე** – დიასახლისი.

დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის სხვადასხვა კლინიკაში ოტორინოლარინგოლოგად, ბოლოს სიმონ ხეჩინაშვილის კლინიკაში, საიდანაც გავიდა პენსიაზე.

მაღალპროფესიონალმა ექიმმა მრავალი ადამიანი განკურნა. იყო მეტად სათნო პიროვნება, ერთგული მეუღლე და კარგი დედა, ნათესავების მოყვარული ადამიანი.

ქალბატონ თათუშას ჰყავდა **მეუღლე** – ცნობილი ექიმი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ავთანდილ ივანეს ძე კუტუბიძე** (გ. 1994). მათ დარჩათ **შვილები: ლინა (ჩიტო) კუტუბიძე-მეგრელიძისა** – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, **რამაზ კუტუბიძე** – თსსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის კლინიკის განყოფილების გამგე, ამავე უნივერსიტეტის კათედრის გამგე, სუბპროფესორი, **სიძე – ირაკლი ილიას ძე მეგრელიძე** – თსსუ-ის კარდიოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნ. დოქტორი, სუბპროფესორი და სამი შვილიშვილი.

123. ტიტე გაჩეჩილაძე (ოქროპირი)

ერთ-ერთი პატივსაცემი ადამიანი
მის თანამედროვე ზესტაფონში.

დაიბადა 1911 წ., ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 2002 წ., დაკრძალულია ზესტაფონში. **მშობლები: ალფეზ ფარსადანის ძე გაჩეჩილაძე**** – მეორე გილდიის ვაჭარი – მრავალი დუქნისა და მაღაზიის მეპატრონე, ფლობდა, აგრეთვე, ჭიათურის მანგანუმის საბადოების მნიშვნელოვან წილს, **მარიამ იოსების ას. ცერცვაძე** – ფრიად განათლებული, ღვთისმოსავი და კეთილშობილი პიროვნება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა მათი ოჯახის მდგომარეობა. დაიწყო რეპრესიები: ალფეზს მთელი ქონება ჩამოართვეს თვითონ კი დააპატიმრეს. ციხეში მას ფეხზე განგრენა დაემართა და ფეხი მოაჭრეს...

ტიტეს ჰყავდა ერთი ძმა და ექვსი და. ხელისუფლებამ ყოველ მათგანს დიდი სიძნელეები შეუქმნა ყველაფერში და მათ შორის განათლების მიღებაშიც.

ტიტე სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე. იგი ორჯერ გარიცხეს – როგორც „შავსიელი“. პირველი გარიცხვის შემდეგ, მან როგორღაც შეძლო აღდგენილიყო სტუდენტად და მესამე კურსიც დახურა. მეორე გარიცხვა უკვე საბოლოო აღმოჩნდა...

ტიტე მუშაობდა სხვადასხვა სფეროში – ელექტროტექნიკაშიც და ვაჭრობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება არ ჰქონდა იგი საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, თავის საქმეს უნარიანად უძღვებოდა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ზესტაფონის საზოგადოებაში.

ტ. გ. სამჯერ იყო დაქორწინებული. მას დარჩა ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი.

124. ტიტე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

მთარგმნელი, საქართველოს ეროვნული გალერეის („ცისფერი გალერეა“) დირექტორის მოადგილე...

დაიბადა 1925 წ., გარდაიცვალა 2001 წ.. **მშობლები: დავით პორფილეს ძე გაჩეჩილაძე, ელენე იაკობის ას. ლოსაბერიძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის გერმანულ გიმნაზიაში. გიმნაზიის დახურვის შემდეგ სწავლა განაგრძო ძირულის საშ. სკოლაში. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის ქიმიური ტექნოლოგიის ტექნიკუმში – ტყავის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, მუშაობდა თბილისის ტყავის ქარხანაში ტექნოლოგად. 1960-იან წლებში ხელმძღვანელობდა საქწიგნის უცხოური ლიტერატურის განყოფილებას. პარალელურად სწავლობდა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. დასავლეთ ევროპის ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტში გერმანული ენის ფაკულტეტზე. იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი მოტრფიალე და ამ წრეებში ჰყავდა ბევრი კარგი მეგობარი. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან – უცხოური რუბრიკის განყოფილებაში.

მუშაობდა თარჯიმნად რუსთავის ქიმიურ კომბინატში, ქ. თბილისის მხატვრის სახლში და სასტუმროთა ქსელ „ინტურისტში“.

1970 წლიდან მუშაობდა სურათების ეროვნულ გალერეაში დირექტორის მოადგილედ.

1985 წლიდან – განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების განყოფილებაში.

მეუღლე – მარგარიტა გრიგოლის ას. გაჩეჩილაძე

შვილი: ირინე გაჩეჩილაძე – ინჟინერი, **სიძე – მიხეილ გელაშვილი** – არქიტექტორ-რესტავრატორი. მ. გელაშვილმა წვლილი შეიტანა 2006 წ. წევის ეკლესიის რესტავრაციაში (*იხ. ინფორმაცია 320-ე გვ-ზე.)*

125. ფრიდონ ელგუჯას ძე (ლოპანელი)

საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე.

დაიბადა 1985 წ. 9 იანვარს, ზნაურის რ. სოფ. ლოპანში. **მშობლები: ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე**, ნათელა ავთანდილის ას. გრძელიშვილი.**

1991 წ., „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის გამო, მათი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. 1992 წ. სწავლა დაიწყო თბილისის რესპუბლიკურ სამუსიკო სკოლა-ინტერნატში ხალხური საკრავების (ფანდური, ჩონგური, სალამურის) სპეციალობაზე. ამავე დროს იყო გუნდის სოლისტი და დირიჟორი. სკოლა წარჩინებით დაამთავრა. პედაგოგები ურჩევდნენ ჩაებარებინა კულტურის ინსტიტუტში მუსიკალურ ფაკულტეტზე, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობის გამო, მას იმედი არ ჰქონდა, რომ მუსიკალური განათლებით ოჯახის რჩენას შეძლებდა, ამიტომ უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სწავლა დაიწყო კომპიუტერული ბუღალტერიის საერთაშორისო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ გარანტირებული ჰქონდა ბანკში ბუღალტრის თანამდებობა, მაგრამ დააინტერესა თავდაცვის სამინისტროს მიერ ტელევიზიით გამოქვეყნებულმა რეკლამამ, რომელიც უმაღლესდამთავრებულ

ახალგაზრდებს საოფიცრო კურსებზე გამოცდების ჩასაბარებლად იწვევდა.

ვინაიდან აქტიურად იყო ჩართული სპორტში და სათანადო მონაცემებიც ჰქონდა, ამ მონაცემების შესატყვისი სამსახური იზიდავდა, ამიტომ, საბუთები შეიტანა თავდაცვის სამინისტროში, სადაც 1000 კაცს ჰქონდა შეტანილი განაცხადი 100 სამუშაო ვაკანსიაზე. გამოცდები წარმატებით ჩააბარა, ასეულში მეშვიდე ადგილი დაიკავა, გაიარა რვათვიანი მოსამზადებელი კურსები და გაანაწილეს ვაზიანის II ბატალიონში ოცმეთაურად – ლეიტენანტის წოდებით. ორი თვის შემდეგ გაგზავნეს სამთვიან კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო წარმატებული კურსდამთავრებულის დიპლომი და მედალი. დანიშნეს ვაზიანის მეოთხებრიგადაში საინჟინრო ქიმიური ასეულის ოფიცრად. მოვალეობას თავს წარმატებითართმევდა.

2008 წლის აგვისტოში აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთ-საქართველოს ომში. მისმა ოცეულმა რამდენჯერმე გაანადგურა მტრის რაზმები ცხინვალში და უკან დაახევინა მტერს, მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ ბრძოლაში ძალიან დიდი ძალის ჩართვის და ბრძოლაში მათი ავიაციის გააქტიურების შემდეგ, საქართველოს სარდლობის ბრძანებით, ჯარი გამოყვანილი იქნა ცხინვალიდან. ფრიდონმა შესძლო თავისი ოცეულის უდანაკარგოდ შენარჩუნება, მხოლოდ ორი მებრძოლი დაიჭრა მსუბუქად.

ამჟამად მას დავალებული აქვს მცხეთის რაიონის მხრიდან თბილისის სახმელეთო და საჰაერო დაცვა. ფრიდონი კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ უზარმაზარ პასუხისმგებლობას და გარანტიას იძლევა, რომ პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

126. (73ა). ქეთევან გუგუციძე

სოფ შროშის საშ. სკოლის დირექტორი 40 წლის განმავლობაში. ირაკლი ლევანტის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.
იხ. ბიორაფია **№ 73ა**.

127. ქეთევან გაჩეჩილაძე (წველა)

თბილისის პურის მე-3 ქარხნის ყოფილი დირექტორი.

დაიბადა 1920 წლის 16 მარტს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: ნიკოლოზ გრიგორის ძე გაჩეჩილაძე** – ექიმი, ჭიათურის რკინიგზის საავადმყოფოს დირექტორი, **ელენე ხარიტონის ას. გოდაბრელიძე** – დიასახლისი.

დაამთავრა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქპურტრესტის სისტემაში ჯერ უფროს ტექნოლოგად, შემდეგ თბილისის პურის №3 ქარხნის დირექტორად.

ამჟამად პენსიონერია. აქვს სამხედროებთან გათანაბრებული პენსია.

ქ-ნ ქეთევანს ჰყავს **შვილი – თინა გიორგის ას. ჯულუხიძე, სიძე – კონსტანტინე ელიოზის ძე გედევანიშვილი, შვილიშვილები: სოფო გედევანიშვილი** – ფრანგული ენის სპეციალისტი, მუშაობს ფრანგულ ოფისში და **გიორგი გედევანიშვილი** – ფეხბურთელი (თამაშობს შვეიცარიის გუნდის – „სერვეტის“-ს I ლიგაში).

ფოტოზე ქეთევან გ-ძე დედასთან ერთად.

128. ქეთო გაჩეჩილაძე

ზუგდიდის, ცხაკაიას, თელავის, ხულოს...
თეატრების მსახიობი XX სს. შუა წლებში.

გაზეთ „კოლექტიური შრომა“-ს (ხულოს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო) 1968 წლის № 91-ში დაბეჭდილია **გ. აბულაძის წერილი „მსახიობის გზა“, რომელიც გვაცნობს მსახიობ ქ. გაჩეჩილაძის შემოქმედებით გზას**. წერილის შინაარსი ასეთია:

„ხელოვნებით გატაცება ქ. გ-ს ბავშვობიგან დაჰყვა. იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გამოდიოდა სცენაზე და მაყურებელს ხიბლავდა ნიჭით და გარდასახვის უნარით.

ქ. გ„ როგორც მსახიობი, ფეხს იდგამს მშობლიური რაიონის, ხაშურის სახელმწ. თეატრის სცენაზე, რეჟისორ ს. ვაჩნაძის ხელმძღვანელობით. ეს იყო 1937 წ.. შემდეგ, მას ვხედავთ ზუგდიდის, ცხაკაიას, თელავის, გურჯაანის, ზესტაფონის, ტყიბულის თეატრებში, ხოლო 1951 წ-დან ხულოს რ. სახელმწიფო თეატრშია.

ქ. გ. იმთავითვე იპყრობდა რეცენზენტთა ყურადღებას. ჟ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1941 წ. №3), გამოჩენილი ქართველი მწერალი და დრამატურგი შ. დადიანი წერს: „ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის სცენისთვის გამოიწვრთნენ ქ. გაჩეჩილაძე, ბ. არჩიბაია, შ. გაბისკირია... ეს კოლექტივი მომავალში ასეთი დაკვირვებული და შეთანხმებული შრომით მიაღწევს კიდევ უფრო მაღალ დონეს და ექნება უკეთესი მაჩვენებლები. შ. დადიანი ცალკე შეჩერებულა ქ. გ-ს სამსახიობო ღირსებებზე...

ქ. გ-ს დღესაც სიამოვნებას გვრის ცნობილ კინორეჟისორ ა. წუწუნავასთან შეხვედრის გახსენება: ხაშურის სახ. თეატრმა გასვლითი დადგმა მოაწყო ბორჯომში. ქეთო „უჩა უჩარდიაში“ მედინას თამაშობდა. წარმოდგენა დამთავრდა. ა. წუწუნავა სცენაზე აიჭრა და მედინა ქეთო უნაზესი ამბორით დააჯილდოვა. ეს მილოცვა ისეთი გულითადი იყო, ისე უსაზღვროდ გაახარა ახალგაზრდა მსახიობი, რომ თითქოს იმ დღეს დაიბადა როგორც ხელოვანი.

1952 წ., როცა ხულოს სახელმწ. თეატრი დაიხურა, ქეთომ მუშაობა დაიწყო სარაიონო ბიბლიოთეკის გამგედ, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი საყვარელი პროფესია. სახალხო თეატრის ყოველ დადგმაში ღებულობს მონაწილეობას და სიამოვნებას ანიჭებს ხულოელ მაყურებელს. იგი სცენაზე აღსავსე იყო ქალური კდემამოსილებით. გულმართლად იცინოდა და ტიროდა, სევდიანობდა და უხაროდა. დრამატული, ტრაგიკული, კომიკური – აი, რა ჟანრის როლები აქვს შესრულებული. აი ისინიც: მარინე – „და-ძმაში“, ქეთევანი – „სამშობლოში“, რუქაია – „ღალატში“, მარიკას დედა – „ქრისტინეში“, ბარონესა შტრინგერისა – „სულელში“, ელენე – „სამანიშვილის დედინაცვალში“, ხანუმა – „ხანუმაში“, გულქანი – „მოკვეთილში“, გულთამზე „ყვარყვარე თუთაბერში“, ლამარა – „შესაფერ ჯილდოში“, მაშიკო – „ციმბირელში“, თინა – „მზის ამოსვლამდე“, კინტო – „კინტოში“, ელისაბედი – „ჯერ დაიხოცენ მერე იქორწინეს“, ანნა – „დაწუნებული საპატარძლო“, სევრეთი – „ვაზის ტირილი“ და მრავალი სხვა.

ამჟამად ხულოს სახალხო თეატრის კოლექტივი რეჟისორ ი. მელაძის დადგმით მუშაობს შამხაილოვის კომედიაზე „დედამთილი“, რომელშიც ქ. გ. ანსახიერებს ჯანათას. საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტროს მიერ ქ. გ. დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით თეატრებისა და თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლების რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებისათვის. აგრეთვე ქების სიგელით აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსაგან რენეტის პიესის „გზააბნეულ შვილში“ დედის როლის კარგი შესრულებისათვის“.

129. ქსენია გაჩეჩილაძე (კვიცინა)

საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგურის მეცნიერ თანამშრომელი.

დაიბადა 1923 წელს, გარდაიცვალა 1994 წელს. **მშობლები: გალაქტიონ როსტომის ძე გაჩეჩილაძე, ანა ალმასხანის ას. ხარატიშვილი.**

1947წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი. მუშაობდა ხარაგაულის რ-ნის სოფ. ბორითის უბნის აგრონომად. შემდეგ სოფ. შროშის კოლმეურნეობის აგრონომად.

1960 წლიდან მუშაობდა საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტაროსელსკის სახელობის საქარის საცდელი სადგურის მეცნიერ თანამშრომლად. ეწეოდა ვაზის ფილოქსერის საწინააღმდეგო კვლევით სამუშაოებს საჩხერის რ. სოფ. არგვეთის მევენახეობის ბაზაზე.

მინიჭებული ჰქონდა „შრომის ვეტერანის წოდება“.

ქ-ნ ქსენიას ჰყავდა **მეუღლე ბიჭიკო სანიკიძე**. მათ დარჩათ **შვილები: ქეთევანი, თინათინი, მარიკა და შვილიშვილები.**

130. შალვა (ანზორ) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ღვაწლმოსილი აგრონომი. თბილისის გამწვანების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

დაიბადა 1935 წ., თბილისში, გარდაიცვალა 2009 წ. 11/XII, თბილისში. **მშობლები: ამბროსი პორფილეს ძე გაჩეჩილაძე** (სამამულო ომის მონაწილე, №3 მექანიკური ქარხნის უფროსი მომმარაგებელი), **თამარ ცნობილაძე** (დიასახლისი).

1954 წ. დაამთავრა თბილისის №41 საშ. სკოლა. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური – ქართულ დივიზიაში.

1958 წ. სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა შტანგით სიმძიმეების აწევაში.

1964 წ. დაამთავრა თსსი-ს აგრონომიული ფაკულტეტი. პარალელურად, 1956 წ-დან მუშაობდა თბილისის გამწვანების ტრესტის სხვადასხვა ობიექტებზე – კერძოდ:

მახათის „სატყეო-საკულტურო“ რაიონის ობიექტებზე – ჯერ აგროტექნიკოსად, შემდეგ ობიექტის უფროსად. იყო ქალაქის გამწვანების ტრესტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პროფკავშირის თავმჯდომარე.

1975-1980 წლებში მუშაობდა თბილისის ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის გამწვანების კანტორის უფროსის თანამდებობაზე. არჩეული იყო ქალაქის ოქტომბრის რაიონის სხვადასხვა მოწვევის დეპუტატად.

1980-1992 წლებში მუშაობდა მწვანე მშენებლობის სამმართველოს დიღმის საბაზისო სანერგის აგშნიანის საყვავილე განყოფილების უფროსად.

როცა სამშობლოს უჭირდა, 1992-1993 წლებში, იმყოფებოდა სამაჩაბლოში – სამშვიდობო ჯარების შტაბში – უფროს დამკვირვებლად. თავი არ დაუზოგავს სამშობლოს დასაცავად. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

1994 წლიდან იყო მახათის სავარდე განყოფილების უფროსი.

იყო კარგი მეგობარი, მეზობელი და ნათესავი. ცდილობდა ყველანაირად

ხელი შეეწყო მის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის.

ბ-ნ შალვას (ანზორს) დარჩა **მეუღლე – ლამარა ალავიძე** პედაგოგი, **სამი ქალიშვილი: თამარი** – ისტორიკოსი, იურისტი. **ეკა** – იურისტი, **ირინე** – სტომატოლოგი, **სიძეები: ოთარ მაჭარაშვილი** – იურისტი, **დავით ქინქლაძე** – ინჟინერი, **შვილიშვილები: თორნიკე და ლაშა მაჭარაშვილები.**

131. შალვა გაჩეჩილაძე (ღორისთავი)

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

დაიბადა 1897 წ., ზესტაფონის რ. სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1985 წ., თბილისში. **მამა გიორგი გაჩეჩილაძე.**

1897 წ. ყვირილას სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც 1919 წ. დაამთავრა. იმავე წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში, მშენებელთა არტელში, განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, გამგედ, განათლების მუშაკთა პროფკავშირის გორის სამაზრო გამგეობის თავმჯდომარედ.

შემდეგ, შ. გაჩეჩილაძემ დაუსწრებლად მიიღო უმაღლესი განათლება და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1952 წ. დაინიშნა რკინიგზის თბილისის მე-10 საშუალო სკოლის ჯერ ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ კი სასწავლო ნაწილის გამგედ. წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის 111-ე საშ. სკოლაში.

ყოველთვის დიდი იყო მისი პიროვნული და პედაგოგიური ავტორიტეტი კოლეგებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. უმწიკვლო, თავდადებული, ნაყოფიერი შრომისათვის შ. გაჩეჩილაძეს ჯერ მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ხოლო შემდეგ, როგორც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი, დაჯილდოებული იქნა უმაღლესი ჯილდოებით – ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

აღსანიშნავია, რომ შ. გაჩეჩილაძის **მეუღლე – თამარ სიმონის ას. ცერცვაძე,** ასევე, შესანიშნავი პედაგოგი გახლდათ. ისიც დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

ბუნებრივია, რომ თვალსაჩინო პედაგოგების ოჯახში მაღალი ზნეობა, შრომისმოყვარეობა და კეთილშობილება სუფევდა. შ. გაჩეჩილაძე და მისი ოჯახი სიკეთის, პატიოსნებისა და სტუმართმოყვარეობის მაგალითი გახლდათ მრავალრიცხოვანი აღზრდილებისა და ნაცნობ-მეგობრებისათვის.

ბ-ნ შალვას და ქ-ნ თამარს **ორი შვილი შეეძინათ: თინა*,** (შემდგომში სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორი) და **ვერიკო,** (შემდგომში საქართველოს დამსახურებული ექიმი). ქალიშვილებმაც შრომისმოყვარე და ბედნიერი ოჯახები შექმნეს. **თინას ორი შვილი ეყოლა – გივი და თამრიკო ყანჩაველები, ვერიკოს სამი ვაჟი – თეიმურაზ, ვახტანგ და ავთანდილ გორშკოვები.**

132. (57ა). შოთა ბორშკოვი

ვერიკო გაჩეილაძის მეუღლე.
ინჟინერ-პოლკოვნიკი, მრავალი
საბრძოლო ორდენის კავალერი...
იხ. ბიოგრ. № 57ა .

133. ციალა გაჩეჩილაძე (კვიცინა)

ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1938 წ. დეკემბერში, სოფ. წევაში. **მშობლები: მიხეილ თეიმურაზის ძე გაჩეჩილაძე, ოლია ტარასის ას. ზიბზიბაძე.**

1954 წ. დაამთავრა წევის რვაწლიანი სკოლა.

1957 წ. დაამთავრა სოფ. შროშის საშ. სკოლა – ვერცხლის მედლით.

1964 წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმში) – აგრონომ-სუბტროპიკოსის სპეციალობით.

1975 წ. დაამთავრა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტი.

1966-1995 წწ. მუშაობდა ზესტაფონის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში ბიოლოგიის მასწავლებლად

1995 წ-დან – ზესტაფონის აგრობიზნესისა და მენეჯერთა კოლეჯში სპეციალური საგნების მასწავლებლად.

არის სპეციალური საგნების მეთოდკომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის გაერთიანებული მეთოდკომისიის წევრი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგიურ კოლექტივსა და სტუდენტებს შორის.

დამუშავებული აქვს მრავალი მეთოდური თემა, რომლებსაც სწავლების პროცესში იყენებენ დამწყები მასწავლებლები.

წარჩინებული მუშაობისათვის მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო.

134. ცისანა გაჩეჩილაძე

სოფ. აწყურის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე...

დაიბადა 1948 წ, 25 მარტს, ახალციხის რ. სოფ. აწყურში. **მშობლები: ვახტანგ ლავრენტის ძე გაჩეჩილაძე** – აწყურის საშ. სკოლის დირექტორი, **დედა ირა ალექსანდრეს ას. კაპანაძე** – აწყურის ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

1966 წ. დაამთავრა აწყურის საშ. სკოლა. 1967 წ.– თბილისის პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა, 1975 წ. – ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი პედაგოგიკის ფაკულტეტი (დაუსწრებლად).

1967 წ-დან მუშაობს აწყურის საშ. სკოლაში ჯერ უფროს პიონერხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ, დაწყებითი კლასების მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ.

ც. გ. თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანია. არის მრავალი კლასგარეშე ღონისძიების ავტორი და შემსრულებელი. იგი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს მოსწავლეებს, კოლეგებსა და თანასოფლელებს შორის.

სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია სიგელებით და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

ქ-ნ ცისანას ჰყავს **მეუღლე – ილია გელაძე** (პედაგოგი), **შვილები: ეკა** (პედაგოგი), **მაკა** (მედდა), **უჩა** (იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი) და სამი შვილიშვილი.

135. ციური გაჩეჩილაძე (ლულია)

დამსახურებული ბუხჰალტერ-ეკონომისტი, თბილისის №40 აფთიაქის მთავარი ბუხჰალტერი.

დაიბადა 1937 წ. 5 სექტემბერს, სოფ. წევაში. **მშობლები: ნიკოლოზ (კოლია) ბიქტორის ძე გაჩეჩილაძე** – სწავლული აგრონომი, **სონა რომანოზის ას. ნიქაბაძე** – დიასახლისი.

1944 წ. შევიდა წევის რვაწლიანი სკოლის I კლასში. იმავე წელს მისი ოჯახი, სოფ წევის მოსახლეობასთან ერთად, ჩასახლებული იქნა ახალციხის რ-ნის სოფ. ზიკილიაში. 1953 წ. დაამთავრა ზიკილიის რვაწლიანი სკოლა, 1955 წ. კი ახალციხის საშ. სკოლა.

1960-1964 წლებში, მუშაობის პარალელურად, სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1962წ. მუშაობა დაიწყო თბილისის სააფთიაქო სამმართველოში მდივან-მემანქანედ, ასისტენტად, ბუღალტერ - ეკონომისტად. 1967 წ. გადაყვანილი იქნა №11 აფთიაქში. 1972 წლიდან მუშაობს თბილისის №40 აფთიაქში მთავარ ბუხჰალტრად. კარგად მუშაობისათვის, 45 წლის განმავლობაში, მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო.

15 წლის განმავლობაში სახალხო მსაჯულად იყო დიდუბის რ-ნის სახალხო სასამართლოში, სადაც გამოირჩეოდა ნიჭიერებით და საქმის ცოდნით.

ქ-ნ ციურის ჰყავს **შვილი – მარინე გელაშვილი** (ფილოლოგი, თსუ-ის გამომცემლობის რედაქტორი), **სიძე – ელგუჯა დვალიშვილი** (ინჟინერი), **შვილიშვილი გვანცა** (სტუდენტი), **სიძე – გიორგი მაჭარაშვილი, შვილთაშვილი – ირაკლი.**

136. ცოტნე გაჩეჩილაძე (თომაშვილი)

თსუ-ის სტუდენტი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2001 წლის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული.

დაიბადა 1990 წ. 11 მარტს, თბილისში. **მშობლები: ბაქარ თენგიზის ძე გაჩეჩილაძე, ირმა ჭანტურია.**

დაამთავრა თბილისის სკოლა-ლიცეუმი „რიტორი“.

ადრეული ასაკიდან გატაცებული იყო ცხენოსნობით, ცურვით,ფეხბურთით და ლიტერატურით. იყო ლიცეუმის პრესსტუდიის წევრი, მღეროდა თემურ ქევხიშვილის ცნობილ ანსამბლ „დარიალში“. მონაწილეობდა კავკასიონზე მთის ნორჩ

მოყვარულთა მიერ მოწყობილ ექსპედიციაში.

2001 წ., 11 წლის ასკში გაიმარჯვა საქართველოს ეროვნული კომიტეტის ლიტერატურულ კონკურსში, შემდეგ კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლიტერატურულ კონკურსში. დაჯილდოებული იქნა სპეციალური პრიზით და სოკ-ის დიპლომით. მისი ნაშრომი დაიბეჭდა კონკურსის შედეგების შემაჯამებელ კრებულში.

ამჟამად იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალობის II კურსის სტუდენტია. არის დინამოს ფეხბურთელთა ფანკლუბის წევრი.

ზემოხსენებულ ლიტერატურულ კონკურსებზე გამარჯვებული მისი თხზულება შეტანილია კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ III წიგნში.

137. ჯინა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი სსიპ – სეისმური მონიტორინგის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

დაიბადა 1961 წ.. **მშობლები: თამაზ გიორგის ძე გაჩეჩილაძე** – ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი,

ლაურა დიმიტრის ას. ხიხაძე – პირველი კატეგორიის ინჟინერ-ენერგეტიკოსი.

დაამთავრა I გახანგრძლივებული დღის სკოლა. 1983 წელს კი თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

1983 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სმაკ-ის გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებულ სეისმური დაცვის ეროვნულ სამსახურში უფროს გეოფიზიკოსად. 2006 წ. ამ დაწესებულებას ცალკე გამოეყო სსიპ – სეისმური მონიტორინგის ცენტრი, სადაც იგი გადაყვანილი იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1995 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამოხსნის პარალელური რიცხვითი მეთოდები ჰიპერბოლურ განტოლებათა სისტემებისათვის, რომლებიც ახდენენ უწყვეტი გარემოს მექანიკის ამოცანების მოდელირებას“.

გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი.

ჯინა გაჩეჩილაძეს ჰყავს **მეუღლე – თენგიზ ლომაძე** მხატვარი-დიზაინერი, **შვილები: თამარ და გიორგი ლომაძეები.**

§ 9. ჯაჭვაძეთა ბიოგრაფიები

138. გაიოზ ჯაჭვაძე

რედაქტორ-გამომცემელი

1911წ. თბილისში გამოდიოდა სოციალურ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ახალი საქმე“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო გაიოზ ჯაჭვაძე.

სულ გამოვიდა: 1911წ. №1(1/III)– №30 (8/IV).

გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1911 წ. 10 აპრ. № 276-ში მოთავსებულია ცნობა, რომ: „თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით მავნე მიმართულებისათვის დაიკეტა გაზ. „ახალი საქმე“.

1911 წ. თბილისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა, აგრეთვე, ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მახე“ (ეს. კერესელიძის ელექტრომბეჭდავი სტამბა). თანამშრომლები: ეშმაკი (ნესტორ კალანდაძე), გ. ქუჩიშვილი, თაგუნა (შარაშიძე), ვ. მალაქიაშვილი, ოსკარ შმერლინგი (მხატვარ-კარიკატურისტი), ა. ბრეგვაძე, დ. თურდოსპირელი და სხვანი. 1911 №1 (1/I)– №15 (10/IV).

ლიტ.: ქართული პერიოდიკა 1819-1945. ბიბლიოგრაფია შედგენილი გ.ი. ბაქრაძის მიერ ვ.ი. ეგნატაშვილის რედაქციით. თბ. 1946 წ. წიგნის პალატის გამოცემა.

139. ეთერ ჯაჭვაძე (დრუჭუნიანთი)

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე.

დაიბადა 1948 წ. 7 იანვარს, გურჯაანის რ. სოფ. ველისციხეში. **მშობლები: ალექსი ნიკას ძე ჯაჭვაძე** (1917-1999) – აგრონომი, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი, **ევგენია (გენო) ზაქარიას ას. ბარბაქაძე** (1927-2006) – დიასახლისი.

1956-1966 წლებში სწავლობდა ველისციხის საშ სკოლაში. 1971 წ. წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალობით.

1972-1974 წლებში მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კათედრაზე მოამზადა საკვალიფიკაციო ნაშრომი XVI საუკუნის ინგლისის ისტორიაში და გამოსცა მონომგრაფია „ინგლისის სოფელი XVI საუკუნის I ნახევარში“. არის, აგრეთვე, ბროშურისა და 24 სტატიის ავტორი.

1971 წლიდან დღემდე მუშაობს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი თელავის პედინსტიტუტი) – იყო მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. ამჟამად ხელმძღვანელობს მსოფლიო ისტორიის კათედრას.

ქ-ნ ეთერს ჰყავდა **მეუღლე – კიაზო ილიას ძე ხმალაძე** (მსახიობი და რეჟისორი), ჰყავს **შვილი – ელენე (ხატია)** და **შვილიშვილი – ეთერ ნასყიდას ას. გორელი, და – ლიანა, დისშვილი – ვანო ზურაბაშვილი.**

140. ვაჟიკა ჯაჭვაძე (ფსევდონიმი–ფხოველი)

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი
– სამამულო ომში დაღუპული.

დაიბადა სავარაუდოდ 1920 წ.. 1935-1936 წლებში აქტიურად იბეჭდებოდა გაზეთებში. 1942 თუ 1943 წ. წაიყვანეს ფრონტზე, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მის შესახებ ბერდია ბეროშვილს (მაშინ მასწავლებელთა სახლის დირექტორი) გამოქვეყნებული ჰქონია წერილი გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ 1967 თუ 1968 წწ.. ვაჟიკა ჯაჭვაძეს დარჩა და – ზუზი.

(ვაჟიკა ჯაჭვაძის შესახებ ინფორმაცია მომაწოდა ჟურნალისტმა და პოეტმა იზა ჯაჭვაძემ*. მე ვეცადე, მაგრამ ვაჟიკა ჯაჭვაძის ვერც ლექსები და ვერც მის შესახებ გამოქვეყნებული წერილი ვერ მოვიძიე – ე.გ.).

141. ზარასპი ჯაჭვაძე

ქართული გაზეთების კორესპონდენტი
XIX სს. 80-იან წლებში.

XIX საუკუნის 80-იანი წლების გაზეთებში გვხვდება წერილები, რომელთა ავტორია ზარასპი ჯაჭვაძე. მაგ.: შორაპნის მაზრა, 19 აპრილი (მარგანეცის წარმოების საქმე), გაზ.: „დროება“ 1883, IV, 27, №83, გვ. .2-3;

წერილი რედაქციის მიმართ (სოფელ შუქრუთში ჟურნალ-გაზეთების მიუღებლობა. ხმები შავი ქვის გვირაბში მიწის ჩამოწოლის შესახებ). გაზ.: „ივერია“, 1887წ., 9 მაისი, № 92, გვ. 4 და სხვ.

(ვინაიდან ამ წლებში იმერეთში ჯაჭვაძეების ცხოვრების დამადასტურებელ სხვა ცნობას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ და ვინაიდან ბ-ნი ზარასპი მარგანეცის წარმოების შესახებ წერდა, გაგვიჩნდა ეჭვი, ხომ არ არის „ჯაჭვაძე“ ზარასპი იობას ძე გაჩეჩილაძის (რომელიც ჭიათურის მარგანეცის საბადოების ერთ-ერთი მეპაიე იყო) ფსევდონიმი. ცნობილია, რომ გამომცემელი მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე – მიხეილ ჯაჭვაძის ფსევდონიმით წერდა, იქნებ აქაც ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ეგ.).

142. ლუბა ჯაჭვაძე

მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის მეულლე.

ქ-ნ ლუბას შესახებ ვაქვეყნებთ მისი ქალიშვილის – რუსუდან ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ტექსტს:

ლუბა ივანეს ას. ჯაჭვაძე 1891 წ. ქ. ვლადიკავკავში, საკმაოდ განათლებულ და შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მისი დედ-მამა წარმოშობით დუშეთიდან იყვნენ. დედაჩემის პაპა, დიონისე ჯაჭვაძე, კავკავში გადასულა საცხოვრებლად და ოჯახიც თან წაუყვანია. იგი ჭკვიანი და გამჭრიახი კაცი ყოფილა. კავკავში მოუწყვია საკმაოდ შეძლებული ოჯახი, რომელიც იმ მხარეში პატივისცემით სარგებლობდა. მას ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. მსახურობდა „პოპოვის ჩაის“ საზოგადოებაში, საქმეთა მმართველად. სამსახურის საქმეებზე ხშირად უხდებოდა მგზავრობა ვარშავაში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

დედაჩემის მამა, ივანე, განათლებული და წიგნის მოყვარული კაცი ყოფილა. ის დიდი რაოდენობით იწერდა მოსკოვიდან წიგნებს, რისთვისაც მას წიგნის გავრცელების საქმეში პრემიაც კი ჰქონია მიღებული.

დედაჩემი 5 წლისა ყოფილა, მამა რომ გარდაეცვალა. ბებიაჩემი დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილით მარტო. გაჭირვების გამო სახლ-კარი და მამული ბანკში ჰქონიათ დაგირავებული, მაგრამ შემდეგ ვეღარ გამოუსყიდიათ და საჯაროდ გაყიდულა. მძიმე მდგომარეობაში არმოჩნდნენ დედაჩემის პაპა და ბებია. უკუღმართად წარიმართა ასეთი კეთილშობილი და პატიოსანი ოჯახის ბედი. ბებიაჩემი იძულებული იყო ნემსი აეღო ხელში და შვილები თავისი შრომით ერჩინა.

დედა 7 წლისა ჯერ ქართველების სკოლაში მიაბარეს, შემდეგ რუსულ გიმნაზიაში გადაიყვანეს, რომელიც 1911 წ. დაამთავრა.

იმ დროს ვლადიკავკაზში საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა იასონ ლორთქიფანიძე, გიმნაზიის ინსპექტორი ტიტე კახიძე, ლუარსაბ ბოცვაძე– მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე(ის დედას მასწავლებელიც იყო), ლევან გოთუას მამა – პარმენ გოთუა და სხვები.

იმ დროს ქართველი საზოგადოება შესანიშნავად ატარებდა დროს. ერთმანეთს ხვდებოდნენ დღესასწაულებზე ეკლესიაშიც. ეკლესიასთან ახლოს იყო ქართული სკოლა, სადაც იმართებოდა სალამოები, წარმოდგენები. ცოცხალ სურათებში ერთხელ დედასაც მიუღია მონაწილეობა. ის წარმოსადეგი გარეგნობის ქალი იყო, ამიტომ თამარ მეფის როლში გამოუყვანიათ.

1912 წ. 14 იანვარს წმ. ნინოს დღესასწაული იყო და საყდარში ლოცვა მიმდინარეობდა. დედაც იქ იყო და სწორედ იმ საყდარში მიაქცია ყურადღება მისმა მომავალმა მეუღლემ, შემდგომში ცნობილმა მწერალმა, მიხეილ ჯავახიშვილმა. მას მოეწონა შესანიშნავი გარეგნობის ქალიშვილი და გადაწყვიტა მისი გაცნობა. მიხეილი მთავრობის მიერ როსტოვში იყო გადასახლებული და დამზღვევ საზოგადოებაში მუშაობდა. სამსახურიდან თავისუფალ დროს ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა და როსტოვის პრესაში წერილებსა და პატარა მოთხრობებს აქვეყნებდა. ვინაიდან მას ბევრი არ იცნობდა, დედას აფრთხილებდნენ, თურმე, ფრთხილად ყოფილიყო. დედა და მამა მაინც შეხვდნენ ერთმანეთს და მათ შორის ფაქიზი გრძნობა გაჩნდა. შემდეგ გაკითხვა-გამოკითხვით გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდა უაღრესად პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი იყო, ამასთანავე დიდი პატრიოტი. ამის შემდეგ, დედა თამამად დაემორჩილა ბედს და 1912 წ. 1 აპრილს იმავე ეკლესიაში, სადაც მათ ერთმანეთი გაიცნეს, ჯვარი დაიწერეს. დედა იგრძნობდა, რომ მიხეილი მეუღლის მიმართ თბილი და გულისხმიერი იყო. ის დიდ პატივს სცემდა მას და ანგარიშს უწევდა. მისგან არ ახსოვდა არცერთი უხეში ან უდიერი სიტყვა. ამასთანავე იყო გულჩათხრობილი, ვინაიდან ამდენმა დევნამ, ციხეში გატარებულმა დღეებმა და გადასახლებამ თავისი დაღი დაასვა მის სულს.

დედა და მამა თბილისში ჩამოვიდნენ და პირველ ხანებში სასტუმროში მოუხდათ ცხოვრება. ერთხანს ეკატერინე გაბაშვილის სახლში ცხოვრობდნენ (ზემელზე), ხოლო შემდეგ, 1913 წ., ვერის დაღმართზე (№21) დაიქირავეს ბინა. ოჯახს უჭირდა. იმხანად მიხეილი არ მუშაობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ვლადიკავკაზიდან გადმოიყვანა თავისთან საცხოვრებლად ბებიაჩემი – ნინო, რომელსაც ორივე ვაჟი გარდაეცვალა და მარტოდ იყო დარჩენილი.

1914 წ. 3 ივნისს დაიბადა მ. ჯავახიშვილის პირველი ქალიშვილი – ქეთევანი, 1929 წელს კი რუსუდანი.

1937 წ. აგვისტოში დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ოჯახს. დააპატიმრეს, შეთითხნილი ბრალდებით, და დახვრიტეს (30 სექტემბერს) მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, უდიდესი პატრიოტი, თავისი სამშობლოს და ქართველი ხალხის მოსიყვარულე. მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო და სამშობლოს ზვარაკად შეწირა. 1955 წ. რეაბილიტირებულ იქნა, როგორც უდანაშაულო.

დედაჩემმა, ლუბა ჯაჭვაძემ, მიუხედავად უდიდესი გაჭირვებისა და გადატანილი ტრამვისა, ღირსეულად ატარა დიდი მწერლის და საყვარელი ადამიანის სახელი.

დედა გარდაიცვალა 1981 წ. 26 თებერვალს. (დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოს პანთეონში). ქეთევანი გარდაიცვალა 1985 წ. მას ჰყავდა ერთი ვაჟი – რამაზ შიშნიაშვილი, რომელიც 2002 წ. გარდაიცვალა.

რამაზის ქალიშვილს მარინას ჰყავს ქალ-ვაჟი (რეზო და თინა) (მეუღლე – ექიმი მიშა ომიაძე).

რუსუდანს ჰყავს ორი ვაჟი – ნუგზარ და ლაშა ერისთავები.

ნუგზარი მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორია..

ლაშას მეტყევის პროფესია აქვს. ამჟამად არსად მუშაობს. ნუგზარ ერისთავს ჰყავს ოთხი ქალიშვილი

რუსუდანი 80 წლისაა და მამამისის მუზეუმში მოღვაწეობს. მისი მეუღლე – შალვა (ირაკლი) ერისთავი, პროფესიით ისტორიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

143. შაძრო ჯაჭვაძე (დრუჭუნიანთი)

კახეთის რადიოხაზის უფროსი, სავარაუდოდ, 1935-1938 წლებში; კ. ვოროშილოვის ადიუტანტი.

დაიბადა 1915 წ., გურჯაანის რ. სოფ. ველისციხეში, დაიღუპა სსრკ – ფინეთის ომში 1939 წ.. **მშობლები: ნიკა მიხეილის ძე ჯაჭვაძე, მართა ტიტიკოს ას. ჯაჭვაძე.**

დაამთავრა პროფსასწავლებელი კავშირგაბმულობის ტექნიკის სპეციალობით და, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, მუშაობდა კახეთის რადიოხაზის უფროსად.

მისი სიმაღლე ყოფილა 2 მ. და 14 სმ.. იგი ყოფილა ძალიან კარგი მომღერალი. მღეროდა აღმოსავლეთ საქართველოს გუნდში.

სსრკ-ფინეთის ომში (1939 30/XI–1940 12/III) სარდალ კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვის პირადი ადიუტანტად უმსახურია. 1939 წელს ერთ-ერთი შეტაკების დროს დაღუპულა.

§ 10. სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე

„აკაკის თვიური კრებული“. 1899 წელი, №2 და №3.

სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავგადასავალი

გავარდნილი თოხარიკით მივაგელვებ ჩემს ლურჯას, მივქრი აღმოსავლეთისაკენ. დილის ჭირხლი სახეს მსუსხავს. ლურჯას ორთქლის შუქი გამოქშუვა ნეშტოებიდან და გაშლილ, ასხივებულ ფაფარზე ეხვევა. ავედი უმწვერვალეს წევის სიმაღლეზე და შესდაგა ყალყზე ჩემი ლურჯა; თითქოს ისიც ისე გაოცდა, როგორც მე. ჯერ კიდევ ამოუვალი მზის შუქი, ოდესმე მოჭერილი ვარდის ფერი, ეხლა ზაფრანის ფერად ღებავდა აღმოსავლეთის ტატნების სივრცე-ლაჟვარდ ფარჩას. ერთი პატარა ღრუბლის ნაწყვეტი იქ გალანდული, თითქო აღუსებული ნაკვერცხალიაო, ელვარებდა. შემორჩენილი ვარსკვლავები აფახურებდენ მოხშირებულად თვალებს და იჭუტებოდენ. დასავლეთისაკენ უძილობით სახე-მოცატებული, ღამის-თევით ფერ-დაკარგული მთვარე ის ის იყო სპეტაკ ვახტანგის მთებში ჩაპარვას აპირებდა, რომ თავისი საყვარელი მზისათვის ერთი თვალის გადაკვრა მაინც მოესწრო. ამოაცოცა აღუვსებული სახე მზემაც, და რომ მოატანა თვალი სატრფოს, სირცხვილით და მის გაქცევის გამო გულ-დაწყვეტით თან გაწითლდა და თან სიყვითლე შეეპარა. მის ელფერ შუქზე უცნაურად აფერადდენ კავკასიონის ბუმბერაზი ქედები, თითქოს და ატლასის ჩადრები წამოიხურესო, და ჩემს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ წამოსხედილნი გარემო მოხურხლულ, თავმოყრილ ქედებს, ბორცვებს თითქო მედიდურნი მფარველნი თავზე დაჰყურებდენ. იალბუზის ნათალ ბროლის ერთიან გვირგვინს გარს შემოხვეული როგორც „ჩალმა“ ღრუბელი ნაირ-ნაირ ცხოველ ფერადად ანთებოდა, თითქოს და ცის-სარტყელაების ქობა გარშემო შემოვლებიაო. ჩემს წინ ირგვლივ და ყველგან ქვეყნიური სამოთხე გადაშლილიყო, ოქროს ფერად გალამაზებული დილის ცხოველ-მყოფელი ნათელით, ფანტასტიურ სანახავს წარმოადგენდა კავკასიონის კვარცხლ-ბეკებიდან დაწყებული ვაკე-გორეების წითელ-ყვითელი ტყეები, ველები და ირგვლივ და ყველგან საუცხოოდ და მოხდენით გაფანტული სოფლები. აქედან თავზე დავჩერებივარ თითქმის მთელ იმერეთს. აქა-იქ სოფლებში გამოქათქათობენ თეთრი კედლები და ალაპლაპებული ჯვრები საყდრებისა. დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ სანახაობა იკარგება ბურუსში, იქ, სადაც სძინავს შავ-ზღვას. იქამდე ვაკე-ველებში პატარ-პატარა სერები თითქო ზვირთები მწვანედ გაყინულან. სამ-კუთხივ მივლის გარეშემო 3–4 ვერსის მანძილზე ხევები: აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე ძირულისა, ჩრდილოეთისკენ მდინარე ყვირილისა. სამხრეთიდგან მესმის, თუ როგორ ახმაურებს ძირულის ხევის კლდე-ღრეებს დიდი ორთლ-მავალის ქლოშინი და სტვენა, ჩრდილოეთისაკენ კი ყვირილის ხევის პატარა ორთქლ-მავალის კივილი; აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ მიდის და მიდის თვალ-გადაუწვდენელი ვაკე თუ ტყე-ბუჩქნარიანი, და თუ ეული მინდვრებიანი „საბაჟო“-საკენ. აგერ დასავლეთისაკენ ქორივით დავჩერებივარ წევის ეკლესიის უზარ-მაზარ ცაცხვს და გარეშემო კალოსავით შემორკალულ სასაფლაოს. ქსიტინი დაიწყო ცივმა ნიავმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ლიხის მთა-გრეხილებიდან წამოიწეწა თითქო მსუბუქი, მქრალი ნისლიანი ღრუბლები და გადმოეშალა სამხრეთით წაზოდვილ ვახტანგის მთა-გრეხილების კვარცხლ-ბეკზე დაფენილ სოფლებს. აი, სიმაღლე წევის ამ წვერისა, სადაც მე ეხლა ვდგევარ: სამ-მხრივ წაზოდვილი უზარმაზარი მთები დაჰყურებენ წევას, მეოთხე მხარეს კი შავი ზღვისაკენ თვითონ წევა გადადგომია სოფლებს ქედივით. აქედან ჩრდილოეთ –აღმოსავლეთისაკენ 3-4 ვერსზე მიდის წევის ვაკე – მინდვრები და თავდება იქ, სადაც ადგილს ქვია **„მოქუშული“**. აქედან, სადაც ვდგევარ, **„საბაჟოსაკენ“** იწყება **„ულევი“**. წევის ულევი აღმოსავლეთით ისაზღვრება სოფ. შროშათი, დასავლეთით სოფ. წიფლავაკეთი. ამათ შორის სიგანეა 4-5 ვერსამდე. აქ არის სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები სოფლელებისა, აქა-იქ დაფენებაებში ვენახებია, შიგ-და შიგ ბუჩქნარია, სტეები და იშვიათად ტყეები. ამ ვაკეებზე ძალიან დაშორებული არიან მოსახლეები და ორ-ორი, სამ-სამი გლეხი ერთად

ცხოვრობენ ერთ ფუძეში, ისიც კიდევ განაპირე საზღვრებისაკენ ქარ-ბუქისაგან მიფარებულ ბრეკებში. წევის ულევის ადგილების სახელები: მოქუშულთან **„ყვილიპირი“**, ყვილიპირს მოჰყვება **„ხშინალი“**, ხშინალს **„ქანდარა“**, ქანდარას **„ეწერი“**, ეწერს **„ბარდნალი“**, ბარდნალს **„თეთრაწვერი“** და სხვ.

სადაც მე ვდგევარ, აქედან სამხრეთისაკენ და დასავლეთისაკენ დაიწყება ოღრო-ჩოღრო დაფენებანი წევის წმ. გიორგის საყდრის გასწვრივამდე ირგვლივ. ჯერ ძალიან არ გვერდოვდება, მაგრამ შიგა და შიგ ღელეები ჩნდება და მოსახლეობაც აქედან უფრო და უფრო უხშირებს იმ გასწვრივამდე. აქ ერთ ვაკე მინდორზე კვირიკობის თვის 15 რიცხვში (სამი დღის განმავლობაში) იციან ბაზრობა, კარვობა, კვირიკობა, წევობა. 120 კარვამდეა აქ აშენებულ-გამართული. აქედან მესამედი ვერსით უფრო ქვევით დაფენებას ორ წყებად შეჰყვება ალმცერად წევის ბაზარი, რომელიც შედგება 30-40 დუქნისაგან და რომელი რიცხვიდან 5-6 დუქანიღა ვაჭრობს, სხვა ცარიელია და დახურული. ბაზარს დასავლეთისაკენ წამომართვია ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, წევის ეკკლესიის სამრევლო სკოლა. აქ სწავლობს დღეს 60 ბავშვზე მეტი*)

(*აქ არის ორი მასწავლებელი, ერთი სემინარიელია. აი, ამ ყმაწვილის გულს-მოდგინე დახმარებით და ბავშვების დაუზარებლობით და სიხალისით შეჰკრიბე უმეტესი ნაწილი ქვემო მოყვანილი ზეპირსიტყვაობისა).

სკოლის კედლებზეა მოგდებული ქვის გალავანი საყდრის გარეშემო ვაკეთ შემოკრულ სასაფლაოსი, რომელიც 3-4 ქცევამდე იქნება. ეს სასაფლაო იქამდე სავსეა ძველი და ახალი მკვდრებით, რომ ძალიან ხშირად იღებენ ჯერ დაუხრწნელ ცხედრის ძვლებს და მის ადგილზე დასაფლავებულ მკვდარს აყრიან თავზე. გალავანს უვლის ირგვლივ გზა, და გზას შემორტყმია კიდევ ერთი ნაწილი მჭიდროდ დასახლებულ მოსახლეთა, სახელდობრ ოთიაშვილთა. აქედან და ამის ახლო-მახლო გასწვრივიდან მდინარე ძირულასკენ სამივე კუთხით დაიწყება თავ-დაღმართები, შიგა-და შიგ საშვავეები, აქ და იქ ტყიან-ჩირგვნარიანი ხრიოკები და, სადაც კი ფეხ-მისადგომია, გადალასტული ვენახები. დასავლეთისკენ ეს ციცაბო თავ-დაღმართები ჩააწყდება **„გლინავის ღელეს“**, რომელიც საზღვრავს ს. წევას სოფელ წიფლავაკისაკენ. სამხრეთით მთელი თავ-დაღმართი, თავის შევაკებული დაფენებაებით თითქმის სულ ვენახებია **„კობახოურის“** ღრიანტელის გარდა, და ჩაიჭრება **„ჭალაში“**. ეს ჭალა ერთ-ნახევარ ვერსის კუბოკრულ მანძილზეა გაშლილი და გარეშე სამოსახლო ეზოებისა სულ დაბლარითაა (ვაზი) მოდებული რკინის გზამდე და მდინარე ძირულამდე. (წევაში საზოგადოდ მაღლარი იშვიათია). სამხრეთ-დასავლითისკენ კი აიზვინება როგორც კოშკი სალებით გარს შემორტყმული **„კლდეკარა“**, ხატის სასვენებელი, და კლდეებით ფხეწოებით, ჩირგვნარებით დაეშვება, წაზურგულდება და შიგ მდ. **ძირულაში** შეგორდება.

27 ოქტომბრის (1897 წ.) შემოღამება კლდე-კარაზე:

ჭინკობის თვეა. (15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ჭინკობის თვეს ეძახიან). ღამდება. მე ვდგევარ კლდეკარას ქედზე სამი დახავსებული მუხის ქვეშ, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩამოცვენია ფოთლები. ნიავის ქროლა ისმის. ფოთლების ნძრევა არაა. ძირს, უფსკრულში **„წითელ-კლდეს“** ძირს უჩიჩქნის გველივით აქერწლილი თითქო გახელებული, მიღლაკილ-მოღლაკილი ძირულა. სერებზე აქა-იქ, ირგვლივ ვერცხლის სირმის ხაზები გამოჰკიაფობენ – ეს წყალი ჩამდგარა ნახნავებში. ფხეწოებში, საშვავეების თავებზე მოდებული ტყე-ჩირგვნარები წითელ-ყვითლად საოცნებოდ შეფერადებულან. აღმოსავლეთით თავზე წამომდგომია ს. წევის ერთი ნაწილი, ვენახებით მოფენილი, რომელიც ხეებში შესაფრებული ლამაზ-ლამაზი ჭრელა-ჭრელა სახლებით თავსაკრავივით შემოვლებია პატარა ვაკე გორაკს შუბლზე; თითქო ეს თავსაკრავი საქორწილოდ მოლამაზებულ ქალწულის არისო, რომლის თავსაც ამშვენებს გვირგვინის ჯვარი. ეს ხეებსა და სახლებს შორის ოქროსავით გამობრწყინებული წევის საყდრის ჯვარია. დასავლეთით მზე ახლად-ახლა ჩასვენებულა **ვახტანგის მთების** გადაღმა. გადმოღმა მხარე მთა-ბორცვებისა, რომელიც ჩამობამბულა თოვლით და მოხუცებულის აგრუზულ ვერცხლის თმას მოგაგონებს, კვარცხლ-ბეკების ჭალებზე გშლილი სოფლები, სადაც აქა-იქ მქრქალ ლეჩაქივით

გაკრულა კვამლი, როცა თითქოს და მიუბუნდავს წყდიადს, –მაღლა ცის მოწმენდილ ლაჟვარდ ტატნებზე მზის შუქი ისევ ცხოვლად ელვარობს და თითქო ბროლიდან გამოჭრილს მთების მწვერვალ-გრეხილებს ოქროს ყვავილიან არშიებს ავლებსო. შორეულ უფრო მაღალ მწვერვალებზე ბამბასავით აბურდული უზარმაზარი ღრუბლები ტყეებამდე დაშლილი ვაკე-სპეტაკ ველებს მოღრეშით დაჰყურებს. კიდევ უფრო შორს ამოძრავებული, ტყვიასავით მძიმე ღრუბლები ორ-ფერ სახეს იღებენ, ჩამობუმბლულ ხეებს ზედ ეხვევიან, თითქოს და მზად არიან თოვლი გადმოუშვან თვალებიდან. აი, ამ დროს აქ, ამ მზის შუქით ჯერ კიდევ გავარვალებულ ტატნებზე საუცხოო სურათი იხატება. მზისაგან თვალ-მოჭრილს, თვალ-ამჭყვლეტულს აგერ სივრცეში რომ რაღაც უსახო ნათელი, არეულ-დარეული ნიშნები დაეხეტება, იმნაირად ოქრო-ალის ფერად, – თუ ღრუბლებიაო, კიდეც ვერ იცნობს კაცი, – წაკრია ტატნების მსუბუქი, გამჭვირვალე ზოლები. თვალს ჰგონია, ცის გუმბათს გადმოხურვია წყდიად-ლაჟვარდისფერი და ამ ერთ ადგილს ოთხგან თუ ხუთგან ეს თვალ-გადაუწვდენელი ფარდა თითქო გახეულა და გუმბათ გადაღმა მუდამ ნათელის შუქით მოელვარე სამოთხეს სარკმლები გაკეთებიაო. ამ ციურს წმინდა ნათელში რაღაც ღუვილი, ფერადების მოძრაობა, დენა თითქოს და მოჩანდა. ამ სასასწაულო სანახავმა თვალები მომჰარა, გული მომინათლა და დამიტყვევა, რომ ძირულის გასწვრივ, თითქო ძირულას ახელებსო, შხუილ-კივილით გამოებაღრა ორთქლით მატარებელი და გამომარკვია, გამომაფხიზლა. რომ იტყვიან, კაცის ხერხი, ოსტატობა ატყვევებს, იმონებს ბუნებასო, ეს მოჩანს აგერ თვალ-საჩინოდ ამ ძირულის შევიწროებაზე. გაღმით სოფ. ილემისაკენ შროშის გზა მიჰყვება სულ ნაპირ-ნაპირ,გამოღმა კიდევ რკინის ლიანდაგი და ორივე მხრიდან კალაპოტში ამწყვდევენ მდინარეს. მაგრამ როცა მოიმატებს და გადაირევა ძირულა, მაშინ მშვიდობით! გაიგებენ ხოლმე, რასაკვირველია, თუ რა არის სტიქიონი! ერთბაშად მოხვეტავს მიდამოს, კლდესაც-კი... ჭალაში შეიქნა სოფლელების ხმაურობა, ძაღლების ყეფა, პირუტყვების ბღავილით სამწყესურიდან მოდივილი, და აქ ხეებში დამალული სახლიდან ამოტეხა კვამლმა და ჩანთქა ძელური თვის ტალღებში, იქ ბუხრებიდან აიკრაზნენ ჭახრაკივით მაღლა-მაღლა და გაერთხენ ცას. ჩაწყდიადდა ხეები, დაბუნდდა მთების კვარცხლ-ბეკი, გაჰქრა დასავლეთის ცის ტატნებზე სანახაობა და აღმოსავლეთით სერზე ამოეშვა მკრთალი ვერცხლისფერი შუქის შადრევანი. მოინათლა ცა და შემოჯდა, სერზე ნაზი, მკრთოლვარე სევდით მოღიმარე მთვარე. ზეცის უსაზღვრო გუმბათში გამოკამკამდნენ ვარსკვლავები, აქა იქ შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად და ატეხეს თვალების ფახური. მე ამ ბუნების სილაღეში როგორც ერთი წვეთი წამი უფსკრულ და უკიდურ ზღვაში ჩავარდნილი, კოშკივით ამართულ კლდეკარაზე, ამ ძველებურ ხატის სასვენზე, ბედისაგან დაჩაგრული, ჩემდა უნებურად დავერთხე მეხიდან გაპობილ მუხის ტანზე გამოჭრილ ჯვარის წინ. თვითონ აღარ ვიცოდი, რას ვევედრებოდი, რა მინდოდა, მაგრამ რაღაც მიუწვდომელს კი ვითხოვდი... აი, ეს სოფელი მდებარეობს ზემო იმერეთში, ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრაში და საზოგადოებაში. დაბა ზესტაფონიდან (ყვირილიდან) აქამდე არის 10–11 ვერსის მანძილი; დაბა საჩხერემდე, როგორც ქალაქ ქუთაისამდე 45–50 ვერსამდეა, ძირულის რკინის გზის სადგურამდე–4–5 ვერსია. შროშის, ილემის და წიფლავაკის გარდა ახლო-მახლო მდებარე სოფლები არიან: ლოსიანთხევი, კლდეეთი, ფუთი, ვარძია, აჭარა, ლაშე, ბოსლევი, უბისა, მარტვათუმანი, საქარა, დილიკოური და სხვ. აგერ ლექსი, რომელიც ხალხს გამოუთქვამს ამ სოფლებზე:

ამოვიარე წევასა,
კაცი იჭერდა წევარსა.
კაცო რას იჭერ წევარსა?
ასე სჩვევია წევასა.

ამოვიარე ილემსა,
კაცი იჭერდა ირემსა.
კაცო, რას იჭერ ირემსა?
ასე სჩვევია ილემსა.

ამოვიარე შროშასა.
კაცი იჭერდა შროშანსა.
კაცო, რას იჭერ შროშანსა?
ასე სჩვევია შროშასა.

ამოვიარე ვარძიას,
კაცი აკეთებს კვაწიას.
კაცო, რას აკეთებ კვაწიას?*
ასე სჩვევია ვარძიას.

ამოვიარე საქარას,
კაცი ითხოვდა სამ ფარას,
კაცო, რას ითხოვ სამ ფარას?
ასე სჩვევია საქარას.

ამოვიარე თერჯოლას,
კაცი ჭამდა თეთრ ბჟოლას**
კაცო, რისთვის სჭამ თეთრ ბჟოლას?
ასე სჩვევია თერჯოლას.

ამოვიარე ღვანკითსა,
კაცი იმტვრევდა თავ-პირსა.
კაცო, რას იმტვრევ თავ-პირსა?
ასე სჩვევია ღვანკითსა.

** ერთი მარცვალი მეტია.*

*** ერთი მარცვლით ნაკლებია; ეს მოვლენა ხშირია სახალხო პოეზიაში, ჰარმონიას აზრს ამჯობინებს ხალხი.*

ეს სოფლები და ურიცხვი სხვა ერთი მეორეზე ბაღებად არიან მიყოლებულნი. აქაურ სოფელს თითქმის არავითარი მსგავსება არა აქვს ქართლის სოფლებთან. აქ იშვიათია სახლი, ქოხი, რომ ფართო ეზო-გარემო არ ერტყას. ასეთია თვით სოფელი წევა გარეშე იმ ერთი ნაწილისა, რომელიც საყდარს არტყია, ქალაქურად გამართულია და სივიწროვეც ეზოსი აწუხებს.

ამ გვარად თანახმად ზემოთ მოყვანილი გარეგნულის აწერილობისა სოფელი წევა განიყოფება ორ ძალიან განსხვავებულ ნაწილად – მაღლობ წევად და დაბლობ წევად, მთად და ბარად ანუ ჭალად. მაღლობი, როგორცა ვსთქვი, ვახტანგის მთების კალთებზე მყოფ ზედა სოფლებს უსწორდება თითქმის, მაგალითად სოფელ ვარძიას; დაბლობი, ჭალა კი თითქმის შორაპნის ციხის (აშენებულია ფარნავაზის დროსო) სიმაღლეზე არის გაშენებული. ამიტომაც ამ სოფელში ორნაირი ნიადაგია: მაღლა ეწერი, ძირს უფრო ნოყიერი დამძიმებული; ორ ნაირი ჰავაა: მაღლა ცივი, ძირს ცხელი და მაშ ორნაირი მცენარეულობის ნაყოფია და თითქმის შესამჩნევად გასარჩევი ხასიათიც და აგებულებაც მცხოვრებლებისა.

ქვეადაგი მთელი სოფლის, როგორც გვაჩვენებენ ღრმად გათხრილი ღრიანტელები გლინავისა, ლაშიანისა და თვით მდ. ძირულისა, სიპი ლურჯი ქვისაა (გრანიტისა); მას ზემოთ მოჰყვება საჩალხე კაჟ-ხრეშიანი ქვა და ამის მაღლა მისდევს წითელი რკინის მადანი. ეს მადანი კირ-რეულია, როგორც ის წყობა ქვისა, რომელიც ამ მადანს მაღლა მიჰყვება და შესდგება „პოლიპებისაგან“ (პაწაწინა ხეჭეჭოებისაგან. ეს ქვა იმ დედა-მიწის კანის შემაგრების ხანაშია შეზავებული, როცა ამ მაღლობებს ზღვა ჰფარავდა. ვინ იცის, იქნება მერეც აიჭრა წევის ქედი. თუ ზღვის ქვეშაც ასე არ იყო რაღა თქმა უნდა აიბერებოდა. ახლა ერთ ალაგას ჭალისკენ ერთი როყნალი, ვეებერთელა ქვებში ქარი გამოსტვენს და ხანდისხან კვამლიც ამოჰყვება

ხოლმეო) ვისაც ამისთანა ქვები არ უნახავს, იგი ვერ იქონიებს ნამდვილ წარმოდგენას იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიცა აქვს „პოლიპებს" და სხვა ათას წვრილ-წვრილ ცხოველებს დედა მიწის კანის (გაკეთებაში) შეზავებაში *) *(*ერთი საკუთარი სპეციალისტი გეოლოგი არ გვაბადია ქართველებს. არ არის ერთი განათლებული მხარე, რომ რაა მის დედამიწის გულის პირში, წიგნში და რუქაზე არ ჰკითხულობდნენ. ჩვენი ახალგაზრდა მოწიფულები-კი ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ. მათი სწავლა უმეტეს ნაწილად დიპლომისთვისაა, დიპლომი კი განცხრომით ცხოვრებისათვის).*

ამ ქვას მაღლა მისდევს აყალო, ყვითელი მიწა, ჭურის საგლესი, თავ საბანი მიწა და მერეც თითქმის 3/4 ალაბის სისქეზე მისდევს მჩატე, კირ-რეული მიწა. ჭალაში მიწა ნოყიერი მხოლოდ მით არის, რომ აქ ყოველ წვიმიანობაზე ჩამოდის მაღლობიდან წამონარეცხი ზედა პირი მიწისა და ისედაც მწირი უფრო და უფრო, სულ თან და თან უნაყოფიერდება წევის მაღლობი ნაწილი. ზედი-ზედ 4–5 საყანეების დამუშავება მაღლობის ვაკეებში და ფერდობებში შეუძლებელია. შრომის 1/3 საზღაული აღარ გამოვა. მიწამ უნდა დაისვენოს ხოლმე. **ღრმად დახვნა აქ მიწისა საზარალოა და ამიტომაც, როგორც საზოგადოდ ყველგან იმერეთში, პატარა სახნისით და თოხით მუშაობენ** მამა-პაპურად, ძველებურად, ჩვენებურად.

წევაში ინახება: „ლინგიტი", ასპიდის დაფა, ცარცის ქვა, საჩალხე და შაბის ქვა, კაჟი და სხვათა შორის ქანდარაზე ქვა-ნახშირიც.

მე ვსთქვი, რომ წევისა და წიფლავაკის შუა ჩავარდნილი ღრიანტელია და იქ მოსჩქეფს, ხან მიცოცავს ლიპებზე გლინავის ღელე. ავდრიანობის დროს, როგორც ლაშიანის ღელე, აბრუნებს პატარ-პატარა წისქვილებს, და უერთდება მდ. ძირულას რკინის გზის ლიანდაგთან. ამ პატარა ღელეში ბევრი ცხრა-ფეხაა, გველ-ენა, ღომღომა, ვენახა და კიდევ უფრო ბევრი გველ-ბაყაყია. დაღრიანტული კიდეები სავსეა ფსვენა-ხვლიკებით, ძლოკვებით, ვაკასეებით, გომფაშოთი და სხვ.

მდინარე ძირულაში ნაშენობს (მაგრამ ვაი იმ ნაშენობას–დინამიტებით დიდსა და პატარას სულ ჟლეტენ ხოლმე: წვერა, ბოლო-წითელი (მოდიდო), ქაშაპი, ღლავი, ტობი, ნაფოტა, ღორჯო და სხვ.

კლდე-ღრეებში ხშირია წყარო და, რაღა თქმა უნდა, იმის და გვარად როგორ ქვე-ნიადაგშიაც გამოდის, იმისთანა ღირსებისაა. მაგ. **„ჭონოულა"** გამოდის ლურჯ ლიპში და მეტად მსუბუქია, მარგებელი, ხაფხულობით ნამდვილ მთის წყაროს მოგაგონებსთ, ყინვასავითაა, ზამთრობით თბილია. რომელიც „პოლიპებისაგან" შეზავებულ კირ-რეულ თეთრ ქვაში გამოდის როგორც მაგ. **„ღვალვანა„** და სხვ. უფრო მძიმეა, და რომელსაც ერთვის, როგორც მაგ. **„უბიანის წყარო"** წევის სასაფლაოს წბოლი, პირ და პირ მავნებელია.

ჩიგვნარები და ტყეები თავ-თავის დროზე გადავლილია ხოლმე სხვა-და-სხვა სოკოებით. აქ იცის: ვარყა, წიფლია, მიქლიო, მანჭკვალა, ნიყვი, დედა-ბერა, ტურიო, წერენო, გუგულის სოკო, გზავრა, ტრედონა, ქამა, ღვინიო, ჯღავანა და შავ-ჩოხა. აქვე იცის: აბედი, გუდაფშუტა, მძინარა (ძილი-გუდა, ხაშხაში) ბალახეულობის ნაყოფი: გოდორა, მარწყვი...

ტყეებში იცის სხვა-და-სხვა გარეული ფრინველები: ბუ, ყვავი, ყორანი, შაშვი, ბულბული, ნაირ-ნაირი ყარანეები: თავ-შავა, ბოლო ცეცხლა, ჩოჩიალა, გუგული, მწყერი, ქორი, ორბი, ძერა, ჩხართვი, მესკია, ჭინჭრაქა, ბეღურა, ტოროლა, მთის ჩიტი, ჟივჟავი, მეღამურა, კოდარა, მოლაღური, გულ-წითელა, კულუმბური და სხვ. იცის აგრეთვე გარეული იხვი, ყანჩი, ითხვარი, წყლის შაშვი, კიუტი...

აი, ნადირებიც: მელა, ტურა, კურდღელი, ბუძგვი (ზღარბი), სინდიოფალა, მაჩვი, მუდო, კვერნა...

ადვილი წარმოსადგენია ნიადაგის-და კვალობაზე თუ როგორი ბარაქა უნდა ჰქონდეს აქ მოსავალს და მაშასადამე თვით შრომას. პურის და ღომის თესვა აქ არც ეადვილებათ, არც ეხერხებათ. აქაური ჭინახულია სიმინდი, საჭმელია მჭადი. მართალია, აქ ლობიოც მოჰყავთ, ცერცვიც, კართოფილიც, ძაძაც (მამაკალია ლობიო), მაგრამ იმდენი, რომ სათქმელად არა ღირს. აი, კიდევაც რადგან დედამიწა მწირია და შრომა იშვიათად ჯილდოვდება, ისიც მაშინ, როცა წვიმიანი წელიწადია,

რადგანაც ადგილის სივიწროვეც შემოეპარა მცხოვრებთა სიმრავლის გამო, სიმინდი არაოდეს არ მოდის გასასყიდელი კი არა, საკმარისიც კი; და, რადგანაც ყოველ შემთხვევაში საყიდელი აქვს გლეხს საჭმელი, ერთად-ერთი მისი ცხოვრების სახსარი, წყარო, შრომის ჯეროვანი საზღაური იყო ღვინო. აქ, როგორც საზოგადოთ ზემო-იმერეთში, ძალიან გახშირებულია ძველთაგანვე მევენახეობა, ბევრია ვენახი. ყურძენია: დონდღლაბი, მწვანე, ციცქა, ქველოური, რკო, კამური, საფერე, მაისა, კუნძა, ბუღია... არ უნდა ვცდებოდე, რომ ვსთქვა, თუ არ 2/3 მთელი წევის ზეალაგისა, 1/2 მაინც უნდა იყოს ვენახი. აქაური ვენახი მართლა რომ ბაღია. ვენახშია გაშენებული ყოველ გვარი ხეხილი, რომელიც-კი შეესაბამება აქაურ ჰავას და მოთხოვნილებას: ვაშლი: ბორა, კიტრა, თურაშაული და შაქარ-ვაშლი; მსხალი საზამთრო, ორშიმო-მსხალი; ქლიავი–გვირილა, მაკრუნცხი, ონტორი, ჭანჭური, შავ-ქლიავი, გვერდ-წითელა და სხვ.; ატამი – ჩინჩლა, სახეთქი და სახრავი, ვაშლი, სახეთქი და სახრავი; ალუ-ბალი, თეთრი და შავი, კახამბალი; ნიგოზი, კერკეტა ნიგოზი; ტყემალი თეთრი და შავი, ღოღნაშო, ალუნჩა; ლეღვი–თეთრი და შავი, ბერძული, ჩიტა, საკვირიკობო ლეღვი; თხილი – ბერძული და ჩიჩა; ბია – მახრჩობელა-ბია, ვაშლა-ბია; ბროწეული და სხვ. აქვე ვენახებში დანაკელებულ ადგილზე მოჰყავთ კიტრი, ცერცვი და იშვიათად ნესვი; საზამთრო აქ არ მწიფდება; კვახი, ორშიმო-კვახი, ქინძი, ცერეცო, ოხრახუში და ნიახური და სხვ. საბოსტნედ ცივი ადგილები უფრო ვარგობენ. საზოგადოდ აქ ხეირიანი ბოსტანი არაა. აქაური ბოსტნეული: პრასი, ჭლაკვი, შაშკვლავი, ზაფრანა, ტალხუნა, პატრიჟანი, კამა, პიტნა, ნიახური, პილპილა და სხვ. წითელი ფხალი, კალამფხალი და სხვ.

თუმცა ნახევარი წევისა მართლა ვენახია, დანარჩენის მესამედი თუ იქნება ჩიგვნარი, სტე და ტყე. შეშა აქ დამარჯვებულ, მისადგომ ალაგას საჯენად დადგმული 10 მანეთია. აქედან სჩანს, რომ ხე-ტყე განადგურებულია. დღეს ხე-ტყისათვის მხოლოდ ის ადგილებია გაშვებული, სადაც ვენახი არ ვარგობს (მაგ. ცივ ადგილებში) და ან ცუდი ფეხ-მისადგომია. ერთი მხარე წევისა „ლაშიანი", იქ სადაც „აჭარა" და წევა ისამზღვრებიან, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გვარიან მანძილზეა მოდებული სტეებით და თუმცა ჯერ ვერ გაუნადგურებიათ, ეგ იმიტომ რომ მისადგომი გზა არ უვარგა დღეს-დღეობით. აქაური საშეშე ტყეა: თხმელა, მუხა, რცხილა, წაბლი, კოპიტი; სხვა მცენარეებია; კვინცხა, ბზა, იელი, შქერი (რამე კარგია ამის ყვავილი) კაპარი, ხუმლა, კურნელა (ამაზე იცის მობმა ფითრმა და შემოხვევა სურომ), გულუყრო, ცაცხვი (ორივეს ყვავილი საოფლეა), წიფელა, თხიფსელა, ლაფანი (საღებავია)...

ტყის ხეხილები: სხმარტლი, მოცვი (ამის ფოთლებიდან აქ ბევრ ჩაის აკეთებენ და ჰყიდიან), პანტა და კვიჭა ვაშლი, ჯარჭი მსხალი, წაბლი, ხუმლა, მწარე ბალი და სხვ.

კლდე-ღრიანტელებში გარეშე ჩირგვნარისა ბევრნაირი გარეული ყვავილი და ბალახია. განთქმულია წევის ხრიოკები ქონდრით. ქონდრის თაფლი ფუთი ამბობენ 20 მანეთია უცხო ქვეყნების დიდ ქალაქებშიო. წევაში კი ცოტაა სკის მიმდევარი, და ისიც სხვათა შორის, აქაური ბალახები, (ფხალეულობა) და ყვავილებია: სადაც ჭაობია, რაც იშვიათადაა, იქ ომბალოა აბიბინებული, (ერთ ალაგს ვაკე წევაში ეტყვიან „ნაყიდს". აქ იყო ხოლმე ჭაობები და ტბები. ამ ტბებში დაჭერილი რაღაც ხვლიკის მსგავსი ქვე-მძრომი ცხოველი, რომელსაც კუდი ღლავისა ჰქონდა, ჩემთვისაც უჩვენებიათ და უთქვამსთ: ეს არის უწინდებული დიდი გველეშაპის ბარტყიო. ეხლა გაკაფეს თხმელური, დაშრა ტბები, და ისიც გადაშენდაო), სამყურა (ამაზე იტყვიან, ბორკილი რომ დაადგა გახსნის – გააღებსო. კურდღლები სჭამენ), ქვეშ ნიგვზა (ცხელების წამალი) ნიახურია, კაჭკაჭა, ფერიცვალა და შრალას ძირი (სირსვილის წამალი), ფერა-ფერა (ჯულაბია, საალხებელი), ანწლი (საღებავს ხდიან ღვინისათვის, არაყსაც ხდიან ანწლიდან), ვირი-პიტნა (ქოხის აბანოსთვის მოსადუღებელი წამალია), ობობა, ქურჩუმელა (თავის ტკივილის წამალია), ბარამბა (ქოხის აბანოს წამალია), აბზინდა (მუცლის ტკივილის წამალია), დიყა (მუცლის ტკივილის წამალია), დუ, კულმურა, მრავალ-ძარღვა (მოჭრილის წამალია), ყვავი-კუდა (ბავშვს რომ უსულო გაუჩნდება, მისი წამალია), გვირილა-ბალახა (რწყილის წამალია), უჯანგარა (მუცლის ტკივილის წამალია), დიკა (მუცლის ტკივილის წამალი), ნარი-ეკალა, ჯინჭარი

(გამშრალი ძუძუს მოსადგომი წამალია, ინდოურს ზდიან ამითი, ჭლექიანს სისხლის ფურთხებას შეუწყვეტავს, ჭირიან ქათმებს არჩენს), ძიმწარე (მუცლის ტკივილის, გულზე მოსვლის წამალი), ძირტკბილა (ხველების წამალი), მოლოქი (საყმაწვილოს წამალი), თაგვისარას ძირი და პიტნის ძირი (ჭიის წამალი), ქორჩიოტა (ჯულაბია), თეთრი გარეული ვარდი (ზნის წამალია), ფერად-ფერადი ტუხტი (ცხელების წამალია), ყაყაჩო, ყიზილბია, ია, იაია (ქოჭიოტაზე ამოდის წითელი უსუნო ყვავილი და სულ იას აგებულობა აქვს)...

შინაურ ყვავილებში გავრცელებულია მაისის ვარდი და ტუხტი. ხეზე ეხვევიან სუროს გარდა კატაბარდა, კრიკინა, კინკარუჟა, ეკალა, მაყვალი... მაღლობზე ნაყოფი კარგად ვერ მწიფდება და მჟავეა; თვითონ ღვინოც მჭახეა და უღონური, როცა ამავე დროს ჭალაში ნაყოფი ძალიანაც მწიფდება, გემოც მშვენიერი აქვს და ღვინოც ისე მაგარი და სურნელოვანი დგება, რომ არაფრით არ ჩამოუვარდება განთქმულ სვირისა და კვალითის ღვინოს.

დიახ, ღვინით იყო ღონიერი აქაური მუშა-კაცი. იშვიათი მუშა გლეხი იყო ორიდან ოთხ-ხუთ საპანემდე მაინც არ გაეყიდა და შინაც სახარჯო ღვინო ბევრი რჩებოდა (სახარჯო ღვინოდ ხმარობენ ნაქაჩს. ნაქაჩს ეტყვიან იმ ღვინოს, რომელიც კეთდება ორ-სამ დღეობით კი არა, მთელი კვირაობითაც გამონაწურ ჩურჩაზე დასხმული წყლიდან). შინაც ღონიერი იყო კაცი და გარედაც: გარედ ფულით, შინ ღვინით. მტერი და მოყვარე იცოდა. სტუმარ-მასპინძლობა განთქმული იყო, მაგრამ ჯერ „მილდიუმ“, ვენახის ობმა და მერე ფილოქსერამ გაანადგურა გლეხი-მუშა. აი, ფილოქსერას ლექსი, ხალხის გამოთქმული;

ფილაქსერას რომ იტყვიან,
რა უბედური ყოფილა:
ვენახს ძირში შეჯდომია,
სულ წვერომდი გაუხმია,
უბედურ პატრონებისათვის
ოხერ გულს შემოუყრია.
მთავრობის კაცს მოვახსენოთ,
მამასახლისს და „სუდიას“,
ფილოქსერა დავითხოვოთ,
საზოგადოდ სულ ცუდია.
ჩვენ მეტი გზა აღარა გვაქვს,
ვიყიდოთ თითო ვირია;
შავ-ქვაზე მაინც ვიაროთ,
ვჭამოთ დღიური პურია.
ფილოქსერამ თქვა პასუხი:
ერთი ვიღაცა ფრანცუცი
თვალებში გვასხამს წამალსა;
დღე ჭამა აღარ გვაცალა,
ღამე დაგვიფრთხო ძილია.
–ფილოქსერაო ბატონო!
საფელამუშე გვაჩუქე
ჩაფ-ნახევარი ტკბილია.
–ფელამუშის მოდუღებას
სარჯელი უნდა დიდია.
თბილი მაინც არ შეჭამოთ,
რომ არ დაიწვათ პირია.

ამ საშინელმა ღვთის რისხვამ და ქარ-ცეცხლმა ხალხი, ეს მოღიმარე, გულ-არხეინი, გულ-გაუტეხლად მოღიღინე ხალხი დაასვედიანა, დააბეჩავა, ჯიბეში ფული აღარა აქვს და ჭურში ღვინო. შინ მასპინძლობისათვის მოესპო საღსარი და გარედ გასვლა-გამოსვლა-საყიდლისათვის. შრომობს გაბმულ ხარივით თავ-დახრილი, მაგრამ მადლი არა აქვს და ბარაქა მის უიმედო და უსაზღვრო ოფლის-ღვრას.

ფილოქსერამ რომ წელკავივით გაუარა ვენახებს და ჯიდაოსავით ამოთუთქა აქა-იქ, ამოხუხა, გლეხი მოიშალა წელსა და გულში; გულის-გატეხა ჯერ უჩვევარი უპირებს გულში შეჭრას. ეს სტუმრის-მოყვარე გამვლელ-გამომვლელს, გლახა-თხოველსაც-კი ემალება დღეს. მისი ღიღინი მძიმე ამოხვნეშა-ამოკვნესას დაემზგავსა.

წეველ მშრომელი გლეხის ფულის შემოსავლის საღსარი ღვინის გარდა კიდევ შავი-ქვის ხარ-ურმით ზიდვა იყო. ესეც მოუსპო ჭიათურაში რკინის გზის გასვლამ. ეხლა დარჩა რკინის გზაზე დღიურად მუშაობა და სიმინდის მოყვანა. აქ ჩვეულებადაა, რომ ვენახში სიმინდი ითესება ხოლმე. დღეს ირგვლივ და ყველგან ყანის დამუშავებას დაუფათურდენ.

აბა, ვიანგარიშოთ შუა-ხელის გლეხის ცხოვრების გასავალ-შემოსავალი:

1) სამღვდელოების შემოწმებით თითქმის 80 დღეა უქმე-უმუშევარი თუ კანონიერი და თუ უკანონო, როგორც მაგალითად „კოხინჯრობა“, „ელიობა“ და სხვ.;

2) გლეხისათვის უმუშევარი ზოგი მტრისთვის (როგორც მაგალითად საჩივრის დროს), ზოგი მოყვრისთვის და მკვდრისთვის (როგორც მაგალითად გასვენების, ქალის მოყვანის და სხ. დროს), ზოგიც ცუდი ამინდების გამო, გამოცდილი გლეხების სიტყვით და საკუთარის დაკვირვებით თითქმის 100 დღე მეტია, (ზამთარიც ამ რიცხვშია).

3) გზების საკეთებლად და საყარაულოდ დასაწვავია თუ მეტი არა 22 დღე (სამი კვირა);

4) სოფლის სასამართლოში იბარებენ, თუ მთელ საზოგადოებას და თუ ცალკე სოფელს ყრილობისათვის წელიწადში უკანასკნელად, თანახმად გამოცდილ მოსამსახურეთა ჩვენებისა, 30-ჯერ (მთელი დღე იკარგება, სასამართლო შორს არის, 5-6 ვერსზეა).

ოჯახს მოუდის 365 დღიდან უქმად, თავის მიწა-წყლის მიუხედავად 232 დღე; ამნაირად 133 დღე რჩება შრომისთვის, ე.ი მესამედზე სულ ცოტა მეტი. ასე რომ ერთი დღის ნაღვაწი სამ დღეს უნდა ეყოს. და ზედმეტიც უნდა გადარჩეს. ეს ზედმეტი ასე უნდა განაწილდეს: 1) მღვდლის, სადრამო 2 მან., 2) სახელმწიფო და საფოსტო გადასახადი ერთმანეზე თითქმის 10 მან., თუ არა მეტი; 3) მწერლის, იასოულის და „საალოვო“ (ოჩრის) მიდის ფულად 1 მ. 20 კ.; 4) ბანკის 40 კაპ.; 5) ტან-ფეხი, ჩასაცმელ-დასაგებ-დასახურავი ოჯახისთვის უნდა იანგარიშოთ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც კი 20 მან. მაინც; 6) ქორწილისათვის, ნათლისათვის, წირვისათვის, მიცვალებულის სამსახურისათვის, თუ ჯარის კაცებისათვის ხარჯი ერთი-მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 20 მან. ნაკლები ხომ აღარ წავა? სხვა წვრილმანი ხარჯები რომ არ ვიგულისხმოთ, ესეც კი შეადგენს 63 მან. 50 კაპ. დღიური ქირა რკინის გზაზედ არის 40-50 კაპეიკამდე.

თუ იშოვნა სამუშევარი 63 მან. და 50 კაპ. დაფუქვას (თუნდა განუწყვეტლადაც რომ ჩავუგდოთ 50 კაპეიკი დღეში) დასჭირდება 127 დღე. მაშ შინ რამდენ ხანსღა იმუშაოს, როდესაც მხოლოდ 133 დღე-ღა დარჩენია თავისუფალი! 127 დღის გამოკლებით ექვსი დღე, ერთი კვირაც აღარ რჩება მარტო-ხელ კაცის ოჯახს თავისუფალი!... კიდევ კარგი, თუ ან მომძე ჰყავს და ან შვილი წამოესწრო ოჯახის მამას. მაგრამ საუბედუროდ უნცროსი, როგორც კი ფრთებს აისხავს საკუთარ ოჯახს ეტანება და სახლობა იყოფა, ღარიბდება და იფლობა გაჭირვების მორევში მშრომელი გლეხი.

ვიანგარიშოთ ისიც, თუ რას აძლევს მიწის დამუშავება მშრომელს. ერთ ქცევა ადგილზედ სოფ. წევაში ერთი-მეორეზე მოდის ერთ-ნახევარი ძარი ფუჩეჩიანი სიმინდი და ისიც კარგს წელიწადში. აქაურ ძარ სიმინდში გამოვა სამი კოდი, 9 ფუთი; მაშ $1^{1/2}$ იზამს $13^{1/2}$ ფუთს სიმინდს. ფუთი სიმინდი დღეს ღირს 30-35 კაპეიკი, – ერთი ქცევის ჭინახული შემოიტანს, სულ ბევრი რომა ვსთქვათ, 4 მანეთს.

ოთხ მანეთად უნდა იმუშავოს ერთ ქცევა ადგილზე:

2 დღეს ხარ-კაცმა და ხარის წინ გამძღოლმა პატარა ბიჭმაც;

3 დღეს ერთმა კაცმა სამარგელად, სამორადოთ, სამორჩნად:

1 დღეს ერთმა კაცმა მოსატეხად, მოსაჭრელად და დასადგმელად;

1/2 დღეს ხარ-კაცმა შინ მისატანად და სხვ. ნუ ვახსენებთ სათესურს, ღობეს და სხვა წვრილმანს. ჯერ აქედან რა ერგება კაცს, თუ ხარის შრომას დღეში ამ ოთხი მანეთიდან და მერე ის ვიგულისხმოთ, რომ ხშირად სანახევროდ აქვს აღებული ყანა გლეხს და უეჭველად უნდა გავკვირდეთ, როგორ ცხოვრობს საცოდავი მიწის მუშა! ძნელი წარმოსადგენია ის მდგომარეობა, რომელშიდაც არის ეს საბრალობელი. აი, ამაზედ ამბობს ანდაზა: საწყლისათვის არც გათენებულა და არც გათენდებაო!

გულის წვით აღსანიშნია, თუ როგორ იქცევა ოჯახი ოჯახზე, თუ როგორ ჰქრება, ცივდება კერა. არა ერთსა და ორს განუტევებია გაძაღლებული სული და ცოლ-შვილი დაუყრია ცივ-ქვაზე, გზა-შარაზე. არა გვგონია, რომ ბევრი იყოს ისეთი სოფელი, რომ ამდენი გახიზნული ჰყავდეს სხვა-და-სხვა ქვეყნებში და სოფლებში. (ამას მერეც დავუბრუნდებით). მეტად სამწუხაროა, როცა აქაურ ბაზარში ბღავილ-ბღავილით მოჰყავთ ხარები, ძროხები, ცხვრები და სხვ. ისედაც უბალახობით დაწუხებული; როდესაც თუნგებს, ქვაბებს, ტაფებს, ტაშტებს და სხ. მოარიხინებენ გადასახადებში. როდესაც სამსაჯულოს ბოქაული უწერს მიწა-წყალს, სახლის ავეჯს, სამუშევარ იარაღს მუშა გლეხს. მთელ წევაში 3–4 მუშა გლეხის ოჯახი არ იქნება, რომ ვალი არ ჰქონდესთ.

ამ მიწასთან ბრძოლით უნაყოფოდ დარჩენილი, მოტყუებული გლეხი ყოველისფერს ეტანება: გარბის სამუშევარზე თუ რკინის გზაში და თუ ქალაქებში, წვრილ-წვრილად აღებ-მიცემობს: ყიდულობს წურბელს, ბამბას, ქალაბანს და ჰყიდის სოფელში; გააქვს შროშიდან სოფლად წვრილ-წვრილი ჭურჭელი და იქიდან აბრუნებს თუ ყველს, თუ დაკლულ ყვერულებს, თუ ლობიოს და თუ სიმინდს. სხვათა შორის, ყასპობა აქ ხშირია.

სამაგიეროდ მესამედი წეველებისა ჩაგანძულია, მდიდარია. მათი სიმდიდრით გაშვენდა ზესტაფონის და ჭიათურის დუქნები, ესენი არიან უმეტესად ბაზაზები, ფარჩეულობის მოვაჭრენი. აღებ-მიცემობა წეველებისა ძველი საქმეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნება აიძულებდა მათ ეს ხელობა აეღოთ. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში იმრავლა მათმა ქონებამ ისე, როგორც რიცხვმა. ამის მიზეზი იყო –

1. შავი-ქვის აღმოჩენა და წარმოება, 2) 30%-ად ფულის გავალება. ეხლა ეს ორივე მოეშალათ, მაგრამ ერთხელვე ჩააკუჭნავეს ასიგნაციები, არ დახარჯეს (ხელმოჭერილები არიან) და დააბინავეს ხალხში. ხალხი დავალიანებული ჰყავსთ.

შეძლებულთა შვილები იზრდებიან სასწავლებლებში. ბევრი უკვე გამოსულა და დარიგებულიც არიან თავ-თავის საქმეზე თუ მღვდლებათ, თუ მასწავლებლებათ და სხ. შედარებით სხვასთან ამ სოფელს ბლომად გამოუშვია საშუალო სწავლის მექონი პირნი და მომავალში კიდევ უფრო ბევრს უნდა ველოდეთ, რადგანაც საშუალებაზე არის აღზრდის საქმე დამოკიდებული. წეველ გლეხს ესმის, რომ სწავლა საჭიროა და კარგია; მაგრამ ვისაც საღსარი არა აქვს, რა ჰქნას? არა ერთი და ორია ისეთი, რომ სასწავლებლის გასასტუმრებელი ფული არა აქვს, და ძალაუნებურად ხელაღებული უნდა იქნეს ბავშების სწავლაზე. **კარზე სკოლა აქვს, რიგიანად დაწყობილი სწავლა** და მისთვის კი იგი დახურულია! ამას უყურებს მისი მოძმე ვაჭარი და გულ-ცივადაც უყურებს. სიბრალული მის გულში არ არის, მის თავში ანგარიშია. მადლი და შებრალება მისთვის ენაა, ცარიელი სიტყვაა. იმისი სადიდებელი და საქები ის არის, ვინც ნდობის ღირსია, იმიტომ რომ ეს ნდობაა მისი გამკეთებელი. სწავლას კი იმიტომ აძლევს შვილებს, რომ სხვას არ უნდა ჩამორჩეს. მისი ხელობა ჯიბრია. სწავლა ფულის მტერია, ფიქრობს იგი: სწავლული მხარჯავი და ხელ-გაშლილიაო. წეველ გლეხს კი საქმე და სარგებლობა სწავლაში ეგულება: ჯარის – კაცად თუ წაიყვანეს ჩემი შვილი, იქ აღარ აწვალებენ, ათი-თორმეტი კაცის უფროსობას მისცემენო. ნდობა არც ამასა აქვს სწავლულისა. ეს ან იმიტომაა, რომ გაიძვერა, ხალხის მწოველები და სხ., ვისაც ხალხზე გავლენა აქვსთ, თავის პირადი სარგებლობისათვის აძაგებენ მათ ნასწავლ პირებს, ან და ჰფიქრობენ: „გაჭირვებულისათვის არც გათენებულა და არც გათენდებაო“ და რაღაზე ენდოს. მაგალ. ერთ ოთხკლასიან პატიოსან ყმაწვილზე მიუთითეს საზოგადოებას მამასახლისის არჩევნების დროს, მათ კი ისევ უსწავლელი აირჩიეს.

„ამას უფრო გავუბედავთო“. რასაკვირველია, აქ სწავლულებსაც უნდა მიუძღოდეს ამაში რაიმე ბრალი.

წევის წმინდის გიორგის ეკკლესიას ჰყავს შემომავალი: წევა, წიფლა-ვაკე, ლაშე, აჭარა და სანახშირე და ამით არიან ურთიერთ შინაურებივით დაახლოვებულნი. მრევლია წიფლავაკე და წევა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ ეკკლესიაზე დიდი ამბით იცოდენ ხოლმე გადახდა ძველებურად დღეობების. თემობაც იცოდენ, სათემო მინდორიც ქონდათ, აქ ითითებიან ერთ ადგილზე ბაზარში, რომ აქ იყო დიდი მუხა და ყოველ წირვის შემდეგ ხალხი აქ გროვდებოდა ხოლმეო. მოხუცები ფიქრობდენ, ბაასობდენ ქურდებზე, სალახანა ბიჭებზე, თუ როგორ უნდა აელაგმათ იგინი და სხვ. დიდი ხანი არ არის, რაც აქ ქურდის სასჯელი კუპრით შეთხუპნა იყო. ხელებს გაუკრავდენ გაკუპრულს და გაუშვებდენ.

აღდგომის ლიტანიაზე სანახშირელები, განსაკუთრებით გვარად **ზიზბზიბაძეები (სვანური ხალხია)** დიდ ბუკებს ააყვირებდენ; დროშისთვის და გალობისთვის დიდი ცილობა ჰქონდა ხოლმე ხალხს და ორ-პირად, სამ-პირად სამ-სამი კაცი გალობდა მშვენიერ კრიმანჭულიან ქართულ ძილის პირებს, როგორც საყდარში, ისე ეკკლესიის გალავანში და სათემოშიაც. **აღდგომას** საყდრის გარშემო შემოვლის დროს „ქრისტე აღდგას“ წინ „ქვა ურისას, ქვა ურიას!“ იძახოდენ და ქვებს უშენდენ ლოდებს. „ქრისტეაღსდგას“ რომ დაასრულებდენ, დასძახებდენ:

ალხო ერქვა ურიასა[1],
იმ პილწსა და მუნიანსა;
ცალი ყური ჩამოთალეს,
ცალი ისევ შეარჩინეს.
მაცხოვარმა ხელი მიყო,
წაუხდინა ჭინახული.

„ელიობას“ და **„კოხინჯრობას“** საერთო პურის ჭამა იცოდენ საყდრის გალავანში. ღვინო ხატის მამულის იხარჯებოდა, მაშინ დასძახებდენ: „ოკრიალე, ჰო! მარჯვე, მარჯვე, ბიჭებო!“ კაცი კაცზე შედგებოდა, ჩაიბმოდენ ორ სართულიან ფერხულად და უვლიდენ ერთი ზედა-გორით საყდარს. ქალებიც ერთ წყებად ჩაებმებოდნენ ფერხულში და ისინიც უვლიდენ და **იძახოდენ „ოკრიალეს“**.

50 წლის კაცები **ბურთაობდენ, „ქალაქობაში“ სხდებოდენ, ჭიდაობდენ** და რას არ ჩადიოდენ!? ახლა კი პატარა ბავშვსაც საფიქრებელი გაუჩნდა რაღაც, და იმ კვირტშივე ჩიავდება, წუხდება. დიაღ, სულ სხვაგვარ ცხოვრებაში შევიდა ხალხი. ახალი დრო დადგა და ალს კვამლი თან მოჰყვა.

ეს **საყდარი** შიგნი მორთულობით და შენობით სოფლის კვალობაზე ძალიან კარგია და მდიდარიც. საკურთხეველი თამარ დედოფლის დროის არისო, და მოჩითულია შიგნი ფერად-ფერადი სურათებით, აღმოსავლეთისაკენ ცაში ხატია დიდი თავი და მისი შესაფერი აგებულება. მისი თვალები ყველგან ხედავენ მლოცველს, საიდანაც-კი თვით ის სურათი მოსჩანს. მართალია ჩამოფშვნილია და წაშლილი მხატვრობა, მაგრამ კიდევ ამოიცნობს კაცი, აზრით მიხვდება, რომ ეს მაცხოვარი უნდა იყოსო. სხვა სურათები მის გარეშემო უფრო პატარები არიან მასთან შედარებით. ეს ნაწილი საყდრისა აშენებულია პონტიკოს ქვით. გადმოცემა ამბობს, რომ საყდრის ცაში ეწერაო: „ოსი ყმა ჯაჭვაძეო“. როდესაც ამ გძელ საყდრისათვის ცალი გვერდი უნდა ჩამოერთმიათ, რომ მიემატებინათ შენობა, მაშინდელ იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს მაჭავარიანები წინააღდგომოდენ. წარწერილები წაიშლება და ყმები დაგვეკარგებაო... მაგრამ მაინც ვერას გახდნენ.

აწინდელ საკურთხეველში არის ერთი ხატი „სენის წმინდის გიორგისა“; ფიცარზე კარგად არც კი აჩნია სახე. ეტყობა, რომ ძალიან ძველი უნდა იყოს. როდესაც უნდოდათ ხატზე გადაცემა ან ტყის ქურდის, ან საზღვარზე მოცილესი და სხვ, **წაასვენებდა მღვდელი იმ ხატს და ბუკების ხმაურობით გაჰყვებოდენ. დიდი და პატარა მოცვივდა. თუ დამნაშავე იყო ვინმე, უნდა ხატის წინ აღეარა**. დღეს ეს ჩვეულება, როგორც მრავალი სხვა, გადავიდა. ბუკი საუკუნოდ დაყუმდა, ის ბუკი,

რომლის ხმაზედაც ხალხი უნდა გამოცვენილიყო სულ ძველ დროში სამშობლოს დასაცავად და მერეც მთელ თემში ოჯახზე კაცი უნდა გამოსულიყო თუ ხიდის საკეთებლად, თუ გზების გასაჭრელ-გასაწმენდად და სხვ. ვინც არ გამოვიდოდა, მას დაარბევდნენ, თუ საციქველს არ გამოიტანდა.

დღეს **გზების საქმე** სოფელ წევაში მეტად ცუდ მდგომარეობაშია, ორი მთავარი გზა ორივე დაქცეულია. ულევის შარა, წევის ერთ კუთხეს ხვდება და ისიც ზამთრობით ლაფით არის სავსე. მეორეარც ზამთარს ვარგა და არც ზაფხულს, საშინლად დარღვეულია, ნიაღვრებისაგან ღელეებად გათხრილი და დაქცეული. აჩაჩა ურმით გავლაც მეტად ძნელია. ხიდი ხომ აღარ არის მდ. ძირულაძე და უგზოობით მთელი წევა დამხრჩვალია. ისედაც საწყალი და გაჭირვებული ხალხი ზურგით ხიდავს ნაყიდ სიმინდს ზესტაფონიდგან. ურემს ვერ ატრიალებს.

შევიდეთ ეხლა წეველ გლეხის ოჯახში. ჯერ უეჭველად გლეხს შემორაგული აქვს ეზო, ხშირად ეზოს იქვე მოსდევს გარემოც (სახნავ-სათესი ადგილი). ეზოშია მარანი საწნახელით, თაღარით და სხვა. აქვეა ჭურის თავი ორშიმოთი, ძელ-ბრით, ორხელით და სხვ., საბძელი, ზვინი, საღორე, საქათმო და სხვ.

სახლი ხშირად ოდურია, უფრო ნაკლებად გძელური, ოთახ-მოდგმული და იშვიათად უოთახო. სახურავი კრამიტისა აქვს, იშვიათად ყავრისა და ჩალის. ისლის სახურავი კი არსად არის. მარანს შიგა და შიგ წალამით ხურავენ. უმეტეს ნაწილად სახლი ორ-სართულიანია: ქვეშ პალატი აქვს ქვითკირის, ანუ ალიზით აშენებული, ყორე, მაღლა ხის შენობა წინ ეზოსკენ დერეფნით და უკან გადამდგარი აივნით. ამ დერეფანშია სახლზე მოწყობილი ოთახი. ოთახი გამერჩულია, ძირს დატკეპნილი მიწაა და უეჭველად შიდ ბუხარია. აქ აწყვია ბარგი (ქვეშ-საგები, ზესახურავი: მუთაქა, ბალიში, ლეიბი, საბანი და სხვანი), სკივრი, ტაშტ-თუნგები – ეს არის სასტუმრო. გძელური სახლი საზოგადოთ დიდია, გაუმერჩავი და შუა ცეცხლიანი, კერიიანი; ზესხვენზე ჰკიდია რკინის საქვაბე. მაღლა, ზესხვენში, კვახებს ინახავენ და საფაფურში სახლის კვამლის ასასვლელია დატოვებული. ერთი მხრით მთელი სახლის კედელზე გაკრულია ლოგინი და მეორე გვერდის კუნჭულში თაროა თავის მოწყობილობით: დერგებით (თუ მწნილითაა სავსე, თუ ყველია შენახული შიგ და სხვ.), ქოთნებით, კეცებით, გობ-საცრით, ორომით და ათასი სხვა რამით. თაროსთან თახჩაში საჭმელია, ჭიქები, ჭინჭილები, კულა, დანა და სხვ. შუა ცეცხლის ერთ გვერდზე კერაა წაზოდვილი ქვის. კერა წინ სოხანეში დაგებულ ჯვალოზე, თუ ჭილობზე და თუ ფარდაგზე სხედან ხნიერები, კერის ძირში კი სხედან ბავშები. აქ სართავზე, ან წინდის ქსოვის დროს დედაბერი, ან ბერი-კაცი ქალამნის კერვის დროს, ზამთრის დიდ ღამეებში მოუყვება ხოლმე ბავშებს ზღაპარს და ბავშებიც ჩამწკრივებულნი, სულ-განაბულნი უგდებენ ყურს. სახლს გადასაკიდებლებში და კედლებში (სადაც კედელი და სახურავი შეიყრის თავს) ჩალის კონები აქვს ჩატენილი ზამთრის ქარ-ბუქის დასაკავებლად. ქარიც ჩადის, ფოთლებს აშრიალებს, აზუზუნებს, აქა-იქ შემოცრის ხოლმე ვერცხლივით მტვერს თოვლისას და ცივად დაისტვენს ხოლმე. ბავშები უგდებენ ყურს და კანკალებენ – ავი სულები ჰგონიათ.

ძირს, პალატში აბიან პირუტყვები: ძროხა და ხარი. ცხენი აქ ცოტაა. აგრეთვე ცოტაა ცხვარიც, ბევრია ვირი. აქ პირუტყვის შენახვა ძვირად ჯდება. საბალახო იშვიათია და სულ შინ უნდა ჰყავდეს პატრონს დაბმული. ცივ-ყინვიან ზამთარში ამ პალატში უფრო ჩადიან და პირუტყვებთან ერთად თბილად ცხოვრობენ, რასაკვირველია, სიმყრალეში. აივანში ზოგან დგას საფეიქრო, საქსოვი, „დგიმ-სავარცხელი“. აქ ქალები ქსოვენ შალს, სამოსელს და სხვ.

აქაური ქალი ძალიან ვერ დაემდურება ბედს. იგი ისეთ მდგომარეობაში არა ჰყავს ქმარს, როგორც მაგ. რაჭაში, სადაც ქალები ფქვავენ, თესვენ, მკიან დ სხვ. აქაური ქალის მძიმე საქმეა მხარზე ჩაფით წყლის ზიდვა წყაროდან, იჯრის მზადება შუა-ცეცხლზე, ყანაში სადილის მიტანა კალათით და ხვნის დროს ხარების წინ გაძღოლა. მაგრამ იგი ამას მიჩვეულია. კანი შემოეჭმევა, ერთ დღეს რომ უსაქმოდ დარჩეს. ამიტომაც აქაური ქალები მამაცები, ჯან-მრთელები არიან. ქმარსა და შვილს თავზე დასტრიალებენ. ცოლ-ქმარი ყოველსავე ოჯახის საქმეს

ერთად სჯის და სწყვეტს. ერთი რამეა აქ სამწუხარო: შეამჩნევს კაცი, რომ ოჯახის მამა ყოველივე კარგს იჯრაზე თავისკენ იდებს. კარგს ღვინოს ათს ჭიქას რომ თვითონ დალევს, ერთს ან ორს არგებს ცოლს და აგრეთვე შვილებს. სისუფთავე ძალიან უყვართ ქალებს, მაგრამ მთელ იმერეთში მხოლოდ იქ არის აბანო, სადაც სასარგებლო მადნეული წყლები არის. რეცხა, კერვა, ეზოს სუფთაობა–ქალის უპირატესი საქმეა. სტუმრის მიგებება, თავაზიანი და ზრდილობიანი ლაპარაკი–ყოველივე მოსაწონარია. წერა-კითხვა საკმაოდ არის მათში გავრცელებული. ბევრი პატარა ქალწული სწავლობს ეხლაც სასწავლებელში. ახალ-გაზრდა ქალიშვილები უფრო ახალ მოდებს მისდევენ. ქუდებს ისკუპებენ თავზე და თუ არ „წეირუსულეს“, ისე კარგი ლაპარაკი არ გამოუვათ, როგორც ჰგონიათ. განათლებაში მიიღებენო, ჰფიქრობენ. მაგრამ ეს ხომ საზოგადო მოვლენაა ჩვენი დროისა მთელ საქართველოში.

ეხლა ვიკითხოთ: ვინ არიან წეველები? ვინ იყო „ოსი ყმა ჯაჭვაძე“? ვინ არიან დიდი ოთიას-შვილები?

გადმოცემაა, რომ თამარ დედოფალს სვანეთიდგან გადმოუვლია შქმერის მთაზე, გამოუვლია „ულევი“. ამ ვაკე, დაუსრულებელ სერ-ტრიამელისათვის გაულეველი უწოდებია და სრული „ულევი“ დარქმევია. განაპირეს ვუწიეთო და დაურქმევიათ ჩვენი სოფლისთვის „წევა“. ჩვეულებისამებრ აუშენებია საყდარი პონტიკოს ქვისა. ჩაუმწკივრებია ქვის სატეხამდე ამ ქვის საყდრის საფუძველ-ბალავერიდან ჯარის-კაცები (სოფ. მირონ-წმინდამდე) და მათ ერთი მეორისათვის უძლევიათ ქვა. სამ დღეში აუშენებიათ მთელი საყდარი. მაშინ დაუტოვებია თვის მხლებელთაგან აქ სამი ყმა, ეკკლესიაზე შეწირული: ერთი ოსი ჯაჭვაძე, ერთი თათარი ებანოიძე და ერთიც ლეკი ხიბზიბაძე. ამ გადმოცემის მთქმელი 135 წლის მოხუცია, რომელსაც ჩვენი დროის მამლის ყივილიც არ ესმის და სუნთქავს ისევ ძველი ქართული სულიერი ცხოვრებით, როსტომა გაჩეჩილაძე, და ამ გადმოცემის სინამდვილეს ასაბუთებს მით, რომ იმ ოსის აწინდელი ჩამომავლობა ნამდვილი ოსის ხასიათისაა: ჩქარი, მკვირცხლი, მაჩხუბარა, მოუთბენელი, მეტი ფიცხი და კილოც ენის ოსისას წაუგავს როგორც აგებულებაო. ხიბზიბაძეებს ხომ პირ-წმინდა ლეკების გამომთქმელობა აქვთო და ხასიათიც ველურისა, სახე-ჯმუხი და აგებულებაც თავისებურიო. ებანოიძეებს, ვერ უყურებ, როგორ ტკბილი და თავაზიანი ქცევა-ყოფა, ნაზი მიხრა-მოხრა და მოქნილი ენა და ლაპარაკი აქვთო და სხვ. ეს თვისებები ამ სამი გვარისა მეც მეჭაშნიკა, მაგრამ 7 საუკუნის შემდეგ გამოჰყვებოდა მართლაც თუ არა, – ეგ მკითხველისათვის და მისი მოსაზრება-ცოდნისათვის მიმინდვია. – შეუწირავს ეს ყმა ამ ეკკლესიისთვის და შიგ ეკკლესიის ცაში ყოფილა მიწერილი „ოსი ყმა ჯაჭვაძე“-ო. ს. წევაში დასახლებულა ოსი, ლეკი ს. სანახშირეში, ებანოიძე-კი ს. ლაშეში დასახლებულა (ს. წევასა და ს. ლაშეს შუა პატარა სოფელი აჭარაა). დღესაც ეს სამი გვარი ამ ეკკლესიის შემავალი არის, სასაფლაოც საერთო აქვსთ აქ უხსოვარის დროიდან. ხოლო ოსის ჩამომავლობაა მრევლი *(ვინც ამას წაიკითხავს, აუცილებლად წაიკითხოს § 17 და § 18-ც – ეკატერინე გაჩეჩილაძე).* აი ეს ოსის ჩამომავლობა ერთ დროს ერთ ობოლ ბიჭზე დამდგარა. მიზეზი ომიანობაა, რამე სახადობაა, შიმშილობაა – ამისას არას ამბობს გარდმოცემა. ამ კინაღამ გადაშებნებულ გვარეულობის ერთად-ერთი ნორჩის ქვრივი დედა ეთხოვა ლაშელ მანჯავიძეს და ობოლიც თან გაჰყოლოდა. ამ ბიჭს ბედად შეხვედროდა დიაკვნობა ამ სოფლის და სხვ. მებატონის საკარის ეკკლესიისა. ეს მებატონე თავადი ყოფილა ღაბუა. ამ ღაბუას ესიზმრა თურმე წევის ეკკლესიის მღვდელი. ეს მღვდელი თხოვდა: წევის წმინდა გიორგი, ჩემი ყმა გყავს ობოლი ბიჭი და დამანებეო. მიუხშირა თურმე სიზმარმა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ბოლოს გაუტყდა მოძღვარს. დიაკონისთვის არასფერი იყო დაფარული, მაგრამ, ვაი თუ რამე ხიფათს გადავეკიდოვო, იყუჩა. რაღა თქმა უნდა დედას და მეზობლებსაც მიაჩუმებდნენ; მაშინ ღაბუაც მძიმე ფიცით დაჰპირდა მანჯავიძე მღვდელს, თავის მოძღვარს, „გააზატებას“, თუ იმ სადაო ბიჭს აღმოუჩენდა, და იმ ბიჭს დაჰპირდა, თუ გამოჩნდებოდა, წევაში დასახლებას ეკკლესიის ყმათ, თითო წყვილს ყოველივე ორფეხის და ოთხფეხის მიცემას, სახლ-კარის გაწყობას და სხვ., აგრეთვე თავის ათ გადიაში, რომელსაც ამოირჩევდა, ცოლად მის მითხოვებას. მაშინ იჩინა თავი ამ

დიაკონმა. დაპირებისამებრ უნდა ამოერჩევინებია ათ გადიაში ერთი. ერთი გადია ჰყავდა მეტად კარგი და არ ელევნებოდა. ამისათვის ეთქვა მას, შენ ნუ მოირთვებიო. მოიხმო დიაკონი დარბაზში, ანახვა ჩამწკრივებული გადიები. დიაკონმა მოურთველი აირჩია. ეწყინა ბატონს, მაგრამ ფიცს ვერ უღალატებდა. აუსრულა ყოველივე და დაასახლა ს. წევაში ეხლანდელ ბაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იმ ადგილას, რომელსაც ეხლაც უწოდებენ „სადიაკვნოს“. ამ დიაკონს ისეთი გაბუძგული ბალანი ჰქონდა თურმე, რომ „ოთხი“ კაცი შეიჩრდილებოდაო, გაჩეჩილი გეგონებოდაო და უძახოდენ თმა-გაჩეჩილა დიაკონს. მის შვილს და ნაშიერს ჯაჭვაძეების მაგიერად „გაჩეჩილაძეები“ დაერქვათ... მღვდელსაც აუსრულა შეპირება ღაბუამ. მას აქეთ სულ „აზატი“ (თავისუფალი) ყოფილან მანჯავიძეები, ვინც კი ყოფილა იმ მღვდლის შთამომავლობა. აი, ამ თმა-გაჩეჩილის ჩამომავლობა დღეს მთელ წევაში მოდებულა. სულ მცხოვრები წევაში 190 კვამლი (130 კვამლი სახელმწიფო და საფოსტო გადამხდელია და ბევრი ვაჭარი მეორე გილდისა, რომელიც მას არ იხდის) გადამხდელია დანარჩენი ვაჭრები არიან. ორას კვამლამდე იქნება მარტო იმ ოსი ყმის ჯილაგი წევაში, რომელიც დარჩენილია, და ერთი ამდენი ჯერ დღეს რომ ვიცით, გადასახლებულა თუ კახეთში და თუ ქვემოთში, რომ ძველებური გადასახლებულები არ ვიანგარიშოთ, რომლის ცნობაც აღარა აქვთ თანა-მოგვარეებს. კახეთში ბევრია გაჩეჩილაძე ჯაჭვაძის გვარით. ესენი ერთ-თავად ბატონ-ყმობის უსამართლობას გაქცევიან. სივიწროვის გამო უფრო ქვემო ქვეყნისკენ ესახლებიან ხოლმე. დანარჩენი 60 კვამლი გელაშვილია, ჭამკვეტაძე, და თითო-ოროლა სხვა გვარი. ორი კვამლი ყოფილა მთელ სოფელში ივანე აბაშიძის ყმა და სხელმწიფოთაა შერიცხული; სხვა სულ საბატონო ყმები იყვნენ ამ ბოლო ხანებში და ორი კვამლიღაა თავ-დაუხსნელი.

წევის პირდაპირ სერზე სამხრეთისაკენ გაფენილია სოფელი ილემი, სადაც ცხოვრობენ აზნაურნი მაჭავარიანები. ეს გვარი, აზნაურებში ქებული, იყო გამოჩენილი ჩვენს სამშობლო ისტორიაშიაც. ეს მაჭავარიანები იყვნენ წეველების მებატონეები. აი, მათ როგორ ჩაეგდოთ ხელში წევა:

დიდი სოლომონ მეფის დროს ქაიხოსრო მაჭავარიანი ყოფილა წევის და მის ახლო-მახლო სოფლების მოურავი. სოლომონ დიდს შეუწირავს, ვიდაც გამოწირული გაჩეჩილაძეები ეკკლესიისათვის და ამის საბუთიც ჰქონიათ გაჩეჩილაძეებს. როდესაც სოლომონ მეფე გარდაიცვალაო, მიამბო მ. გაჩეჩილაძემ გაგონილი, ქაიხოსრო მაჭავარიანი 100 ცხენოსანი კაცით, ვისაც საბუთებს მიუკვალიანებდა, ჩაუდგებოდა სახლში და თხოვდაო. ეს საბუთები ჩუმ-ჩუმად აძლიეს გლეხებმა ერთმანერთს და ჰფარეს, სანამ შეეძლოთ. ამ ხანებში უმეფობა იყო იმერეთშიო. სად ვის უნდა მოეძებნა საფარი და მშველელიო!? ბოლოს, წეველებმა ეს თარეში რომ ვეღარ აიტანეს, წაიღეს საბუთები, ჩაუდვეს წევის უძრავის წმინდა გიორგის უბეშიდაო (აქ სამია ძველი წმინდა გიორგის ხატი: – წევისა, სენისა და უძრავისა. ძველის-ძველი ხუცური ასოებით წარწერაც აქვს, მაგრამ ძნელი ამოსაკითხავია). ეს რომ ქაიხოსრომ გაიგო, შევიდა საყდარში, გამოიღო ხატის უბისაგან საბუთები და სიხარულით სამჯერ გადაახტა ამოღებულ ხმალს და იძახოდა: ახლა კი მეშველა, წევა ვიშოვნეო! ამ ხანებშივე ყოფილა ერთი გლეხი გაჩეჩილაძის დიდი ოჯახი, რომელსაც „მოლოქაშვილებს“ უძახოდენო. მოლოქაშვილები ძალიან მდიდარი ყოფილან. ეს სახლობა გამაგრებულა და არ დამორჩილებია მაჭავარიანებს, მებატონეებს. ამ ოჯახის ბატონი ყოფილა დავით მაჭავარიანი. მას ჰყოლია მეუღლე „ჯიჯავაძის“ ქალი. ეს ქალი ერთჯერ გამოსულა წევაში და სწევია მოლოქაშვილებს. დიდი პატივი უციათ. მაგრამ ქმართან რომ გაბრუნებულა, სულ გადატრიალებულა. ქმარი გაუქმებია და მასაც მაშინდელი უკვე გადავარდნილი ივანე აბაშიძის მამულების სახაზინო მოურავი ივანე მაჭავარიანი გაეზრახებინა: არაფერს დაგიკვირდებიან და უფროსი სესია მოლოქაშვილი გამიბაწრე როგორმე და მომგვარეო. მასაც დაეჭვებია. მოლოქაშვილები (როგორც თითქმის ყველა იმ დროის კაცი) სულ დაიარაღებული დაიარებოდენ. ყანაშიდაც იარაღი თან ჰქონდათ ხოლმე. დღესაც იჩვენებიან ერთ ხეზე შეხორცებულ რიკს, ამაზე ეკიდათ ხოლმე იარაღიო. ვისაც ყანაში ხე არ მოეპოებოდა, მას იარაღის დასაკიდებელი ორკაპი

თან დაჰქონდაო. ივანე წამოსულა, გადაჭრილა ს. აჭარაში; იქ გაუქეზებია ერთი ნიორაძე, სახაზინო გლეხი, რომ შენ ვერ დაგიკვირდებიან წევის ეკკლესიაზე და ნაწირვებს ღლაბუცობაში გაუკარი სესია მოლოქაშვილს *) ხელებიო. *(* იშვიათია ჩვენში ვინმე, რომ ასახელებელი რამე არ ერქვას. ზოგს მურთაქას უძახიან, ზოგს კნაჭას, ზოგს ფხალს, ზოგს ღვირძლს, ზოგს კანჭს, ლობიოს, უწვავს და სხვა.)* ამასობაში მე იქვე მოგეშველები ჩემი ამალით და შევიპყრათო. ეს ნიორაძე ყოფილა ამ სესიას ნათლიის შვილი... მოლოქაშვილებს ძალიან გალობა ცოდნიათ. რომ ეგალობათ ეკკლესიაში და საყდრის გალავანში გამოსულიყვენ, ეს სესია მისულა ხის მაღალ სამრეკლოსთან, რომელიც დღეს აღარ არის, სადაც თოფი როგორც სხვებს, ისე იმასაც მიყუდებული ჰქონებოდა და, როცა ის-ის იყო იღებდა, დაებღაუჭა ნიორაძე და შეუმაგრა ხელები. დააპირა მიშველება ივანე მაჭავარიანმა, მოლოქაშვილის მამამ გადმოიღო თოფი და დაუმიზნა: გაჩერდი, თუ არა გაგაციებეო. დანძრეულიყო სესია მოლოქაშვილი და ორივე უკან გადავარდნილან მაღლად ამოთხრილ ნაგომურებში. ძირს ქვაზე დაუსხლავს თავი ნიორაძეს, ზედ მოლოქაშვილი დასცემია და სასიკვდილოდ დაჭრილიყო ნიორაძე. მაჭავარიანი გადავარდნილა, მოლოქაშვილებიც გადახვეწილან ახალ-ციხეში. ამ მომაკვდავ ნიორაძესთან მისულა მამა და უთხრობია: წმინდა გიორგის დაეჭიდე თუ მირონსაო?! (ე. ი. საეკკლესიო ყმას ღალატობდი თუ მამის ნათლულსო) მიუტოვებია და წასულა შინ. მკვდარიც აღარ დაუტირნია.

მოლოქაშვილების ცოლ-შვილი რუსეთში გადაასახლეს. სამი ვაჟკაცი, რომელიც ხელში მოიგდეს, ჯარის კაცად შეიწირა. ამათში ერთს თვალები დავსებოდა და უკან გამოეშვათ. ახალციხეს მარტო სამს გაესწრო. როდესაც გაუგიათ ცოლ-შვილის დაწიოკება და ოჯახის დამხობა, გადმოჭრილან და შუა-დღისას გადაუწვავსთ „ვაჭევში“ (ილემის დასავლეთშია ერთი ადგილი) დავით მაჭავარიანის სასახლე. თვითონ დავითი, სადაც ღღეს შორაპნის სადგურია, მის პირდაპირ სამხრეთით, სადაც ყვირილა და ძირულა ერთდება, მის გაღმით რუსის ჯარი მდგარა, და იქ დამალული გადარჩენილა. ორი ძმა ახალციხეში მომკვდარა, მესამე ერუსალიმში წასულა ქრისტეს საფლავის სათაყვანებლად. იქ რომელიღაც ბაგრატიონის გვარის ბატონიშვილი დაჰპირებია, შეგარიგებ დავით მაჭავარიანთანაო, მოუტყუებია საქართველოში და გაუციათ. საბრალოსთვის ციმბირში უკრავსთ თავი. ასე და ამ გვარად დაღუპულა 30 სული მოლოქაშვილებისა.

ამ მოლოქაშვილების დროსვე ყოფილა ერთი გაჩეჩილაძე კიდევ, სახელად ოთია, რომელსაც „დიდის“ სახელი დარჩენია ხალხში. ეს ოთია მართლაც მეტად წარმოსადეგი, თეთრ-ყირმიზი, ახოვანი „ყაძახი„ ყოფილა; ულვაშები ყურებამდე ჰქონია გადაგრეხილი და წვერს არ იყენებდა თურმე. დიდი ვაჭრობა ჰქონია გამართული იმ დროებში. რაჭაში გადადიოდა, „ჭედისის“ მთის ახლო-მახლოდან მოჰქონდა კაცობ თოხები. იქიდან ზურგის მოტანაში მუშას ეძლეოდა მაშინ მხოლოდ ერთი თოხი. თვითონ ამ ოთიას შვილს როსტომას ზურგით 30 თოხი და სახნისი გადმოჰქონდა თურმე. ამ ოთიას მიჰქონდა „ახტალაში“ თუთუნი ცხენებით და იქიდან მოჰქონდა ზოდი-სპილენძი. ცვლიდნენ თურმე წონაზე. მაშინდელი ამ სიშორეს სიარული ძალიან საშიში იყო. ლეკები და ოსები იკლებდნენ მთელ სოფლებს და გზაზე ყაჩაღებად იყვნენ ხოლმე გამარაგებული. ძალიან თავზე ხელ-აღებული უნდა ყოფილიყო და მაგარი, შეუპოვარი გულის კაცი, რომ ამ სიშორეს ევლო საქონელზე. ამ გვარი თავწახსნილი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ ჰქონდა არც შინ და არც გარეთ კაცს. კაცებს, ქალებს, ბალღებს, ხვადაგს–არასფერს არ ზოგავდენ რაც-კი მოხვდებოდათ ხელში, მიირეკავდენ და ჰყიდდენ. რაღა გარეშეები, როცა შინაურებიც, თითონ მებატონეები ჰყიდდენ თავის ყმებს და უფრორე ქალებს.

აი ლექსი, რომელიც ამბობს, თითქო სოფელს გარეთ ქალის გაგდება და მერე და-ძმის ცოლ-ქმრად შემთხვევით შეყრა ყოფილიყოს მიზეზი ბატონ-ყმობის გაყრისა:

იყო ერთი და და ძმანი, და ბატონმა დააშორა,–
ბიჭი თავზე დაიყენა, ქალი სოფელს გააშორა.
ოცი წლისა რომ შეიქნა ქალი საქმროდ მოიყარა,

ბიჭი საცოლოდ მოიყარა,
ბატონმა დააქორწილა, მღვდელმა ჯვარი დაუწერა,
ცალკე ოთახი უშოვნა, აჰა, მოისვენეთ თქვენა.
ბიჭმა ტირილი დაიწყო, წმინდა სანთელი აანთო:
ღმერთო, გაათენე ჩქარა!
ქალმა სიტყვა მოახსენა, სიტყვებია ამისთანა:
დასაწუნი თუ ვიყავი, როდის დაგატანე ძალა?
დასაწუნარი რადა ხარ, ტურფა ხარ და შვენიერი,
ლამაზი და ყელ-მაღალა.
დარწმუნებით უნდა მითხრა სახელი და შენი გვარი,
მოყვარე უნდა მასწავლო რომელ მხარეზედაც არი,
–მე რომ არა მყავს დედ-მამა!
ვიყავით ერთი და-ძმანი და ბატონმა დაგვაშორა.
ბიჭი თავზე დაიყენა, მე სოფელს გადამაშორა.
დამეკარგა ჩემი ძმანი, ისიც არ ვიცი,*)
რომელ მხარეზედაც არი.
–დაო, ვაი ჩვენი ბრალი! ჩვენ ვყოფილვართ და და ძმანი.
იმ წამშივე გამოვიდნენ, გამოიგდეს სახლის კარი.
მღვდელ-მთავარსა განუცხადეს: ეს იყო ერთი და-ძმანი,
და ბატონმა გააშორა.
ბიჭი თავზე დაიყენა, ქალი სოფელს გააშორა,
ბატონმა დააქორწილა, მღვდელმა ჯვარი დაუწერა.
ხელმწიფემ დაასაჩუქრა, რაღან ყოფილხართ საწყალი;
თავზე გადასახა ჯვარი.
ბატონ-ყმობის გაშორება მას უკან მოდევს აქამდი.

*) ამნაირი ჩამატება ქართველი ხალხის ლექსთ-წყობაში ხშირია).

უფრო მძლავრად და გულ-სატკენად უსამართლობის გამოთქმა ძნელია.

ამ გვარმა უმართებულობამ ჯერ კიდევ ბევრით ადრე სოლომონ დიდი, იმერეთის მეფეც, შესძრეს და მან სასტიკად აღკრძალა მებატონეთაგან ყმების გასყიდვის უკუღმართობა. აი ლექსიც:

ამოთქვი, ქალია, შვილო, პირში არ გიდევს აფშარა:
სოლომონისთანა მეფე იმერეთში არ დამჯდარა.
გახელდება, გაბრაზდება, როგორც ყირიმი შაშხანა.
სოლომონ ბრძანა: იესო, რამაც რომ გამაჩინეო,
ის ჩემი მტერი მომეკლას, მაცოცხლე და მარჩინეო.*).
სამი წლის ხმელი მამალი ხეს შევსვი ავაყივლეო,
ქვრივი ვახარე, ობოლსა, ბრმას თვალი ავუხილეო;
მწყემსი ვახარე მინდორში, ჩეროს ქვეშ მივაძინეო:
გოგოს და ბიჭის თამაში მინდორში გავაჩინეო.
მაგ საქმისთვის, ერისთავო, რა საქმე მოგიხდინეო.
მუხურის ციხეს გიქებდენ, ფქვილივით ჩამოვქფილეო,
შემოხიზნული ტყვეები სულ ყველა აგიტირეო.

ვარიანტი*)
რაც გამიდგა თავადები, ან ერთს რა ვაწყენიეო.
ოქროს გვირგვინოსანი ვარ, არც ვარ ხელმწიფე მცირეო.
ამისი ავი კაცი ვარ: ტყვე არვის ვაყიდვინეო!
სადაც ავი კაცი იყო, გზა-შარას ამოვკირეო;
მწყემსი გავუშვი მინდორში, გრილოს ქვეშ მივაძინეო;
სამი წლის ხმელი მამალი შხვეფებში ავაყივლეო... და სხვა.

რაღა თქმა უნდა, მათის თავ-წახსნილობის მაგრად დაჭერამ გადაჰკიდა მეფეს ერისთავები. ეს დიდი საქმის და მაღალი განკარგულების მოსწავება იყო იმ ხანებში. ის უდრიდა ბატონ-ყმობის გაყრას, ამიტომაც არც ერთ იმერეთის მეფეს იმდენი ქება-დიდება არ შეფრქვევია ხალხისაგან. სოლომონს დიდი უწოდეს.

რაღა თქმა უნდა, როცა შინაურები სააღებ-მიცემო ნივთად ხდიდენ ყმას, ოსლეკ-ჩერქეზებიც მიდიოდენ ხელის დამალულად და სათარეშო სადავლოთაც. აი ერთი მაგალითიც:

სიღარიბემ გადამაგდო, ქართლში გავჰყევ ქარავანსა;
ქართლის მინდორში გავედი, გავრბი ნიავ-ქარივითა.
მაკარიძემ ჩამიყვანა თავის უბი-შვილივითა,
წინ ოსები დამიხვედრა დალესილი შუბებითა.
უკან ოსი გამომიდგა ბეჭებ-სქელი, კანჭ-მაღალი.
ჩახმახ დავეც, არ გავარდა, მაშინ მომწყდა ცივად წელი.
ხანჯალს რომ ხელი მოვისვი, ღმერთო, მომიმართე ხელი.
უკან ხელები წამიკრეს დაგრეხილი თასმებითა.
ცივ წყალშიდ რომ გამიყვანეს, ფეხს ვიდგამდი ჩემს ტყავზედა;
დიდ იალბუზს შემიყენეს, ტირილით და ქუხილითა;
ამიყვანეს, მიმიყვანეს მყრალი ჩერქეზის კარზედა;
კვიცის ხორცი მოხარშული ლანგრით მომადგა კარზედა:
–გიაურ, ეს ჭამე, თვარა წამებას მოგცემ ტანზედა.
–მე მაგას მაინც არა ვჭამ, თავიც მომკვეთოთ ტანზედა.
რკინის შარვალი მომართვეს დამწვარ-დადაგულ კანჭზედა,
ხანჯალოური დამადგეს გაცოდვილებულ თავზედა.

(მერე მაგ ოსების ჩამომავლობა კი იყო). 32 წელიწადს ჰყოლოდათ ჩერქეზებს. 12-ჯერ გაეყიდათ. გაემაჰმადიანებიათ და ქალიც ეთხოვებიათ, მაგრამ როგორც კი დრო ხელთ ეგდო, გამოპარულიყო სამშობლოში. სამი შვილიც დაეტოვებია, ცოლიც და 32 წლის ნაწვავ-ნადაგი ბინა-მიდამო და სხვ. დადევნებიან. ღამე უვლია და დილით მალულ-მალულ თუ ტყეში ვერ ივლიდა, ხის ფუღუროებში იმალებოდა ხოლმე. დამპალი ძერა უპოვნია ორი კვირის მშიერს და შეუჭამია. მოსულა წევაში ეს გოგია გაჩეჩილაძე, რომლისთვისაც გოგია თათარა დაურქმევიათ. იმდენად მძლავრია სამშობლო სოფლის და ხალხის სიყვარული! სამშობლო ურჩევია ცოლისათვის, შვილისათვის, ახალი სჯულისათვის, 32 წელიწადი მიჩვეულ თემისათვის.

ამ ოთიაზე *(აქ ბ-ნი სევასტი გოგიაზე მონათხრობს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, აბამს ოთიას ამბავს, გაუგებარია, ერთსა და იმავე ადამიანზეა საუბარი თუ სხვადასხვაზე –რედაქტორი–ეგ.)* ბევრი სხვა არაკები დადის. მან იცოცხლა ას ოც წელიწადზე მეტხანს, მაგრამ ღრმა მოხუცება არც კი ემჩნეოდაო. ამ ოთიას დაერქვა დიდი ოთია და მის ნაშიერს ოთიაშვილები. როსტომა იყო ამის შვილი. ძალუმი, ჯმუხი, ღჯუ, დაუზოგველი, რიხიანი, ჩაფსკვნილი ყაზახი და ძალიან ძუნწი. ამბობენ, რომ ამან და არსენამ შეუტიეს ერთმანეთსაო და რომ მაგრად მოხვდა, შერიგდენ და არყით სავსე ტიკს დააძაბრა არსენაო. რომ გაიგო ოთია გაჩეჩილაძის შვილიაო, გადაეხვია და ჩაკოცნაო. ამან, მაშინდელი ლაინის სამღებროები იჯარით რომ იცემოდა, მთელ ზემო იმერეთში წაართვა ქუთაელ დიდ ვაჭრებს და ხვირჯინებით დაჰყარა იჯარისათვის ეკატერინეს მანეთიანები. ბატონს ბათმნობით მიუწყო ფული ვერცხლისა და იმ უდროო დროს დაიხსნა თავი. აღებ-მიცემობის მეტოქეებმა, როგორც ამბობენ, სხვა ვერაფერი უხერხეს და მოწამლეს.

ახალი მებატონეები, ფულიანები უმეტეს ნაწილად ნაყმევი გლეხები ხდებიან, რადგანაც აღებ-მიცემობას, მრეწველობას და სხვ. ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას მისდევენ. ეს რა უკუღმა გადატრიალებაა ძველი მებატონეების ჩალხისა, რომ გუშინდელი მისი ყმა მის დამონებასვე ლამობს?! ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობას

მძიმე საფიქრებელი აქვს და მეტი საშველიც არ აქვთ მათ, თუ არ დაუტრიალდენ მუშაობას და საზოგადო ფერხულში არ ჩაებენ ე.ი. თუ აღებ-მიცემობას, მრეწველობას, მეურნეობას არ მოჰკიდეს ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათს ქედზე უარესი მძიმე და მკაცრი კალო დატრიალდება, ვიდრე ისინი ატრიალებდენ ყმების ქედზე.

ჯერ კიდევ საუკუნე არაა და რა დიდი ფერი იცვალა ცხოვრებამ: თეთრი გაშავდა შავი გათეთრდა ე. ი. ორი სულ სხვა-და სხვა ნაირი ცხოვრება მოთავსდა ამ ხანაში. ამ ას წელიწადში უმწეო ყმებიც იყვნენ ოთიაშვილები და აგერ-აგერ ბურჟუებიც ხდებიან, თუ არ გამხდარან ჯერ. ამ დროს განმავლობაში ერთი კვამლი თითქმის 25-30 კვამლად იქცა. ეს მრავლობის ისეთი %-ია, რომ საქართველოში დღეს ნევსი რომ აგესროლათ, ძირს ვეღარ დააწვდა, რომ ასე ემრავლა, ენაშიერებია ქართველობას. მშვიდობიანობამ, საცხოვრებელმა საშუალებამ შეუწყო უეჭველად ამას ხელი. ეს ერთი კაცის ნაშიერი მაგალითად მოვიყვანე, თორემ სხვებსაც ეს ჩამომავლობის სიმრავლე ედირსათ, სადაც ცხოვრების საღსარი კი იყო.

კრიზისი ამ უკანასკნელისა ე. ი. საზრდოსი საცხოვრებელი საშუალების ამ ბოლო ხანს ჩამოვარდა აქ. ეს ჰქნა–1, გამრავლებამ. 2, ფილოქსერამ, 3, შავი ქვის ურმით ზიდვის მოსპობამ, 4, ნიადაგის გადაჭმა-გადარეცხვამ, 5, მუშა ხელის შემცირებამ და სხვა-და სხვა, და 6, წვრილმანი მოვასხეების ობობიის ქსელების გაბმა-გამობმამ. აღებ-მიცემობის, მრეწველობის აღორძინებამ ახლავე დატვირთა ერთი ნაწილი წევის მცხოვრებთა და მეორე ნაწილი თითქმის, თუ სულ არა, ხელში შემაცქერლად გაუხადა. ძალიან შესამჩნევად იყოფა შრომა და კაპიტალი, ფულიანი და მუშა. ვისაც არა სწამს ახალი ცხოვრების დაწყება საქართველოში, ის აქ უნდა მობრძანდეს და ჩაუკვირდეს გამჭრიახის გონების თვალით ამ სოფლელებში ახალ-ახალ მოვლენათა.

როცა კიდევ უფრო ძველი საშუალებიანი ცხოვრება იყო, მაშინ რაღა იყო მიზეზი ხალხის გაუმრავლებლობისა, თუ კი ამ ხანებში ასე მრავლობს?*)

(* მეტად საგულისხმო ცნობებს გამოვიყვანდით ამ მრავლობის შესახებ, რომ გაგვეგო „ღაბუა„ როდის ცხოვრობდა. მას აქედ გაჩეჩილაძის გვარი არა ნაკლებ 400 კვამლისა დათვლის შინ დარჩენილს და გარედ გასულს. ავტ.–ს.გ.).

მე მოგახსენეთ სულ ყველა უძლიერესი მიზეზები და სხვათა შორის ომიანობა. შინაური და გარეული შფოთი ჟუჟავდა, ჟლეტდა ხალხს. ამიტომაც დიდის სიმართლით ეთქმის ქართველს, რომ ერთი გოჯა მისის სამშობლოისა არ არის დარჩენილი, რომ სისხლი არ ჩანთხეულიყოს მის წინა-პართა, რომ მათი ძვალი არ დავარდნილიყოს, გარეშე იმ მიუდგომელ ადგილებისა, სადაც მეუფება მხოლოდ სტიქიონს დარჩენია. არცა აქვს მეტი უფლება თავისის სამშობლოს სიყვარულისა არავითარ ერს ზედ-მეტად, ვიდრე ქართველს, რომელსაც 22 საუკუნეს, თუ მეტს, ბინა არ უცვლია და როგორც ერთგული ჭირისუფალი თავის წინა-პართ აკლდამებში ცხოვრობს. მისი ღიღინი, რაც უნდა ცდილობდეს მხიარული კილის მიღებას, მაინც გლოვის ზარის თალხით იბურება. არც შეეფერება სხვა ნაირად ღიღინი. ყოველ წევრს ამ მოხუცი ერისას დიდის სიამაყით ეთქმის: მე ვარ ჭირისუფალი პატარა, მაგრამ დიდ-ბუნებოვანი გმირისა; ეგ ბუნება ჩემშია და მე მაგ ბუნებისა ვარ: ამის შემდეგ როგორ საზიზღარი და შემაძრწუნებელი არ უნდა იყოს მაგის უარ-მყოფელი შვილი!?

ჩვენი ერის დიდ-ბუნებოვანობის უტყუარ სარკედ სახალხო პოეზია უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, უპირატესად. იქ არის ქართველი თავის ჭირით, ლხინით, აზრით, ოხუნჯობით, სივაშკაცით და სხვ. გამოხატული. მისი ბუნებითი გენიოსობა იქ გამოსჭვირს. ახალმა მეცნიერებამ მართალია მას შეუკრა გზა, მოუსპო დღე ამ ზეპირ-სიტყვაობას, მაგრამ წარსული ცხოვრების იგი განძია და შესანიშნავი სიმდიდრე. ეგ სარკე, დღეს დამსხვრეული, მთელ საქართველოს ძველსა და ახალ კუთხე-კუნჭულებშია მიბნეულ-მობნეული. ჩვენ, ჩვენდა თავად, განვიზრახეთ ერთი ნამტვრევის ამოჩხრება ს. წევაში და შეძლებისა და მოხერხების კვალობაზე ჩაწერა. გაფერვა, გასუფთავება, გასალუქება და თავის ადგილზე ამ ნატეხის გამწყაზრვა მიმინდვია შთამომავლობისათვის, როდესაც საქართველოს ყოველი კუთხიდან მოიბოჭება ნატეხები ამ ბროლის სარკისა, რომ გაერთიანდეს იგი და შიგ გამოიხატოს მთელი სახე, სურათი, სულიერი ვინაობა და სხ. ჩვენი დიდებული

ერისა.*) ამ ნამტვრევს სახელად ვუწოდეთ; „წევური ზეპირ-სიტყვაობა“. იგი დაყოფილი იქნება ასე:

1) პირველი ნაწილი: ჩქარა გამოსათქმელები, ენის მოსატეხლები, ანეკდოტები, ქაჯურები და სხვ.;
2) მოსწრებული სიტყვები, ზმები, ამიცანები და სხ.;
3) გამოცანები;
4) ანდაზები;
5) არაკები;
6) გარდმოცემანი;
7) ლექსები: ა)საარშიყონი, ბ) ისტორიულნი, ვაშ-კაცურნი და სხვ.;
   გ) დარიგებითნი, დ) საგალობელნი, სასიმღერონი და სხ., ე) დაცინებითნი,
   ვ) სახუმარონი, გასართობნი, საოხუნჯონი, ზ) შელოცვანი;
8) ზღაპრები: ა) სახუმარონი, ბ) ზნეობითნი,
გ) დარიგებითნი, დ) ამიცანურნი და სხ.

*)ძალიან საჭიროა მოგროვდეს ყოველი სოფლის ზეპირ-სიტყვაობა თავისის ვარიანტებით. ამით შეიძლება გავიგოთ, თუ რომელ სოფლებში შემოსულა სხვა- და სხვა ჯურის ხალხის და ერის თესლი და აქედან მივიკვლიოთ ძირითადი ქართველნი და მათი გვარები. ამისათვის საჭიროა ყოველი მასალა შეუდარდეს იმ ხალხთა ზეპირ-გარდმოცემათ, რომლის ელემენტებიც ქართულ ერს შერევია. ეს არის საჭირო ნამდვილი ქართული ენის, ძირითადი ქართული ნიჭის ღონის ასახსნელად, იმის შესატყობად, თუ რა ზედ გავლენა იქონიეს ამ ელემენტებმა ქართულ ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებაზე, ენაზე და სხვ. ავტ. –ს.გ.

———————————-

1. ურიაში (ებრაელში) ქართველები მოუნათლავ ადამიანს გულისხმობდნენ. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ. 2008, გვ. 304.

2. ხაზგასმა ყველგან ჩვენია – რედაქტორი.

§ 11. ეკატერინე გაჩეჩილაძე*

სოფელ წევის ტრადიციული სახალხო დღესასწაულები (§ 11ა-ს წინასიტყვაობა)

მოგეხსენებათ, ტრადიცია [ლათ. traditio გადაცემა] ნიშნავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, თაობიდან თაობაზე გადაცემულ წეს-ჩვეულებებს, ყოფაქცევის ნორმებს, შეხედულებებს და სხვა. ტრადიცია გამძლეობით ხასიათდება და მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების პირობების შეცვლის შესაბამისად, ისიც განიცდის ცვლილებას, მაინც, იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულია ამ ტრადიციის მატარებელი ხალხის კომპაქტური დასახლება, სხვადასხვა ტრადიცია სხვადასხვა სისრულით, საუკუნეობით და ზოგჯერ ათასწლეულობითაც განაგრძობს არსებობას. განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევიან რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტრადიციები. (ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ის, რომ სავარაუდოდ X საუკუნის ბოლო მეხუთედში აგებულ[1] წევის წმინდა გიორგის ეკლესიაში მთავარ დღესასწაულად, დღემდე, კვირიკობა აღინიშნება...).

ვინაიდან გაჩეჩილაძეების (რომლებიც საუკუნთა განმავლობაში შეადგენდნენ სოფ. წევის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას) ზოგიერთი საგვარეულო ლეგენდის მიხედვით, ამ გვარის წინაპრები სოფ. წევაში სხვა, ამჟამად მივიწყებული, ადგილიდან არიან ჩასახლებული, მათი წარმომავლობის გასარკვევად, ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება იყოს, მათი ტრადიციული რელიგიური და საერო სახალხო დღესასწაულები.

XVIII – XX საუკუნეების განმავლობაში სოფ. წევიდან მოსახლეობის ნაწილის იძულებით, ნაწილის კი ნებით გადასახლების, შემდგომი დაქსაქსვის და ქვეყანაში

ათეისტური რეჟიმის 70 წლიანი ბატონობის შედეგად, წევლთა რელიგიური და საერო დღესასწაულების ტრადიციებიდან ძალიან მცირე რამ შემორჩა. ამჟამად წევის ეკლესიაში რეგულარული ღვთისმსახურება არ ტარდება. იმერეთის ეპარქიიდან წევის ეკლესიაზე მომაგრებული მღვდელი წევის მკვიდრი არ არის. იგი წევის კლესიაში ღვთისმსახურებას პერიოდულად ატარებს... წევაში შემორჩენილი მცირერიცხოვანი მოსახლეობა, მინიმალურად, აღნიშნავს ძირითად ქრისტიანულ საეკლესიო დღესასწაულებს: შობას, ბზობას, აღდგომას, მარიამობას, გიორგობას... (ეს აღნიშვნა, სხვადასხვა დღესასწაულის შინაარსის შესაბამისად, სხვადასხვა რიტუალების შესრულებაში გამოიხატება: ეკლესიაში სანთლების დანთებით, ღვთისმსახურებაზე დასწრებით, ბზის კურთხევით, შეღებილი კვერცხების, პასკის და მიცვალებულის საკურთხის მომზადებით და საფლავზე გატანით, ოჯახში სუფრის გაშლით და მიცვალებულთა სულების მოხსენიებით და ა.შ.) გაცილებით მასშტაბურად კი, ამჟამადაც, წევის წმ. გიორგის ეკლესიის ტრადიციულად მთავარი დღესასწაული, კვირიკობა აღინიშნება (27-28 ივლისს), რასაკვირველია, უფრო მოკრძალებულად, ვიდრე ადრე. ეს აღნიშვნა შემდეგში გამოიხატება: წევის ეკლესიაში მღვდელმსახურებას, ღამისთევით, ასრულებს, სპეციალურად ამ დღისთვის, რაიონის ცენტრიდან ამოსული მღვდელი; წევის ეკლესიას სტუმრობენ როგორც ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი, ისე წევიდან სხვადასხვა დროს წასულთა შთამომავლები – საშუალოდ, დღესასწაულის განმავლობაში, 300-მდე ადამიანი. ზოგს მოჰყავს შესაწირად ცხვარი ან მამალი, სწირავენ ხატებს, ჯვრებს, საეკლესიო ნივთებს, ამ დღეს არაერთი ჯვრისწერა ხდება, წევის ეკლესიის ეზოში და ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა...

ქრისტიანული დღესასწაულებისათვის საერთოდ დამახასიათებელი რიტუალების ეს გამოვლინებანი ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით რაიმე გამოკვეთილი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

[თუმცა, გარკვეულ კითხვებს ბადებს ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მთავარ დღესასწაულად კვირიკობა აღინიშნება. (ამ ფაქტის გამო გაკვირვებას გამოთქვამდა სევასტი გაჩეჩილაძეც[1]). ჩვენი აზრით, ეს ან იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ***I.*** *წმინდა გიორგის ეკლესიის აგებამდე ამ ადგილას წმ. კვირიკეს სამლოცველო არსებულა, წმინდა გიორგის ეკლესია კი შემდეგ აუგიათ ადამიანებს, რომელთათვისაც წმ. გიორგის კულტი უფრო ახლობელი ყოფილა. მაგრამ, წევაში და მის მიდამოებში მანამდე არსებულ ტრადიციას გაუმარჯვნია და ახალ ეკლესიაშიც უპირატესობა წმ. კვირიკეს დღესასწაულს დაუმკვიდრებია, ან* ***II.*** *წმინდა გიორგის ეკლესიის მრევლი, ალბათ, განადგურებულა და მათ ადგილას დასახლებულა ხალხი, რომელისთვისაც წმ. კვირიკეს დღესასწაულის აღნიშვნა ყოფილა ტრადიციული.*

ჩვენ ***I*** *მოსაზრებას ვემხრობით, ვინაიდან, ერთ-ერთი ლეგენდა იუწყება, რომ წევიდან წაულიათ სასწაულმოქმედი ხატი (შემდგომში „შალიანის ხატად“ წოდებული) მისთვის სვანეთში აუგიათ კვირიკესა და ივლიტეს სახელობის ეკლესია, რომელიც 1112 წ. მოხატა მეფის მხატვარმა თევდორემ. (უფრო ვრცლად ამ ამბის შესახებ იხ. კრებ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, I წ. გვ. 39-40). ხსენებულ ხატს პ. უვაროვა IX-XI საუკუნეებით ათარიღებს. ამ ხატს, როგორც ჩანს, 1112 წლამდე გაცილებით ადრე ჰქონდა განთქმული სახელი ს. წევაში და (ლეგენდის მიხედვით) სვანმა, რომელსაც სახელად შალიანი რქმევია, ამიტომ სთხოვა მეფეს მისი ჩუქება, გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ...*

„შალიანის ხატი“, ბერძნული წარმოშობის სანაწილე ხატი-კოლოფია, რომელშიც „ძელი ჭეშმარიტის“ ნაწილი ინახება. მასზე მრავალი წმინდანია გამოსახული... კვირიკეს და ივლიტეს გამოსახულება კი არ გვხვდება. რადგან, მიუხედავად ამისა, ამ ხატის დასასვენებლად კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია ააგეს, როგორც ჩანს, ეს ხატი ადრეც (წევაში), კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში ესვენა... (საყურადღებოა, რომ, ისევე როგორც სვანეთში, წევაშიც მრავალი სახალხო დღესასწაული მოისპო, მაგრამ კვირიკობა ორივეგან დღემდე მასშტაბურად აღინიშნება...].

საბედნიეროდ, ინფორმაციის ამ დანაკლისს ნაწილობრივ ავსებს ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის მიერ 1899წ. აკაკის კრებულში გამოქვეყნებულ ნარკვევში „სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავგადასავალი“ მოყვანილი მცირე მასალა წევის სახალხო დღესასწაულების შესახებ და **შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული, 1938 წლით დათარიღებული, მისივე ხელნაწერი ნაშრომი – „ქართული (მეტწილად იმერული) კერპთაყვანისმცემლობის და ქრისტიანული სახალხო დღეობები“**.

აკაკის კრებულში (1899 წ. №2, გვ. 19) აღნიშნულია, რომ **სოფ. წევაში, რელიგიური დღესასწაულების გამო, „სამღვდელოების შემოწმებით „თითქმის 80 დღეა (წელიწადში) უქმე უმუშევარი თუ კანონიერი და თუ უკანონო, როგორც მაგალითად „კოხინჯრობა“, „ელიობა“ და სხვ.“**.

კანონიერ დღესასწაულებში, ცხადია, იგულისხმება კალენდარული საეკლესიო დღესასწაულები, ხოლო არაკანონიერში – წარმართობიდან შემორჩენილი, ბუნების ძალთა თაყვანისცემის გამომხატველი (შემდგომში ქრისტიანულ რელიგიასთან ადაპტირებული) დღესასწაულები: „კოხინჯრობა“, „ელიობა“... და ასევე წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული, შემდგომში ძირითადად საერო დღესასწაულად ჩამოყალიბებული „ბერიკაობა-ყეენობა“...

ბ-ნ სევასტის ნაშრომში ჩანს, რომ მას სახალხო დღეობების შესახებ მასალა შეუგროვებია არა მხოლოდ წევაში. ამიტომ, ჩვენ მისი რვეულიდან ვაქვეყნებთ მხოლოდ იმ სტატიებს, რომელთა ტექსტში ან **I**. აშკარად ჩანს, რომ მათში ნამდვილად წევაში ჩატარებული დღესასწაულია აღწერილი (ნახსენებია წევის ტოპონიმები და ჰიდრონიმები და XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში წევაში მცხოვრები კონკრეტული გაჩეჩილაძეები –სახელებით და გვარის მეტსახელებით) ან **II**. იმ სტატიებს, რომლებშიც მართალია წევის ტოპონიმები და მაცხოვრებლები არ იხსენებიან, მაგრამ, აკაკის კრებულში გამოქვეყნებულ ტექსტიდან ჩანს, რომ ეს დღესასწაულები წევაშიც იმართებოდა და ვინაიდან ამ ტექსტში წევასთან დაკავშირებით არავითარი კომენტარი არ არის გამოთქმული, როგორც ჩანს, იქაც ანალოგიურად ტარდებოდა...

ბ-ნი სევასტის ნაშრომში ჩანს, რომ წევის სახალხო დღესასწაულთაგან ზოგი შედარებით „ვიწროდ“ მხოლოდ წეველთა მონაწილეობით აღინიშნებოდა, მაგ.: **„ელიობა“, „კოხინჯრობა“, „ყეენობა“**, ხოლო **„აღდგომის ორშაბათი“** და განსაკუთრებით **„კვირიკობა“** გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით...

§ 11ა. *სევასტი გაჩეჩილაძე* (1863-1943)*

„ქართული კერპთაყვანისმცემლობის და ქრისტიანული სახალხო დღეობები“ *(სოფელ წევაში – ე. გ.)*

(შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი. ფაა საქმე № 17374).

ყეენობა

(ხელნაწერი გადმობეჭდილია რედაქტირების გარეშე).

როგორც კი გათენდებოდა „შაორშაფათი” (შავი ორშაფათი), ეს მეორე „ნამცეცობის“ დღე ყველიერის ორშაფათის შემდეგ, როცა ხშირად ახალგაზრდები (და არა მოხუცები) ხორციელის აღების ე. ი. წუხანდელი ვახშმის მონარჩენ ხორც-ხორაგს, თუ რამე მორჩებოდა, მოათავებდა, ყმაწვილკაცობა შეიყრიდა თავს **ს. წევის ბაზარში** (აქ იყო ჭინჭოულობის დუქნები ორ წყებად აყოლებული გვარიან დაფენება აღმართზე, ერთი წყება მეორე წყებიდან ორ-სამ საჟენზე დაშორებული 15-20 დუქნამდი. ამ ქუჩას ეტყოდენ ბაზარს). (ხორცი), ყველი და კვერცხი ახლა აღარ იჭმეოდა. ამოარჩევდენ ვინმე ღარიბ გლეხს ყეენად. ან შეპირდებოდენ „საციქველის” დიდი ნაწილის გამოყოფას მის სასარგებლოდ, ან ფულად გადუჭრიდენ, შემოსავდენ ჯვალოებში და ჭილოფებში, სახეზე გაუკეთებდენ დიდ წვერ-ულვაშიან „კვახაბერას”, ხელში მისცემდენ გრძელ საბიჯგ ჯოხს, მეორე ხელში გრძელი

ტარით მოღუმულ ყალიონს, თავზე დახურავდენ ან დიდი შაქრის თავის სქელ ქაღალდს, ან მაღალ ცხვრის ტყავის ბოხოხს, წელზე დაჰკიდებდდენ უშველებელ ყავრის ხმალს, გულზე თხის რქას ჩამოჰკიდებდენ, რომელიც ჭიპ ქვევით უტანდალობდა. ყეენი მზად იყო. ყმაწვილკაცებიდან გამოეყოფოდენ ყეენის ჩაფრები ხელკეტებით ხელში. დასვამდენ ყეენს შუა ბაზარში ყუთზე. ჩაფრები აქეთ-იქით ჩაუსხდებოდენ, ცოტა წინ გვერდით უდგა ყეენს თარჯიმანი. თარჯიმანობით განთქმული იყო მთელ სოფელში **ეფრემია წიწილი** (ზედმეტი სახელებელი სახელია). შეიყრიდა თავს სოფლელი ხალხი, რომელიც ამ დღეს არ მიწარობდა. ბაზარი ხშირად გაიჭედებოდა ხოლმე ხალხით. უნდა ითქვას, რომ ხშირად 50-60 წლის კაცებიც ერიენ ხოლმე ჩაფრებში, როგორც ბურთაობის დროს ბურთაობაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყეენი მხოლოდ მაშინ დასთანხმდებოდა ყეენობაზე, როცა ეს ხნიერები თავმდებად დაუდგებოდენ საყეენოს იმაში, შეჰფიცავდენ კიდეც: ჩემი საყვარელი ცოლშვილი არ მომიკვდეს, წყალში არ ჩაგაგდებთო. მაგრამ ფიცი არასოდეს არ სრულდებოდა. გასამართლებელი თავდებების იყო სოფისტიკა: ჩვენ ხომ არ შეგვიფიცავს, ცოლშვილი მოგვიკვდესო! ჩვენ გითხარით: ცოლშვილი არ მოგვიკვდესო და არც მოგვიკვდებაო – ფიცი არ გვიწევსო. ყეენი რომ გოზინაყივით არ ამოავლონ წყალში, იმ წელიწადს კარგი მოსავალი აღარ მოვა და ყოველ გვარ ფიცს კი უხვი მოსავალი ერჩიათ.

დაილულღლულებდა ყეენი.
ეფრემია წიწილი (თარჯიმანი) ხმამაღლა დაიძახებდა:
თქმა იყოს და გაგონება–
შემოკვრა და გაგორება!
აყაყანებული ხალხი დამუნჯდებოდა.
დიდი მბრძანებელი ყეენი ბრძანებს:

„კურთხეული იყოს ჩემი პირით მთელი სოფელი და მისი გლეხკაცობა! დალოცვილ იყოს მშრომელი კაცის მარჯვენა, ხარის ქედი და დედა მიწის მოსავალი. გამევედი ჩემი ოდა-სარაიებიდან, რომ დევიარო ჩემი სამბრძანებელო, გევიგო მისი ავი და კაი და მუულოცო წმინდა დიდმარხვის დადგომა და რაღა თქმა უნდა, ამ ჩემი გარჯისათვის მე ვითხოვ უხვ „საციქველსაცაო".

„საციქველი" გამოიხატებოდა –ფულის როგორც ბეგარის მირთმევაში, ისე გოზინაყების, ტკბილის კვერის, წაბლის, ჩურჩხელების მირთმევაში, არაყის თუ ღვინის მოტანაში, რომელსაც ასხამდენ მათთვის მომარაგებულ ტიკჯორებში და სხვ. და სხვ.

როცა თარჯიმანი გაათავებდა ყეენის ნაბრძანების გადათარგმნას, შესძახებდა ხალხს: გოუმარჯოს სოფელ-ქვეყანას და მის კაი მოსავალს და ჯანმრთელობას და დიდება ჩვენს ყეენს!

ხალხი შეჰბღავლებდა: გოუმარჯოს ქვეყანას, გოუმარჯოს ყეენს!

–ყეენი მევიდა თამაშობის გუნებაზე, აპა დასცხეთ ობოლი ტაში! ყვირის ეფრემია წიწილი. გაიცემა ხარხალი და მთელი ხალხის ტაში. ყეენი ძუნძულობს და თხის რქით აკეთებს სასაცინო ფიგურებს.

–ეს იყო „საციქველზე" გამგზავრების ყეენის სიხარულის ცეკვა – წინ!

დაწინაურდებიან ჩაქფრები ხელ-კეტებით, მიიძვრის ხალხი ყეენის უკან. ვინც შემოხვდებათ გამვლელი თუ გამომვლელი, დეკანოზიც რომ ყოფილიყო, ყველა უნდა მიეყვანათ ყეენის წინაშე, დაეჩოქებინათ და გადაეხდევნებინათ „საციქველი", „ბეგარა".

ერთ ქოხს არ დატოვებდენ დაუბეგრავს, ყველგან უნდა მისულიყვენ, რა გამქრალიც კი არ უნდა ყოფილიყოს გლეხი.

ყველამ იცოდა ყეენის მობრძანება და დამზადებული ჰქონდა „საციქველი".

ჩვენ, პატარა ბალღები უკან დავდევდით, უფრო კი წინ უსწრებდით ყეენს და სეირით ვერ ვძღებოდით.

დიდი ყიალის და თრევის შემდეგ მიაწია ყეენმა და მისმა ამდევნო ხალხმა **სესია კურდღელას** დიდ „ოდას".

ყეენი მისი თარჯიმანი და ჩაფრები ავიდენ მოზრდილ ჰაივანზე, ხალხი ეზოს მოედვა.

ყეენი ალუღლუღდა:

ეფრემია წიწილი იძახის: დიდებული ყეენი ბრძანებს: „წყალობითა ღვთისათა მე მშვიდობით მივაწიე ჩემ საზაფხულო ოდა-სარაიაში და, აპა, გოუმარჯოს ყეენს!

ხალხი შეჰბღავის: „გოუმარჯოს! გოუმარჯოს!“

ხალხმა იცის, რომ არ შეჰბღავლოს, ჩაფრები დაერევიან და მათრახებით თავ-პირს დაუხეთქავენ და ჰბღავის.

ყეენი ლუღლუღობს.

ეფრემია წიწილი იძახის: „თქმა იყოს და გაგონება–შემოკვრა და გაგორება!“

ხალხი დამუნჯდება.

–ყეენი ბრძანებს: ამ ოდა სარაიის პატრონი ჩაყურსული გლეხია. უკურთხოს მაჯა და დოვლათი გამჩენმა! დიდი ბეგარა მართებს და კაი საციქველი უნდა წარმოადგინოს.

გაუმარჯოს ამ ოდა-სარაიის პატრონს **სესია კურდღელას**. ხალხი შეჰბღავის: „გოუმარჯოს სესია კურდღელას“– აპა ყეენი მევიდა გუნებაზე – თამაში მოუნდა თავის ყურმოჭრილი მონის სესია კურდღელას ოდა-სარაიაში! დაჰკარით ობოლი ტაში!

გაისმის ტაშის დიდი ხმაური. ყეენი ძუნძულობს. გამოიყვანენ „ოდიდან” თითვან სესია კურდღელას ჩაფრები და წარუდგენენ დაჩოქებულს ყეენს.

სესია მორჩილი ტანის კაცია, აქლემის „ყელის” ყვითელი შალის ჩოხა აცვია, ახურავს თავზე კალმუხის ზვინივით ქუდი თავის წითელენიანი ყალამოთი. ქუდი ბუღალის ფერი ცხვრის ტყავისაა. წვერი აქვს სესიას ჭაღარა, თეთრი როგორც ქულა ბამბა, ცხვირი კეხს მიუგავს.

სცემს თაყვანს ყეენს და მიულოცავს კეთილად მასთან მობრძანებას, წვევას.

ქალები გამოიტანენ ხონჩით „საციქველს”.

ხონჩაზეა – ბიები (კომში), გოზინაყები, წაბლის ჩურჩხელები, ტკბილისკვერები, არაყი ბოთლით და სხვ.

როცა ჩამოიარეს მთელი სოფელი, სამხრობის მზემაც მოატანა. წამოიყვანეს ყეენი საყდრის შემოსავლელად, სალიტანიოთ. ყეენი ფეხებს აბაჯაჯგინებს – არ უნდა იქ წასვლა – საღამო მოახლოვდა, ყეენობა თავდება და ყეენი მიუხედავად თავდებების მიცემული ფიცისა, მაინც საფთხურს გრძნობს – წყალში ჩაგდების მაინც ეშინია.

ეფრემია წიწილი იძახის:

თქმა იყოს და გაგონება –
შამოკვრა და გაგორება!

ხალხი დამუნჯდება – კოღოს გაფრენას გაიგონებთ.

ყეენი ლუღლუღობს.

ეფრემია წიწილი თარგმნის:

დიდი ყეენი ბრძანებს: რომელი ქრისტიანი მე ვარ კეთილმორწმუნე მაჰმადიანი ყეენი, რომ საყდარს შამოუაროვო!? აქ რაღაცა სახიფათოაო. ჩაფრები წამოდგებიან ყეენის დასაცავად.

მაშინ გამოვა წინ **ივანე ყეფია** 60 წლის მოხუცი ერთი თავდებთაგანი და მოახსენებს ყეენს: „აქ რა სახიფათოა?! **მდინარე ძირულა** ერთი ვერსით დაბლაა ხრამ-ხევში, მეორე მხრით **ღელე გლინავი** ნახევარი ვერსით ძირაა – წყალი ხომ ციდან არ ჩამეიქცევა?!“

სწორეთ ამ ორი დღის წინ რეში იყო. ყეენი გაჰყვა ხალხს. ჩაფრები წინ აეფარენ, რომ არაფერი არ დაენახა „კვახაბერადან“ ყეენს, ხალხი სულ ახლოს და ახლოს მიეჯარა ყეენს უკანიდან, ეფრემია წიწილი, ყეენის თარჯიმანი, განზე გადგა. როცა **ბაობაბისებურ უზარ-მაზარ ფუღუროებიან ცაცხვის ხესთან** მიაწიეს, წამოუსვეს ხელები ხელებში და ფეხებში დამძვრეულ ყეენს და როგორც ტიკჯორი საყდრის ეზოში სახელდახელოდ დაგუბებულ ტბაში გაავლეს და გამოავლეს გოზინაყივით. რადგანაც შეგუბებული წყალი დაბალი იყო, წააქციეს ყეენი ტბაში

და გადაატრიალ-გადმოატრიალეს, სულ ლაფში ამოსვარეს და ბევრი შეყლაპა საბრალომ ეს მყრალი ტუმპო. **ტარიელა მწარე კვახს** დიდებულ ყეენს ვერაფერი ვერ უშველა თავდაუზოგავმა სხმარტალმა.

„–წრეულ კაი მოსავალი იქნება!“ იყვირა ეფრემია წიწილმა..

ხალხი მაღალი ხმით ახვიხვინდა.

ამოწკუმპლულმა და მყრალ-ნამდგარ-წყალ-ნასვამმა ყეენმა შემოიფცქვნა გარეშემო ჯვალოები, ჭილოფები, ყავრის ხმალი, გულზე დაკიდებული თხის რქა და სხვ.. მიაწოდეს სუფთა წყალი, დააბანინეს პირი, გაასუფთავეს, მისცეს მოგროვებული ფულიდან, რასაც დაპირდენ.

ახლა „სანამცეცოდ” ნაშოვარ „საციქველს” ჩაუჯდენ იქვე ცაცხვის ძირში და ყველა დათვრენ არაყით და ღვინით. ლხინი და ზედაგორა დაჰფარა ბნელმა ღამემ. ყეენობა და „ნამცეცობა” გათავდა. ხალხი დაიშალა.

კოხინჯრობა *(საქმე № 17366).*

კოხი (სეტყვა) ძალიან საშინელ ქმნილებად მიაჩნდა ჩვენს ძველისძველ ხალხს. რომ წამოვიდოდა უშველებელი ნაცრისფერი გულ-ჩაღამებული ღრუბელი სამხრეთ - დასავლთიდან დიდი ხმაურით და ხუილით, ხალხს ის ეგონა ცოცხალი არსება, ატყდებოდა კანკალება მისი შიშით, რომ სარჩო –საბადებელს – ბაღ-ბაღჩებს მომირეშავს, ხეებს დამიხლეჩს ტოტებს, დამიბეთქავს ვენახს, ჭინახულს და მის მოსამადლიერებლად ლოცულობდა მას –აქებდა, ადიდებდა, მსხვერპლს სწირავდა, ღამეს უთევდა როგორც სხვა ქრისტიანულ დღეობებზე დღეობის წმინდანებს, დღეობებს იხდიდა და სხვ.

კიხინჯრობას უძახოდენ კოხის დღეობას. ამ დღეობას იხდიდენ, როგორც ამბობს **დიმიტრი სვანიძე, ხონის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრები** 75 წლის მოხუცი, 7 და 8 მაისს. ორივე დღე შეწირული იყო კოხზე (სეტყვაზე) და ხალხი უქმობდა „არ მიწარობდა“, პირიქით ლოცულობდა, ქეიფობდა საერთოდ, დროს ატარებდა, თემობდა.

6 მაისს რომ დაღამდებოდა, დედაკაცები ჩააჯუნდენ საკურთხებს – ქადებს, ტაბლებს (მკვდრების დაპურება პირველ რიგში იყო ყოველ დღესასწაულში), მოხარშავდენ „მრგვლად“ ქათამს, კვერცხებს, ამოიყვანდენ ყველს და სხვ. თითო ტაბლას შეარქმევდენ ახალ ან ძველი მკვდრის სახელს, ამოიღებდენ შუმ ღვინოს და გაამსებდენ საკურთხისათვის „ხარა“ დოქს, ჩამოჰქნიდენ წმინდა სანთლებს, დაამზადებდენ საკმეველს და სხვ. გაამსებდენ მოზრდილ ხელ-კალათს და მეორე დღეს კაცები წაიღებდენ დამზადებულ საკურთხს საყდარზე.

წირვა რომ გამოვიდოდა, თუ წვიმა, ან ცუდი ამინდი არ იყო, საყდრის გარეთ მოწკაპავდენ შეჭუჭებულად ერთ ალაგას კალათებს და დოქებს. (თუ ცუდი ამინდი იყო, თვით საყდარში იყო ხოლმე ღამის თევაც და საკურთხის კურთხევაც. გამოვიდოდა მღვდელი, გადაიცვამდა ოლარს, აიღებდა საკმეველით აბოლებულ საცეცხლურს, შემოუვლიდა გარეშამო საკურთხებს საცეცხლურის ქნევა-ქნევით, მედავითნე სხაპა-სხუპით ამბობდა ლოცვებს, მღვდელი შიგა და შიგ იძახოდა: „სიბრძნით“, „მოხედენ“ და სხვ. როცა მღვდელი კურთხევას გაათავებდა, ხალხი მიესეოდა თავ-თავის კალათას და დოქს, ანთილ წმინდა სანთლებს ჩააქრობდა და მედავითნეს ჩააბარებდა, მღვდელს მიართმევდა თავის „ულუფას“, რომელსაც აქვე ჰყრიდა მნათე ხურჯინში. მღვდლის „ულუფა“ მუდამ რჩეული იყო: სათბილო ცხვრის, კურტუმი ქათმის, ხაჭაპურები, ჭყინტი ყველი და სხვ. ღვინოს ტიკჯორაში უსხამდენ „ხარა“ დოქიდან, რასაკვირველია, ნაწილს. მე მინახავს, რომ „შემორჩენილ“ და დაობებულ ტაბლებს მღვდელი ჯორს აჭმევდა.

ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელ ხანებში, ზოგიერთი თავის საკურთხით ისე გაილაღებდა, რომ მღვდელს „ულუფას“ არ მიართმევდა. ამისთვის საყდრის გალავნის ჭისკარზე დაყენებული იყო გზირად მნათე: ვინც გაიპარებოდა, ის დაინახსოვრებდა, ამხელდა მღვდელს და პირველ შემთხვევაში ერთი ათად ახდევინებდა გლეხს უულუფოდ დატოვებას. თუ მოუკვდებოდა მას ვინმე, ხუცესი ურჩევდა გლეხს: აწი

ხომ აღარასფერს გთხოვს, ყოველისფერი შენ დაგიტოვა მკვდარმა. მისი წილი შეწირე მის სულსაო. იყო შემთხვევა, რომ მამა მოკვდა, შვილმა მღვდლის რჩევით გაჰყიდა ცალი ხარი, მეორე ველარაფერში გამოიყენა, ისიც გაჰყიდა, ფული შემოეხარჯა, მოსავალი აღარ მისცა აყალოიანმა მიწამ, ოჯახი დასნეულდა დამშეული და მთლად ამოწყდა. ეს იყო **სოლომანა გოჭიზურგა (წელაღვერა)** (გასახელებელი ზედმეტი სახელია).

უწინ და უწინ საკურთხიდან შინ არასფერი არ წაიღებოდა – როგორც ხორაგი, ისე ღვინო. აქვე უნდა შეჭმულიყო, ან დარიგებოდა ქვრივ-ობლებს და გლახაკებს. აქვე დაჯდებოდენ ოჯახით და შეექცეოდენ პურ-ღვინოს. აქ, იქ-იქ ხეებ ქვეშ დასხდებოდენ ოჯახები, მკვდრებისთვის „თავი წაექცეოდა“ ჭიქით ღვინოს და შეიქნებოდა მერე ცოცხლების დღეგრძელობა, სიმღერა. ამას მოჰყვებოდა დაურა[1], საზანდარი, თამაში და ერთი ზედაგორა.

კოხინჯრობისთვის იყო უკვე ჩასხმული „ხატის“ მამულის საერთო შრომით დამზადებული ღვინო, რომლიდანაც იხარჯებოდა „საზედაშეც“.

ქვევრი (იმერულად ჭური) ამ დღეს მოიხდებოდა და დოქებით ღვინო ურიგდებოდა მედღეობეებს, რამდენსაც კი მიირთმევდენ, დანარჩენი იყო „საზედაშე“. ღვინო საზოგადოდ იყო ხოლმე შავი–საფერის.

გარდა ამისა იცოდენ საერთო ხარჯით შეძენილი ხარის დაკვლა და მოხარშულ ხორცს ხონჩებით ურიგებდენ მედღეობეებს, რა მღვდელს დააკმაყოფილებდენ მისი „ულუფით“ ე. ი. სათბილოთი და შინ და გარეთ სუკებით, თავ-ფეხით, ტყავით, გულ-ღვიძლით, ასე გასინჯეთ, ფაშ-ფუშითაც კი.

ამ დღეს იცოდენ, როგორც მრავალ სხვა დღეობების დროს, შექეიფებული ხალხის შეწირულობა – შეწირვა ბატკნების, თიკნების, ხბორების, წმინდა სანთლის ნატეხზე მიკოსებული ფულის, ბამბის ძაფ შემოხვეულის შეწირვა და სხვ. ბევრი ნისიად იდებდა ვალს შეწირულობისას და რასაც კი შეპირდებოდა „ხატს“ უნდა უეჭველად შეესრულებია, თუ არა კოხი და ელიას ხატი გაუჯავრდებოდა.

როცა მღვდელი დალოცავდა შემწირველს თუ დამპირებელს, ე. ი. ამა თუ იმის შეწირვის „აღმთქმნელს“, დაიძახებდა: „უშველე და გააძლიერე!“ ხალხი ერთხმად უმეორებდა: „უშველე და გააძლიერე!“.

ამ დალოცვას მოჰყვებოდა მღვდლის მიერ ხალხის დალოცვა ღვინით, ამას ხალხის ერთმანეთ შორის სადღენგრძელოები, ამას, სიმღერები, სიმღერებს დაურა, ტაში, დოლი, „ბუზიკანტი“, ამას ცეკვა... ყოველისფერი, როცა მრევლი შეზალხოშდებოდა, თავდებოდა ფერხულით. ფერხული იცოდენ ქალებმა ცალკე –ერთ სართიულიანი, ვაჟებმა ცალკე ან ერთ-სართულიანი, ან ორ-სართულიანი.

მეორე დღეს იცოდენ ერთ და სამუდამოდ ამორჩეულ ადგილზე თემობა. ეს საყდარები, დღეობები, თემობები იყო მაშინდელი კლუბი, თეატრი, კონცერტი და სხვ. აქ ხდებოდა ქალ-ვაჟის დაახლოვება, გაცნობა, მაჭანკლობა და გათხოვების წინამორბედი დანიშვნა და სხვ.

იყო იმისთანა შემთხვევა, როცა დამძგრეული სეტყვის (კოხის) ღრუბელი, რომელსაც ხმაურით ტყე და ველი მოჰქონდა ან შემდგარა, დაშლილა და გამქრალა, ან გზა გადაუხვევია და სულ სხვა მიმართულებით წასულა; მაშინ იტყოდენ, წმ. ელია შეეგება ღრუბელს, აუტატანა ხელები, შეაჩერა და დაშალა, ან გადაახვევია გზა და უშველა ამ თუ იმ სოფელსო. ეს იმიტომ, რომ ერთობ მომადლიერებული ჰყავდა წმ. ელია ნაშველ სიფელსაო.

ამით უნდა სთქვას ხალხმა, რომ ელია ბრძანებლობს კოხის (სეტყვის) ღრუბელს და ისიც ემორჩილება მის ბრძანებასაო. ამას ამბობს 85 წლის მოხუცი **ზაქარია სულხანიშვილი სოფ. წოდორეთიდან** გადმოსახლებული ქ. თბილისის „ახალშენში“.

ძნელი გასაგები არაა, რომ ეს მოგონებულია და ჩაგონებული სამღვდელოებისაგან. სამღვდელოება ძველ თავაზს კოხისადმი არ ელევნება შემოსავლის გამო, მაგრამ ძველ სარწმუნოებას ახლის ზეგავლენის ქვეშ მაინც აყენებს. თუ მიუხედავად ამ მომადლიერებისათვის გამართულ დღეობებისა და შეწირულებათა, კოხი მაინც თავისას არ მოიშლიდა, მაშინ რაიმე მიზეზი აღმოჩნდებოდა მოვალეობის სიზუსტით აუსრულებლობისა, რომლის გამოც თითქოს

განრისხებულია კოხიო და შემდეგ კოხინჯრობას უფრო მტკიცედ ასრულებდა, რითაც სამღვდელოება არაფერსაც არ ზარალობდა.

1. დაურა დაირა (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974).

ელიობა (საქმე № 17367)

ელიობა ელვის დღეობაა. ე.ი. ეს დღე, რომელსაც დღესასწაულობენ 20 მკათათვეს (კვირიკობისთვეს) ეს თუ ის სოფელი, შეწირულია ელვაზე. ხეხილის და ყანების მოელვის ძალიან ეშინია ხალხს–ჭინახული ფშუტე გამოვა, ხეხილს სულ დასცვივდება ყვავილი, თუ დახორბლილი(?–ე.გ.) ნაყოფიც. მოსავალი თუ არ ექნება გლეხს, თუ გინდ ელვას დაეღუპოს, თუ გინდ კოხს (სეტყვას), ორივე შემთხვევაში ხალხის დაღუპვაა და შიშის ქარებში ჩამყენებელი. ამიტომ როგორც კოხს, ისე ელვას იმადლიერებს ხალხი ლოცვით, ვედრებით, უქმობით, დღეობის შეწირვით, შეწირულობის მირთმევით და სხვ.

20 მკათათვის ახლო-მახლო ხანებში უკვე იწყება ლეწვა, კალოობა და ბარაქიანი, უხვი მოსავალი უნდა, რომ ჰქონდეს, ხალხს. ამიტომ იმართება ამ დროს ელიობა.

ელიობა სხვაა და ელიაობა კიდე სულ სხვა, თუმცა წმინდა ელია ელვაზედაც ახდენს ზეგავლენას როგორც კოხზე. ამის გამო ხალხი არ ივიწყებს არც ერთის სამსახურს და მათს მომადლიერებას ამ სამსახურით.

როგორც ყოველთვის, ისე ამ დღესაც ხალხი პირველ რიგში აყენებს მკვდრების სამსახურს – ტაბლაკვერის ჩაჯენას – ყველა მკვდრის სულის სახსენებლად, ძველის თუ ახლის, კეთდება სულზე თითო ტაბლა, რომელიც ოთხკუთხი ფორმის, თითო ყური უკეთდება თითო ყურეში, სულ ოთხი, გულში უდევს ყველი, ან ყველში წვრილად ჩაჭრილი მაგრად მოხარშული კვერცხი, ჩამოიქნება წმინდა სანთლები, დააკოსებენ წმინდა სანთლის ნატეხზე ფუნს, შემოავლებენ ფთილის ძაფს, ამას ამზადებენ შესაწირავად, იშოვიან საკმეველს, დამზადდება ყველი, პური, ხორცი, კვერცხები, ხარა დოქით ღვინო, გაივსება მოზრდილი ხელკალათი ყველა ამით და მიაქვთ საყდარზე.

საყდარზე საკურთხის კურთხევის შემდეგ და მღვდლისათვის ულუფის მირთმებვის მერე, სხდება ხალხი ხეებ ქვეშ და იმართება სმა-ჭამა.

უნდა ვსთქვათ, რომ, როცა საერთო პურის ჭამა არაა დაწესებული, მღვდლის ულუფის და მთხოვარა-გლახაკების განკითხვის გარდა, დანარჩენი საკურთხისა მიაქვთ ანდაზის მითითებით: როცა შინ ბალღებს შიოდეს, გარეთ რა უნდა ტაბლასაო. ამით არც მწვადს სწვავენ და არც შამფურს: მკვდრებსაც იმადლიერებენ და ცოცხლებსაც.

როცა შემწირველი შეძლებულია და და მკვდრებისთვის ძალიან შეეტკინება გული, მთელ საკურთხს სასაფლაოზე დაარიგებს, შინ ცარიელი დოქი და კალათი მიაქვს. ასეთ უხვ ჭირისუფალს ძლიერ აქებს სამღვდელოება.

როცა დაიწყება საერთო პურის ჭამა და შექცევა, მიდის საერთო ჭურიდან ამოღებული ღვინო და ურიგდება მღვდელ-დიაკონს და მრევლს, აგრეთვე საერთოდ დაკლული და მოხარშული ძროხის თუ ხარის, თუ ცხვრის ხორცი დოქებით და ხონჩებით.

მღვდელი ჩამოილოცავს ელვის მოსამადლიერებელ ლოცვებს, ადღეგრძელებს საერთოდ მთელ ქრისტიანობას, მრევლს, მიიღებს შეწირულობებს. ამის შემდეგ შეიქნება მრევლ შორის კერძოდ ერთმანეთის დღეგრძელობა, მიკითხვ-მოკითხვა, მოყვება ამას სიმღერა, სიმღერას საკრავები, საკრავებს ცეკვა და დამთავრდება ყოველივე ფერხულებით.

ხშირად მოხდება, რომ ნაღვინევ ხალხში მოუვა ვისმე ჩხენკალი მეორესთან, შეიქნება მომხრეობა ნათესავების (პარტიაობა), და ხშირად ტყეპა-ცემით, ჩახა-ჩუხით, დაჭრით, ვისმე სიკვდილითაც გათავდება ხოლმე ჩხუბი. როცა გამოფხიზლდებიან დამნაშავენი, ნანულობენ, მაგრა გვიანია ეს სინანული.

ზაქარია სულხანიშვილი ასახელებს ს. წოდორეთში მთის წვერს, სადაც არის მაღალ ქვაზე დასვენებული ჯვარი და სადაც თავს იყრის ელიობას ახლო-მახლო სოფლობა–**ლისი, თხინვალა, დიღომი** და იმართება სმა-ჭამა, პურობა, ქეიფი, თამაში დოლზე და სხვ.

ალილო საქმე № 17373

აღდგომის წინა – ღამეს რამოდენიმე ახალგაზრდა გამოეწყობა ფალასხებში, ნაბდებში, ცხვრის ტყავის ქუდში, გაიკეთებს სახეზე „კვახაბერას“, რომელსაც აკეთებენ ორშიმო კვახის ნახევარი გვერდიდან, – ამოჭრიან სათვალეებს მაღლა წარბებს მიაკოსებენ ბალნიდან, ან სიმინდის ულვაშიდან, ან ნახშირით გააშავებენ, ცხვირის ჩასაყოფს ამოჭრიან, საპირეს პირის პირდაპირ ამოჭრიან, გარეშემო კბილებს შემოაწებებენ ნახევარი გვერდი თეთრი ლობი(ო)დან, წამოიცვავენ პირზე, უკან კენკრეხოში გადაცმული (შა)ლტებით დაიმაგრებენ, ხელში საბიჯგ ჯოხებს დაიკავებენ და დადიან სოფელში სახლი-სახლ „საციქველზე“ კალათებით. თუ მელის ტყავი იშოვნეს კარგია, თუ მკვდარი მელა, კიდე უფრო კარგია – საციქველად კვერცხებს ვეღარავინ დაუკავებსთ – მელის შიშით – ქათმებს აღარ შეგვარჩენსაო.

დადიან და იმღერიან:
ალილო და ოქოია–
ქრისტეს მახარობელი ვართ!
კიჭებიო, კიჭებიო–
გ(დ)აგეზარდათ ბიჭებიო,
ლობიოვო, ლობიოვო–
გაგეზარდათ გომბიოვო.
ალათასა, მალათასა
ხელი ჩაჰყავ (ჩაჰკარ) კალათასა–
ერთი კვერცხი ამეიღე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა!

არის კიდე სხვა სასიმღერო საგალობელი ლექსებიც,რაც აღარ მახსოვს.

აღდგომის ორშაფათი საქმე № 17370

როცა კი გახსნილდება, აუცილებელია პირველ რიგში მკვდრების დაპურება. ამიტომ აღდგომა დღეს წირვის შემდეგ ხდება საკურთხის კურთხევა., მკვდრების გულზე (აზვინულ სამარეზე) წითელი კვერცხების გადაგორება და სხვათა შორის მკვდრის გულზე ცივი წყლის დასხმა, როცა ამ მკვდარს ქვრივი გაუთხოვდა, ან კაცს შეურთავს მეორე ცოლი. წყალს დაასხამს გულზე მშობელს ახლა გერად ქცეული შვილი. ამით ხალხი ფიქრობს გაგრილდება მეუღლის ღალატით დამწვარი გული.

აღდგომის წინა ღამეს და აღდგომის ღამეს ხდება „ღამის თევა“. ხალხი წევს საყდრის გარშემო. ანთილია წმინდა სანთლები. თუ ცუდი ამიდი დადგა, სენაკში საყდრის ახლოს იყრის თავს. უწინ, მე მახსოვს, ჩემს ბავშვობაში თითვან საყდარში ათევდენ ღამეს. მაგრამ ისეთ რამეებს ჩავიდენ იქ ღამის მთეველები, რომ საყდარი სამუდამოდ დაიხურა ღამის მთეველებისათვის.

მოდიან ღამის თევის შემთქმელები ახლო და შორი ადგილებიდან. ხანდისხან ამ დღისთვის, აღდგომის ორშაფათისთვის შეთქმულ კუროსაც კი მოიყვანენ ხოლმე როისღაც ამ სოფლიდან შორს სადღაც გადაცვენილი ხალხი. მათ წინაპრებს მებატონენი აეკლოთ...

აღდგომის ორშაფათისათვის უწინ იცოდენ „ხატის“ ვენახის საფერის ღვინის შენახვა საყდრის ეზოს ჭურებში (ქვევრებში) საერთო პურის ჭამისათვის და „ზედაშესათვის“.

წირვა რომ გამოვიდოდა ამ დღეს, დაიწყებოდა საყდრის კარებში შეწირულობის მიღება. ზოგი წირავდა ფულს, ზოგი ცხვარს, ხბოს, ბუღა მოზვერსაც კი.

კურო მოზვერი დაიკლებოდა. მღვდელს მიერთმეოდა თავის ულუფა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი: სათბილო თავის სუკებით, გულ-ღვიძლი (ჯიგარი), თავ-ფეხი, ტყავი, ფაშ-ფუშიც. დანარჩენი მოიხარშებოდა და დაურიგდებოდა მოქეიფე ხალხს.

შეწირულობა დაპირებითაც ხერხდებოდა, ნისიად. მღვდელი დალოცავდა შემომწირველს. ამა და ამ შენს მონას, წმინდა გიორგი! შემოუწირავს შემნთვის ეს... და ათავებდა: „უშველე და გააძლიერე!“ ხალხიც ერთხმად შესძახებდა: „უშველე და გააძლიერე!“

შემდეგ ამისა დაიწყებოდა პურობა.

მღვდელი ჩამოილოცავდა. პირველი ორი სამი ჭიქით დალოცავდა ხალხს უხვი შემოწირულობისათვის, დაულოცავდა მარჯვენას, უკურთხებდა ღვთის კეთილმოსაობას, უსურვებდა კარგი ჭინახულის მოსავალს. მოდიოდა მღვდელს აქედან და იქიდან სათბილოები, კურტუმოები, გუშინდელი საკურთხის ტაბლები, წითელი კვერცხები, ღვინოს ტიკჭორაში უსხამდენ და სხვა და სხვა. მედავითნე და მნათე აწყობდენ ხორაგს ხურჯინებში, შემდეგ მღვდელი გაექანებოდა მრევლისკენ ჯვრითა და აიაზმის წყლით ოჯახების და სახლკარის სასხურებლად და დასალოცავად, სადაც მიართმევდენ მილოცვისათვის მას კვერცხებს, ფულს და სხვ. მღვდელი ხვეტაში იყო!

3/4 საუკუნის მხცოვანი გახლავართ. მახსოვს (მაშინ პატარა ვიყავი): მამა ჩემმა აღდგომის წინ ღამეს დაჭკლა გასუქებული ბურაკი, გაფუფქა, ასჭრა, ჩაადგა დიდ ქვაბში და შუაცეცხლზე მოხარშა. ჩვენ გვქონდა გრძელი და ვიწრო, დაბალი ოთხ-ფეხიანი სუფრა, ლოგინის სიმაღლე, ლოგინის წინ დასადგმელი. ლოგინზე გავიწკაპებოდით და იჯრას სუფრაზე გიახლებოდით. ამ სუფრაზე დააწყვეს ბურაკის ცხელი ხორცი. სულ თიქთიქობდა და ოხშივალი ადიოდა. მე კაწკაწება ამიტყდა. დედას ჩუმათ კალთას ვახევდი–სული მიმდიოდა ხორცში. მამა მგელივით მიბღვერდა. დედამ აჯობა და მამამ უგულოდ მახალა ხელებში ქონიანი ათაქთაქებული ხორცი. უნდა გენახათ, როგორ გავიზიზნე პირი!

მეორე დღეს ე. ი. აღდომას წირვის შემდეგ მთელი ოჯახი მიუსხედით სუფრას და გიახლებოდი სუფრაზე გაწყობილ და გაცივებულ ხორცს ცხელ ჭადებთან ერთად. რასაც შევჭამდით, შევჭამდით, რაც არა, ძვლები გადაირჩეოდა და გადაუყრიდა დედა ძაღლებს, დანარჩენი იქვე დარჩებოდა სუფრაზე და ვახშმადაც იქვე გიახლებოდით ხორცს. სუფრის გადასაფარებელი მაშინ არ ვიცოდით და არც საინების ხმარება. ჯამი იხმარებოდა მათლაბას წილ. ახლა „ბუფეტის შკაფებში“ საინებისა და ჭიქების რიხინი დიდია, ხორცი და ღვინო კი ცოტა.

საყდარზე საერთო შექცევა დაღამებამდი იყო სიმღერა (ხშირად ძილის პირებისაც), ცეკვა-თამაში დოლზე, „ბუზიკანტზე“, დაურაზე ცხელი ტაშით. აღდგომას ნაშუადღევს კი სათემოზე იყრიდა ხალხი თავს და იქ იყო წითელი კვერცხების „მიკვლევა“, კოცნა, მილოცვა, კვერცხების რტყმევა და სხვ.

სააღდომოდ დედა შეგვიღებავდა 50-60-80 კვერცხს, დააწყობდა ცხრილზე და შედგამდა ზესხვანში...

როცა აღდგომის ორშაფათის მოქეიფე ხალხი შეზალხოშდებოდა, იქვე საყდრის ეზოში გამოაწყობდა ერთ და ორ სართულიან ფერხულს. სოფლის დედა-კაცი, **ტასია ლულია**, (ლულია გაჩეჩილაძეების ერთ-ერთი შტოს მეტსახელია. ე. გ.) უძღვა ქალების ერთსართულიან ფერხულს, **ოსია ლულია,** მისი შვილი – ვაჟების ორ-სართულიან ფერხულს.

ოსია ლულია რაც ძალი და ღონეჰქონდა დაიძახებდა:

ოკრიალე, ო!

მეფეხულე ვაჟები უმეორებდენ:

ოკრიალე, ჰო!

იქიდან, ქალების ფერხულიდან, ტასია ლულია უმეორებდა:

ოკრიალე, ჰო!

მას უმეორებდენ მეფერხულე ქალები:

ოკრიალე, ო!

ოსია ლულია დაიძახებდა:

ჰოიდა, ოკრიალე, ჰო!

მას უმეორებდა ჯერ ვაჟები, მერე ტასია ლულია, ტასია ლულიას კი ქალები.

დაიძახებდა შუბლზეოფლგადამსკდარი ოსია ლულია: ჰოიდა, მარჯვე ბიჭებო!

მას უმეორებდენ ვაჟი მეფერხულენი და თანაც უვლიდენ ნელი ტაატით საყდარს.

დაიძახებდა გაცხარებული ოსია ლულია:

ჰოიდა კვირე-ცხოველო!

უმეორებდენ ვაჟები, ვაჟებს ტასია-ლულია ამას შესძახებდენ მის ნათქვამს ქალები.

იძახოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ოსია ლულია: ჰოიდა, შენ შეგვეწიეო! და სხვ.

ეს იყო ათლეტური და თასმასავით მიმოქნილი თამაშობა.

კარგი მეფერხულე გოგონები ვაჟებს აწონებდენ თვის ნაზ მიხრა-მოხრას და მოქნილ, მოხდენილ თამაშს და თავსაც, კარგი მეფერხულე ვაჟები გოგონებს.

თემობა და დღესასწაულობა იყო მაშინდელი კლუბი, თეატრი, ოპერა, კონცერტი, კინოები და სხვ.

შემდეგ და შემდეგ, როცა ეკონომიური ცხოვრება საქართველოს მდაბიო ხალხის, როგორც კოლონიის მცხოვრებთა, ერთობ დამძიმდა, საქმე იქამდი მივიდა, რომ იყო შემთხვევა,როცა გლეხს აღდგომასაც ლობიო ჰქონდა საჭამადად.

მე, თქვენმა მორჩილმა, შეგნებული ცხოვრებით ხალხში ვიცხოვრე ცამეტ წელიწადს და თვალყურს ვადევნებდი ხალხში ხალხურად მცხოვრები, მის ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, მის ყოფა-ცხოვრებას, რაც ავწერე „წევა, წეველებში, მათ ვინაობაში და თავგადასავალში“ და უყრიდი თავს ხალხის ზეპირ-სიტყვიერებას, რომლის მესამედამდე უკვე დაისტამბა, ორი მესამედი მზადაა თავის ნარკვევებით დასასტამბავად.

შემდეგ საქმე იქამდი მივიდა, რომ „ხატის მამული გადავიდა წევის წმ. გიორგის ეკკლესიაზე საზედაშე ღვინის დასაყენებლად. მერე და მერე სამღვდელოება დაეპატრონა მას და იჯარით იძლეოდა. ორი დღეობის „კვირიკობის“და „აღდომის ორშაფათის“ გადახდა ძალიან დაუმძიმდა ხალხს. **გასაკვირალია, წევის ეკკლესიას რომ წმ. გიორგის ეკკლესია ჰქვია და წმ. გიორგის დღეობას არ იხდიდა, არამედ „კვირიკობას“ და „აღდომის ორშაბათს“.** ალბათ სამღვდელოებას აზრად ჰქონდა უზურში, რომ მესამე დღეობის გადახდაც დაეკისრებინა ამ ეკკლესიის შემომავალ მრევლისთვის. მაგრამ დროება იცვალა და ორი დღეობის გადახდაც დაუმძიმდა ხალხს.

ხალხს უნდოდა „აღდომის ორშაფათის“ გადაგდება. იყო სოფლელების დიდი ხანხალი. დასდეს ერთი პირიც, მაგრამ „აღდომის ორშაფათი“ რომ გათენდა, სტუმრებით სავსე შეიქნა სოფელი. სტუმრებმა არ ქნეს, სახლიდან კი ვერავინ გარეკა ძვირფასი გათხოვებული შვილები და მოყვრები.

ხალხი მაინც გადაგდების ცდაში იყო. ამ დროს გამოტყვრა „კვირიკობის“ კონკურენტი: ღაბუაშვილებმა მოინდომეს ძირულაში გადატანა „კვირიკობის იარმურკის“.

ს. წევის კარგა მოზრდილი ნაწილი გლეხებისა ვაჭრები იყვენ; ზოგი ბადლის ჩითებით ვაჭრობდა, ზოგი ღვინით, ზოგი საქალამნე ტყავით, ზოგი წურბლით – ჰყიდდა სხვადასხვა სოფლებში წურბელს, ტყავს ნატურით, იღებდა ყველს, კვერცხს, ბამბას და სხვ.

ეს აღებ-მიცემობა იყო მისი შედეგი, რომ წევას, გარდა ჭალის მიწებისა, სადაც ვარგობს ვენახი - ღვინო, ყანად სავარგისი მიწა თითქმის სულ არა აქვს. სადაც ვაკეა, აყალოა, სადაც არა და მიუდგომელი ფერდობები და ხრიოკებია. იძულებამ წვრილ ვაჭრებად აქცია წევის მოზრდილი ნაწილი. ამიტომ მათ არ ელევნებოდათ

კვირიკობის კარვობა. მოდიოდა ქუთაისიდან, გორიდან, თბილისიდან და სხვა ადგილებიდან ვაჭრების–მექუდეების, ხარაზების, მეფართლეების და სხვ. მთელი ჯგუფები და აქ საწვეულოდ თავმოყრილ ხალხზე ჰყიდდენ მოტანილ საქონელს. მათთან შინაური ვაჭრებიც ასაღებდენ თავის საქონელს. რასაკვირველია ამის შემდეგ, რომ მათ აღდომის ორშაფათსაც კვირიკობა ერჩიათ და არც კარვობა თავის თავად ელევნებოდათ. ხოლო წეველ გლეხობას არ ელევნებოდა ის მისთვის, რომ ცოტა რამ ხორაგის შესაძენი შემოდიოდა კარვების ქირისაგან. ვაჭრებმა აიყოლიეს წევის ხალხი და მოახერხეს აღდომის ორშაფათის გადაგდება. ახლა „კვირიკობას“, შემოსავლიან კვირიკობასაც, ჰკარგავდენ.

მოხდა წევის ეკკლესიის შემომავალ მრევლის ყრილობა – წევის, წიფლავაკის, სანახშირის და ჭალის. ყრილობამ მე მომანდო, მეთხოვა ქუთაისის ღუბერნატორისათვის, რომ ღაბუაშვილები ჩამოეთხოვებია მოცილეობისაგან. ივანე აბაშიძე, ეს მაშინდელი უფროსი ღაბუაშვილი, ღუბერნატორთან შინაური კაცი იყო.

გუბერნატორმა ჩემს მოხსენებაზე, რომ ხალხის დღეობა ხალხისაა მეთქი და მისი წართმევა და მითვისება არავის არ უნდა ეუფლებოდეს-მეთქი, ძალიან იუცხოვა და გადაწყვეტით მიპასუხა: „იარმურკა მთავრობისააო – ხალხს რა ხელი აქვს მასთანო?“.

შევეგებე მაშინდელ იმერეთ-გურიის ეპისკოპოსს ლეონიდს მის მიერ ეკკლესიების სარევიზიოდ დავლის დროს იგივე მოხსენებით. მან უფრო გაჯავრებულად მიპასუხა: „კვირიკობა საეკკლესიო დღეობაა და არა ხალხისა და არც მთაბვრობისო“. სხვა გზა არ იყო – დავანებე თავი.

კვირიკობა (საქმე № 17371)

კვირიკობის დღეობა წმ. კვირიაკეს *(წმ. კვირიკეს – ე. გ.)* სახელზე იხდებოდა 15 კვირიკობის თვეს (15-16-17 სამი დღის განმავლობაში). სტუმრები მეტწილად სავაჭროდ მოდიოდენ. სამი დღის განმავლობაში სტუმრებით იყო სავსე სოფელი და იყო განუწყვეტელი ქეიფი ქოხებ-სახლებში.

წეველების მებატონეები იყვენ ილმელი აზნაურები–მაჭავარიანები. ამ ორ სოფელს ყოფს ძირულის ვიწრო და ღრმა ხევი.

მებატონეები წინადღითვე ჩამოეხიზნებოდენ სოფელში კვირიკობის შესახვედრად.

ჩემს პატარაობის დროს კარვები ვაჭრებისთვის იმართებოდა ხოლმე საყდრის ეზოში. მოდიოდენ ვაჭრები როგორც სავაჭროდ, ისე სააგარაკოდ თავის ნაწარმოებით თუ ფართლეულობით–ქუდებით, წაღებ–წუღებით, ქვაბ–ტაშტებით და სხვ. ქუთაისიდან, გორიდან, თბილისიდან და სხვ. შემდეგ კარვობა გადაიტანეს სათემო ადგილზე, სადაც აწყობდენ კარვის სამიკიტნოებს და მოდიოდენ მეარღნეები თავის არღნებით, მედუდუკეები და სხვ.

„იარმურკაში“ ფარდულები (კარვები) იმართებოდენ ორ-წყებად მესამედი კილომეტრის სიგრძეზე თანმიყოლებით. წყებას და წყებას შუა რჩებოდა 3–4–5 საჟენი სიგანე. ეს ქუჩა მუდამ გატენილი (გავსილი) იყო ხალხით ამ სამი დღის განმავლობაში.

სწორედ ამ დროს დაფათურობდენ შეიარაღებული მებატონეები და იღებდენ ბაჟს ვაჭრებისაგან. იყო შემთხვევა, სამ ბადეში (თევზის დასაჭერი ბადე) ერთი წაართვეს მებადეს.

თუ რომელიმე რაიმე მიზეზით გაჟინდებოდა და არ მისცემდა მათგან დადებულ ბაჟს, წაართმევდენ ამას ქვაბებს, იმას ქუდებს, იმას წაღებს და სხვ. ასე გასინჯეთ თვით მეკვირიკობე მასპინძელს ე. ი. მათ ყმებს ვაჭრებსაც არ სათნოობდენ. მახსოვს, რომ **სარდიონ გაჩეჩილაძეს–თხაჭამიას** (ზედმეტი დაცინებითი სახელია) წაართვეს ერთი თოფი „სატინა“.

თხაჭამიას ... ბუხარი დაეწვა და დაიწყო გამოჯავრებულმა ვაჭრობის წილ ქეიფი. შუადამდი სამიკიტნო - კარვებში ქეიფობდა, სატევრით წელზე შემორტყმული, არღანზე.

შუაღამე იყო. გვეძინა ჩვენ და ჩვენს სტუმრებსაც. ვიღაცეები დაიარებოდენ სოფელში, აღვიძებდენ გლეხებს და იწვევდენ საშველად: **კოწია მაჭავარიანი** მიეპარა **სარდიონ თხაჭამიას** ქეიფობის დროს, ჩამოწყვიტა წელზე ხანჯალი და თავისივე გაშიშვლებული ხანჯლით სცემს სარდიონს ცხვირ-პირზე და სისხლი თქრიალით ჩამოდის. ადექი, სოფელო! მოგვეშველეთო!

მე პატარა ვიყავი. ჩვენები რომ წამოცვივდენ და გავარდენ კარში, მეც გავიპარე სახლიდან და ფეხდაფეხ მივყევი მათ.

ავედით სათემოზე გამართულ კარვებში. სამიკიტნო-კარვებში არღნების ღრიალი და მოქეიფეთა ღრიანცელი იდგა. მთელი სოფლის ხალხი მოსკდა კეტებით, ხანჯლებით და ქვებით შეიარაღებული.

კარვებს უკან **ბასილა მუთაქას** (ზედმეტი სახელია) ქოხში ჰქონდათ მებატონეებს თავის ნაცარცვავი ბაჟის მისატანიც და ბინაც. რომ გაიგეს ხალხის მოსკდომა და ... ყიყინი, მუქარა, ღამის სიბნელეში გადაცვივდენ.

ნახევარი საათის შემდეგ მათი ყვირილი ისმოდა ძირს, ჭალაში. თვალსა და ხელ შუა გაჰქრენ. ღამის სიბნელემ უშველათ, თუ არა ყველას ამოჟუჟავდენ... მას აქეთ მაჭავარიანის ფეხი აღარ დადგმულა კვირიკობას წევაში.

გლეხები თითო (თავთავის) კარავში იღებდენ ქირას სამი დღის განმავლობაში ხუთ, ათ, ოც და ოცდახუთ მანეთსაც. ამ ფულით იმ დროს იოლად მიდიოდა. ამ დღეობაზე ოყა (სამი გირვანქა) თხის ხორცი ღირდა 10-15 კაპეიკი, ბერძული დედალი 20-25 კაპეიკი, კვერცხი 10 ცალი 8 კაპეიკი, გატეხილი კვერცხი 2 იყო ერთ კაპეიკად, ჩაფი სპირტივით ოტკა გაიყიდა 80 კაპეიკად, ღვინო შუმი იყო 45 მანეთი საპალნე (იმერული =11 ჩაფი).

მე გამიყიდია საპალნე გიბრიდის მაჭარი 9 მანეთად. ეს ძალიან მერე იყო, როცა **მე საზღვარ გარეთიდან განათლებული ჩამოვედი და შეგნებულად, აღნიშნული მიზნისთვის ვცხოვრობდი ხალხში მისი ცხოვრებით**...

კვირიკობას შეწირულობა უფრო მეტი და დიდი ხდებოდა: შინაური და გარეული, მასინძელი და სტუმარი, გლეხი და ვაჭარი – ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა სალოცავის მომადლიერებას. კვირიკობის წინა ღამეს საყდრის ეზოში არღნების ღრიალი ისმოდა, გარმონიის ბერვა, დუდუკის მინაზებული ხმა და შინაურის და გარეულის ქეიფი. ჰაერის გამოსაცვლელად სააგარაკოდ მოსული ვაჭრების ჰაი–ჰუი იყო.

ზესტაფონის ბოქაული და შორაპნის მამასახლისი ესწრებოდენ ამ დღესასწაულს მშვიდობიანობის და წესრიგის დასაცავად. ერთხელ ესენიც გადარეკა სოფლის ხალხმა ქვების დაშენით.

ჩხუბი და აყალ-მაყალი ხშირი იყო ხოლმე ნადვინევი ხალხის, ხშირად იყო ხანჯლების ტრიალი და თოფების გრიალიც.

როცა კვირიკობა გათავდებოდა და კარვების და ქეიფის ადგილას მოღვლეპილი და დაჩოთირებული მიწა რჩებოდა, მე გულზე სევდა დამაწვებოდა იმ ბალღობის დროს: სულ ლხინის და ზედაგორის ყურება მინდოდა. გლეხებს ცარიელი ჯიბე და ჭური რჩებოდა. მათი დამასევდიანებელი კი ეს იყო.

გასვენება და აღაპი

საქმე № 17376

წინა დროში, როცა ოჯახს ვინმე მიეცვლებოდა, მეზობლები მაშინვე დაფათურდებოდენ: ჩააჯენდენ ცხელ ჭადებს, მოხარშავდენ სირსვლად ლობიოს, ჩააჯენდენ პურებს, ამოიღებდენ ქოცოდან ჩადებულობას, ამოიღებდენ ქვევრიდან შუმ ღვინოს ხარა დოქით და მიუზიდავდენ ჭირისუფლებს. „ხეიბერი“ დატრიალობდა აქ. მესაფლავეებსაც არ დააკლებდენ იჯრას.

ასე იზიდებოდა შესაწევარი, სანამ მკვდრის გასვენების დღე არ დადგებოდა.

ჭირისუფლებს უნდა ეტირათ, სამზადისთვის აღარ ეცალათ.

როცა დადგებოდა გასვენების დღე, მკვდარს დაასვენებდენ ძელურის ლოგინზე კუბოთი. ირგვლივ ფეხებმოფთხნილი დიდი და პატარა, ქალი და კაცი–ჭირისუფლები

შემოეწკაპებოდენ, უნცროს-უმფროსობით თავ-თავის ადგილას. ყველა შავ-თალხებში იჯდა და ქალებს თმები ჰქონდათ გაშლილი, გაწეწილი.

უწინ ცოდნოდათ „მოტირალი ქალების“ აყვანა. მე ამას არ მოვსწრებივარ.

შორიდან მოწვეული ჭირისუფლები „ასაბიით“ მოდიოდენ ე. ი. თითვან მოიწვევდენ თავის ნათესავებს და მოყვრებს გარდაცვალების სამგლოვოდ და სატირლად. „გადასახურავსაც“ იღებდენ ისინი, ე. ი. ვალს ადებდენ გარდაცვალებულის ჭირისუფლებს—ეხმარებოდენ, შემწეობას აძლევდენ, წელს უმაგრებდენ, ხელს უმართავდენ.

როცა ასაბია ეზოს ჭიშკარს მოადგებოდა, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო მაში ქალი თუ კაცი, თითოს ცალ-ცალკე და მორიგეობით შეხვდებოდენ „მოზარეები“ „აშვებული ზარით“, თითოს ცალკე დაატირებინებდენ – ჯერ ერთს შეხვდებოდენ, მერე მეორეს და ასე შემდეგს.

„ზარი“ სამი კაციდან შემდგარი გუნდი, ხორო იყო. გუნდი უსიტყვოდ იმღეროდა: „ოჰო-ჰო-ჰო-ჰო!“ იყო მაღალი, მოძახილის ხმა და დვრინი.

ის რო დაიწყებდა ოჰო-ჰო!.. მას მიაყოლებდა ასაბიიდან მორიგი ადამიანი ტირილს და მოთქმის ხმას. „აშვებული ზარით“ წაუძღვებოდა გუნდი და დაატირებინებდა მიცვალებულს.

მიცვალებულის შემდეგ მოტირალი ჩამოუვლიდა თითო-თითოს ცალ-ცალკე ჭირისუფალს და „მიუტირებდა“ და თანაც შიგ და შიგ მოსათვალავში „მიუსამძიმრებდა“.

„გადასახურავის“ ყუთი წინკარში იდვა მაგიდაზე და ვისაც რამდენი სურდა „გადახურავდა“. ეს გადასახურავი დაიწერებოდა სიაში, როგორც ვალი გადამხურველისაგან დატეხილი, რომელიც უნდა გადაეხადათ ჭირისუფლებს თავის ზედ-მეტი სარგებლის მიღებით, როცა გადამხურველს ვინმე მიეცვლებოდა ოჯახში.

ახლა „ზარი“ შემოუძღვებოდა მეორეს და სხვ.

ქორწილი (საქმე № 17377)

ყოველ სოფელში იყო თითო-ოროლა ქალი, თუ კაცი, რომელნიც ეწეოდენ სპეციალურად „მაჭანკლობას“, შუამავლობას ე.ი. „მაშუალობას“.

მე მყავდა ერთი გარეშე ბიძა **—იოსება ბაჩია** *(ბაჩა გაჩეჩილაძეების ერთ-ერთი შტოს მეტსახელია – ე.გ.).* მისი ხელიდან არასფერი არ გამოვიდოდა არც თოხით, არც სასხლებით. ერთი ხელსაბიჯგი ჯოხი ჰქონდა, თითვან ჭარმაკი მოხუცი იყო და აქ ამას, ან იმას, ან ამ სოფელში, ან იმ სოფელში მიადგებოდა ეზოს ღობის რაგვზე და დაუძახებდა სამხრობის ცოტა უფრო გვიან: „მასინძელო!“ მასინძლები რომ გამოიჭვრეტდენ ძელურის ნაპრალებიდან და დაინახავდენ „სტუმარს“, მიიკუჭებოდენ. ყველამ იცოდა, რომ ეს კაცი და მისი ჯოხი არ მოისვენებდენ, მუდამ დარბოდენ და ცხოვრებდა ეს იოსება – ბაჩია სხვის ანგარიშზე. ჯოხი ცხენობას უწევდა ბიძია იოსებას.

მაგრამ იმისთანა არ იყო სტუმარი, რომ, ვისაც მიადგებოდა, მის „მიკუჭვას“ გაქცეოდა. ადრე თუ გვიან მიიგნებდა მასინძელს და შეეთინთლებოდა: შენთან ერთ დიდ საქმეზე მევედი და, აჰა, შენ იცი, როგორ ისარგებლებ ჩემი „მაშუალობითო“.

ნათქვამია: მწიფე ლეღვი ჯიბით არ შეინახებაო და, ვისაც მომწიფებული ცოლ-სათხოვი ჰყავდა, თუ გასათხოვარი, იმ წამსვე ყურადღებად გადაიქცეოდა და თან გადაჰყვებოდა „მაშუალს“. სადაც არ უნდა ყოფილიყო, არაყიც მაშინვე გაჩნდებოდა; ამას მოჰყვებოდა გოზინაყ-ტკბილისკვერი, ბიები და სხვ. ამას მოჰყვებოდა ვახშამი ცხელ-ცხელი მჭადებით, გომიჯებით, მრგვალი, მწიფე დედლით, შუმი ღვინით და სხვ.

ძალიან დიდ პატივში იყო „მაჭანკალი“ განსაკუთრებით მაშინ, თუ კარგი ოჯახის შვილზე ატეხდა ლაპარაკს. აქიდან თუ დასტურს მიიღებდა, ახლა მეორე მხარეს მიადგებოდა კარზე. იქაც ნახული ისტორია მეორდებოდა. საქმე იქამდი მივიდოდა ხშირად, რომ შეღერღილი სტუმარი ძილისპირებსაც გადაუკიდებდა და თანაც ხმის მიცემით ასწავლიდა მასინძელს, თუ როგორ უნდა მიეყოლებია მას

მოძახილის, ან მიებანა დვრინით. როგორც უნდა გამოსულიყო გალობა, მაინც სულყველას მოწონდა და აქებდენ „მაჭანკლის“ გალობას განსაკუთრებით დედა-კაცები: „ბეჩა ბატონო, კიდე შეგიძლია?“

ახლა დაინიშნებოდა დღე ქალ-ვაჟის ჩვენების სადმე დღეობაზე, სადაც თავ-თავის მასინძელი ეყოლებოდა როგორც ქალის, ისე ვაჟის მშობლებს. ყოველ შემთხვევაში დედ-მამის სურვილით უფრო სწყდებოდა საქმე, ვიდრე ქალ-ვაჟის ნებით.

როცა ორივე მხარიდან ნდომა გამოცხადდებოდა, ახლა ქალ-ვაჟის დედ-მამას შეაგებებდენ ერთმანერთს და მოხდებოდა მორიგება, ბარგ-ბარხანის, მზითევის მიცემა და სხვ. ხშირად იქვე ხდებოდა ნიშნობა – დედის, ან გათხოვებული დის ბეჭედს მისცემდა ვაჟის დედა, ან ვაჟის და ქალს. უწინ დროში კი „პატარა ხანჯალი“, რომელიც ვერცხლის ქამრით წელზე ჰქონდა შემორტყმული ქალებს (მეც მინახავს) იყო „სანიშნო დანა“.

ქორწილი ხდებოდა უფრო ქალის თავისახლს. ქალს ჰყავდა ქალი „მდადე“, ვაჟს „ვეზირი“, ქალს ერქვა „დედოფალი“, ვაჟს „ნეფე“ (მეფე). ვაჟს ახლდა მაყრები. ვაჟს დედ-მამა ჩვეულებრივად არ ახლდა.

როდესაც საქორწილო ქალ-ვაჟზე შემოიღეს სავალდებულოდ „მამაო ჩვენოს“ და „ათი მცნების“ ზეპირი ცოდნა და ახსნა, ძალიან დამძიმდა თხოვება-გათხოვების საქმე. მედავითნეს კი ახალი წყარო შემოსავლის გაუჩნდა: ამის მასწავლებლობა იმაზე მივარდა.

როცა „ნეფე-დედოფალს“ შეიყვანდენ ქალის დედ-მამის სახლის კარებში საყდარზე ჯვარ დაწერილს, ვეზირი იძრობდა ხმალს, ან ხანჯალს და კარის ჩარჩოს ზედა ნაწილში შეარჭობდა წვერით. მის ქვეშ გაივლიდა „ნეფე-დედოფალი“, წინ იქავე საინს დაუდებდენ ნეფეს ფეხ-ქვეშ; ის დაჰკრავდა ქუსლს და უნდა დაემტვრია. ჭიქით ტკბილ ღვინოს დაახვედრებდათ ქალის დედ-მამა – სამი წვეთი ერთს უნდა მოესვა, სამი წვეთი მეორეს. ეს მოხდებოდა სამჯერ. ამის შემდეგ მიუსხდებოდენ ლოგინის წინ გაშლილ სუფრებს.

პირველ ადგილზე დასვამდენ ნეფე-დედოფალს. ვეზირი მიუჯდებოდა ნეფეს, მდადე დედოფალს.

პირველ ღამის ქორწილის სუფრაზე ვაჟის მაყრებიდან უნდა აერჩიათ თამადა.

პირველი სავსე ყანწით, ან სარიოში ღვინით უნდა ედღეგრძელებინათ ნეფე-დედოფალი, ორივე ერთად, მერე ოჯახის პატრონები, მათი დედ-მამა, და შემდეგ შეიქნებოდა ხელჩართული სმა. პატარა რომ შეზალხოშდებოდა ხალხი და შეიქნებოდა ხმა-მაღალი კიჟინი, წამოდგებოდა ვეზირი და მიართმევდა ნეფე-დედოფალს „თავგადასაგდებს“. მოუწოდებდა სხვებსაც, ასე მოქცეულიყვენ.

ხშირად თავგადასაგდებლად მიართმევდენ ბეჭედს, ქინძისთავს ოქრო-ვერცხლისას, ბაღდათს და სხვ. უფრო კი ფულს.

როცა სმაში გაჯიბრება შეიქნებოდა, ვეზირი და მდადე ააყენებდენ ნეფე-დედოფალს და გაიყვანდენ „სანთიობოში“, მათთვის მომზადებულ ოთახში, სადაც ნეფე-დედოფალს დახვდებოდა ვახშამი, იმიტომ რომ წინადროებში ისინი მორცხვობით საერთო სუფრაზე არასფერს არ შეახებდენ ხელს.

აქ მდადე დედოფალს ჩაუგორებდა კალთაში ძუძუ მწოვარა ვაჟს და მიულოცავდა: ვაჟი მოგეცესო!

ნეფე-დედოფლის გაყვანის დროს ვეზირს აქიდან და იქიდან სვრიდენ ცხელ ღომის ნაჭრებს.

ქორწილი ხშირად თავდებოდა ხოლმე ბოთლობით ღვინის სმით, ჩხუბით და ხმალ-ხანჯლის ჩახა-ჩუხით.

მეორე დილაზე მაყრები მიივლ-მოივლიდენ მასინძლის მეზობლებში „საციქველზე“. სადაც შეხვდებოდენ ქათმებს, გოჭებსაც კი ჭოლოკებით დახოცავდენ და მოიტანდენ მასინძელთან დასმზადებლად სადილისათვის.

ხშირად ქორწილი გრძელდებოდა ხოლმე იმერეთში სამ დღეს.

1938 წ. 27/V, თბილისი.

§ 12. ვარლამ (ვალერი) გიორგის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა)

(დ. 1986 წ.)

სოფელ წევის ტოპონიმები და გაჩეჩილაძეთა გვარის შერძმეული სახელები

(წინამდებარე ნაშრომი ვალერიმ 16 წლის ასაკში, ზესტაფონის მე-6 საშ. სკოლაში სწავლის დროს, დაწერა და წარადგინა მოსწავლეთა 56-ე რესპუბლიკური კონფერენციის ქართული ენის სექციაში. ნაშრომმა კონკურსის ჟიურის დიდი ინტერესი გამოიწვია. ჟიურის თხოვნით, ვალერიმ განაგრძო აღნიშნულ თემაზე მუშაობა და შემდეგ წელს, მოსწავლეთა 57-ე კონფერენციაზე, იგი უფრო სრულქმნილი სახით წარადგინა).

ტოპონიმიკა არის მეცნიერება გეოგრაფიულ სახელთა (სოფლის, ქალაქის, მდინარის და სხვათა) წარმოშობისა და ისტორიული განვითარების შესახებmoyva

ტოპონიმები სიტყვებია, ენის ლექსიკური ერთეულებია და ამდენად მათი შესწავლა ენათმეცნიერების საქმეა. გეოგრაფიული სახელწოდებანი ენის განუყრელი ნაწილია და მათი წარმოშობა-განვითარების კვლევა, მნიშვნელობის დადგენა შეუძლია მხოლოდ მეცნიერებას ენის შესახებ.

ისმის კითხვა: რა არის ტოპონიმის მნიშვნელობა? ტოპონიმის მნიშვნელობა მდგომარეობს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტზე მითითებაში.

ტოპონიმისტისათვის არსებითია იმის გარკვევა, თუ რამ განაპირობა სახელდების მოტივი, რისი მონახვაც არც ისე იოლია. ტოპონმთა ანალიზისას ტოპონიმისტისათვის საინტერესოა მხოლოდ ის ფუძე, რომლისგანაც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი.

ტოპონიმთა მნიშვნელობისა და ფორმის დადგენა-გარკვევაში გასათვალისწინებელია ის ცვლილებები, რაც შეიძლება ტოპონიმმა განიცადოს. ტოპონიმებში, ისევე, როგორც საერთოდ სიტყვებში, შეიმჩნევა შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ბგერის გაჩენა, ბგერის გადასმა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით და ისტორიული მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია ტოპონიმთა ფორმათცვალებადობისა და მათი წარმოშობის კვლევა.

ეს ნაშრომი არ წარმოადგენს მეცნიერული ძიების შედეგს. დავინტერესდით რა ამ საკითხებით, ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით, წარმოვაჩინეთ იმერეთის ერთ-ერთი უძველესი სოფლის ტოპონიმები.

ზესტაფონიდან დაახლოებით 12 კმ. დაშორებით მდებარეობს სოფელი წევა. სოფელი მთაგორიანია, მოსახლეობის რიცხვი თანდათან მცირდება, ამას თავისი არსებითი მიზეზები აქვს.

სოფელი მაღალზეა, ხშირი ტყეებითაა დაფარული და ღრმა ხევებით დასერილი, ჰაერი საუცხოოა. ამ ხევებში გვალვიან ზაფხულშიც კი მოწანწკარებენ ნაკადულები. სასმელი წყლით შედარებით ღარიბია. სკოლის მახლობლად არის ბუნებრივი სასმელი წყალი, რომელსაც „ჭორნოულას“ ეძახიან. წყარო აგებულია მოხელე ეგნატე კახელის მიერ 1864 წელს. სოფლის ტერიტორიაზე იჭრება თიხა ცეცხლგამძლე აგურისათვის. მოიპოვება, აგრეთვე, ჭურჭლის დასამზადებელი თიხაც.

წევაში არის უძველესი ეკლესია – წმინდა გიორგის სახელობის. იგი აგებულია XI საუკუნეში. ეკლესიაში შემორჩენილია მე-16 - 17 საუკუნეების მოხატულობა. ეკლესიის აფსიდის მარცხენა ნახევარსვეტზე, იატაკიდან 1,3 მეტრის სიმაღლეზე, ამოკვეთილია სამ სტრიქონიანი წარწერა, რომელიც შესრულებულია ასომთავრულით (მხოლოდ ასო „ბ–ბანი“ არის ნუსხური). წარწერა ასე იკითხება ქარაგმების გახსნით: „კვირია ზიბზიბაძემ შევწირე კრამიტის ფასი ოცი მინალთუნი, ღმერთო, აცხონე“. ვინმე კვირია ზიბზიბაზეს ეკლესიისათვის გარკვეული დახმარება გაუწევია. ეს წარწერა ეკუთვნის გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს.

წევის ეკლესიას თავისი ძლიერებით გარკვეული ადგილი ეჭირა და ზოგიერთი გვარი მის მფლობელობასაც იჩემებდა. ამას მოწმობს მკვლევარ გ. ცქიტიშვილის მიერ საქართველოს ცენტრალურ არქივში მიკვლეული მასალა:

„ლომსიათ-ხეველი აზნაურების მოწმობის წიგნი, დათარიღებული 1817 წლის 24 ივლისით: ლომსიათხევსა შინა მცხოვრებნი კეთილშობილნი ვაძლევთ ამ მართალს მოწმობას... კეთილშობილს ილემს მცხოვრებ ერთობით მაჭავარიანებს... თავადი ქაიხოსროს ძე, ივანე აბაშიძე და დავით და გიორგი აბაშიძე-ღაბუაშვილი რომ დეობს: წევის ეკლესიაში პირველად ჩვენი გვარი დალოცვილიყოსო, რადგან ჩვენ ახლო მეზობლები ვართ და ვიცით მათი საქმე ჭეშმარიტებით, ამისთვის სიმრავლით ვმოწმობთ, რომ მამა-პაპობით და შთამომავლობით წევის ეკლესია ილმელი მაჭავარიანებისა არის საკუთრებით და არა აბაშიძეების: ბაგრატიონების მეფობაში ილმელი მაჭავარიანების მეტს აბაშიძის გვარს წევის ეკლესიაშიდ საქმე არა ქონდის რა, ესეც ვიცით: 28 ივლისს დღესასწაულს დღეს კვირიკობას... პირველი რომ მეფეს დალოცვიდენ, მას მერმეთ დათუა მაჭავარიანს და მის შთამომავლობას, და სახელდობრ, არას გვარს სხვას.“

ხალხური გადმოცემის მიხედვით აქ გადადიოდა გზა შორაპნის ციხიდან. სოფლის ბოლოს არის თვალუწვდენელი მინდორი, რომელსაც „ულევი“ ჰქვია. ვახუშტი ბაგრატიონს მოხსენებული აქვს წევა. ამბობს, რომ „სოფელს სამხრეთით ჩაუდის მდინარე ძირულა, რომელიც მდიდარია კალმახითა შიგან“. ამ სოფელზე უნდა ჩამოევლო ჭიათურის მარგანეცით დატვირთულ ურმებს და ჩაეტანათ ზესტაფონში.

სოფელში მისდევდნენ აღებ-მიცემობას. ამას ადასტურებს ქვითკირის ნანგრევები, რომლებშიც ძველად დუქნები ყოფილა: „სოფელ წევაში–წერს ალექსანდრე კელენჯერიძე წიგნში „გურჯები“–იმართებოდა ერთთვიანი ბაზრობა პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე. აქ მოდიოდნენ ხელოსნები და ვაჭრები საქართველოს ყველა კუთხიდან“.

სოფელში ყურადღებას იქცევენ გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით. აქ არსებულ შერქმეულ სახელთაგან შეიძლება გამოვყოთ ეგრეთ წოდებული გამჭვირვალე ტოპონიმები, როგორც ენის ლექსიკური ერთეულები, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. ჩვენ შევისწავლეთ სოფელ წევის ტოპონიმები. შერქმეულ გეოგრაფიულ სახელთაგან ბევრის მნიშვნელობა ნათელია.

1. ცალკე ჯგუფად გავაერთიანეთ ის ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ენისთვის უცნობია ან განსხვავებული გაგება ახლავს. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია რამდენიმე ტოპონიმი.

საკინთოურა (ტყე, საძოვარი) – მდებარეობს სოფლის სამხრეთით. სოფლის მკვიდრთათვის უცნობია ქართული სიტყვის კილო წარმომავლობა. თქმათა ლექსიკონში კინთოურა ასეა განმარტებული: საზამთრო ვაშლის ჯიშია, ბრტყელი მწვანე ნაყოფი იცის, გვერდწითელი.

ირკვევა, რომ ვაშლის ხის ეს სახეობა იყო გავრცელებული და ამან განაპირობა სახელდების მოტივი.

სასინგურე (საძოვარი) – სამშენებლო მასალისათვის სოფლის ტერიტორიაზე არის თიხა, იქვე კი წითელი მინერალია, რომელიც მხატვრობასა და ყოფა-ცხოვრებაში გარკვეული დანიშნულებით გამოიყენება.

„სინგური“ სიტყვის ფონი ქეგლ-ის მიხედვით აღნიშნავს წითელ მინერალს, რომლისგანაც იღებენ ვერცხლისწყალს. სა-ე პრეფიქს-სუფიქსი კი დანიშნულებას გამოხატავს.

ხუციმერა (სახნავ-სათესი) – გადმოცემის თანახმად, უწინ იქ ცხოვრობდა ხუცი, მღვდელი. არავის უშვებდა კუთვნილ ადგილში. ხალხმა მოგვიანებით ხუცის სამფლობელოს ხუციმერა შეარქვა, რაც ხუცის მიწას ნიშნავს.

განვიხილოთ ის მარტივი და შედგენილფუძიანი ტოპონიმები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა ნათელია.

თინაწილი (სახნავ-სათესი, საძოვარი) მდებარეობს სოფლის დასავლეთით. აღმოსავლეთით ესაზღვრება იარმუკა, დასავლეთით – ტყე. გადმოცემით ცნობილია, რომ ეს ადგილი საზიარო იყო, მათ შორის ყოფილა თინას კუთვნილი ტერიტორია.

რთული სიტყვაა, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ს“ დაიკარგა: თინას წილი – თინაწილი.

ნაყიდი (სახნავ-სათესი) – მას სამხრეთით თინაწილი, ხოლო ჩრდილოეთით ტყე ესაზღვრება. ადგილი ჯერ გაუყიდიათ, შემდეგ კი კვლავ უყიდიათ სოფლის მკვიდრთ. ტოპონიმი მარტივ ფუძიანია. ყიდვა არის ამოსავალი.

ორსხალი (საძოვარი) – სამხრეთით **გელაშვილების სერი** ესაზღვრება, ჩრდილოეთით – **პოლიექტორების ადგილი**. ძველად ორი მსხლის ხე მდგარა. (ადგილი ორ მსხალს შორის). რთულფუძიან ტოპონიმში „მ“ თანხმოვნის დაკარგვა მოხდა „რ“ ბგერის გავლენით, მსაზღვრელს კი „ი“ ხმოვანი მოეკვეცა. ორი მსხალი – ორ მსხალი – ორსხალი.

ოთხზიარი (სახნავ სათესი) – ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრება ტყე. ადგილი ოთხ კაცს ჰქონია საზიაროდ. რთულ ტოპონიმს ასეთი ცვლილება უნდა განეცადა: ოთხი კაცის ზიარი – ოთხის ზიარი – ოთხზიარი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ია“ დაიკარგა სიტყვათა შეერთების გამო.

საკუთრისთავი (საძოვარი) – სოფლის განაპირა ფერდობზე ყოფილა იგი ერთ-ერთი გლეხის კუთვნილება. რთული ტოპონიმია.

ულევი (საძოვარი) – ტყით შემოფარგლული გაშლილი, ვრცელი მინდორი. თავიდან ბოლომდე გასვლისას გზა თითქოს გრძელდება, არ ილევა.

გამჭვირვალე ტოპონიმი ბევრია წევაში: **საჯიხვია (გადასახტომი), საციხია (გორაკი), საკირიანი (სადაც კირს წვავდნენ), წისქვილა (ხევი), წინაველა (ველი), ბაჭულა (სახნავ-სათესი), თეთრა (საძოვარი)**. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მეორე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ იმერული დიალექტის ან ძველი ქართული ლექსიკის შემცველი ტოპონიმები.

აქ გაერთიანებულია ის ტოპონიმები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ენისათვის უცნობია ან განსხვავებული გაგება ახლავს.

წევა (სოფელი) – ტოპონიმის ეტიმოლოგიით დიდი ხნის წინათ დაინტერესებულან. საკმაოდ პოპულარულია გადმოცემა, რომლის თანახმად „წევას“ ზმნური ე-წევ-ი – „ველარ აათავებ“ ფორმა უდევს საფუძვლად. როგორც აღვნიშნეთ, სოფელი მაღალმთიან ადგილზეა შეფენილი, ძნელად ასაღწევია: ე-წევი აღწევ-ა წევ-ა. ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ ნიმუშში სხვათაშორის ნათქვამია:

„ამევიარე წევასა,
კაცი იჭერდა მწევარსა“.

მწევრებით ყოფილა ადგილი განთქმული. მწევარი მონადირე ძაღლია. „წევ“ ძირი აქვს და წარმოქმნილი სახელია პრეფიქს-სუფიქსური წარმოებით – მ-არ. ამ ორი ვარიანტიდან ძნელია რომელიმეს მივანიჭოთ უპირატესობა.

წიფლავაკე (სოფლის სახელწოდება) – წიფელი ხის ოშვიათი სახეობაა, ვაკე იმ ადგილს ჰქვია, რომელიც გაშლილია იქ, სადაც ახლა სოფელია გაშენებული, ოდესღაც წიფლნარი ყოფილა. ტოპონიმი ორფუძიანია: „წიფელა“ და „ვაკე“, წიფელას ვაკე – წიფელა ვაკე – წიფლავაკე. ჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგა, შემდეგ „ე“ ხმოვანიც.

ილემი (სოფელი) – უძველესი დროიდან სოფლის ადგილას ტყე ყოფილა – ხშირი და უსიერი. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშში მინიშნებულია, რომ აქ ირმები ყოფილან:

„ამევიარე ილემსა,
კაცი იჭერდა ირემსა“.

ამ მოსაზრებით „რ“ ბგერის დისიმილაცია (განმსგავსება) მოხდა: ირემი–ილემი.

შროშა (სოფელი) – სახელწოდების შესახებ ზეპირ წყაროებს შემონახული აქვს ხალხური ლექსი:

„ამევიარე შროშასა,
კაცი იჭერდა შროშანსა,
კაცო, რად იჭერ შროშანსა?
ასე სჩვევია შროშასა.“

არსებობს მეორე ვარიანტი: „შროშა, შროშა
შუადღემდე მოშრა,“

რომელიც დაკავშირებულია ნიადაგის თვისებასთან: შროშაში ნაწვიმარი მიწა ადვილად შრება. თვითონ სიტყვა შროშა უნდა წარმომდგარიყო შროშანისგან. კონკრეტულად ძნელია დადგენა იმისა, თუ როგორ მოხდა ეს.

გლინავღელე (ღელე) – ღელე პატარა მდინარეა, რუზე ცოტა მეტი. (ღელე – პატარა მდინარე, ჩავარდნილი ადგილი მინდორზე ან მთებს შორის (ქეგლ, გვ. 460).

გლინვა – გავარვარებული ლითონის ზოდის გატარება ორ მბრუნავ ლილვს შორის, მისთვის ამა თუ იმ ფორმის მისაცემად. შდრ. იგლინება, მგლინავი, ნაგლინი, საგლინავი, გლინვა გარდამავალი ფორმით ჩეჩქვას, ნაყვას ნიშნავს (ქეგლ, გვ. 149).

სოფელში მცხოვრები გაჩეჩილაძეები ჯაჭვაძეები ყოფილან ე.ი. მგლინავები. ამ საქმიანობის არსებობასთან ერთად გაჩნდა ტოპონიმიც. ღელე, წყლის სიუხვის მიხედვით რუს რომ აღემატება, აუცილებელი იქნებოდა ლითონის დამუშავებისას. ე. ი. შრომის პროცესში ჩამოყალიბებული რთული სიტყვაა და ნიშნავს ლითონის წრთობას წყლის მეშვეობით. ს.ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ გლინვა აიხსნება ასე – გველივით გაცოცხლება (გვ. 162). ამ შემთხვევაში ტოპონიმის შინაარსი შეიცვლება ასე: ღელის დინება არის მიხრილ-მოხრილი ისე, როგორც გველის მდგომარეობა სვლისას.

სოფლის ისტორიიდან გამომდინარე, პირველი მოსაზრება უფრო სანდოა – მგლინავთა ღელე – მგლინავღელე – გლინავღელე. მ – თავკიდური ბგერა და თანიანი მრავლობითის ნიშანი დაიკარგა.

ჭორნოულა (ვაკე) – ორ გორას შორის არის მოთავსებული ბუმბერაზი ხეებით დაჩრდილული ვაკე. ახლომდებარე წყაროს წყალი და პატარა ნაკადულის დინება აქ ერთგვარად შეჩერდება. ადგილი მუდამ სველია. იმერეთში ასეთ ადგილს ჭენჭყობს უწოდებენ. (შდრ. ჭენჭრობი არის კორდიანი წყალი, ნოტიო (საბა). შედარებების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭორნო ჭინჭყს ანუ სველ, ჭაობიან ადგილს ნიშნავს.

სარეცელა (ღრმა ხევი) – მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გაშლილ ადგილას წყლის სიღრმე 1 მეტრამდე იქნება. ფორმით სარეცელს ემსგავსება (სარეცელი ქვეშ საგებს ჰქვია (საბა).

ბარნალი (გორაკი) – მოიპოვება თმის ძირების სამკურნალო მიწა. თიხა იმდენად მკვრივია, რომ სამუშაო იარაღის დაუხმარებლად არ ხერხდება აღება. ბარით იჭრებოდა თიხა მიწა და გუნდებად ახმობდნენ. ასე არის ახლაც. ტოპონიმი რთულია, ორი ფუძისაგან შედგება – „ბარ“ და „ნალი“. უნდა ყოფილიყო ბარით ნავალი. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგა, შემდეგ „ა“ ხმოვანი, ბოლოს კი „ვ“ თანხმოვანიც ამოვარდა.

ბარით ნავალი – ბარნავალი – ბარნავლი – ბარნალი.

წინწკილა (წყარო) – წყლის ნაკადის ხმის მიბაძვით მიღებული სახელია. მოწანწკარებს – ნიშნავს, რომ ცოტა წყალი გამოდის, ძლივს მოწინწკილობსო – იტყვიან იმერეთში. წვიმის წვეთებზე – წინწკლავსო.

მესამე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ უცნობი მნიშვნელობის ტოპონიმები.

ძირულა (მდინარე) წყალუხვი.

ღვალღვანა (წყარო) სოფლის დასავლეთით მდებარეობს.

დევისამოური (ტყე, საძოვარი) მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ირგვლივ ტყე აკრავს.

საკინთოურა (ტყე, საძოვარი). სოფლის სამხრეთით მდებარეობს. ჩრდილოეთით ესაზღვრება წევა, სამხრეთით მდინარე ძირულა.

წყაროკალი (ტყე). წყაროებით უხვი ადგილი ყოფილა. ცეცხლგამძლე აგურისათვის თიხის ამოღების შემდეგ დაკარგულა ის წყაროები.

სოფელში მცხოვრებზე არის გასახელება:

ღიღინა – მათ თურმე კარგი სიმღერა ცოდნიათ.

ფრიტი – ამ გასახელების მქონე ადამიანებს ჰაერივით ფარფატა სიარული სჩვეოდათ.

ჭიჭილი – ამ გასახელების ადამიანებს ღვინის სმა უყვართ და თანაც – ჭინჭილით.

ლანჩავა – ეს ხალხი მსუქანი ჩამომავლობისანი იყვნენ, რადგან ერთ-ერთ ზეპირსიტყვიერების წყაროში მოხსენიებულია:

„ისე გასუქდა ლანჩავა
ჯვალოს მეშოკში არ ჩავა“.

ნაღველა – ამ ჩამომავლობის ხალხს პირისფერი ნაღველს მიუგავდათ.

ბათმანა – მათ აღებ-მიცემობა რაიმნე ჭირნახულის ბათმანით უყვარდათ.

ნოღა – შესახედად პირქუში ადამიანები იყვნენ.

ცივი – უკარება, ცივგულიანი, უმეზობლო ხალხი იყვნენ.

კვატკვატა – როგორც შინაურ ფრინველს – კვატს სჩვევია, ისეთი სიარული სცოდნიათ.

ღველფიანი – მათ ღველფში, ანუ ნაცარსა და ნაკვერჩხალში გამომცხვარი პური და ჭადი უყვარდათ. ამ სახეობის პურს კი ჩვენში კუტ პურს ეძახიან.

კეწერა – მაღალი, ალვის ხესავით ტანწერწეტა აგებულების ხალხი ყოფილან.

ძაღლუა – მათ მეზობლებთან ჩხუბი და დავიდარაბა სჩვეოდათ.

უწვავი – ისეთი უმეზობლო, უგულო ხალხი ყოფილან, მათ შესახებ ამბობდნენ: – ცეცხლში რომ ჩააგდო არ დაიწვებაო.

ბელტიყლაპია – ჭამა ჰყვარებიათ.

არის კიდევ მეტსახელები: **ბუღა, ბოყვი, სუქსუქი, ქშუტუნი, ლულია, წველა, ბაჩა, კრეჭია, ჩიჩინა, ქოსა, რერო და სხვა.**

აღნიშნული მასალის შეგროვებაში დაგვეხმარნენ: მიხეილ გაჩეჩილაძე (75 წლის), გიორგი გაჩეჩილაძე (53 წლის), აზა გაჩეჩილაძე (53 წლის).

§ 13. *ეკატერინე გაჩეჩილაძე*

სოფელ წევის და მისი მიდამოების გეოგრაფიულ სახელთა შესახებ

ვარლამ გაჩეჩილაძის ნაშრომის გარდა, წევისა და მისი შემოგარენის ტოპონიმები დასახელებულია სევასტი გაჩეჩილაძის* ნარკვევში „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“: **„ყვილიპირი“, „ხშინალი“, „ქანდარა“, „ეწერი“, „თეთრაწვერი“ „მოქუშნული“, „იარმუკა“, „კობახოური“, „ჭალა“, „კლდეკარა“, „წითელი კლდე“, „ლაშიანი“, „ბარდნალი“** (აღსანიშნავია, რომ ბოლო ტოპონიმი ვარლამ გ-ძეს მოყვანილი აქვს, ასეთი ფორმით – „ბარნალი“ და მისი განმარტებაც უცდია, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი სევასტის იგი უფრო სწორი, თავდაპირველი, ფორმით აქვს ნახსენები [**ბარდნალი** ბარდებით დაფარული; **ბარდ**-ი ბუჩქების ან ბალახეული მცენარის გართხმულ-გადახლართული ღეროები. *მაყვლის ბარდები, – გოგრის ბ.. ქეგლ, ერთტომეული, გვ. 57*)] . დროთა განმავლობაში, სიტყვიდან „დ“ ბგერა ამოვარდნილა...

ბ-ნ სევასტის, ნაშრომში „ქართველი ხალხის ისტორია“ (მეოთხე რვეული)[1], მოყვანილი აქვს წევის და მის ახლოს მდებარე ადგილების სხვა ტოპონიმებიც: **„დეისამაური“,** ე. ი. დევის მამული, **„ხან-დევი“, „დევის ხვრელი“ “, „დევის ნამუხლი“...**

აღსანიშნავია, რომ ვარლამ გ-ს, ტოპონიმი, რომელსაც ბ-ნი სევასტი ასე წერს – **„დეისამაური“,** განსხვავებული ფორმით აქვს წარმოდგენილი – **„დევისამოური“.**

1550-1570 წლებით დათარიღებულ „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში“[2] ეს სახელი ასეთი ფორმით გვხვდება – **„დეისმამაური“.** ოღონდ აქ, ამ სახელით, გლეხების ორი ოჯახი იხსენება. არ გვგონია, რომ ეს მათი გვარსახელი იყოს (ასეთი გვარი არც ისტორიულ წყაროებში და არც თანამედროვეობაში გვხვდება). ალბათ, ამ შემთხვევაში, გლეხები იმ მამულის სახელით იხსენებიან, რომელსაც ისინი ფლობდნენ: „**არის შეწირული ღმრთისათვის და მის წმიდათათვის და**

წმიდის გიორგის წევისათვის სააღაპოდ ჩემის სულისათვის საყდართან ლომინის მოსყიდული პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად, მახარებელი გაჩეჩილაძე და მისი განაყოფური და ორ გლეხად, დეისმამაური და მისი განაყოფური. რაც სხუას წეველს კაცსა მართებს, ისი ამათ მართებს“.

წევაში არის შემდეგი ტოპონიმებიც: **„ხბოსთავების სერი“, „ლანჩავების სერი“, „სამხარაძეების სერი“, „ოთიაშვილების უბანი“**...

ზოგ ტოპონიმს ხალხი სხვადასხვაგვარად ასახელებს – ვინც როგორ აღიქვამს მოსმენილს. მაგალითად: ზემოხსენებულ ტოპონიმს **„დეისმამაურს“**... (იხ. ზემოთ); წევის ბაზრობის ადგილს (რუსული სახელწოდება **„იარმარკა“**) ზოგი **„იარმუკას“** ეძახის, ზოგი **„იარმურკას“**, ზოგი **„იარუნკას“** ან **„იარუმკას“**[3]...

ბ-ნ სევასტის დასახელებული აქვს ჰიდრონიმებიც: **„ლაშიანის ღელე“, „ჭონოულა“, „ღვალვანა“, „უბიანის წყალი“, „ნაყიდის წყარო“.**

ქ-ნი გუგული გაჩეჩილაძე* (1917-2004), გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში (იხ. წინამდებარე წიგნში გვ. 319), ახსენებს წევის ჰიდრონიმებს: **„ქვეითწყარო“, „ნათლიწყარო“, „ჭურიწყარო“**. ამათ გარდა წევაში ყოფილა სხვა წყაროებიც, მაგ.: **„პავლია გულწითელას წყარო“**, **„ლაშიანის წყარო“**, **„ლანჩავების წყარო“** *(ჰიდრონიმები მოგვაწოდა აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძემ*)*, **„ვიქტორიას წყარო“** (ვიქტორ გაჩეჩილაძე-ლულია-ს საცხოვრებელი ადგილის ახლოს...) *(ჰიდრონიმი მოგვაწოდა თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძემ*)*, **„გურგენიძეების წყარო“**... (შესაძლოა, ამ ჩამონათვალში, სხვადასხვა სახელით, ერთი და იგივე წყარო იყოს ნახსენები – სხვადასხვა დროს, მათ შეიძლება სხვადასხვა სახელი ერქვათ...).

„გლინავღელე“ – არ არის გამორიცხული, ხსენებული ღელის სახელი ბეღურასნაირთა ოჯახის წარმომადგენელი ფრინველის – ‘მგლინავის“ სახელთან იყოს დაკავშირებული[7]. თავიდან, ამ ღელეს, შესაძლოა, მგლინავთღელე ერქვა...

ვარლამ გ-ძის ნაშრომში ნახსენებია ვაკე ადგილი **„ჭორნოულა“** და ამავე დასახელების წყარო და მოყვანილია ვარაუდი, რომ ჭორნო, შესაძლოა სველ, ჭაობიან ადგილს ნიშნავდეს. აღსანიშნავია, რომ ბ-ნ სევასტის და ქ-ნ გუგულის ამ ადგილას მდებარე წყარო **„ჭონოულას“** სახელით აქვთ ნახსენები. ალბათ, თავდაპირველად, წყაროს სახელდების მოტივი მისი რაკრაკის ჭონას სიმღერასთან შედარება იყო, შემდეგ კი წყაროს სახელის მნიშვნელობა, ალბათ, მასთან შეკრებილი ხალხის „ჭორაობასთან“ დააკავშირეს და იმ ვაკე ადგილს და წყაროსაც **ჭორნოულად** იხსენიებენ...

ზევით დასახელებული ტოპონიმების და ჰიდრონიმების უმრავლესობის მნიშვნელობა ნათელია. არის რამდენიმე შედარებით რთულად გასაგები ტოპონიმიც მაგ.: **„ყვილიპირი“, „ხშინალი“, „მოქუშნული“, „ხან-დევი“, „ლაშიანი“.**

სახელი **„ხშინალი“** (ვერ დავადგინეთ, რომელ ადგილს ერქვა), შესაძლოა, სიტყვა „ხში**რ**ნალიდან“ იყოს ნაწარმოები – „რ“-ს ამოვარდნის შედეგად, ისევე როგორც „ბარ**დ**ნალიდან“ – „ბარნალი“ – „დ“-ს ამოვარდნის შედეგად.

„ხან-დევი“ სოფ. მირონწმინდასთან მდებარე კლდის სახელი ყოფილა. „ხან-დევი“ დევის დასასვენებელ ადგილს ნიშნავს[4]. ამჟამად ტოპონიმ „ხან-დევი“-ს მნიშვნელობა მივიწყებულია და ამ კლდეს **„ხანდების“** კლდეს ეძახიან; **„ხანდები“** რქმევია, ასევე, ყანას უჩამეთში. *ქ. ძოწენიძე, გვ. 616.*

„მოქუშნული“ (ვერ დავადგინეთ, რომელ ადგილს ერქვა) უნდა ნიშნავდეს იგივეს, რასაც **„მოქუშული“,** ანუ 1. ვინც ან რაც მოიქუშა; დაბღვერილი, მოჭმუხნილი, მოღუშული[5]...

„ლაშიანი“ ადგილი სადაც ლაშეა. **„ლაშე“** ტალახი, ლაფი[6]. **„ლაშე“** მლაშესაც ნიშნავს... (ალბათ, ამ ადგილის მცოდნეები დააზუსტებენ, ეს ტოპონიმი წევაში „ტალახიანს“ ნიშნავს თუ „მლაშიანს“...).

„ყვილიპირი“ – რევაზ ანდროს ძე გაჩეჩილაძე-პაპუჭელაშვილმა* (დ. 1928წ.) გვითხრა, რომ ყვილიპირი ეწოდებოდა, სოფ. წევის კუთვნილ, მდინარე ყვირილას პირას მდებარე ტერიტორიას...

იმედია, ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ შემდგომი შემადგენლობა შეავსებს, ჩვენს წიგნში გამორჩენილ, წევის გეოგრაფიულ სახელებს და დააზუსტებს

ზემოხსენებული სახელების მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. ს. გაჩეჩილაძე, „ქართველი ხალხის ისტორია“ (მეოთხე რვეული, 1942 წ. 16/X თბ.), ხელნაწერი ინახება ს.გ-ს შვილიშვილის, დავით ახრახაძის, ბინაში. ჩვენ ეს ნაშრომი გადმოწერილი გვაქვს და მას შეგიძლიათ გაეცნოთ საგვარეულოს არქივში).

2. ს. კაკაბაძე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 24/5. ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნი (1550-1570 წწ.).

3. რ. გაჩეჩილაძე, წეველი ზიკილიელები, თბ., 2003, გვ. 5.

4. ნ. ბერძენიშვილი: „სოფელი ხანი ზეკარ–ბაღდათს შორის მოწმობს, რომ აქ გზაზე იყო ხანი, ე. ი. მგზავრების სადგომი ქარვასლა, ასპინძა, იამი, მანძილი, სადგური“. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 118.

5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.V, თბ., 1958, გვ. 1004.

6. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 217.

7. გ. დოლიძე, როგორ ვუმკურნალოთ მცენარეს, თბ., 1991, გვ. 36; ქსე, ტ. VI, გვ. 527.

§ 14. გაჩეჩილაძეების ბუნთა მეტსახელები (ძვეგვარები)

1. ბაგრატა	27. კუნკურახი	53. ღიღინა
2. ბათმანა	28. კურკია	54. ღლაკნა
3. ბელტიყლაპია	29. ლანჩავა	55. ღორისთავი
4. ბორბალა	30. ლობიო	56. ჩიჩინა
5. ბორიო	31. ლოპანელი	57. ჩომა
6. ბოხორიკი	32. ლუთუნი	58. ჩუმანკა
7. ბუკური	33. ლულია	59. ცეტი
8. ბურდუხა	34. მაღალი	60. ცმუტი
9. ბუღაშვილი	35. მუნძუა	61. ცონცობა
10. ბღოჭიალა	36. ნაღველა	62. ძაღლუა
11. გოგება	37. ნოღა	63. წეწკია
12. გულწითელა	38. ოთიაშვილი	64. წველა
13. გუნდაეთელი	39. პაპუჩელაშვილი	65. წრიაპელა
14. ზურგა	40. პუწკიტა	66. წუნწკლიანი
15. თავბრტყელა	41. რეკავა	67. წუწუკო
16. თომაშვილი	42. რერო	68. ჭიმატი
17. თხაჭამია	43. სუქსუქი	69. ჭიჭილი
18. კეწერა	44. სქელი	70. ჭოლპოტი
19. კვატკვატა	45. უთო	71. ჭროჭინა
20. კვაწაპა	46. უწვავი	72. ხბოსთავა
21. კვიცინა	47. ფაღავა	73. ხიხინი
22. კოტრიალა	48. ქანქლია	74. ხმელი
23. კრეჭია	49. ქეჩუა	75. ხრაკი
24. კრუა	50. ქშუტუნი	76. ხრაპა
25. კრუხი	51. ღველფიანი	
26. კუდა	52. ღვირძლი	

შეკრიბეს: დავით (ღუტო) ვარლამის ძე გაჩეჩილაძემ (ღიღინა) და შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძემ (ოთიაშვილი).

მათ მიერ შეკრებილის გარდა, სხვადასხვა წყაროებში *(სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძის* და ვარლამ გიორგის ძე გაჩეჩილაძის ზემოთ მოყვანილ ნაშრომებში, მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის* ჩანაწერებში, ჩვენს მიერ შეგროვილ საანკეტო მონაცემებში და საგვარეულო ლეგენდებში)* ნახსენებია, აგრეთვე, გაჩეჩილაძეთა

შემდეგი ქვეგვარები:

77. ბაჩა	86. კვახია	95. მწარე კვახი
78. ბოყვი	87. კირწა	96. ოქროპირი
79. ბუღა	88 კნაჭა	97. უსისხლო
80. გედევანი	89. კოდლები	98. ფრიტი
81. დურთა	90. კოკები	99. ფხალი
82. თაფლე	91. ლაქლაქა	100. ქოსა
83. იფრითი	92. მეწურბლე	101. ყეფია
84. კანჭი	93. მოლოქაშვილი	102. ცივი
85. კვაწნა	94. მურთაქა	103. წიწილი

(ამ შტოთაგან ამჟამად ზოგი აღარ არსებობს, მაგალითად მოლოქაშვილები, რომელთა 30 სულიანი ოჯახი, XIX საუკუნის II ნახევარში, მაჭავარიანებთან დაპირისპირებას შეწირვია...).

ჯაჭვაძეების ქვეგვარებია:

1. ბუღაშვილი, 2. დრუქუნიანთი, 3. ზაკალაანთი,
4. კირკიტაანთი, 5. სტაქანაანთი და სხვა.

ე. გ.

§ 15. *ეკატერინე გაჩეჩილაძე**

შენიშვნები გაჩეჩილაძეების ბუნთა მეტსახელების (ქვეგვარების) შესახებ

ადამიანებს მეტსახელებს, ალბათ, უხსოვარი დროიდან არქმევდნენ. ჩვენი მოგვარეებისათვის მეტსახელების შერქმევის გაინტენსიურება და წინაპართა მეტსახელების ბუნთა- მეტსახელებად (ქვეგვარებად) ჩამოყალიბება, სავარაუდოდ, XVIII სს. II ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო, როცა სოფ. წევაში მოსახლეობა მომრავლდა და ერთი სახელის, გვარისა და მამის სახელის მქონე ადამიანების ერთმანეთისაგან გარჩევის აუცილებლობა გაჩნდა.

ეს მეტსახელები, გარკვეულ ინფორმაციას შეიცავენ ჩვენი წინაპრების შესახებ, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა მათი მნიშვნელობის ცოდნა.

მეტსახელად გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა ამჟამად აღარ ან იშვიათად იხმარება. ზოგ მათგანს ლექსიკონებში რამდენიმე განმარტება აქვს. ზოგს კი – ლექსიკონში მოყვანილი, ფონეტიკურად მსგავსი, სიტყვებისაგან რამდენადმე განსხვავებული ფორმა და შინაარსი. საჭიროა მეტსახელების შერქმევის მოტივების გარკვევა, რათა მათი მნიშვნელობა სწორად გავიგოთ. ეს დროულად არის გასაკეთებელი, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია ამ საკითხზე ინფორმაციის მოძიება...

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ქვეგვარის წარმოქმნის მოტივის შესახებ მოვიძიეთ ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ მოგაწვდით. დანარჩენ ქვეგვართა მნიშვნელობებისა და შერქმევის მოტივების გარკვევაში, იმედია, ჩვენი მოგვარეები დაგვეხმარებიან.

რამდენიმე შემთხვევაში ქვეგვარად გამოყენებულია ადამიანის (მეტსახელად ამ შტოს წინაპრის) სახელი, ან მეტსახელი) მაგ.: **ბაგრატა** (№ 1), **გოგება, ოქროპირი, გედევანი**. *(გაჩეჩილაძე-გოგებების შტოში „გოგება“[4] სახელად არავის ერქვა, როგორც ჩანს, გოგება მათი ერთ-ერთი წინაპრის მეტსახელი იყო...).*

რამდენიმე ქვეგვარს, უკვე დამოუკიდებლად არსებული, გვარის ფორმა აქვს, მაგ.: **ბუკური, თომაშვილი, ლანჩავა, ოთიაშვილი, პაპუჩელაშვილი, ფაღავა**. ამ ტიპის

მეტსახელების შერქმევას, როგორც ჩანს, სხვადასხვა მოტივი ედო საფუძვლად, მაგ.: ზოგჯერ, შესატყვისი გვარის მქონე ადამიანთან, რაიმე ნიშნით, მსგავსება – **ლობიოების** შტოს ერთ-ერთი წარმომადგენლისათვის, XX სს. II ნახევარში, **ფაღავა** შეურქმევიათ, შესაძლოა, რეჟისორ ა. ფაღავასთან ან რომელიმე სხვა ფაღავასთან მსგავსების გამო.

გაგვიგონია, რომ **ლანჩავებს** ასეთი ქვეგვარი იმიტომ შეერქვათ, რომ მათი წინაპარი, თურმე, ფეხსაცმლის ლანჩებს ამზადებდა (თუმცა, ვერ დავადგინეთ, სახელდობრ რომელი წინაპარი მისდევდა ამ საქმიანობას...).

თომაშვილებს, ოთიაშვილებს, პაპუჩელაშვილებს შესაბამისი სახელის მქონე წინაპარი ჰყავდათ. **ბუკურები**, იმედია, თვითონ გვაცნობებენ თავიანთი ქვეგვარის შერქმევის მოტივს.

სადაურობის აღმნიშვნელი მეტსახელები **გუნდაეთელი** და **ლოპანელი** ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენლებმა, 2000-იანი წლების დასაწყისში, შევარქვით სოფ. გუნდაეთში (XIX სს ბოლოს) და სოფ. ლოპანში (1914 წელს) ჩასახლებული ჩვენი მოგვარეების შთამომავლებს *(სოფ. ლოპანაში ჩასახლებული გაჩეჩილაძეები, მანამდე, სხვადასხვა „შტოების“ წარმომადგენლები ყოფილან: თაფლეები, ხბოსთავები, მეწურბლეები...).*

ბათმანა გაჩეჩილაძე-ოთიაშვილების ერთ-ერთი განაყოფი შტოსათვის ასეთი ქვეგვარის შერქმევის მოტივი განმარტებულია ლეგენდებში № 79 და № 80,იხ. გვ. 183.

ბაჩა დაბალი,ტანმორჩილი ადამიანი *(ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 47)...*

ბელტიყლაპია ამ შტოს წარმომადგენლები ტანმაღლები არიან, მათ წინაპრებს დიდ-დიდი ლუკმებით ჭამა ჰყვარებიათ...

ზოგჯერ სიტყვის, ლექსიკოში მოყვანილი, განმარტება და გაჩეჩილაძეთა ბუნის სახელმდებლის მიერ მისი გააზრება ერთმანეთისაგან განსხვევდება მაგ.:

ბორბალა ამ სიტყვას ლექსიკონებში რამდენიმე განმარტება აქვს *[ბოტ. ხარისთვალა (იხ. მაყაშვ). მარადმწვანე ჩირგოვანი მცენარეა, ბრტყელი ფოთოლი აქვს გაზაფხულზე ალისფერ ყვავილს იძლევა (ჩიხა). (შდრ. ყდ.,განმარტ. ლექს.) –ქ. ძოწენიძე, გვ. 52;* **ბორბალა** *1). ძვ. ობობა, დ. ჩუბინ. 2.) მსხლის ჯიში 3). სახელი მთისა... თუშეთის, კახეთისა და ფშავ ხევსურეთის საზღვარზე. ქეგლ, ტ. I, გვ. 1102],* გაჩეჩილაძეების ერთ-ერთი შტოს წინაპარს კი ეს სახელი იმის გამო შერქმევია, რომ „იგი, თურმე, სულ ცეკვავდა“ (იხ. ლეგენდა № 81, გვ. 184).

ბორიო I. ცივი ძლიერი ქარი; II. კუთხ. (იმერ.) უთავბოლო კაცი. *(ქეგლ, ტ. I, თბ, 1950, გვ. 1104).* II განმარტება უფრო საგულვებელია.

ბოხორიკი). ლექსიკონებში ასეთი სიტყვა ვერ მოვიძიეთ. არის ფონეტიკურად მსგავსი სიტყვები: „**ბოხრიკოფს** წვალობს, ჯახირობს“. *ქ. ძოწენიძე, გვ. 55;* „**ბოხვერა** (ბოხვერასი) იგივეა, რაც ბოკვერა“... *ქეგლ, ტ. I, გვ. 1119;* „**ბოხორო**“ ფუღურო (ამ ხეს ბოხორო აქ). *ქ. ძოწენიძე გვ. 636.* დავით გ-ძის განმარტებით, მეტსახელი „**ბოხორიკი**“ გაჩეჩილაძეთა ერთ-ერთ შტოს იმიტომ შერქმევია, „რომ ისინი მაღლები, ახოვანები იყვნენ“ (იხ. ლეგ. №81, გვ. 184).

ბოყვი // ბაყვი 1. ბარძაყის შიგნითა მხარე, – ბაყვი... 2. ხის (ცაცხვის ან ბლის) ქერქისაგან მოწნული ჭურჭელი, რომელსაც ტკეჩის ძირი აქვს... *ქ. ძოწენიძე, გვ. 54-55;* **ბოყვი** 1. შენობის კუთხეებში საძირკველ-სარტყელს შორის ვერტიკალურად დაყენებული, კედლების მიმართ სწორკუთხად ამაღლებული მომსხო ხე, რომლის ამოღარულებში კედლის ფიცრების თავები მაგრდება. სახლს, სულ ცოტა, ოთხი უნდა... 2. ხის ქერქისაგან შეკერილი ჭურჭელი... *პ. გაჩეჩილაძე, გვ. 26.*

რადგან გაჩეჩილაძეების შტოების მეტსახელებად ადამიანის სხეულის ორგანოების სახელებიც გვხვდება [ღვი(რ)ძლი, ნაღველა, კანჭი], სავარაუდოა, რომ სიტყვა „ბოყვის“ I. მნიშვნელობა იყოს სწორი. შერქმევის მოტივს ალბათ ამ შტოს წარმომადგენლები გვაცნობებენ... ე.გ.

ბურდუხა ასეთი სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. მსგავსი სიტყვებია: **ბურდო** ფეტვის ნალეწი ანუ ბზის მტვერი. *ნ. ჩუბინაშვ, გვ. 157;* **ბურდ-**ი ჩირგვი *(იხ. ქავთ.) იხ. ბურდნალი;* **ბურდნალი** ჩირგვნარი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 60;*

რადგან სიტყვაში „ბურდუხა“ გამოყენებულია რუსული სახელების კნინობითი ფორმის მაწარმოებელი „**ха**“ სუფიქსი, ვფიქრობთ, რომ, შესაძლოა, ეს სიტყვა რუსული სიტყვიდან იყოს ნაწარმოები: **бурдюк** ტიკი, კუპრიელი, თხიერი, რუმბი, კოლოტი; **б. для воды** თულუხი; **бурда** ბურდო, ლექი,თხლე,ნაძირალი,ალაბულა; 2. მღვრიე სასმელი ჟოქო,წყალწყალა ღვინო. *რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1937, გვ. 37.*

ბღოჭიალა ლექსიკონში ეს სიტყვა ვერ მოვიძიეთ. ჩვენი რამდენიმე მოგვარის აზრით, ის უნდა მიშნავდეს ისეთ ადამიანს, რომელიც გაჭირვებით გადაადგილდება (ცხოვრების „სარბიელზე“ ან სივრცეში), სხვადასხვა „საშუალებას“ „ებღაუჭება“, რათა „გადაადგილდეს“...

დურთა. დურთავ-ს (დურთა, უდურთავს) საუბ. გრდმ. იხმარება გამოთქმაში თავს დურთავს ერთბაშად გავარდება, გაიქცევა, მოკურცხლავს, თავს უშველის... *ქეგლ, ტ. III, გვ. 1239.*

იფრითი. [**იფრატ-ი** უსწორო, დაბრეცილი, გამრუდებული, – აფრაკი. (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1. ტერმ. დააფრაკება, ალავიძე ოკრ. **იფრიტი**). *ქ, ძოწენიძე, გვ. 178* ; **აფრაკათ არის** მოისულელებს... *ქ, ძოწენიძე, გვ. 34.*

კეწერა (კეწერისა) ბოტან. მაღალ მთებში გავრცელებული მიწაზე განრთხმული, განშტოებულ-ღეროებიანი პატარა ბუჩქი, აქვს წითელი ყვავილი და წვნიანი შავი ნაყოფი. *ქეგლ, ტ. IV, გვ. 1155;* **კეწერი** – ხის ტოტის წვერი – საბა) შდრ. კენწერო. *ქეგლ, ტ. IV, გვ. 1155;* გაჩეჩილაძეთა ამ დასახელების ბუნის სახელმდებელს კი ეს სიტყვა მაღალი-ს მნიშვნელობით გამოუყენებია: როგორც ვარლამ გ-ძე განმარტავს, „**კეწერები** – მაღალი, ალვის ხესავით ტანწერწეტა აგებულების ხალხი ყოფილან“ *(იხ. გვ. 152).*

კვაწნა იგივეა რაც კვანწვა. **კვანწვა** – ქალების ცეკვაში (ხელების, ტანის) მოხდენილი მოძრაობა... *ქეგლ, IV, გვ. 1163.*

კვაწაპა ეს სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. არ ვიცით,შეიძლება თუ არა მას კავშირი ჰქონდეს სიტყვასთან კვაწია. **კვაწია** ლობიოს მოსახარში თიხის პატარა ქოთანი (იხმარება მთელს იმერეთში). *ქ. ძოწენიძე, გვ. 193.*

კირწა კირწი – ყუნწი... *ქ. ძოწენიძე, გვ. 199.*

კნაჭა (კნაჭასი) ძალზე გამხდარი მჭლე, სუსტი. *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 266;* **კნაჭავს** – პარსავს. ცხვარი გავპარსე... *ქ. ძოწენიძე, გვ. 200.*

კოდლები (კოდალი – კოდალა იგივეა, რაც კობალი. **კობალი** – ფრინველის ფრთის (მხრის ძირი). *ქ. ძოწენიძე, გვ. 179;* **კოდალ-**ი პატარა, საბავშვო, წვერწაუმახვავი ისარი (იციან იმერეთსა და გურიაში)... *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 266.*

კოკები. კოკა – ღვინის საწყაო 32-40 ლიტრი ტევადობისა... *ქ. ძოწენიძე, გვ. 202.*

კრუა მამაკაცის სახელია ხევსურული *(იხ. ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 187);* **კრუა (კრუასი)** რევოლუციამდე *(1917 წლის –ე. გ.),* უსახლკარო, ბოგანო, ლტოლვილი, ჩვეულებრივ, გადმოხვეწილი თურქეთიდან, მეტ-წილად ქურთი... *ქეგლ, IV ტ., გვ. 1391.*

კუნკურახი ასეთი სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. სავარაუდოდ, ამ სიტყვას, შესაძლოა ჰქონდეს სიტყვა „კუნიახი“-ს მსგავსი შინაარსი **კუნიახ-**ი ავი, კაპასი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 210;* **კუნიახი** გულღრძო, უშმური, *პ. გაჩეჩილაძე, გვ. 86;* სიტყვას **კუნკურახი**, ზუსტად ამ ფორმით, ჩვენი ბებია, ეკატერინე გელაშვილი, უჯიათ-ის მნიშვნელობით ხმარობდა. **უჯიათ-**ი 1. გაუგონარი, შეუსმენარი, თავნება, ჯიუტი,კერპი. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი. *უ. ხასიათი. – უ. ლაპარაკი. ქეგლ, ერთტომეული, გვ. 440.*

ლუთუნი ძლიერ ქონიანი ხორცი... *ქ. ძოწენიძე, გვ. 223.*

ლულია. ლულ-ი **სიცხის ლული** მიწიდან ადენილი სიცხით გავარვარებული ჰაერი, – დიდი სიცხე, ბუღი; **ცრემლის ლული** – მწარე ცრემლი; **ოფლის ლული** – მწარე ოფლი; **ცოდვის ლული** 1). დიდი ცოდვა, საცოდაობა, დიდი უბედურება. რა ცოდვის ლული ტრიალებდა; 2. საცოდავი, ძალიან ცოტა; **ლულვა** (ლულვისა) სახელი ლულავს ზმნის მოქმედებისა, – ოდნავ დახუჭვა, ნაბვა (თვალებისა), თვალების ლულვა. *ქეგლ, ტ. IV, გვ. 1591.*

ქ-ნ ციური ნიკოლოზის ას. გაჩეჩილაძე - ლულიას** თქმით, „ლულია“ მის საგვარეულო შტოს იმიტომ შერქმევია, რომ ისინი „თოფის ლულასავით შავები არიან“ (იხ. ლეგ. № 83, გვ. 184)...

ივ. ჯავახიშვილს, ქართველი ერის ისტორიის შესავალში[11] მოყვანილი აქვს ე. ფორერერის აზრი, რომ ხეთურ და ზოგ სხვა ძველ წინააზიურ ენაზე „ლულია“ წყაროს ნიშნავს. გამომდინარე იქიდან, რომ გაჩეჩილაძე-ლულიების როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი საცხოვრისი წევაში წყაროს ახლოს მდებარეობს და იქ ვიქტორ ლულიას სახელობის წყაროც კი არსებულა – „ვიქტორიას წყარო“, მკვლევარმა, რომელსაც ზემოხსენებული აზრი წაკითული აქვს, შეიძლება სიტყვა „ლულია“ წყაროს აღმნიშვნელად მიიჩნიოს, მით უმეტეს, რომ წევა სავაჭრო ცენტრი იყო და შესაძლებელია ეს სიტყვა აქ შორეული ადგილიდანაც მოხვედრილიყო... მაგრამ „პრაქტიკა“ გაცილებით უფრო მარტივ ახსნას გვთავაზობს (იხ. ზემოთ ქ-ნ ც. ლულიასეული ახსნა)... სწორედ ამიტომ არის საჭირო მეტსახელის შერქმევის მოტივის ცოდნა, რათა მკვლევარმა თავისი ფანტაზია არასწორი მიმართულებით არ წარმართოს.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, შესაძლოა, ეს სიტყვა შორეული წარსულიდან იყოს შემორჩენილი... და ლულიების შტოს თავდაპირველ სახელმდებელს ის ძველი შინაარსით გამოყენებია, მის შთამომავლებს კი, სიტყვის თავდაპირველი შინაარსის მივიწყების შემდეგ, ამ სიტყვისთვის ზემოხსენებული ახსნა „მოეძებნათ“...

მუნძუა ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვა მუნძიდან. **მუნძ-**ი 1. ხის მოჭრის შემდეგ მიწაში ჩარჩენილი ნაწილი ფესვებიანად, – კუნძი. 2. კორძი... *ქ. ძოწენიძე, გვ. 269.*

ნოღა პატარა და ზევით აწეული ცხვირი; ასეთ ცხვირიანი ადამიანი, პაჭო, პაჭუა *(ქეგლ, ტ.V, თბ., 1958, გვ. 1514);* **ნოღა** დაბლობი და ნაყოფიერი მიწა; ასეთი ადგილის სახელი. *პ. გაჩეჩილაძე, გვ. 109;* ვარლამ გ-ძეს ასე აქვს განმარტებული ამ ქვეგვარის შერქმევის მოტივი – „შესახედად პირქუში ადამიანები იყვნენ“. *იხ. გვ. 152.*

პუწკიტა იგივეა რაც პუწკია. **პუწკია (პუწკიასი)** (კუთხ.) პრანჭია. *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 373.*

ქანქლია ლექსიკონებში ეს სიტყვა ვერ მოვიძიეთ. ლეგ. № 80 - ის მიხედვით „ქანქლია“ ეწოდება ადამიანს, რომელიც გაიპარება – პასუხისმგებლობას აირიდებს: **„წრიაპელების“** წინაპრები ჩხუბს ატეხდნენ და შემდეგ გაიპარებოდნენ, ამიტომ დაარქვეს **„ქანქლიები“** (იხ. გვ.). *[სიტყვა „ქანქვლა“ გაგვიგონია რბილი ან სქლად თხიერი საკვების (სალაფავის) სწრაფად შეჭმის მნიშვნელობითაც: (შე)ქანქლვა. სინონიმები უნდა იყოს: (შე)თანთქლვა, (შე)თქვლეფა, (შე)სვლეპა, (შე)სანსვლა, შე(ხანხლვა) ე. გ.].*

ქეჩუა. ქეჩა საფენი ნაბადი სუფთა და სახეებიანი**; ქეჩო** ამოზეული ჯაგრიანი ქედი დათუთა, აფთართა და მისთანათა... *ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 402.*

ღველფიანი ღველფის შემცველი**; ღველფ-ი** ფერფლმოდებული, ნაცრიანი ნაკვერჩხალი, ღველფად ქცეული ცეცხლი... *ქეგლ. ერთტომეული, გვ. 460;* **ღველფ-**ი გახურებული ნაცარი, ღადარი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 413.*

ღველფიანების შტოს მეტსახელი თავიდან „ღველფი“ ყოფილა *(ეს ჩვენ შევიტყვეთ ქ-ნ მზია მაჭავარიანისაგან (ზესტაფონი). მეტსახელი ამ ფორმით შეინარჩუნეს ლაგოდეხის რ-ნის სოფ. ნაწილქვილარში ჩასახლებულმა ამ შტოს წარმომადგენლებმა [ასე ჩაწერეს ანკეტაში ამ სოფელში მცხოვრებმა უშანგი ალექსანდრეს ძე (დ. 1927), ბუდუნა ალექსანდრეს ძე (დ. 1939), გიორგი ბონდოს ძე (დ. 1975) გაჩეჩილაძე-ღველფებმა],* რასაც ალბათ ამ შტოს წინაპრის ღველფთან შედარება ედო საფუძვლად. დაბოლოება „იანის“ დამატება და ღველფიანის იმგვარი განმარტება, როგორიც ვარლამ გ-ძეს აქვს მოყვანილი (იხ. გვ. 152), როგორც ჩანს, მოგვიანებით მოხდა...

ღლაკნა ასეთი სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. ის იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც ღვლარჭნია. **ღვლარჭნა** სახელი ღვლარჭნის ზმნის მოქმედების;. **ღვლარჭნი-**ს *გრდმ.* მრავალნაირად მიხრი-მოხრის, – კლაკნის, გრეხს. = შდრ. იღვლარჭნება, ღვლარჭნა, ღვლარჭნილი; **ღვლარჭნილ-**ი 1. იგივეა, რაც დაღვლარჭნილი.

2. გადატ. დახლართული, ბუნდოვანი... *ქეგლ, გვ. 461;* დავით (ღუტუ) გ-ძეს ეს სიტყვა ასე აქვს განმარტებული **„ღლაკნეები“** ადამიანებს ცუდს პირდაპირ არ ეტყოდნენ... (იხ. ლეგ. № 81, გვ. 184).

ჩიჩინა ამ მეტსახელის ორგვარი განმარტებაა მოყვანილი – ლეგენდებში 81 და 81ა (გვ. 184). ამათგან, ჩვენი აზრით, II უფრო უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს...

ჩომა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, – საქონელი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 455.* ამ სახელის შერქმევის მოტივი განმარტებულია № 81 ლეგენდაში (გვ. 183) – „ძალიან მომთმენნი ყოფილან, როგორც საქონლები, მაგრამ თუ ვინმე ზედმეტად გააბრაზებდათ, მაშინ ვეღარ დააკავებდით“...

ჩუმანკა ასეთი სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. მოგვყავს სიტყვები საიდანაც, სავარაუდოდ, შესაძლებელია წარმოებულიყო ეს სახელი: **ჩუმა (ჩუმისა)** 1. უდედოდ (უკვეთოდ შედედებული რძე (კარაქის შესადღვებად). 2. (კუთხ.) იგივეა, რაც დო. ჩუმის შეჭამანდი; **ჩუმალა (ჩუმალასი)** (საუბ.) 1. ჩუმი, სიტყვაძვირი. 2. იგივეა, რაც ჩუმჩუმა; **ჩუმჩუმა** (ჩუმჩუმასი) ვინც ჩუმად, მალულად მოქმედებს, – ქვეშქვეშად. *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 534;* რადგან ამ სიტყვაში გამოყენებულია რუსულ სახელთა კნინობითი ფორმის მაწარმოებელი **„ка“** სუფიქსი *(ამ სუფიქსით ქართული სახელების კნინობითი ფორმაც იწარმოება),* არ არის გამორიცხული, ეს სიტყვა რუსული სიტყვა **„чума“** (ჭირი) -დან იყოს ნაწარმოები, და „ჭირიანს“ ნიშნავდეს: (чумный- ჭირიანი; ч. больной ჭირიანი ავადმყოფი, ჭირიანი)... *რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1937, გვ. 1125.*

ცეტი ჩერჩეტი, გამოშტერებული... *ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 434.*

ცმუტი იგივეა, რაც ცმუკია. **ცმუკია** ვისაც ცმუკვა სჩვევია, – ცმუკურა. **ცმუკავს** მოუსვენრადაა, წრიალებს... *ქეგლ, ტ.VIII, გვ. 639;* **ცმუტი** მოუსვენარი, დაუდეგარი. *პ. გაჩეჩილაძე, გვ. 161.*

ცონცობა შესაძლოა იგივეს ნიშნავდეს, რასაც ცოცობოზე მყოფი. **ცოცობოზე არის** ძლივს ითმენს, მოთმინება ეკარგება... *ქ. ძოწენიძე, გვ. 464;* **ცონა** დაზარება. **ცონვა** (მცონის) დაზარება, სიცონილი... *ი. აბულაძე, გვ. 519.*

წეწკია წეწკავ-ს (თურმ. უწეწკავს) *გრდმ.* 1. კბილებით წვრილად ამტვრევს. მზესუმზირას წ.... *(ქეგლ, ერთტომეული, გვ. 561).*

წველა შედედებული რძე, მაწონი; (ვსწველ) დედალთა ოთხფეხთა ძუძუებისაგან რძის გამოწურვა... *ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 449.*

წრიაპელა. წრიაპი კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი; იხმარება ციცაბოზე და ყინულზე სიარულის დროს. *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 566;* **წრიანტელა** პატარა, წვრილი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 487.*

წუწუკო, ალბათ, წუწურაქს ან წუწკს უნდა ნიშნავდეს. **წუწურაქი** ძუნწი, ხელმოჭერილი; **წუწკი** 1. სულწასული ჭამაში, – მსუნაგი. 2. იგივეა, რაც წუნკალი; **წუნკალი** 1. წუწკი, უჯიშო... *ქეგლ, ერთტომეული, გვ. 567.*

ჭიმატი ეს სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. მოგვარეებმაც დარწმუნებით არ იციან, რას ნიშნავს, მაგრამ რამდენიმემ გვითხრა, ალბათ, ისეთ ადამიანს ნიშნავს, რომელსაც თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს და „იჭიმება“, სხვებს „თავს ამეტებსო“.

ჭიჭილი იგივე უნდა იყოს, რაც ჭინჭილა. **ჭინჭილა** დოქის მოყვანილობის ხელიანი (ან უხელო), თიხის ან ხის, პირზე მისაყუდებელი საღვინე ჭურჭელი 50-100 გრამამდე ტევადობისა... *ქ. ძოწენიძე, გვ. 494;* **ჭიჭილა** (ჭიჭილასი), ჭიჭილ (ჭიჭილისა), იგივეა, რაც ჭიჭლა – საღვინე დოქი. *ქეგლ, ტ. VIII, გვ. 1270.* შერქმევის მოტივს ვარლამ გ-ძე ასე განმარტავს – „ამ გასახელების ადამიანებს ღვინის სმა უყვართ და თანაც – ჭინჭილით“ (იხ. გვ. 152).

ჭოლპოტი (ჭოლპოტისა) კუთხ. (იმერ.) ბიჭის პატარა ქალამანი... *ქეგლ., ტ.VIII, გვ. 1282;* **ჭოლპოტი** 1. საქალამნე ტყავის ჩანაჭერი. 2. თხელი ტყავის ქალამანი... *პ. გაჩეჩილაძე, გვ. 171.*

ჭროჭინა ეს სიტყვა ქ. ძოწენიძეს ნახსენები აქვს, როგორც ტოპონიმი – რქმევია ყანას ნებოძირში (წიფა). იხ. *ზემოიმერული ლექსიკონი გვ. 616.* **ჭროჭინა**

შესაძლოა იგივეს ნიშნავდეს, რაც ჭროკინა. **ჭროკინი** ფრინველთ ხმიანობა, ჭიკჭიკი; **ჭროკინა** (ჭროკინასი) სადღვებელას დასაყრდენი სკამი... *ქეგლ VIII ტ., გვ. 1294.*

ხრაპა. ხრაპი // ხრუპი ყელში სასმლის ერთგზის, ერთ მოსმაზე ჩაშვება, – ყლუპი. *ქ. ძოწენიძე, გვ. 520;* გაჩეჩილაძეთა ერთ-ერთი შტოს წინაპრისათვის ეს მეტსახელი იმიტომ შეურქმევიათ, რომ, ძმებთან გაყრის დროს, „იგი დამჯდარა და ბევრი ღვინო უსვამს " *(იხ. ლეგ. № 81, გვ. 184).*

რაც შეეხება ჯაჭვაძეების ქვეგვარებს, ჯაჭვაძეების მხოლოდ ერთ შტოს შეუნარჩუნებია გაჩეჩილაძეთა ერთ-ერთი ბუნის მეტსახელი „ბუღაშვილი". დანარჩენი შტოების მეტსახელები კახეთში გავრცელებული მეტსახელების ანალოგიურად არიან ნაწარმოები – წინაპრის მეტსახელზე, „ანთი", სუფიქსის დართვით...

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაპრებს მეტსახელების თხზვაში საკმაო ფანტაზია და იუმორის გრძნობა გამოუვლენიათ. სახელთა წარმოებისას ისინი ერთი რომელიმე პრინციპით არ შემოფარგლულან. ძალიან ლაღად გამოუყენებიათ, როგორც ლექსიკური ფონდი, ისე სიტყვათქმნადობის ხერხები რასაც, ალბათ, ჩვენი მოგვარე ან სხვა, ენათმეცნიერი მკვლევარები უკეთესად გაარკვევენ.

ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენლებს ვთხოვთ, აქ განხილული და სხვა ქვეგვარების განმარტებებისა და მათი შერქმევის მოტივების შესახებ შენიშვნები და ინფორმაცია მიაწოდონ „საგვარეულო დარბაზს" წერილობითი სახით.

P. S. გაჩეჩილაძეთა **ქვეგვარების ძიების პროცესში გაირკვა რამდენიმე შტოს საერთო წინაპრები**, მაგალითად:

„ჩიჩინები", „კურკიები", „კოტრიალები", „ბათმანები" იესე როსტომის ძე გაჩეჩილაძეოთიაშვილის ვაჟების შთამომავლები ყოფილან. თუ რომელი მათგანი რომელი ვაჟის, იხ. ლეგენდა № 80 -ში, გვ. 183.

„პაპუჩელაშვილების" ერთ-ერთ შთამომავალს **„ხბოსთავა"** შერქმევია *(მოტივის შესახებ იხ. ლეგ. № 79, გვ. 183).* მან სათავე დაუდო ხბოსთავების შტოს, მისი მეტსახელის მიხედვით „პაპუჩელაშვილების სერს" „ხბოსთავების სერი" შერქმევია...

„კრუხები", „ბოხორიკები", „ჩომები", „ღიღინები" სართო წინაპრის შთამომავლები ყოფილან, იხ. ლეგ. № 81, გვ. 183.

„ხრაპების", „ღორისთავების", „ბორბალების" წინაპრები ძმები ყოფილან. იხ. ლეგ. 81, გვ. 184.

„წრიაპელებს" და „ქანქლიებს" საერთო წინაპარი ჰყოლიათ, *იხ. ლეგ. № 81. გვ. 184.*

ამავე წიგნში წარმოდგენილი გენეალოგიური შტოების სქემებიდან დადგინდა, აგრეთვე, რომ **„წველები"** და **„ოქროპირები"** საერთო წინაპრის შთამომავლები ყოფილან.

იმედი, გვაქვს, რომ დანარჩენი საგვარეულო შტოებიც მოგვაწვდიან თავიანთ გენეალოგიურ სქემებს და ინფორმაციას მათი ბუნის მეტსახელის მნიშვნელობისა და შერქმევის მოტივის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად წარმოვადგინოთ ჩვენი საგვარეულოს ისტორია...

2012 წ.

შენიშვნები და ლიტერატურა:

ა. **ბუნი** ერთი წინაპრის შთამომავლობა მეოთხე-მეხუთე (ზოგჯერ უფრო მეტ –ე.გ.) თაობამდე. „ერთ ბაბუაშვილებს ერთი ბუნი ქვია". „ჩვენ ერთი ბუნის ვართ, ისი არ არი ჩვენი ბუნის" (ნ. ჯაჯან., ძოწ.). *პოლიეკტ გაჩეჩილაძე იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, გვ. 28.*

ბ. ჩვენ, იმიტომ, რომ სტატიის მოცულობა ძალიან არ გაგვეზარდა, ყველა სიტყვას არ დავურთეთ ლექსიკონში მითითებული წყაროს დასახელება და მნიშვნელობის დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს მათ, სიტყვის განმარტებასთან დასახელებულ, ლექსიკონებში. ე.გ.

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები. თბ., 1967. *(ამ დავთრებში, დადასტურებულია მამაკაცის სახელი „გოგება" (Qd 8015, გვ. 258), მოგეხსენებათ, არსებობს გვარი „გოგებაშვილი"...).*
2. ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
3. პოლიევქტ გაჩეჩილძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა. თბ., 1950-1964.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა. თბ., 1986.
6. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961.
7. სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ., 1991; II ტ., 1993.
8. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
9. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.
10. რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1937.
11. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 39 - 40.

§ 16. საგვარეულო გადმოცემები გაჩეჩილაძისა და მისი „შტო“ გვარების წარმოშობის შესახებ, მათი „ბუდე“ სოფლის – წევის და მისი სიძველეების შესახებ

ათი წლის (2001-2011) განმავლობაში, საგვარეულოს ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების შესწავლის პარალელურად, ვკრებდით, ამ საკითხთან დაკავშირებულ, წინაპართა ზეპირგადმოცემებს. ამ მიზნით ჩავატარეთ საგვარეულოს წევრთა გამოკითხვა ტელეფონისა და საანკეტო კითხვარების საშუალებით.

კითხვები ეხებოდა: გაჩეჩილაძის და მისი „შტო“ გვარების წარმოშობის და განსახლების ისტორიას, მათი „ბუდე“ სოფლის, „წევის“, მისი ეკლესიისა და სხვა სიწმინდეების ისტორიას...

სამწუხაროდ, საგვარეულოს წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილთან მოვახერხეთ კონტაქტის დამყარება. გამოიკითხა მხოლოდ 92 გაჩეჩილაძე, 38 ჯაჭვაძე და 6 წეველიძე – სულ 136 ადამიანი. მათგან ზემოხსენებულ საკითხებზე ინფორმაცია მოგვაწოდა 48 გაჩეჩილაძემ, 31 ჯაჭვაძემ და 6 წეველიძემ – სულ საგვარეულოს 85 წევრმა (დანარჩენებს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია არ ჰქონდათ) და რამდენიმე მათმა სხვა გვარების მქონე ახლობელმა. გარდა ჩვენს მიერ მოძიებული, დღემდე გამოუქვეყნებელი, მასალებისა, შევკრიბეთ აგრეთვე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული, ადრე გამოქვეყნებული გადმოცემები. წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შეკრებილ მასალას:

(ეგ):

ა). გადმოცემები წეველიძეების გვარის წარმოშობის შესახებ

1. როსტომ გალაქტიონის ძე გაჩეჩილაძე (კვიციონა)* ,

დაბ.1927 წ., ინჟინერ-ენერგეტიკოსი. თბილისი.

წეველიძეთა გვარის წარმოშობა გაჩეჩილაძეთა გვარიდან უნდა მომხდარიყო 1840-1855 წლებში, როცა გოგია გაჩეჩილაძემ („კვიციონამ“) თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში („კვიციონების“ უბანში), **დანით მოკლა ბატონი**, რომელიც მას, გადასახადების გადაუხდელობის გამო, ხარებსართმევდა.

(გაჩეჩილაძეთა მაშინდელი ბატონი იყო **მაჭავარიანი სოფ. ლახუნდარიდან),** რის შემდეგ, გოგია გაჩეჩილაძე გაეცალა სოფელს და **მოასწრო გადასვლა სამცხე-ჯავახეთში,** სახელდობრ ბორჯომის ხეობაში – აწყურში. გადაიკეთა გვარი წეველიძედ და შექმნა ახალი ოჯახი.

ჩანაწერი წარმოგვიდგინა 2004 წ., 1. II.

2. ირაკლი ბრიშას ძე წეველიძე, *60 წლის. თბილისი.*

(ბ-ნი ირაკლი წარმოშობით ხაშურის რ. სოფ. ტეზრიდანაა. მის პაპას სოსო რქმევია, პაპის მამას სიმონი. სოსოს ბაკურიანში უცხოვრია, სიმონს – წაღვერში. სიმონიც წეველიძე ყოფილა).

გაგონილი აქვს, რომ წეველიძეების წინაპარი გაჩეჩილაძე იყო, ხოლო გაჩეჩილაძეების წინაპარი – ჯაჭვაძე, რომ გაჩეჩილაძეების ორი შტო იყო – ერთი გლეხები, მეორე – ექიმბაშები – მეწურბლეები.

XIX საუკუნეში ერთ გაჩეჩილაძეს ბატონი მოუკლავს, წამოსულა თავისი სოფლიდან და გვარი წეველიძედ გადაუკეთებია.

ჯაჭვაძეები ცხოვრობენო: კახეთში, ხარაგაულში (?)...

წეველიძეები ცხოვრობენო: გორში, ყაზბეგში, ქარელში...

ჩაწერილია სატელეფონო საუბრის დროს, 2002წ..

3. ლილი ილიას ას. წეველიძე, *66 წლის. თბილისი.*
(გორის რაიონის სოფ. ყელქცეულიდანაა. მის პაპას ვასილი რქმევია).

გაუგია, რომ მისი წინაპარი წეველი გაჩეჩილაძე იყო. მისი ბაბუის ბაბუას უსიამოვნება შემთხვევია წევაში, იქიდან წამოსულა და გვარი გადაუკეთებია.

თქვა, რომ წეველიძეები ცხოვრობენ ბორჯომში, ხვედურეთში...

ქ-ნ ლილის სოფ. ყელქცეულში მამიდაშვილები ჰყოლია.

ჩაწერილია სატელეფონო საუბრის დროს, 2002წ..

4. მანანა იასონის ას. წეველიძე, 46 წლის. თბილისი.
(გორის რ. სოფ . ყელქცეულიდანაა. მის პაპას გიორგი რქმევია).

გაუგონია, რომ მისი წინაპრები წეველი გაჩეჩილაძეები იყვნენ.

წეველიძეები ცხოვრობენო – ხაშურში, ბორჯომში...

ჩაწერილია სატელეფონო საუბრის დროს, 2002 წ..

5. ქეთევან თენგიზის ას. წეველიძე, *დაბ. 1966 წ., ეკონომისტი. თბილისი.*

ბაბუას მოუყოლია, რომ **მათ წინაპარს ბატონი მოუკლავს და გადმოსახლებულან ტყექცეულში – ყელქცეულში.**

ჩაწერილია სატელეფონო საუბრის დროს 2002წ..

6. გივი ვასილის ძე წეველიძე, *დაბ. 1961 წ.. ლაგოდეხის რ. სოფ. ვარდისუბანი. (ბაბუის სახელი–კოტე, ბაბუის მამის სახელი–დათიკო, ბაბუის ბაბუის სახელი–ტატე).*

„პაპაჩემის პაპა, ტატე გაჩეჩილაძე, ცხოვრობდა სოფ. წევაში. ყოფილა მოჭიდავე – ბეჭდაუდებელი ფალავანი. ერთხელ მისმა ბატონმა აჭიდავა სხვა ბატონის ფალავანთან ნიძლავზე და, გულით რომ ეჭიდავა, გასამრჯელოს შეჰპირდა. ტატემ ეს შეხვედრა მოიგო, მაგრამ ბატონმა გასამრჯელო არ მისცა. მაშინ, **ტატემ მოკლა ბატონი და გავიდა ყაჩაღად. შემდეგ, დასახლებულა სოფ. ნუნისში** და გვარი გადაუკეთებია – წეველიძედ.

ტატეს დარჩენია ბევრი შვილი. ერთ-ერთი მათგანი – პაპაჩემის მამა – დათიკო ჩამოსახლებულა ლაგოდეხის რ-ის სოფ. სვიდებაში. დათიკოს ჰყავდა სამი შვილი: ილუშა, კოტე და ფეფე. კოტე იყო ჩემი პაპა“.

(იგივე ლეგენდა ჩაგვიწერა ანკეტაში გივის ბიძაშვილმა, ავთანდილ გიორგის ძე წეველიძემ).

ანკეტები შეავსეს 2003 წელს.

7. მერაბ სიმონის ძე წეველიძე, *თბილისი.*

XIX სს. ბოლოს **სოფ. წევიდან ხაშურის რ. სოფ ტეზერში ჩამოსახლებულა ორი ძმა გაჩეჩილაძე, რომლებიც წეველიძის გვარზე დაწერილან**. დღეს ამ ორი ძმის შთამომავლები ცხოვრობენ თბილისში, გორში, ხაშურში და საქართველოს სხვა ადგილებში. სოფ. ტეზერში ცხოვრობს 15 კომლი.

ჩაწერილია 2004 წ..

ბ). ჯაჭვაძეების გადმოცემები მათი გვარის ისტორიის შესახებ

(№ 1 დან № 24-ის I ვერსიის ჩათვლით ჩაწერილია სატელეფონო საუბრების დროს, 2002 წლის მარტში).

8. ლილი ჯაჭვაძე, *68 წლის. თბილისი.*

მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები ყოფილან** – ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის ნათესავები. ბაბუამისს გვარი გადაუკეთებია ჯაჭვაძედ, იმიტომ რომ, თურმე, სამღვდელოება სდევნიდათ. რატომ სდევნიდათ, ქ-ნმა ლილიმ არ იცის.

თქვა, რომ ჯაჭვაძეები ცხოვრობენ ბოგდანოვკაში.

9. ვალიკო (ვლადიმერ) გიორგის ძე ჯაჯვაძე, *68 წლის.*

ქიმიკოსი. თბილისი.

წარმოშობით არის ონიდან. გაუგონია რომ მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები იყვნენ**. მათ მე-18 საუკუნეში ბატონი მოუკლავთ, ამიტომ გამოუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი და გვარი.

მისი თქმით, ჯაჭვაძეები ცხოვრობენ საგარეჯოში, ადიაურში.

10. ალეკო აკაკის ძე ჯაჯვაძე, *30 წლის. თბილისი.*

მისი **პაპის პაპა ყოფილა დათო გაჩეჩილაძე**. რაღაც პრობლემის გამო დაუტოვებია თავისი საცხოვრებელი ადგილი და შეუცვლია გვარი, წასულა საცხოვრებლად ჩაილურში, ხოლო დათოს ძმა – ბეჟანი წასულა ჭერემში.

11. ძეთევან თენგიზის ას. ჯაჯვაძე, *52 წლის. თბილისი.*

გაუგონია, რომ **ადრე გაჩეჩილაძეები იყვნენ**. მათ წინაპარს ბატონი მოუკლავს და წამოსულა კახეთიდან (?) თბილისში.

რატომ გადაიკეთეს გვარი მაინცადამაინც ჯაჭვაძედ არ იცის.

12. გრიშა გიორგის ძე ჯაჯვაძე, *65 წლის. სოფ. გამარჯვება.*

ბ-ნი გრიშა სოფ ჭერემიდანაა. გაუგონია, რომ მისი **წინაპრები ზესტაფონელი გაჩეჩილაძეები იყვნენ**. ერთხელ, სუფრაზე მისთვის გაჩეჩილაძეს უთქვამს, – მამაჩემმა დამიბარა, – ჯაჭვაძეებზე ნუ დაქორწინდებით გაჩეჩილაძეები, იმიტომ, რომ ეს ერთი გვარიაო.

13. მზია გიორგის ას. ჯაჯვაძე, *47 წლის. თბილისი.*

ქ-ნი მზია ჭერემიდანაა. (პაპამისს ერქვა – გიგა). იცის, რომ მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები ყოფილან**. ისინი ჯერ ჭერემში ჩასახლებულან, შემდეგ საგარეჯოს რ. სოფ. ჩაილურში, შემდეგ გადმოსახლებულან გამარჯვებაში.

ქ-ნ მზიას დედ-მამა ჩაილურში ჰყავს.

14. ლია – მარია ივანეს ას. ჯაჯვაძის ქალიშვილი. *თბილისი.*

(მარია ჯაჭვაძე გარდაცვლილია). ლიას გაუგონია, რომ **დედამისი ადრე გაჩეჩილაძე იყო** და მისი წინაპრები გადმოვიდნენ რაჭიდან.

15. მაყვალა ივანეს ას. ჯაჯვაძე, *71 წლის (ლიას დეიდა, მარიას და). თბილისი.*

გაუგონია, რომ მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები ყოფილან**. იმერეთიდან ჭერემში გადმოსახლებულან მაყვალას პაპის დროს – თავადებმა აიძულესო...

ჭერემიდან გადასულან ვაზისუბანში, შემდეგ – მუკუზანში, უფრო მოგვიანებით – თბილისში.

16. თამილა ძარუმას ას. ჯაჯვაძე, *42 წლის. სოფ. გამარჯვება.*

სოფ. ჭერემიდანაა. იცის, რომ მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები იყვნენ. უცხოვრიათ ზესტაფონის რაიონის სოფ. კვირიკეში**[1] *[მე (ე.გ-მ) კითხვა გავუმეორე, – ნამდვილად იცით, რომ სოფელს კვირიკე ერქვა-მეთქი? მიპასუხა, – ძალიან კარგად მახსოვს უფროსების ნაამბობი, არაერთხელ გამიგონია, რომ ჩვენი წინაპრები ზესტაფონის რ-ის სოფელ კვირიკეში ცხოვრობდნენო...].* თავადი მოუკლავთ და ორი ოჯახი გადმოსახლებულა ჭერემში. დაურქმევიათ გვარად ჯაჭვაძე და მათგან გამრავლებულა ჯაჭვაძეების გვარი.

იმერეთიდან მამამისის ბიძას წამოუღია სიწმინდე – ზედაშე– ჭურებით და დაუფლია მის მიერ აშენებულ სალოცავში. მერე ეს სალოცავი დანგრეულა და აღუდგენია ქალბატონი თამილას ბიძას, რომელიც, თურმე, ახლაც ცოცხალია და ცხოვრობს სოფ. ვაზისუბანში.

ვკითხე, – ხატი ხომ არ წამოუღია-მეთქი. მიპასუხა: – იმ სალოცავში ძვირფასი არაფერიაო. მისი თქმით, ახლა ჭერემი დაცარიელებულია. რამდენიმე კომლიღა ცხოვრობს. სკოლა აღარ მუშაობს. ჯაჭვაძეები ბევრია სოფ. შაშიანშიო.

ვკითხე, – თუ იცნობს ისეთ ჯაჭვაძეს, რომელიც იმერეთიდან არ იყო გადმოსული და გვარი არ გადმოუკეთებია გაჩეჩილაძის გვარიდან?

მიპასუხა: – ჩაილურში (საგარეჯოს რ.) ნათესავებთან სტუმრად რომ ჩავდიოდი, იქ იყო ჯაჭვაძეების ერთი ოჯახი, რომელიც იმერეთიდან არ იყო წამოსული და ჩვენ არ გვენათესავებოდაო. მისი თქმით, ჯაჭვაძეების გარდა ჭერემში ცხოვრობდნენ: ბარბაქაძეები, გელაშვილები, წიკლაურები...

1. როგორც დავადგინეთ, ზესტაფონის რაიონში, კვირიკე რქმევია სოფ. ბოსლევის ზემოთ მდებარე პატარა დასახლებას. ლეგენდაში, შესაძლოა, ამ დასახლებაზეა საუბარი. ე.გ.

17. ირმა აკაკის ას. ჯაჭვაძე, *ინჟინერი. თბილისი [ალეკოს (№10) და].*

მამამისის პაპა გაჩეჩილაძე ყოფილა – აზნაური. სოფ. წევიდან ბატონს გამოქცევია. ორი შვილი წამოუყვანია. მერე ეს კაცი გამხდარა სოფ. ჩაილურის მამასახლისი.

18. ირმა ფირუზის ას. ჯაჭვაძე, *38 წლის. თბილისი.*

მისი **წინაპრები გაჩეჩილაძეები ყოფილან**. ბაბუამისი – ალექსი კულაკობის დროს წამოსულა ჭერემში. იქ ყოფილან ჯაჭვაძეები. ალექსის სცოდნია, რომ ეს გვარი მისი მონათესავე გვარი იყო და გადაუკეთებია გვარი ჯაჭვაძედ.

19. ქ-ნი ნინა – ჯაჭვაძის მეუღლე, *დაბად. 1918 წ.. თბილისი.*

მეუღლისაგან გაუგონია, რომ, ბატონყმობის დროს, ერთ **გაჩეჩილაძეს იმერეთში უსამართლო ბატონი მოუკლავს, წამოსულა და მთიან ადგილას, ჭერემში დასახლებულა**. შემდეგ, იმის გამო, რომ ბატონის მკვლელს ეძებდნენ და სხვა გაჩეჩილაძეებს ავიწროვებდნენ, ისინიც წამოსულან ჭერემში და გვარი ჯაჭვაძედ გადაუკეთებიათ.

ქ-ნი ნინას მამამთილი 1937 წელს გადაუსახლებიათ. მისი მეუღლე და მაზლი „დიდი სამამულო ომის“ ფრონტზე დაღუპულან.

20. ნინო ჯაჭვაძე, *32 წლის, მედდა. თბილისი.*

გაუგონია, რომ მისი **წინაპრები ზესტაფონელი გაჩეჩილაძეები იყვნენ.** მის პაპის პაპას ბატონი მოუკლავს და გაქცეულა ჭერემში. ჭერემისკენ რომ მიდიოდნენ, თურმე, ამბობდნენ, ჯაჭვურად ვიაროთო და, როცა იქ ჩავიდნენ, გვარად ჯაჭვაძე დაირქვეს.

მის პაპის მამას რქმევია ლექსო. პაპის პაპის სახელი არ იცის.

ჭერემში მის პაპის პაპას აუშენებია სალოცავი. მას ჯერ ორი ცაცხვი დაურგავს. ცაცხვები სწრაფად გაზრდილან. რომ ასულა მათ სანახავად, მოსწონებია და აუშენებია მათ შორის პატარა სალოცავი. თურმე, ახლაც არის ის ორი ცაცხვიც და სალოცავიც.

მერე მათი ოჯახი ჭერემიდან ბარში – სოფ. შაშიანში ჩამოსახლებულა. შაშიანში ქ-ნ ნინოს ჰყავს ბიძა –ვაჟა.

21. თინათინ მიხეილის ას. ჯაჭვაძე. *დაბად. 1956 წ., თბილისი.*

ჩემს ბავშვობაში, მამის ძმამ, ნიკოლოზ ჯაჭვაძემ, ასეთი რამ მიამბო: –**„ჩვენი გვარი გაჩეჩილაძეების გვარიდან მოდის**. ისინი სამღვდელო პირები ყოფილან. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს მღვდლებისათვის ქრისტიანობაზე ხელის აღება უბრძანებიათ. ურჩობისათვის ზოგი დაუხოციათ და ზოგი, მოსაფიქრებლად, დილეგში ჩაუყრიათ ბორკილდადებული. ერთ-ერთი გაჩეჩილაძე დილეგიდან ხელ-ფეხზე **ჯაჭვებდადებული გაქცეულა და სოფელ ჭერემამდე ჩაუღწევია**. იქ დასახლებულა და გამრავლებულა. **სავარაუდოდ, აქედან მოდის ჯაჭვაძის გვარი...**

მტრისაგან ჭერემის აოხრების შემდეგ, ისინი კვლავ დაქსაქსულან და გაბნეულან კახეთის ტერიტორიაზე“.

22. ეთერ ალექსის ას. ჯაჭვაძე (დრუჭუნიანთი),** *დაბად. 1948 წ.,*
ისტორიკოსი. თელავი.

პაპაჩემმა, ნიკა მიხეილის ძე ჯაჭვაძემ (1879-1969) მიამბო: – ჩვენი **წინაპრები სოფ. ზედა წევაში ცხოვრობდნენ. გვარად გაჩეჩილაძეები უნდა ყოფილიყვნენ**. ორი ძმიდან ერთი – სვიმონი – მღვდელი ყოფილა. მეორე – ნიკა – პატარა იყო. ობოლს უფროსი ძმა ზრდიდა. სიმონი სადღაც წასულა და, როცა დაბრუნებულა, ეკლესია, რომელშიც მღვდელმსახურებას ეწეოდა, თეთრად შედებილი დახვედრია. მას ძალიან დანანებია კედლის მოხატულობა, რომელიც ძალიან ლამაზი ყოფილა. გამწარებული მღვდელი მივარდნილა ქუთაისის მიტროპოლიტთან და გაულანძღავს.

სვიმონს დამუქრებიან, შენც მოგკლავთ და შენს ძმასაცო. იგი, ძმასთან ერთად კახეთში გადმოხვეწილა. ამ დროს სოფ ჭერემში უკვე ცხოვრობდნენ სოფ. ზედა წევიდან გადმოსული ჯაჭვაძეები. ისიც მათ მეზობლად დასახლებულა და გვარი გამოუცვლია – რომ ვერ ეპოვათ. მათ შთამომავლობას სოფელში დრუჭუნიანთ ჯაჭვაძეებს ეძახდნენ.

23. გივი ალექსის ძე ჯაჭვაძე, *დაბად. 1940 წ.. თბილისი.*

ჩვენი გვარის წარმოშობის შესახებ ლეგენდები სხვადასხვანაირია. მათ უმრავლესობაში **ჯაჭვაძეები გაჩეჩილაძეებიდან წარმოშობილად არიან მიჩნეული**, რაც სიმართლესთან უფრო ახლოს მეჩვენება.

24. ზოია ზაქარიას ას. ჯაჯვაძე, *დაბად. 1947 წ.. თბილისი.*

ქალბატონი ზოიას ბაბუის მამას – ალექსის მოუკლავს ბატონი იმერეთში. მაშინ იქ ყოფილა ჩასული სტუმრად თავადი ჭავჭავაძე (ქალბატონმა ზოიამ არ იცის, ეს თავადი ალექსანდრე იყო, ილია, თუ სხვა ვინმე). ალექსი გაჰყოლია იმ ჭავჭავაძის ეტლს, რათა გაქცეოდა დასჯას. **ჭავჭავაძეს მიუცია მისთვის გვარი ჯაჯვაძე, რადგან, თურმე, „ჯაჯვაძე ჭავჭავაძის მონათესავე გვარი ყოფილა“ (?).**

ჭავჭავაძეს ალექსი ჯაჯვაძე დაუსახლებია თელავის რ. სოფ. ფშაველში. შემდეგ ალექსის დაღესტანში უომია, „მგონი შამილის დროს“-ო, და ორდენიც კი მიუღია.

ალექსი ჯაჯვაძეს ჰყოლია რამდენიმე ძმა. ერთი – გიორგი – წამოსულა ქალაქში და დაკარგულა.

ქ-ნ ზოიას სოფ. ფშაველში აქვს სახლი. მისი ბავშვობის წლებში, იქ ყოფილა ჯაჯვაძეების სხვა ოჯახიც, რომელსაც მათ ოჯახთან „არავითარი ნათესაური სიახლოვე არ ჰქონია“. მას ბავშვობაში მოუსმენია სხვა ვერსიაც თავისი გვარის წარმოშობის შესახებ:

24ა. – ყოფილა სამი ძმა, რომელთაგან ერთი თმაგაჩეჩილი დადიოდა, თურმე, ამიტომ მისი შთამომავლებისათვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ. მეორე ძმას, თურმე, ბევრი ნიორი მოჰყავდა და, ამიტომ, ნიორაძე შეურქმევიათ. მესამე ძმას ბევრი ცოლი ჰყოლია. ამბობდნენ, თურმე, – რა ჯაჯვივით გააბა ცოლ-შვილიო, – ამიტომ შეურქმევიათ ჯაჯვაძე.

25. თეიმურაზ მიხეილის ძე ჯაჯვაძე, *52 წლის. თბილისი.*

მის ოჯახს, „დიდ სამამულო ომამდე“, სოფ. ჩაილურში უცხოვრია. ომის შემდეგ გადმოსულან თბილისში. გაუგონია, რომ წარმომავლობით დასავლეთ საქართველოდან, სოფ. წევიდან არიან, რომ მის წინაპარ **ჯაჯვაძეს ჰყოლია თმაგაჩეჩილი ძმა,** რომლის შვილებსაც შერქმევიათ გაჩეჩილაძეები (მის პაპის პაპას ეს ამბავი თავისი შთამომავლებისათვის მოუყოლია დაახლოებით 130 წის წინათ, რაც მომდევნო თაობებსაც გადაეცა).

ბ-ნმა თეიმურაზმა იცის, რომ თვითონაც და მისი წინაპარიც მუდამ ჯაჯვაძეები იყვნენ. (მას ჰყავს ერთი შვილი – თეა – 20 წლის).

26. გულუ ჯაჯვაძე – ჯაჯვაძე ძარუმა ივანეს ძის *(70 წლის)* **მეუღლე,**

სოფ. გამარჯვება.

ქ-ნმა გულუმ თქვა, რომ მისი მეუღლე არის სოფ. ჭერემიდან და 1952 წ. გადმოასახლეს სოფ. გამარჯვებაში. **ჭერემში დასახლებამდე მის წინაპრებს იმერეთში უცხოვრიათ.**

27. დავით ჯაჯვაძე, *43 წლის, მოცეკვავე. თბილისი.*

ჭერემელია. 8 წელია თბილისში ცხოვრობს. 20 წლის წინ, ჭერემში, ბინების მშენებლობაში მიუღია მონაწილეობა. 13 წლის ყოფილა (დაახლ. 1972 წელს), როცა პაპამისს ჭერემში ჩაუყვანია. მაშინ იქ, თურმე, მხოლოდ 3-4 მოსახლე ცხოვრობდა, მერე გამრავლებულა მოსახლეობა. ახლა კი, თურმე, ისევ კლებულობს.

ბ-ნ დავითს გაუგონია, რომ გაჩეჩილაძეებს და ჯაჯვაძეებს რაღაც აქვთ საერთო.

ჯაჯვაძეები, თურმე, ცხოვრობენ: გურჯაანის რ-ში: ჭერემში, კალაურში, შაშიანში, შრომაში, გამარჯვებაში, ახმეტის რაიონში... (ჭერემში, თურმე, ჯაჯვაძეების გარდა, ცხოვრობენ: ოდიკაძეები, წიკლაურები, გაჩეჩილაძეები (?), ჩაფიძეები, მოდებაძეები...).

28. გიორგი დავითის ძე ჯაჯვაძე, *19 წლის სტუდენტი. თბილისი.*

ახლად შეძენილი გაჩეჩილაძე მეგობრებისაგან და ჩემი წინაპრებისაგან გადმოცემული ვერსიები, ჩემი გვარის წარმოშობის შესახებ, ერთმანეთს უკავშირდება:

წევის ეკლესიის მშენებლობა ახალი დამთავრებული ყოფილა. თამარ მეფე, თურმე, სანახავად მოდიოდა. ეკლესიის ეზოში რომ შესულა, წინ ერთი თმააწეწილი ყმაწვილი შეხვედრია, სავარაუდოდ, ეკლესიის მსახური. **თამარ მეფეს** მისთვის თავზე ხელი გადაუსვია და **გვარი უკითხავს, რაზეც ბიჭს უპასუხნია „ჯაჭვაძე“-ო. მეფეს კი მისთვის გვარი შეუცვლია და უთქვამს, „ამის შემდეგ შენ გაჩეჩილაძე იქნებიო“.**

თამარ მეფის ეკლესიის სანახავად ასვლა გამხდარა სოფლის სახელის განმსაზღვრელიც: **მეფისთვის უკითხავთ, რა აზრისა იყო ეკლესიის ნაგებობის შესახებ. მას უპასუხნია: –„ყველაფერი კარგია, მაგრამ ძნელი მოსაღწევიაო“.** – ამის შემდეგ, ამ სოფელს წევა დაერქვა. მანამდე რა ერქვა, არ ვიცი.

პაპიდას და დიდი ბებიის გადმოცემით ვიცი, რომ დათიკა გაჩეჩილაძე – ჩემი დიდი ბაბუის ბაბუა – ცხოვრობდა სოფ. წევაში და მოჯამაგირედ იდგა ერთ მდიდართან. ერთ დღეს მდიდარმა დათიკას შვილს მეზობელ მდიდართან კოკით ღვინო გაატანა.

ბავშვმა ფეხი წამოჰკრა ქვას, წაიქცა და კოკა გაუტყდა. სახლში მისულ ბავშვს ბატონმა ისე სცემა, რომ მოკლა. ამის დამნახველმა, **დათიკამ ბატონი ხანჯლით მოკლა, ხოლო თვითონ ორ სხვა გაჩეჩილაძესთან ერთად წევიდან კახეთში გადასახლდა** – სოფ. ჭერემში. აღსანიშნავია ისიც, რომ დათიკას წევიდან მეუღლე არ წაუყვანია. შეიძლება არც ჰყავდა. (ამ დროს გვარი უკვე გადაკეთებული ჰქონიათ ჯაჭვაძედ). შემდეგ, მეზობელ სოფლიდან ცოლი ითხოვა და ეყოლა შვილი – ვანო. როცა გაიზარდა, ვანო ისე გამდიდრდა, რომ სამი სოფლის მამასახლისი გახდა. ამასობაში მან სოფ. ჭერემში წმ. კვირიკეს ეკლესია ააშენა, სადაც დღესასწაული, ისევე, როგორც წევაში, 27-28 ივლისს არის.

29. გიორგი ივანეს ძე ჯაჭვაძე, *დაბ. 1948წ., ტექნიკოს-მექანიკოსი. სოფ. გამარჯვება.*

უფროსი თაობის გადმოცემით, ჩვენი **წინაპრები წამოსული არიან სოფ. წევიდან 1840-იან წლებში.** დასახლდნენ სოფ. ჭერემში, საიდანაც განსახლდნენ კახეთის სოფლებში და სოფ. გამარჯვებაში. **პირველი წინაპარი, რომელიც წევიდან წამოვიდა იყო მჭედელი – ზაალ იობის ძე ჯაჭვაძე. მისი გადმოცემით, გაჩეჩილაძეების თავდაპირველი გვარი იყო ჯაჭვაძე.**

30. ალექსი გიორგის ძე ჯაჭვაძე, *65 წლის. თბილისი.*

მათი ოჯახი წარმოშობით ჭერემიდანაა. მისი პაპა ადრე წასულა სოფ. ჩაილურში და ბ-ნი ალექსიც იქ გაზრდილა. ჭერემელები 1952 წ. სოფ. გამარჯვებაში ჩაუსახლებიათ. **ბ-ნ ალექსის, ჯაჭვაძე მიაჩნია თავის თავდაპირველ გვარად.**

31. გელა ვაშას ძე ჯაჭვაძე, *დაბ. 1973 წ., ბიზნესიურისტი. თბილისი.*

ჯაჭვაძეების წინაპრები ჯაჭვის პერანგის მწარმოებლები ყოფილან, რაც მეტად საპასუხისმგებლო პროფესია იყო: – ჯაჭვის სიმტკიცეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის ველზე. ამზადებდნენ, ასევე, სამეურნეო ჯაჭვებსაც.

ხასიათის სიმტკიცისა და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, მეფეს ჩვენი წინაპრებისათვის გვარად „ჯაჭვაძე“ უბოძებია.

32. გივი დიმიტრის ძე ჯაჭვაძე, *დაბ. 1957 წ., პროვიზორი. თბილისი.*

მის პაპას რქმევია ლევანი, პაპის პაპას ივანე, ივანეს მამას ზაალი. (ბ-ნმა გივიმ ხელმეორედაც ჩამოთვალა თავისი წინაპრების სახელები და, ივანესა და ზაალის სახელებს შორის, გიორგიც ახსენა).

ლეგენდის I ვერსია: **ზაალი პირველი ჩასულა ჭერემში.** (იქ უკვე ჩასახლებული ყოფილან წევის გარშემო სოფლებიდან წამოსული იმერლები. სანამ ისინი ჭერემში ჩავიდოდნენ, გზად კონფლიქტი ჰქონიათ სხვადასხვა სოფლების მოსახლეობასთან. არავის უნდოდა ამ ხალხის მიღება – ჭირი არ შემოგვიტანონო. ბოლოს, აურჩევიათ ლამაზი, მწვანე სოფელი ჭერემი, რომელიც ძალიან ჰგავს იმერეთს და იქ დასახლებულან. ჭერემი იმ დროს მიტოვებული და გაერანებული ყოფილა.

ჯაჭვაძეები იქ სხვა იმერლებზე მოგვიანებით ჩასულან. ისინი წარმოშობით ზემო იმერეთიდან ყოფილან, ჭიათურის რაიონიდან. დიდი სახადის დროს წამოსულან იქიდან და თავი სოფელ წევისთვის შეუფარებიათ. ყველანი ამოწყვეტილან სახადისაგან. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბავშვი. ეს ბავშვი დადიოდა თურმე უპატრონოდ – თმაგაჩეჩილი. ბატონს ჩამოუკითხავს თავისი ყმების მოსაძებნად. (ბ-ნი გივის აზრით, – ბ-ნი, ალბათ, წერეთელი იქნებოდაო). სოფლის ხუცესს გამოუყვანია გაბურძგნული ბავშვი და უჩვენებია ბატონისათვის, – აი ესღა დარჩა შენი ყმებიდანო. ბატონს ჩაუბარებია მისთვის ეს ბავშვი, – ჩემ სახელზე გამიზარდეო. იმას უკითხავს, – რა გვარზე დავწეროო? – გაჩეჩილია და გაჩეჩილაძედ დაწერეო. დარჩენილა ეს ბავშვი წევაში. გამრავლებულან მისგან გაჩეჩილაძეები.

საერთოდ, **ჯაჭვაძეები ჯაჭვის ხელოსნები ყოფილან**, <u>**მათი ნაწილი სვანეთში გადასულა და ჯაჭვლიანებს ენათესავებიან.**</u>

ჭერემში რომ ჩავიდნენ, გაჩეჩილაძეებმა თავიანთი ძველი გვარი ჯაჭვაძე დაიბრუნეს. ააშენეს სალოცავი წმინდა კვირიკეს სახელზე. ზედაშე წამოიღეს წევიდან და იქ დაფლეს. ჩამოაკითხათ მებატონემ იმერეთიდან. ნაწილმა თავი გამოისყიდა. ორი გვარი, ვინც თავი ვერ გამოისყიდა, უკან წაიყვანა.

ბ-ნი გივის აზრით, – **ჯაჭვაძეების ჭერემში დამკვიდრების ისტორია 120 წელზე მეტს არ უნდა ითვლიდეს.** ამჟამად, ზანმთარში იქ რჩება 20-30 კომლი სხვადასხვა გვარის მოსახლე. ჯაჭვაძეების ისტორია კარგად იცის გიორგი ჯაჭვაძემ, რომელიც ცხოვრობს სოფ. გამარჯვებაში.

32ა II ვერსია: რამდენიმე თვის შემდეგ, მე (ე.გ-მ) ანკეტები შევავსებინე საგვარეულოს წევრებს. ბ-ნმა გივიმ, ჯაჭვაძეების გვარის წარმოშობის შესახებ, ანკეტაში სხვა შინაარსის ტექსტი ჩაწერა. როგორც ჩანს, მან სხვა ჯაჭვაძეებისაგან მიიღო ახალი ინფორმაცია, რომელიც უფრო სარწმუნოდ ჩათვალა. მე ამ ჩანაწერის ტექსტიც მომყავს აქ:

„საგვარეულო გადმოცემით, **ჩვენი წინაპრები წამოსული არიან სოფ. წევიდან. მათი პირვანდელი გვარი გაჩეჩილაძე ყოფილა.** ისინი დასახლდნენ კახეთის ისტორიულ სოფელში (ამჟამად ნასოფლარში) ჭერემში. ააშენეს პატარა სალოცავი – წმ. კვირიკეს სახელობის, სადაც დაასვენეს, სოფ. წევიდან ჩამოტანილი, ზედაშე. ყოველი წლის 28 ივლისს აქ აღინიშნება კვირიკობის დღესასწაული, რომელზეც თავს იყრიან ჭერემიდან კახეთის სოფლებში, სოფ. გამარჯვებაში და თბილისში განსახლებული ჯაჭვაძეები“.

33. ნინო წიკლაური (ჯაჭვაძის ძვრივი), *67 წლის. თბილისი.*

მისი მეუღლე ჭერემიდან ყოფილა. ქ-ნ ნინოს გაზეთ „მეოთხე“-ში **წაუკითხავს, რომ <u>ჯაჭვაძეები წარმოშობით სვანები არიან,</u>** რომ მათი გვარის საწყისი ფორმა ყოფილა ჯაჭვანი, მერე გადაკეთებულა ჯაჭვლიანად და მერე ჯაჭვაძედ...

34. ვალერი თენგიზს ძე ჯაჭვაძე, *28 წლის. სოფ. გამარჯვება.*

ჭერემელია. **გაუგონია, რომ <u>მათ გვარს კავშირი აქვს ჯაჭვლიანების გვართან.</u>**

ვალერის მამა – თენგიზი 60 წლისაა, ცხოვრობს ჭერემში. ვალერის მამის პაპას – შაქრიას ხატი ჩამოუტანია ზესტაფონიდან და დაუსვენებია ჭერემში – საყდარში. საყდარს, თურმე, აწერია სიტყვები: „შაქრიას აღთქმა“.

ჭერემში ყოფილა კვირიკეს სალოცავი. ყველაზე დიდი დღესასწაული ამ საყდარში, თურმე, კვირიკობაა.

35. მერაბ თენგიზის ძე ჯაჭვაძე, *34 წლის. თბილისი.*

მის **წინაპრებს უცხოვრიათ წევაში**, შემდეგ – ჭერემში და შემდეგ – ჩაილურში. მისი პაპის მამა თუ პაპა ჩამოსულა ჩაილურში.

მათი დღესასწაული ყოფილა კვირიკობა.

36. ფირუზ ჯაჭვაძე, *65 წლის. თბილისი.*

მისი მამა ჯაჭვაძე ყოფილა. მანამდელი წინაპარი არ იცის გაჩეჩილაძე იყო, თუ ჯაჭვაძე.

37. გივი ალექსანდრეს ძე ჯაჭვაძე, *62 წლის. .თბილისი.*

ბ-ნი გივი ჭერემელია, 1937 წ. გადმოსახლებულა თბილისში. მისი თქმით: – ჯაჭვაძეები ჭერემში უბნებად ცხოვრობდნენ და ჰქონდათ მეტსახელები: კორკიტაანთები, სტაქანაანთები, ბუღაშვილები...

მთავრობას ჭერემელები, 1954 წ., სოფ. გამარჯვებაში გადაუყვანია საცხოვრებლად, ბ-ნი გივის აზრით, იმიტომ, რომ ჭერემი მაღალმთიანია და მოსახლეობას მოუსავლიანობა და გზის უვარგისობა აწუხებდა. თანაც, მთავრობას სდომია თბილისის გარშემო დემოგრაფიული ვითარების შეცვლა (მანამდე აქ აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ). 1979 წელს მოსახლეობა ისევ დაბრუნებულა ჭერემში, ახლა კი კვლავ ტოვებენ იქაურობას.

ბ-ნ გივის პაპა და ბიძა 1937 წ. გადაუსახლებიათ. მამა ფრონტზე დაღუპულა.

38. სულხან გიორგის ძე ჯაჭვაძე, *დაბად. 1942 წ., ზოოტექნიკოსი. სოფ. გამარჯვება.*

ჩვენი გვარის ისტორია იწყება დაახლოებით XII საუკუნიდან, როცა დავით აღმაშენებელმა ზემო იმერეთში დაასახლა ყივჩაყები, რომლებიც ითვლებიან ჩვენი გვარის წინაპრად. ჯაჭვაძის გვარის წინაპრები ყოფილან ხელოსნები, რომლებიც ამზადებდნენ საომარ ჯაჭვებს (ჯავშანს) აქედან მიუღიათ გვარი ჯაჭვაძე. ჩვენი გვარის წინაპარს, რაც მე ვიცი ბაბუაჩემის გადმოცემით, უცხოვრია ზესტაფონის რაიონის სოფ. წევაში. განსაკუთრებული შემთხვევის გამო, მას ბატონი მოუკლავს (მკვლელობის მიზეზი არ ვიცი). ამის შემდეგ, ჩვენი წინაპარი გადმოსულა საცხოვრებლად გურჯაანის რ-ის სოფ. ჭერემში. ეს კაცი ყოფილა სახელად სვინაურ ჯაჭვაძე, რომელმაც 9 წლის ბავშვი ჩამოიყვანა, სახელად ივანე. ეს ივანე იყო ბაბუაჩემის ბაბუა, ივანეს შვილი – იასონი – ბაბუაჩემის მამა, ბაბუაჩემს ზაქრო (ზაკალა) ერქვა, მისი შვილი გიორგი იყო მამაჩემი. მე თვითონ ვარ მე-6 თაობა წევიდან წამოსვლის შემდეგ.

(ეს ჩაწერა ბ-ნმა სულხანმა ანკეტაში. რადგან ტელეფონით ვერ დავუკავშირდი, მე (ე.გ-მ) სახლში მივაკითხე მას, რათა გამეგო საიდან მოიტანა მან ცნობა იმის შესახებ,

რომ ჯაჭვაძეების გვარის წინაპარი ყივჩაყი იყო. იგი სახლში არ დამხვდა. მისმა ვაჟმა, გიორგიმ კი მითხრა, რომ ***მამამისი თავისი გვარის წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მისულა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იქ მისთვის მიუთითებიათ ლიტერატურა, სადაც ბუნდოვნად ყოფილა მინიშნებული ზოგიერთი გვარის ყივჩაყთაგან წარმომავლობის შესახებ. ჯაჭვაძე იქ ნახსენები არ ყოფილა, მაგრამ, ბ-ნ სულხანს ასე მიუჩნევია...).***

ბ). **გაჩეჩილაძეების გადმოცემები ჯაჭვაძეების, გაჩეჩილაძეების და წევლიძეების გვარების წარმოშობის შესახებ**

39. მერი ივანეს ას. გაჩეჩილაძე-ჯანდიერი (ოთიაშვილი)*,
დაბ. 1935 წ., ხელოვნებათმცოდნე. თბილისი.

ჩემი ბაბუა–კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე* იყო სოფ. წევის წმ. გიორგის ეკლესიის უკანასკნელი მღვდელმსახური. მისგან მაქვს მოსმენილი ამ ეკლესიისა და ჩვენი გვარის შორეული წარსულის შესახებ:
– ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობამდე, ამ ეკლესიის მშენებლობაზე მუშაობდენ საქართველოს ახვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშენებლები. თვით სახელი „წევა“ შესანიშნავად ადასტურებს ამ ეკლესიის ღირსებას... აქვე დასახლებულა რამდენიმე მშენებელი. ერთ-ერთი მათგანი თმადაუვარცხნელი ყოფილა. რაც გამხდარა ჩვენი გვარის წარმოშობის საფუძველი. მშენებლები ჯაჭვის მსგავსად ერთმანეთის გვერდით ყოფილან დასახლებული, ამიტომ, კარგა ხანს მათ ჯაჭვაძეებსაც უწოდებდენ. *ანკეტა შეავსო 2003 წ..*

39ა. *2007 წ. ქ-ნმა მერიმ ლეგენდის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი (წერილობითი) წარმოგვიდგინა:*
ჩემმა ბაბუამ წევის წმ. გიორგის ტაძრის უკანასკნელმა მღვდელმა მიამბო, რომ სოფ. წევის ტერიტორიაზე პირველ მოსახლეებს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში (პირველყოფილი წყობილების დროს) უცხოვრიათ. *(ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან იქვე ახლოს, ხარაგაულში (დევის ხვრელში) გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გ. ნიორაძის მიერ აღმოჩენილი სადგომი ამას ადასტურებს).* ეს პირველი მოსახლეები განლაგებულან მთის თავზე გაყოლებით, ერთმანეთის გვერდით და ამიტომ, მათ ერქვათ ჯაჭვაძეები. (აქ შეიძლება ამირანის ჯაჭვთანაც ვნახოთ გარკვეული ნათესაობა...). შემდეგ გამოკვეთილა „ოთია“ წინამძღოლი და მაცხოვრებლები მოიხსენიებოდენ, როგორც ოთიაშვილები. ისტორიის გრძელ პერიოდში, წევაში უცხოვრიათ დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაყებს, და ნაწილი კიდეც დაბინავებულა აქ. აქაურ მაცხოვრებლებს ჰყოლიათ, რა თქმა უნდა, ბატონი (პატრონი) – „თმადავარცხნილი“, ამიტომ მისი ხელქვეითებიც უნდა მოწესრიგებული ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი ვერ (თუ არ) შეეგუა ამ გარეგნულ წესიერებას, თუმცა, ბატონთან დაახლოებული პირი ყოფილა, და ერთხელ, დილით, როცა ბატონმა (ოთიაშვილმა) თავისთან დაიბარა, იგი ვერ მისულა სათანადოდ მოწესრიგებული. ბატონს კი ეს არ მოსწონებია და მიუმართავს – რატომ ხარ ასე თმაგაჩეჩილიო?!
მოსულმა უკმეხად მიუგო, რომ მას ასე მოსწონს. ბატონი არ განრისხდა, მხიარულად უთხრა: – შენ ოთიაშვილი კი არა, გაჩეჩილაძე ხარო. ასე წამოვიდა ეს გვარი. 2. XII. .2007 წ.

(ქ-ნმა მერიმ თქვა, რომ ეს მეორე ვარიანტი უფრო ზუსტია, ვიდრე 2003 წელს ჩაწერილი. მე ვკითხე: ოთიაშვილები და ყივჩაყები რა მიმართებაში იყვნენ ერთმანეთთან-მეთქი. არ ვიციო. წევაში ერთნიც ცხოვრობდნენ და მეორენიცო. მერე შეიძლება ყივჩაყებიც ოთიაშვილებად იხსენიებოდნენო. ე.გ.).

40. ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*,
დაბ. 1945 წ.. თბილისი.
ზემოხსენებული გვარების და ტოპინიმ „წევას“ შექმნის ისტორია მამაჩემმა, არქიტექტორმა მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძემ (1911-1990), მიამბო, თავისი ბაბუის, ოქროპირ (ყაფლანის ? ძე) გაჩეჩილაძისაგან გადმოცემული. (ოქროპირ გაჩეჩილაძე სავარაუდოდ 1840-იანი წლების II ნახევარში ან 1850-იანი წლების დასაწყისში, იქნებოდა დაბადებული. იგი ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის უფროსი თანამედროვე იყო). ლეგენდა ასეთია:

დავით აღმაშენებელს დასავლეთ საქართველოს ნაგებობათა შესაკეთებლად და ახალ მშენებლობათა საწარმოებლად საქართველოს სხვადასხვა მთიანი კუთხეებიდან შეუკრებია მშენებელი ხელოსნები და მათი დამხმარე მუშახელი. მათი ერთი ნაწილი შორაპნის ციხის აღდგენაზე დაუსაქმებია.

სამშენებლო ქვას ისინი, თურმე, ახლანდელი სოფ. წევის განაპირას მდებარე კლდიდან ამტვრევდენ და ეწეოდენ (ეზიდებოდენ) ახლომახლო მშენებლობებისაკენ.

შორაპნის ციხემდე ქვა, თურმე, ხელიდან ხელში გადაცემის, ე.წ. ჯაჭვისებური წესით გადაჰქონდათ.

კლდისათვის, საიდანაც ქვას ამტვრევდენ „კლდეკარა“ შეურქმევიათ[1] იმ ადგილისათვის, სადაც სამშენებლო მასალას თავს უყრიდენ და საიდანაც მას ეწეოდენ – „წევა“, ხოლო ცოცხალი „ჯაჭვის“ მონაწილე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშენებლებისათვის „ჯაჭვაძეები“ უწოდებიათ.

ჯაჭვაძეები წევის ტერიტორიაზე დასახლებულან და, ბუნებრივია, დასჭირვებიათ ეკლესია, რომლის მშენებლობა დაუვალებიათ, საეკლესიო საქმეში თანასოფლელებზე უკეთ გარკვეული, ვინმე თმაგაჩეჩილი დიაკვნისათვის.

დიაკვანს ეკლესიის ასაგებად იმ არემარეში ყველაზე ლამაზი და მოსახერხებელი ადგილი შეურჩევია. მაგრამ, ვინაიდან საძირკვლის გათხრის ადგილას დიდი რაოდენობით ადამიანის ჩონჩხი აღმოჩენილა ერთად დაფლული, სოფლელებს კი წინაპართაგან სმენოდათ, რომ დიდი სისხლისღვრის ადგილას ეკლესიის აგება ცოდვა იყო, მშენებლობა შეუწყვეტიათ და მისი სხვა ადგილას გადატანა დაუპირებიათ, მაგრამ, მშენებლობის ხელმძღვანელი დიაკვანი ეკლესიისათვის შერჩეულ ლამაზ ადგილს ვერ შელევია და თანასოფლელები დაუთანხმებია, რომ მშენებლობა იქვე განეგრძოთ. უთქვამს, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებდა ღვთის წინაშე და, თუ ღმერთი ამ ადგილას ეკლესიის აგებას ცოდვად ჩათვლიდა, პირადად თვითონ იტვირთავდა ღვთის რისხვასა და სასჯელს.

ეკლესია და მაღალი **სამრეკლო**[2] საკმაოდ სწრაფად, დაუბრკოლებლად აუგიათ. მისი მშენებლობის პროცესში არც დიაკვანს და არც მის თანასოფლელებს ცუდი არაფერი შემთხვევიათ, ამიტომ ყველას მიუჩნევია, რომ ღმერთმა ამ ადგილას ეკლესიის აგება აპატიათ.

ეკლესიის კურთხევის დღეს დიდი ზეიმი გაუმართავთ. გახარებული დიაკვანი შეზარხოშებული ასულა სამრეკლოზე, რათა ზარი პირველს თვითონ დაერეკა, მაგრამ ნასვამს ზარის შემოკვრისას თავი ვერ შეუმაგრებია, სამრეკლოდან გადმოვარდნილა და დაღუპულა[3].

ვინაიდან თმაგაჩეჩილი დიაკონი თანასოფლელთაგან გამოირჩა, როგორც ეკლესიის ხუროთმოძღვარი და მის მშენებლობას შეწირული ადამიანი, მის მემკვიდრე შვიდ ვაჟიშვილს, თურმე, გაჩეჩილიშვილის გვარით იხსენიებდნენ, მაგრამ, შემდგომში, ვინაიდან იმერეთში გვარები ძე-ზე ბოლოვდება, მათი შთამომავლების გვარი გაჩეჩილაძედ ჩამოყალიბებულა.

იმერეთში, ერთხანს, სავარაუდოდ XIX სს. I ნახევარში, საშინელ სიდუხჭირეს დაუსადგურებია. ზოგ გაჩეჩილაძეს წინაპართაგან გაგონილი ჰქონია, რომ იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გადმოასახლეს, ნაყოფიერი მიწები იყო და შეიძლებოდა თავის გატანა. ამიტომ, ჯაჭვაძეები და გაჩეჩილაძეების ერთი ნაწილი აყრილა და თავიანთ „პირვანდელ სამშობლოში“ კახეთში „დაბრუნებულა“ (კერძოდ კი სოფელ ჭერემში). გაჩეჩილაძეებს იქ თავიანთი „ძველი გვარი – ჯაჭვაძე დაუბრუნებიათ“.

XIX ს-ის ბოლოს, თუ XX ს-ის დასაწყისში სოფ. წევიდან საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილას გადასულ გაჩეჩილაძეთა რამდენიმე ოჯახს გვარი წეველიძედ გადაუკეთებია და მათგან გამრავლდნენ წეველიძეები.

1. წევის კლდეკარი და კლდეკარის გზა, სავარაუდოდ, ანტიკური ხანისა უნდა იყოს. ამ ლეგენდაში, როგორც ჩანს, სხვადასხვა პერიოდის ამბებია გაერთიანებული. მაგრამ, როდინდელიც არ უნდა იყოს ეს გზა და კლდეკარი, მათი გამოკვეთის დროს მომტვრეულ ქვას, ცხადია, მშენებლობებისთვის გამოიყენებდნენ...

2. პირველი სამრეკლო VIII ს-ში იხსენიება – რომში. საქართველოში უძველესი, გუდარეხის სამრეკლო 1278 წლით თარიღდება. შესაძლებელია, ქვის სამრეკლოებზე ადრე საქართველოში ხის სამრეკლოები არსებობდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მოსალოდნელია, წევის ეკლესიის ხის სამრეკლო არა ეკლესიის აგების თანადროული ყოფილიყო, არამედ მისი პირველი რესტავრაციის დროს აეგოთ, ანუ თამარის ხანაში.

3. ბატონ თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძისათვის (ლობიო) 2002 წელს სუფრასთან ვიღაც სხვა გვარის კაცს უამბნია, რომ მას გაუგონია, რომ გაჩეჩილაძეებს ეს გვარი შეერქვათ იმიტომ, რომ მათი წინაპარი სასულიერო პირი ვიღაცას მაღლიდან გადმოუგდია. ვარდნის

დროს მას თმა-წვერი გაშლია – გაჩეჩია, რის გამოც მისი შვილებისათვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ. (ანალოგიური ვერსიაა გადმოცემული აქ წარმოდგენილ № 57 ლეგენდაშიც).

თუ გაჩეჩილმა დიაკვანმა მართლაც სამრეკლოდან გადმოვარდნით დაასრულა სიცოცხლე, შესაძლოა მისი გადმოგდების ვერსია უფრო სწორი იყოს, ვიდრე თავისით გადმოვარდნის: ძნელად წარმოსადგენია სასულიერო პირი ეკლესიის კურთხევის დღეს ისე დამთვრალიყო, რომ ზარის დარეკვა ვერ მოეხერხებია. შესაძლოა ის შეგნებულად გადმოაგდეს მსხვერპლშეწირვის მიზნით – ან იმიტომ, რომ არ შერყეულიყო ხალხის რწმენა ძველი წარმოდგენების მიმართ (მან ხომ არ გაითვალისწინა წინაპართა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც დიდი სისხლისღვრის ადგილზე ეკლესიის აშენება არ შეიძლებოდა და, ამ წესის დამრღვევს, ღმერთი დასჯიდა) – ან კიდევ იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში იმერეთში არსებულა რწმენა, რომ ცოდვაზე აშენებული ნაგებობა უფრო მტკიცე იქნებაო. გიორგი ბოჭორიძის წიგნში „იმერეთი“ მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ, თურმე, გამოჩინებულის ეკლესიის საძირკველში, ეკლესიის სიმტკიცის მიზნით, შანიძის 10 წლის ბიჭი ცოცხლად ჩაუტანებიათ... (რედ.).

41. რეზო ემელიონის ძე გაჩეჩილაძე, *დაბ. 1925 წ., მშენებელი ინჟინერი. სოფ.წევა. (ბ-ნ–ი რეზოს ბაბუას ერქვა სპირიდონი, ბაბუის მამას ბეჟანი, ბაბუის-ბაბუას ოთია).*

XII ს-ში დავით აღმაშენებელმა საქართველოში რეგულარული ჯარის შესაქმნელად ჩრდ. კავკასიიდან გადმოასახლა მომთაბარე ტომი „ყივჩაყები“ (40 ათასი ოჯახი), რომლებიც განთქმული იყვნენ კარგი მეომრობით. მათი ნაწილი დასავლეთ საქართველოში დაასახლა ერთმანეთისაგან 50-60 მეტრის დაშორებით (ჯაჭვურად), რათა მტრის შემოსევის დროს ამბავი ერთმანეთისათვის გადაეცათ და სწრაფად ეცნობებინათ ქვეყნის მოსახლეობისათვის. შორაპნიდან ჭიათურის მიმართულებით განსახლებულ ყივჩაყთა ნაწილი სოფ. წევაში დასახლდა და დაირქვა გვარი ჯაჭვაძე.

რომელ საუკუნეში მოხდა არ ვიცი, გაჩენილა შავი ჭირი და აღნიშნული მოსახლეები გადასახლებულან კახეთში.

სოფ. წევის ბატონები ყოფილან სოფ. ბორში მცხოვრები მაჭავარიანები. ერთ-ერთ ბატონს გამოუძახია თავისი მოურავი და დაუვალებია, – მე მყავდა კარგი ყმები ჯაჭვაძეები და იქნებ ამ გვარის ერთი წარმომადგენელი მომიყვანოო. მოურავმა კახეთიდან ჩამოიყვანა ერთი ახალგაზრდა ბიჭი და მიჰგვარა ბატონს. ბატონს ბიჭისათვის თავზე ხელი გადაუსვია და უთქვამს: – რა კარგი გაჩეჩილი ბიჭი მომიყვანეო. – აქედან წარმოიშვა გაჩეჩილაძეების გვარი...

ზემოთ აღნიშნული მომიყვა თბილისში მცხოვრებმა მშენებელმა ინჟინერმა, თუ არ ვცდები, გიორგი ალფეზის ძე გაჩეჩილაძემ (40—45 წლის წინათ), რომელიც მუშაობდა გზატკეცილების სამინისტროში.

ანკეტა შეავსო 2002წ., სოფ. წევაში.

42. დალი ზურაბის ას. გაჩეჩილაძე (ღვიძლი), *45 წლის, წიფლავაკელი, გათხოვილი კვალითში – არაბიძეზე.*

დავით აღმაშენებელმა საქართველოში ჩამოასახლა 7 ეროვნების 45 ათასი მოსახლე (ჯიქები, ჩერქეზები, ღილღვები, ყივჩაყები, ლეკები, ოსები, არღინები). საქართველოს გაერთიანებისათვის ისინი გამოიყენა ომში და დაასახლა უკაცრიელ ადგილებში. ისინი ჯაჭვებს აწარმოებდნენ. ყოფილან საიმედო, უდალატო ხალხი. დავით მეფემ ჩააცვა მათ ომში ჯაჭვის პერანგები. რადგან გვარი არ ჰქონდათ, შეურქმევია მათთვის ჯაჭვაძეები. მონათესავე გვარები არიან შუბითიძეები, მაღლაკელიძეები, ჩადუნელები, სამხარაძეები, გაჩეჩილაძეები.

შორაპნის ზემო მიდამოებში დაუსახლებიათ ჯაჭვაძეები, მათნაირ ჯაჭვს ვერავინ ამზადებდა თურმე.

თათრები ვაჭრობდნენ, თურმე, და ჰყავდათ აქლემები. ამბობდნენ, თურმე, ვეწევით, ვეწევით და გზა არ ილევაო (აღმართი იყო სულ).

აქ ჯაჭვის ოსტატები დაუბრიყვებიათ, თურმე, თათრებს და შეაწერდნენ ხოლმე ფულს. თუ არ გადაიხდიდა, სცემდნენ და კლავდნენ. ეს გაუგია გაჩეჩილაძე ერასტის – ძლიერი კაცი ყოფილა. თათრებმა დაიწყეს, თურმე, დუქნების აოხრება და ხალხის აწიოკება. ერასტის დაუბეგვია თათრები. მას შემდეგ, შიშით ვერავინ სცემდათ, თურმე, ოსტატებს ხმას. ერასტი კი ემალებოდა, თურმე, გამყიდველებს.

ერთი ჯაჭვაძე ყოფილა ბერად შემდგარი. მას დაუწყია ეკლესიის შენება. მუშაობაში და წვალებაში წვერი და თმები გაჩეჩილი ჰქონია და მისთვის შეურქმევიათ გაჩეჩილაძე. ლევ ტოლსტოის წიგნში წერიაო ვრცლად ბევრი რამ.

შენიშვნები: 1. ქ-ნი დალისთვის ეს ამბები ჩაუწერინებია სოფ. შროშაში მცხოვრებ მამიდას – ანა გაჩეჩილაძეს, დაახლოებით 80 წლისას. ქ-ნმა დალიმ ჩანაწერი გადმომცა 2005 წლის 27.VII, წევაში. მე ვკითხე, საიდან იცის მამიდათქვენმა ეს ამბები-მეთქი. მიპასუხა: – მამიდამ მითხრა, ზოგი რამ მომისმენია, ზოგი – წამიკითხავსო.

2. ამ ლეგენდაში გაერთიანებულია სხვადასხვა ეპოქაში მომხდარი ამბები, მაგ.: აქ ნახსენები ერასტი გაჩეჩილაძე, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს წევაში XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში მცხოვრები ერა(ო)სტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის ძმა) რომელიც, როგორც ფიზიკურად ძლიერი და დაჩაგრულთა ქომაგი ადამიანი, ნახსენებია დალი ლევანის ას. გაჩეჩილაძის სტატიაშიც – „ცოტა რამ წევის შესახებ“ იხ. გვ. 287].

43. სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)* *(1863-1943), ცნობილი ფოლკლორისტი.*

ბ-ნ ს. გ-ს, აკაკის კრებულში თავისი ნარკვევის „წევა წეველები მათი ისტორია და თავგადასავალი“-ს გამოქვეყნებამდე ორი წლით ადრე, გაზ. „კვალში“ (1897წ. № 34, გვ. 625) გამოქვეყნებული აქვს, ზემოხსენებულ ნარკვევში წარმოდგენილისაგან განსხვავებული, ლეგენდა გაჩეჩილაძეთა გვარის წარმოშობის შესახებ. გთავაზობთ ამ ლეგენდას:

„თამარ დედოფალი, სვანეთიდან გამომგზავრებული, შქმერზე გადმოსულა და წამოსულა დასავლეთ-სამხრეთისაკენ. აქ დაუსრულებელი ვრცელი ვაკეები შეხვედრია და „ულევი“ დაურქმევია; როცა გადასახედავზე მიუწევია, დაურქმევია იმ სოფლისთვის „წევა“; ხის საჯვარე დახვედრია ამ სოფელში და იქ თმაგაბურძგნულ მედავითნესათვის „გაჩეჩილი“ დაურქმევია, საიდანაც მის შვილებს გაჩეჩილაძე დაეგვარა. აქვე საჯვარის მაგიერათ, ჩვეულებისამებრ, აუშენებია მაშინ ეს ვიწრო და მაღალი საყდარი, რომელიც თავისი მხატვრობით დღემდეა დაცული.

ამ ეკლესიას ეძახიან წმ. გიორგის ეკლესიას და წმ. **<u>კვირიაკეს (?.)</u>** დღესასწაულს იხდიან 15 კვირიკობის თვეს (მკათათვე).“

44. ალექსანდრე ლავრენტის ძე გაჩეჩილაძე* (1913-1986), *საქართველოს დამსახ. პედაგოგი,* **პ. ნებიერიძე –** *ჟურნალისტი.*

1983 წლის 1 სექტემბრის გაზეთ „ლენინელის“ (საქ. კომპარტიის ზესტაფონის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ორგანო) გამოქვეყნებულია წერილი „სახელოვანი მამულიშვილი“ (ეხება პროფ. ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძის მოღვაწეობას), რომელსაც ხელს აწერენ: ალ. გაჩეჩილაძე (სავარაუდოდ, ალექსანდრე ლავრენტის ძე გაჩეჩილაძე –საქ. დამს. პედაგოგი) და პ. ნებიერიძე –სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი. წერილში ასეთი ლეგენდაცაა მოყვანილი:*

„წევა უძველესი სოფელია ჩვენს რაიონში. როგორც ხალხური ლეგენდა გადმოგვცემს, XII საუკუნეში აქ სრულიად საქართველოს მეფე თამარი თავისი მხლებლებით ასულა და რომ აუვაკებია, უთქვამს „ძლივს ამოვაღწიეო“ და სოფლისათვის წევა დაურქმევიათ. მაღლობ ადგილას წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი აუგიათ 1182-83 წლებში, ხოლო 1864 წელს ამ ტუფით ნაშენებ მონასტრისათვის გუმბათი და გვერდის სადგომები მიუშენებიათ, მის ახლოს სენაკიც ყოფილა აშენებული.“

(ბ-ნი ალექსანდრე წევის ეკლესიის აგების თარიღს ისე ასახელებს, რომ ამასთან დაკავშირებით არავითარ ეჭვს არ გამოთქვამს. მაგრამ, წევის ეკლესიას დამათარიღებელი წარწერა არა აქვს, მისი აგების თარიღი არც საისტორიო წყაროებში გვხვდება და არც ძეგლის სტილისტური ანალიზი იძლევა ზემოთ აღნიშნული წლებით მისი დათარიღების საშუალებას...

გვერდითი ნავები ამ ეკლესიისვის 1863 წ. მიუშენებიათ (რასაც იუწყება ბერძნული წარწერა მისი ჩრდ. შესასვლელის ზემოთ), ხოლო, სამკვეთლო, სადიაკვნე და გუმბათიანი სამრეკლო უფრო მოგვიანებით... ე.გ.).

45. დავით ბურამის ძე გაჩეჩლაძე (ოთიაშვილი), დაბ. 1974 წ..

ჟურნალისტი, პოეტი, ფერმწერი, მოქანდაკე.

ქართველთა სასიქადულო მეფე, თამარი, მერვესა წელსა მისი მეფობისასა, ჯერ კიდევ ყრმაი, მობრუნებული ვარძიითგან, შეჩერებულა მარგვეთს, ახლანდელი ზესტაფონის მახლობლად, სოფელ წევას, სადაც მის დიდ პაპას დავითს წმინდა გიორგის ტაძარი აუგია და ულოცია კიდეც. სოფელს სახელი წევა იმიტომ შერქმევია, რომ სწორედ ამ ადგილიდან ეწეოდნენ, თურმე, ქვას ტაძრის მშენებლები. იმ ხანად, წევა სავაჭრო, საგანმანათლებლო და სასულიერო ცენტრიც ყოფილა, რადგან აბრეშუმის საქარავნო

გზაზე სწორედ წევის ქედი იყო უკანასკნელი მოსასვენებელი ზეგანი ლიხს იქით და ლიხს აქეთ მომავალი მგზავრებისათვის. თურმე, შორეული აღმოსავლეთიდან ხღვისკენ მიმავალ სტუმარსაც პირველი წევა ეგებებოდა, განთქმული იმერული ხელგაშლილობით. აქ ოდიდგანვე ყოფილა მოწყობილი ურიცხვი სავაჭროები და საოსტიგნეები. წევაში ევროპიდან-აზიაში და პირიქით, ალჟირიდან-პარიზამდე მიმავალი ტვირთი შორსმავალი აქლემებიდან იცლებოდა და საწყობდებოდა. შემდეგ ტვირთი, ლიხის უღელტეხილის გადასალახავად, ადგილობრივ მთის გზებზე კარგად გამოცდილ ჯორ-ცხენებზე იტვირთებოდა და ისე განაგრძობდა შორეულ გზას. აქედან გამომდინარე, ადგილზე განვითარებული ყოფილა მეცხოველეობა-მეჯოგეობა, აქაურებს მაშინვე სცოდნიათ რამდენიმე უცხო ენა, ყოფილან გამცილებლები და „გზის მცოდნენი“, რამდენიმე შეძლებულს კი მცირე სასტუმროც ჰქონია. ამავე დროს უნდა მოხვედრილიყო წევაში ის უნიკალური ხელნაწერები და სპარსული ფარდაგები, რომლებიც გასაბჭოების მერე გაუქმებული ეკლესიიდან გაუტაცებიათ კომკავშირელებს.

თამარს შეუსვენია აქ და აქაური იარაღის მჭედელთა, გვარად ჯაჭვაძეთა, ნახელავი იარაღის გამოცდა უბრძანებია. თურმე, თორმეტი ძმა ჯაჭვაძეები ერთმანეთს გავარვარებული, წითლად მოელვარე ხმლებით ცხენებზე ამხედრებულები ერკინებოდნენ და ბრძოლაში გამოწრთობილი მოელვარე ფოლადის სიმტკიცეს უჩვენებდნენ მეფეთ-მეფეს. ბოლოს, როდესაც შეჯიბრება დამთავრდა, ერთ-ერთ ძმას, უხუცესს ძმებ ჯაჭვაძეთაგან, მუზარადი მოუხსნია და, თმა-წვერ გაჩეჩილს, მეფისათვის, მუხლმოდრეკით, მისი ხელით ნაჭედი, ვერცხლის საფინამძღვრე ჯვარი მიურთმევია. როდესაც თამარს თმაგაჩეჩილ ჯაჭვაძეში წევის წმინდა გიორგის ხუცესი, მღვდელი გუარამი შეუცვნია, გახარებია განთქმული ოსტატისაგან მირთმეული ულამაზესი ვერცხლის ჯვარი და წევის ეკლესიისათვის დიდძალი მიწა და თვალმარგალიტი უბოძებია, ხოლო ხუცესი გუარამი, ხუმრობით გაჩეჩილად უწოდებია და, მას შემდეგ, ყოველი შობილი ჯაჭვაძეთა ამ შტოდან გაჩეჩილაძედ დამკვიდრებულა – ასე, ლამაზი ზღაპარივით მიყვებოდა ამ ამბავს ჩემი ბაბაუა (ბორის ევსევის ძე გაჩეჩილაძე) ბავშვობაში და ისე ცხოვლად დააჩნდა ჩემს სულს ეს ისტორია, რომ დღესაც ცოცხალივით ჩამესმის ბაბუას ხმა.

(ეს ლეგენდა ჩართული იყო ბ-ნი დავითის მიერ წინამდებარე წიგნში დასაბეჭდად წარმოდგენილ ტექსტში, რომელიც ეხებოდა მისი ოჯახის ისტორიას. შემდეგ მან აღარ ისურვა ამ ტექსტის ჩვენს წიგნში გამოქვეყნება, მაგრამ მე მაინც, მისი ნებართვის გარეშე, ვაქვეყნებ ამ ლეგენდას, რომელიც წარმოგვიდგენს ერთ-ერთი საგვარეულო ლეგენდის ერთ-ერთ ვარიანტს. ამის უფლება ჩემს თავს მივეცი იმიტომ, რომ საგვარეულო ლეგენდები არ არის მხოლოდ ერთი ოჯახის ან ერთი პირის საკუთრება და ვინაიდან მათი განხილვა ხდება „საგვარეულო წიგნის“ ამ ტომში, ვაქვეყნებ ყველა ლეგენდას და ყველა გადმოცემას, რომელმაც ჩემამდე მოაღწია, ვინაიდან, როგორც პრაქტიკამ დამანახვა, ლეგენდის დაფიქსირებას აზრი აქვს მანამ, სანამ მისი მთხრობელი გაეცნობა სხვისგან მოყოლილ ვარიანტს. სხვისი ტექსტის მოსმენის შემდეგ, ზოგი მთხრობელი ცვლის თავისი ტექსტის შინაარსს. ასეთი ფაქტი ჩემს თვალწინ რამდენიმეჯერ მოხდა, ერთ-ერთი მაგალითი ჩვენ ამ წიგნშიც გვაქვს მოყვანილი (იხ. ტექსტები №32 და №32ა). მე ვფიქრობ, რომ თვით ბ-ნი დავითის შთამომავლების ინტერესებს შეესაბამება, რომ საგვარეულო ლეგენდები დროულად, რაც შეიძლება უფრო ადრინდელ წინაპართაგან მოღწეული სახით, დაფიქსირდეს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ № 45 ტექსტს მისი წარმომდგენის შემოქმედებითი მონაცემების კვალიც ეტყობა... ე.გ).

46. ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე (ჭიმატი)*,

დაბად. 1927 წ., ეკონომისტი. ლაგოდეხის რ. სოფ. კართუბანი.

(ბ-ნი ვახტანგის ბაბუას ერქვა გრიგოლი, ბაბუის მამას–ივანე, ბაბუის ბაბუას–გიორგი).

თამარ მეფე თავისი ჯარით მოდიოდა დასავლეთიდან. სოფ. წევაში შეისვენა და დაბინავდა. ადგილმდებარეობამ ისე მოხიბლა, რომ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა.

დაბა ხარაგაულსა და სადგურ ძირულას შორის არის ხანდების (*ხანდევის–ე.გ.*) კლდე, რომელიც გამოიყენეს სოფ. წევის წმ. გიორგის ეკლესიის ასაშენებლად.

თამარ მეფეს მოსწონებია ჯაჭვაძის ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც გრძელი, გაჩეჩილი თმა ჰქონია. მიუჩინა მას საცხოვრებელი ადგილი სოფ. წევაში და გვარად უწოდა გაჩეჩილაძე.

ანკეტა შეავსო 2003 წ..

47. ზურაბ ტერენტის ძე გაჩეჩილაძე (სავარაუდოდ მეწურბლე),

დაბ. 1940წ., თბილისი.

გამიგონია, რომ თამარ მეფეს გამოუვლია ს. წევაში. შეხვედრია აწეწილთმიანი ბიჭი. მეფეს მისთვის წყლის მოტანა დაუვალებია. უკითხავს მისი გვარი. ბიჭს უპასუხნია

ჯაჭვაძე ვარო. **თამარს უთქვამს, შენ ჯაჭვაძე კი არა გაჩეჩილაძე ხარო.** აქედან წამოსულა გაჩეჩილაძეების გვარი.

გამიგონია, ასევე, რომ ჩვენს ერთ-ერთ წინაპარს წევაში ბატონი, თუ ვიღაც მოუკლავს და წასულა საცხოვრებლად ჯერ სოფ. გეზრულში, შემდეგ კი თურქეთში გადასულა.

ჩაწერილია 2010 წ..

48. ბაჭუა დავითის ძე გაჩეჩილაძე (გელტიძლაკია)*, *დაბ.1923წ.,*
ისტორიკოსი, იურისტი. თბილისი.
(ბ-ნი ბაჭუას ბაბუას ერქვა კონსტანტინე, ბაბუის მამას თედორე).

თამარ მეფემ წევის ეკლესია რომ ააგო, მცველად დანიშნა ოსი ჯაჭვაძე, თათარი ებანოიძე და ლეკი ზიბზიბაძე. ზიბზიბაძეს ჯიბლიბო ჰქონდა სახეზე და იმიტომ დაერქვა ზიბზიბაძე, ებანოიძეს დიდი სასქესო ორგანო ჰქონდა და იმიტომ დაერქვა ებანოიძე (?!..), *(ჯაჭვაძეს რატომ დაერქვა ჯაჭვაძე ეს აღარ უთქვამს, საუბარი გააწყვეტინეს და მერე ვეღარ შევძელი მასთან დაკავშირება. ეს ამბავი ჩაიწერა საგვარეულოს II ყრილობის დაწყებამდე, 2003 წლის მარტში.*

საინტერესოა, ქართული ქრისტიანული ეკლესიის მცველად თამარ მეფეს რაღა ლეკი, ოსი და თათარი (თუნდაც გაქრისტიანებული) უნდა დაენიშნა?.. ანდა, თამარის ხანაში, სამეფოს შუაში მდებარე ქართულ სოფელში, ეკლესიას ლეკი, ოსი და თათარი ქართველებისაგან იცავდნენ?.. ე.გ.).

49. თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე (გოგება)*, *დაბად. 1927 წ. საქართველოს დამსახურებული ინჟინერ–მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი.*
(ტექსტი იბეჭდება შემოკლებით. ორიგინალი ინახება საგვარეულოს არქივში).

აქ წარმოდგენილი ამბავი 1970-იანი წლების ბოლოს მიამბო ქ. ზესტაფონში მცხოვრებმა ბატონმა ტიტე გაჩეჩილაძემ (რომელიც, სავარაუდოდ, 1905-10 წლებში იქნებოდა დაბადებული.

იმხანად ბატონი ტიტე ცხოვრობდა მდ. ყვირილას მარცხენა შენაკადის, მდ. აჯამურის მარჯვენა ნაპირზე შემავალ ქუჩაზე. მისი სახლი ქუჩის დასაწყისიდან დაახლოებით 600-700 მეტრით იყო დაშორებული.

ტიტე გაჩეჩილაძე ფრიად ნაკითხი, ინტერესიანი კაცი ბრძანდებოდა, გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს მოსიყვარულე, ამასთანავე საუკეთესო მოსაუბრე. შესაძლოა, მას ჰქონდა ჩანაწერები გაჩეჩილაძეთა გვარის საკითხებზე, რაც დიდად წაადგებოდა ამ გვარის ისტორიის მკვლევარს.

ამბის მოკლე შინაარსი ასეთია: 1738 წ. ერეკლე II, თავისი ამალით, ინდოეთში სალაშქროდ ახლდა სპარსეთის გამგებელს, ნადირ-შაჰ ავშარს... სპარსეთის ჯარმა ლაშქრობა გამარჯვებით დაასრულა და ნაალაფარიც მნიშვნელოვანი წამოუღია (ცხადია, არც ქართველთა ჯარი დარჩებოდა ხელცარიელი)...

ერეკლე II კახეთში დაბრუნებულა 1739 წლის 13 დეკემბერს. მისი თანმხლები ამალის ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოფილა ჩვენი მოთხრობის გმირი (გვარი უცნობია), რომელიც დაბრუნებულა სახლში (სავარაუდოდ დღევანდელი გურჯაანის რ. ტერიტორიაზე). იგი, ალბათ, ადგილობრივი თავადის ქმა იყო, მაგრამ, გამარჯვებული კაცი, რომელმაც, ალბათ, ინდოეთიდან საკმაო ნაალაფარი წამოიყოლა, მოპოვებული წარმატებით გათამამებული იქნებოდა. მას თავისი თავადის ასული მოსწონებია. ასულსაც მოსწონებია იგი. ცხადი იყო, რომ თავადი თავის ქალიშვილს მდაბიო ოჯახის შვილს ცოლად არ გაატანდა, ამიტომ... შეყვარებულები იმერეთის სამეფოში გაქცეულან.

იმერეთში მათ სოფ. წევის გარემო მოსწონებიათ და იქ დასახლებულან. სავარაუდოდ, ისინი კახეთიდან იმერეთს უნდა გაქცეულიყვნენ 1740 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში, რათა დაზამთრებამდე მოესწროთ თავშესაფრის მოწყობა.

გასულა დრო... იმერეთის მეფე სოლომონ I-ს 1758 წ. დაუწყია შორაპნის ციხის აღდგენა... ჩვენი მოთხრობის გმირი თავის შვიდ ვაჟთან ერთად (რომელთაგან უმცროსი იმ დროს 12 წლისა იყო) გამოცხადებულა ციხის მშენებლობის გამგებელთან და სამუშაო უთხოვია...

ჩვენი მოთხრობის გმირს სპარსეთში და ინდოეთში ნანახი ჰქონდა, თუ როგორ გადაჰქონდათ სამშენებლო მასალები ხელიდან-ხელში გადაცემით (რასაც „აღმოსავლური“, თუ „ჯაჭვური“ მეთოდი ეწოდებოდა და უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ადგილობრივ გამოყენებული, მასალის თითო-თითო კაცის მიერ გადაზიდვის მეთოდი). ის და მისი შვილები, თურმე, **მასალის გადაზიდვის დროს ჯაჭვისებურ მეთოდს იყენებდნენ, ამიტომ მათთვის „ჯაჭვაძეები“ შეურქმევიათ**. თავიანთი შრომის გასამრჯელოდ ჯაჭვაძეებს მეფისთვის, მათ მიერ სამოსახლოდ დაკავებული, მიწის დაკანონება უთხოვიათ და

მიუდიათ კიდეც ამის თაობაზე სოლომონ I-ის მიერ ხელმოწერილი სიგელი, რომელშიც, ალბათ, მიწის მეპატრონე ჯაჭვაძის გვარზე გაფორმდებოდა.

ჯერ კიდევ ოჯახის მამის სიცოცხლეში, მისი ერთ-ერთი ვაჟი წასულა კახეთში მამისა და ბაბუის კარმიდამოს მოსანახულებლად... იგი იქ დარჩენილა, დაოჯახებულა და მისგან გამრავლებულან კახელი ჯაჭვაძეები.

ის საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც იმერეთის მეფე სოლომონ I-მა უბოძა კახეთიდან ჩასულ კაცს და მის მრავალშვილიან ოჯახს, ვერ უზრუნველყოფდა ოჯახის მოთხოვნილებას, ამიტომ, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, მომდევნო ორმა ვაჟმაც აიკრა გუდა-ნაბადი და წავიდნენ საარსებო გარემოს საძებნელად. მათგან ერთი მდ. ყვირილას ხეობას აჰყოლია, სოფ. საჩხერეში ჩასიძებულა და გამრავლებულა. ეს ოჯახი გახდა საჩხერის ჯაჭვაძეების ფუძე.

მესამე ვაჟი რაჭაში გადასულა, იქ დამკვიდრებულა და სათავე დაუდია ჯაჭვაძეების რაჭის შტოსათვის.

გასულა დრო. დედ-მამა გარდაცვლილა. ამ დროს სამი ვაჟი გასული იყო ოჯახიდან. ჯაჭვაძეთა ოჯახში დარჩენილი იყო ოთხი ძმა. ოჯახი განიცდიდა დასამუშავებელი მიწის სიმცირეს. ძმები მიწის გაყოფის პრინციპზე ვერ თანხმდებოდნენ და ურთიერთ შორის დაობდნენ. ერთ-ერთი, ფიზიკურად დანარჩენებზე ძლიერი, ძმა მოითხოვდა, მიწა იმის მიხედვით გაეყოთ, ვინც რამდენის დამუშავებას შეძლებდა ერთ დღეში, რადგან დარწმუნებული იყო თავის შესაძლებლობებში და ფიქრობდა, რომ უმეტესი მიწა მას დარჩებოდა.

ერთ დღეს ერთ-ერთი ძმა, ახლომდებარე ბაზრობაზე წასულა. როცა დაბრუნებულა, თავისი ძლიერი ძმა მიწაზე დაგდებული, მკვდარი, თოხით თავგაჩეხილი, დახვედრია, ხოლო ორი დანარჩენი ძმა სახლიდან გაქცეულა და მეტად აღარც გამოჩენილან. ცხადი იყო, რომ მკვლელობა მათ ჩაიდინეს – ზემოხსენებული დავის გამო.

ოჯახში მარტო დარჩენილ ძმას რა უნდა ეღონა, გარდა იმისა, რომ დაღუპული ძმა და თავისი მარტოობა ეგლოვა? იგი, თურმე, თმაგაჩეჩილი დადიოდა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, იგი დაოჯახებულა, შესძენია ვაჟი, რომელსაც გაჩეჩილის ძედ იხსენიებდნენ. **შემდეგ, ეს შერქმეული სახელი გვარად – გაჩეჩილაძედ დამკვიდრებულა, ჯაჭვაძე კი დავიწყებას მისცემია.**

(ბ-ნ თენგიზს, ბატონი ტიტეს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩაუტარებია გამოთვლები, რომლის შედეგად გაჩეჩილაძის გვარის გაჩენის სავარაუდო თარიღად 1765-1775 წლები გამოდის, რასაც თვითონ ბ-ნი თენგიზი არ ეთანხმება: – ასე რომ იყოს, გაჩეჩილაძეთა გვარი ასე მოკლე დროში ვერ მიაღწევდა ასეთ მრავალრიცხოვნობას: ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წევაში იმდენი იყო ერთი სახელისა და მამის სახელის მქონე, რომ გაჩეჩილაძეებს მრავალი ქვეგვარი შეუქმნიათ – საგვარეულო შტოების ერთმანეთისაგან გამოსარჩევად და, თანაც, ჩვენს მიერ „საგვარეულო წიგნის I ტომში მოყვანილი ერთ-ერთი დოკუმენტით, ამ გვარის არსებობა ჯერ კიდევ 1550-1570 წლებშია დადასტურებული. ე.გ.).

შემდეგ ბ-ნი თენგიზი იხსენებს მამამისის ნაამბობს:

ეს ამბავი მიამბო მამაჩემმა, ჩემს მიერ დასმული კითხვის პასუხად დაახლოებით 1942 წელს ან 1943 წლის დასაწყისში: ჩვენს ოჯახთან ახლო და კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ვინმე ვასილ ებანოიძეს (დამატებითი სახელი – „დადარა“), რომელიც ჩვენთან ხშირად სტუმრობდა თავისი ცოლ-შვილით. როდესაც მე 15 თუ 16 წლის გავხდი, მამას ვკითხე, – დადარა ბიძია და ჩვენ ძალზე კარგ ურთიერთდამოკიდებულებაში ვართ. ვინ არის ეს ბიძია ჩვენთვის და რა გვაკავშირებს მასთან?

მამამ განმიმარტა: – **ებანოიძე ვასილი და გაჩეჩილაძეთა საგვარეულო ვართ ერთი ცოლ-ქმრის შვილთა სხვადასხვა განშტოება, რომელსაც ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს ჩაჰყრია საფუძველიო.** – მიმაჩნია, რომ მამაჩემის ნაამბობი სრულად შეესაბამება ბ-ნი ტიტეს ნაამბობს:

მამამ მითხრა: – ჩვენ ერთ სისხლ-ხორციელნი ვართ და ვიდრე შვიდი თაობა არ მოინაცვლებს ურთიერთის ძმები, დები და მოსიყვარულე ნათესავები უნდა ვიყოთო, ასეთი საგვარეულოების შვილთა ქორწინება არ შეიძლებაო. მით უმეტეს გოგო-ბიჭების ღლაბუციო:

– ვასილ, ანუ დადარა ბიძიას ჩემი ტოლი (შეიძლება ერთი წლით ჩემზე უმცროსი) გოგო ჰყავდა და მამაჩემმა ჩემი კითხვა ალბათ დაინახა სხვა კუთხით, ვიდრე მე ვკითხე... და თავისი ნათქვამით გამაფრთხილა – უხნეობას ადგილი არ ჰქონდესო!..

ეს ეპიზოდი იმისთვის მოვიყვანე, რომ წარმომესახა, რამდენად რეალური იყო გაჩეჩილაძეების და ებანოიძეების საგვარეულოების საერთო წარმომავლობა. ასევე, სარწმუნოდ მეჩვენება ნიორაძეების საგვარეულოს სიახლოვე ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეების საგვარეულოსთან: **მამამ მითხრა, აგრეთვე, რომ ანალოგიური ნათესაობა გვაკავშირებს ჯაჭვაძეების და ნიორაძეების საგვარეულოსთან, მხოლოდ, ტერიტორიულად ვცხოვრობთ სხვადასხვა ადგილზეო:** ჯაჭვაძეები სახლობენ კახეთში, ნიორაძეები – ზესტაფონში და თბილისშიო. საჩხერის და რაჭის ჯაჭვაძეებზე ალბათ არაფერი იცოდა, თორემ რაიმეს მაინც იტყოდა.

გავიდა საკმაო დრო (მამა გარდაიცვალა 1962 წელს) და მივხვდი, რომ მამამ, ალბათ, ბევრი რამ იცოდა გაჩეჩილაძეების საგვარეულოს წარმომავლობის საკითხებზე, ვინაიდან მას, ალბათ, შესაბამისი ბაზა გააჩნდა: მამაჩემი, ალექსანდრე ყარამანის ძე გაჩეჩილაძე (გოგება), 16 წლის ასაკში დაობლებულა. იგი, როგორც ოჯახის უფროსი შვილი, იძულებული იყო უმცროსი და-ძმის მეურვეობა ეკისრა. ამიტომ სამსახური დაუწყია ზესტაფონის „უეზდის“ სანოტარო კანტორაში საბუთების შემდგენლად (მამას ჰქონდა საუკეთესო კალიგრაფია როგორც ქართული, ისე რუსული).

1914 წ. მას სანოტარო კანტორა შეუსყიდია წინა მეპატრონისაგან. მამა 30 წლის განმავლობაში იყო ზესტაფონის სანოტარო კანტორის მუშაკი და თუ ვინმეს რაიმე სამოქალაქო საქმე ჰქონდა გასაფორმებელი, ყველა მასთან მიდიოდა. ამიტომ, მან, თითქმის, ყველა ოჯახის ქონებრივი საქმე იცოდა, იმ ხალხს იცნობდა და, რასაკვირველია, გაჩეჩილაძეთა ყველა ოჯახი მთელი თავისი შინაარსით ჰქონდა გათვითცნობიერებული.

ის რაც ახლა უნდა გიამბოთ, ვერ ვიხსენებ, ვინ მიამბო და რა გარემოებაში: როგორც ადრე ვახსენეთ, ჯაჭვაძეების პირველი თაობიდან (რომელიც დაბადებული იყო სავარაუდოდ 1740-60 წლებში), ჯერ კიდევ თავიანთი მამის სიცოცხლეში ერთი ვაჟი დაბრუნდა კახეთში მამისეული და ბაბუასეული (იგულისხმება დედის მამა – თავადი) კარ-მიდამოს მოსანახულებლად და დასახლდა კახეთში ჯაჭვაძის გვარით.

გასულა დრო და შემდგომი თაობის ჯაჭვაძეთა ერთ-ერთ ოჯახს ლეკებმა მოსტაცეს 7-8 წლის ვაჟი. როცა ვაჟი გაზრდილა, გამოპარვია ლეკებს (მან იცოდა, რომ ლეკი არ იყო) და კახეთში მიუკვლევია ჯაჭვაძეების ერთი ოჯახი, შესაძლოა თავისი მშობლების ან და-ძმის. იმის შიშით, რომ ლეკები მიაგნებდნენ მათგან გამოპარულ ახალგაზრდას და მის მფარველებს დააწიოკებდნენ, კახელმა ჯაჭვაძეებმა ბიჭი მალულად რაჭაში ჩასახლებული ჯაჭვაძეების ოჯახში გადაიყვანეს. როდესაც ლეკებისაგან გამოქცეული ბიჭი დავაჭაცდა, მას გვარად დაურქმევია ლეკიშვილი. დღევანდელი ლეკიშვილების გვარი სათავეს იღებს ზემოთ ნახსენები, ლეკებთან გაზრდილი ბიჭიდან. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ **ჯაჭვაძეები, გაჩეჩილაძეები, ებანოიძეები, ნიორაძეები, ლეკიშვილები და, შესაძლოა, კიდევ ვინმე სხვა გვარის ოჯახები არიან იმ მდაბიო კახელისა და თავადის ასულის შვილები, რომლებიც გაიქცენ კახეთიდან და ჩასახლდენ სოფ, წევის მიდამოებში.**

(ბ-ნ თენგიზს თავისი ნარკვევისათვის დართული აქვს კახეთიდან გამოქცეული და წევაში დამკვიდრებული ოჯახის შთამომავლების ცხოვრების გზის ამსახველი სქემა, რომელშიც მითითებულია, რომ წევიდან გაქცეული ძმის მკვლელი ორი ძმა სხვადასხვა ადგილას ჩასახლებულა და დაურქმევიათ ახალი გვარები: –- ერთს ებანოიძე, მეორეს–ნიორაძე.

აღნიშნული სქემა ინახება საგვარეულოს არქივში – ე. გ.).

50. კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*, *1899-1977, ისტორიკოსი, პოეტი, მწერალი, პედაგოგი.*

გვარი ჩემი მე-18 საუკუნეზე ადრე არსად იხსენიება. **ჩემს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ლოცვანი, ჩემი აზრით, თუ მე-16 საუკუნისა არა, მე-17 საუკუნისა მაინც უნდა იყოს.** მას რამდენიმე დამახასიათებელი მინაწერი აქვს. იქ მოხსენიებული ვინმე **გრიგოლ მღვდელი, წევის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, მამის გადმოცემით, პირველი წინამძღვარი იყო გაჩეჩილაძეთაგანი.** ეს გვარი წარმომდგარია სიტყვა „გაჩეჩილისაგან“, რასაც იმერეთში მაღალი, „გრუზა“ თმის მქონეს ეძახიან. ასე რომ, ეს გვარი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვითაა შექმნილი. **ის გაჩეჩილთმიანი ადამიანი ჯაჭვაძის გვარს ატარებდა, თურმე. გადმოცემით, ეს ჯაჭვაძე მოსული იყო ქართლიდან.**

ეს გადმოცემა მოყვანილია ამავე წიგნში გამოქვეყნებულ
კ. გაჩეჩილაძის მოგონებებში.

კ. მ. გაჩეჩილაძემ (ფსევდონიმი – კონნე სპერელლი) წინაპართა გადმოცემა გაჩეჩილაძეთა წინაპრების ჯაჭვაძეობის შესახებ გამოავლინა თავის ლექსშიც:

კლდეკარის მუხებთან
კლდეკარის ზღაპარი –
ჩემი ცხოვრების გრძელი გზა...
მორიდებით მივაბიჯებ:
წინაპართა ძვლები აქ ისვენებენ. (გრძნობა არ მღალატობს!)
ეს ადგილი წმინდაა და მე მინდა მოკრძალებით შევეხო.
ფრთხილად მივაბიჯებ.
აი, კლდეკარის მუხები...
ისინი მწირის სევდიანი მზერით იცქირებიან...
გაიმახვილე, მგზავრო, სმენა:
ესენი მოგითხრობენ **ჯაჭვაძეთა** გაწყვეტილ ამბავს...
აქ მგზავრი ქუდმოხდილი უნდა შედგეს:
მაშ, რით გამოხატავს წინაპართა პატივისცემას?
მათი მაღალი, კეთილშობილი სულები აქ ისვენებენ...
მე ვხედავ, მათი შუქი ჩემს სულში როგორ წვება
და ვისმენ უკვდავ საუბრებს მარადისობაზე...
ეს **ჯაჭვაძეთა** წმინდა სავანეა...
ვშორდები, რომ არ დავარღვიო მათი საუკუნეობრივი სიმშვიდე...
მივდივარ,
მათი მისტიური მზერით გამთბარი...

1942 წ., 29 IV.

(საინტერესოა, რომ ცნობილი ბუკინისტი და გამომცემელი –მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე (1877-1958) წერდა მიხეილ ჯაჭვაძის ფსევდონიმით. იხ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ წიგნი I, გვ. 151. ე.გ.).*

51. დავით (ღუტო) ვარლამის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა),** *დაბ. 1932, ინჟინერ-მეტალურგი. სოფ. წევა.*

გაჩეჩილაძეების გვარი წარმოშობილი არის ჯაჭვაძეების გვარისაგან. ჩემი ბავშვობის დროს, ალექსანდრე გაჩეჩილაძე (რერო) გვეძახდა ხოლმე ბავშვებს: მოდით აქ ჯაჭვაძეებო.

იმ დროს, როცა მე 10-11 წლის ვიყავი, ზედა წევის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში მოსულა ვიღაც გაჩეჩილაძე და უთქვამს ხალხისთვის: **ჩვენ ჯაჭვაძეებისგან ვართ წარმოშობილიო.** რაც შემდეგნაირად დაუსაბუთებია: ზედა წევაში უცხოვრიათ ჯაჭვაძეებს. ძველ დროში ახლომახლო სოფლებში გაჩენილა რაღაც ინფექციური დაავადება. შეშინებული ჯაჭვაძეები მთლიანად აყრილან და გადასახლებულან გურჯაანიდან მოშორებით, მთიან ადგილას და მისთვის ჭერემი დაურქმევიათ, შემდეგ ის ხალხი რუსთავსა და თბილისს შუა, სოფ. გამარჯვებაში ჩამოასახლეს.

როდესაც ჯაჭვაძეები წასულან, ერთ მღვდელს უდედმამო ბავშვი უშვილებია და ზრდიდა თურმე. ერთი კაცი წასულა მღვდლების უფროსთან და უჩივლია, – ეს ბავშვი მისი არ არისო. მღვდლების უფროსს დაუბარებია ეს მღვდელი ბავშვიანად. როდესაც მღვდელმთავარს ბავშვი უნახავს, უთქვამს, რა თმაგაჩეჩილი ბავშვიაო. მის შთამომავლებს გვარად ეწოდოს გაჩეჩილაძეებიო.

მე წავიკითხე „ჯაჭვის“ წინა ნომერში სტატია ჩვენი გვარის წარმოშობის შესახებ, რასაც სრულიად არ ვეთანხმები.

გადმომცა რვეულში ჩაწერილი 2005 წ. 27/VII, წევაში – ე. გ..

52. დავით (ღუტო) ვარლამის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა),** *დაბ. 1932, ინჟინერ – მეტალურგი. სოფ. წევა.*

ადრე წევაში უცხოვრიათ ჯაჭვაძეებს. სახადი ყოფილა და გადასახლებულან. დარჩენილა ერთი უპატრონო ბიჭი. მღვდელს შეუკედლებია და შვილად ზრდიდა. თავადისთვის ამბავი მიუტანიათ. მოუთხოვია ამ მღვდლისათვის ბიჭი. იმას უთქვამს, –შვილად ვზრდი უპატრონოსო. რა გვარი მივცეთო? თავადს თავზე ხელი გადაუსვია ბიჭისთვის, – რა კარგი გაჩეჩილი ბიჭია. მოდი გაჩეჩილაძედ დავწეროთო...

ჩაწერილია 2007 წ. 27/VII, წევაში.

53. ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი),** დაბ. 1959 წ.,
ეკონომისტ-მენეჯერი.
ცხოვრობს ზნაურის რ. სოფ ლოპანსა და თბილისში.

[ბაბუის სახელი ამბროსი (1907-1993), ბაბუის მამის – თომია (გ. 1948 წ. – 108 წლისა), ბაბუის ბაბუის სახელი გიორგი (გ. 1890 წ.)].

პაპაჩემმა ამბროსიმ ასეთი რამ მიამბო ჯაჭვაძეების გვარის წარმოშობის შესახებ: **– ერთი გაჩეჩილაძე ბატონს დაუსჯია და ხეზე ჯაჭვით მიუბამს,** თან უცქემია. გამწარებულს ჯაჭვი გაუწყვეტია და ნაწყვეტი ბატონისთვის გადაურტყია, რითაც ბატონი შუაზე გაუჭრია – მოუკლავს, **გაქცეულა კახეთში და იქ გვარი ჯაჭვაძედ გადაუკეთებია.** არ ვიცი ეს გვარი იმის გამო დაირქვა, ჯაჭვი რომ გაწყვიტა, თუ ძველი გვარი დაიბრუნა.

54. ვახტანგ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე, *დ.. 1950 წ., სოფ. როხი.*

გაჩეჩილაძეების წინაპარი ჯაჭვაძე ყოფილა. აღმოსავლეთ საქართველოში უცხოვრია. თავადი მოუკლავს და ამიტომ გადმოსულა დასავლეთ საქართველოში. ერთი ჯაჭვაძე დიაკონი ყოფილა – თმაგაჩეჩილი და იმის შთამომავლებს გაჩეჩილაძეები დარქმევიათ.

ჩაწერილია 2007წ. 27/VII, წევაში.

55. ბორის ანდროს ძე გაჩეჩილაძე,** *დაბ. 1942 წ., ელექტრიკოსი. თბილისი.*

გადმოცემით ვიცი, რომ **ჩვენი წინაპარი ყოფილა ჯაჭვაძე**. ერთ-ერთი ბრძოლის დროს გამოუჩენია სიმამაცე და, ბრძოლის დამთავრების შემდეგ, მეფეს შეუქია და ვინაიდან ეს მებრძოლი თმაგაჩეჩილი ყოფილა, უთქვამს, – შენ ჯაჭვაძე კი არა, გაჩეჩილაძე უნდა იყოო...

56. ირაკლი გიორგის ძე გაჩეჩილაძე, დაბ. 1936 წ.. თბილისი.

ეს ლეგენდა მომიყვა მამაჩემმა, გიორგი ზარასპის (ზურაბის) ძე გაჩეჩილაძემ (1892-1985).

ოდესღაც ვინმე ჯაჭვაძე გამორიდებია მოსისხლე მტერს და დასახლებულა წევაში. ემსახურებოდა მღვდლის ოჯახს. მღვდლის ცოლი მოფერებით მას უძახდა: „ჩემო გაჩეჩილოო“. **ამ ჯაჭვაძის შთამომავლებს გაჩეჩილაძეები შეარქვეს.**

ეს ლეგენდა დამიდასტურა გოგი გაჩეჩილაძესთან მოწყობილ გაჩეჩილაძეების წვეულებაზე რამაზ ჩხიკვაძის დედამ, ქალბატონმა ელენე გაჩეჩილაძემ.

ჩანაწერი გადმოგვცა 2004 წ. 4/IV.

57. ნატო ტარიელის ას. გაჩეჩილაძე (ძშუტუნი), დაბ. 1963 წ., ეკონომისტი. თბილისი.

(ქ-ნი ნატოს ბაბუის სახელი ერმილე, ბაბუის მამის – მურმანი, ბაბუის ბაბუის – ზაქარია).

გამიგია, რომ **ჩვენი წინაპარი მღვდელი იყო, გვარად ჯაჭვაძე**. სამრეკლოდან გადმოვარდნილა და ვარდნისას თმები გასჩეჩია. მის შთამომავლებს გაჩეჩილაძეები დაერქვათ.

ანკეტა შეავსო 2007 წ..

58. თენგიზ ერასტის ძე გაჩეჩილაძე (მეწურბლე), დაბ. 1937 წ.. თბილისი.

(ბ-ნი თენგიზის ბაბუას ერქვა სოლომონი, ბაბუის ბაბუას – შაქრო).

გამიგონია, რომ **ჩვენს წინაპარს ბატონი მოუკლავს. წამოსულა და წევის მიდამოში დასახლებულა.** ტყეში წაბლით ურჩენია თავი. რომ გამოსულა იქიდან, **თმა გაჩეჩილი ჰქონია ამიტომ დაურქმევიათ გაჩეჩილაძე.**

59. ნელი ალექსანდრეს ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*, დაბ. 1937 წ.. თბილისი.

(ქ-ნი ნელის ბაბუის სახელია გრიგოლი, ბაბუის მამის სახელი – ოქროპირი, ბაბუის ბაბუის სახელი – ყაფლანი).

ბებიაჩემის ნაამბობს მოგახსენებთ: – გაჩეჩილაძე იმიტომ გვეწოდა, რომ, თურმე, ჩვენი წინაპარი თმაგაჩეჩილი დადიოდაო.

ანკეტა შეავსო 2003 წ..

60. ძეთევან იოსების ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა), დაბ. 1920წ..

სოფ. ქვედა წევა.

[ქ-ნი ქეთევანის (იგი შალვა ირაკლის ძე მანჯავიძის ქვრივია) ბაბუას ერქვა დავითი].

ჩვენს წინაპარს ბატონთან კონფლიქტი მოსვლია და დამალულა ჭიათურის მხარეს ტყეში. რომ გამოჩენილა, თმა გაბურძგნული ჰქონია. ბატონს უთქვამს, სად ხარ აქამდე შე გაჩეჩილოო...

ჩაწერილია 2003 წ., წევაში.

61. ძეთო გივის ას. გაჩეჩილაძე (სავარაუდოდ მეწურბლე),

დაბ. 1953 წ. თბილისი.

(ქ-ნ მერის ჰყავს ძმები: თემური, ელგუჯა და ზურაბი. მათ ბაბუას რქმევია შალვა, ბაბუის მამას – ოქრუა).

გაჩეჩილაძეების წინაპარი გვარად ჯაჭვაძე ყოფილა. ერთი ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა მალემსრბოლი. როდესაც მტერი შემოვიდა, სირბილით გაიქცა მეფესთან, რომ ეცნობებია მტრის შემოსევა. ბევრი ირბინა კლდე-ღრეში, ტყეში და თმები გაეჩეჩა. მეფემ რომ დაინახა, იკითხა, – ვინ არის ეს გაჩეჩილი ძეო? ამ ამბის შემდეგ წარმოიშვა გვარი გაჩეჩილაძე...

ანკეტა შეავსო 2010წ. 28. II.

62. თეიმურაზ პეტრეს ძე გაჩეჩილაძე (ცეტი), *დაბ. 1960 წ., თბილისი.*

მამაჩემისაგან პეტრე მიხეილის ძისაგან (დ.1916წ.) გადმოცემით ვიცი, რომ შუა საუკუნეებში **იყო თმაგაჩეჩილი მღვდელი ჯაჭვაძე,** რომელსაც შვიდი ვაჟიშვილი ჰყავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, **მის ვაჟიშვილებს გაჩეჩილაძეებს უწოდებდნენ....**

ანკეტა შეავსო 2010 წ. VII.

63. ლერი ანატოლის ძე გაჩეჩილაძე, დაბ. 1946 წ.. თბილისი.

(ბ-ნი ლერის ბაბუის სახელი – ივანე (ვანო), ბაბუის ბაბუის – სოსია).

გამიგია, რომ გაჩეჩილაძეების წინაპრები იყვნენ შორაპნის ციხის მეციხოვნენი და სამღვდელოების დაბალი იერარქიის წარმომადგენლები.

ანკეტა შეავსო 2003 წ..

64. ვაჟა მიტროშანეს ძე გაჩეჩილაძე,** *61 წლის, ფიზიკოსი. თბილისი. (ბ-ნი ვაჟას ბაბუას ალფეზი რქმევია)*

ოჯახში შემორჩენილია ბაბუა ალფეზისაგან მონაყოლი ამბავი, რომ **გაჩეჩილაძეების წინაპრები ყოფილან ჯაჭვაძეები,** რომლებიც XVI თუ XVII საუკუნეში გადმოსახლებულან წევაში. სავარაუდოდ, კაცი მოუკლავთ და გადმოხვეწილან. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა მღვდელი. სულ თმაგაჩეჩილი დადიოდა, თურმე, ამიტომ მისი შვილებისთვის გაჩეჩილაძეები უწოდებიათ.

ჩაწერილია სატელეფონო საუბრის დროს, 2003 წ..

65. ელიკო მიხეილის ას. გაჩეჩილაძე, *დაბად 1940 წ. ბუღალტერი.*

გამიგონია, **ჩვენი წინაპრები ჯაჭვაძეები ყოფილან**. ერთ ჭაბუკს შეჰყვარებია ბატონის მოახლე გოგონა. ქორწინების უფლება არ მიუციათ. აღელვებულ მიჯნურს ბატონი შემოკვდომია. ჭაბუკი გაქცეულა. გაქცეულს თმები გაშლია და ქარისაგან გაჩეჩვია. უცებ წინ ვიღაც გადაუდგა და ვინაობა ჰკითხა. კვალის არევის მიზნით, ახალგაზრდამ დამალა თავისი გვარი და თქვა, რომ იგი გაჩეჩილაძეა...

66. ელენე ივანეს ას. გაჩეჩილაძე (მეჯაჯვე), *დაბ. 1939 წ., დიასახლისი. ლაგოდეხის რ. სოფ. ულიანოვკა.*

მამა-პაპისაგან გამიგია, რომ ჩვენ წარმოშობით წევიდან ვართ, რომ გაჩეჩილაძეები ძლიერი ხალხი იყვნენ.

ანკეტა შეავსო 2003 წ..

67. შალვა ლევანტის ძე გაჩეჩილაძე*, დაბ. 1920 წ., რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი, თბილისი.

(ბ-ნი შალვას ბაბუას ერქვა სპირიდონი).

მამაჩემი – ლევანტი გაჩეჩილაძე, ზესტაფონის რ. სოფ. შროშის მცხოვრები, სოფლად ეწეოდა ვაჭრობას საკუთარ მაღაზიაში (1928 წ-მდე – კომუნისტების მიერ მაღაზიის ჩამორთმევამდე), შემდეგ კი სოფლის მეურნეობას ეწეოდა გარდაცვალებამდე (1937 წ.).

მამამ მიამბო, რომ **ჩვენი გვარი თავიდან ყოფილა ჯაჭვაძე**. გაჩეჩილაძეების წინაპარი ჩასახლებულა სოფ. წევაში და ეკლესიის მსახური (მღვდელი) გამხდარა (ყოფილა). იგი თურმე თმაგაჩეჩილი დადიოდა, რის გამოც მეტსახელად გაჩეჩილი შეარქვეს, ხოლო

მის შვილებს მეტსახელად გაჩეჩილის შვილებს უწოდებდნენ, დროთა განმავლობაში კი გაჩეჩილაძეებად მოინათლნენ.

68. ანზორ გრიგორის ძე გაჩეჩილაძე (სუძსუძი)*, დაბ. 1943 წ., ავტოინჟინერი. თბილისი. *(ბაბუის სახელი–პორფილე, ბაბუის მამის სახელი–გიორგი).*

გადმოცემით ვიცი, რომ **ჩვენი წინაპრები ყოფილან ჭერემელი ჯაჭვაძეები.** ბატონს გამოქცევია სამი ძმა და შეხიზნია წევის წმ. გიორგის ეკლესიას. გვარი დაუმალავთ შეგნებულად. თმაწვერგაჩეჩილი დადიოდნენ, თურმე, რის გამოც სოფელს გაჩეჩილაძეებად მოუნათლავს.

69. ენვერ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე (ნაღველა), 63 წლის. წევა.

[ბ-ნი ენვერი ათშვილიანი (შვიდი ვაჟი და სამი ქალი) ოჯახის შვილია. მისი ბაბუის სახელი იყო მახარებელი].

გამიგია, რომ **გაჩეჩილაძეები ადრე ჯაჭვაძეები ვიყავით.**

ჩაწერილია 2007 წ. 27.VII, წევაში.

70. მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*, დაბ. 1933 წ., თბილისი.

წევის ეკლესიის მშენებლობისას, მუშები იყვნენ ჩაბმული და ეწეოდნენ ტვირთს მშენებლობის ადგილისაკენ. ამიტომ დაერქვა სოფელს წევა.

ჩაწერილის 2011 წ. სატელეფონო საუბრისას.

(იგივე ლეგენდა მომიყვა ***აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძემ*** *2011 წ. სატელეფონო საუბრისას)*

71. დალი ლევანის ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი), სოფ. წევა.

(ნაწყვეტი დ. გაჩეჩილაძის სტატიიდან „ზოგი რამ წევის შესახებ“. გამოქვეყნებულია გაზ. „ჯაჭვის“ № 3-ში და ამავე წიგნში).

ჩემი ბაბუა, აკაკი ოთიას ძე გაჩეჩილაძე (რომელიც იყო რუსული ენის საუკეთესო სპეციალისტი რაიონში და მასწავლებლობდა წევის სკოლაში) ამბობდა: – „**ჩვენი წინაპრები ყოფილან გვარად ჯაჭვაძეები**, რომლებსაც სცოდნიათ ლითონის ნაკეთობათა დამზადება. ისინი სხვა იარაღებთან ერთად ამზადებდნენ ჯაჭვებს და ამის გამო დაუმკვიდრებიათ ეს გვარი“. ამას დაუმატებდაო, რომ –„ჩვენს წინაპრებს ჰყოლიათ ბატონები, რომლებიც ყოველწლიურად თითოეული სოფლიდან სამ ვაჟს და სამ ქალს წაიყვანდნენ ხოლმე კარზე მოსამსახურედ. ერთხელ, როცა ბატონს ამ სოფლიდან ორი ვაჟი და სამი ქალი მიჰგვარეს, ბატონმა მესამე ვაჟი მოიკითხა, რომელიც სოფელში არ აღმოჩენილა. როცა მოიკვლიეს, გაირკვა, რომ მესამე ვაჟს მამა გარდაცვლია და მისი დედა გათხოვილა მეორედ სოფ. სვერში (ჭიათურის რ.). მღვდელს გაუცია და ვაჟი ბატონთან დაუბრუნებიათ. ბატონს შეუხედავს ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცისათვის, რომელსაც ხუჭუჭი თმები უმშვენებდა შავგვრემან, გაბადრულ სახეს, გადაუსვამს თავზე ხელი და უთქვამს: „სად მემალებოდი შე თმაგაჩეჩილოო?“– აქედან წარმომდგარა გვარი გაჩეჩილაძე“.

„სოფლის ცენტრში აგებულია ქვის შენობა, რომელსაც „წევის წმ. გიორგის“ სახელობის ეკლესიას უწოდებენ. თვით შენობის შიგა ნაგებობის წარწერებიდან ირკვევა, რომ იგი აშენებულია X-XI საუკუნეებში[1] სოფლის სიძველეს ისიც ადასტურებს, რომ ხალხური გადმოცემის მიხედვით, სოფელზე გადიოდა გზა, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთის ქვეყნებს. ასე მაგალითად, ინდოეთიდან მომავალი ქარავნები ამოივლიდნენ შორაპნისპირეთის ციხესთან და ამოვიდოდნენ სოფ. წევაში. რადგან ეს სოფელი მთაგორიანია და ზღვის დონიდან 545 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, ძნელდებოდა სოფელში მიღწევა და ამბობდნენ, თურმე, მიდიხარ ეწევი და ვეღარ ეწევიო და სწორედ აქედანაა წარმომდგარი სოფლის სახელი „წევა“ .

„მგზავრებს ამ სოფლის მახლობლად მდებარე თვალუწვდენელი მინდვრისათვის შეურქმევიათ „ულევი“.

1. მართალია ბ-ნ აკაკის წევის ეკლესიის აგების თარიღი სწორად მიუთითებია, მაგრამ ეს თარიღი მან, როგორც ჩანს, ინტუიტიურად განსაზღვრა: წევის ეკლესიის „შიგა ნაგებობას“ დამათარიღებელი წარწერა არა აქვს. ეს ეკლესია XIX საუკუნის 90-იან წლებში ძალიან მოკლედ აღუწერია სევასტი გაჩეჩილაძეს (იხ. ჩვენს წიგნში მისი ნარკვევი „წევა, წეველები...“, გვ. 125); შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, გიორგი ბოჭორიძეს (იხ. გ. ბოჭორიძე „იმერეთის ისტორიული ძეგლები“. თბ., 1995, გვ. 145), 1953 წელს ძეგლი არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფს შეუსწავლია და იგი ზოგადად, განვითარებული შუა საუკუნეებით დაუთარიღებია; 1955 წ. არქიტექტორ-რესტავრატორთა

სხვა ჯგუფს შეუსწავლია და XIV ს-ით დაუთარიღებია (მასალა დაცულია საქ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის არქივში); ცნობარში „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები“ (თბ., 1959 წ. გვ. 58) ეს ეკლესია XI საუკუნითაა დათარიღებული, XI საუკუნისად იხსენებდა ეს ძეგლი ქსე-შიც (ტ. IV, გვ. 499).

ბ-ნი აკაკი ოთიას ძე გაჩეჩილაძე ცხოვრობდა XIX სს. ბოლოს და XX სს. I ნახევარში. იმ წლებში, წევის ეკლესიაში დამათარიღებელი წარწერა რომ არსებულიყო, მაშინ ზემოხსენებული მკვლევარები ამას აუცილებლად აღნიშნავდნენ. ე. გ.

დ). <u>სხვა გვარების წარმომადგენლები გაჩეჩილაძეების ჯაჭვაძეების, წეველიძეების, ნიორაძეების და ებანოიძეების შესახებ</u>

72. დალი კოპაძე *(მარიამ გაჩეჩილაძის შვილიშვილი).*
ზესტაფონის რ. სოფ საწაბლეში 1898 წლის 28 აგვისტოს – მარიამობის დღეს დაბადებულა ჩემი ბებია, მარიამ სინოს ას. გაჩეჩილაძე. მან 88 წელი იცოცხლა. ბებიამ მიამბო: –„შვილო, ჩვენს წინაპრებში ყოფილა ერთი დიაკონი, რომელსაც ორი შვილი მოკვდომია და იმ დღის შემდეგ სულ წვერმოშვებული და თმაგაჩეჩილი დადიოდა თურმე, ამიტომ გაჩეჩილაძე შეურქმევიათ.

ჩვენ, ჯაჭვაძეები და წეველიძეები ერთი ვიყავით ამ ამბამდე. წევის სამლოცველოს შენების დროს ხალხი ჯაჭვისებურად მდგარა, ისე გადადიოდა, თურმე, ხელიდან ხელში საშენი მასალა, ამიტომაც შეურქმევიათ ჯაჭვაძეები. ადრე კი, წევიდან ხალხი გადაუსახლებიათ და სადაც ჩასახლებულან, იქ წეველიძეები შეურქმევიათ. ჩვენც წარმოშობით წევიდან ვართ“.

(აქ მოყვანილი ლეგენდა წარმოადგენს ნაწყვეტს დალი კოპაძის სტატიიდან, რომელიც მან 2003 წ. წარმოადგინა გაზ. „ჯაჭვში“ გამოსაქვეყნებლად).

73. ვლადიმერ ვასილის ძე ებანოიძე, 1916-2012 *(აგრაფინა პორფირეს ას. გაჩეჩილაძე – ოთიაშვილის ვაჟი).*

გაჩეჩილაძეების თავდაპირველი გვარი ყოფილა ჯაჭვაძე. ჯაჭვაძეების წინაპარი ყოფილა ქართველი კაცი, რომელიც წევაში XVI საუკუნეში მოსულა ცხინვალის რეგიონიდან.

იგი ისეთი ვაჟკაცი ყოფილა, რომ მეფის დაცვაში ჩაურიცხავთ და მეფეს როგორც ჯაჭვის პერანგი ისე ემსახურებოდა, ამიტომ მისთვის ჯაჭვა შეურქმევიათ. *(ეს ამბავი ვ. ებანოიძემ მოგვიყვა გაჩეჩილაძეების საგვარეულო დარბაზის კრებაზე 2005 წლის 2 ოქტომბერს. ე.გ.).*

74. იაკობ ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები 2, გამომც. „მესხეთი“, თბ. 1999წ..

„გაჩეჩილა-ძე (შეურქმევიათ წინაპარი მღვდლის გამო, თურმე სულ თმაგაჩეჩილი დაიარებოდა. გაჩეჩილაძეთა ადრეული გვარები ყოფილა (ნიორაძე, ჯაჭვაძე, წეველიძე)“[1].

(იხ. გვ. 69. ამ გვერდზე, მოყვანილი ინფორმაციის წყარო მითითებული არ არის).

იმავე წიგნში 276-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„გვარში შემორჩენილი ზეპირი გადმოცემით, გვარი მომდინარეობს სოფელში მცხოვრებ ერთი დვთისმოსავ კაცისგან, რომელიც მუდამ თმაგაჩეჩილი დაიარება ხოლმე. გაჩეჩილაძეები წარმოშობით ზესტაფონის რაიონის სოფ. წევადან არიან. სოფელში არის XI საუკუნეში აგებული წმ. გიორგის ეკლესია. სოფლის გაჩენასაც ამ ეკლესიის აგების ხანას უკავშირებენ.

გაჩეჩილაძეები სთვლიან, რომ მათი წინარე გვარი ჯაჭვაძე და წეველიძე[1] იყო.

(მთხრ. თენგიზ გაჩეჩილაძე, გაზ. „ლელოს“ რედაქტორი, თბილისი, 29 აპრილი, 1997 წ.).

***1.** არ არსებობს გაჩეჩილაძე ან წეველიძე, რომელიც თვლის, რომ წეველიძე იყო გაჩეჩილაძის წინაპარი. გაჩეჩილაძეებმაც და წეველიძეებმაც კარგად იციან, როგორ და როდის შეიქმნა წეველიძეების გვარი და ამ საკითხზე მათ შორის გაუგებრობას ადგილი არასოდეს ჰქონია. რაც შეეხება ნიორაძეების გვარს, ამის შესახებ იხილეთ ამავე წიგნში ლეგენდა № 75 და საგვარეულო ლეგენდების კომენტარები გვ. 250.*

ბ-ნ თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძეს (თომაშვილს), რომელსაც ეს ინფორმაცია მიუწოდებია ბ-ნი ახუაშვილისათვის, ფილოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ფილოლოგთა წრეში გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სადაურობის აღმნიშვნელი-ელ სუფიქსიანი გვარები უფრო ადრეა წარმოქმნილი, ვიდრე ადამიანის*

დამახასიათებელი ნიშან-თვისების აღმნიშვნელი გვარები. ეტყობა ბ-ნმა თენგიზმა ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა...

75. ნიორაძე ამირან ვასილის ძე (1924-2010).

ეს ამბავი ბ-ნი ამირანისთვის მოუყოლია ისიდორე ნიორაძეს, რომელიც 105 წლისა გარდაცვლილა 30 წლის წინ (დაახლ. 1975 წ.). მისი გადმოცემით, ნიორაძეები ადრე აჭარლები ყოფილან, გვარად ლიონიძეები. ისიდორეს დიდი პაპა, „დიდი ხოსია", ძალიან მაღალი და ღონიერი კაცი ყოფილა. მამამისს ჰყოლია მეზობელი, რომელსაც ხოსია რომ დაბადებულა, იმ დღეს შესძენია გოგო. მშობლებს ჩვილი ბავშვები აკვანში დაუნიშნავთ და, თურმე, ერთმანეთს არ ანახვებდნენ. იქ ისეთი წესი ყოფილა, რომ გასათხოვარ ქალს ბეგთან უნდა გაეტარებინა პირველი ღამე. ხოსიას უთქვამს, მე უმწიკვლო უნდა შევირთოო. გამოუყვანია ბეგის ცხენი, მოუტაცია თავისი დანიშნული, გამოუვლია ზესტაფონში ტყეტყე, უნახავს სოფელი, სადაც ჩასახლებულა და დაურქმევია იმ სოფლისთვის აჭარა. მოუშინაურებია ცხოველები. გასჩენია 9 ვაჟი. მათგან დაწყებულა ნიორაძეების გამრავლება.

ის ადგილი სადაც ხოსია დასახლებულა, თავადი აბაშიძის სანადირო ყოფილა. მიუტანიათ ამბავი აბაშიძისთვის. შენს ტყეში კვამლი ამოდისო. აბაშიძე წასულა სანახავად. ხოსია სახლში არ დახვედრია. აბაშიძეს ბავშვისთვის დაუძახია, საჩუქარი მიუცია. ბავშვს უთქვამს, მამას არ დახვდეო. აბაშიძეს დაუნახავს მაღალი, ლამაზი კაცი. უკითხავს, ვინ მოგცა ჩემი მამულიო? მას ძალიან მოსწონებია ლამაზი კაცი და თავის მოურავად დაუნიშნავს. აბაშიძეს და ხოსიას ერთმანეთისთვის ძმობა შეუფიცავთ.

აბაშიძის დედოფალს შეჰყვარებია მოურავი. ხოსიას დედოფლისათვის უარი უთქვამს გამოწვევაზე – არ ვუღალატებ ძმასო. ერთხელ ძალიან დამთვრალა ხოსია და მსხლის ძირში დაუძინია. მოსწოლია აბაშიძის ცოლი გვერდით. ამბავი მიუტანიათ აბაშიძისთვის. გაუღვიძებიათ ხოსია. უნახავთ, რომ ის არ იყო დამნაშავე. ხოსიას უთქვამს, მე ფიცი მაქვს მიცემული და არ მიღალატიაო. აბაშიძეს უბრძანებია თავისი ხალხისთვის ფეხი მოსჭერითო. რამდენიმე კაცი მივარდნია ხოსიას და ფეხი მოუჭრიათ.

მოსჯდომია ცხენს ფეხმოჭრილი და აბაშიძისთვის უთქვამს: მე უდანაშაულო ვარ, წაიღე ეს ჩემი ფეხი და შენს ცოლს შე...ნეო. წასულა სისხლმდინარი სახვაძეებთან. რამდენიმე თვის შემდეგ მორჩენია ფეხი. ჩასულა შორაპნის მაზრაში და მოუთხოვია ჯარი. წამუყვანია ეს ჯარი და მაზრის უფროსი აბაშიძის შესახვედრად. აბაშიძე გაუფრთხილებიათ და წასულა სურამის პერევალით (უღელტეხილით). ხოსია დადევნებია. შეხვედრია სურამის პერევალზე, გადმოუგდია ცხენიდან. აბაშიძეს უთხოვია, არ მომკლაო. იმას უპასუხია, მე უდანაშაულო ვიყავი და შენ ფეხი მომჭერი, შენ კი დამნაშავეს გინდა გაპატიოო? მოუკლავს აბაშიძე და მას დარჩენია აჭარა და წევა.

ნიორაძეების 9 ოჯახი ჭიკაანში დასახლებულა.

ეს ლეგენდა ბ-ნმა ამირანმა უამბო თავის დისშვილს, თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძეს (ლობიო), ტელეფონით 2005 წ..*

75ა. ნიორაძე ნანო ამირანის ას. [ამირან ვასილის ძე ნიორაძის (ლეგ. № 75-ის მთხრობელის) ქალიშვილი].

ნიორაძეების რამდენიმე შტო ყოფილა. მათი შტოს ნიორაძეები, წარჩინებული ფენის წარმომადგენლები ყოფილან, წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან – გვარად ლიონიძეები. სამი საუკუნის წინ, გათურქებას გამოქცევიან და აჭარაში ჩასახლებულან. (*ხუთი ოჯახი დარჩენილა ძველ საცხოვრებელ ადგილას – მაჭახელას ხეობაში, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე).* კარგა ხანს იქ უცხოვრიათ. ერთ-ერთ მათგანს სოლომონ დიდის კარზე უმსახურია მრჩევლად. მერე ერთ ლიონიძეს, სახელად ხოსრევანს, თავადი აბაშიძის ცოლი მოუტაცებია (ქალს ის ჰყვარებია და თავისი ნებით გამოჰყოლია) და იმერეთში გამოქცეულა. დასახლებულა წევის მეზობელ სოფელში და, კვალის დაფარვის მიზნით, გვარად ნიორაძე მიუღია, ხოლო თავისი ახალი სოფლისთვის აჭარა დაურქმევია.

იმ კაცის, ვინც აბაშიძეს ცოლი მოსტაცა, ძმა წასულა პარიზში. მას თან ჰქონია ლიონიძეების გერბი, მერე ეს გერბი პარიზიდან ქ-ნი ნანოს ოჯახს ჩამოუტანია.

ამ შტოს ნიორაძეები, თურმე, სოფ. აჭარას ზედა ნაწილში ცხოვრობენ. მათ, თურმე, მეტსახელად გუთნებს ეძახიან, სოფელში ყოფილან სხვა შტოების წარმომადგენლებიც, მაგ. ტურები და სხვა. ნიორაძეები, თურმე, ცხოვრობენ ქართლში – გორის რაიონის ერთ დიდ სოფელში, მთიულეთშიც არიან, თურმე, ნიორაისძეები.

ქ-ნ ნანოს ბაბუის ძმას, სახელად ალექსანდრეს, სოფლად უცხოვრია, 100 წლამდე მიუტანებია. ძალიან ინტერესიანი და გონებაგახსნილი კაცი ყოფილა. **მას უამბია** ქ-ნი

ნანოსთვის **გაჩეჩილაძეების გვარის შესახებ**: თამარ მეფეს გზად წევაში გამოუვლია, მაშინ, თურმე, აქ ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა. თამარს მოუნახულებია მშენებარე ეკლესია. იქვე თმაგაჩეჩილი ბავშვი უნახავს და გვარი უკითხავს. ბავშვს ვერაფერი უპასუხია. თამარ მეფეს უთქვამს, შენ გაჩეჩილაძე იქნებიო. ეკლესიის მშენებლები, თურმე, ქვას ხელიდან-ხელში გადასცემდნენ – ჯაჭვისებურად, ამიტომ მათთვის უთქვამს – თქვენ ჯაჭვაძეები იქნებითო.

ქ-ნ ნანოს სხვა წინაპრისაგან გაუგონია: წევის ეკლესია კვერცხის გულით არის ნაგებიო. სანთელს კედელზე რომ ვანთებდით, კედელი წითლდებოდაო.

გაუგონია, ასევე, რომ ნიორაძეებს და ებანოიძეებს ფუძე ერთი ჰქონდათო...

(ჩავიწერე სატელეფონო საუბრის დროს, 2011 წლის 11 აპრილს. ე.გ.).

75[ა]. ლელა ბიორგის ას. კალანდაძე, დ. 1957 წ., თბილისი.

(ლელას ბებია იყო, სოფ. აჭარაში მცხოვრები, მინადარ ივანეს ას. ნიორაძე).

მამიდაჩემის – ნინა კალანდაძისაგან (1906-1990) გამიგონია, რომ პირველად ჩვენს სოფელში (რომელსაც ახლა ძირულა ჰქვია, ადრე კი აჭარა რქმევია) ორი ძმა დასახლებულა. ისინი აჭარიდან გადმოვიდნენ და ამიტომ დაარქვეს სოფელს აჭარაო. მოსულები გვარად ლიონიძეები, თუ ქიონიძეები ყოფილან. ერთი მათგანი ებანოიძეს უშვილებია და თავის გვარზე დაუწერია, მეორე ძმა კი ნიორაძე გამხდარა – ასეთი შემთხვევის შედეგად: ჩვენი სოფლის სერზე, რომელსაც „თეთრასერს“ ეძახიან, თამარ მეფის დროს, აბრეშუმის გზა გადადიოდა. სოფლის ეკლესიის მახლობლად, წაბლის ტყეში, დღესაც იპოვით იმ შორეულ დროს აგებული ყორეების ნაშთებს. თამარ მეფის მხედრიონს ადრეულ გაზაფხულზე ჩამოუვლია და შეუნშნავს თოვლში ამოწვერილი ნიორი. როცა გაუგიათ, რომ მწვანედ ამობიბინებული ნათესი ნიორი იყო, ბოსტნის პატრონი გლეხისთვის **ნიორაძე დაურქმევიათ.**

ნიორაძეები და ებანოიძეები დღესაც ცხოვრობენ სოფელში. მათ ერთმანეთისაგან ღრმა ღელე ჰყოფთ, თუმცა ჭირსა და ლხინში ერთად იკრიბებიან და სასაფლაოც ერთი აქვთ.

(ლეგენდის ჩანაწერი გადმოგვცა 2012 წლის 1 მაისს – ე.გ.).

76. ვახტანგ ებანოიძე, 42-45 წლის, სოფ. აჭარა.

გაუგონია, რომ მისი წინაპრები იყვნენ აჭარლები, გვარად ებანოღლები. *(მუსლიმან ქართველებს ასეთი დაბოლოების გვარები ჰქონდათ – ე. გ.).* იმერეთში ჩასახლების შემდეგ, თავიანთი ახალი სოფლისთვის დაურქმევიათ აჭარა. ბ-ნი ვახტანგი ყოფილა, აჭარიდან მისი მოგვარეების წამოსვლის შემდეგ, მე-12 თაობის წარმომადგენელი *(ანუ, იმერეთში ჩამოსახლებული ყოფილან სამი საუკუნის წინ).*

ჩაიწერა აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძემ, წევაში, 2011 წლის აპრილში.

77. კ. მაღრაძე, გაზ. „ივერია“, 1886 წ., № 176. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

„წევის ეკკლესია, ხალხის გადმოცემით, აშენებულია თამარ მეფის დროს. ხალხი ამბობს: **„როდესაც აქ თამარ მეფე მობრძანებულა, თან ბევრი ქალები ჰხლებიან, თვითოეულს ქალს ლეჩაქის ყურში ჰქონდა გამოკრული ცოტ-ცოტა კირიო და ამ კირით აშენდა ეს ეკკლესიაო“.**

ე). <u>ლეგენდები პიროვნებისა და საგვარეულო შტოს მეტსახელების წარმოშობის შესახებ</u>

78. რეზო ანდროს ძე გაჩეჩილაძე (პაპუჩელაშვილი ხბოსთავა)*, დაბ. 1928წ., სწავლული აგრონომი. თბილისი.

(ბ-ნი რეზოს ბაბუის სახელია–სპირიდონი, ბაბუის მამის სახელი – ათანა, ბაბუის ბაბუის სახელი–პაპუჩა).

ბაბუაჩემი–სპირიდონი დაბადებული იყო XIX საუკუნეში, გარდაიცვალა XX სს. 30-იან წლებში. სპირიდონის მამას–ათანას ჰყავდა სპირიდონის გარდა სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მათ წინაპარს ერქვა პაპუჩი, რომლის სახელიც დაერქვა იმ სერს, რომელზეც ისინი ცხოვრობდნენ („პაპუჩელაშვილების სერი“). შემდეგში აქ დასახლდნენ „ჭიმატეები“, „ჭოლპოტები“ და „გედევან“ გაჩეჩილაძეები.

ამ დასახლებაში შემდეგში წარმოიშვა მეტსახელი **„ხბოსთავაშვილები“** ეს ასე მოხდა: აღდგომის დღესასწაულის დღეს პაპუჩელაშვილების ერთ-ერთმა

წარმომადგენელმა აღდგომის დღესასწაული მიულოცა მდ. ძირულას გაღმა მდებარე სოფ. ილმის მცხოვრებლებს შეძახილით: –„ქრისტე აღდგა ილმელებოო“ იქიდან კი იყო საპირისპირო გამოძახილი: –„ჭეშმარიტად წეველებოო“. ეს შეძახილი იმდენად ხმამაღალი და მკაფიო იყო, გაჩეჩილაძეებმა ის ხბოს ძროხისადმი შეძახილს მიამსგავსეს (ხბო როდესაც ბღავის, ძროხას მისი ხმა უშორესი მანძილიდან ესმის). პაპაუჩელაშვილების ამ წარმომადგენელს გაჩეჩილაძეებმა უთხრეს: – როგორ ხბოსავით ყვირიო და **„ხბოსთავა“** შეარქვეს, ხოლო იმ სერს, სადაც პაპაუჩელაშვილები სახლობდენ, **„ხბოსთავეების სერი“** შეერქვა. *ანკეტა შეავსო 2003 წ..*

79. შალვა (ბურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი - ბათმანა)*, დაბ. 1938 წ., ინჟინერი. თბილისი.

(ბ-ნი შალვას ბაბუის სახელია–კასიანე, ბაბუის მამის სახელი– ეფრემი, ბაბუის ბაბუის სახელი–იესე – (სესია), უფრო ადრინდელი წინაპრის სახელი –დიდი ოთია).

დიდი ოთია გაჩეჩილაძის შვილს–როსტომს მონაწილეობა მიუღია ომებში – სავარაუდოდ პატარა კახის მიერ ჩატარებულ განმათავისუფლებელ ომებში.

როსტომი ყოფილა მთასავით ვაჟკაცი, მოხერხებული, ენამოსწრებული და ჰქონია ვაჭრობის გამოცდილებაც. თავისი მოხერხებით და ომებში მონაწილეობით დაუგროვებია დიდი ქონება, რომლის ნაწილიც მოახმარა წევის ეკლესიას და წეველების განათლებას.

როსტომს დაუგროვებია ოქრო, გაუვსია ერთი ბათმანი და მიუცია ბატონისთვის – რითაც თავისი ოჯახი გაუთავისუფლებია ყმობისაგან. ამის შემდეგ როსტომის შტოს მეტსახელად შეარქვეს **„ბათმანა“**. ეს ამბავი მოსმენილი მაქვს მღვდლის–ბაბუა კასიანესაგან, ბავშვობაში.

ანკეტა შეავსო 2010წ. 28.II.

(ოთია გაჩეჩილაძის შვილი, როსტომი დაბადებული იქნებოდა არა უადრეს XVIII საუკუნის მიწურულის, ან XIX საუკუნის დასაწყისისა. იგი არსენა ოძელაშვილის (1792-1842) თანამედროვე და ასაკით, დაახლოებით, თანატოლი ყოფილა (რაც ჩანს სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში „წევა, წეველები მათი ისტორია და თავგადასავალი“ იხ. ამავე წიგნში გვ. № 116), ამიტომ, მეფე ერეკლეს ომებში ვერ მიიღებდა მონაწილეობას – ე. გ.).

80. მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი – ჩიჩინა)*, დაბ. 1933 წ., ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგი. თბილისი.

(ქ-ნი მეგის ბაბუას ერქვა ალმასხანი, ბაბუის მამას – სოლომონი, ბაბუის ბაბუას – იესე (სესია), უფრო ადრინდელ წინაპრებს – როსტომი, დიდი ოთია).

დიდი ოთია გაჩეჩილაძის შვილმა, როსტომმა 8 ბათმანი ვერცხლით გამოისყიდა თავისი ოჯახი ბატონისაგან. ეს მოხდა ბატონყმობის გადავარდნამდე ცოტა ხნით ადრე. მაშინ თავის გამოსასყიდად გლეხს იმდენი ბათმანი ვერცხლი უნდა გადაეხადა, რამდენი მამაკაციც იყო მის ოჯახში. როსტომს 7 ბათმანი ვერცხლი გადაუხდია. „კომისიის წევრები“ უკვე სახლიდან გადიოდნენ, თურმე, როცა, ორიოდე დღის წინ დაბადებულ, როსტომის შვილიშვილს – ეფრემს წამოუტირია. „კომისიის წევრები“ უკან შემობრუნებულან, აღმოუჩენიათ, რომ ოჯახს მამრობითი სქესის კიდევ ერთი წევრი შეჰმატებია და, მის გამოსასყიდად, კიდევ ერთი ბათმანი ვერცხლი მოუთხოვიათ. მასპინძლები იძულებული გამხდარან გადაეხადათ ეს თანხა. ამის შემდეგ, ეფრემისთვის **„ბათმანა“** შეურქმევიათ, რაც გვარის მეტსახელად გამოჰყვათ მის შთამომავლებს. (ეფრემი გარდაიცვალა 1907 წ.).

ქ-ნი მეგის თქმით. იესე (სესია) როსტომის ძე გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) ვაჟიშვილების შთამომავლებს გვარის ახალი გასახელებლები შერქმევიათ: სოლომონის შთამომავლებს **–„ჩიჩინები“,** მიხეილის შთამომავლებს – **„კურკიები“,** ალფეზის შთამომავლებს – **„კოტრიალები“,** ეფრემის შთამომავლებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **–„ბათმანები“,** სამსონს შთამომავალი არ ჰყავდა.

ჩაიწერა სატელეფონო საუბრის დროს 2005 წელს.

81. დავით (ღუტო) ვარლამის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა),** *დაბ. 1932 წ., წევა.*

ჩვენს წინაპრებს (ალბათ, ლაპარაკია ღიღინებზე– ე. გ.) თავიდან ერქვათ **„კრუხები“**, რატომ? – არ ვიცი. **„ბოხორიკებიც“** რქმევიათ იმიტომ, რომ მაღლები, ახოვნები ყოფილან, კიდევ რქმევიათ **„ჩომები“** – იმიტომ, რომ ძალიან მომთმენნი ყოფილან, როგორც საქონლები, მაგრამ, თუ ვინმე ზედმეტად გააბრაზებდათ, მაშინ ვეღარ დააკავებდით.

რაც შეეხება ჩვენი საგვარეულო შტოს მეტსახელს **„ღიღინა“-ს,** ეს მეტსახელი პირველად ბაბუაჩემის მამისთვის – მიხეილისთვის შეურქმევიათ. *(ის მაღალი კაცი ყოფილა,*

მაგრამ ცოლი შეურთავს დაბალი – ნერგაძის ქალი. ამის შემდეგ „ღიღინეები“ ზოგი მაღალია, ზოგი საშუალო და ზოგი პატარა ტანის. მიხეილი ყოფილა ბატონების განთქმული დამყვავებელ-დამგუნგრუშებელი. ერთხელ, ვიღაც მოსულა შორეული სოფლიდან და წაუყვანია იგი ბატონების დასაყვავებელ-დასაგუნგრუშებლად... ათი თუ თხუთმეტი დღის შემდეგ, ეს კაცი ისევ მოსულა ბაბუა მიხეილთან და მოუყვანია საჩუქრად ძროხა თავისი ხბოთი...). ეს ამბავი ასე მომხდარა:

მიხეილ ბაბუას სახლიდან აღმოსავლეთით 150 –200 მეტრის დაშორებით მომკვდარა მოხუცი ქალი. ახალგაზრდები ჩემ ბაბუასთან, გიორგისთან, ერთად ყოფილან ქელეხზე (იმ დროს ქელეხზე ღვინოს ჭიქით სვამდენ და არ ითრობოდნენ ძლიერ. ჩემ ახალგაზრდობაშიც ასე იყო...). ქელეხიდან რომ წამოსულან, ახალგაზრდებს გიორგი ბაბუასთვის უთქვამთ: – მოდი შენთან დაგვამატებინეო... როცა მაგრად შექეიფიანებულან, სიმღერა დაუწყიათ, ამაზე მიხეილი გადარეულა, რას შვრებით, მოგვეჭრა თავიო. – ბიძია მოგუდულს ვიტყვით, თანაც ზენა ქარია და ვერ გაიგონებენო. – რადგან ახალგაზრდებმა არ დაიშალეს, მიხეილიც მაგიდასთან დამჯდარა, უთქვამს, – ბანი მაინც ჭირის დღისააო და კარგი ბანი „ჩაუხვევია“. რომელიღაც ახალგაზრდას უთქვამს: –შენ ხარ, ბიძია, ღიღინაო. – ამის შემდეგ ჩვენს შტოს „ღიღინეებს“ ეძახიან.

რაც შეეხებათ **„ხრაპეებს“, „ღორისთავებს“ და „ბორბალეებს“,** მათი წინაპრები ძმები ყოფილან. როცა გაიყვნენ, ერთი დამჯდარა და ღვინო უსვამს ბევრი. მისთვის **„ხრაპა“** შეურქმევიათ, მეორე დამჯდარა და ერთი ბურვაკის თავი შეუჭამია – მისთვის **„ღორისთავი“** დაურქმევიათ, მესამე სულ ცეკვავდა, თურმე, – მისთვის **„ბორბალა“** დაურქმევიათ.

„ზურგეებს“ – დიდი „ზურგის“ (ტვირთის) ტარება შეეძლოთ....

„რეროებს“ – სიმღერა უყვარდათ...

„ღლაკნეები“ – ადამიანებს ცუდს პირდაპირ არ ეტყოდენ... – ასეთები ყოფილან გულწითელებიც.

„წრიაპელების“ წინაპრები ჩხუბს ატეხდნენ და შემდეგ გაიპარებოდნენ, ამიტომ დაარქვეს **„ქანქლიები“.**

„ჩიჩინეებს“ – ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ისინი ყასპობდნენ...

81. მე (ე.გ-მ) ვკითხე მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძე **(ჩიჩინას)*,** რამდენად სწორი იყო დავით („ღიღინას“) მიერ მოყვანილი „ჩიჩინეების“ შტოს მეტსახელის განმარტება. მან მიპასუხა, რომ მისი წინაპრები ყასპები არ ყოფილან და რომ, მისი აზრით, ეს მეტსახელი, ალბათ, შეარქვეს მის ბაბუას – ალმასხანს, იმიტომ, რომ იგი ლაპარაკობდა ხმამაღლა, ემოციურად, ენერგიულად და დაბეჯითებით. მე (ე.გ.) ვფიქრობ, რომ **„ჩიჩინების“ ქალბატონი მეგისეული განმარტება უფრო სწორი უნდა იყოს** – თვით სიტყვის, „ჩიჩინას“, შინაარსიდან გამომდინარე... აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ალმასხანის შთამომავლებსაც –ქ-ნ მეგის და მის დას, ქ-ნ დალის, საუბრის სწორედ ასეთი მანერა აქვთ...).

82. ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*, *დაბ. 1949 წ., ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე. თბილისი.*

მამაჩემისგან გამიგონია, რომ ლანჩავებს გვარის ეს მეტსახელი იმიტომ შეგვერქვა, რომ, თურმე, ჩვენი წინაპარი ფეხსაცმლის ლანჩებს ამზადებდა.

83. ციური ნიკოლოზის ას. გაჩეჩილაძე (ლულია),** *დაბ. 1937 წ., დამსახ. ბუღალტერ-ეკონომისტი.*

წინაპრებისაგან გამიგონია, რომ ლულიებს გვარის ეს მეტსახელი იმიტომ შეერქვათ, რომ თოფის ლულასავით შავები იყვნენ. *ჩაწერილია 2006 წ..*

84. ნათელა რაჟდენის ას. გაჩეჩილაძე (კრეჭია),** *დაბ. 1930 წ., ექთანი. თბილისი.*

მე-19 ს-ს დასაწყისში შუა იმერეთის სოფლებში, მათ შორის წევაში, იყო შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც ძალიან ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ვისაც შენიშნავდნენ დაავადების ნიშნებს, მათ იზოლირებას უკეთებდნენ – სოფლისგან მოშორებით საქონლის სადგომში ან სხვა ნაგებობაში ამყოფებდნენ, აწვდიდნენ საჭმელს, წამლებს – რისი საშუალებაც ჰქონდათ.

ჩემი ბაბუის, ზაქარიას ბაბუა, დავითიც, დაავადებულა შავი ჭირით. ის მოუთავსებიათ საქონლის სადგომში და ფანჯრიდან აწვდიდნენ საჭმელს და წამლებს. დავითი გადარჩენილა. მოღონიერებულა, გასუქებულა და ბოლოს და ბოლოს გამოვარდნილა გარეთ და ხმამაღლა მოურთავს ყვირილი: ხალხო, გამიშვით, „მოხდილი“ ვარ „მოხდილი“-ო

ამის შემდეგ მას დათა **„მოხდილი“** შეარქვეს.

ჩანაწერი წარმოადგინა 2006 წ. 3. XII.

3). ლეგენდები გაჩეჩილაძეების სხვადასხვა ადგილებში განსახლების შესახებ

85. ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი),** დაბ. 1959 წ., ეკონომისტ-მენეჯერი. ცხოვრობს ზნაურის რ. სოფ ლოპანსა და თბილისში.

[ბაბუის სახელი ამბროსი (1907-1993), ბაბუის მამის–თომია (გ. 1948 წ., 108 წლისა), ბაბუის ბაბუის სახელი გიორგი (გ. 1890 წ.)].

პაპაჩემი, ამბროსის გადმოცემით: წევიდან წამოსვლის შემდეგ, ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ჭიათურის რ. სოფ. ბერეთისაში, შემდეგ საჩხერის რ. სოფ კორბოულში, შემდეგ კი ჩამოსახლებულან ჩვენს ახლანდელ საცხოვრებელ ადგილას, ზნაურის რ. სოფ. ლოპანში.

ჩემი წინაპრების სოფ. წევიდან წასვლის მიზეზი მცირემიწიანობა ყოფილა: –ექვს ძმას მეშვიდეც შესძენიათ, უფროს ძმას, გიორგის, გადაუწყვეტია თავისი წილი ახალდაბადებული ძმისთვის ეჩუქებინა, თვითონ კი სხვაგან წასულიყო საცხოვრებელი ადგილის საძებრად. (ეს ის პერიოდი იყო, როცა ბატონყმობა გადავარდნილი იყო და ხალხი ეძებდა საცხოვრებელ და თავის სარჩენ თავისუფალ მიწებს). მომდევნო ძმაც მას გაჰყოლია. ძმები **დასახლებულან ჭიათურის რ. სოფ. ბერეთისაში.** იქვე დაცოლშვილებულან და გამრავლებულან. ამათგან ერთ-ერთი – პაპაჩემის პაპა – გიორგი, თურმე, პოლონეთში დადიოდა სავაჭროდ. აქედან ღვინო და არაყი მიჰქონდა, იქიდან ფართალი მოჰქონდა და ასე არჩენდა ოჯახს. ერთხელ, იქ წასული, აღარ დაბრუნებულა. მის შესახებ ვეღარაფერი შეუტყვიათ. გიორგის დარჩენია 1 შვილი – თომია, რომელსაც 108 წელი უცოცხლია. თომიას უყიდია სოფ. ბერეთისასთან 7 კილომეტრში, **საჩხერის რ-ის სოფ. კორბოულში** (ეს სოფელი საჩხერისა და ჭიათურის რაიონების გამყოფია) ადგილი, რომელსაც ზარნალი ერქვა. ახლაც შესაძლებელია იმ ადგილის ამავე სახელით მოძიება.

თომიას, მეორე ცოლისგან (რომელიც საკმაოდ გვიან ასაკში მოუყვანია), შესძენია 3 შვილი – პაპაჩემი – ამბროსი და მისი და-ძმა.

უკეთესი საცხოვრებელი ადგილის ძიებაში, თომიას, და მის ბიძაშვილებს თავიანთი საცხოვრებელი კორბოულში დარბაიძეებისათვის მიუყიდიათ, თვითონ კი, 1914 წელს, გადმოსახლებულან ჩვენს ახლანდელ **სოფ. ლოპანში.** მაშინ პაპაჩემი, ამბროსი თომას ძე გაჩეჩილაძე (დ. 1907 წ.) 7 წლისა ყოფილა.

ჩემი წინაპრების სოფ. ლოპანში ჩამოსახლების შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: მგზავრებს, რომლებიც საარსებო გარემოს ეძებდნენ, უნახავთ, მეწყრით გადაკეტილი მდინარის დაგუბების შედეგად გაჩენილი, ტბა. ჩასულან მასში საბანაოდ და უნახავთ, რომ ტბა კალმახით იყო სავსე. მგზავრებს უთქვამთ, – ეს ადგილი ნამდვილად საუკეთესო იქნება საცხოვრებლად. ბუნება შესანიშნავია, ტბა თევზით სავსე. სხვა რომ არაფერი, ადამიანი მარტო თევზით ირჩენს თავსო.

პაპის ნაამბობიდან მახსოვს, რომ, თურმე, სოფ. ლოპანის ტერიტორიაზე, თამარ მეფის დროს, ცენტრალური სახელმწიფო გზა გადიოდა, რომელიც ცხინვალისკენ მიემართებოდა. გელათი-ცხინვალის სახელმწიფო გზა გადიოდა სოფლებზე: წევა, კორბოული, ლოპანი, ზნაური... ამ სოფლებში უძველესი ნანგრევი ნასახლარები ამჟამადაც არის. ჩვენი სოფელი ლოპანი, მტრებისაგან დარბევის შემდეგ, მოსახლეობისაგან დაცლილი ყოფილა. ხეობაში, რომელშიც ეს სოფელი მდებარეობს, ბატონობდა ვინმე ამირეჯიბი, რომელიც, წინაპრების გადმოცემით, გლეხებს არ სჯიდა. პირიქით, თუ უჭირდა გლეხს ცხოვრება, გადასახადს არ ახდევინებდა და თავის სარჩენი პრიდუქტითაც ეხმარებოდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების გამო, ისურვეს ჩვენმა წინაპრებმა ამ ადგილას ცხოვრება. პაპაჩემის მამას და მის ბიძაშვილებს სოფ. ლოპანში მოყვრებიც ჩამოუყვანიათ. აღუდგენიათ მთის წვერზე მდებარე დანგრეული ეკლესია და შეურქმევიათ მისთვის წევის წმინდა გიორგის სახელი. დღესასწაულს იხდიან აღდგომის მეორე კვირას – კვირაცხოველობას. სოფელში არის წმ. ელიას, წმ. ღვთისმშობლის, წმ. ნიკოლოზის ეკლესიების ნანგრევები.

გაჩეჩილაძეებს ამ სოფელში საუკეთესო პირობები ჰქონიათ საცხოვრებლად: მდინარე, როგორც უკვე ვთქვით, კალმახით ყოფილა სავსე, მინდვრები სახნავ-სათესად გამოუყენებიათ, ტყე ახლოს იყო, ცხოველების გასამრავლებლად საუკეთესო საშუალება ჰქონიათ. ერთი პრობლემა მაინც შეჰქმნიათ: XX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს აქ ოსების ჩამოსახლება. (ეს ტერიტორია 1924 წლამდე ხაშურის რ–ს ეკუთვნოდა. შემდეგ

კი, როცა სამხრეთ ოსეთის ოლქი ჩამოყალიბდა, ოსეთს მისცეს). ჩვენს მოგვარეებს ხშირად უხდებოდათ წინააღმდეგობა ოსებთან, რომლებიც მათ ავიწროვებდნენ. ჩვენები არ უთმობდნენ მათ და ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ. პაპაჩემის თანატოლი ბიძაშვილი, ილუშა მიხეილის ძე გაჩეჩილაძე, რომელსაც პურმარილიანი, მოქეიფე, დროსმატარებელი, გულადი, „კარგი დამრტყმელი“ ვაჟკაცის სახელით იხსენიებენ, ჩვენი მოგვარეების ოსებისაგან მფარველი და მხსნელი ყოფილა. ასე მაგალითად: ოსებს ჩვენს სათიბში ბალახის გათიბვა დაუწყიათ. ერთხელ, როცა ოსები ისვენებდნენ, ილუშა ცელით დარევია მათ და დამუქრებია, – თუ ამ ტერიტორიაზე ფეხს შემოდგამთ, ცელით დაგჭრით თავებსო და ისინი იმ ადგილიდან გაუძევებია. ახლომდებარე რაიონებშიც კი (საჩხერის, ხაშურის, ქარელის, ზნაურის), რომ გეხსენებინათ სოფ. ლოპანი, მაშინვე ილუშას გიხსენებდნენ... (ილუშა გარდაიცვალა 79 წლისა, 1988 წელს).

იმ ადგილს, სადაც პირველად დასახლდა პაპაჩემის მამა, თომია, ამჟამადაც თომიას ნამოსახლარი ჰქვია, შემდეგ იგი ჩამოსახლდა ქვემოთ, სოფლის ცენტრში, სადაც გარდაიცვალა 108 წლისა. პაპაჩემმა ამბროსიმაც იმ ადგილზე გააგრძელა ცხოვრება და იცოცხლა 86 წელი. დაიღუპა 1993 წელს. („დიდი სამამულო ომის“ დროს, იგი იბრძოდა ქერჩში პარტიზანთა რაზმში. 1943 წ. ტყვედ ჩავარდა და 2 წელი გერმანიაში გაატარა, ომის დასრულების შემდეგ, თავის სამშობლოში დაბრუნდა. გაზარდა 5 შვილი – 2 ქალიშვილი და 3 ვაჟი. ამქვეყნიდან წავიდა ვალმოხდილი). უნდა ითქვას, რომ მან ჩვენს სოფელში მოსახლეობის ჩამოსახლება - გამრავლებაში დიდი წვლილი შეიტანა. (ამბროსის ცოლად ჰყავდა მაჭარაშვილის ქალი საჩხერის რ. სოფ. ხვანიდან. სოფ. ხვანში საცხოვრებელი ადგილის სიმცირის გამო, ამბროსიმ სოფ. ლოპანში წამოიყვანა თავისი ცოლისძმა, გალაქტიონ მაჭარაშვილი, და ცოლად შერთო ჩვენი მოგვარე, მარიამ მიხეილის ასული, მათ შეჰქმნეს მრავალშვილიანი ოჯახი – გააჩინეს 7 შვილი (3 ვაჟი და 4 ქალი). ვაჟები სამივე ჩვენს სოფელში დაასახლეს. ამავე დროს, პაპამ თავისი ცოლისდაც ჩვენს სოფელში გაათხოვა – ჩვენს მოგვარეზე – კოლია პრაგონის ძე გაჩეჩილაძეზე. მათაც მრავალშვილიანი ოჯახი შეჰქმნეს – 10 შვილი გააჩინეს, ერთი ადრე გარდაეცვალათ, დანარჩენი 9 (3 ბიჭი და 6 გიგო) კი გაზარდეს და ყველა დააოჯახეს...).

ოსები ჩვენი სოფლის მოსახლეობას შედარებით მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე სხვა ქართული სოფლების მოსახლეობას, რადგან ლოპანელები მშრომელი, ალალი, პურმარილიანი იმერელი ხალხია. ოსებსა და ამ სოფელში მცხოვრებ ქართველებს შორის მშვიდობიანი და ურთიერთპატივისმცემლური დამოკიდებულების შექმნას დიდად შეუწყო ხელი მამაჩემის, ივანე ამბროსის ძის, ავტორიტეტმა. იგი 35 წელი სატყეო მეურნეობის სახელოვანი თანამშრომელი იყო, რამდენიმეჯერ დაჯილდოებული სამკერდე ნიშნებით და ქების სიგელებით. ოსეთის მთავრობა კარგად იცნობს და აფასებს მას. თავისი პიროვნული ღირსებების გამო, იგი ამ ხეობაში და სოფელში დიდად სახელოვანი კაცია. ოსების ჩვენი სოფლისადმი კეთილგანწყობა რამდენადმე განაპირობა ჩემმა შემრიგებლურმა მოქმედებამაც...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ოსები ჩვენს სოფელს კიდევ უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობიან. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ერთი ქართული სოფელი აღარ დატოვეს გაუნადგურებელი, ჩვენი სოფელი კი ხელუხლებელია, რადგან ჩვენი სოფლის ხალხი უკონფლიქტო ადამიანები არიან. თანაც, ოსები ჩვენგან გამოსავალს ელიან: მთელი ზამთრის სათბობი ტყე-შეშა ჩვენი სოფლიდან გააქვთ, რასაც ჩვენი სოფლის მოსახლეობა უმზადებთ და ესეც დიდად მოქმედებს ჩვენი სოფლის უსაფრთხოებაზე.

[სანამ ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება დაიწყებოდა, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა 40 ოჯახი ათი გვარის მოსახლეობით. ეს გვარებია: გაჩეჩილაძე, მაჭარაშვილი, ცაბაძე, ლაცაბიძე, შუბითიძე, სამხარაძე, ხაჩიძე, კუსიანი, ყიფშიძე, კულუმბეგოვი. კულუმბეგოვებმა ქართული იციან. ბებია და ცოლები ქართველები ჰყავთ.

ლოპანელ გაჩეჩილაძეებს წინაპართაგან გაუგიათ, რომ ისინი გაჩეჩილაძე„ხბოსთავების“, „თაფლეების“, „მეწურბლეების“ შთამომავლები არიან. (შეიძლება სხვა შტოს წარმომადგენელიც იყოს ვინმე), თუმცა კონკრეტულად ვერ ასახელებენ ვინ რომელი შტოს წარმომადგენელია].

(გაჩეჩილაძეთა საგვარეულო კრებულის III წიგნში გამოქვეყნებულ ჩვენს სტატიაში გაჩეჩილაძეების სოფ. ლოპანში ჩასახლების თარიღად XIX სს. II ნახევარია დასახელებული. ამჯერად ჩვენ დავაზუსტეთ ეს თარიღი. ლოპანელი გაჩეჩილაძეების წინაპრები, მართალია XIX სს. II ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, წამოვიდნენ წევიდან, მაგრამ ისინი ჯერ ჭიათურის რ-ის სოფ ბერეთისაში დასახლებულან,

შემდეგ საჩხერის რ-ის სოფ კორბოულში, საიდანაც, 1914 წელს, ჩამოსახლებულან ყორნისის (ახლანდელი ზნაურის) რ. სოფ. ლოპანში ე.გ.).

86. მერაბ ბივის ძე გაჩეჩილაძე (მეწურბლე), დაბ. 1955 წ., ინჟინერი. თბილისი. *(ბ-ნი მერაბის ბაბუის სახელია სერგო, ბაბუის მამის– ქრისტეფორე, ბაბუის ბაბუის გიორგი, გიორგის მამის –იოსები).*

გადმოცემით ვიცი, რომ ოთხი ძმა გაჩეჩილაძე გამოიქცა სოფ. წევიდან და მე-19 საუკუნის 70 -იან წლებში დასახლდა სოფ. ღორეშაში.

87. ალექსანდრე ჩიჭოვანის ძე გაჩეჩილაძე (ციცი),** *(1905-2000),*
რესპ. დამსახურებული პედაგოგი, სოფ. აწყური.

სოფ. წევაში, ტრაგიკული შემთხვევის გამო, დაიღუპა ერთი კარგი ვაჟკაცი გაჩეჩილაძე. მას დარჩა ულამაზესი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ვაჟი. შორაპნის ციხე იმხანად ხელთ ეპყრათ თათარ დამპყრობლებს, რომლებიც დროდადრო დაერეოდნენ ხოლმე ქართველ მოსახლეობას და ბავშვებს სტაცებდნენ. მოიტაცეს პატარა ობლებიც.

დედამ დიდად შეიცხადა ბავშვების მოტაცება. მთელი სოფელი ფეხზე დადგა, დაედევნენ მომხდურებს, მაგრამ, ხელცარიელნი დაბრუნდნენ. ბედად, გზად გამოიარა საჩხერის ქვრივმა ბატონმა იაშვილმა. მან ითავა მოტაცებული ბავშვების განთავისუფლება. ცნობილია, რომ ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული ქამარ-ხანჯალი მიართვა თათრებს მათ გამოსასყიდად.

ცოტა ხნის შემდეგ, იაშვილმა ცოლად შეირთომ გაჩეჩილაძის ქვრივი და ისინი საცხოვრებლად საჩხერეში გადავიდნენ.

მზრუნველმა მამინაცვალმა გერებს შესაფერისი სწავლა-განათლება მიაღებინა. როცა ვაჟები დაიზარდნენ, მამინაცვალმა მათ წინადადება მისცა, მოევლოთ იმერეთი და თავიანთი სამკვიდრო, საცხოვრებელი ადგილი შეერჩიათ.

ვაჟებმა ყურადღება სოფ. საწაბლეზე შეაჩერეს, ვინაიდან ეს სოფელი ცნობილია თავისი ჰავით, მრავალფეროვანი მცენარეულობით, ნადირ-ფრინველით და სახნავ-სათესით. გზის მიუვალობა კი სოფლის მყუდროებას იცავდა.

მამინაცვალმა უყიდა გერებს სოფ. საწაბლე თავადი აბაშიძისაგან. ნასყიდობის სიგელში ეწერა, რომ ს. საწაბლის გაჩეჩილაძეები სახელმწიფო გლეხები იყვნენ და მათზე ბატონის ბეგარა და შინამოსამსახურეობა არ ვრცელდებოდა.

ცნობილია ორივე ძმის სახელები – უფროსს დავითი ერქვა, უმცროსს კი ბუჭუა. მათი შთამომავლობა 1944 წლამდე კომპაქტურად ცხოვრობდა სოფ. საწაბლეში. ამ სოფლის მოსახლეობა 1944 წელს გადაასახლეს ახალციხის რ. სოფ. აწყურში. ამჟამად ს. აწყურში ცხოვრობს გაჩეჩილაძეების 15 ოჯახი.

(აღნიშნული ლეგენდა 2006 წ. გამოგვიგზავნა ბ-ნი ალექსანდრეს ერთ-ერთმა შვილმა, (თავისი სახელი არ მიუთითებია).

88. მერი შოთას ას. გაჩეჩილაძე, დაბ. 1952, ინჟინერ-ეკონომისტი. თბილისი.

ბაბუაჩემი ბიქტორ დიმიტრის ძე გაჩეჩილაძე 18 წლისა წასულა რუსეთში სამუშაოდ. მონაწილეობა მიუღია რუსეთ-ფინეთის ომში. სამშობლოში როცა დაბრუნებულა, დასახლებულა სოფ. გურგენიაში – ილია გაჩეჩილაძის სამოსახლოზე (ილია უკან დაბრუნებულა ზესტაფონში).

გურგენიაში ცხოვრობს ბიქტორის ძმის – ალექსანდრეს ოჯახი, 4 ოჯახი ბიქტორის შტოდან და კიდევ ერთი ოჯახი – მეტსახელად „წურბელები“.

ანკეტა შეავსო 2003 წ..

ზ). **<u>ბადმოცემები წევის ეკლესიის სიწმინდეების შესახებ</u>**

89. მერი ივანეს ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი), დაბ. 1935 წ.,
ხელოვნებათმცოდნე. თბილისი.

ჩემმა ბაბუამ, წევის ეკლესიის უკანასკნელმა მღვდელმა (XX საუკუნეში) – კასიანე გაჩეჩილაძემ, მიამბო (რაც მას გაუგონია თავისი წინაპრებისაგან): წევის ეკლესიის საძირკვლის ამოყვანისას უპოვიათ წმინდა გიორგის ხატი, რომელიც მშენებლებს ადგილიდან ვერ დაუძრავთ. თანასოფლელებს მთელი ღამე უთენებიათ ამ ხატის წინაშე. შემდეგ, როცა კედლები ამოიყვანეს, ხატი „დაბრძანებული“ დახვდათ საკურთხევლის გვერდით, პატარა ნიშაში.

მე მინახავს ამ ეკლესიაში წმ. გიორგის ხატი. არ ვიცი ზემოხსენებული ხატი იყო ის, თუ არა, მაგრამ, კარგად მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებში, ამ ხატთან

ლოცულობდნენ არა მარტო თანასოფლელები, არამედ იმერეთის სხვა სოფლების მცხოვრებნიც.

(ალბათ ეს ლეგენდა წმინდა გიორგის იმ ხატს ეხება, რომელსაც „უძრავი“-ს სახელით იხსენიებს სევასტი გაჩეჩილაძე თავის ნარკვევში „წევა წეველები, მათი იატორია და თავგადასავალი“. ამჟამად ეს ხატი ეკლესიაში აღარ არის – ე. გ.).

90. ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*, *დაბ. 1949 წ., ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე. თბილისი.*

მამაჩემის, მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის არქივში ვიპოვე ასეთი ჩანაწერი: „წევის წმინდა გიორგის ეკლესიის შარლანის ხატი ლაგურკის ეკლესიაში“ მეორე გვერდზე არის განმარტება: „სვანეთში, სოფ. კალაში, ლაგურკის ეკლესიაში ინახება **„შარლანის ხატი“**, რომელიც ითვლება უძლიერეს სასწაულმოქმედად. ყველა დამნაშავე აღიარებს დანაშაულს, თუ ხატზე დაწყევლის ვინმე!..“

შარლანის ხატად წოდებული ხატი საქართველოში არ არის, მაგრამ არის სვანეთში, წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში (სვანურად ლაგურკა). სოფ. ხეს მიდამოებში, (მესტიის რ. კალას სოფსაბჭო), დაცული, სვანეთის ყველაზე დიდ სიწმინდედ მიჩნეული, ე.წ. **„შალიანის ხატი“**. ეს ბიზანტიური წარმოშობის სანაწილე ხატია, რომელიც სხვადასხვა დროს პ. უვაროვასა[1] და ე. თაყაიშვილის[2] მიერ გამოქვეყნებული ლეგენდის მიხედვით, ვინმე სვანს, სახელად შალიანს, „იმერეთის მეფისაგან“ მიუღია სწრაფად ჩაბარებული სამუშაოს სანაცვლოდ (*მეფეს, გეგუთის მინდვრის გასათიბად, სვანეთიდან ასი სვანი, მათ შორის შალიანი, ჩამოუყვანია. შალიანს მეფისთვის წინადადება მიუცია, რომ, დანიშნულ დროში, ასი კაცის მაგივრად, თვითონ გათიბავდა ამ მინდორს, თუკი იმ ნივთს მისცემდნენ, რასაც მოითხოვდა. მეფე დათანხმებია მის წინადადებას...)* და სვანეთში წაუღია. გზად იგი კალას თემის მცხოვრებთ მოუკლავთ, ხატი წაურთმევიათ, ხარების უღელზე დაუმაგრებიათ და ხარები გაუშვიათ. ისინი ერთ მაღლობზე ასულან და გაჩერებულან. ამ ადგილას აუგიათ წმ. კვირიკესა და ივლიტეს მონასტერი და ხატი შიგ დაუსვენებიათ. კალას თემის წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) XI-XII საუკუნეების მიჯნის ძეგლია. იგი 1112 წელს მოუხატავს მეფის მხატვარ თევდორეს. შალიანის ხატის შექმნის თარიღს პ. უვაროვა IX-XI საუკუნეებში ვარაუდობს[3].

1. პ. ს. უვაროვა. „სვანეთი“–კავკასიის არქეოლოგიური მასალები. გამოშვ. მე-10. მ., 1904, გვ.100.

2. ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ.. ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება. თბ., 1992, ტ..II, გვ. 204.

3. პ. ს. უვაროვა. დასახელებული ნაშრომი. გვ. 99.

91. სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*, *(1863-1943)*

აგრონომი, ფოლკლორისტი.

„აწინდელ საკურთხეველში არის ერთი **ხატი „სენის წმინდის გიორგისა“**; ფიცარზე კარგად არც კი აჩნია სახე. ეტყობა, რომ ძალიან ძველი უნდა იყოს. როდესაც უნდოდათ ხატზე გადაცემა ან ტყის ქურდის, ან საზღვარზე მოცილესი და სხვ, წაასვენებდა მღვდელი იმ ხატს და ბუკების ხმაურობით გაჰყვებოდენ. დიდი და პატარა მოცვივდა. თუ დამნაშავე იყო ვინმე, უნდა ხატის წინ აღეარა“.

„აქ სამია ძველი წმინდა გიორგის ხატი: – **წევისა, სენისა და უძრავისა**. ძველის-ძველი ხუცური ასოებით წარწერაც აქვს, მაგრამ ძნელი ამოსაკითხავია“.

„წევა, წეველები მათი ისტორია და თავგადასავალი“ იხ. ამავე წიგნში გვ. № 128.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ, 8396 Hd საბუთში, რომელიც 1817 წლის 25 სექტემბრითაა დათარიღებული, ნახსენებია წევის ეკლესიისათვის აბაშიძეებისაგან შეწირული, შორაპნიდან წამოღებული, **სინის წმინდა გიორგის ხატი**, როგორც ჩანს, ბ-ნი სევასტი ახსენებს სწორედ ამ ხატს (რომელიც, ალბათ, ან სინის მონსტრიდან იქნებოდა წამოღებული ან იქაური ხატის ასლი იქნებოდა, წეველეს კი, ალბათ, სინის მონასტრის სახელი „არაფერს ეუბნებოდათ“ და ხატი სენის წმ. გიორგის სახელი შეარქვეს. ამავე საბუთში წერია, რომ აბაშიძეებს წევის ეკლესიისათვის შეუწირავთ ძვირფასი ხმალი, რომლის ფასითაც შეუმკიათ ბარძიმ-ფეშხუმი.

უძრავის ხატს, როგორც ჩანს მოჭედილი ჩარჩო ჰქონდა (მის უბეში საბუთი შეუნახიათ წეველებს...) მას ძველი ხუცური ასოებით წარწერაც ჰქონია, რომელიც, თურმე, აღარ იკითხებოდა.

92. კ. მაღრაძე, ბაზ. „ივერია“, 1886წ. № 176. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

წევის ეკლესიაში **„ერთი ძველი ხელთნაწერი წიგნია, სახელდობრ: „ეფუთი“. წიგნი მეცამეტე საუკუნის დასაწყისშია დაწერილი“.**

(ამჟამად ეს წიგნი წევის ეკლესიის ბიბლიოთეკაში აღარ არის.

ზემოხსენებული გაზეთის შემდეგ ნომერში (1886წ., №177) გამოქვეყნებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თხოვნა წეველებისადმი, რომ ხსენებული წიგნი გადასცენ ამ საზოგადოების წიგნთსაცავს. შესამოწმებელია, არის თუ არა ეს წიგნი ამ საზოგადოების არქივში).

93. გიორგი ბოჯორიძის წიგნში – იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ. 1995, გვ. 146, ნახსენებია ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის ხატი შემკული ვერცხლის აშიით, რომელსაც უკანა მხარეს გადაკრული ჰქონია ვერცხლის ფურცელი მხედრული წარწერით, რომელიც იუწყებოდა, რომ ხატი წევის ეკლესიისათვის 1819 წ. შეუწირავს ელიზბარ მაჭავარიანს.

94. თამარ ნემსაძემ*, გივი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი)* მეუღლემ, 2002 წელს მიამბო, რომ ბ-ნ გივის, დაახლოებით 1980-იანი წლების დასაწყისში, ხელოვნების მუზეუმისათვის გადაუცია წევის ეკლესიის კუთვნილი „აზარფეშა “ და „თასი“ (ალბათ, ბარძიმ-ფეშხუმი), რომელიც ბოლო მღვდელს (ალბათ კასიანე გაჩეჩილაძეს) მიუცია ბ-ნი გივის ბებიის, ტარასი გაჩეჩილაძის მეუღლე, დესპინესათვის, რომელიც ძალზე მორწმუნე ქალი ყოფილა. ე. გ.

95. მაია რაფავამ*, გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძის* მეუღლემ, 2002 წ. მიამბო, რომ დაახლოებით 1960-1980-იან წლებში წევის ეკლესიაში ყოფილა წმინდა გიორგის მომცრო ზომის ვერცხლის ხატი, რომელსაც თურმე ჰქონდა ხუცური წარწერა, „ყანჩაეთისა ვარ“-ო.

ე. გ.

თ). **<u>საგვარეულო გადმოცემებში წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერება</u>**

ამ პარაგრაფში მოკლედ (კომენტირების გარეშე) შევაჯერებთ ზემოთ წარმოდგენილ მასალას (კომენტარებს კი წარმოგიდგენთ § 18-ში):

გვარის წარმოშობის დროის მიხედვით ყველაზე უფრო ახალი და, შედარებით, უფრო იოლად შესამოწმებელია

<u>წეველიძეთა მიერ მოწოდებული ლეგენდები</u>, რომლიდანაც ირკვევა, რომ წეველიძეებმა იციან, რომ მათი გვარი გაჩეჩილაძეთა გვარიდან არის წარმომდგარი და ზოგიერთს ახსოვს კიდეც თავისი გაჩეჩილაძე წინაპარი (იხ. გადმოც. № 1, 6). ირკვევა, ასევე, რომ წეველიძედ გვარი გადაუკეთებია არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე გაჩეჩილაძეს, რომლებიც XIX საუკუნის 40-იან წლებში და შემდეგ, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა ადგილას გადასახლებულა: [აწყურში (იხ. ლეგ. № 1), ტეზერში (ხაშურის რ.) (იხ. № 7), ტყექცეულში (ყელქცეულში) (გორის რ.) (იხ. № 5), ნუნისში (იხ. № 6). ამჟამად, ამ ადგილების გარდა, წეველიძეებს უცხოვრიათ: გორში, ყაზბეგში, ქარელში, ბორჯომში, ხვედურეთში, თბილისში...

ერთ-ერთმა წეველიძემ ისიც „გვაცნობა“, რომ წეველიძეების წინაპრები – გაჩეჩილაძეები, გაჩეჩილაძეების წინაპრები კი ჯაჭვაძეები იყვნენო, რომ გაჩეჩილაძეები ორ შტოდ იყოფოდნენ – გლეხებად და ექიმბაშებად –„მეწურბლეებადო“ (იხ. № 2).

<u>ჯაჭვაძეების მიერ მოწოდებული ლეგენდები</u>

<u>I. ინფორმაცია ჯაჭვაძეების გვარის გაჩეჩილაძეების და სხვა გვარებთან მიმართების შესახებ:</u>

ამ კითხვაზე მოპასუხე 31 ჯაჭვაძიდან უმრავლესობას –

17-ს გაუგონია, რომ **გაჩეჩილაძეები იყვნენ ჯაჭვაძეების წინაპრები** (იხ. ლეგენდები № 8 – 23 და № 32°);

2-ს გაუგონია, რომ **გაჩეჩილაძეების და ჯაჭვაძეების წინაპრები ძმები იყვნენ** (იხ. № 24, 25); (№ 24 წერს, რომ ნიორაძეების წინაპარიც მათი ძმა იყო).

1-ს გაუგონია, რომ **გაჩეჩილაძეებსა და ჯაჭვაძეებს რაღაც აქვთ საერთო** (იხ. № 27).

5-ს თავისი წინაპრების თავდაპირველ გვარად მიაჩნია ჯაჭვაძე (იხ. № 28, 30, 31, 32);

3-ს გაუგონია, რომ ჯაჭვაძეები იყვნენ გაჩეჩილაძეების წინაპრები (იხ. № 28, 29, 32);

3-ს გაუგონია, რომ ჯაჭვაძის გვარს სვანეთთან და ჯაჭვლიანების გვართან აქვს საერთო (იხ. 32, 33, 34); ჯაჭვანებთან და ჯაჭვლიანებთან (იხ. № 33).

II. ინფორმაცია ჯაჭვაძეების თავდაპირველი განსახლების ადგილის შესახებ:

ჯაჭვაძეების თავდაპირველი განსახლების ადგილად მათი უმრავლესობა იმერეთს ასახელებს:

ამათგან – ზოგადად იმერეთს № 15, 19, 24, 26;
ჭათურას № 32;
ზესტაფონს № 12, 20;
ზესტაფონის რ. სოფ. კვირიკეს № 16;
ზესტაფონის რ. სოფ. წევას № 17, 22, 25, 26 28, 29, 32ა 35;
რაჭას № 9, 14;
ზოგადად კახეთს № 11;
გურჯაანის რ. სოფ. ჭერემს № 30;
სვანეთს № 33.

შემდგომი განსახლების ადგილებად დასახელებულია: სვანეთი (იხ. № 32), გურჯაანის რ. სოფ. ჭერემი, საგარეჯო, ჩაილური, ბოგდანოვკა, ადიაური, გამარჯვება, ვაზისუბანი, მუკუზანი, შაშიანი, ფშაველი, კალაური, შრომა, ახმეტის რ., თბილისი.

III. ლეგენდები ჯაჭვაძის და გაჩეჩილაძის გვარების წარმოშობის შესახებ:

გვარის წარმოშობის საბაბად დასახელებულია შემდეგი გარემოებები:

1). ზესტაფონიდან ჭერემისაკენ მიმავალი გაჩეჩილაძეები გზად, თურმე, ჯაჭვურად მიდიოდნენ და ამიტომ დაირქვეს გვარად ჯაჭვაძე (იხ. გადმოცემა № 20);

2). მტრისაგან ჯაჭვებდადებული და დილეგში ჩაგდებული გაჩეჩილაძე ჯაჭვებიანად გაქცეულა და ჭერემამდე მიუღწევია, ამიტომ მისთვის გვარად ჯაჭვაძე დაურქმევიათ (იხ. № 21);

3). ბატონის მკვლელი, სახელად ალექსი, დასჯისაგან გაქცევის მიზნით, თავადი ჭავჭავაძის (რომელიც იმერეთში სტუმრად იმყოფებოდა), ეტლს შეხტომია და აღმოსავლეთ საქართველოში წამოჰყოლია. ჭავჭავაძეს მისთვის გვარად ჯაჭვაძე შეურქმევია, ვინაიდან, თურმე, ჯაჭვაძე ჭავჭავაძის მონათესავე გვარია(?)... (იხ. № 24);

4). სამ ძმათაგან ერთ-ერთს გაჩეჩილი თმები ჰქონია, მისთვის გაჩეჩილაძე უწოდებიათ, მეორეს ბევრი ნიორი მოჰყავდაო და ამიტომ ნიორაძე უწოდებიათ, მესამეს კი ბევრი ცოლი ჰყავდაო და ამბობდნენ, თურმე, – რა ჯაჭვივით გააბა ცოლ-შვილიო – ამიტომ შეურქმევიათ ჯაჭვაძე (იხ. № 24);

5). ჯაჭვის ხელოსნებისათვის, მათი ხასიათის სიმტკიცისა და საქმიანობის სფეროს გამო, რომელიღაც მეფეს გვარად ჯაჭვაძე შეურქმევია (იხ. №31);

6). წევის ეკლესიის სანახავად მისულ თამარ მეფეს ჯაჭვაძის თმაგაჩეჩილი ბიჭი მოსწონებია და მისთვის გაჩეჩილაძე შეურქმევია (იხ. № 28).

IV. ლეგენდა სოფ. წევის სახელის შესახებ:

ახალაგებული წევის ეკლესიის სანახავად მისულ „თამარ მეფისთვის უკითხავთ, რა აზრისა იყო ეკლესიის ნაგებობის შესახებ. მას უპასუხნია: **–„ყველაფერი კარგია, მაგრამ ძნელი მოსაღწევიაო“**. ამიტომ დაურქმევიათ სოფლისთვის „წევა“ (იხ. № 28).

V. ინფორმაცია ჯაჭვაძეების სალოცავის შესახებ:

სოფ. ჭერემში არის დაახლ. XIX საუკუნის ბოლოს (ან XX სს. დასაწყისში) აგებული სალოცავი, რომელშიც მთავარი დღესასწაული კვირიკობაა (იხ. №34, 35). მასში დაუფლავთ სოფ. წევიდან წაღებული ზედაშე ჭურებით. თამილა ქარუმას ასულის გადმოცემით იგი აუგია მამამისის, ქარუმა ივანეს ძის ბიძას, (ბ-ნი ქარუმა 2002 წ. დაახლ. 70 წლისა იყო). მერე ეს სალოცავი დანგრეულა და აღუდგენია, თამილა ქარუმას ას. ჯაჭვაძის ბიძას, რომელიც 2002 წ. ცოცხალი იყო და ცხოვრობდა სოფ. ვაზისუბანში (იხ. № 20). გიორგი დავითის ძე ჯაჭვაძის გადმოცემით, ეს სალოცავი აუშენებია ვანო დათიკას ძე ჯაჭვაძეს, რომელიც სამი სოფლის მამასახლისი ყოფილა (იხ. № 28).

VI. ინფორმაცია ჯაჭვაძეების და გაჩეჩილაძეების დასავლეთ საქართველოდან კახეთში გადასახლების მიზეზების შესახებ:

1). იმერეთში გავრცელებული სახადით დაავადების შიში (იხ. № 32).

2). ბატონების ან სამღვდელოების მხრიდან შევიწროება(იხ. №. 8, 15, 17, 18);

3). ბატონის მოკვლა (იხ. № 9, 11, 16, 19, 20, 24, 28, 38);
4). ხელისუფლებისაგან „კულაკების“ შევიწროება (იხ. № 18);
5). მტრისაგან ქრისტიანობაზე ხელის აღების მოთხოვნა (იხ. № 21);
6). ტაძრის მოხატულობის შეთეთრების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის გამო დევნა (იხ. № 22).

<u>გაჩეჩილაძეების და მათი ახლობლების მიერ მოწოდებული ლეგენდები:</u>

<u>I. გადმოცემები სოფ. წევის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების დაწყების და აქ ეკლესიის აგების ხანის შესახებ:</u>
1. წევის ტერიტორიაზე პირველმოსახლეებს ჯერ კიდევ პირველყოფილი წყობილების დროს უცხოვრიათ (იხ. ლეგენდა № 39ა).
(შემდეგში, ამ ტერიტორიაზე ანტიკური ხანის სავაჭრო გზის და ციხე-სიმაგრის არსებობაზე საუბარია № 19 და № 20 პარაგრაფებში).
2. წევაში ეკლესიის შენება დაწყებულა დავით აღმაშენებლის მეფობამდე (იხ. ლეგ. № 39 და 71). ესე იგი, ამ პერიოდში, აქ უკვე ყოფილა ხალხმრავალი სოფელი...
3. წევაში ეკლესია აუგიათ დავით აღმაშენებლის ხანაში, იგულისხმება, რომ აქ მანამდე არსებობდა ხალხმრავალი სოფელი...
4. წევაში ეკლესია აუგიათ თამარ მეფის ხანაში, შესაბამისად ამ დროისათვის აქ სოფელი იყო... (იხ. № 44, 45, 46 და ს. გაჩეჩილაძე „წევა წეველები...“ გვ. 128).

<u>II. გადმოცემები იმის შესახებ, რომ გაჩეჩილაძეების წინაპრები იყვნენ ჯაჭვაძეები:</u>
იხ. № 45, 46, 47, 50, 51, 55, 57, 61, 62, 64, 65, 67, 68, 69, 71, 73 (სულ 16).

<u>III. ვინ იყვნენ წეველი ჯაჭვაძეები?</u>
1. სოფ. წევის ტერიტორიაზე პირველყოფილი წყობილების დროინდელ მოსახლეთა შთამომავლები, რომელნიც ჯაჭვისებურად იყვნენ განსახლებული წევის ქედზე (იხ.№ 39ა);
2. დავით აღმაშენებლის ხანამდე წევის ეკლესიის მშენებლობაზე მომუშავე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩაყვანილი ხელოსნები (იხ. №39).
3. დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან დას. საქართველოში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად ჩაყვანილი ხელოსნები (იხ .№ 40);
4. დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაყების ნაწილი (იხ. № 40);
5. დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული 7 ეროვნების მეომრების და ჯაჭვის მწარმოებლების ნაწილი (იხ. № 42);
6. თამარ მეფის მიერ წევის ეკლესიისათვის შეწირული ოსის შთამომავლები (იხ. 48 და ს. გ-ის „წევა, წეველები...“გვ. 127);
7. წევის ეკლესიის მშენებლები, რომელთაც, მასალის ჯაჭვისებური წესით გადატანის გამო, თამარ მეფემ ჯაჭვაძეები შეარქვათ (იხ. № 40);
8. ერეკლე II-ის ამალის წევრის (რომელიც შეყვარებულთან ერთად გამოქცეულა კახეთიდან და წევაში დასახლებულა) შთამომავლები (იხ. № 49);
9. აღმოსავლეთ საქართველოდან თავადის მოკვლის გამო წევაში გადმოხვეწილი ჯაჭვაძის შთამომავლები (იხ. №54);
10. XVI საუკუნეში ცხინვალის რეგიონიდან წევაში მოსული ქართველი კაცის (რომლის მეტსახელი ყოფილა „ჯაჭვა“) შთამომავლები (იხ. № 73);
11. XVI თუ XVII საუკუნეში კაცის მოკვლის (სავარაუდოდ) გამო საიდანღაც გადმოხვეწილი ჯაჭვაძეების შთამომავლები (იხ. .№ 64);
12. ქართლიდან წევაში XVI საუკუნეზე (სავარაუდოდ) ადრე ჩამოსახლებული კაცის შთამომავლები (იხ. № 50);
13. თავდაპირველი ჯაჭვაძეების ამოწყვეტის შემდეგ გადარჩენილი ერთად-ერთი ბიჭი, რომელსაც უცხოვრია მაშინ, როცა სოფ. ლაშეს ბატონი იყო „დაბუა“, მღვდელი კი მანჯავიძე (იხ. ს.გ. „წევა, წეველები...“ გვ. 127);
14. ჭერემიდან ბატონისაგან გამოქცეული და წევას შემოხიზნული სამი ძმა ჯაჭვაძის შთამომავლები (იხ. ლეგ. № 68);
15. თავადის მოკვლის გამო, საიდანღაც გამოქცეული და წევას შეხიზნული ადამიანის შთამომავლები (იხ. № 58);

16. იმ გაჩეჩილაძის შთამომავლები, რომელსაც ბატონი ჯაჭვის დარტყმით მოუკლავს, კახეთში გაქცეულა და გვარად ჯაჭვაძე დაურქმევია (იხ. № 53).

V. როგორ შეიქმნა ჯაჭვაძის გვარი ?

1. შეერქვათ წევის ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდით, ჯაჭვის მსგავსად, დასახლებულ პირველმოსახლეებს (იხ. №39, 39ა, 41);

2. შეერქვათ წევის ეკლესიის მშენებლებს (სხვა ვერსიით შორაპნის ციხის აღდგენაზე მომუშავეებს), რომელთაც სამშენებლო მასალა ჯაჭვისებური წესით გადაჭონდათ (იხ. № 40, 49, 72, 74);

3. შეერქვათ ჯაჭვის პერანგების და სამეურნეო ჯაჭვების მწარმოებლებს (იხ. № 42, 71);

4. შეერქვათ XVI საუკუნეში წევაში დამკვიდრებული კაცის, რომელსაც მეტსახელად „ჯაჭვა“ ერქვა, შთამომავლებს (იხ. № 73);

5. შეერქვათ იმიტომ, რომ მათ წინაპარ გაჩეჩილაძეს ბატონი ჯაჭვის დარტყმით მოუკლავს (იხ. № 53).

VI. გადმოცემები გაჩეჩილაძის გვარის შექმნის შესახებ:

1. ეს გვარი შეურქმევიათ წევის ეკლესიის (რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობამდე აუგიათ) მშენებელი თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძისათვის (იხ. № 39);

2. წევის ტერიტორიაზე უძველეს მოსახლეებს – ჯაჭვაძეებს შორის გამოკვეთილა წინამძღოლი ოთია, რის შემდეგაც მათ ოთიაშვილებს უწოდებდნენ. შემდეგ, დავით აღმაშენებელს აქ ყივჩაყები ჩამოუსახლებია, რომლებსაც რა ბედი ეწიათ უცნობია –შესაძლოა ისინიც ოთიაშვილებად იხსენებოდნენო. წევის ბატონს–ოთიაშვილს თავისი ხელქვეითი თმაგაჩეჩილი ოთიაშვილისთვის გაჩეჩილაძე უწოდებია (იხ. 39ა);

3. შეურქმევიათ (დავით აღმაშენებლის მეფობის დროს აგებული) წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრის, თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძე დიაკვნის შთომავლებისათვის (იხ. № 40);

4. დავით აღმაშენებელს საქართველოში 7 ეროვნების ხალხი ჩამოუყვანია, მათი ნაწილი – ჯაჭვის ხელოსანი ჯაჭვაძეები, წევაში დაუსახლებია. ერთ-ერთ მათგანს – ბერს ეკლესიის შენება დაუწყია. „მუშაობასა და წვალებაში წვერი და თმა გაჩეჩილი ჰქონია“, ამიტომ მისთვის გაჩეჩილაძე შეურქმევიათ... (იხ. № 42);

5. თამარ მეფეს წევაში ხის საჯვარე დახვედრია და იქ მყოფი თმაგაბურძგნული მედავითნისათვის გაჩეჩილი უწოდებია... (იხ. № 45);

6. თამარ მეფეს თმაგაჩეჩილი ხუცესისა და ოქრომჭედლის გუარამ ჯაჭვაძისათვის, ხუმრობით, გაჩეჩილი უწოდებია... (იხ. № 45);

7. თამარ მეფეს მოსწონებია წევის ეკლესიის მშენებლობაზე მომუშავე ჯაჭვაძის თმაგაჩეჩილი ბიჭი, დაუსახლებია იგი წევაში და გვარად გაჩეჩილაძე მიუცია... (იხ. № 46);

8. თამარ მეფეს წევაში ჯაჭვაძის აწეწილთმიანი ბიჭისთვის წყლის მოტანა დაუვალებია, უთქვამს შენ ჯაჭვაძე კი არა გაჩეჩილაძე ხარო... (იხ. № 47);

9. XVIII საუკუნეში წევაში მცხოვრები 7 ძმიდან (რომელთა მშობლები კახეთიდან იყვნენ ჩამოსახლებული და იმერეთში მიიღეს ჯაჭვაძის გვარი) ორს ძმა შემოჰკვდომიათ და სახლიდან გაქცეულან, მათ გაქცევამდე წევიდან სხვაგან გადასახლებულა მათი 3 ძმა. ერთი ძმა, დარჩენილა წევაში საცხოვრებლად. იგი, თურმე, გლოვობდა ოჯახის დაქსაქსვას და გაუბედურებას და თმაგაჩეჩილი დადიოდა. მის შთამომავლებს გაჩეჩილაძეები შერქმევიათ (იხ. № 49);

10. გაჩეჩილაძე შერქმევია დაახლ. XVI საუკუნეში (ან უფრო ადრე) წევაში ქართლიდან მოსული თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძის შთამომავლებს (იხ. № 50);

11. იმერეთში ინფექციური დაავადება გავრცელებულა. მისი შიშით ჯაჭვაძეები ჭერემში გახიზნულან. წევაში დარჩენილა მხოლოდ ერთი ობოლი ბიჭი, რომელსაც მღვდელი ზრდიდა. მღვდელმთავარს ამ თმაგაჩეჩილი ბავშვისთვის გაჩეჩილაძე მიუცია გვარად (იხ. № 51); სხვა ვერსიით, თავადს მიუცია ბავშვისათვის გვარი (იხ. № 52);

12. აღმოსავლეთ საქართველოდან, თავადის მოკვლის გამო, დასავლეთ საქართველოში გადმოსახლებულან ჯაჭვაძეები. რომელთაგან ერთ-ერთის – თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძე დიაკონის შთომომავლებს გაჩეჩილაძეები შერქმევიათ (იხ. № 54);

13. მებრძოლი თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძე სიმამაცისათვის მეფეს შეუქია და გაჩეჩილაძე შეურქმევია (იხ. № 55);

14. მოსისხლე მტერს გამორიდებული ჯაჭვაძე წევაში მღვდლის ოჯახში შეუფარებიათ. მღვდლის ცოლი, თურმე, მოფერებით ეძახდა, „ჩემო გაჩეჩილოო“... (იხ. № 56);

15. ჯაჭვაძე მღვდელი სამრეკლოდან გადმოვარდნილა და ვარდნისას თმები გასჩეჩია. მის შთამომავლებს გაჩეჩილაძეები შერქმევიათ... (იხ. № 57, 40);

16. ბატონის მკვლელი წევის ახლოს ტყეში დასახლებულა. თმაგაჩეჩილობის გამო გაჩეჩილაძე შეურქმევიათ... (იხ. № 58);

17. ბატონთან კომფლიქტის გამო, ერთი კაცი ჭიათურის მხარეს ტყეში დამალულა, რომ გამოჩენილა, თმა გაბურძგნული ჰქონია. ბატონს უკითხავს, სადა ხარ აქამდე შე გაჩეჩილოო?.. (იხ. № 60);

18. მალემსრბოლი ჯაჭვაძე მტრის მოსვლის შესატყობინებლად მეფესთან გაქცეულა. სირბილისას თმა გასჩეჩია. მეფეს უკითხავს, ვინ არის ეს გაჩეჩილი ძეო... (იხ. № 61);

19. შუა საუკუნეებში ყოფილა თმაგაჩეჩილი ჯაჭვაძე მღვდელი, რომლის 7 ვაჟიშვილს გაჩეჩილაძეები შერქმევიათ... (იხ. № 62);

20. XVI თუ XVII ს-ში, წევაში, კაცის მოკვლის გამო, გადმოხვეწილი ჯაჭვაძეებიდან ერთ-ერთი ყოფილა მღვდელი, რომელიც თმაგაჩეჩილი დადიოდა... (იხ. № 64);

21. ჭაბუკი ჯაჭვაძისათვის ბატონს თავის მოახლეზე დაქორწინების უფლება არ მიუცია. ჭაბუკს მოუკლავს ბატონი და გაქცეულა. გზაში თმა გასჩეჩია. ვინაობა უკითხავთ. უპასუხნია, გაჩეჩილაძე ვარო...(იხ. № 65);

22. სამი ძმა ჯაჭვაძე ჭერემიდან ბატონს გამოქცევია და წევის ეკლესიას შეხიზნია. თურმე, თმაგაჩეჩილი დადიოდნენ, რის გამოც მათთვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ... (იხ. № 68);

23. ბატონები, თურმე, ყოველწლიურად ითხოვდნენ თითოეული სოფლიდან სამ ვაჟს და სამ ქალს ხელზე მოსამსახურედ. ერთხელ ორი ვაჟი და სამი ქალი მიუყვანიათ. მესამე, მამით ობოლი, ვაჟი, თან წაუყვანია დედას, რომელიც ჭიათურის რ. სოფ. სვერში მეორედ გათხოვილა. ბიჭი უკან დააბრუნეს. ბატონს უთქვამს ამ თმახუჭუჭა ბიჭისთვის, სად მემალებოდი, შე გაჩეჩილოო?“... (იხ. № 71);

24. გაჩეჩილაძეების წინაპარ დიაკონს ორი შვილი მოჰკვდომია და, თურმე, ამიტომ დადიოდა თმაგაჩეჩილი. მისი დანარჩენი შთამომავლებისთვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ (იხ. № 73);

<u>VIII. ტოპონიმების: „წევა“, „ულევი“, „კლდეკარა“ შექმნის შესახებ:</u>

1. ა. სოფელში მდებარე კლდიდან, თურმე, სამშენებლო ქვას ამტვრევდენ და ეწეოდენ ახლომახლო მშენებლობებისაკენ, ამიტომ ამ სოფლისთვის **„წევა“** შეურქმევიათ, კლდისათვის კი –**„კლდეკარა“** (იხ. № 40, 45);

ბ. თათრები წევაში სავაჭროდ აქლემებით მოდიოდენ, ამბობდენ თურმე, ვეწევით, ვეწევით და გზა არ ილევაო, ამიტომ შეურქმევიათ სოფლისთვის **„წევა“**), გზისთვის კი **„ულევი“** (იხ. № 42);

გ. სვანეთიდან მომავალ თამარ მეფეს გამოუვლია ვრცელი ვაკეები და როცა გადასახედამდე მიუწევია, უთქვამს, „ძლივს ამოვაღწიეო“, ამიტომ დაურქმევია ამ სოფლისთვის **„წევა“** ვაკისთვის კი **„ულევი“** (იხ. № 43, 44),;

დ. ამ სოფლისკენ ეწეოდენ მასალას ეკლესიის ასაშენებლად, ამიტომ დაარქვეს სოფელს **„წევა“** (იხ. № 70);

ზემოთ მოყვანილი ლეგენდების გარდა გაჩეჩილაძეებმა მოგვაწოდეს ინფორმაციები გვარისა და პიროვნების ზოგიერთი მეტსახელის შექმნის შესახებ, გაჩეჩილაძეების სხვადასხვა ადგილებში განსახლების შესახებ, წევის ეკლესიის ხატების შესახებ. (იხ. № 75 – 88).

§ 17. ეკატერინე გაჩეჩილაძე*

გაჩეჩილაძეების ფიზიკური და ფსიქიკური დახასიათებისა და მათი წინაპრების ადგილწარმომავლობის გარკვევის მცდელობა

გაჩეჩილაძეთა გვარი წარმოიშვა და საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდა სოფელ წევაში (ზესტაფონის რ.).

წევაში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები (იხ.სურ. 5), და დღემდე შემონახული ტოპონიმი: „დეისამაური“ (ანუ დევის მამული), ასევე, წევის ახლომდებარე ადგილების ტოპონიმები „ხანდევი“, „დევის ხვრელი“, „დევის ტბა“,„დევის ნამუხლი“, „სადევო“, იმერეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები და ამ რეგიონში მოსახლე ერთ-ერთი საგვარეულოს გვარსახელი – „დევიძე“... მიუთითებენ, რომ ეს ის ადგილია, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის პრიმატის ადამიანად ჩამოყალიბების პროცესი. ხსენებული ტოპონიმების და გვარსახელის არსებობა, თითქოს, იმასაც უნდა მიუთითებდეს, რომ დევებისავე დროს ამ ტერიტორიაზე დასახლებულა სხვა, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ხალხი, რომლებმაც შეინარჩუნეს „დევების“ აქ ცხოვრების ხსოვნა[1].

სოფელ წევაში ადამიანის არსებობა, ქვის ხანიდან დღემდე, სავარაუდოდ, არასდროს შეწყვეტილა. გაჩეჩილაძეთა საგვარეულო გადმოცემები გვაუწყებენ, რომ წევის მიმდებარედ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი, ანტიკური ხანის სავაჭრო გზა გადიოდა (რასაც ადასტურებს აქვე ახლოს ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხის და სანაოსნო პორტის მდებარეობა...), რომლის ერთ-ერთი მონაკვეთის ადგილას, XIX საუკუნეში, იესე (სესია) გაჩეჩილაძის თაოსნობით, გაყვანილი იქნა, დღესაც მოქმედი, სურამ-შორაპნის შარაგზა[2]).

არაუგვიანეს IX საუკუნისა, წევაში მოსახლეობის უეჭველ არსებობას უნდა მოწმობდეს ის ფაქტი, რომ ამ სოფლის, X საუკუნის ბოლოს აგებულ[3], წმინდა გიორგის ეკლესიაში მთავარი დღესასწაული კვირიკობაა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უფრო ადრე, ამ ადგილას, საკმაოდ დიდხანს, წმინდა კვირიკეს სამლოცველო არსებულა. კარგა ხნის შეჩვეულ დღესასწაულს მოსახლეობა ვერ შელევია და წმ. გიორგის ეკლესიაშიც კვირიკობა შეუნარჩუნებიათ მთავარ დღესასწაულად.

გაჩეჩილაძეთა ზოგი საგვარეულო ლეგენდა ამ ტერიტორიაზე,გაჩეჩილაძეების წინაპრებად მიჩნეული, ჯაჭვაძეების გამოჩენას უკავშირებს აქ კლდეკარის გაჭრას *(კლდეკარი და გზა, როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ხანისა უნდა იყოს)* და წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობას... ზოგი ლეგენდა ამ ეკლესიის მშენებლობას და გაჩეჩილაძეების წინაპრის აქ ჩამოყვანას დავით აღმაშენებელს, ზოგი კი თამარ მეფეს მიაწერს *(ეკლესიის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის და მოხატულობის I ფენა, მართლაც, თამარ მეფის ხანისა უნდა იყოს)*[4], ხოლო მათი წინაპრების მანამდელ საცხოვრებელ ადგილად სვანეთს *(ლეგენდა № 30)*, რაჭას *(ლეგ. № 9, 14)*, ქართლს *(ლეგ. № 50, 73)*, კახეთს *(ლეგ. № 11, 30)* და სხვა რეგიონებს ასახელებს[5].

გაჩეჩილაძის გვარი პირველად იხსენება, 1550-1570 წლებით დათარიღებულ, წერილობით საბუთში – „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში“[6], რომელიც იუწყება, რომ თავადს სოფ. წევის ეკლესიისათვის შეუწირავს მახარებელ გაჩეჩილაძის ოჯახი და მისი განაყოფი. რადგან იმ დროს მახარებელ გაჩეჩილაძის ოჯახს განაყოფი ჰყოლია, ესე იგი გაჩეჩილაძეები ზემოხსენებულ წლებზე უფრო ადრეც არსებულან.

XVIII სს. ბოლომდე, გაჩეჩილაძეთა საგვარეულო წევაში იყო ლოკალიზებული. სავარაუდოდ, XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო და XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაინტენსიურდა წევიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესი,

ხოლო 1944 წელს, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გადაასახლეს ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში.

საქართველოში, 1995 წელს ჩატარებული მასობრივი პრივატიზაციისა და ვაუჩერიზაციის მასალების მიხედვით, რეგისტრირებული იყო 4325 გაჩეჩილაძე, 1203 ჯაჭვაძე და 283 წეველიძე. მთლიანად საგვარეულო მოიცავდა 5811 სულს. მათგან მეოთხედზე მეტი – 1391 სული თბილისში ცხოვრობდა, დანარჩენი კი განსახლებული იყო საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე[7]. ჩვენი დაკვირვებით, 1995 წლის შემდეგ გაჩეჩილაძეთა რიცხოვნობა და განსახლების სურათი შესამჩნევად შეიცვალა, მაგრამ ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს.

გაჩეჩილაძეთა გვარის და მისი „ბუდე“ სოფლის, წევის, მრავალმხრივი შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო აგრონომმა, სამთო-ინჟინერმა და ფოლკლორისტმა სევასტი გაჩეჩილაძემ. მან აღწერა წეველთა ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გარემო, ყოფითი წეს-ჩვეულებები, ონომასტიკონი[8], სახალხო დღესასწაულები[9] და სხვა მონაცემები, ჩაიწერა ფოლკლორი[10]. XXI საუკუნეში ჩვენ განვაგრძეთ მის მიერ დაწყებული საქმე: შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ ჩვენი საგვარეულოს ისტორიული დოკუმენტები *(იურიდიული და საეკლესიო)*, ჩვენი მოგვარეების მემუარული ხასიათის ჩანაწერები, გენეალოგიური, ბიოგრაფიული და სხვა მასალები და ისინი, ბ-ნი სევასტის, წევასა და წეველებთან დაკავშირებული, ნაშრომების მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად, გამოვაქვეყნეთ კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ სამ წიგნში.

რადგან გაჩეჩილაძეების შესახებ XVI ს-ზე ადრინდელი წერილობითი დოკუმენტები არ მოგვეპოვება, ჯერჯერობით წევაში არქეოლოგიური გათხრების ჩატარება და ეკლესიის მოხატულობის ქვედა ფენის სათანადო თანამედროვე მეთოდებით გაშუქება ვერ ხერხდება და ვერც საგვარეულო გადმოცემები გვაწვდიან გაჩეჩილაძეთა წინაპრების წევაში მოხვედრის დროის და მათი წარმომავლობის შესახებ ცალსახა ინფორმაციას, ვცადოთ გავარკვიოთ, იძლევა თუ არა ამ საკითხების შესახებ ინფორმაციას გაჩეჩილაძეების ფიზიკურ-ფსიქიკური ტიპის და მათი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. კულტურის საკითხებს ჩვენ მე-18 პარაგრაფში შევეხებით, ამ პარაგრაფში კი მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ თავისებურებებს დავახასიათებთ და გავაანალიზებთ.

თავდაპირველად გაჩეჩილაძეების ფიზიკურ თავისებურებებს განვიხილავთ.

ნებისმიერი საგვარეულოს ფიზიკური თავისებურებების შესწავლა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, იმიტომ, რომ „სწორედ ფიზიკურ ტიპში შეიძლება აისახოს ისეთი ისტორიული პროცესები, როგორიცაა უშუალო გენეტიკური ნათესაობა, წარმოშობის ერთობა, ნათესაური და არანათესაური ჯგუფების შერევა, ასიმილაცია, ინფილტრაცია, მიგრაცია, იზოლაცია და ა. შ., რომლებსაც ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ისტორიული და ეთნიკური პროცესების ახსნისა და გაგებისათვის.“[11]

თანამედროვე ანთროპოლოგიას მრავალი მეთოდი და საშუალება გააჩნია ადამიანის ფიზიკური მონაცემების საკვლევად. მაგრამ, რადგან ჩვენ არ გვქონდა საშუალება ამ სამუშაოს შესრულება პროფესიონალი ანთროპოლოგისათვის გვეთხოვა... (ჩვენი საგვარეულოს დიდ ტერიტორიაზე დაქსაქსულობის გამო, პროფესიონალ ანთროპოლოგსაც ძალიან გაუჭირდებოდა მისი შესრულება), ამიტომ, შევეცადეთ თვითონ გვეწარმოებინა ჩვენი მოგვარეების ფიზიკურ მონაცემებზე დაკვირვება. ეს მით უფრო საშურად მივიჩნიეთ, რომ ვხედავთ, რომ ახლა არის ამის გაკეთების უკანასკნელი შესაძლებლობა, ვინაიდან, ამ საგვარეულოს დაქსაქსვის გამო, მის წევრებს შორის, დროთა განმავლობაში, თანდათან შესუსტდება აქამდე არსებული ნიშან-თვისებები...

ერთადერთი ანთროპოლოგიური მეთოდი, რომელიც ჩვენთვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომი იყო „კვლევის“ ჩასატარებლად, იყო სომატოსკოპია (ანუ ადამიანის აგებულებაზე ვიზუალური დაკვირვება).

ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ემყარება ზრდასრულ გაჩეჩილაძე მამაკაცებზე და ქალებზე, ასევე, ჩვენს საგვარეულო კრებულებში წარმოდგენილ

ფოტოპორტრეტებზე ჩვენს ვიზუალურ დაკვირვებას, რაც შევსებულია ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ ჩვენზე უფროსი წევრების დაკვირვებებით, ჩვენი საგვარეულოს წევრთა სატელეფონო გამოკითხვებით და ჩვენი წინაპრების გადმოცემებით. უშუალო დაკვირვება ვაწარმოეთ დაახლოებით 350 ადამიანზე. შემდგომში ამ საკითხის შესაძლო მკვლევართათვის ჩვენი კვლევის შედეგების გასაგებობის მიზნით, კვლევა შეძლებისდაგვარად მივუსადაგეთ, ანთროპოლოგიის დარგის სპეციალისტის, მ. აბდუშელიშვილის მიერ 1992 წელს გამოცემულ წიგნში „Антропологическая методика“ წარმოდგენილ, ადამიანის სომატოლოგიური მონაცემების შეფასების კრიტერიუმებს. ჩვენს ნაშრომს დავურთეთ რამდენიმე საილუსტრაციო ტაბულა, რომლებიც ამოღებული გვაქვს მ. აბდუშელიშვილის დასახელებული ნაშრომიდან იხ. გვ-ბი 206–210.

ჩვენს მიერ და ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ წევრების მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად შევადგინეთ გაჩეჩილაძეთა სომატოლოგიური მონაცემების ცხრილი, რომელიც წაკითხული იქნა „საგვარეულო დარბაზის“ სხდომებზე 2011 წლის 6 მარტს და 3 აპრილს, დაზუსტებული იქნა „დარბაზის“ წევრთა შენიშვნების შესაბამისად და დამოწმებული იქნა მათ მიერ. ცხრილი, ტერმინოლოგიის დაზუსტების მიზნით, გავაცანით ანთროპოლოგს, ისტორიის მეცნ. დოქტორ ლ. ბითაძეს, მისგან მივიღეთ რამდენიმე შენიშვნა და რჩევა, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, გავითვალისწინეთ.

რადგან ცხრილში შესული ყველა მონაცემი *(ცხრილი დაცულია საგვარეულოს არქივში)* არ იყო აუცილებელი ჩვენი ნაშრომის საბოლოო ვარიანტისათვის, ამიტომ, ამ მონაცემებიდან, გამოვყავით ტაქსონომიურად[12] ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც შევადგინეთ გაჩეჩილაძეთა, ქვემოთ წარმოდგენილი, სომატოლოგური[13] დახასიათება.

სომატოსკოპიური[14] მეთოდი ვერ გამორიცხავს დამკვირვებლის სუბიექტურობას, ამასთანავე, რადგან დაკვირვება ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენელთა მხოლოდ 6%-ის მიმართ ვაწარმოეთ და დამკვირვებლებიც ანთროპოლოგიაში არაპროფესიონალები ვართ, ჩვენი შეფასებების სიზუსტეში დარწმუნებული ვერ ვიქნებით, მაგრამ, როგორც ამ საკითხის კვლევის საწყისი საფეხურის შედეგს, მაინც ვაფიქსირებთ, ამ საკითხის, შესაძლო, შემდგომი მკვლევარისთვის სამუშაოს გაიოლების მიზნით.

კვლევის შედეგების გადამოწმება, ნაწილობრივ, შესაძლებელია ჩვენს საგვარეულო კრებულებში თავმოყრილი სამასზე მეტი ჩვენი მოგვარის ფოტოპორტრეტის და, ამ კრებულში ვერ შესული, ჩვენი ოცდათხუთმეტი მოგვარის, სამი მხრიდან გადაღებული, ფოტოების მიხედვით, რომელთა ნახვა, დაინტერესებულ პირს, შეეძლება საგვარეულოს არქივში.

გაჩეჩილაძეთა სომატოსკოპიური დახასიათება

მიუხედავად იმისა, რომ გაჩეჩილაძეები გლეხების შთამომავლები არიან, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას საკმაოდ კეთილშობილური, სიმპათიური გარეგნობა აქვს. ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით უშნო გაჩეჩილაძეს, ჯაჭვაძეს ან წეველიძეს.

მათი სომატოლოგიური[13] მონაცემები, ჩვენი დაკვირვებით, ასეთია: გაჩეჩილაძეთა უმრავლესობას შეადგენენ საშუალოზე მაღალი მამაკაცები და საშუალო სიმაღლის ქალები. მათ უმრავლესობას ახასიათებს ზომიერი ბრაქიკეფალია, თავის საშუალო ზომის სიგრძივი და განივი დიამეტრები, საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად საშუალოდ ან საშუალოზე მეტად პროფილირებული, სახე, სწორი ან ოდნავ დაქანებული საშუალო სიმაღლისა და სიგანის შუბლი, დახვეწილი ყვრიმალები და წარბზედა რკალი, თვალების ჰორიზონტალური, საშუალო სიფართის ჭრილი, ღია ფერის თვალების *(შერეული ფერის, ცისფერი ან რუხი)* საშუალო რაოდენობა, ხედა ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, ცხვირის საშუალო სიმაღლე, ცხვირის საშუალოზე მაღალი ან საშუალო სიმაღლის უნაგირი, ცხვირის ზურგის სწორი ფორმების უპირატესობა ამობურცულ ფორმებთან შედარებით, ჰორიზონტალური ან ოდნავ დაშვებული

წვეტი და ფუძე, ცხვირის საშუალო ან საშუალოზე ოდნავ მაღალი განივი პროფილი, ზომიერად განვითარებული ქვედა ყბა, სწორი ნიკაპი, საშუალო სისქის ან თხელი ტუჩები, ზედა ტუჩთან შედარებით ოდნავ უფრო სქელი ქვედა ტუჩი, საშუალო სიმაღლის ზედა ტუჩი, ზედა ტუჩის ორტოქეილური პროფილი, ვერტიკალურად ჩასმული, ზომიერი სიგანისა და სიმაღლის კბილები, სახის ძლიერი ან საშუალო თმიანობა, საშუალო ან ძლიერი თმიანობა მკერდზე, მუქთმიანი ადამიანების მეტი რაოდენობა ღია ფერის თმიანებთან შედარებით, ტალღისებურთმიანი ადამიანების ოდნავ მეტი რაოდენობა სწორთმიანებთან შედარებით, თეთრი კანი – ხორბლისფერი ან მოვარდისფრო ელფერებით.

საქართველოს მოსახლეობაში გაჩეჩილაძეთა ანთროპოლოგიური ტიპის და მოსახლეობის სხვა ტიპებთან მისი ურთიერთმიმართების განსასაზღვრად, შევადაროთ მათი ზემოხსენებული ანთროპოლოგიური მონაცემები საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც მოგვყავს აკად. ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების წარმომადგენლის, აკად. მ. აბდუშელიშვილის 1964-1980 წლებში გამოცემული ნაშრომებიდან[15]. მათში განზოგადებულია, აღნიშნული განყოფილების მიერ, თანამედროვე კავკასიისა და საქართველოს ეთნიკური და ტერიტორიული ჯგუფების შესასწავლად 1950-70-იან წლებში წარმოებული მუშაობის შედეგები. *(შემდგომი თაობის ანთროპოლოგმა, ისტორიის მეცნ. დოქტორმა ლ. ბითაძემ შეისწავლა ახალაღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და თანამედროვე მეთოდებით გადაამოწმა მ. აბდუშელიშვილის ნაშრომებში განხილული მასალა, რის შედეგადაც დაადასტურა, წინა თაობის ქართველი ანთროპოლოგების მიერ, ამ მასალის კლასიფიკაციისა და დახასიათების სისწორე...).*

მ. აბდუშელიშვილი წერდა: **„კავკასიის მთელი აბორიგენული მოსახლეობა განეკუთვნება დიდი ევროპეოიდული რასის სამხრეთ შტოს, ანუ ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას.** ამ რასის გავრცელების არეალი მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას ატლანტის ოკეანიდან – ინდოეთამდე; **იგი სამ დიდ რასობრივ შტოდ იყოფა: ინდო-პამირულ, ხმელთაშუა-ბალკანურ** და **წინაზიურ** რასებად... ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის ამ სამივე დიდი განშტოების წარმომადგენლები გვხვდებიან კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში, ცხადია, ადგილობრივი ნაირსახეობების სახით: **კასპიური ტიპი,** რომელიც აღმოსავლეთ აზერბაიჯანელებსა და აღმოსავლეთ დაღესტნელებში გვხვდება, აშკარად შედის ინდო-პამირული ტიპის ჯგუფებში;

პონტური ტიპი, რომელიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიის მოსახლეობისათვისაა დამახასიათებელი (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები), ეკუთვნიან ხმელთაშუა-ბალკანური ტიპის ჯგუფებს,
ხოლო კავკასიონის მთიანეთში, საქართველოს, სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე, ყველაზე მეტად გავრცელებული არიან **წინააზიური ტიპის** ჯგუფები...

სამივე ამ განშტოების კავკასიური ნაირსახეობები ერთმანეთთან დაკავშირებულია მორფოლოგიური მსგავსების გარკვეული კომპლექსით და ამიტომ თამამად შეიძლება მსჯელობა მათ კავკასიურ ერთობაზე. ამ „კავკასიური ერთობის“ ფესვები ადგილობრივვე მიდის საუკუნეების სიღრმეში, ვინაიდან, რაც უფრო ძველია ამ ტერიტორიებზე აღმოჩენილი პალეოანთროპოლოგიური მასალა, მით უფრო მეტია მათ შორის მორფოლოგიური მსგავსება,“[16] „რაც კავკასიის უძველესი აბორიგენების ერთიანი წარმომავლობის მაჩვენებელია“[17]... „ეს ერთიანობა იმ უძველეს პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ჯერ კიდევ დაწყებულიც არ იყო ეთნიკური დიფერენცირება[17]... შემდეგ, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა თუ ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხების ზეგავლენის მეოხებით, თანდათან ჩამოყალიბდნენ ის ლოკალური ნაირსახეობები, რომლებიც დღეს, მიუხედავად ძირითადი მსგავსებისა, მაინც განასხვავებს ერთი მეორისაგან კავკასიისა და საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის რეგიონალურ ჯგუფებს“ [17].

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოიყოფა სამი ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპი: I. კოლხური, II. იბერიული და III კავკასიონური. თავის მხრივ,

I. კოლხური ტიპი იყოფა ორ ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ადგილობრივ **ვარიანტად: ა. „შავიზღვისპირული**, რომელიც გავრცელებულია შავიზღვისპირელი აჭარლების, გურულების, მეგრელებისა და აფხაზების ჯგუფებში და **ბ. დასავლურ-ქართული**, რომელიც გვხვდება: იმერლების, მეგრელების, გურულების, აჭარლების, ლეჩხუმლებისა და ბარის რაჭველების არაშავიზღვისპირულ ჯგუფებში"; [18]

ა. შავიზღვისპირულ ვარიანტს ახასიათებს: „თვალის ვიწრო ჭრილი, სწორი შუბლი, თავის საშუალო განივი დიამეტრი, დაბალი და ვიწრო, მკვეთრად პროფილირებული, დახვეწილყვრიმალებიანი სახე, ღია ფერის თვალები და თმები, ცხვირის მაღალი უნაგირი, ცხვირის ჰორიზონტალური ან აწეული წვეტი, მსხვილი ტუჩები, ცხვირის მცირე სიმაღლე, თმის საშუალოზე უხვი საფარი მკერდზე, ზედა ქუთუთოს ნაოჭის არსებობის საშუალო პროცენტი და ა.შ." [19]

ბ. დასავლეთ ქართულ ვარიანტს ახასიათებს: ზემოთ აღწერილ ტიპთან „ზოგადად მსგავსი, მაგრამ ლოკალურად განსხვავებული ფორმები. მათში სჭარბობენ უფრო სწორშუბლიანი ტიპები, უფრო მაღალი ცხვირის უნაგირით, თმის უფრო უხვი საფარით, უფრო ნაკლებად ღია ფერის პიგმენტაციით, უფრო ფართო თავით, უფრო ფართო სახით, ქუთუთოს ნაოჭის არსებობის უფრო მაღალი პროცენტით და ა.შ." [19]

II. იბერიული ტიპიც იყოფა ორ ვარიანტად:

ა. აღმოსავლურ-ქართული, რომელიც მოიცავს ძირითადად ქართლელებისა და კახელების ჯგუფებს და **ბ. სამხრეთ- ქართული**, რომელიც გვხვდება მესხების, ჯავახების და ზოგიერთ სამხრეთ-ქართლურ ჯგუფებს შორის; [16ა]

ა. აღმოსავლურ-ქართულ ვარიანტში „უფრო ხშირად გვხვდება ჯგუფები ცხვირის მცირე სიმაღლით, უხვი თმის საფარით სახეზე, ფართო შუბლით, თხელი ტუჩებით, უფრო ნაკლებად, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, პროფილირებული სახით, ჩამოშვებული ცხვირის წვეტით, თავის საშუალო განივი დიამეტრით, ტანის საშუალოზე ნაკლები სიგრძით, ზომიერად ფართო სახით, უფრო მუქი პიგმენტაციით და ა. შ." [19]

ბ. სამხრეთ-ქართულ ჯგუფებში „სჭარბობს, აღმოსავლურ-ქართულ ჯგუფებთან შედარებით, უფრო ვიწრო, დაბალი, მკვეთრად პროფილირებული, დახვეწილყვრიმალებიანი სახის მქონე ფორმები, უფრო უხვი თმის საფარით ტანზე, ცხვირის უფრო აბურცული ზურგით და ტანის ნაკლები სიგრძით."[19]

III. კავკასიონის ტიპი გავრცელებულია კავკასიონის მთის ქართულ (ხევსურები, სვანები, ფშაველები, თუშები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, მაღალმთიანი რაჭველები, და სხვა) და არაქართულ (ოსების ნაწილი, ბალყარელები, ყარაჩაელები, ჩეჩნების ნაწილი, ლეკები და სხვა) ჯგუფებს შორის.

ამ ჯგუფებში „სჭარბობს ფორმები ფართო და მაღალი სახით, ფართო თავით, ჰორიზონტალური ან ჩამოშვებული ცხვირის წვეტით, ტანის დიდი სიგრძით, ნათელი ფერის თვალების საშუალო რაოდენობით, ცხვირის დაბალი უღლით, ნაკლებად პროფილირებული სახით და ა.შ." [19]

„ხუთივე ეს ანთროპოლოგიური ვარიანტი ეკუთვნის წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს ***[წინააზიურ ჯგუფებს (ასიროიდული, არმენოიდული, იბერიული და სხვა) ახასიათებთ:*** *მკვეთრი ბრაქიკრანულობა[20], ზომიერად ფართოსახიანობა, მუქი პიგმენტაცია, მაქსიმალურად განვითარებული თმის საფარი მკერდზე და სახეზე, მაღალი ცხვირი, ამობურცული ცხვირის ზურგი, ცხვირის მაღალი უნაგირი, მაღალი ნესტოები[21]],* მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს მის კლასიკურ ფორმას."[16ბ] **[საქართველოს თანამედროვე ლოკალური ტიპები ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი, უძველესი ანთროპოლოგიური ტიპების შინაგანი განვითარებისა და ეპოქალური ტრანსფორმაციის გზით, რაიმე სხვა ელემენტების საგრძნობი ზეგავლენის გარეშე.**

კავკასიისა და წინა აზიის მოსახლეობისათვის ეს ცვლა გამოიხატა თავის მაჩვენებლისა და სახის სიგანის მატებაში, რასაც მოჰყვა უძველესი ვიწრო და მაღალსახიანი, ვიწრო და გრძელთავიანი მედიტერანების (ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის) *(ამ ტიპის ადამიანებით ყოფილა დასახლებული საქართველოს მთელი ტერიტორია ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან (ძვ.წ. III ათასწლ. დასაწყისიდან) ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით – ეგ.)* თანამედროვე ფართოსახიან ბრაქიკეფალებად[20] გარდაქმნა[16ა]].

ადამიანთა ნებისმიერი ტიპის ჩამოყალიბებაში, კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, მეტ-ნაკლები მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენელ უამრავ ადამიანს. როდესაც ქვეყნის მოსახლეობის ეთნოგენეზში ადგილი არა აქვს ამ ქვეყანაში შემოჭრილი უცხო ელემენტების საგრძნობ ზეგავლენას *(როგორც მ. აბდუშელიშვილი აღნიშნავს, საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში, ეს სწორედ ასე ყოფილა – ციტატა იხ. ზემოთ)* და ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად ურთიერთობს მისი გარემომცველი ადგილობრივი ტიპების მოსახლეობასთან (ამ ურთიერთობაში იგულისხმება საქორწინო კავშირებიც), მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ, პირობითად N მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპში, „პირველ რიგში", აისახოს უახლოეს მეზობელ რეგიონებში მცხოვრები *(ანდა N-თან უფრო ინტენსიურ ურთიერთობაში მყოფი, უფრო შორეული რეგიონის მოსახლეობის)* ანთროპოლოგიური ტიპის გავლენა, უფრო „მკრთალად" კი, ზოგიერთ ინდივიდში, შესაძლოა, ამ მეზობლების მეზობელი ანთროპოლოგიური ტიპების გავლენაც გამოკრთეს (რომელთა გავლენასაც ატარებენ „პირველი რიგის" მეზობლები) და ა. შ.

მ. აბდუშელიშვილის დაკვირვებით, **კოლხური ტიპის** ორ ვარიანტს შორის არსებული მცირე განსხვავებებები სხვადასხვა მიმართულებითაა მიქცეული, კერძოდ: „თავის შედარებით დაბალი მაჩვენებელი[22], უფრო მაღალი სახე და ცხვირი, უფრო მსხვილი ტუჩები, უფრო ვიწრო თვალების ჭრილი, ცხვირის დაბალი განივი პროფილი, ცხვირის ხრტილოვანი პროფილის ნაკლებად ამობურცულობა, ცხვირის ფუძისა და წვეტის ჰორიზონტალურობა ან ოდნავ მაღლა აწეულობა, **<u>შავიზღვისპირულ ვარიანტს</u>**, მორფოლოგიური თვალსაზრისით, **<u>აახლოებენ ადიღურ ტიპთან</u>** (ადიღები, ჩერქეზები, აბაზები, აფხაზები, აჭარლები)[23]. *(ე.წ. პონტურ ჯგუფებს (ადიღური და სხვა) ახასიათებთ: ზომიერი ბრაქიკრანულობა, ზომიერად ვიწრო სახე, ნათელი პიგმენტაცია, სუსტად განვითარებული თმის საფარი სახეზე და ტანზე, ცხვირის სწორი ფორმების უპირატესობა ამობურცულ ფორმებთან შედარებით[21])*, ხოლო <u>ზემოხსენებული დამახასიათებელი ნიშნების საწინააღმდეგო</u> შეფარდება კერძოდ: თავის შედარებით მაღალი მაჩვენებელი, უფრო დაბალი სახე და ცხვირი, უფრო ნაკლები სისქის ტუჩები, უფრო განიერი თვალების ჭრილი, ცხვირის უფრო მაღალი განივი პროფილი, ცხვირის ხრტილოვანი პროფილის მეტად ამობურცულობა, ცხვირის ფუძისა და წვეტის ჰორიზონტალურობა ან ოდნავ დაბლა დაწეულობა **<u>კოლხური ტიპის დასავლეთ-ქართულ ვარიანტს უფრო მეტად იბერიულ ტიპს ამგვანებს."</u>**[23]

მისივე დაკვირვებით, **იბერიული ტიპის** ორ ვარიანტს შორის არსებულ განსხვავებებსაც ეს ვარიანტები სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპებისკენ მიჰყავს, კერძოდ: „თავის უფრო მაღალ მაჩვენებელს[22], სხეულის ნაკლებ სიგრძეს, სახის ნაკლებ სიგანეს, ცხვირის შედარებით მეტ სიმაღლეს და სივიწროვეს, თვალების უფრო მუქ პიგმენტაციას და ზოგ სხვა ნიშნებს **მიჰყავთ <u>სამხრეთ-ქართული ვარიანტი წინააზიური ფორმებისაკენ</u>**, ხოლო თავის უფრო მცირე მაჩვენებელი, სხეულის მეტი სიგრძე, სახის მეტი სიგანე, თვალების უფრო ნათელი პიგმენტაცია, ნაკლებად პროფილირებული და უფრო მეტად „ღაწვმაღალი" სახე და ზოგი სხვა ნიშანი **აახლოებენ იბერიული ტიპის <u>აღმოსავლეთ-ქართულ ვარიანტს კავკასიონურ ტიპთან.</u>"** [23]

ანუ, არცერთი ზემოთ დახასიათებული ხუთი ანთროპოლოგიური ჯგუფიდან არ მოიცავს სრულებით ერთგვაროვან მოსახლეობას, თითოეული ამ ჯგუფის

მოსახლეობის დამახასიათებელ ნიშნებთან მეტ-ნაკლებად შეზავებულია მეზობელი რეგიონების მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

თუ შევადარებთ გაჩეჩილაძეების სომატოლოგიურ მონაცემებს აღნიშნული ჯგუფების მონაცემებთან დავინახავთ, რომ, **გაჩეჩილაძეთა მონაცემები ყველაზე მეტად შეესაბამება კოლხური ტიპის დასავლეთ-ქართულ ვარიანტს,** *[შემდეგი ნიშნების საფუძველზე: სხეულის საშუალოზე მეტი ან საშუალო სიმაღლე, თავის საშუალო ზომის განივი და გასწვრივი დიამეტრები, სწორი შუბლი, თვალების ჰორიზონტალური, საშუალო სიფართის ჭრილი, ღია ფერის თვალების საშუალო რაოდენობა, ქუთუთოს ნაოჭის არსებობის მაღალი პროცენტი, ცხვირის ჰორიზონტალური ან ოდნავ ქვემოთ დაშვებული წვეტი და ფუძე, საშუალო სისქისა და თხელ ტუჩებიანი ადამიანების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა, მუქთმიანების მეტი რაოდენობა ღია ფერის თმიანებთან შედარებით, უხვი თმის საფარი სახესა და მკერდზე (აღსანიშნავია, რომ თვით ჩვენი საგვარეულოს გვარსახელი – „გაჩეჩილაძე“ და ლეგენდა: რომ ჩვენი საგვარეულოს ეთნარქ დიაკონს „ისეთი გაბუძგული ბალანი ჰქონდა თურმე, რომ „ოთხი“ კაცი შეიჩრდილებოდაო“[24], მიუთითებს ჩვენი ეთნარქის უხვ და, ალბათ, ტალღისებურთმიანობაზე, რაც იმერლებისთვისაა დამახასიათებელი)]* **ანუ საკუთრივ იმ რეგიონის მოსახლეობის სომატოლოგიურ მონაცემებს, რომელშიც ისინი საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ, მცირე განსხვავებით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ზემოხსენებული ვარიანტში შემავალი ერთ-ერთი ლოკალური ჯგუფის (ამ შემთხვევაში, სოფ. წევის მოსახლეობის) თავისებურებას.**

ჩვენი აზრით, ის ნიშნები, რომელიც გაჩეჩილაძეებს მცირედ განასხვავებს კოლხური ტიპის დასავლეთ ქართული ვარიანტის მოსახლეობისაგან, არის: **სწორცხვირიანების უფრო მეტი რაოდენობა, ცხვირის ოდნავ უფრო დაბალი განივი პრიფილი, ოდნავ უფრო ღია პიგმენტაცია, სახის ოდნავ უფრო ნაკლებად პროფილირებულობა** ამ ნიშნებიდან პირველი სამის არსებობა, ჩვენი აზრით, აიხსნება სიახლოვით კოლხური ტიპის შავიზღვისპირულ ვარიანტთან.

ხოლო სახის ნაკლებად პროფილირებულობა [ისევე როგორც, გაჩეჩილაძეთა მცირე ნაწილის ცხვირის წვეტის ქვემოთ დაშვებულობა] აიხსნება სიახლოვით იბერიული ტიპის აღმოსავლურ ქართულ ვარიანტთან.

წეველების დამახასიათებელი ნიშნების პარამეტრები გასაშუალოებულია, გარდამავალია, შავიზღვისპირული, დასავლეთქართული და აღმოსავლეთქართული ვარიანტების შესაბამისი ნიშნების პარამეტრებს შორის.

დასავლეთ-ქართული ტიპისაგან წეველების ეს მცირე განსხვავებები, ჩვენი აზრით, აიხსნება სოფ. წევის გეოგრაფიული მდებარეობით, კერძოდ: ერთი მხრივ იმით, რომ იგი ზღვასთან უფრო ახლოსაა (წევიდან ზღვა ჩანს) ვიდრე მაგალითად ჭიათურის და საჩხერის რაიონები (რომელთა მოსახლეობაშიც უფრო მკვეთრადაა გამოხატული კოლხური ტიპის დასავლეთ-ქართული ვარიანტის ნიშნები) და, ბუნებრივია, რომ წევას, როგორც სავაჭრო ცენტრს, უფრო მეტი ურთიერთობა (სავაჭრო და სხვა) ექნებოდა შავიზღვისპირული ვარიანტის მოსახლეობასთან. მეორე მხრივ კი, ვინაიდან წევა იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, წეველებს აქტიური ურთიერთობა (სავაჭრო და სხვა) ჰქონდათ დედაქალაქებთან – მცხეთასთან და თბილისთან, შესაბამისად – იბერიული ტიპის აღმოსავლეთ-ქართული ვარიანტის მოსახლეობასთან

ს. გაჩეჩილაძის ნაშრომიდან „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“ ირკვევა, რომ წეველებს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ ზემო რაჭასთან („ჭედისის“ მთის ახლო-მახლოდან“ რკინის ნაწარმი გადმოჰქონდათ[25]), ხოლო ლეგენდებიდან და რელიგიისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებული რამდენიმე გამოვლინებიდან ჩანს, რომ მათ გარკვეული ურთიერთობა ჰქონიათ სვანეთთანაც[26]. ზემო რაჭაში და სვანეთში გავრცელებულია კავკასიონური ტიპის ჯგუფები, რომელთა გავლენა ამ რეგიონების მხრიდანაც შეიძლება ასახულიყო წეველთა გარეგნობაში. **მაგრამ, ვინაიდან წევის მიმდებარე ცენტრალური სავაჭრო გზა წეველების, ძირითადად, შავიზღვისპირულ და ქართლის რაიონებთან**

ურთიერთობას განაპირობებდა მათ გარეგნობაში უფრო მეტი გავლენა სწორედ ამ რეგიონების მოსახლეობისა უნდა იყოს.

ვინაიდან წეველთა კულტურა, გარდა საკუთრივ იმერეთის კულტურისა, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურასთან ავლენს კავშირს, ამიტომ სავაჭრო და სხვა კავშირების შედარებით მეტი ინტენსიურობა ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვივარაუდოთ.

[გაჩეჩილაძეთა და, საერთოდ, დასავლეთ-ქართული ვარიანტის წარმომადგენელთა, დაახლოებით 0,5 %-ის ძალიან დიდი სიმაღლე[27] შესაძლოა მათი წინაპრების ამ ადგილების უძველეს მოსახლეობასთან „დევებთან“ ნათესაობის შედეგი იყოს. როგორც აღვნიშნეთ, იმერეთის რეგიონის ტოპონიმებში „დევები“ ხშირად იხსენიებიან. შეუძლებელია, რომ ამას არ ჰქონოდა რეალური საფუძველი. (ისინი, შესაძლოა, კავკასიონური ტიპის ადამიანების ადგილობრივ გამოვლინებას წარმოადგენდნენ...).

იქნებ, გაჩეჩილაძეები სხვა ადგილიდან არ მოსულან და წევის აბორიგენი მოსახლეობის შთამომავლები არიან?.. ამ საკითხის გაშუქებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს არქეოლოგიურმა გათხრებმა. [მაგრამ არქეოლოგებს წევის მოსახლეობის შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნაში შეიძლება ხელი შეუშალოთ იმან, რომ წევის მეზობელ სოფლებს სასაფლაო არა აქვთ და, წევის ეკლესიის აგების შემდეგ, წევაში იმარხებოდა და იმარხება რამდენიმე სოფლის მოსახლეობა (ადგილის სიმცირის გამო, ახალ მიცვალებულს ძველის ადგილას მარხავენ...) რაც, შესაძლოა, ეკლესიის აგებამდეც ასე ხდებოდა...].

ადამიანთა თავისებურებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მათი საცხოვრებელი გარემო. გაჩეჩილაძეთა სომატოლოგიური მონაცემებზე დაკვირვების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ გაჩეჩილაძეების გარეგნობა ისე შეესატყვისება სოფ. წევის ბუნების ხასიათს და მათი ფსიქიკური წყობაც იმდენად განპირობებული ჩანს ამ სოფლის გეოგრაფიული მდებარეობისა და აქაური ეკლესიის ზემოქმედებით (ამ საკითხს ქვემოთაც დავუბრუნდებით), რომ ძნელია, ისინი სხვა რომელიმე ადგილიდან მოსულად წარმოვიდგინოთ და თუ მოსულები არიან, მაშინ ეს ძალიან ადრე უნდა მომხდარიყო (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წევაში მოსახლეობა, სავარაუდოდ, ქვის ხანიდან დღემდე არ შეწყვეტილა). მათი წინაპრების წევაში დამკვიდრება, ყველაზე გვიან, წმინდა გიორგის ეკლესიის აგებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა მომხდარიყო, რომ, მათი ფიზიკური და ფსიქიკური წყობა ასე მისადაგებოდა წევის ბუნებას... ან იმ ადგილის მოსახლეობის გარეგნობა, საიდანაც ისინი, სავარაუდოდ, მოვიდნენ, გაჩეჩილაძეების ამჟამინდელი გარეგნობის მსგავსი უნდა ყოფილიყო. *[ჩვენს ჰიპოთეზას გაჩეჩილაძეების წინაპრებად მიჩნეული ჯაჭვაძეების მცხეთის სიახლოვეს მდებარე ნასოფლარ ჯაჭვიდან წარმომავლობის და იქაური მოსახლეობის, შორეულ წარსულში, სავარაუდოდ, ღია ფერად პიგმენტირებულობის (და, შესაძლოა, კავკასიონური ტიპისადმი კუთვნილების) შესახებ, წარმოგიდგენთ მე-18 §-ში (რომელშიც საგვარეულო ლეგენდები და კულტურის სფეროსთან დაკავშირებული საკითხებია განხილული), იმიტომ, რომ მის დასაბუთებას, ძირითადად, ლეგენდებითა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებული მასალით ვცდილობთ...].*

ისტორიის განმავლობაში, შეუძლებელია მათ არ შემოერთებოდათ სხვადასხვა ადგილებიდან მოსული ადამიანები, რომლებიც, ალბათ, ქართველები იყვნენ. თუ მათში არაქართველი კავკასიელები ერივნენ, მაშინ, ალბათ, ძალიან მცირე რაოდენობით, იმიტომ რომ XIX სს. წეველთა ენაში, ტოპონიმებში, ყოფით კულტურაში არ ჩანს არაქართული ელემენტები. არც მათ ანთროპოლოგიურ ტიპებში ჩანს უცხო ეთნიკური ჯგუფების შესამჩნევ გავლენად ჩასათვლელი ნიშნები.

მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა გაჩეჩილაძეები ერთი საერთო წინაპრის შთამომავლები, მათი ერთ ვიწრო რეგიონში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებას და, ძირითადად, ამ რეგიონის მოსახლეობასთან ქორწინებას შეეძლო განეპირობებინა მათი სისხლით ნათესაობა *(დედების, ბებიების ან უფრო ადრინდელი ქალი წინაპრების*

მხრიდან) და ერთმანეთის მსგავსი ანთროპოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბება, ხოლო საერთო რელიგიურ, და სოციალური გარემოს, შეეძლო განეპირობებინა ერთმანეთის მსგავსი ფსიქიკური თავისებურებების ჩამოაყალიბება, რომლებმაც, ცხადია, გარკვეული ცვლილებები განიცადა საგვარეულოს სხვადასხვა რეგიონში განსახლების შედეგად. მიუხედავად ამისა, გაჩეჩილაძეთა, საუკუნეობით ჩამოყალიბებული, საერთო ნიშან-თვისებები, ჯერჯერობით, კვლავ იკითხება.

მართალია გაჩეჩილაძეებს შორის მნიშვნელოვანი მორფოლოგიური განსხვავებებებია, რასაც ჩვენი წინაპრებიც აღნიშნავდნენ *[მაგალითად: ბ-ნი კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე* წერდა, რომ გაჩეჩილაძეები ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისგანო[29], სევასტი გაჩეჩილაძე* კი თავის „წევა, წეველებში...“ ზედა და ქვედა წევის მოსახლეობის ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულობაზე ამახვილებდა ყურადღებას[28]. (ქვედა წევაში გაჩეჩილაძეებიც ცხოვრობენ და სხვა გვარებიც)]*, მაგრამ, მათ შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. მათი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულობის შთაბეჭდილებას, როგორც ჩანს, მათი სოციალური მდგომარეობის განსხვავებულობა ქმნიდა. ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული ნიშნები მეტ-ნაკლებად „განაწილებულია“ გაჩეჩილაძეების ყველა, ასე თუ ისე მოზრდილ, შტოში. ხშირად ერთი დედ-მამის შვილებს შორის მეტი განსხვავებაა, ვიდრე სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს შორის. ყველა შტოში არიან მაღლებიც და დაბლებიც, სწორ და კეხიან ცხვირიანები, მუქ და ღია ფერის თმიანები, მუქ და ღია ფერის თვალებიანები, მოვარდისფრო, ზოგჯერ მოწითალო კანიანებიც, ფერმკრთალებიც, ხორბლისფერ კანიანებიც და მოშავგვრემნოებიც...

ზოგიერთი შტოს წარმომადგენლებს შორის ტანმაღალი ადამიანების სიმრავლე მათი სოციალური დაწინაურებიდან გამომდინარე ჩანს და არა მათი სხვა შტოებისაგან ტიპობრივი განსხვავებიდან. შედარებით მაღლები არიან სამღვდელოების და ვაჭართა წრის წარმომადგენელთა შთამომავლები, ვისაც საკვების რაციონი უფრო უხვი და მდიდარი ჰქონდათ...

გაჩეჩილაძეების გარეგნობის, ყველაზე ადრინდელი, წერილობითი დახასიათებები სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომებში გვხვდება. მაგ.: ოთიაშვილების ეთნარქის „დიდი ოთიას“ შესახებ, იგი წერს: „ოთია მართლაც მეტად წარმოსადეგი, თეთრ-ყირმიზი, ახოვანი „ყაძახი“ ყოფილა“-ო და ახასიათებს მას, როგორც გონიერ, ფიზიკურად ძლიერ, ძალზე გამბედავ, უაღრესად მშრომელ ადამიანს. ამ ოთიას მსგავსი წარმოსადეგი, ახოვანი, თეთრყირმიზი მამაკაცები (და, აგრეთვე, ასეთივე აგებულების, და თვისებების მქონე, მაგრამ უფრო მუქად პიგმენტირებული მამაკაცები) გაჩეჩილაძეების ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია. მართალია ასეთ აგებულების ადამიანები გვარში პროცენტულად არც ისე ბევრია (3-4% იქნება), მაგრამ, თითო-ორორა, გაჩეჩილაძეთა მრავალ შტოში გვხვდება: ოთიაშვილების, ბელტიყლაპიების, მაღლების, ცეტების, ღველფიანების, კვიცინების... და თავიანთი წარმოსადეგობით იქცევენ ყურადღებას.

გაჩეჩილაძეების ყველა შტოში, ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია: საშუალო ან საშუალოზე მეტი სიმაღლის, ზომიერი სიდიდის სახის ნაკვთების მქონე, სიმპათიური გარეგნობის, გონიერი, მრავალმხრივი ნიჭისა და უნარების მქონე, შინაგანად ამბიციური, მაგრამ თავდაჭერილი, ჩუმი, დაკვირვებული, საზოგადოებრივად აქტიური, კანონმორჩილი, მაგრამ უსამართლობისადმი შეურიგებელი, ძალიან ენერგიული, ძალიან მშრომელი ადამიანები.

მცირე რაოდენობით (დაახლ. 1–1,5 %) არიან, აგრეთვე, სხვადასხვა გარეგნობის, ყველა ზემოთ დასახელებული ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოგვარეებისაგან განსხვავდებიან უფრო მეტი ემოციურობით, სიმკვირცხლით, სიფიცხით, (ზოგჯერ სიანჩხლით – ქალები), ამბიციების თამამად გამოხატვით, ხელმძღვანელობის პრეტენზიით და ხშირად მართლაც გამორჩეული უნარით. მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, ხასიათის კოლორიტულობის გამო, ისინი ყურადღებას იქცევენ და გაჩეჩილაძეების (და, ალბათ, საერთოდ იმერლების) შედარებით იშვიათ, მაგრამ ერთ-ერთ დამახასიათებელ ტიპს წარმოადგენენ. საზოგადოდ კი, ჩემი აზრით, გაჩეჩილაძეთა უმრავლესობა, იმერელთა უმრავლესობასთან შედარებით, უფრო მეტი სიდინჯით გამოირჩევა.

ზემოთ აღწერილი სამივე ფსიქო-სომატური ტიპი და მათი რაოდენობრივი ურთიერთშეფარდება გაჩეჩილაძეთა თაობებში განმეორებადია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, როგორც მათი გარეგნობის, ისე ხასიათის თავისებურებები, გარდა გენეტიკური საწყისისა, მნიშვნელოვან წილად, განაპირობა წევის ბუნებაში მრავალსაუკუნოვანმა ცხოვრებამ.

წევის, კლიმატური პირობებითა და ნიადაგის თავისებურებებით ზომიერად მკაცრი, ბუნება მდიდარია როგორც ახლო, ისე შორი ხედებით. აქედან მთელი კოლხეთის დაბლობი და, კარგ ამინდში, შავი ზღვაც მოჩანს. წევაში არის რელიეფის დონეთა და ფერთა კონტრასტები, მაგრამ არა ისეთი მკვეთრი, როგორც მაღალმთიან ადგილებში. აქ ახლო პლანებზე გარემოს ფერები „ნედლი“, ნათელი და მუღერია – მაგრამ არამჭახე, – ირგვლივ შორი ხედების სიმრავლე, ზომიერზე ოდნავ უფრო ტენიანი ჰაერი და, შესაბამისად, ჰაეროვანი პერსპექტივით ფერთა გამის საკმაოდ ფართო სპექტრით ნიუანსირება, არბილებენ ფერთა კონტრასტებს. სხვადასხვა აგებულების მქონე მრავალპლანიანი რელიეფების პლასტიკური და ფერადოვანი ნიუანსების სიმრავლე ქმნის რთული შემადგენლობის მრავალფეროვან, ფაქიზად ნიუანსირებულ პეიზაჟებს, რომელთა ზემოქმედებით, მათ გარემოში გაზრდილ ადამიანებსაც ასეთივე რთული, ზომიერად მკაცრი, მაგრამ ფაქიზი, მრავალმხრივ ნიუანსირებული შინაგანი ბუნება და დახვეწილი გარეგნობა უყალიბდებათ. წევის ყოველ მხარეს შორი ხედების და, წევის მიმდებარედ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა და შორეული ქვეყნების დამაკავშირებელი გზების არსებობა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა წეველთა ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე, აფართოებდა მათ ფანტაზიას და გონებრივ თვალსაწიერს. წევაში სამეურნეოდ ვარგისი მიწის სიმცირე აიძულებდათ მათ გონების დაძაბვას, მუყაით შრომას, სწავლას დაწაფებას, რელიგიური მოღვაწეობით და სავაჭრო საქმიანობით დაინტერესებას. გაჩეჩილაძეთა ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე, უდავოდ, დიდი გავლენა მოახდინა წევის წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედმა ეკლესიამ, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი და ავტორიტეტული სასულიერო კერა იყო და არის წევის მიმდებარე მიკრორეგიონში.

ისევე, როგორც ს. წევის ბუნებას, გაჩეჩილაძეთა გარეგნობას არ ახასიათებს მკვეთრი აქცენტები: გაჩეჩილაძეების აბსოლუტურ უმრავლესობას სახის საშუალო ზომის, ურთიერთჰარმონიზებული ნაკვთები აქვს (მაგალითად: **მათ <u>ნაკლებად ახასიათებთ</u>:** შავიზღვისპირული ტიპისათვის დამახასიათებელი მსხვილი ტუჩები და ვიწრო თვალები, დასავლეთ-ქართული ტიპისთვის დამახასიათებელი მკვეთრად კეხიანი ცხვირი და მკვეთრად პროფილირებული სახე, კავკასიონური ტიპისთვის დამახასიათებელი: მკვეთრად გამოხატული ძვლოვანი სტრუქტურა, განიერი და მაღალი, ბრტყელი სახე, ძლიერად გამოხატული ქვედა ყბა, მაღალი ყვრიმალები და ვიწრო, მედიალურად დაქანებული თვალები (იმ ერთეულ ინდივიდებს, ვისაც ასეთი გარეგნული ნიშნები აქვთ, უმეტეს შემთხვევაში, არაქართველი დედა, ბებია ან დიდი ბებია ჰყავდათ...); გაჩეჩილაძეთა შორის ძალიან ცოტას აქვს ძალიან მუქი ან ძალიან ღია ქერა ფერის თმები. ამ გვარის წარმომადგენელი თუ ლამაზია, მისი სილამაზე არ არის ისეთი თვალშისაცემი და ერთბაშად აღსაქმელი, როგორც მთიელთა სილამაზე, არამედ ფაქიზად ნიუანსირებული, მიმზიდველი, გამსჭვალავი, და ღრმად ზემოქმედია. მრავალ მათგანს აქვს გამჭვირვალე, ღია ფერის, ნაზი კანი და პეწიანი თმები, ღია ფერის თვალები; მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ ახასიათებს (ხანგრძლივად) სევდიანი გამომეტყველება, მათ გონივრული, დაკვირვებული, ღრმა და ლმობიერი გამოხედვა აქვთ, რაც, სხეულისა და სახის ჰარმონიულ აგებულებასთან ერთად, ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს თავისებური სირბილის, სინაზის დახვეწილობის, კეთილშობილობის იერს სძენს *(ეს სინაზე და დახვეწილობა მათთვის რომ ორგანულია, ნათლად ჩანს წეველთა ფოლკლორში, განსაკუთრებით ზღაპრებში)*[30]; ისინი საკმაოდ დღეგრძელნი არიან, უმრავლესობა სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს კარგ მეხსიერებას და მახვილ აზროვნებას.

გაჩეჩილაძეებს აქვთ ძლიერ განვითარებული ესთეტიკური გრძნობა, ფაქიზი ნერვული სისტემა და მტკიცე მორალური პრინციპები, ამიტომ ერიდებიან უზნეო საზოგადოებას და უზნეო საქციელს – მათ ძალიან იშვიათად ნახავთ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთა შორის.

შინაგანად ამბიციური, მაგრამ გაწონასწორებული და თავმდაბლური ქცევით გამორჩეული, წესრიგის მოყვარული, ძალზე მშრომელი, ყაირათიანი, შესანიშნავი მეოჯახე და მეურნე, სწავლას დაწაფებული, ინტელექტუალური საქმიანობისა და ღვთისმსახურებისკენ მიდრეკილი *(მხოლოდ XIX საუკუნის განმავლობაში გაჩეჩილაძეთა გვარში 30-მდე მღვდელი, რამდენიმე მედავითნე და დიაკვანი ყოფილა[31]),* მართლმადიდებლური ტრადიციებისა და სამშობლოს ერთგული გაჩეჩილაძეები, თავისი მისწრაფებებით და ყველა თავისი გამოვლინებით იმერეთის იმ რეგიონის, რომელშიც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ, მოსახლეობისათვის ტრადიციულად დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს ავლენენ.

ამრიგად, ჩვენი საგვარეულოს ფიზიკურ, ფსიქიკურ და ქცევით თავისებურებებზე დაკვირვების შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ყველა სომატოლოგიურ თავისებურებას, რაც გაჩეჩილაძეებს ახასიათებთ, საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ეძებნება შესატყვისი და საქართველოს ტერიტორიაზევე უჩანს ამ ნიშნების შეზავებაში მონაწილედ საგულვებელი ანთროპოლოგიური ჯგუფები. მათი ფსიქოლოგიური წყობა და ქცევაც შეესატყვისება საქართველოს, კერძოდ იმერეთის, მოსახლეობის თვისებებს.

P.S. თუ ჩვენი საგვარეულო უფრო მეტად არ დაიქსაქსება და განაგრძობს წინაპართა ტრადიციების განვითარებას, მაშინ, აზრი ექნება ჩვენი დასკვნების უფრო ფართო მასალის საფუძველზე და უფრო ზუსტი მეთოდების გამოყენებით გადამოწმებას.

თუ ჩვენი მოგვარეები საჭიროდ ჩათვლით ჩვენი მოსაზრებების გადამოწმებას სათანადო დარგის სპეციალისტის მიერ, წინასწარ გაეცანით მის მიერ საკუთარი საგვარეულოს შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომს. <u>სპეციალისტი, რომელსაც, თავისი სპეციალობის შესაბამისად, საკუთარი საგვარეულო არ შეუსწავლია, თქვენ არ გამოგადგებათ!..</u>

2012, V.

<u>გაჩეჩილაძეების ანთროპოლოგიური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეს:</u>
აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძემ (ლობიო) – „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენელი სოფ. წევაში,
მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძემ (ოთიაშვილი),
ნათელა რაჟდნის გაჩეჩილაძემ (კრეჭია),
ნელი ალექსანდრეს ას. გაჩეჩილაძემ (ლანჩავა) – „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენელი სოფ. ზიკილიაში,
ციური ნიკოლოზის ას. გაჩეჩილაძემ (ლულია),
ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძემ (ლოპანელი) – „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენელი სოფ. ლოპანში,
მელანო ვასილის ას. გაჩეჩილაძემ (ლანჩავა),
ლილი ვარლამის ას. გაჩეჩილაძემ (ლანჩავა),
თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძემ (გოგება),
გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძემ (ბელტიყლაპია),
შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძემ (ოთიაშვილი),
მერი ივანეს ას. გაჩეჩილაძემ (ოთიაშვილი),
თეიმურაზ პეტრეს ძე გაჩეჩილაძემ (ცეტი).

შენიშვნები:
1. არ ვგულისხმობთ, მაინცა და მაინც, აქ უცხო ტომების მოსვლას, არამედ ნაყოფიერ ადგილებში ნაცხოვრები, შედარებით განვითარებული ხალხის, ძნელბედობის დროს თავშეფარებას, ნაკლებად განვითარებული ხალხით დასახლებულ, უფრო მწირ ადგილებში ან სახელმწიფოს ხელმძღვანელების მიერ, რაღაც მიზნით, მოსახლეობის გადაადგილებას.
2. იხ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. I, თბ. 2005, გვ. 116 და გაზ. „ჯაჭვი“, № 1, 2002წ., სტატია „გვარი და ღვაწლი“.
3. წევის ეკლესიის აგების აღნიშნული თარიღის დასაბუთება მოყვანილია წევის ეკლესიისადმი მიძღვნილ ჩვენს მონოგრაფიაში, რომელიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

სათანადო დასაბუთების გარეშე, X-XI საუკუნეებით დაათარიღეს ეს ეკლესია 2006 წ. მის რესტავრაციაზე მომუშავე რესტავრატორებმა და ზოგიერთმა ჩვენმა მოგვარემ. ამის შესახებ დამატებითი ინფორმაციას იხილავთ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში.
4. მტკიცებულებას იხილავთ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში.
5. იხ. წინამდებარე წიგნში § 16 ლეგენდები გვ. 163 – 180.

6. სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921, გვ. 24/5.

7. ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

8. ს. გაჩეჩილაძე, „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“, აკაკის კრებული, 1899წ., № 2 და №3; ეს ნარკვევი შეტანილი გვაქვს წინამდებარე წიგნშიც, იხ. გვ. 116.

9. იხ. წინამდებარე წიგნში, § 11, გვ. 133.

10. გამოქვეყნებულია, „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ III წიგნში (თბ. 2010); ს. გაჩეჩილაძის, „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“, აკაკის კრებული, 1899წ., №3, და კრებულში „ძველი საქართველო“ წ. I–1909წ. და წ. IV–1914-1915 წწ..

11. Малхаз Абдушелишвили, Антропологическая методика, Тб., 1992, стр. 7.

12. ტაქსონომია – (ბერძნ. taxis რიგის მიხედვით დაწყობა + nomos კანონი) – სინამდვილის რთულადორგანიზებული ობიექტების კლასიფიკაციის და სისტემატიზაციის თეორია.

13. სომატოლოგია – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს სხეულის ზომებსა და პროპორციებს.

14. სომატოსკოპია – ადამიანზე ვიზუალური დაკვირვება (ბერძნ. Ahthropos ადამიანი და skopeo ვუყურებ).

15. მ. აბდუშელიშვილის 1964-1980 წ. გამოცემული ნაშრომები: М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964;
მალხაზ აბდუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1979, გვ. 28-29; მ. აბდუშელიშვილი, მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა, კერებულიდან – საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასი, თბ. 1980.

16. მალხაზ აბდუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1979, გვ. 30.

16ა. მ. აბდუშელიშვილი, იგივე ნაშრომი, გვ. 28.

16ბ. მ. აბდუშელიშვილი, იგივე ნაშრომი, გვ. 29.

17. მ. აბდუშელიშვილი, მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა, კერებულიდან – საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასი, თბ. 1980, გვ.14.

18. მალხაზ აბდუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1979, გვ. 28-29.

19. М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, стр. 38, 39.

20. ბრაქიკრანული, ბრაქიკეფალური – მოკლე თავის ქალას მქონე (თავის ქალას სიგრძის გაზომვის წერტილები იხ. № 1 სურ-ზე.

21. М. Г. Абдушелишвили დასახელებული ნაშრომი, გვ. 75.

22. თავის მაჩვენებელი = თავის განივი დიამეტრი გაყოფილი სიგრძივ დიამეტრზე და გამრავლებული ასზე. როცა თავის მაჩვენებელი დაბალია, მაშინ თავის ქალა უფრო გრძელია და ვიწრო (თავის ქალას სიგრძის და სიგანის გაზომვის წერტილები ნაჩვენებია № 1 სურათზე), თუ თავის მაჩვენებელი მაღალია, მაშინ თავის ქალა უფრო მოკლეა და ფართო.

23. М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, გვ. 67.

24. ს. გაჩეჩილაძე, „წევა, წეველები...“, წინამდებარე წიგნში, გვ. 128.

25. იმავე ნაშრომში, გვ. 129.

26. ლეგენდები № 32,33,34 წინამდებარე წიგნში, გვ.: 166, 167.

27. *ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ მას ბავშვობაში უნახავს წევის ეკლესიის გალავანში ჩატანებული ადამიანის უზარმაზარი თავის ქალა, რომელიც შემდეგ სადღაც გამქრალა – ალბათ ჩაიშალაო. პერიოდულად, ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეთა გვარში ძალიან დიდი სიმაღლის ადამიანები გამოერევიან ხოლმე. მაგალითად, გადმოცემის მიხედვით, 214 სმ. სიმაღლისა ყოფილა შაქრო ნიკას ძე ჯაჭვაძე (დრუჭუნიანთი)**(1913-1939), ორ მეტრზე მაღლები ყოფილან: მიხეილ იასონის ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი) (XIX სს. ბოლო – XX სს. 50-იანი წლები), სევასტი (1863-1943)* და ერასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძეები (ოთიაშვილები), ვანო გაჩეჩილაძე (მაღალი)...*

28. კონსტანტინე გაჩეჩილაძის მოგონებები, წინამდებარე წიგნში, გვ. 283.

29. ს. გაჩეჩილაძე, „წევა, წეველები...“, § 10, გვ. 119.

30. იხ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. 3, კრებული „ძველი საქართველო“ წ. I-1909წ. და წ. IV-1914-1915 წწ..

31. გ. არონიშიძე „ღვთისმსახური გაჩეჩილაძეები“, კრებულში „გაჩეჩილაძეთა წაგვარეულო“ წ. I, თბ. 2005, გვ. 46-49. მასში დასახელებულ ღვთისმსახურებს, შემდგომი კვლევის შედეგად, კიდევ რამდენიმე სახელი შეემატა...





სურ. 1 ა, ბ. კეფალომეტრიული გაზომვა

10. თავის სიგრძივი დიამეტრი.
11. თავის განივი დიამეტრი.
12. შუბლის უმცირესი სიგანე.
13. სახის განივი დიამეტრი.
14. ქვედა ყბის დიამეტრი.
15. სახის ფიზიონომიური სიმაღლე.
17. ცხვირის სიმაღლე წარბებიდან.
19. ცხვირის სიგანე.
21. ზედა ტუჩის სიმაღლე.
22. ტუჩების სისქე.



სურ. 2. ცხვირის უნაგირის სიმაღლე
1. დაბალი, **2.** საშუალო, **3.** მაღალი.



სურ. 3. ყვრიმალები
1. წაშლილი (დახვეწილი), **2.** საშუალოდ გამოწეული, **3.** ძლიერ გამოწეული.



სურ. 4. სახის ჰორიზონტალური პროფილი
1. სახის ძლიერი პროფილირება, **2.** სახის საშუალო პროფილირება,
3. სახის სუსტი პროფილირება.



სურ. 5. ცხვირის განივი პროფილი
1. ბრტყელი, **2.** საშუალო, **3.** მაღალი.



სურ. 6. ზედა ქუთუთოს ნაოჭი



სურ. 7. ზედა ტუჩის სიმაღლე
1. დაბალი, **2.** საშუალო, **3.** მაღალი.



სურ. 8. წვერის ზრდა
1. ძალიან სუსტი, **2.** სუსტი,
3. საშუალო, **4.** ძლიერი,
5. ძალიან ძლიერი.



სურ. 9. ყურის ბიბილოს ფორმა
1. სამკუთხა, **2.** მართკუთხა, **3.** ენისებური.



სურ. 10. თმოვანი საფარი მკერდზე
1. ძალიან სუსტად განვითარებული, **2.** სუსტად განვითარებული,
3. საშუალოდ განვითარებული, **4.** ძლიერ განვითარებული,
5. ძალიან ძლიერ განვითარებული.

*§ 18. ეკატერინე გაჩეჩილაძე**

საგვარეულო ლეგენდების კომენტარები

საგვარეულო ლეგენდები ღრმად არიან ჩაბეჭდილი ჩვენი მოგვარეების ცნობიერებაში, ისინი საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ, კვებავდნენ მათ ფანტაზიას და გარკვეულ ზეგავლენას ახდენდნენ მათი ფსიქიკის ჩამოყალიბებზე. ლეგენდებში მოყვანილი ინფორმაციის შემოწმება, საუკუნეთა „უკუნეთში“ ჩამალული საიდუმლოებების ამოხსნა და ამ ამონახსნის სხვათათვის დაჯერება, ურთულესი საქმეა, მაგრამ ახლა XXI საუკუნეა და დრო მოვიდა გამოვიდეთ ლეგენდების ტყვეობიდან და ნათლად გავაცნობიეროთ ვინ ვართ, ვისი შთამომავალნი და მემკვიდრენი, როგორ უცხოვრიათ და რა უკეთებიათ ჩვენს წინაპრებს და რისი გაკეთება გვევალება ჩვენ, მათ შთამომავლებს.

ლეგენდებთან „შეჭიდება“,მათი საიდუმლოებების გამოსამზეურებლად ზრუნვა ბედმა ჩვენ გვარგუნა. ვინაიდან ფაქტობრივი მასალა, რომელსაც საფუძველი უნდა გაემყარებინა ჩვენი კვლევისათვის მეტად მწირია და, მეტწილად, ჩვენგანვე იყო მოსაპოვებელი, ხშირ შემთხვევაში იძულებული ვიყავით ინტუიციას დავყრდნობოდით და ძიება წარგვემართა ყველა იმ მიმართულებით, საითაც კი მისთვის ხელჩასაჭიდი „ძაფი“ გვეჩვენებოდა. ბუნებრივია, რომ მოგვიხდა სხვადასხვა დარგების კომპეტენციაში შემავალ უამრავ საკითხს შევხებოდით და მათში, შეძლებისდაგვარად, დამოუკიდებლად გავრკვეულიყავით. ყოველ კითხვაზე მოძებნილი პასუხი ახალ კითხვებს ბადებდა და ჩვენც მივდიეთ ყველა ამ კითხვას მანამ, სანამ შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად ზუსტი მეცნიერებების და თანამედროვე საკვლევი აღჭურვილობის და მეთოდების ჩართვა არ გახდა აუცილებელი, რაც ჩვენთვის, ამ ეტაპზე, ხელმიუწვდომელია, მაგრამ, იმედია, ჩვენი მოგვარეების შემდგომი თაობებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. ალბათ, ისინი გადაამოწმებენ ჩვენს მოსაზრებებს და დააგვირგვინებენ ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს.

გაჩეჩილაძეთა გვარის წარმოშობის შესახებ პირველი ლეგენდა ბავშვობაში მამისგან მოვისმინეთ (იხ. ლეგ. № 40, გვ. 168). ამ საკითხზე პირველი წერილობითი ინფორმაცია კი 1998 წელს ამოვიკითხეთ სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“[1], რომელსაც შემთხვევით წავაწყდით საჯარო ბიბლიოთეკაში. მასში მოყვანილმა ცნობამ იმის შესახებ, რომ, თურმე, თამარ მეფეს წევაში დაუტოვებია სამი ყმა ეკლესიას შეწირული: ოსი ჯაჭვაძე, ლეკი ზიბზიბაძე და თათარი ებანოიძე, რომელთაგან ოსი წევაში დასახლებულა, ლეკი სანახშირეში, თათარი კი ლაშეში და გამრავლებულან... (იხ. გვ. 127), ძალიან გაგვაკვირვა, ვინაიდან მსგავსი რამ ჩვენი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისაგან არასოდეს გაგვიგია.

როცა ს. გაჩეჩილაძის ნაშრომს გავეცანით, ჩვენი ოჯახის უფროსი თაობა: მამა, ბიძები და მამიდები ცოცხალი უკვე აღარ იყვნენ, რომ ხსენებული ინფორმაციის ტყუილ-მართლობა მათთან გაგვერკვია, ამიტომ, ჩვენს ახლობელ და ნაცნობ გაჩეჩილაძეებს ვკითხეთ... მათაც ძალიან გაიკვირვეს. მათ არც ეს ლეგენდა ჰქონდათ გაგონილი და არც ს. გაჩეჩილაძეზე იცოდნენ რამე. ამ ამბავმა ძალიან დაგვაინტერესა და კიდევ უფრო მოგვანდომა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა, რომელიც, მამის ჩაგონებით, ბავშვობიდანვე გვაინტერესებდა.

§ 7 -ში ჩვენ აღვწერეთ, როგორ მოხვდა ზემოხსენებული ლეგენდა, ჩვენდა უნებლიეთ, ჩვენი ხელიდან, ი. ახუაშვილის წიგნში[2]... გამოვიდა, რომ გაჩეჩილაძეთა გვარის ორივე წარმომადგენელი (ბ-ნი სევასტი და ჩვენ), რომლებმაც შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ საგვარეულოს ისტორია, ვიმეორებთ ერთსა და იმავე, საეჭვო, ლეგენდას, ყოველგვარი კომენტირების გარეშე... თანაც, გარდა ჩვენი სტატიისა, ახუაშვილის წიგნში, გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს შესახებ, მოყვანილია სხვა, ძალიან არსებითი, უზუსტობებიც. რადგან ზემოხსენებულ ლეგენდაზე და ახუაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციებზე პასუხის გაუცემლობა სამუდამო გაურკვევლობაში ჩააგდებდა ჩვენი საგვარეულოს მომავალ

თაობებს, აუცილებლად ვცანით როგორც ახუაშვილის წიგნში მოყვანილ უზუსტობებზე პასუხის გაცემა *[წინამდებარე წიგნში ჩვენ ვაქვეყნებთ მის წიგნში, გაჩეჩილაძეების საგვარეულოს შესახებ, დაბეჭდილი მთელი ტექსტის, გარდა ბიოგრაფიებისა, ასლს (იხ. გვ. 27) და ჩვენს კომენტარებს ამ ტექსტის შესახებ (იხ. § 7)],* ისე ჩვენი საგვარეულოს ისტორიის დამოუკიდებლად გამოკვლევა. საამისოდ, მით უფრო პასუხისმგებლად ვიგრძენით თავი, რომ ჩვენ, ჩვენდა უნებურად, ბ-ნი სევასტის ნაშრომში მოყვანილი ლეგენდის ხელახლა გამოქვეყნების მიზეზი გავხდით...

2001 წლიდან, საგვარეულოს შესახებ ფაქტობრივი მასალის შეკრება-გაანალიზების პარალელურად, ვატარებდით საგვარეულოს წევრთა გამოკითხვას, ჩვენი გვარის წარმოშობის შესახებ, ზეპირგადმოცემების შესაკრებად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საგვარეულოს მხოლოდ 136 წარმომადგენლის გამოკითხვა მოვახერხეთ, რაც საგვარეულოს წევრთა დაახლოებით 2,3 % შეადგენს, მაინც მრავალი ლეგენდა და მათი ვარიანტები დაგვიგროვდა, რაც საგვარეულოს დიდ სიძველეზე მეტყველებს.

აღნიშნული მასალა, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხებზე: **საგვარეულოში შემავალი გაჩეჩილაძეების, ჯაჭვაძეების და წეველიძეების გვარების წარმოშობის დრო და მოტივი, ამ გვარების წარმომადგენელთა წარმომავლობა, ერთმანეთთან და სოფ. წევის მეზობელ სოფლებში მცხოვრებ სხვა გვარებთან გენეტიკური მიმართება,** მრავალფეროვან პასუხებს შეიცავს. საგვარეულოს უფრო მეტი წევრის გამოკითხვა რომ მოგვეხერხებინა, ალბათ, უფრო მეტ ინფორმაციას მოვიპოვებდით ჩვენთვის შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან (კვლევის ამ ეტაპზე) საკითხებზე, მაგალითად: საგვარეულოს წევრთა სხვადასხვა ჯგუფების საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზების და მათი სხვადასხვა ადგილებში განსახლების ისტორიის შესახებ და სხვა, მაგრამ, ვინაიდან, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ზემოხსენებული საკითხების შესახებ, უკვე მოძიებულისაგან არსებითად განსხვავებული, ინფორმაციის მოპოვების იმედი აღარ გვქონდა, ამიტომ ძიება დროებით შევწყვიტეთ და შეკრებილი მასალის გაანალიზება ვცადეთ.

თავისთავად, ლეგენდების და მათი ვარიანტების ასეთი მრავალფეროვნება, აძნელებს მათში მოყვანილი ინფორმაციის საგვარეულოს ისტორიის რეალურ ნაწილად მიჩნევას, რაც ამ ლეგენდებს ნაწილობრივ უკარგავს მნიშვნელობას. მაგრამ, ვინაიდან მათში მოყვანილი ინფორმაცია ჩვენი მოგვარეების მწვავე ინტერესს აღძრავს და მისი გარკვევა აუცილებელია ჩვენი საგვარეულოს თვითიდენტიფიკაციისათვის, შევეცდებით მის გადამოწმებას, მისი დოკუმენტურ და ფაქტობრივ მასალებთან შეჯერებით.

მასალა, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ და შეძლებისდაგვარად გავაანალიზეთ, არის ისტორიული ხასიათის ლიტერატურაში და არქივებში გაფანტული იურიდიული საბუთები, წევის საეკლესიო აქტების ჩანაწერები, სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ჩანაწერები[3], მის მიერ „აკაკის კრებულსა“[3] და ძველ საქართველოში“[4] გამოქვეყნებული წევის ფოლკლორი, მისგანვე შესრულებული სოფ. წევის სახალხო დღესასწაულების, ქორწილსა და დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალების აღწერები (რომლებიც ხელნაწერი სახით შემოინახა[5]), გაჩეჩილაძეთა სხვა წინაპრების წერილობითი მოგონებები, XIX-XX საუკუნეების პრესაში ს. წევის შესახებ გამოქვეყნებული წერილები, წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა, ჩვენს მიერ გაჩეჩილაძეთა ანთროპოლოგიური შესწავლის მცდელობის შედეგები და სხვა.

ლეგენდების შესახებ მსჯელობას განვავითარებთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ჩვენ წარვმართეთ კვლევა:

უპირველეს ყოვლისა, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში„წევა,წეველები...“ წარმოდგენილი ლეგენდის (იხ. გვ. 127) შინაარსი.

ამ ნარკვევის კითხვისას გაგვაკვირვა ბ-ნი სევასტის რესპონდენტის, 135 (ას-ოცდათხუთმეტი) წლის მოხუცის, როსტომ გაჩეჩილაძის, მოწადინებამ, რაც შეიძლება მყარად დაემკვიდრებინა აზრი, მისი მოგვარეების ოსობის შესახებ *(საკმაოდ მცირე*

ტექსტში იგი, მოგვარეების მისამართით, სიტყვა ოსს ცხრაჯერ ახსენებს) და, კიდევ უფრო მეტად, გაგვაკვირვა იმან, რომ ბ-ნმა სევასტიმ, რომელმაც ზემოხსენებული ნარკვევის გამოქვეყნებამდე ორი წლით ადრე გაზ. „კვალში“[6] სხვა ლეგენდა გამოაქვეყნა გაჩეჩილაძეთა გვარის წარმოშობის შესახებ (ლეგ. № 43, გვ. 171). *(ამასთანავე, როგორც ჩვენს მიერ საგვარეულო ლეგენდების შეკრების შედეგად გაირკვა, თურმე, ამ საკითხზე მრავალი ლეგენდა არსებულა და ბ-ნ სევასტის, დაინტერესების შემთხვევაში, ფოლკლორის ნიმუშების შეკრებისას, შეეძლო მათი შეკრებაც),* წეველების შესახებ თავის ძირითად ნაშრომში შესატანად, მაინცა და მაინც ეს ლეგენდა აირჩია და თან, ასე გულმოდგინედ, ცხრაჯერ დააფიქსირა აღნიშნული სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ეჭვი ეპარებოდა ლეგენდაში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეში. აკი თვითონვე წერს: „შვიდი საუკუნის შემდეგ, ეს თვისებები გამოჰყვებოდა კიო?“ (იხ. გვ. 127). ამასთანავე, ხიბზიბაძეებზე, რომელთაც მოხუცი როსტომი ლეკებად მოიხსენიებს, ბ-ნი სევასტი წერს, რომ ისინი „სვანური ხალხია“ (იხ. გვ. 125), რაც მან, ალბათ, თვითონ ხიბზიბაძეებისგან გაიგო...

[ხიბზიბაძეების სვანობის შესახებ ინფორმაცია შეესატყვისება მოხუცი როსტომის მონაყოლს, – თამარ მეფე სოფ. წვეის მიმართულებით სვანეთიდან მოდიოდაო (იხ. გვ. 127). ლოგიკურია, რომ მას იქიდან სვანი ჩამოეყვანა და არა სხვა რომელიმე ეთნოსის წარმომადგენელი... არც ის არის გასაკვირი, რომ თამარ მეფეს სვანეთიდან „ჯაჭვ“ ფუძის მქონე გვარის წარმომადგენელი ჩამოეყვანა *(თამარ მეფის დროს სვანეთში უკვე ჩანან „ჯაჭვ“ ფუძიანი გვარები[7] რომელთა წარმომავლობის საკითხს, უფრო ვრცლად, ქვემოთ შევეხებით)* და მისი გვარი იმერეთში „ძე“ დაბოლოებით გაფორმებულიყო.

საკვირველია, რატომ არავისთან გადაამოწმა ბ-ნმა სევასტიმ მოხუცის სიტყვების სისწორე. მართალია, მოხუცის მეტად სოლიდური ასაკი პატივისცემას იმსახურებს და ბ-ნ სევასტისაც სურს დაგვარწმუნოს მის უანგარობაში – წერს, რომ „მას ჩვენი დროისა მამლის ყივილიც კი აღარ ესმის და ცხოვრობს ძველი დროის ცხოვრებით“-ო *(თუმცა, მოხუცის ნაამბობში მკაფიოდ იგრძნობა საკუთარი მოგვარეებისა და მეზობლების მიმართ გაღიზიანება და მათზე შურისძიებით მწვავე დაინტერესება),* მაგრამ, ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითონვე გამოთქვამს მისი სიტყვების მიმართ უნდობლობას... ამასთანავე, ტექსტიდან ჩანს, რომ წევაში დაბადებულ-გაზრდილი, ბ-ნი სევასტისათვის, მოხუცისგან მიღებული, ეს ინფორმაცია მანამდე უცნობი იყო, თორემ მსგავსი რამ ადრეც რომ გაეგონა, მაშინ, ალბათ, აღარ გამოთქვამდა დაეჭვებას და მოხუცის, არასაკმარისად არგუმენტირებულ, განმარტებას როგორმე მაინც „გაამყარებდა“... არც თვით მოხუცს დასჭირდებოდა, ბ-ნი სევასტის დასარწმუნებლად, ერთი და იმავე აზრის ცხრაჯერ განმეორება.

ბ-ნი სევასტის ამგვარი საქციელის მიზეზი შემდგომში, მისი ნაშრომების კვლევის შედეგად, თითქოს, გავარკვიეთ, რაზეც მოგვიანებით შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მანამდე კი აუცილებლად მივიჩნიეთ მოხუცის ნათქვამის გადამოწმება. მის ნათქვამში კვლევისთვის ხელჩასაჭიდად სამი ცნობა მოგვეჩვენა:

I. ის, რომ ეკლესია თამარმა ააგო და, თანაც, სამ დღეში (იხ. გვ. 127).

II. ის, რომ ეკლესიისათვის შეწირულ სამ ყმათაგან ერთ-ერთის გვარი ეკლესიის ცაში ყოფილა მიწერილი (იხ. გვ. 127).

III. ის, რომ, ჯაჭვაძეების ამოწყვეტის შემდეგ გადარჩენილი, ამ გვარის ერთადერთი წარმომადგენელი ბიჭის წევის ეკლესიის დიაკვნად დაბრუნება მომხდარა მაშინ, როცა სოფ. ლაშეს ბატონი ყოფილა ღაბუა, ხოლო მღვდელი – მანჯავიძე, რომელსაც, ამ ამბავთან დაკავშირებით, აზატობა (ყმობიდან განთავისუფლება) მიუღია ბატონისაგან (იხ. გვ. 128).

I. დავიწყეთ წევის ეკლესიის კვლევა, რაშიც ჩვენი პროფესია – ხელოვნებათმცოდნეობაც დაგვეხმარა. დავადგინეთ, რომ ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი, სავარაუდოდ, X საუკუნის ბოლო ოცწლეულშია აგებული. *(ჩვენი კვლევის შედეგებს და მათ დასაბუთებას შეგიძლიათ გაეცნოთ წევის ეკლესიისადმი მიძღვნილ ჩვენს მონოგრაფიაში, რომელიც მოკლე ხანში გამოიცემა).* ჩვენგან დამოუკიდებლად,

X–XI საუკუნეებით დაათარიღეს ეს ეკლესია 2006 წელს მასზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შემსრულებელმა რესტავრატორებმაც[8].

დავადგინეთ ასევე, რომ ეკლესიისთვის, თამარ მეფის ხანაში (სავარაუდოდ, XIII სს. დასაწყისში), ჩაუტარებიათ მნიშვნელოვანი რესტავრაცია და მასზე, სამხრეთის მხარეს, მიუშენებიათ ეკვდერი[9]. ამასთანავე, ეკლესიაც და მინაშენიც მოუხატავთ – ამ მოხატულობის ფრაგმენტები ჩანს ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის მოხატულობის ზედა ფენის ჩამონაშალი ადგილებიდან, და ეკლესიის ახლანდელი სადიაკვნის ჩრდ. კედელზე *(საბოლოო დასკვნის გაკეთება ეკლესიის აგების, რესტავრაციის და მოხატვის თარიღების შესახებ, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლისა და მოხატულობის სათანადო მეთოდებით გაშუქების შემდეგ გახდება შესაძლებელი, ჩვენი დასკვნა კი გამომდინარეობს ეკლესიის ნაგებობის და მოხატულობის, ამჟამინდელი თვალხილული მდგომარეობის შესატყვისი, სკრუპულოზური სტილისტიკური და შედარებითი ანალიზიდან, რაც ხელოვნებათმცოდნეობაში საკმაოდ ზუსტ მეთოდებადაა მიჩნეული).*

II ა. რაც შეეხება იმას, რომ ეკლესიის „ცაში“ „ოსი ყმა ჯაჭვაძე“ (იხ. გვ. 127) ყოფილა მიწერილი, ჯერ ერთი, არავინ იცის, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი წარწერა, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ არსებობდა, ეს ასე შეიძლება აიხსნას: ქრისტიანული ეკლესიის „ცაში“ აბსოლუტურად გამორიცხულია რომელიმე მოკვდავის სახელის მიწერა, თუნდაც ის მეფე იყოს. იქ, მხოლოდ, ციური იერარქიის უმაღლესი რანგის წარმომადგენლების და მათი ცხოვრების სცენების გამოსახვა შეიძლება, შესაბამისი წარწერებით. ერთადერთი გამონაკლისი დაიშვება, მხოლოდ და მხოლოდ, ამ მოხატულობის ავტორი მხატვრისათვის. ამრიგად, ხსენებული პირი შესაძლებელია ყოფილიყო, მხოლოდ, ამ ეკლესიის მხატვარი. მაგრამ, ძალზედ ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ეროვნებით ოსი ყოფილიყო, იმიტომ, რომ მთელ ოსეთში[10] ერთადერთი მოხატული ეკლესიაა შემორჩენილი – ნუხალის საყდარი (ზოგი მკვლევარის ვარაუდით, დავით სოსლანის საძვალედ აგებული) და ისიც ქართულ წარწერებიანი...

ოსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე ოსური კულტურა მუდამ ქართული კულტურის დიდ გავლენას განიცდიდა...

წევის ეკლესიის თავდაპირველი ნაგებობის მოხატულობა საკმაოდ მაღალი დონისა ჩანს. იგრძნობა, რომ მხატვარს კარგად ჰქონდა ათვისებული ქართული კედლის მხატვრობის (სვანური სკოლის) ტრადიციები, ასევე, იცნობდა ბიზანტიურ მხატვრობას და ერკვეოდა კედლის მოხატვის ბიზანტიურ ტექნიკაში *(მოხატულობა შესრულებულია ფრესკის, ანუ სველ ბათქაშზე წერის ტექნიკით, რაც ხელოვნებათმცოდნეთაგან ბიზანტიური კედლის მხატვრობისათვის ნიშანდობლივადაა მიჩნეული).* შესრულების სტილის მხრივ, კიდევ უფრო დაახლოებული ჩანს ბიზანტიურ მხატვრობასთან *(კერძოდ ხატწერასთან და წიგნის მინიატურასთან)* მინაშენის, ძალიან მაღალი დონის, მხატვარი. *(ბიზანტიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთანაც და ოსეთთანაც...)*, თუმცა, მის ნაშრომში ჩანს ქართული სულიერება და ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ზოგი თავისებურებაც... ეს მოხატულობაც, სავარაუდოდ, ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის პირველი ფენის მოხატულობის თანადროული უნდა იყოს. *(ყოველივე ამის მტკიცებულება იხილეთ წევის ეკლესიის შესახებ ჩვენს მონოგრაფიაში).*

როგორც ერთი, ისე მეორე მხატვარი კარგად გარკვეული ჩანს ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, ქართულ ხელოვნებაში და ხატვის იმგვარ კულტურას ამჟღავნებს, რომ ასეთი დონის მიღწევა, მხოლოდ, მრავალ თაობაში დაგროვილი გამოცდილების გაშინაგანების შედეგი შეიძლება იყოს და არა ვინმე ნიჭიერი უცხოტომელის მიერ მოკლე დროში დაუფლებული ხელობა. *(მთლად ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ არაქართული წარმომავლობის, მაგრამ ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი, ქართული სამხატვრო სკოლის წარმომადგენელი მხატვრები ყოფილიყვნენ).*

ძნელი წარმოსადგენია, რომ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილიყოს კედლის ერთადერთი ოსი მხატვრის, თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა, ნამუშევარი და

ისიც, მაინცა და მაინც, შუაგულ საქართველოში მდებარე, სოფ. წევის ეკლესიაში და თან მხატვარს ქართულად გაფორმებული გვარი – ჯაჭვაძე ჰქონოდა (ჯაჭვიც და ძეც ხომ ქართული სიტყვებია).

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება წევის კედლის მხატვრობის ორივე ზემოხსენებული ავტორის ქართველობაში, თუმცა ორივე მათგანის ნამუშევრებში, მეტ-ნაკლებად, ჩანს ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციებთან ზიარებულობაც.

რაც შეეხება ეკლესიის ცაში თითქოსდა არსებულ წარწერას, ვფიქრობთ, რომ აქ ეწერა არა ოსი ყმა, არამედ მხატვრის სახელი ოსიყმა. წარწერა, როგორც ჩანს, ფრესკაზე განთავსებული იყო რამდენიმე სტრიქონად და სახელი ოსიყმა ეწერა გადატანით – ოსი

ყმა – გადატანის ნიშნის გარეშე (შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშებზე წარწერები, ხშირად, განთავსებულია რამდენიმე სტრიქონად. სიტყვების გადატანა ხდება სიტყვის გაყოფის წესების დაცვისა და გადატანის ნიშნის გარეშე *(სიტყვის გაყოფისას გათვალისწინებულია მხოლოდ წარწერის განსათავსებელი თავისუფალი ადგილის სიდიდე და კონფიგურაცია. ასეთი წარწერები მრავლად გვხვდება ფრესკებზე, კედლისა და საფლავის ქვების რელიეფებზე, წიგნების თავისუფალ არეებზე და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე),* რამაც, ჩვენი აზრით, გამოიწვია ასეთი გაუგებრობა. ჩვენ არ გვსმენია, რომ საქართველოში რომელიმე ჩვენს თანამედროვეს სახელი ოსიყმა ერქვას, მაგრამ არსებობს გვარი ოსიყმაშვილი, რაც, ადასტურებს წარსულში ამ სახელის არსებობას. სახელები ოსიყმა და ოსიყმე გვხვდება ისტორიულ წყაროებშიც[11].

[საყურადღებოა, რომ წევის ეკლესიის „ცაში“, მოხატულობის II ფენის მხატვრის სახელიც ორ სტრიქონად, გადატანის ნიშნის გარეშეა მიწერილი. (ამის შესახებ იხ. წევის ეკლესიის შესახებ ჩვენს მონოგრაფიაში)].

იმის სამტკიცებლად, რომ „ოსიყმა“ აქ ადამიანის სახელი უნდა ყოფილიყო და არა სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი, შესაძლებელია გამოდგეს ის, რომ შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ძეგლებზე (ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა, მინიატურა, ოქრომჭედლობა, კალიგრაფია) არსებულ, ხელოვანთა ხელმოწერებში ტერმინი „ყმა“ არსად არის გამოყენებული[12].

მაგრამ, სახელი „ოსიყმა“ ხომ გარკვეულ შეინაარსს შეიცავს... რატომ უნდა დაერქმია ქართველ კაცს თავისი შვილისთვის ოსიყმა? ხოლო, თუ ის ქართველი კი არა, ოსი იყო და თავისი ეროვნების დაფიქსირება ფრესკაზეც კი აუცილებლად მიაჩნდა, მაშინ რატომ თავისი არც სახელი ახსენა ოსური და არც გვარი? ქართველი კაცი კი თავის ვაჟს ოსიყმას, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ, რომელიმე ძალიან მნიშვნელოვანი, საქართველოს წინაშე დიდი დამსახურების მქონე, ოსი პიროვნების საპატივცემულოდ თუ დაარქმევდა. ვინაიდან მოხატულობა სავარაუდოდ თამარ მეფის ხანისაა და სახელი ოსიყმაც თამარის ხანასთან იწვევს ასოციაციებს... ვიფიქრეთ, იქნებ არსებობდა, თამარის ხანაში, ვინმე საპატივცემულო პიროვნება, ვისაც სახელად ოსიყმა ერქვა. დავიწყეთ ძიება და მივაგენით კიდეც: ოსიყმა რქმევია თამარის ვეზირს – მეჭურჭლეთუხუცესს: – ლ. მუსხელიშვილი, თავის კრებულში არქეოლოგიური ექსპედიციები[13], იხსენიებს, სოფ. გუნიაყალადან გ. ჩიტაიას მიერ ჩამოტანილ და ამჟამად საქართველოს მუზეუმში დაცულ, ხელიან და თამარის ნიშნიან სტელას, რომელზეც თამარ მეფისა და გიორგი ლაშას ბრძანებაა ამოკვეთილი. წარწერაში სახელმწიფოს ხუთივე ვეზირი რიგის მიხედვითაა ჩამოთვლილი. მათ შორისაა ოვსიყმა, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი, მანამდე უცნობ, მეჭურჭლეთუხუცესად მიიჩნევს. წარწერაში ჩამოთვლილი ცნობილი პირების მოღვაწეობის წლების მიხედვით, მეცნიერი ასკვნის, რომ ეს წარწერა 1207 წლის ახლო ხანებში, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, უნდა იყოს შესრულებული. ლ. მუსხელიშვილს მითითებული აქვს აღნიშნული პირის მოხსენიების სხვა შემთხვევაც – კერძოდ, ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ქვემო ჯინისის (წალკის რ.) ეკლესიის წარწერაში[14], რომელიც იუწყება, რომ ეს ეკლესია აუგია ოსიყმის (აქ ოსიყმა წერია და არა ოვსიყმა) ასულს, მსახურთუხუცეს აფრიდონის ცოლს, ხოშაქს. მსახურთუხუცესი აფრიდონი ჩვენთვის ცნობილია

გიორგი III-სა და თამარ მეფის ისტორიიდან... რადგან იგი ზემოხსენებული ოსიყმას სიძე *(მისი ქალიშვილის მეუღლე)* ყოფილა, ე. ი., თამარის მეფობის ხანაში, ბ-ნი ოსიყმა ასაკოვანი და უკვე კარგა ხნის სახელმოხვეჭილი კაცი უნდა ყოფილიყო.

გუნიაყალას წარწერაში მეჭურჭლეთუხუცესი ოვსიყმა, ისევე როგორც სხვა ვეზირები (ზაქარია, შალვა, ივანე) მხოლოდ ერთი სიტყვით მოიხსენიება, მაგრამ თუ დანარჩენი ვეზირების შემთხვევაში უეჭველია, რომ აქ მათი სახელებია მოყვანილი, სიტყვა ოვსიყმა შესაძლებელია ამ ადამიანის ან პიროვნულ სახელად აღვიქვათ, ან, ამ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელ სახელად (ან მეტსახელად). სიტყვას „ყმა“ ფეოდალურ საქართველოში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა... თუ ამ შემთხვევაში სიტყვა ოსიყმა სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელია, მაშინ, ამ სიტყვის მნიშვნელობათაგან, მოცემულ შემთხვევას, ქვეშევრდომი, ვასალი უნდა შეესატყვისებოდეს. მეჭურჭლეთუხუცესი ოსიყმა, შესაძლოა, ეროვნებით ოსი იყო, მაგრამ, შესაძლოა, არც იყო ოსი, არამედ იყო ოსეთის (ან მისი ნაწილის) განმგებელი, მაგრამ რომელი ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო იგი, უეჭველად გამორჩეულად ჭკვიანი, მეფის ერთგული, მაღალი ზნეობის ვაჟკაცი იქნებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მას არავინ დანიშნავდა დიდი, ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს (როგორიც იყო საქართველო თამარის ხანაში) მეჭურჭლეთუხუცესად (სახელმწიფო სალაროს, საგანძურის მთავარ გამგედ). ცხადია, ასეთ პიროვნებას ხალხშიც დიდი ავტორიტეტი ექნებოდა და, მისი პატივისცემით, ალბათ, ბევრი ქართველი დაარქმევდა თავის შვილს მის სახელს. *[ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, თამარ მეფის ხანის, ახალგაზრდა მხატვარს მისი სახელი რქმეოდა (წევის ეკლესიის მოხატულობის I ფენა სწორედ ახალგაზრდა და ენერგიული მხატვრის მიერ შესრულებული ჩანს)...].*

ეს სახელი, ალბათ, ოსიყმას ვეზირობის ხანაში პოპულარული იქნებოდა, მაგრამ შემდეგ, ამ სიტყვის შინაარსის გამო, დაკარგავდა პოპულარობას (ეს იმდაგვარი სახელია, როგორიც ლენსტალბერი, მარკლენი და ა.შ....), თუმცა, ბ-ნი ოსიყმას უშუალო შთამომავლებს შორის, ეს სახელი აუცილებლად შენარჩუნდებოდა – სახელოვანი წინაპრით მათი სიამაყის გამო. დღემდე არსებული მცირერიცხოვანი გვარი ოსიყმაშვილი *(255 სული – 1995 წლის ვაუჩერიზაციის მონაცემების მიხედვით[15])*, სავარაუდოდ, ამ მეჭურჭლეთუხუცესის შთამომავლებს უნდა ეკუთვნოდეთ.

თვით ის ფაქტი, რომ ეკლესიის მოხატულობა, სავარაუდოდ, თამარ მეფის ხანის არის და თამარის მიერ ეკლესიისათვის შეწირულ ყმათაგან ერთ-ერთის გვარი ეკლესიის ცაში ყოფილა მიწერილი, შესაძლოა ხსნიდეს ამ ლეგენდის უკან დამალულ რეალურ შინაარსს, რომელიც შესაძლებელია ასე წარმოვიდგინოთ: როგორც ჩანს, XIII საუკუნის პირველ ათწლეულში[16], სვანეთიდან აღმოსავლეთ საქართველოსაკენ მომავალმა თამარ მეფემ (რომელიც, შესაძლოა, მაშინ უკვე შეწუხებული იყო ავადმყოფობით), იმერეთის დაბლობი რომ გამოიარა და მაღლობზე ავიდა, წევაში შეისვენა და მოსალოცად მოინახულა სასწაულთმოქმედად მიჩნეული წევის წმინდა გიორგის ეკლესია *[წევის ეკლესია რომ მაშინ უკვე სახელგანთქმული იყო, ამაზე მიუთითებს გადმოცემა (იხ. ლეგ. № 90), რომლის მიხედვით ამ ეკლესიის სასწაულთმოქმედი ხატი (შემდგომში შალიანის ხატად წოდებული) იმერეთის მეფისათვის, (სავარაუდოდ, დავით აღმაშენებლისათვის, რომელიც, თავისი მეფობის დასაწყისში, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს განაგებდა) უთხოვია (შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ) ვინმე სვანს, სახელად შალიანს და ხატი სვანეთში წაუღია... იქ ამ ხატის დასასვენებლად წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) აუგიათ[17]...]*. მეფეს წევის ეკლესია საკმაოდ დაზიანებული დახვედრია. მას მოკლე დროში შეუკეთებია იგი და მიუშენებია მასზე რომელიღაც თავისი ახლობლის სულის მოსახსენებელი ეკვდერი *[ეკლესიის სამხრეთი მინაშენის ჩრდ. კედელზე – ანუ თავდაპირველი ეკლესიის სამხრეთი კედლის ექსტერიერზე, ძალიან მკრთალად იკითხება, ძლიერი სახის მქონე, გვირგვინოსანი, შუახნის მამაკაცის გამოსახულება... მხატვრობა ძალიან მაღალი დონისაა, აუცილებლად მიგვაჩნია სპეციალისტების მიერ ამ ფრესკის იმფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივებით გადაღება... (ჯერჯერობით საქართველოში ამ საქმის სპეციალისტი არ გვყავს...), (ჩვენს მოგვარეებს ვთხოვთ, არავითარ შერმთხვევაში არ შეეხონ ფრესკას და არ გადაულონ სურათი „ბლიციანი“ აპარატით – ფრესკა იმდენად*

მკრთალია, რომ „ბლიცით“ ერთხელ დახხივებამაც კი შეიძლება გააქროს...)]. ამ სამუშაოებისთვის სამი დღე შესაძლოა საკმარისიც ყოფილიყო, ახალი ეკლესიის აგება და ჩუქურთმითა და მხატვრობით შემკობა კი, ამ დროში, სავსებით შეუძლებელია, თანამედროვე ტექნიკის პირობებშიც კი. სავარაუდოა, რომ თამარმა ეკლესიის მოსახატად დატოვა მხატვრები (ერთი მხატვარი ამ სამუშაოს თავს ვერ გაართმევდა, მით უფრო, რომ მოხატულობა ფრესკის წესით, ანუ სველ ბათქაშზე შესრულებული ჩანს...).

თუკი თამარმა ეკლესია შეაკეთა, ეკვდერი მიაშენა და მათ მოსახატად მხატვრებიც დატოვა, ცხადია, რომ მას იმ არემარეში მოსახლეობაც ეგულებოდა და მღვდელმსახურიც, რომელიც იმ ეკვდერში მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად ილოცებდა. აბა სანაშენოდ რომ დაეტოვებინა ის სამი ყმა, *(რომლებიც, ლეგენდის მიხედვით, წევაში, სანახშირეში და ლაშეში დასახლებულან და გამრავლებულან)* ეკლესიის ცაში რატომ ეწერა ერთ-ერთის გვარი? ან, თუ წევასა და მის არემარეში ხალხი არ ცხოვრობდა, ვისგან გამრავლდებოდნენ ეს ყმები?

თუკი ლეგენდაში მოხსენებული სამი ყმიდან ერთ-ერთის – ჯაჭვაძის, გვარი ეკლესიის ცაში იყო მიწერილი, მაშინ გამოდის, რომ მიშენებული ეკვდერის მხატვარი, შესაძლოა, გვარად ზიბზიბაძე ან ებანოიძე ყოფილიყო. ალბათ, ამ მხატვართაგან რომელიმეს ქვის დამუშავებაც ეხერხებოდა და ლავგარდნის აღდგენილი ნაწილი, ამ ეკლესიის ძველი ჩუქურთმის მიბაძვით, ალბათ, მან მოახუქურთმა.

ამ სამ ყმას, საერთო საქმე რომ არ ჰქონოდათ, თამარი ერთად რატომ დატოვებდა წევის, იმ დროს მცირე ზომის, ეკლესიაში? და თუ, როგორც ლეგენდაშია ნათქვამი, ყმები წევის ეკლესიას „შესწირა“, მაშინ, რატომ დასახლდნენ შემდეგ ისინი სხვადასხვა სოფლებში?..

(№ 48 ლეგენდაში აღნიშნულია: თამარმა ეს ყმები ეკლესიის მცველებად დატოვაო, რაც ძნელი დასაჯერებელია: თამარის ხანაში... სამეფოს შუა ადგილას... ქართულ ეკლესიას ოსი, ლეკი და თათარი *(თათრებად აქ, შესაძლოა, ქისტები იგულისხმებიან[18])* ქართველებისაგან იცავდნენ?.. *(მართალია, ამ ეთნოსების წარმომადგენლები მაშინ ქრისტიანები იყვნენ და ქართულიც იცოდნენ)*, თანაც, მცველის სახელს ეკლესიის „ცაში“ არავინ მიაწერდა...

რადგან გამოდის, რომ თამარ მეფის მიერ წევაში დატოვებული სამი ყმა უეჭველად მხატვრები იყვნენ, სავარაუდოა, რომ სამივე ქართველი იქნებოდა, აბა, თამარის ხანაში, სამეფოს შუა ადგილას მდებარე, სასწაულთმოქმედების ძალით სახელგანთქმული ქართული ეკლესიის მხატვრები ლეკი, ოსი და თათარი რომ ყოფილიყვნენ, [*(შეიძლება ვინმემ იფიქროს, თუ თამარმა წევის ეკლესიის ეკვდერი თავისი ოსი მეუღლის სულის მოსახსენებლად ააგო, იქნებ ამიტომ ჩამოიყვანა მის მოსახატად ოსი მხატვარიო... მაგრამ, ვინაიდან „ოსი“ მხატვრის გვარი წევის ეკლესიის „ცაში“ ყოფილა მიწერილი და არა მინაშენის „ცაში“, გამოდის, რომ მინაშენის მხატვარი „ლეკი“ ან „თათარი“ ყოფილა... ძალიან ძნელი წარმოსადგენია, თუ საერთოდ წარმოსადგენია... რომ იმ დროს „ლეკებს“, „ოსებს“ და „თათრებს“ ასეთი მხატვრები ჰყოლოდათ, ყოველ შემთხვევაში, მათ ტერიტორიებზე მოხატული ეკლესიები არ ჩანს (გარდა ზემოხსენებული ერთისა...)].*

მაშ, რატომღა ცდილობდა, ასე მონდომებით, მოხუცი როსტომ გაჩეჩილაძე თავისი სოფლის და მეზობელი სოფლების მოსახლეობის არაქართველობის დამტკიცებას? ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირადად ის გვარგადაკეთებული ოსი ყოფილიყო *(თუმცა, არც ეს არის გამორიცხული)* – მის ნალაპარაკევში ზიზღი იკითხება როგორც თავისი მოგვარეების, ისე ოსების მიმართ... თანაც აშკარად ჩანს, რომ ის უარყოფითი თვისებები, რასაც იგი თავის მოგვარეებს და თავისი გვარის ეთნარქს მიაწერს, მას არ მიაჩნია ქართველისათვის საკადრისად და თავისიანებს რომ ამგვარად ახასიათებს და სხვა ეთნოსის წარმომადგენლობას მიაწერს, ამით თითქოს სჯის მათ, შურს იძიებს მათზე. *[მართალია, ქართველების, ოსების, ლეკების და ქისტების ურთიერთობის ისტორიაში ბევრი დადებითი მომენტი ყოფილა, მაგრამ იმ დროში, როცა ხსენებული როსტომ გ-ძე ცხოვრობდა (სამწუხაროდ არა მხოლოდ იმ*

დროში), ლეკი, ოსი და თათარი საქართველოს დამწიოკებლის, ყაჩაღის, ქურდის, ადამიანთა გამტაცებლის სინონიმად აღიქმებოდა...]. იგი არც იმას ერიდება, რომ ბ-ნი სევასტი მის ტექსტს იწერს... პირიქით, ძალიან ცდილობს კარგად დააფიქსირებინოს მას აღნიშნული აზრი. იმასაც კი არ დაგიდევთ, რომ თვითონაც იმ „ჯაჭვაძის შთამომავალია“ *(XIX საუკუნის წევაში მეტად დაძაბული ვითარება იყო, რაც კარგად აქვს აღწერილი ბ-ნ სევასტის თავის „წევა, წეველები ...“-ში. 135 წლის ადამიანს, რომელსაც კარგა ხანია დაკარგული ექნებოდა, ასეთ რთულ ვითარებაში თავის გასატანად აუცილებელი, ფიზიკური ენერგია, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებდა, ახლობლებსა და ნათესავებს შორის დამკვიდრებული, არსებობისათვის დაუნდობელი ბრძოლის ატმოსფერო და, შესაძლოა, მათ მიმართ თავის აგრესიას და შურისძიებას ამ ფორმით გამოხატავდა. მას, ალბათ, თავის თავზე ხელი უკვე ჩაქნეული ჰქონდა და, ალბათ, არც შთამომავლობა ჰყავდა, თორემ, უფრო მეტად შეიკავებდა თავს...),* ოღონდ კი მისი გარემომცველი ხალხი, ვისზეც ის განაწყენებულია „დაამციროს“ და მათ „გული ატკინოს“.

III. მოხუცი როსტომის გადმოცემით: ჯაჭვაძეების მთლიანად ამოწყვეტის შემდეგ გადარჩენილი, ერთადერთი ბიჭი, რომელიც სოფ. ლაშეში მეორედ გათხოვილ დედას თან წაუყვანია, თავადი ღაბუას წყალობით დაბრუნებულა წევაში და წევის ეკლესიის დიაკონი გამხდარა. მას, თურმე, ისეთი „გაბუძგული ბალანი ჰქონდა, რომ ოთხი კაცი შეიჩრდილებოდაო, გაჩეჩილი გეგონებოდაო და უძახოდენ თმა-გაჩეჩილა დიაკონს. მის შვილს და ნაშიერს ჯაჭვაძეების მაგიერად გაჩეჩილაძეები დაერქვათ“ (იხ. გვ. 128).

გამოდის, რომ იმ დიაკონის სიკვდილის შემდეგ, ჯაჭვაძეებს აღარ უნდა ეარსებათ, იმიტომ, რომ მისმა შთამომავლობამ გაჩეჩილაძის გვარით განაგრძო ცხოვრება, მაგრამ ეს ასე არ არის, წევის საეკლესიო აქტების ჩანაწერებში, რომელიც საქართველოს საისტორიო არქივშია დაცული, 1827 წლიდან 1841 წლამდე *(1826 წ-ზე უფრო ადრინდელი მასალები რუსებმა გაიტანეს ეკლესიიდან და მათი ადგილ-სამყოფელი უცნობია),* რამდენიმე ჯაჭვაძეა ნახსენები[19], ერთი, წეველი, ჯაჭვაძის გვარი სოფ. შროშის საეკლესიო ჩანაწერებშიც გვხვდება[20]. ამ ჩანაწერებში, თითქოს, ისიც გამოსჭვივის, რომ ისინი წევაში კარგა ხნის მაცხოვრებლები იყვნენ, იმიტომ, რომ მათაც გაჩეჩილაძეებს შორის გავრცელებული სახელები რქმევიათ, მაგ.: იესე როსტომის ძე[21], როსტომ ოთიას ძე[21], გიორგი ხახუტას ძე[21], შაქარა დავითის ძე[21]... ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრეთ, რომ ერთი და იგივე ადამიანები ეწერებოდნენ ხან გაჩეჩილაძის და ხან ჯაჭვაძის გვარით. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ იყო *(საისტორიო არქივში დოკუმენტების ძიება რთული და შრომატევადი პროცესია. ჯერჯერობით ჩვენ შევძელით წევის საეკლესიო აქტების, მხოლოდ, 1826-1964 წლების დავთრების ნახვა):* 1840 წლის შემდგომი წლების ჩანაწერებში ჯაჭვაძის გვარი საერთოდ აღარ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, ამ დროისთვის ყველა ჯაჭვაძემ დატოვა წევა და კახეთში გადასახლდა. მათ გაჰყვნენ, მათზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი გაჩეჩილაძეები, რომლებმაც, კახეთში ჩასვლის შემდეგ, გვარი ჯაჭვაძედ გადაიკეთეს...

რადგან ჯაჭვაძეები, გაჩეჩილაძეების გვარის წარმოშობის შემდეგაც, არსებულან წევაში, გამოდის, რომ ან ბ-ნი როსტომის მიერ ნახსენები დიაკონის ყველა შთამომავალი არ დაწერილა გაჩეჩილაძის გვარზე, ან მისი შთამომავალი გაჩეჩილაძეების ნაწილმა, ჯერ კიდევ წევაში ცხოვრების დროს, „დაიბრუნა“ ჯაჭვაძის გვარი, მეორე ნაწილმა კი კახეთში წასვლის შემდეგ.

ამ ლეგენდის მიხედვით, გამოდის, აგრეთვე, რომ **იმისთვის, რათა გავარკვიოთ, როდის წარმოიშვა გაჩეჩილაძის გვარი, უნდა გავიგოთ როდის ცხოვრობდა სოფ. ლაშეს ბატონი „ღაბუა“, რომელიც, როგორც ლეგენდიდან ჩანს, წევაშიც ფლობდა მამულებს და ამიტომ შეეძლო დიაკონი ბიჭისთვის წევაში საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა.**

წევის ბატონები იყვნენ აზნაური მაჭავარიანები და თავადი აბაშიძეები. XIX საუკუნის რამდენიმე საბუთში ჩანს, რომ წევის ტერიტორიის ნაწილი ეკუთვნოდათ ღაბუაშვილ-აბაშიძეებს[22]. აბაშიძეების ერთ-ერთი შტოს მეტსახელი – ღაბუაშვილი, ალბათ, მათი ერთ-ერთი წინაპრის მეტსახელი უნდა ყოფილიყო და არა სახელი,

ვინაიდან მამაკაცისთვის, მით უმეტეს თავადის ან აზნაურისთვის, ღაბუა მაინცა და მაინც სახარბიელო სახელი არ არის...

დიდი ძებნის შემდეგ, 2004 წ., შემთხვევით გავიცანით, აბაშიძეების ამ შტოდან შემორჩენილი, ორიდან ერთ-ერთი შთამომავალი, სტომატოლოგი იზა აბაშიძე (მაშინ დაახლ. 65-70 წლის ქალბატონი). მისი თქმით, მართალია, მათი საგვარეულო შტოს მეტსახელი ღაბუაშვილი იყო, მაგრამ მის არცერთ ნათესავს, არც სახელად და არც მეტსახელად, „ღაბუა“ არ რქმევია – რაც იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი ღაბუა ქ-ნ იზას შორეული წინაპარი უნდა ყოფილიყო, ვისი დავიწყებაც უკვე მოუსწრიათ მის შთამომავლებს. რადგან ხსენებული აბაშიძის არცერთ შთამომავალს „ღაბუა“ არ გადასცემია არც როგორც სახელი და არც როგორც პირადი მეტსახელი, არამედ გვარის მხოლოდ ერთ-ერთი შტოს მეტსახელად დარჩა. ესე იგი არსებობდა მხოლოდ ერთადერთი ღაბუა.

საბედნიეროდ, არსებობს 1683-1695 წლებით დათარიღებული საბუთი, რომ ალექსანდრე მეფემ, გიორგი აბაშიძეს, რომელსაც ჰყავს მამა მამუკა და ბიძა ღაბუა, უწყალობა ბიძამისის, ღაბუა აბაშიძის, წილი ყმა-მამული: ჭარტალი და ელაზნაური[23] (ხარაგაულის რ. სოფლებია – ე. გ.)... საბუთიდან ჩანს, რომ ღაბუა აბაშიძე იმ დროს ცოცხალი იყო, მაგრამ, ალბათ, ან მემკვიდრე არ ჰყავდა, ან, რატომღაც, მეფის რისხვა დაიმსახურა და ამიტომ გადაეცა მისი მამული მის ძმისშვილს...

განა რამდენი წლის შეიძლება ყოფილიყო მაშინ ეს ყელღაბაბიანი ბატონი? ვთქვათ, მაქსიმუმ, 90 წლის (მსუქანი ხალხი ამ ასაკსაც ი'შვიათად აღწევს). ე. ი. იგი დაბადებული უნდა ყოფილიყო არა უადრეს 1593 წლისა, გაჩეჩილაძეების წევაში არსებობა კი დადასტურებულია 1550-1570 წლების საბუთით[24], რომლიდანაც ირკვევა, რომ გაჩეჩილაძეებს კიდევ უფრო ადრეც უცხოვრიათ აქ – ვინაიდან, იმ დროს, ოჯახს განაყოფიც ჰყოლია. აქედან გამომდინარე, ღაბუას დროს მცხოვრები, მისი უმცროსი თანამედროვე, ჯაჭვაძის ბიჭი ვერ იქნებოდა გაჩეჩილაძეების ეთნარქი.

ამრიგად, გამოდის, რომ არც ერთი ცნობა, რომელიც მოხუცი როსტომ გაჩეჩილაძის მიერ გადმოცემულ ლეგენდაშია მოყვანილი, სიმართლეს არ შეესაბამება... [შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ, იქნებ, თამარის დროს ეკლესიის რესტავრაცია და მასზე ეკვდერის მიშენება ეკლესიის ხელახლა აშენებად ჩათვალეს *(ასეთი მაგალითები გვხვდება ქართული არქიტექტურის ისტორიაში...)* და ლეგენდაში, ეკლესიის აგების თარიღად, მისი რესტავრაციის თარიღი მიუთითეს, მაშინ, ამ ლეგენდიდან, ეს თარიღი მაინც ყოფილა სინამდვილის შესაბამისი...].

მოხუცის მონათხრობში, გაჩეჩილაძეების, ებანოიძეების და ზიბზიბაძეების ზემოხსენებული ეთნოსებისადმი კუთვნილების დასამტკიცებლად, მათი მოკლე დახასიათებებია მოცემული (იხ. გვ. 127). მთელი ჩვენი საგვარეულოს უმაღლესდამთავრებული და სამეცნიერო ხარისხის მქონე წარმომადგენლები რომ შევკრიბოთ და დავავალოთ ქართველების მეზობლად მცხოვრები ამ სამი ეთნოსის დახასიათება, დარწმუნებული ვართ, რომ ისინი, ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთად, ვერ მოახერხებენ ასეთი, არ ვიცით რამდენად სწორი, მაგრამ განზოგადებული, მკაფიო, შთამბეჭდავი და ლაკონიური დახასიათების სწრაფად ჩამოყალიბებას... ბ-ნ სევასტის რომ არ დაეფიქსირებინა 135 წლის ბ-ნი როსტომის ეს აზრები, ვერასოდეს შევიტყობდით, რომ გვარში ასეთი თვითნაბადი „ანთროპოლოგი“ და „ეთნოფსიქოლოგი“ გვყავდა. 135 წელი ნამდვილად საკმარისი დროა იმისთვის, რომ ადამიანმა ასეთი დაკვირვებების წარმოება და განზოგადება მოასწროს, მაგრამ მხოლოდ იმ ადამიანმა, ვისაც ამის ინტერესიც აქვს და პირობებიც მსგავსი დაკვირვებების საწარმოებლად. ზემოთ უკვე გამოვთქვით ვარაუდი, რატომ შეიძლებოდა გასჩენოდა ბ-ნ როსტომს მოგვარეთა გამწარების ინტერესი, მაგრამ როგორ უნდა ეწარმოებინა ასეთი დაკვირვება და შედარებითი ანალიზი, თუკი მას მჭიდრო კონტაქტი არ ექნებოდა ხსენებული ეთნოსების წარმომადგენლებთან. გლეხ კაცს – მხვნელ-მთესველს ან მევენახეს ამის დრო და საშუალება არასოდეს ექნებოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამისთვის, თუნდაც, ვაჭარს დაეთმო დრო. ვაჭარი, და, შესაბამისად, მოქნილი და ფულიანი კაცი რომ ყოფილიყო, ასე არ გაბოროტდებოდა... უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ან რუსის ჯარში (რომელშიც

ოსები მრავლად იყვნენ) მსახურობდა დიდხანს *(და რუსებისაგან, მათი იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის შესატყვისად, იყო აგიტირებული...),* ან ხანგრძლივი ვადით სახელმწიფო ციხეში იყო პატიმრად, ან ოსების ტყვეობა ჰქონდა გამოვლილი *[და ისინიც, რუსებისგან წაქეზებულები და თავიანთი საკუთარი ნაციონალური ინტერესებიდან (მათ თავიანთი ტერიტორიების ნაწილი დაკარგული აქვთ და სხვისი ტერიტორიის მიტაცებაზე არიან ორიენტირებული) გამომდინარეც, აგიტაციას არ დააკლებდნენ...]* და, სავარაუდოდ, ამიტომ იყო უშვილო...

(მაგრამ, გამორიცხული არც ისაა, რომ იგი სამეცნიერო ნიჭით დაჯილდოებული და, შესაბამისად, პატიოსანი ბუნების ადამიანი ყოფილიყო, გულწრფელად დაინტერესებულიყო მისი მოგვარეების საქციელის და მათი გარეგნობის თავისებურებების მიზეზების გარკვევით და ხანგრძლივი და მიზანმიმართული დაკვირვებების გზით მისულიყო ამგვარ, ჩვენი აზრით მცდარ, დასკვნებამდე).

ისიც ვიფიქრეთ, როსტომ გ-ძე 135 წლის ყოფილა, დაახლოებით 1897 წელს, როცა ბ-ნი სევასტი მის საუბარს იწერდა, ესე იგი, 1762 წელს იქნებოდა დაბადებული, ანუ იოანე ბატონიშვილის (1768-1830) თანამედროვე იყო. თუ იოანე ბატონიშვილს გადაუბრუნეს რუსებმა გონება ისე, რომ ქართველი თავადაზნაურობის 75% არაქართველად გამოაცხადა[25], საწყალ გლეხს ვეღარ აურევდნენ ტვინს?.. რადგან იოანე ბატონიშვილი ვახსენეთ, ბარემ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წევის ბატონებს – მაჭავარიანებს – იოანე ბატონიშვილი სომხურ წარმოშობას მიაწერს, ხოლო აბაშიძეებს – ეთიოპიურს, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ XIX სს. ბოლოს მოღვაწე მოძღვარი, თომა მაჭავარიანი, თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ თამარ მეფეს გაუკაცრიელებულ ხარაგაულის მიდამოებში, სამხრეთ საქართველოდან წამოყვანილი, მის მიერ გაქრისტიანებული თათრები ჩაუსახლებიაო[26], გამოდის, რომ წევასა და მის მიდამოებში ქართველი არავინ ჭაჭანებდა. მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო, რამეში ხომ უნდა გამოვლენილიყო: ენაში, ტოპონიმებში, ფოლკლორში, ეთნოგრაფიაში, წეს-ჩვეულებებში? განათლებული კაცი, ბ-ნ სევასტი, რომელმაც თვითონ შეისწავლა წევის ფოლკლორი, ეთნოგრაფიული მასალა, წეს-ჩვეულებები, ნუთუ იმას ვერ ხედავდა, რამდენად მკაფიოზე მკაფიოა ამ ყოველივეს სუფთა ქართულობა? *[როცა ამას წერდა, ბ-ნი სევასტი 36 წლისა იყო. მანამდეც და შემდგომშიც (მთლიანობაში 52 წელი) იგი სწავლობდა ქართულ ფოლკლორს და მისი შესწავლის საფუძველზე დაწერა: „ქართველი ხალხის ისტორია ფოლკლორის საფუძველზე“ [27], „ქართველი ხალხის სოციალური ფსიქოლოგია ფოლკლორის საფუძველზე“ [28], „ქართველი ხალხის ფილოსოფია...“ [29], „რითმის თეორია...“ [30] და სხვა. 36 წლის ასაკში, იგი შეიძლება ყველაფერში გარკვეული არ იყო, მაგრამ ძირითადი შეხედულებები ჩამოყალიბებული რომ არ ჰქონოდა, ამ საკითხებზე როგორ იმუშავებდა?..].* ასე, კომენტირების გარეშე, როგორ უნდა მიეღო მოხუცის ნათქვამი და, უხერხულობის დასაფარავად, მხოლოდ ერთი ორი ორჭოფული ფრაზით დაკმაყოფილებულიყო? –„ეს თვისებები, ამ სამი გვარისა მეც მეჭაშნიკა, მაგრამ 7 საუკუნის შემდეგ გამოჰყვებოდათ მართლაც თუ არა, – ეგ მკითხველისათვის და მისი მოსაზრება-ცოდნისთვის მიმინდვიაო“? თუკი მან, ამ ყველაფრის შემსწავლელმა, სათანადო პასუხი არ გასცა ასეთ, თვალსაჩინოდ მარტივ, „გამოცანას“, მაშინ, რაღა უნდა ექნა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს? (თუ საით უბიძგა მკითხველთა ფანტაზიას ასეთი საეჭვო ლეგენდის წაკითხვამ, ეს, სამწუხაროდ, კარგად ჩანს ჩვენი მოგვარეების მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი ლეგენდიდან და ზოგიერთი ჭორიდან, რაც ჩვენ წევაში მოვისმინეთ და რასაც ქვემოთ განვიხილავთ). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვიფიქრეთ – იქნებ, მაშინ, ბ-ნ სევასტის, რატომღაც, აწყობდა მოხუცის მიერ მოყოლილი ლეგენდის შინაარსი, ამიტომ აკაკის კრებულში გამოსაქვეყნებლად ეს ლეგენდა არჩია და არა ის, რომელიც მას ადრე გაზეთში ჰქონდა გამოქვეყნებული (იხ. ლეგ. № 43, გვ. 171) და ამიტომვე არ განმარტა სათანადოდ ეს ლეგენდა?..

ჩვენ არ გვინდა ბ-ნ სევასტის რამე... დავაბრალოთ, მით უმეტეს, რომ მოგვარეებისაგან გაგვიგონია, მისი ნაცნობები მას, თურმე, ძალიან წესიერ და პატიოსან ადამიანად ახასიათებდნენ (მისი ნაშრომების გაცნობის შემდეგ, მის შესახებ, ჩვენც სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა და, ერთხანს, ვფიქრობდით,

რომ იგი სწორედ თავისი პატიოსანი ბუნების გამო მოტყუვდა. *(საზოგადოდ, კი იმათმა, ვინც ასეთ ვითომდა „უწყინარ“ აზრებს, ვითომდა სასხვათაშორისოდ, ჩართავენ ხოლმე სერიოზულ და საინტერესო ნაშრომში, უმეტეს წილად, კარგად იციან, ამას რა შედეგიც მოჰყვება...).*

საკითხავია, არსებობდა თუ არა, რეალურად, წევაში 135 წლის როსტომ გაჩეჩილაძე? თუკი ის, დაახლოებით 1897 წელს, 135 წლის იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ XIX სს. ბოლოს ან XX სს. დასაწყისში უნდა გარდაცვლილიყო *(სამწუხაროდ ამ პერიოდის საეკლესიო ჩანაწერების საისტორიო არქივში მოძიება ჯერჯერობით შეუძლებელია...).* ამ პატარა სოფელში 135 წლის ასაკამდე ვინმეს რომ მიეღწია, ნუთუ ამის შესახებ ხსოვნას არავინ შემოინახავდა, თუნდაც პირადად მას შთამომავალი არ ჰყოლოდა? წეველები ახლაც ყვებიან დიდი ცაცხვის შესახებ, რომელიც წევის ეკლესიის ეზოში მდგარა და 1946 წელს დამწვარა[31], ყვებიან დიდი თელას შესახებ, რომელიც დიდი ხნის წინ ულევის გზისკენ მდგარა (ტოპონიმიც კი შექმნილა იმ თელას ადგილმდებარეობის მიხედვით – „დითელა“ და რაღა მაინცა და მაინც ამ კაცის შესახებ, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნებია მახვილი გონება და მეტყველება და დიდი ღვარძლიც, არავინ არაფერი იცის? (ჯერ ვიფიქრეთ, რომ 135 წელი კორექტურული შეცდომა იყო, მაგრამ შეცდომა რომ ყოფილიყო, მაშინ აკაკის კრებულის შემდეგ ნომერში, ალბათ, შესწორებას გამოაქვეყნებდნენ, – არც შესწორებაა მოყვანილი, თან ამ როსტომის ბ-ნი სევასტისეული დახასიათებიდანაც ჩანს, რომ ნამდვილად ღრმად მოხუცის შესახებ არის ლაპარაკი...). ისიც კი ვიფიქრეთ, იქნებ ბ-ნ სევასტის ზემოხსენებული ლეგენდის მის ნაშრომში ჩართვა ვინმემ დაავალა და მოხუცის ასეთი ასაკის ხსენება მინიშნებაა იმის თაობაზე, რომ ის, რაც აქ წერია, სერიოზულად არ უნდა მიგვეღო... მაგრამ, ბ-ნ სევასტის რა გარანტია ჰქონდა, რომ მის ნაშრომს რომელიმე მისი მოგვარე არ წაიკითხავდა და პასუხს არ მოსთხოვდა არარსებული მოხუცისა და ლეგენდის გამოგონების გამო?..

იქნებ, ზემოთ დასმული შეკითხვები ასე აიხსნებოდეს: თუ ის მოხუცი მართლაც არსებობდა, წეველთაგან მისი მივიწყების მიზეზი, შესაძლოა, ის ყოფილიყო, რომ იგი, გარდაცვალებამდე კარგა ხნით ადრე, ღრმად მოხუცებულობის, ოჯახის არ ყოლის და გარშემომყოფთა მიმართ მისი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, დიდი ხნის გამოთიშული (საკუთარი ნებით გარიყული) იქნებოდა საზოგადო ცხოვრებიდან. მაშინ არც მისი ასაკით დაინტერესდებოდა ვინმე. საკითხავია, თვითონ კი სწორად ახსოვდა?..

არც ის არის გასაკვირი, რომ ბ-ნ სევასტის, ნაშრომის არსებობის შესახებ, თითქმის, არავინ იცოდა... მართალია, ბ-ნი სევასტი 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ რეაქციას გაერიდა *(რევოლუციონერთა მხარდაჭერისათვის[32] მას ხელისუფლება სდევნიდა. მისთვის წევაში სახლი დაურბევიათ – რაც აღწერილია მის მოგონებებში, რომელიც მისი შვილიშვილის ბინაში ინახება[33]),* 1907 წელს წევიდან თბილისში გადმოსახლდა და, კვალის დაფარვის მიზნით, წევასთან კონტაქტი გაწყვიტა, მაგრამ მისი „წევა, წეველები...“-ს გამოცემიდან (1899 წ.) 1907 წლამდე საკმარისი დრო იყო, რათა მას წეველებისთვის *(რომლებსაც, ალბათ, აკაკის კრებული, რომელშიც ზემოხსენებული ნაშრომი დაიბეჭდა, „ხელში არ ჩაუვარდათ“...)* თავისი ნაშრომი გაეცნო. მაგრამ, იგი ეტყობა მიხვდა, რომ ზემოხსენებული ლეგენდის წაკითხვა, მათ აღაშფოთებდათ *(იმიტომ, რომ ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს აღაშფოთებს არა თუ სხვა ერის, არამედ იმ ერის, რომლის შვილადაც იგი თავს თვლის, წარმომადგენელი, მაგრამ მისთვის უცხო ადამიანის წინაპრობის დაბრალება)* და ამიტომ ამ ნაშრომის გამოცემის შესახებ არავის აცნობა.

შეუძლებლად გვეჩვენა, რომ ბ-ნ სევასტის მოგვიანებით მაინც არ გაეცა პასუხი იმ კითხვებზე, რასაც აღნიშნული ლეგენდა მკითხველში აღძრავს. განვაგრძეთ მისი ნაშრომების ძიება.

მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან *(რომელთა სათაურები აღნიშნულია, ჩვენს მიერ მოძიებულ, ზოგიერთ მის ნაშრომში და ლიტერატურის მუზეუმში*

დაცულ მისი ნაშრომების სიაში), მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილის მოძიება შევძელით და ისინიც, უმეტეს წილად, ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, მაგრამ ამ ფრაგმენტებიდანაც ჩანს, რომ ბ-ნ სევასტის ეროვნულ საკითხზე ბევრი უფიქრია: ყმაწვილობისას, გიმნაზიაში სწავლის დროს, იგი ეროვნულ განმათავისუფლებელი იდეით ყოფილა გატაცებული, ახალგაზრდობის დროიდან კი – „მატრიარქატის დროინდელი“ ქართული ფოლკლორის გაცნობის შემდეგ – „ზეეროვნულის იდეას“[34] გაუტაცნია *(გასათვალისწინებელია მასზე, იმ დროს საქართველოში გავრცელებული, უტოპიური სოციალიზმის იდეების ზემოქმედებაც).*

ერთ-ერთ თავის ნაშრომში იგი სიამაყით აღნიშნავს – „ჩემში ეროვნული აღარაფერია“-ო... „შოვინისტური ეროვნულობა“, მისი სიტყვით, „საფუძველია ძალადობის, ომების, მოსახლეობის დაბალი ფენების განადგურების“.

ადამიანთა საზოგადოების მოწყობის, მისთვის ყველაზე უფრო მისაღები, „უშოვინისტო“ ფორმა მას მატრიარქატში დაუნახავს: „პირველყოფილი დედების კულტურა ანტიპოდალური კულტურა იყო შოვინისტური კულტურის... მატრიარხალურმა კულტურამ აამაღლა ბუნებრივად კოლექტიური ცხოვრება, შემოიღო ძმობა, ერთობა და სიყვარული, შემოიღო რძის პურის ჭამა და ბედნიერი ცხოვრება ამ ქვეყანაზე“[35].

მიუხედავად „ზეეროვნულის იდეით“ გატაცებისა, ბ-ნი სევასტი ხალხებს ტერიტორიული, კულტურული და მენტალური ნიშნით, მაინც ასხვავებდა ერთმანეთისაგან. იგი დიდი გატაცებით კრებდა და სწავლობდა ქართულ ფოლკლორს და თავის გამოკვლევებში თანდათან უფრო მეტ აღტაცებას გამოხატავდა ქართული ფოლკლორისა და ქართული კულტურის მიმართ... ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში იგი წერს: ვინც ერს უარყოფს, ძალიან ცდება, ვინაიდან მასზე უფრო მშობლიური და ახლობელი ადამიანისთვის არაფერიაო[36]...

ნარკვევი „წევა, წეველები მათი ისტორია და თაგადასავალი“ ბ-ნ სევასტის ახალგაზრდობის წლებში აქვს დაწერილი. იქნებ, „ზეეროვნულის იდეით“ მისი მაშინდელი გატაცება გახდა ამ ნაშრომში შესატანად, გაჩეჩილაძეების გვარის წარმოშობის შესახებ მისთვის ცნობილი ორი ლეგენდიდან, მოხუცი როსტომის მიერ მონათხრობი ლეგენდის არჩევის მიზეზი – მიუხედავად იმისა, რომ მასში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეში მას ეჭვი ეპარებოდა.

ერთხანს ვფიქრობდით, რომ ამ ლეგენდის დაფიქსირებით, იგი ეროვნული საკითხისადმი მისი გულგრილობის დემონსტრაციას ახდენდა. მაგრამ მერე მოგვივიდა უფრო დამაჯერებელი აზრი: თუკი, პატიოსან ადამიანს, ბ-ნ სევასტის, რაღაც ენიშნა ამ მოხუცის ნაამბობში, აკი თვითონ წერს: „ეს თვისებები ამ სამი გვარისა მეც მეჭაშნიკაო“[37] და თუ მოხუცის ნათქვამი აღიქვა ხმად, საუკუნეთა უკუნეთში დანთქმული, შორეული წინაპრისა (რომელსაც არ გაუმართლა, ვერ შეძლო თავისი ეთნიკური სახის შენარჩუნება, სხვა ხალხში გაითქვიფა და მხოლოდღა ამ მოხუცის პირით გამოაღწია შორეულ შთამომავლობამდე), მაშინ, იგი ვერ მისცემდა თავის თავს მისი იგნორირების უფლებას. მართალია ეეჭვებოდა, მაგრამ (რადგან იმ დროს, ალბათ, თვითონ არ ჰქონდა ამ ამბის გადამოწმების შესაძლებლობა) მაინც დააფიქსირა და შორეულ, უფრო ობიექტურად მოაზროვნე, შთამომავლობას დაუტოვა გამოსაკვლევად (მისი თანამედროვე მოგვარეებისაგან, როგორც ჩანს, გაგებას არ ელოდა და ამიტომ აარიდა მათ თვალს თავისი ნაშრომი...).

მაგრამ, იქნებ, მოხუცი ცდებოდა? იქნებ, მისი ნაამბობი მისი რომელიმე წინაპრის მიერ წევის ეკლესიის ფრესკული წარწერის არასწორად წაკითხვას ეფუძნებოდა?.. მოხუცის ნაამბობშივე ჩანს, რომ იგი უნდა ცდებოდეს: გაჩეჩილაძეთა ეთნარქის დახასიათებისას იგი ამბობს, რომ მას „ისეთი გაბუძგული ბალანი ჰქონდა თურმე, რომ „ოთხი“ კაცი შეიჩრდილებოდაო“[38]. თავისიანებზე გაღიზიანებული მოხუცი, ალბათ, თავისი გვარის ეთნარქის ასეთ გარეგნობაში მისი ოსობის დადასტურებას ხედავდა და ამიტომ ასეთი შესაზიზღი ფორმით მოუყვა ბ-ნ სევასტის მის შესახებ. მაგრამ, ოსებს ასეთი საგანგებოდ ძლიერი თმიანობა ნაკლებად ახასიათებთ[39], ასეთი ძლიერი თმიანობა სწორედ იმერლებისთვისაა დამახასიათებელი.

(აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მცხოვრებნი კიდევ უფრო უხვთმიანნი არიან, მაგრამ მათ მუქი თმები აქვთ)[40]. (რასაკვირველია, იმერლებს შორის არსებობენ საშუალოდ ან საშუალოზე ნაკლებად თმიანი ადამიანები, ხოლო ოსებს შორის საშუალოდ ან უფრო მეტად თმიანები,მაგრამ აქ ლაპარაკია სწორედ მკვეთრად გამოხატულ თმიანობაზე, რაც ამ ადამიანის ქართულ წარმომავლობას მიანიშნებს...). გარდა ამისა, მისი მოსაზრების მცდარობაზე მეტყველებს ის მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ჩვენს სამ წიგნშია მოყვანილი და რომლის ანალიზიც წინამდებარე სტატიაში გვაქვს წარმოდგენილი...

დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნ სევასტის, უეჭველად, გაკეთებული ექნებოდა „წევა და წეველებში...“ მოყვანილი ლეგენდის ანალიზი მის რომელიმე ნაშრომში, რომლის მოძიება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ.

ზემოხსენებული ლეგენდის ბ-ნი სევასტისეული განმარტების ვერ პოვნამ ჩვენ ძალიან სერიოზული თავსამტვრევი გაგვიჩინა და ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ მუშაობის პროცესშიც არაერთი უსიამოვნების მიზეზი გახდა...

ლეგენდები, რომლებიც ადამიანებს თავის უშუალო წინაპრებთან აკავშირებენ, იმის გამო რომ ისინი ადამიანებისათვის ყველაზე უფრო ახლობელ, ყველაზე უფრო სისხლ-ხორცეულ სფეროს – მათ წარმომავლობას ეხებიან, ძალიან მძაფრად აღიქმებიან როგორც უფროსი ასაკის ადამიანების, ისე, განსაკუთრებით, ბავშვების მიერ და ზოგჯერ უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენენ მათი ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე. (ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, ჩვენს შთამომავლობას რაც შეიძლება უფრო ნათლად და პირუთვნელად წარმოვუჩინოთ საგვარეულოს ისტორია და შევთავაზოთ ლეგენდებში მოყვანილი ინფორმაციების მიმართ საღი მიდგომა).

როგორც ჩანს,ამ ლეგენდის ერთი-ორი წამკითხველის (ალბათ ბ-ნი სევასტის ახლობლების) მიერ მონაყოლი ზემოხსენებული ლეგენდის, ჭორის სახით, „გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპით, გავრცელების გამო გამოწვეული გაურკვევლობის შედეგია ჩვენი საგვარეულოს ზოგიერთი წევრის ფანტაზიის წარმართვა იმ მიმართულებით, რომლისკენაც ზემოხსენებულმა ინფორმაციამ „უბიძგათ“. ზოგმა მათგანმა დაიწყო თავისი, ვითომდა, „ოსური“ წარმომავლობის დამადასტურებელი ფაქტების ძიება. ამგვარმა ძიებამ გამოიწვია იმ ჭორის შექმნა, რომელიც ჩვენ, სოფ. წევაში, ჩვენი ერთ-ერთი მოგვარისაგან მოვისმინეთ, კერძოდ: თურმე, ე. წ. „სამხრ. ოსეთში“ არსებულა სოფელი წევა, სადაც ცხოვრობენ ჩვენი მოგვარეები და რომ ჩვენც წარმომავლობით იქიდან ვართ. სინამდვილეში კი „სამხრ. ოსეთში“ სოფელ წევას არასოდეს უარსებია. იქ, ზნაურის (ყოფ. ყორნისის) რაიონში, არის სოფ. ლოპანი, რომელშიც ნამდვილად ცხოვრობენ, წევიდან ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ წასული და იქ 1914 წ. ჩასახლებული ჩვენი მოგვარეები. სანამ ლოპანში ჩავიდოდნენ, ისინი ჯერ ჭიათურის რ. სოფ. ბერეთისაში დასახლებულან და ერთხანს იქ უცხოვრიათ, შემდეგ საჩხერის რ. სოფ. კორბოულში უცხოვრიათ, შემდეგ კი, 1914 წელს, გადასულან სოფ. ლოპანში. კარგა ხნის შემდეგ, მათ, ამ სოფელში მდებარე, ერთ-ერთი დანგრეული ქართული ეკლესია აღუდგენიათ და მისთვის სახელად წევის წმინდა გიორგის ეკლესია შეურქმევიათ. რადგან ისინი სოფ. წევიდან დიდი ხნის წასული იყვნენ და ზუსტად არ ახსოვდათ, წევის ეკლესიაში რა დღესასწაული აღინიშნებოდა, მათ კვირიკობის დღესასწაულის სახელი, შიდა ქართლის იმ მიდამოში განსაკუთრებით მიღებული, კვირაცხოვლობის დღესასწაულის სახელისათვის მიუმგვანებიათ და, მათ მიერ აღდგენილ ეკლესიაში, კვირაცხოვლობა დაუდგენიათ მთავარ დღესასწაულად. (ამის შესახებ მოთხრობილია სოფ. ლოპანის წარმომადგენლის, ელგუჯა გაჩეჩილაძის** გადმოცემაში (იხ. ლეგ. № 85).

ს.გ-ს ნარკვევში მოყვანილი ლეგენდის არასწორი გაგების შედეგი უნდა იყოს ჩვენი ერთ-ერთი მოგვარე მამაკაცის (რომელმაც მისი ვინაობის აღნიშვნა არ ისურვა) მიერ ჩვენთვის მოყოლილი ამბავიც – რომ მას და მის დას, როცა ისინი ბავშვები იყვნენ, წევის ეკლესიაში უნახავთ მღვდელი, კასიანე გაჩეჩილაძე, რომელსაც მათთვის მოუყოლია, რომ წევის ეკლესიაში ყოფილა წიგნი, რომელშიც, თურმე,

ეწერა, რომ თამარ მეფეს ამ ეკლესიისთვის შეუწირავს ოსი ყმა (თუ ოვსის ყმა) ჯაჭვაძე.

წინამდებარე წიგნში, გაჩეჩილაძეების გვარის წარმოშობის შესახებ, მოყვანილია ზემოხსენებული მღვდლის, კასიანე გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) შვილიშვილის, მერი ივანეს ას. გაჩეჩილაძის გადმოცემა (იხ. ლეგ. №39, 39ა), რომელიც მისთვის ბაბუამისს – კასიანეს მოუყოლია, მოყვანილია აგრეთვე ამავე (ოთიაშვილების) შტოს კიდევ ორი შთამომავლის – დავით გურამის ძე გაჩეჩილაძის (იხ. ლეგ. № 45) და ვლადიმერ ვასილის ძე ებანოიძის (იხ. ლეგ. № 73) გადმოცემები. ერთი ოჯახის ამ სამი წარმომადგენლის გადმოცემები განსხვავებულია ერთმანეთისგან და მამა კასიანეს მიერ ზემოხსენებული ბავშვებისათვის მოყოლილი ამბისაგან, ამიტომ, ოთხივე ეს გადმოცემა კარგავს დამაჯერებლობას...

ჩვენი აზრით, მამა კასიანეს მოუყოლია ზემოხსენებული და-ძმისათვის სევასტი გაჩეჩილაძის „წევა, წეველებში...“ გამოქვეყნებული ლეგენდა *(როდესაც მამა კასიანეს რძლის, თამარ ქვლივიძის, მიწევით, ჩვენ წევაში ჩავედით, წევის ეკლესიის ბიბლიოთეკის აღსაწერად, რომელიც მათ ოჯახში ინახებოდა, ქ-ნმა თამარმა, საეკლესიო წიგნებთან ერთად, გვაჩვენა სევასტი გაჩეჩილაძის ზემოხსენებული ნაშრომიც. შემორჩენილი საეკლესიო წიგნების ყოველი ფურცელი ჩვენ ძალიან ყურადღებით დავათვალიერეთ. მათზე ასეთი მინაწერი არ არსებობს... ეს წიგნები ადრე ეკლესიაში ინახებოდა. ალბათ, ს. გ-ს ნაშრომიც, ამ წიგნებთან ერთად, ადრე ეკლესიაში იდო...)*, რომელიც ბავშვებმა, ვინაიდან ეს ლეგენდა მოძღვარმა უამბოთ, რეალურ ამბად აღიქვეს...

ამ ლეგენდის ზეგავლენით, ერთ ჩვენ მოგვარეს გაჩეჩილაძეების ოსობის დადასტურებად მოეჩვენა ის, რომ მათ დაახლოებით 37–40%-ს საკმაოდ ღია ფერის პიგმენტაცია აქვთ, რაც, მისი აზრით, ოსებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, ანთროპოლოგიის მონაცემებით (იხ. § 17), ასეთი პიგმენტაციის ადამიანების საშუალო რაოდენობა დამახასიათებელია საერთოდ იმერეთის მოსახლეობისათვის, ხოლო შავიზღვისპირეთში: სამეგრელოში, აჭარაში, გურიაში უფრო მეტია მსგავსი პიგმენტაციის და კიდევ უფრო ღია ფერის თვალებისა და თმის მქონე ადამიანები[41]...

როგორც ჩანს, ზემოხსენებული ლეგენდის გავლენით, ჩვენი საგვარეულოს სხვა წევრებმა დაიწყეს სამეცნიერო ლიტერატურაში, და, ალბათ, სამეცნიერო წრეებიდან (თუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან) მომდინარე მოარულ ლეგენდებში თავიანთი გვარის წარმომავლობის ახსნის ძიება. ამის მაგალითი უნდა იყოს ჩვენს წიგნში წარმოდგენილი ის ლეგენდები, რომლებიც ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეების ყივჩაყთაგან წარმომავლობას იტყობინებიან და რომელთაც აშკარად ეტყობათ ლიტერატურის და მოარული ხმების გავლენა.

ჩვენი სტუდენტობის ხანიდან არაერთი ადამიანისაგან მოგვისმენია მოსაზრება ზოგიერთი ქართული გვარის ყივჩაყთაგან წარმომავლობის შესახებ, მაგალითად იმ გვარების, რომლებსაც საფუძვლად რომელიმე ცხოველის ან ფრინველის სახელი უდევთ, ასეთი განმარტებით, რომ ყივჩაყებს გვარები არ ჰქონდათ და თავიანთი ტოტემური ცხოველების სახელებიდან ნაწარმოები გვარები დაირქვესო... ჩვენ ვეძებეთ ამ მოსაზრების გავრცელების წყარო, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიეთ. ვკითხეთ გვარების ისტორიის მკვლევარს, პროფ. თამაზ ჭუმბურიძეს, მაგრამ მან გვიპასუხა, რომ ასეთი რამ მას დაწერილი არსად უნახავს... თუმცა, ამის გარკვევას, ჩვენს გვართან მიმართებაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისედაც ნათელია ყოველივე: წევაში წარმართობის დროინდელი[42] ქართული ფოლკლორია ჩაწერილი და ქართული წარმართული დღესასწაულებია აღწერილი. ამ ფოლკლორისა და დღესასწაულების ჩამოყალიბების დროს ყივჩაყების ხსენებაც კი არსად იყო...

ყივჩაყები, ძირითადად მონგოლოიდური ტომები იყვნენ. ერთ გაჩეჩილაძესაც არ ვიცნობ მონგოლს რომ ჰგავდეს: ისტორიის მეცნ. დოქტორი, ანთროპოლოგი, ლ. ბითაძე წერს: „საქართველოს ტერიტორია არასოდეს ყოფილა დიდი რასების კონტაქტის ზონა. საგრძნობი რომ ყოფილიყო შერევა მონგოლოიდური თუ ნეგროიდული რასის წარმომადგენლებთან, ქართველების ფიზიკურ ტიპს მნიშვნელოვნად შეცვლიდა, რადგან ნეგროიდული და მონგოლოიდური ნიშნები

დომინირებენ ევროპეიდული ნიშნების მემკვიდრეობითობაზე. მონგოლოიდებთან მეტისაციის შედეგად ქართველებში გაჩნდებოდა ეპიკანთუსი *(კანის ნაოჭი ზედა ქუთუთოზე, რომელიც ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიგნითა უპეში –ეგ.)*, თვალების ვიწრო ჭრილი, ცხვირის უნაგირი დაბალი, ცხვირის ზურგი ჩაღუნული, თმოვანი საფარველის ძალიან სუსტი ზრდა მკერდსა და წვერზე, ძალიან შავი (№№ 4, 27) და უხეში თმების მაღალი პროცენტი, კანის ფერი უფრო მუქი (№№ 15-18), სუსტად პროფილირებული სახე და ა.შ.“[43].

[ყივჩაყები (ევროპელები მათ კუმანებს ეძახიან, რუსები კი პოლოვცებს) ველურები არ ყოფილან. *(ყივჩაყთა ხანის, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროში ათრაქა შარაღანისძედ იხსენიება, ასული ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებელს).* მათ თავიანთი ენა და კულტურა ჰქონდათ, ლითონის დამუშავება იცოდნენ და იარაღს აწარმოებდნენ (ლითონისა და იარაღის წარმოება ქართველებმა მათზე ადრე და არანაკლებად იცოდნენ), XIII საუკუნეში სამნოვანი (ლათინურ-სპარსულ-კუმანური) ლექსიკონიც ჰქონიათ შედგენილი. მათ რომ წევაში ეცხოვრათ, მათგან ერთი სიტყვა მაინც (ქართულისგან განსხვავებული) როგორ არ დარჩებოდა წეველთა ლექსიკაში, ან რაიმე ჩვევა (ქართულისგან განსხვავებული). ასეთი კი წევაში არაფერი ჩანს...

ქართველ ისტორიკოსთა აზრით, დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები დაასახლა ქვეყნის განაპირა, მოსახლეობისაგან დაცლილ, ადგილებში: ქვემო ქართლში, ჰერეთში (საინგილო) და ჩრდილოეთ სომხეთში (რომელიც მაშინ ქართველ მეფეთა სამფლობელოში შედიოდა).

ისტორიკოსი ჯ. სტეფნაძე თავის ნაშრომში „სად წავიდნენ ყივჩაყები?“, სათანადო ისტორიული წყაროს მოშველიებით, ასაბუთებს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ 1118-1120 წლებში ჩამოყვანილი ყივჩაყების აბსოლუტური უმრავლესობა, კიევის დიდი მთავრის, ვლადიმერ მონომახის და დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ (ისინი ორივე 1125 წ. გარდაიცვალნენ), თავის სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება ჯ. სტეფნაძისეული დასაბუთება. (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სქოლიოში[44, 45]). *[დაქირავებული ყივჩაყები გიორგი III-ის და თამარ მეფის დროს და შემდეგაც იყვნენ საქართველოში, მაგრამ ისინი ჩვენს საგვარეულო ლეგენდებში არ ფიგურირებენ...].*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ, ზოგიერთი ქართული გვარის ყივჩაყთაგან წარმომავლობის შესახებ, მოარული ან სადღაც ამოკითხული შეხედულება ჩვენმა მოგვარეებმა იმიტომ აიტაცეს, რათა გაებათილებინათ სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომში, გაჩეჩილაძეების წარმომავლობის შესახებ, მოყვანილი ლეგენდა, რადგან მათ ერჩივნათ მათი წინაპარი ყივჩაყი ყოფილიყო, ვიდრე ოსი, რომელთა მიმართ მათი გაღიზიანების მიზეზები გასაგებია...

ჩვენს მოგვარეებსა და ოსებს შორის გარკვეული გარეგნული მსგავსება მართლაც არის, მაგრამ არა იმაზე მეტი, რამდენადაც საერთოდ ნებისმიერი ქართველი და ნებისმიერი თეთრკანიანი ადამიანი ჰგავს ოსს და პირიქით, ოსები ჰგვანან ქართველებს და სხვა თეთრკანიანებს.

მხოლოდ მსგავსებით ადამიანების რომელიმე ეთნოსისათვის მიკუთვნება რომ შეიძლებოდეს, ძალიან გაჭირდებოდა ევრაზიული რასის წარმომადგენლების, ეთნიკური ნიშნით, ერთმანეთისაგან გარჩევა.

სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში მოყვანილ ლეგენდაში ნახსენები სამი ერი: ოსი, ლეკი, თათარი („თათარში“, ალბათ, ქისტი იგულისხმება[18]...), თამარ მეფის დროს, საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ. გასაკვირი არ არის, რომ მეფეს საქართველოს რომელიმე სოფელში რომელიმე ამ ეთნოსის წარმომადგენელი დაესახლებინა, მაგრამ, რადგან წეველებსა და ამ ხალხებს შორის კულტურული ერთობა არ ჩანს, ცხადია, ჩემი მოგვარეებისა და მათი მეზობლებისათვის ამ ერების წარმომადგენელი წინაპრების დაბრალება დაუჯერებელი და მიუღებელია...

ცხადია, რომ ერთი „ოსი“ ვერანაირ კვალს ვერ დაატყობდა სოფლის კულტურას (მით უფრო, რომ თამარისდროინდელი ოსური კულტურა ქართული კულტურის

ძლიერ გავლენას განიცდიდა. თანაც, თუ ის „ოსი“ ქართული სკოლის წარმომადგენელი მხატვარი იყო, მას ქართული ენაც კარგად ეცოდინებოდა და ქართული კულტურაც გათავისებული ექნებოდა), მაგრამ რადგან, ლეგენდის მიხედვით, ამ კაცის სოფელში გამოჩენის შემდეგ, მთელი სოფლის მოსახლეობა მისი გვარისა გამხდარა, იმის გასაგებად, ეს რას უნდა ნიშნავდეს – არის თუ არა ოსური ანთროპოლოგიური ელემენტი წევაში, ამის გარკვევა „ანთროპოლოგიური ანალიზით“ ვცადეთ (რომელიც § 17 - შია წარმოდგენილი), ხოლო არის თუ არა წევაში ოსური კულტურის კვალი, ამის გასარკვევად, შეძლებისდაგვარად, ძალიან მოკლედ, ოსურ კულტურასაც მიმოვიხილავთ, ოღონდ, მანამდე, ჯერ, მოკლედ, წეველთა კულტურას შევეხებით. მართალია, ამ კულტურების შედარების ვერავითარ რეალურ საფუძველს ვერ ვხედავთ, მაგრამ, იმ ორიოდე ადამიანის, რომლებიც ზემოხსენებულ ლეგენდაში მოყვანილ ინფორმაციას დაუბნევია, ამ საკითხის უკეთ გაცნობიერებაში დასახმარებლად, ამგვარი კვლევაც ვცადეთ *(იმიტომ, რომ მათ თავიანთ და სხვის შთამომავლებს არ გადასცენ ეს დაბნეულობა...).*

ჩვენ შესაბამისი დარგის სპეციალისტი არ ვართ... ამ საკითხების ღრმად გასააზრებლად, ცხადია, ჩვენი კომპეტენცია არ კმარა *(სპეციალისტის მოწვევის შესაძლებლობა კი ჩვენ არ გვქონდა)* და არც ამ წიგნში არის ვრცელი ანალიზის წარმოდგენის შესაძლებლობა, მაგრამ იმ ძირითად შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს მაინც გაგიზიარებთ, რაც ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ამ საკითხის კვლევისას. სხვა კულტურასთან, თუნდაც ამ დონის, შედარებითი ანალიზი, იქნებ დაგვეხმაროს წეველთა კულტურის თავისებურებების უკეთ წარმოჩენაში. (იმედი გვაქვს, რომ შესაბამისი დარგების წარმომადგენელი ჩვენი მოგვარეები, გადაამოწმებთ ჩვენს შეხედულებებს).

განხილვის და შედარების ობიექტად ავიღეთ წეველების და ოსების XX საუკუნემდელი კულტურები, ვინაიდან XX საუკუნეში, საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების კულტურებმა განიცადეს, საბჭოთა იდეოლოგიის შესატყვისი, გარდაქმნა და მნიშვნელოვან წილად დაკარგეს თავიანთი თვითმყოფადობა.

მოკლედ მიმოვიხილოთ წეველთა კულტურის სფეროები:

ყველაზე უკეთ, მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს **ენა**[46] ინახავს. XX საუკუნეში, განათლების ცენტრალიზებულმა სისტემამ ქართული ენის თანამედროვე ლიტერატურული ნორმების შესატყვისი უნიფიცირება მოახდინა. ენის რეფორმები მანამდეც იყო გატარებული, მაგრამ, მაინც, XX საუკუნემდე, ქართულ ენას უფრო შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ბუნებრივი განვითარების შესატყვისი, სხვადასხვა კუთხეების კოლორიტის უკეთ გამომხატველი, სახე.

წეველთა მეტყველების შესახებ, ჩვენ ისტორიული იურიდიული დოკუმენტების და ბ-ნი სევასტი გ-ძის მიერ შეკრებილი ფოკლორის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. წეველთა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების და შესწავლის მიზნით, ბ-ნი სევასტი „13 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ხალხში“, რაც აღნიშნული აქვს წევის აღდგომის ორშაბათის დღესასწაულის აღწერაში (იხ. გვ. 143).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის წევრიც იყო ბ-ნი სევასტი და რომელიც ეწეოდა საქართველოს სოფლებში ფოლკლორის ნიმუშების შეკრებას, შემუშავებული ჰქონდა ფოლკლორის ჩაწერის წესები, რომლის მიხედვითაც, აუცილებელი იყო მთხრობელის ტექსტის და მეტყველების სტილის ზუსტად დაცვა. *(როდესაც ბ-ნი სევასტის მიერ ჩაწერილ ფოლკლორს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხვა წევრთა მიერ ჩაწერილ ფოლკლორს ვადარებთ, ვრწმუნდებით, რამდენად მაღალ დონეზე აქვს შესრულებული ბ-ნ სევასტის ეს წესდება).*

არა მხოლოდ ბ-ნი სევასტის მიერ ჩაწერილი ფოლკლორის, არამედ თვით მისი ლიტერატურული ნაწარმოებების ენაც ხალხურია, ძალზე უშუალო და ბუნებრივი (რა თქმა უნდა, მისი სამეცნიერო ნაშრომების ენა – უფრო ნაკლებად), მათშიც ჩანს ბ-ნი სევასტის თანამედროვე წეველების მეტყველების თავისებურებები

(რაშიც შეგიძლიათ დარწმუნდეთ „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს III წიგნში გამოქვეყნებული მისი ნაწარმოებების გაცნობით). აღსანიშნავია, რომ ს. გ. არ ერიდება ხალხურ სასაუბრო ენაში დამკვიდრებული უცხო სიტყვების ხმარებას. წევის სახალხო დღესასწაულების აღწერაში (იხ. § 11) და სხვა ტექსტებში იგი სავსებით ბუნებრივად იყენებს, ქართულ ყაიდაზე გარდაქმნილ, რუსული ენიდან შემოსულ სიტყვებს: კაპეიკი, ოტკა, იარმურკა, ბუზიკანტი, სარაია და სხვა, გერმანულ სიტყვას – შკაფი, ფრანგულს – ბუფეტი და ა. შ.. თუკი სოფელ წევის მცხოვრებთა მეტყველებაში, მხოლოდ ერთი საუკუნის განმავლობაში, მრავალი რუსული და დას. ევროპული სიტყვა დამკვიდრდა, მიუხედავად იმისა, რომ წევაში რუსები და დას. ევროპელები არ ცხოვრობდნენ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სოფელში და მის შემოგარენში მართლაც რომ ეცხოვრათ ოსებს, ლეკებს და თათრებს, მათი ენის სიტყვებიც აუცილებლად შემოინახებოდა, მაგრამ, ეს ასე არ არის.

არც წევაში შეკრებილი ფოლკლორის და არც წევასთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტების (რომელიც ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I ტომში), სიტყვიერ შემადგენლობაში არაფერი გვხვდება არაქართული (უფრო სწორად ისეთი, რაც მთელ საქართველოში არ იყოს დამკვიდრებული, და ქართულად მიჩნეული), გარდა მთელ საქართველოში გავრცელებული, ქრისტიანული ეკლესიის გავლენით დამკვიდრებული, ადამიანთა ბერძნული და ებრაული სახელებისა, აღმოსავლურ და რუსულ სამყაროსთან ურთიერთობიდან შემორჩენილი, ადამიანთა სახელებისა, ზემოხსენებული, რუსული და ევროპული სიტყვებისა და გამოცანებსა და შელოცვაში, სპეციალურად, შინაარსის გაგების გასართულებლად, ჩართული ორიოდე ბუნდოვანი სიტყვისა (რომელზეც ქვემოთ გავამახვილებ ყურადღებას). წეველთა სამეტყველო ენა XIX საუკუნისაც და ახლანდელიც გამორჩეულად სუფთა ქართულია. საკვირველიც კია, რომ იმ სოფლის, რომლის მიმდებარედ საერთაშორისო მიმოსვლის ტრასა გადიოდა და გადის და რომელშიც მთელ იმერეთში ერთ-ერთი უდიდესი ბაზრობა იმართებოდა, მცხოვრებთა ენაში, ასე მცირე რაოდენობითაა შეჭრილი უცხო სიტყვები.

XIX საუკუნის წეველთა ენას აქვს მკაფიოდ გამოხატული იმერული კოლორიტი, *(ახლანდელ წეველთა მეტყველებაში კი იმერული დიალექტი თითქმის არ იგრძნობა)*, მაგრამ მასში ვერ შეხვდებით განსაკუთრებულად ვიწროკუთხურ, არაიმერელი ქართველისთვის ძნელად გასაგებ სიტყვებს. წეველთა ენა უფრო გამართულია და დაახლოებულია ლიტერატურულ ქართულთან, რაც წევის, სავაჭრო გზასთან მდებარეობის გამო, დედაქალაქთან საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობის, წევის ეკლესიისა და სკოლის სიძლიერის და წეველთა განათლებას დაწაფებულობის შედეგია... *(ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით, წევაში სკოლა 1825 წელს დაარსებულა. ამ დოკუმენტების საფუძველზე, 2005 წ. წევის სკოლის დაარსებიდან 180 წლისთავი აღინიშნა).*

ბ-ნი სევასტი გ-ძის ნარკვევში, „წევა, წეველები მათი ისტორია და თავგადასავალი“, დასახელებულია წევის **ტოპონიმები და ჰიდრონიმები**. წევის ტოპონიმები და ჰიდრონიმები მოყვანილია ყმაწვილი მკვლევარის ვარლამ გაჩეჩილაძის და პედაგოგ გუგული გაჩეჩილაძის სტატიებშიც, რომლებიც ამავე წიგნშია გამოქვეყნებული (იხ. გვ. 148 და გვ. 319). ის ტოპონიმები და ჰიდრონიმები, რომელიც ამ წიგნშია დასახელებული და ისინიც, რაც, ამათ გარდა, კიდევ არის წევაში, უკლებლივ ყველა ქართულია, გარდა იარმურკისა (იარმუკისა), რომელიც რუსული ярмарка-დან არის ნაწარმოები.

უკვე 120 წელი იქნება გასული, რაც წევაში ბაზრობა აღარ გამართულა, ტოპონიმი „იარმუკა“ კი ისევ გამოიყენება და, ალბათ, ისევე, როგორც უხსოვარ დროს შექმნილი, ქართული ტოპონიმი „დეისმამაური“ (დევის მამული), მანამდე დარჩება ხმარებაში, სანამ წევაში მოსახლეობის უწყვეტი არსებობა შენარჩუნდება. აქ სხვა ენებიდან შემოსული ტოპონიმები რომ არსებულიყო, ისინიც ასევე შენარჩუნდებოდა...

ბ-ნი სევასტის ნარკვევში „წევა, წეველები...“ აღწერილია წეველთა **საცხოვრებელი გარემო**: სახლები, საყოფაცხოვრებო ნივთები და შრომის იარაღები, საკვები და სასმელი; ადამიანთა **სამეურნეო საქმიანობა, ყოფითი ურთიერთობები, და ჩვევები,** ნახსენებია **თამაშობები**... (იხ. გვ.: 125, 126); წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებულია, აგრეთვე, ბ-ნი სევასტის მიერ შესრულებული, წეველთა **ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიტუალების** აღწერილობები (იხ. გვ.: 145, 146).

მთელ ამ მასალაში ვერაფერს იპოვით ისეთს, რაც კლასიკურად დამახასიათებელი არ იყო ქართული იმერული სოფლის ყოფისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტრადიციები** განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევიან. (ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს თუნდაც ის, რომ, სავარაუდოდ, X საუკუნის ბოლოს აგებულ, წევის წმინდა გიორგის ეკლესიაში მთავარ დღესასწაულად დღემდე კვირიკობა აღინიშნება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აქ, წმ. გიორგის ეკლესიის აგებამდე, წმ. კვირიკეს სალოცავი ყოფილა და ახალი ეკლესიის აგების შემდეგაც, ხალხს ისევ ძველი, შეჩვეული, დღესასწაულის აღნიშვნა გაუგრძელებია...

სევასტი გაჩეჩილაძის მიერ აღწერილი, წევის სახალხო დღესასწაულები: **ელიობა, კოხინჯრობა, ყეენობა, აღდგომის ორშაბათი, კვირიკობა** *(მრავალრიცხოვან ქრისტიანულ დღესასწაულთაგან, რომლებიც წევაში აღინიშნებოდა, ბ-ნ სევასტის ყურადღება გაუმახვილებია კვირიკობაზე და აღდგომის ორშაბათზე, იმიტომ, რომ ისინი აქ განსაკუთრებით მასშტაბურად ტარდებოდა)* ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც *(ზოგან ახლაც ტარდება)*, მაგ.:

ყეენობა – ქართლში – საფ. მარტყოფში, თბილისში, გორში... სვანეთში, მესხეთში, ყაზბეგში, კახეთში – სოფ. საბუეში, თელავში...

კოხინჯრობა-კოხიობა (7-9 V) – ლეჩხუმ-სვანეთში, რაჭაში – II ტოლაში, ჭყვიშში, სამეგრელოში („კოხობაში ოხვამერი“), ერედვში, წოდორეთში (მცხეთის რ.), იმერეთში – ქვიტირში და დვალიშვილებში, კაცხში, ხონის ახლომახლო სოფლებში; ალაზნის გაღმა, შილდაში...

ელიობა (20 VII ძვ.სტ) – ლეჩხუმ-სვანეთში, სამეგრელოში, კახეთში – დედოფლისწყარო, მაღარო; რაჭაში – II ტოლაში, ჭყვიშში; ყაზბეგში (ხევი); მცხეთის რაიონის სოფლებში: წოდორეთში, ლისში, თხინვალაში, დიღომში...

აღდგომის ორშაბათი მეტ-ნაკლები მასშტაბით აღინიშნებოდა და აღინიშნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

კვირიკობა (27-28 VII) – სვანეთში – ლაგურკა (მესტიის რ.,სოფ. ხე– კალის სოფსაბჭო), ქართლში – სოფ. ლამისყანაში, კახეთში – სოფ. ახმეტაში, რაჭაში – სოფ. კვირიკეწმინდაში, იმერეთში – სოფ. საწულუკიძეოში...;

დღესასწაულები ყეენობა, ელიობა, კოხინჯრობა არ არიან არც სახელმწიფო აპარატისაგან და არც ეკლესიისაგან დანერგილი. ისინი ბუნების ძალებისადმი მიძღვნილი, წარმართული ხანის დღესასწაულებია. მათში ქართველი ხალხის უძველესი რწმენა-წრმოდგენებია გამოხატული. ამათ გარდა, სოფელში აღინიშნებოდა **ჭიაკოკონობა**[47] და სხვა წარმართული დღესასწაულებიც.

ამ დღესასწაულების ყველა რიტუალი, რაც ბ-ნ სევასტის აქვს აღწერილი[48], ყველა თავისი გამოვლინებით ტიპურად ქართულია. მართალია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეს დღესასწაულები რამდენადმე განსხვავებულად ტარდებოდა, მაგრამ, წევაში აღწერილ დღესასწაულებში არ არის სრულებით არაფერი, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული ხალხური დღესასწაულებისათვის. განსხვავება, ზოგ შემთხვევაში, არსებითად, მხოლოდ ის არის, რომ წევაში, ხალხის სიმცირის გამო, ზოგიერთი დღესასწაული (მაგ ყეენობა) ისეთ მასშტაბებს ვერ იღებდა, როგორც დიდ დასახლებულ პუნქტებში, მაგ.: თბილისში, გორში... და შედარებით უფრო შეკვეცილი „პროგრამით“ ტარდებოდა, თუმცა დღესასწაულის არსი, ძირითადი

მოქმედებები, მოქმედი „გმირები“ და მათი მორთულობის ხასიათი ისეთივეა, როგორიც სხვაგან საქართველოში.

ბუნების ძალებისადმი მიძღვნილი ამდაგვარი დღესასწაულები აქვს მსოფლიოს მრავალ ხალხს, მათ შორის კავკასიის ხალხებსაც, მაგრამ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა შინაარსობრივ მხარეებზე და ნიუანსებზე აქვს აქცენტი გაკეთებული, რამდენადმე განსხვავებულია მოქმედი გმირები, სადღესასწაულო რიტუალები, სხვადასხვანაირია მათი გაფორმება.

(რა თქმა უნდა, ჩვენი დასკვნები არა მხოლოდ ზედაპირული დაკვირვების, არამედ ამ საკითხებში საკმაო ჩაღრმავების შედეგადაა გაკეთებული, მაგრამ ამ წიგნში არ არის ყველაფრის დაწვრილებით გაანალიზების საშუალება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მასალა თქვენს წინაშეა წარმოდგენილი და, თუ ჩვენს დასკვნებში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ თვითონ შეისწავლოთ და დასკვნები დამოუკიდებლად გამოიტანოთ).

თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ პატარა სოფელში ამდენი ძირძველი დღესასწაული აღინიშნებოდა, სოფლის და მისი მოსახლეობის ძირძველობაზე და ტრადიციებისადმი ერთგულებაზე მიგვანიშნებს.

აღდგომის ორშაბათის დღესასწაულის აღწერაში (გვ. 142) განსაკუთრებით მიიპყრო ჩვენი ყურადღება წრიული ერთსართულიანი და ორსართულიანი ფერხულების დროს *(წრიული ფერხულები ასტრალური კულტისადმი მიძღვნილი სარიტუალო ცეკვებადაა მიჩნეული[49])* შეძახილმა, **ოკრიალემ**. [ბ-ნმა სევასტიმ ეს დღესასწაულები 75 წლის ასაკში, მისი წევიდან წასვლიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ, აღწერა, შესაძლოა, მან ეს წარმართული ფერხულები და შეძახილი ოკრიალე ქრისტიანული დღესასწაულის – აღდგომის ორშაბათის აღწერაში შეცდომით ჩართო, რადგან უფრო ლოგიკურია, რომ ისინი ელიაობის ან კოხინჯრობის დღესასწაულზე შესრულებულიყო („წევა, წეველებში...“ მას ეს ფერხულები სწორედ ელიაობის და კოხინჯრობის დღესასწაულებთან დაკავშირებით აქვს ნახსენები), მაგრამ შეიძლება ქრისტიანულ დღესასწაულზეც ტარდებოდა (ვინაიდან აქ შეძახილი „ჰოიდა, კვირაცხოველო!“-ც არის ნახსენები...)]. შეძახილი ოკრიალე აღნიშნული აქვს ბ-ნ ირაკლი სურგულაძესაც – ელიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით – ქსე-ს მეოთხე ტომში გამოქვეყნებულ სტატიაში. მის სხვა ნაშრომებში აღნიშნული შეძახილის ხსენება ვერ მოვიძიეთ. [შესაძლოა ბ-ნ ი. სურგულაძეს აღნიშნული შეძახილი ბ-ნ სევასტის „წევა, წეველებიდან...“ ან მისი სახალხო დღესასწაულების აღწერიდან (რომელიც შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში ინახება) ჰქონდეს მოხმობილი]. არც ბ-ნ სევასტის და არც ი. სურგულაძეს არა აქვთ განმარტებული მისი მნიშვნელობა. ჩვენი აზრით, ის ცის სადიდებელს უნდა ნიშნავდეს და ასე უნდა წავიკითხოთ: **ო! კრიალავ!** (**ე** და **ა** ხმოვნების ურთიერთმონაცვლეობაზე ჩვენ საუბარი გვაქვს § 6-ში, იხ. გვ.: 19, 20).

დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულია ცის კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაული[50], თუმცა, მკვლევარს მასში ასეთი შეძახილის არსებობა აღნიშნული არა აქვს. ჩვენი აზრით, წევაში XX საუკუნემდე შემონახული, ცისადმი მიმართული, წარმართობის დროინდელი ფერხულების და ამ, ქართული, შეძახილის შენარჩუნება[51], კიდევ ერთი დადასტურებაა წევის მოსახლეობის ძირძველობისა და ქართველობისა.

წევაში ბ-ნ სევასტის ჩაწერილი აქვს მეტად მდიდარი **ფოლკლორი**. მასში შედის: ზღაპრები, ლექსები, არაკები, ანდაზები, ჩქარა გამოსათქმელები, ენის მოსატეხლები, გამოცანები, ზმები, მოსწრებული სიტყვები, ანეკდოტები და სხვ. *(აღნიშნული ფოლკლორის ნაწილი გამოქვეყნებულია ჩვენი საგვარეულო წიგნის III ტომში. დანარჩენს შეგიძლიათ გაეცნოთ კრებულში „ძველი საქართველო“[52]).* ფოლკლორის ნიმუშების ასეთი რაოდენობრივი და ჟანრობრივი სიმდიდრე, მათი შინაარსი და ფორმის ხარისხიანობა კიდევ ერთხელ მოწმობს სოფ. წევის ძირძველობას, წეველთა შემოქმედებით აქტიურობას და გემოვნებიანობას.

წევაში ს. გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილი „მზე შინა და მზე გარეთა“ შესწავლილი აქვს საბავშვო ფოლკლორის მკვლევარს, ანა ღვინიაშვილს[53]. იგი აღნიშნავდა, რომ ეს სიმღერა უძველესია და წარმოადგენს საგალობელს მზისადმი, რომელსაც, წარმართობის ხანაში, ჩვენი წინაპრები ქალღვთაებად სახავდნენ. მზესთან დაკავშირებული იყო მიწის ნაყოფიერება, ამიტომ მზე დაუკავშირეს ბავშვის დაბადებასაც. ა. ღვინიაშვილის აზრით, „მზე შინა და მზე გარეთა“ პირველად სწორედ ქალის დაბადებას დაუკავშირა ქართველმა ხალხმა და, შესაძლებელია, ქალის მიერაც იყოს შექმნილი, რადგან, მატრიარქატის დროს, ქალი იყო ოჯახის პატრონი. მკვლევარს შედარებული აქვს წევაში ჩაწერილი „მზე შინა და მზე გარეთა“ ამ სიმღერის, საქართველოს სხვა ადგილებში ჩაწერილ, ვარიანტებთან და ასკვნის, რომ მათ შორის ყველაზე უადრესია სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში ჩაწერილი „მზე შინა და მზე გარეთა“.

„ქართული ხალხური პოეზიის“ I ტომში (შემდგენლები მიხეილ ჩიქოვანი და ნოდარ შამანაძე)[54], ასევე აღნიშნულია, რომ „მზის საგალობელი მითოლოგიური ლექსია, რომელიც შემდგომ საძეობო სიმღერადაც გარდაიქმნა“ და რომ „თავდაპირველად ის უშუალოდ მნათობისა და მისი სახით ქალღვთაებისადმი უნდა ყოფილიყო მიმართული“ ამ კრებულის შემდგენლებიც აღნიშნავენ, რომ ხსენებული სიმღერის ვარიანტებს შორის, სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში ჩაწერილ ვარიანტს „ყველაზე უკეთ აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი სახე“.

ს. გ-ს მიერ წევაში ჩაწერილ მრავალრიცხოვან და მრავალჟანროვან ფოლკლორში არის ლექსის ფორმის რამდენიმე ნიმუში (მათ შორის შელოცვა, გამოცანები და სხვა), რომლებშიც გვხვდება გაუგებარი სიტყვები, წარმოგიდგენთ ამ ლექსებს:

„დევისა და ქაჯის ლოცვა

სახელითა ხვთისათა,
მამისა და ძისათა
და სულისა წმინდისათა!
ედენიენთა ღაიღე შამათე,
ედენია იავი ეგრამათე,
ეგრესემ იოსი ერივანე
და იონა იოსავე.
ამათითა სახელითა
შეიკრა პირი დევთა,
ქაჯთა და გველთა
და ყოველთა საჩინოთა
და უჩინოთა მავნებელთა.
იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო
ღვთისაო ცხოველისაო!
იხსენი ყოველივე ჭირისაგან
და ყოვლისა საეშმაკოსაგან
და ყოვლისა ცრუსა მავნისა
და საცთურისაგან
მონა ესე ხვთისა!“

ჩვენ გავაცანით ეს ლექსი მეგრული, სვანური, ოსური, სომხური, ებრაული ენების მცოდნეებს. როგორც მათ გვითხრეს, გაუგებარი სიტყვებით შედგენილი სტროფი *(რომლის შესახებაც ს. გ. წერს, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობა თვით მთქმელმაც არ იცოდაო)* არცერთ ამ ენას არ განეკუთვნება და არც რომელიმე სხვა ენას ჰგავს. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს შემლოცველის მიერ გამოგონილი, ვითომდა ჯადოსნური, სიტყვები, რომლითაც მას შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა იმათზე, ვისაც ულოცავდა. თუმცა შინაარსი მისახვედრია: აქ ნახსენებია საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ცნობილი სიტყვა შამათი(ე)... წინასწარმეტყველი იონა და

იოსი (ალბათ – იესო) და მოყვანილია განმარტება, რომ ამათი სახელით მოხდება დევებისა და სხვა მავნებელთა „დაშამათება“, ანუ შებოჭვა, გამოუვალ მდგომრეობაში ჩაგდება – „პირის შეკვრა“... (შამათი სპარსულ-არაბული სიტყვაა).

ასეთივე სიტყვათქმნადობას ვხვდებით გამოცანებში:

„ახლახუნ დახლახუნი,
დოსკაპ –დოინჯებიანი,
ოხროხი, დოხროხი,
დოინჯი და დოწკაპი
(ხაფანგი).

. . .

ორი ორერას,
ოთხი კორენას,
თორმეტი ასკუაჩს,
არცერთი ჩიჩილაკს.

იგივე სხვა ვერსიით:
ორი ოღენას,
ოთხი კოკენას,
თორმეტი ყანჭპურას,
არცერთი კირკიტელს.
(ძუძუები: 2 თხასა, 4 ძროხასა, 12 ღორსა, – და ქათამს არც ერთი)“.

. . .

„აიანური, ბაიანური,
წითელი კაკიანური,
ეიშლება, დეიშლება,
მოწყენია სიარული.
(საათი).

. . .

ეს ჩემი კუზურელია
დღეცა და ღამეც ზეზეა.
(თუნგულა).

ზოგი გამოცანა იწყება ასეთი სიტყვებით: „აბლი-ბაბლი...“, „კიკლი-კიკლი...“

გვხვდება ასეთი ლექსებიც:

„ურია და ურიკრიკე,
ჩოხანდრიკე ფანდურიკე!
მე რო გოჭი მოგაბარე,
კუდი რაზე მამიკვნიტე?

. . .

სასიმღერო:
გააპა, გააპა!
შენმა რძალმა დამპატიჟა;
გააპა, გააპა!
ძირს დამიგო ხალიჩაო;
გააპა, გააპა!
ერთი მაგრად მაკოცნია;
გააპა, გააპა!
მისი თავი დამირჩაო!“

ჩვენ არ გვგონია, რომ ზემოთ ნახსენები „ძნელად გასაგები“ სიტყვები უცხო ენებიდან იყოს ნასესხები *(გარდა ამჟამადაც და, ალბათ, წარსულშიც, ცნობილი საჭადრაკო ტერმინისა – „შამათი“).* აქ ნახსენებ ზოგიერთ სიტყვას ქართული ენის დიალექტებში ეძებნება ახსნა[55], ზოგი, წარმოადგენს მთქმელის მიერ ქართული სიტყვის შეგნებულად დეფორმირებულ ვარიანტს ან სრულებით ახალი სიტყვაა შეთხზული სხვადასხვა მიზნით: გამოცანაში ან შელოცვაში შინაარსის გასაბუნდოვანებლად, რითმის, გარკვეული ასოციაციის ან განწყობილების შესაქმნელად... ამგვარი ლექსები ავლენენ ჩვენი წინაპრების ლაღ, შემოქმედებით დამოკიდებულებას ენის მიმართ, რაც ამ ენის მათთვის მშობლიურობას მოწმობს.

წევის ფოლკლორის მნიშვნელოვანი ნაწილის დიდი სიძველე და როგორც ძველი, ისე უფრო მოგვიანებით შექმნილი ნიმუშების სუფთა ქართულობა (გარდა ზემოხსენებულ რამდენიმე ლექსში ნახსენები განზრახ გაბუნდოვანებული სიტყვებისა, რომლებიც საგულდაგულოდ ამოვკრიბე და წარმოვადგინე წინამდებარე სტატიაში), იმდენად თვალშისაცემია, რომ ვერ ვხედავ მისი სხვა ხალხების ფოლკლორთან შედარების ვერავითარ საჭიროებას.

ყოველივე ამის შემდეგ, ურწმუნო ადამიანმა, შეიძლება კიდევ გამოთქვას ეჭვი, – კი ბატონო, ეს ყველაფერი ზედმიწევნით ქართულია, მაგრამ გენეტიკურად ჯაჭვაძეების წინაპარი მაინც შესაძლებელია ოსი ყოფილიყო (გენეტიკასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული საკითხები § 17-შია განხილული) და მას და მის შთამომავლობას ეს ყველაფერი წევაში სხვებისგან შეეთვისებინაო, – მაგრამ ვისგან? ჯერ ერთი, წევაში, თითქმის, მხოლოდ ჯაჭვაძეებს და, მათ შთამომავალ, გაჩეჩილაძეებს უცხოვრიათ და მეორეც, თუ მოხუცი როსტომის ლეგენდას დავიჯერებთ, მაშინ სხვა ლეგენდებმა რაღა დაგვიშავეს? – ისინიც უნდა დავიჯეროთ. ანუ, უნდა დავიჯეროთ, რომ წევის ბატონები, მაჭავარიანები, სომხები იყვნენ, აბაშიძეები – ეთიოპიელები, წევის მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ებანოიძეები – თათრები, ხიბზიბაძეები – ლეკები, ნიორაძეების წინაპარი ლიონიძეები – სომხები, ხარაგაულის რაიონის მცხოვრებნი – თათრები და, საერთოდ, ახლომახლო ქართველი არავინ ჭაჭანებდა. დასახელებული ერების წარმომადგენელთაგან კი ვერც გენეტიკას გაიქართულებდა ის „ოსი“ და ვერც ქართულ ტრადიციებს შეითვისებდა. ვერც იმას იტყვის ადამიანი, რომ მათ ქართული ტრადიციები საეკლესიო მოღვაწეთაგან შეითვისეს, ვინაიდან, ჯერ ერთი, წარმართულ ქართულ ღღესასწაულებს და წარმართულ ქართულ ფოლკლორს ისინი ეკლესიის მსახურთაგან ვერ შეითვისებდნენ და მეორეც, ეკლესიის მესვეურები, ვინც მთელ იმერეთში საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ, ისევ ის „ეთიოპიელი“ აბაშიძეები, „სომეხი“ მაჭავარიანები და სხვადასხვა „უცხო ტომების“ წარმომადგენელი თავად-აზნაურობის, სასულიერო სფეროში მოღვაწე, შთამომავალები იყვნენ, ხოლო წევის ეკლესიაში XVI თუ XVII საუკუნიდან (შესაძლოა უფრო ადრიდანაც), მეტწილად, გაჩეჩილაძე მღვდლები მოღვაწეობდნენ...

ყოველივე ზემოთქმული, მე მგონი, საკმარისად ნათელ წარმოდგენას ქმნის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, მაგრამ, უფრო მეტი სიცხადისათვის, ოსების კულტურასაც მიმოვიხილავთ. თითქოს, კულტურა და ზნე-ჩვეულებები გენეტიკაზე ნაკლებად უნდა მეტყველებდნენ, მაგრამ სწორედ ამა თუ იმ ხალხის ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სხვა დამახასიათებელ მონაცემთა ერთობლიობა უფრო იოლად შეგვამჩნევინებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების განმასხვავებელ იმ ნიუანსებს, რომლის შემჩნევა ორ, რასობრივად და ტერიტორიულად ახლობელ, ხალხს შორის ზერელე დაკვირვების დროს ვერ ხერხდება.

[„ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძვ. წ. VIII-VII სს-დან დაიწყო, როცა კავკასიაში გამოჩნდა სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები, რ-ებიც შეერიენ კავკ. აბორიგენულ მოსახლეობას და მოახდინეს მათი ენობრივი ასიმილაცია.

X-XIIIსს-ში ჩრდ. კავკ. ცენტრ. ნაწილში შეიქმნა ო-ს ძლიერი ფეოდ. სახელმწიფო. XIII-XIVსს-ში თათარ-მონგოლთა და თემურლენგის შემოსევათა შედეგად ბარის მოსახლეობამ კავკასიონის ქედის ხეობებში გადაინაცვლა... დაიწყო ო-ის დამკვიდრება კავკასიონის სამხრ. კალთებზე...

ო. ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებას და ცალკეულ სათავადო სახლებს. VI ს-დან ო-ში გავრცელდა ქრისტიანობა, XVII-XVIII სს-ში ო-ის მცირე ნაწილმა ისლამი მიიღო.

ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ შტოს. მის „ფონეტიკაზე და ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა კავკასიურმა სამყარომ, განსაკუთრებით ქართულმა ენამ"[56,57]. პირველი ოსური ხელნაწერი შესრულებულია 1802 წ., ქართული გრაფიკით, ი. იალღუზიძის მიერ. პირველი ნაბეჭდი წიგნი – „მოკლე კატეხიზისი" დაბეჭდილია 1798 წ., ძვ. სლავური ანბანით.

როცა ოსები „თავიანთ" ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ოსეთის სახელმწიფო არსებობდა, მათი კულტურული ცხოვრება, საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. ოსეთში ძლიერი იყო ქართული ეკლესიის და კულტურის გავლენა. საქართველოს და ოსეთის სამეფო ოჯახებს სისხლით ნათესაობაც აკავშირებდათ *[გიორგი I-ს (1014-1027) ცოლად ჰყავდა ოსი ალდე; ბაგრატ IV-ს (1027–1072) ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის, ურდურეს, ასული – ბორენა; დემეტრე I-ის და ოსეთში იყო გათხოვილი; დემეტრე I-ის ვაჟს, გიორგი III-ს, ოსეთის მეფე ხუდანის ქალი – ბურდუხანი ჰყავდა ცოლად; თამარ მეფის მეუღლე, დავით სოსლანი იყო „ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა..." (ქცა, I, 369)]*.

ქართველ მემატიანეთა ნაშრომებში გვხვდება ცალკეული ოსი პიროვნებების (ბორენა და ბურდუხან დედოფლების და დავით სოსლანის) ძალიან დადებითი დახასიათებები, მაგრამ ოსი ერის ზნე-ჩვეულებების ვახუშტი ბატონიშვილისეულზე უფრო ადრინდელი დახასიათება ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

ოსეთში თათარ-მონგოლთა შემოსევების შედეგად, ოსთა საარსებო პირობების მკვეთრი გაუარესება, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებდა მათ ზნე-ჩვეულებებზე.

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1756) თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"[58] (რომელიც 1742-1745 წლებში დაიწერა) აღწერს, ისტორიული ვითარების შედეგად, გაუბედურებული ხალხის მდგომარეობას. მისი თანამედროვე ოსების წეს-ჩვეულებები, ალბათ, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თამარისდროინდელისაგან, მაგრამ, ალბათ, ამ ჩვეულებების ნაწილი, მათთვის თამარის დროსაც იქნებოდა დამახასიათებელი.

ბატონიშვილი წერს, რომ ისინი არიან: „შუენიერნი, ჰაეროვანნი, **შავ-თუალ-წარბანი, შავ თმოსაննი,** თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი... მკ**ჳ**რცხლად ფიცხელნი[59]... ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ დამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშკართა შინა... უსაქციელონი, ბრიყუნი, ქუეყანათა თ**ჳ**სთა ლაღნი და ამაყნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხუეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყ**ჳ**ს მყიდველნი, **გარნა არა თ<u>ჳ</u>სთა ჰყიდიან**...

ქალნი მათნი იცავენ ქალწულებასა ვიდრე შერთვამდე ქრმისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კურონი, რამეთუ სირცხ**ჳ**ლად აქუსთ დღისით ხილვა ცოლშვილთა თ**ჳ**სთა ქრმისაგან... (გვ. 637)

ისინი „არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდინარნი"...„უმეცარნი ორივე რჯულისანი... გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა... მაჰმადიანნი... უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თ**ჳ**თვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი... (გვ. 638-639)

შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამსა ცოლსა და დაბალნი – ერთსა, არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თ**ჳ**სს ძმის ცოლსა, ვინაითგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი, კ, ლ და მ ძროხასა, ამისთ**ჳ**ს არღარა განუტევებენ სხ**ჳ**ს შერთვად"...

„ამათ გუართა იციან გუართა თ**ჳ**სთა ნიჯადი, (ნიჯადი არს მიმშველებელი) ერთმან მეორესა ზედა ლაშკრობა, შუელა, მესისხლობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გუარი შვილით შვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა"... (გვ. .639).

„უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი, და უვისთ, ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბჭობასა და ზავსა და ყოველსავე სამჭირნოსა თჳსა განაგებენ მათით.

სიმდიდრე მათი არს თოფი, ხრმალი, ჯაჭვ-ჯავშანი, სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხუარი, ძროხა და ტყუე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით...

უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებლობით დაცვანი... ვერავინ რაისა ავნებს... ვისმე სტუმარსა, ვინაითგან მოსწყდებიან მისთჳს გუარით...

უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება, არამედ არღარა ხმარობენ ქვიტკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალსა კლდეგორიანსა ზედა, ვინაითგან გამოუნახავთ უმჯობესად ზუავისა კუეთებისათჳს, ... ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღუევის, არამედ დგას მტკიცედ... (გვ. 640).

...ხოლო ძუელადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყჳან თჳთ იგინივე, თამარ მეფისაგანსა...

უწყიან სულთა მკუდართა მათთა სახსრად და მოსახსენებლად, რომელსა უწოდებენ დოღსა... ცხენოსანთა კაცთა ორის სამის დღის სავლიდამ გამოუშვებენ და რომელი მათგანი უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჭსა და გარდაიხდიან პურობასა და ლხინსა დიდსა... და ჰგონებენ ამას სალხინებლად და საცხორებლად სულთათჳს მკუდართა მათთა“.

„ხდიან მცირედს ლუდსაცა... ხდიან და აკეთებენ იყსა, *(იყი არს არაყი)*, ბოზასა *(ფეტვი – ე.გ.)*, პურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწაულსა თვსსა და სტუმრობასა შინა“ (გვ. 641).

ვახუშტი ბატონიშვილის შემდგომ, ოსების ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაცია გვხვდება ალექსანდრე დიუმას (რომელიც საქართველოში ჩამოსულა 1858 წ.) წიგნში „კავკასია“ [60]. დიუმაც აღნიშნავს მათი სარწმუნოების აღრეულობას: „მთელი დედამიწის ზურგზე, თვით ოკეანიისა და შიდა აფრიკის კერპთაყვანისმცემლებში რომ გვეძებნა, ვერ ვიპოვიდით ველურ იდეათა და შეუსაბამო რწმენათა ასეთ ნარევს. ეს ისტორიული მიზეზიდანაც გამომდინარეობს. თამარის მეფობის ასი წლის შემდეგ, ესე იგი ოსების გაქრისტიანების ერთი საუკუნის შემდეგ, მონღოლებმა... წალეკეს კავკასიისა და ამიერკავკასიის ველები. ოსები... მთებში გაიხიზნენ... მათ დაკარგეს ყოველგვარი დამოკიდებულება საქართველოსთან და თანდათან ისევ ძველ უმეცარ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. ქრისტიანული რელიგიიდან მათ შემოინახეს მხოლოდ ზოგიერთი ცერემონიალი, ცნება ღმერთზე და იესო ქრისტეზე, რომელსაც ისინი ანიჭებდნენ მაჰმადს, როგორც წინასწარმეტყველს. ამასთან ერთად მათ სწამთ ანგელოზები, სულები, მაგია, მისდევენ ორცოლიანობას, ორქმრიანობას და მოაქვთ წარმართული შესაწირავები. მაგრამ ქრისტიანიზმის უპირატესობა ისლამიზმთან ყველგან, განსაკუთრებით ქალებშია შესამჩნევი. ოსის ქალები კაცების წინაშე არ იბურავენ თავს, მაშინ როცა ქრისტიანულ საქართველოსა და... სომხეთში... ქალები დღესაც ისევე მონურად და კარჩაკეტილად ცხოვრობენ, თითქოს ისინი მაჰმადიანურ სარწმუნოებას მისდევდნენ. მეორე მხრივ, მთებში, სადაც შეიარაღებული მძარცველობაა გაბატონებული, სადაც მცხოვრებლები უფრო ქურდობის იმედით ცხოვრობენ, ვიდრე შრომით, ქალებმა უნდა სრულიად უარი თქვან თავიანთ სურვილებზე, ატარონ სახლის მეურნეობის მთელი სიმძიმე... ოსი ყიდულობს ერთ, ორ, სამ და ოთხ ცოლსაც, თუ სახსრები ამის საშუალებას აძლევს. ის ამათში იხდის ურვათს, ულმობლად ეპყრობა და აკისრებს ოჯახისა და მინდვრის ყველა სამუშაოს. თუ უკმაყოფილოა მათი, სახლიდან აგდებს. ქალიშვილებს უფლება არა აქვთ მემკვიდრეობაზე, მათ არ აძლევენ მზითევს, პირიქით ჰყიდიან, როგორც... შინაურ პირუტყვს... ქალის მოკვლა კაცის მოკვლაზე უფრო ნაკლები დანაშაულია. მხოლოდ ერთადერთი კანონი დარჩა მათში უცვლელად. ეს არის სისხლის აღება. თვალი თვალის წილ, სისხლი სისხლის წილ.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს[61], რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეკლესია დიდ მუშაობას ეწეოდა ოსებში ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად: „გიორგი ჭყონდიდელის ცდით, XII ს. ოსეთში ვრცელდება ქრისტიანობის და მის სწავლა-განათლების პატივისცემა... იხსნება საერო და სასულიერო სკოლები, ვრცელდება ქართული მწიგნობრობა.“

ოსეთში მრავალი ქრისტიანული ეკლესია ააგო თამარ მეფემ და სხვა ქართველმა მეფეებმა. XI-XIII საუკუნეებში ასეთი მშენებლობები ოს ქრისტიან მთავრებსაც უწარმოებიათ.

XVIII–XIX საუკუნეებში, ქართული ეკლესია აქტიურად განაგრძობდა ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად ბრძოლას, მაგრამ ამ საქმეში დიდი წარმატება არ ჰქონდა...

ზემოხსენებულ ავტორთა თანამედროვე, ოსების დამახასიათებელ თავისებურებათაგან: სხვადასხვა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა აღრეულობა, უწიგნურობა, მრავალცოლიანობა-მრავალქმრიანობა, აშკარაა, რომ, თამარ მეფის შემდგომ ხანაში, მათი ცხოვრების პირობებისა და რელიგიური გარემოს შეცვლის შედეგია. საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობების შეცვლით გამოწვეული უნდა იყოს მათ სამშენებლო ტექნიკაში მომხდარი, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი, ცვლილებებიც (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება მოთარეშეობას და ქურდობას, ამ „საქმიანობას“ შუა საუკუნეებში (სამწუხაროდ, არა მხოლოდ მაშინ...) ყველა ხალხი მისდევდა. განსაკუთრებით ინტენსიურად, ის ხალხები, რომელთაც შედარებით მწირ გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდათ ცხოვრება. მთიელებისთვის თარეში და ქურდობა საარსებო საშუალების მოპოვების ძირითადი საშუალება იყო და ვაჟკაცობადაც თვლიდნენ, რაც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ მორალს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით, ოსებში ქრისტიანული რწმენა არასოდეს იქნებოდა ღრმა და ყოველთვის ძლიერ იქნებოდა გაჯერებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით].

ოსებისგან განსხვავებით, წეველები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ერთ ადგილას, ჩრდილოკავკასიელ მეზობლებზე ცოტათი უფრო უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ და შედარებით მოსვენებულნი იყვნენ გარეშე მტრისგან, თავგამოდებული ქრისტიანები იყვნენ. ერთ-ერთი გადმოცემით (იხ. გვ. 283) გაჩეჩილაძის გვარის პირველი წინამძღვარი წევის ეკლესიას XVI, თუ XVII საუკუნეში ჰყოლია. XIX საუკუნის განმავლობაში ამ გვარში 30-მდე მოძღვარი და რამდენიმე დიაკონი და მედავითნეა გამოვლენილი[62].

იმ ჩვეულებს, რაც ოსებში ტრადიციული იყო: მოთარეშეობას, ქურდობას, ადამიანის გატაცებას *(ადმიანთა გაყიდვაში მათ ზოგიერთი ქართველი თავადი „სჯობნიდათ“ – თავის თანამემამულე გლეხებს ყიდდა...)* წეველები საშინელ ცოდვებად თვლიდნენ და წვრილმანი ქურდობისთვისაც კი დამნაშავეს მკაცრად სჯიდნენ...

ოსებისაგან დიდად განსხვავებულია წეველთა **ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები**. *(წეველების საქორწინო წეს-ჩვეულებები აღწერილი აქვს ბ-ნ სევასტი გ-ძეს[63] (იხ. გვ. 146) ოსების საქორწინო წესები კი ზ. ჭიჭინაძეს[64]).* წეველის ქორწინებისას ქალის გამზითვება ხდებოდა, ოსების ქორწინებისას, პირიქით, სასიძოს მიჰქონდა საცოლის ოჯახში საკმაოდ დიდი ქონება (ეს წესი და მრავალცოლიანობაც, ცხადია, მათში ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად დამკვიდრდებოდა...).,

განსხვავებულია წეველთა და ოსთა ქორწინებასთან დაკავშირებული არა მხოლოდ ქალ-ვაჟის ოჯახებს შორის ქონებრივი გადანაწილების, არამედ თვით ქორწილის დროს მიმდინარე რიტუალებიც[64]. (ოსთა ქორწილი უფრო მდიდრული ყოფილა და საქორწინო რიტუალებიც უფრო მრავალფეროვანი *(ზ. ჭიჭინაძეს, როგორც ჩანს, შეძლებული ოსების ქორწილი აქვს აღწერილი, როგორც ცნობილია, XVIII-XIX საუკუნეებში ბევრი ღატაკი ოსი საერთოდ ვერ ქორწინდებოდა...)*, წეველების ქორწილი კი უფრო მისადაგებული ყოფილა მინიმალურ აუცილებლობას... მნიშვნელოვნად განსხვავებული ყოფილა დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულების რიტუალებიც[65]... *[მიცვალებულის დაკრძალვის დროს, ოსები მართავდნენ დოღს, სწირავდნენ ცხენს...*

ბ-ნი სევასტი გ-ძე წერდა, იმის გამო, რომ წევაში თავადი ან აზნაური არ ცხოვრობდა (და, ალბათ, იმის გამოც, რომ აქ ცხენით საჯირითო ადგილები ნაკლებად არის და ცხენებიც ნაკლებად ჰყავდათ –ე. გ.) დოღი არასოდეს იმართებოდაო", ამავე მიზეზით, წევაში არ იმართებოდა არც „ყაბახი", რაც ოსეთში და საქართველოს სხვადასხვა (განსაკუთრებით, მთიან) კუთხეებში გავრცელებული იყო. წეველთა თამაშობებად ბ-ნ სევასტის ბურთაობა, ქალაქობა და ჭიდაობა აქვს დასახელებული... (იხ. გვ. 125)].

აღსანიშნავია, რომ წეველები ქალს გაცილებით მეტი პატივისცემით ექცეოდნენ ვიდრე ოსები, მისი შრომა უფრო „მსუბუქი" იყო, ვიდრე ოსი ქალისა...

წეველებს არ ახასიათებდათ მთიელებისათვის დამახასიათებელი სისხლის აღების ჩვეულება...

მოხუცის და სტუმრის პატივისცემა წეველებმაც შესანიშნავი იცოდნენ, მაგრამ მოხუცებთან და სტუმრებთან მთიელების დამოკიდებულებას, როგორც ჩანს, უფრო მკვეთრი გამოხატულება ჰქონდა: როცა წეველების, და საერთოდ იმერლების, სტუმრებისადმი მიმართებაზეა საუბარი, უფრო მეტად მათ სტუმართმოყვარეობაზე და უშურველ მასპინძლობაზე ამახვილებენ ყურადღებას და არა სტუმრის დასაცავად მთელი ოჯახის შეკვდომაზე, ასეთი მძაფრი სიტუაციები მაღალმთიან ადგილებში უფრო ხშირი იქნებოდა...

განსხვავებული იყო წეველების და ოსების კვების რაციონიც: ვინაიდან მთიელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ისინი უფრო მეტი რაოდენობით ხორცს და მეცხოველეობის პროდუქტებს მოიხმარდნენ, ვიდრე წეველები. განსხვავებული ჰქონდათ სასმელიც: ოსები ლუდს, ბურახს და იყს (არაყია პურის, ქერის, ფეტვისაგან გამოხდილი) მიირთმევდნენ, წეველები კი ღვინოს (ცნობილი მეღვინეები იყვნენ) და ჭაჭისა ან ხილის არაყს.

ოსური წეს-ჩვეულებები (სისხლის აღების, ქორწინებისა და დაკრძალვის, სტუმრის დაცვის...), მათი სამეურნეო ყოფა და სამშენებლო ტექნიკა ახლოს იყო ქართველ მთიელთა კულტურის შესაბამის მახასიათებლებთან. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მთიული ქართველები და ოსები ყველაფრით ერთმანეთსა ჰგვანან: ოჯახების წყობილობით, ხასიათით დღესასწაულების, გარდაცვალების და ქალის გათხოვება და მოყვანაში ასევე ენაშიაც ძალიან ახლო ნათესავებია. ერთი სიტყვით ყველაფერში ხასიათში, ზნე-ჩვეულობაში და რწმენაშიაც არაფერი განსხვავება აქვთ მთიულ ქართველებს და ოსებს და თუ რამე განსხვავება აქვთ ძალიან ცოტა. ამას ყველა დაამტკიცებს მაშინ, როცა მოხევეების, ოსების, მთიულების გუდამაყრელების, ფშავ-ხევსურების და სვანების ცხოვრებას დაუკვირდება. რაც აქ ოსების ზნე-ჩვეულობებს ვასახელებ ისინი არამც თუ ოსებს, არამედ მთიულ ქართველებსაც ეხება და თითქმის ჩერქეზ-ყაბარდო, ქისტებს და ჩაჩნებსაც. რამდენიმე ცოცოტათი იმერლები, გურულები, მეგრელები და აფხაზებიც გვანან მთის ქართველებს და ოსებს, თუმცა განსხვავებაც ბევრი აქვთ, მაგრამ მაინც ყველა ახლოა ერთმანეთთან. უფრო კი მთის ქართველები და ოსები გვანან ერთმანეთს" [67].

ჩვენთვის უცნობია, ახასიათებდათ თუ არა ოსებს ქართველ მთიელთათვის დამახასიათრებელი წეს-ჩვეულებები თამარის ხანაში, როცა ისინი თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ თუ ეს თვისებები კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლების შემდეგ შეიძინეს. ამიტომ მათი და წეველების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, უფრო შედეგიანი მათი შემოქმედებითი ნაღვაწის (რომელიც უფრო უშუალოდ და სიღრმისეულად ავლენს მათ სულიერ მისწრაფებებს) შედარება გვგონია. ამ მხრივ ყველაზე უფრო მოსახერხებელი და თვალსაჩინო ჩანს მათი ეპოსის შედარება. ჩვენ არა გვაქვს, ამ წიგნში, ვრცელი და ღრმა შედარებითი ანალიზის გაკეთების საშუალება. ამიტომ აღვნიშნავთ ჩვენს, მხოლოდ ძალიან ზოგად, შთაბეჭდილებებს.

წევური და ოსური ეპოსის *(ცხადია ვგულისხმობ იმ ეპოსს, რომლის ქართული თარგმანიც არსებობს)* შედარებისას, სირთულეს ქმნის ის, რომ თარგმანი რამდენადმე სახეს უცვლის დედანს, მაგრამ, სამწუხაროდ, შედარებისათვის სხვა საშუალება არ გვაქვს... ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობთ ობიექტური ვიყოთ,

ჩვენი, ისევე როგორც ყოველი ადამიანის, შეფასება, ალბათ, მაინც სუბიექტურია, მით უმეტეს, რომ საკმარისად ღრმად არ ვიცნობთ არც ქართულ და არც ოსურ ფოლკლორს... (საერთოდაც დიდი კადნიერებაა ჩვენი მხრიდან მათი შედარება, მაგრამ რადგან კომპეტენტური დამხმარე არავინ გვყავდა, განსხვავების დასანახად, შეძლებისდაგვარად ესეც, საკუთარი ძალებით, ვცადეთ) ჩვენი აზრით, ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრული ფორმით. ქართულად ნათარგმნია ნართების ოსური ეპოსი[68] და საკუთრივ ოსური ზღაპრები[69]. ნართების ეპოსი, საუკუნეთა განმავლობაში, ოსების სულიერ საზრდოს წარმოადგენდა, იგი ისეთივე მნიშვნელობისა იყო და არის მათთვის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისათვის[70]. იგი ასახავს, ოდესღაც მცხოვრები და გადაშენებული ხალხის ცხოვრებას, რომელთა კულტურის მემკვიდრედაც მიიჩნევიან ოსები. ამ ეპოსში, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და მხატვრული ღირსებებით და თვითმყოფადობით ერთ-ერთი გამორჩეულია კაცობრიობის ეპოსებს შორის, გატარებული არქაული (სამწუხაროდ ახლაც ქმედითი) იდეალები: დიდი ფიზიკური ძალის, სიმამაცისა და მოხერხებულობის მეშვეობით, სხვა ხალხების განადგურება და მათთვის წართმეული ქონებით თავისი ცხოვრების გალამაზება, როგორც ჩანს, იმდენად მომხიბვლელი იყო მათთვის, რომ ეს ეპოსი საუკუნეებში ზეპირსიტყვიერად გამოატარეს და თანდათან ავითარებდნენ მას. *(აქედანაც ჩანს, რომ, XX საუკუნემდე, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, მოთარეშეობის იდეალი მათ სულში ჰქონდათ გამჯდარი და ამ იდეალის შესაბამისი ცხოვრების წესი მათთვის ტრადიციული იყო. XX საუკუნეში, ცხადია, მათი ცხოვრებაც და წეს-ჩვეულებებიც მკვეთრად შეიცვალა...).*

ნართების ეპოსი სრულებით განსხვავდება არა მხოლოდ წევური ეპოსისაგან, არამედ დიდად განსხვავდება საკუთრივ ოსური ზღაპრებისგანაც. იგი ასახავს ტიტანური ფიზიკური ძალის მქონე, უზომოდ ამპარტავანი ხალხის (რომლებიც ღმერთებსაც კი არ ეპუებოდნენ) ცხოვრებას, რომელთა საქმიანობა, არსებითად, გამოიხატებოდა მხოლოდ სხეულის ლითონისებურად წრთობაში, თარეშში და ნაშოვნი ალაფით გაუთავებელ ლხინსა და დროსტარებაში. ამ მონუმენტურ ეპოსში მოქმედებები მეტად ლაღია და მასშტაბური, მიმდინარეობს, „ფერწერულად“ დახატული, დიდებული ბუნების ფონზე, ნართების ყოფაში ჩანს თარეშის შედეგად ნაშოვნი დიდძალი სანოვაგე და, ძალზე მრავალფეროვანი, ძვირფასი ინვენტარი...

წევურ და ოსურ ზღაპრებში წარმოდგენილი მოქმედებები გაცილებით უფრო მოკრძალებული, უფრო ადამიანური მასშტაბისაა, რითაც ისინი უფრო ახლო არიან ერთმანეთთან, ვიდრე ოსური და ნართული ეპოსი, სხვა მხრივ კი ოსური და წევური ზღაპრები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. უპირველეს ყოვლისა მსოფლგანცდით: ოსური ზღაპრებიდან უფრო მკაცრი და სუსხიანი ცხოვრება გამოსჭვივის. მათი ენა უფრო პირდაპირია, მკაცრი, უსამკაულო. *[რამდენადმე ამის მსგავს, ოღონდ უფრო მაღალ, შეფასებას აძლევს გ. აბაევი ოსური ნართების ეპოსის ენას[71]].* წევური ზღაპრების ენა კი – უფრო თბილია და ხატოვანი. განსხვავებულია ზღაპრების კომპოზიციური წყობაც: მრავალი ოსური ზღაპრის კომპოზიცია გართულებულია, დაწვრილმანებული – ალბათ მსმენელის უფრო დიდხანს შექცევის მიზნით. ძირითადი სიუჟეტი განშტოებულია – ერთი ზღაპრის შიგნით რამდენიმე ზღაპარია ჩართული. წევური ზღაპრების კომპოზიციები კი უფრო ლაკონიურია და დახვეწილი, მოქმედებები და მეტყველება უფრო სცენური.

მთლიანობაში ოსური ზღაპრები უფრო ცივი და გოროზი ჩანან, წევური ზღაპრები კი ნაზი, თბილი და სხარტი. წევური ზღაპრების სინაზე სხვასაც შეუნიშნავს: პოეტი კონსტანტინე გაჩეჩილაძე თავის ლექსში „კლდეკარის გზაზე“ წერს:

„... აქ ყველაფერი ცოცხალია, სუნთქავს და ფიქრობს...
გლინავის ხევში სხვა ზღაპრები იბადებიან.
ოჰ, ეს ზღაპრები, მომხიბლავი ნაზი ზღაპრები,
და ფერუცვლელი,
კლდეკარის გზაზე ჭინკებივით ამოგყვებიან“...

ეს სინაზე, სითბო, ზომიერი თეატრალურობა, რაც წევური ზღაპრებიდან გამოსჭვივის, მათი შემოქმედი ხალხისათვის ორგანულია (ისევე როგორც პრაგმატულობა, სიგოროზე, ამპარტავნულობა ოსებისთვის), და, ისევე, როგორც ამ

ორი ხალხის გარეგნობის თავისებურებები[72], მათი ცხოვრების პირობებიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარეა.

დიდად განსხვავებულია ერთმანეთისაგან ოსი და ქართველი ადამიანების სახელები. ვ. აბაევი წერს, რომ წმინდა ოსური სახელებია: ვარხაგი, ახსარი, ახსართაგი, ურიზმაგი, საინაგი, სოსლანი, აცამაზი, აცირუხსი[73]...

წმინდა გიორგის ოსურად ვასთირჯი ჰქვია, წმ. ელიას – ვაცილა...

ოსი და ქართველი ხალხები საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ და, ბუნებრივია, საერთოც ბევრი აქვთ, როგორც გარეგნობაში, ისე კულტურის მხრივ. ოსების კულტურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლო იყო ქართველ მთიელთა კულტურასთან (სისხლის აღების წესი, ქორწინებისა და დაკრძალვის რიტუალები, სტუმრის დაცვის წესი, უფროსების კულტი, ყოფითი წეს-ჩვეულებები, მშენებლობის ტექნიკა, ინვენტარი, სამოსი, საკვები...).

გაჩეჩილაძეები კი გარეგნობით, ფსიქიკით და კულტურით ძირითადად იმერეთის იმ რეგიონის მოსახლეობის ანალოგიურ თავისებურებებს ავლენენ, რომელშიც საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ. (მათი ფიზიკურ- ფსიქიკური დახასიათება იხ. § 17 - ში). მათ ხასიათში, მეტყველებაში ნაკლებად ვხედავ ისეთ ნიშნებს, რაც მათ, წევიდან უფრო დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, საქართველოს რეგიონებთან: სამეგრელოსთან, გურიასთან, აჭარასთან ურთიერთობაზე მიგვანიშნებდეს (თუმცა გარეგნობაში ჩანს მსგავსება...).

საგვარეულოს წარმომადგენელთა წერილობით მოგონებებში და ზეპირგადმოცემებში გვხვდება ბუნდოვანი მინიშნებები სვანეთთან და რაჭასთან ურთიერთობაზე, შედარებით მკაფიოდ ჩანს კულტურული სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოსთან – მცხეთა-თბილისთან და კახეთთან, უფრო ბუნდოვნად კი სვანეთთან.

აღსანიშნავია, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელიც გებადებათ, როდესაც წევის ეთნოგრაფიას, ონომასტიკონს, ფოლკლორს, სახალხო დღესასწაულებს ეცნობით, ის არის, რომ მოსახლეობა, რომლის ცხოვრებასაც ასეთი ძირძველი, მკაფიოდ ქართული (იმერულ-ქართლური) სახისა და ხასიათის მქონე გამოვლინებები აქვს ან უნდა იყოს იმერეთის აბორიგენი, რომელსაც ოდითგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთან, ან მოსული უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოდან – მცხეთა-თბილისის მიდამოებიდან და იმერეთში უნდა შეეთვისებინა ამ კუთხის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

აღმოსავლეთ საქართველოსთან და, კერძოდ, ძველ და ახალ დედაქალაქებთან – მცხეთასთან და თბილისთან კულტურული სიახლოვე ჩანს:

1. ლიტერატურულ ქართულთან დაახლოებულ სამეტყველო ენაში. (ენობრივი სიახლოვე ჩანს არა მხოლოდ იურიდიულ დოკუმენტებში და XVIII-XIX საუკუნეების თემატიკაზე შექმნილ ფოლკლორში, არამედ ფოლკლორის უძველესი ხანის ნიმუშებშიც... აღსანიშნავია, რომ წევის XVIII-XIX საუკუნეების ფოლკლორში ასახულია როგორც იმერეთში, ისე აღმ. საქართველოში მომხდარი ამბები. ზოგიერთ ლექსში ჩანს თბილისური აშუღური პოეზიის გავლენა[74]);

2. წარმართული ხანიდან მომდინარე იმ სახალხო დღესასწაულების ერთობლიობა, და მათთვის დამახასიათებელი რიტუალების, რომელიც ს.გ-ს წევაში აქვს დაფიქსირებული, თავისებურებები განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო მცხეთის, თბილისის და მათი შემოგარენისათვის (ასევე კახეთისა და სვანეთისთვისაც...);

3. წევის ეკლესიის ჩრდილოეთის, 1863 წ. აგებული, პორტალი[74ა] მცხეთის ჯვრის პორტალის ტიპისაა[75]. ვინაიდან წევის ეკლესიის არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის რესტავრირებულ, ან მიშენებულ ნაწილებში ჩანს ამ ნაწილების ეკლესიის თავდაპირველ არქირექტურასა და კედლის მხატვრობასთან მისადაგების ნიშნები, ვვარაუდობთ, რომ ეს პორტალი შესაძლოა იმეორებდეს თავდაპირველად არსებული პორტალის ფორმებს...

4. წევის ეკლესიის მოხატულობის I ფენა ჰგავს კასპის რ. სოფ. ფავნისის (XIIს.) წმ. გიორგის ეკლესიის და სვანეთის ზოგიერთი ეკლესიის მოხატულობებს...

წევის კულტურული სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოსთან განპირობებული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, წევა იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. (კოლხეთისა და იბერიის სამეფოების საზღვარი, წევიდან დასავლეთით დაახლ. 6 კილომეტრში მდებარე, დაბა შორაპანზე გადიოდა). წევის დაახლოებას აღმოსავლეთ საქართველოსთან, ხელს უწყობდა წევის მიმდებარედ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საქარავნო გზის არსებობა...

ჩვენს დასკვნას, რომ გაჩეჩილაძეები, კულტურის მხრივ, უფრო მეტ სიახლოვეს, ცენტრალური იმერეთის კულტურის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურასთან ამყღავნებენ, ესადაგება ჩვენს მიერ ჯაჭვაძეების წარმომავლობის დასადგენად ჩატარებული კვლევის შედეგები:

ჯაჭვაძეების შესახებ არსებული ლეგენდების ანალიზი

ჯაჭვაძეების გვარის ისტორია ჩვენს საგვარეულოში შემავალ გვართა შორის ყველაზე „მოუხელთებელია“. ეს გვარი ისტორიულ საბუთებში, წევის საეკლესიო აქტების XIX საუკუნის ჩანაწერებზე უფრო ადრე, არსად გვხვდება. იგი იხსენება საგვარეულო ლეგენდებში, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებზე მიგვანიშნებენ, მაგრამ ისევე, როგორც ს. გ-ს ნაშრომში მოყვანილ, ზემოთ განხილულ ლეგენდაში (რომლის მიხედვითაც, თავდაპირველი ჯაჭვაძეების ამოწყვეტის შემდეგ გადარჩენილი ერთადერთი ბიჭის შთამომავლებისათვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ...), რამდენიმე ლეგენდაში მოხსენიებისთანავე „ქრება“: მაგ.: № 39[ა] ლეგენდაში ჯაჭვაძეები დასახელებულნი არიან პირველმოსახლეებად... რომელთა შორის გამოკვეთილა წინამძღოლი ოთია და, მას შემდეგ, ყველა ჯაჭვაძეს ოთიაშვილი შერქმევია...; № 49 ლეგენდის მიხედვით, ჯაჭვაძე შეურქმევიათ, ერეკლე მეფის მოლაშქრის, წევას შეხიზნული, ოჯახისათვის. ამ ოჯახიდან წევაში დარჩენილა მხოლოდ ერთი ვაჟი, რომლის თმაგაჩეჩილობის გამო, მისი შთამომავლებისთვის გაჩეჩილაძეები შეურქმევიათ... ამ ლეგენდების მიხედვით, გამოდის, რომ ჯაჭვაძეებს წევაში აღარ უნდა ეარსებათ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წევის საეკლესიო აქტების 1827 – 1840 წლების ჩანაწერებში, ნახსენებია 12 ჯაჭვაძე[19], ერთი წეველი ჯაჭვაძე ნახსენებია სოფ. შროშის საეკლესიო აქტების 1835 წლის ჩანაწერში[20]. საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერებში არც ერთი მათგანი არ იხსენება ახალდაბადებულთა შორის *(მაშინ, როცა იმ წლებში, წევაში, გაჩეჩილაძის ბავშვის დაბადების ათობით შემთხვევაა აღნიშნული)*: საეკლესიო წიგნებში დასახელებული 13 ჯაჭვაძიდან 3 მიმქმელად (ნათლია) იხსენება, 7 თავმდებად – ნიშნობის დროს, 2 – პატარძლად, 1 კი გარდაცვლილად[19-20]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1841 წლამდე, ყველა ჯაჭვაძემ დატოვა სოფ. წევა. მათ „კვალს“ გაჰყვა მრავალი გაჩეჩილაძე, რომლებმაც გვარი ჯაჭვაძედ გადაიკეთეს *(ამას თვითონ ჯაჭვაძეები იუწყებიან... (იხ. ლეგ. № 8-23 და 32)*, მიუხედავად ამისა,ჯაჭვაძეები რიცხობრივად მაინც დიდად ჩამოუვარდებიან გაჩეჩილაძეებს.

რადგან ჯაჭვაძეების გვარი არ გვხვდება XIX საუკუნეზე უფრო ადრინდელ ისტორიულ საბუთებში და, ჯერჯერობით, მათი ქვეყნის წინაშე დამსახურებაც გაჩეჩილაძეებზე გაცილებით ნაკლები ჩანს, ამიტომ, ერთი შეხედვით, დაუჯერებელია, მათი გაჩეჩილაძეების წინაპრად მიჩნევა, მაგრამ, მეორე მხრივ, გასაკვირია, რომ გაჩეჩილაძეების აბსოლუტური უმრავლესობა თავიანთ თავდაპირველ გვარად ჯაჭვაძეს მიიჩნევს *(იხ. ლეგ-ბი №45,46,47,50,51,55,57,61,62,64,65,67,69,71,73...)*, ერთ გაჩეჩილაძეს ლექსში მოუხსენიებია თავისი ჯაჭვაძე წინაპრები[76],ზოგ გაჩეჩილაძეს კი ჯაჭვაძე თავის ფსევდონიმად აურჩევია[77]...

ამ შეუსაბამობებმა ეჭვები გაგვიჩინა. მიმოვიხილავთ ამ ეჭვებს, იმიტომ, რომ ასეთი ეჭვები შეიძლება გაუჩნდეთ სხვებსაც, ვინც ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეების ისტორიას შეისწავლის.

ეჭვს იწვევს: I. ს. გ-ძის ნარკვევში მოყვანილი მოხუცის ნაამბობი, თავადი ღაბუა აბაშიძის მიერ სოფ. ლაშეში წევის ეკლესიის ყმის, სიზმრების მეშვეობით, პოვნისა და წევაში დაბრუნების შესახებ:

აბაშიძეებმა წევის ნაწილის მფლობელობა მაჭავარიანებზე გვიან მიიღეს. მართალია ისინი თავადები იყვნენ, მაგრამ წევის მოსახლეობისთვის, როგორც ჩანს, აზნაური მაჭავარიანების ბატონობა შეჩვეული და უფრო მისაღები ჭირი იყო, ვიდრე აბაშიძეების ბატონობა[78], რის გამოც, ალბათ, აბაშიძეები თავიანთ თავს წევაში მყარად ვერ გრძნობდნენ. ამიტომ ესაჭიროებოდათ წევის ეკლესიაში „თავიანთი კაცის“ ყოლა... იქნებ, ღაბუა აბაშიძემ, ამ მიზნით, შეთხზა ზემოხსენებული სიზმრის ამბავი, ლაშეში მცხოვრები ახალგაზრდა ჯაჭვაძე დიაკონი წევაში გადმოასახლა და წევის ეკლესიის დიაკვნად აკურთხებინა?.. იქნებ, ამ დიაკონმა, ვის სიტყვასაც გაჩეჩილაძეები, მისი ეკლესიის მსახურობის გამო, ენდობოდნენ, წეველებთან თავისი ადაპტირების მიზნით, ჩააგონა მათ, რომ გაჩეჩილაძეების წინაპრებიც ჯაჭვაძეები იყვნენ?..

II. იქნებ, გაჩეჩილაძეები მოატყუა ვინმე სხვა ავტორიტეტულმა პირმა: ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, XVI თუ XVII საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოდან, „კაცის მოკვლის გამო“ გამოქცეული, ჯაჭვაძეები წევას შეხიზნიან *(იხ. ლეგ. № 64, 67, 54)*. ერთ-ერთი მათგანი მღვდელი ყოფილა. შესაძლოა, მან, თავისი ოჯახის წეველებთან ადაპტირების მიზნით, გაჩეჩილაძეები დააჯერა, რომ ისინიც ჯაჭვაძეები არიან. მართალია, ტყუილი ცოდვაა, მაგრამ თუ მათი ოჯახის წევრს უკვე ჩადენილი ჰქონდა უფრო დიდი ცოდვა – კაცის კვლა, შესაძლოა მღვდელმა უფრო ნაკლები ცოდვა – ტყუილის თქმა – თავისი ოჯახის გადასარჩენად იტვირთა...

III. იქნებ, ჩვენს მიერ ნახსენები მოძღვარი ან დიაკონი სულაც არ იყვნენ ჯაჭვაძეები, არამედ ვიღაცისგან გაიგეს, რომ გაჩეჩილაძეები თავიანთ წინაპრებად ჯაჭვაძეებს მიიჩნევენ და, წევაში თავიანთი დამკვიდრების გასაიოლებლად, ჯაჭვაძეობა „დაიბრალეს“?

ჩვენი ეჭვები, ნაწილობრივ, გააბათილა ჩვენმა შემდგომმა მოსაზრებამ: მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი დაკვირვებით, გაჩეჩილაძეები საკმაოდ მიდრეკილნი არიან ფანტაზიორობისაკენ, ორიგინალური აზრების ატაცება-განვითარებისაკენ, უცხო კაცის წევაში დამკვიდრებას, ალბათ, არ დაუშვებდნენ, ვინაიდან ეს მწვავედ ეწინააღმდეგებოდა მათ სასიცოცხლო ინტერესებს – წევის მცირემიწიანობის გამო...

ერთადერთი გზა, უცხოს წევაში მშვიდობიანად დასამკვიდრებლად, იქნებოდა მისი წეველებთან ნათესაობა ან თავისი თავის მათ ნათესავად გასაღება, მაგრამ, ალბათ, წეველები ამას იოლად არ დაიჯერებდნენ, რომ არ არსებულიყო გადმოცემა გაჩეჩილაძეთა წინაპრის ჯაჭვაძეობის შესახებ. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არა მხოლოდ წეველები არ ისურვებდნენ უცხოს წევაში მიღებას, არამედ არც უცხოსთვის იყო წევა სამოსახლოდ მაინცა და მაინც სახარბიელო ადგილი, თუკი მათ აქ მხარდამჭერი თავისიანები არ ეგულებოდათ.

შესაძლოა, ის ადამიანები, რომლებიც წევაში მე-16, თუ მე-17 საუკუნეში ჯაჭვაძის გვარით ჩამოსახლდნენ, აქ იმიტომ მოდიოდნენ, რომ გაგონილი ჰქონდათ ჯაჭვაძეების აქ, ოდესღაც, მოსახლეობის ამბავი...

იყვნენ თუ არა, ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით, წევაში, XVI-XVII საუკუნეებში ან უფრო გვიან ჯაჭვაძის გვარით ჩასახლებული ადამიანები თავდაპირველი ჯაჭვაძეების შთამომავლები, ამას ჩვენ ვეღარ დავადგენთ, დოკუმენტურად დადასტურებული სიმართლე კი ის არის, რომ ჯაჭვაძეებს 1827-1840 წლებში მართლაც უცხოვრიათ წევაში. ცხადია ისიც, რომ მათ იქ ფეხი ვერ მოუკიდებიათ (რაც მათ წევაში იმ დროს დამკვიდრებაზე მიანიშნებს, როცა იქ უკვე აღარ იყო ახალმოსულთათვის საკმარისი საარსებო პირობები). ეტყობა უჭირდათ, ვეღარ მრავლდებოდნენ და, ალბათ, ამიტომ დედაბუდიანად აყრილან და კახეთში გადასახლებულან. მათ გაჰყვათ გაჩეჩილაძეთა, ალბათ შედარებით გაჭირვებული, ნაწილი, რომლებმაც, გვარი ჯაჭვაძედ, ალბათ, იმიტომ გადაიკეთეს, რომ ან ამ გვარს თავიანთ თავდაპირველ გვარად თვლიდნენ (რასაც იუწყება ზოგიერთი ლეგენდა), ან იმიტომ, რომ თავიანთი კვალი დაეფარათ ბატონისაგან (როგორც ამას სხვა ლეგენდები იუწყებიან), რომელსაც, შეიძლება, მათი ძებნა დაეწყო. ჯაჭვაძეებს, როგორც ჩანს, ამის, რატომღაც, ნაკლებად ეშინოდათ...

ლეგენდების მიხედვით, ჯაჭვაძეების წევაში მოსვლა ორ (ან მეტ) ეტაპად მომხდარა. ბოლო ეტაპის ჯაჭვაძეები უფრო ადრინდელი ჯაჭვაძეების გაუჩინარებიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ მოსულან.

ჩვენთვის საეჭვოა, რომ ჯაჭვაძეების გვარის, ერთხანს, „გაქრობის“ მიზეზი, მათი მთლიანად ამოწყვეტა გამხდარიყო (როგორც ამას ს. გ-ს ნაშრომში მოყვანილი ლეგენდა იუწყება). მათი „გაქრობის“ მიზეზის ერთ-ერთი საინტერესო ახსნა გამოსჭვივის მერი ივანეს ას. გაჩეჩილაძის* მიერ წარმოდგენილი ლეგენდიდან (№ 39ა), რომელიც იუწყება, რომ თავიდან ჯაჭვაძედ იწოდებოდა წევის ყველა მცხოვრები. შემდეგ მათ შორის გამოკვეთილა წინამძღოლი ოთია და ამის შემდეგ, თურმე, სოფლის ყველა მცხოვრები ოთიაშვილად იწოდებოდა[79]. წინამძღოლ ოთიას თავისი ერთ-ერთი, თმაგაჩეჩილი, ხელქვეითისთვის გაჩეჩილაძე უწოდებია...

ამ ლეგენდის ლოგიკის მიხედვით, გამოდის, რომ, ალბათ, შემდგომში ის გაჩეჩილაძე გახდა წინამძღოლი და სოფლის ყველა მცხოვრებს, ალბათ, ამიტომ შეერქვა გაჩეჩილაძე[80].

გვარების წარმოქმნის ამგვარი ვერსია, ჩვენი გვარის შემთხვევაში შეიძლება სარწმუნოდ მოგეჩვენოთ, ვინაიდან, თუ ზოგ ლეგენდას დავუჯერებთ, წევის თავდაპირველი მოსახლეები არ ყოფილან ერთი სისხლის (ერთი წინაპრის შთამომავალი) ხალხი... *(იხ. ლეგ. № 39, 40).* თუ წევის „პირველმოსახლეებად“ დასახელებული – ჯაჭვაძეების გვარიც მათი წინამძღოლის სახელიდანაა წარმოებული. გამოდის, რომ „ოთიაზე“ უფრო ადრინდელ წინამძღოლს „ჯაჭვა“ ერქვა... თითქოს, ამასვე უნდა მიუთითებდეს სუფიქსი **„ა“,** რომელიც საკუთარ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება, მაგრამ, **ჩვენ არ გვგონია, რომ „ჯაჭვა“ ადამიანის სახელი ყოფილიყო, ვინაიდან, ზოგი ლეგენდა იმას გვამცნობს, რომ ჯაჭვაძეები სვანეთიდან არიან და ჯაჭვლიანებს ენათესავებიან *(ლეგ.№ 33, 34).* ხოლო ჯაჭვლიანების გვარის ძველი ფორმები (ჯაჭვინელიანი, ჯაჭვნელიანი) სადაურობის აღმნიშვნელი „ელ“ სუფიქსითაა ნაწარმოები, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ისინი წარმომავლობით იყვნენ ადგილიდან, რომელსაც „ჯაჭვი“ ერქვა**[7. 81]. *(ამ ჰიპოთეზის დასაბუთებას ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით).* **ვინაიდან ჯაჭვაძის გვარი XIX საუკუნემდე არსად იხსენება, ჩვენ არ ვიცით, როდის მიიღო მან ასეთი ფორმა. იქნებ, ადრე გვარი ჯაჭვიძე იყო** *[იმ ქართული გვარების მსგავსად წარმოებული, რომლებშიც სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსები: (ელ, ურ, არ) არ არის გამოყენებული და გვარსახელის მაწარმოებელი დაბოლოებები – ძე და შვილი – პირდაპირ ადგილის სახელს დაერთვის, მაგ.: გაჩიანიძე, თურქსტანიშვილი...]* **და არა ჯაჭვაძე**. წეველიძეების გვარს, თურმე, „წეველაძე“ ფორმაც მიუღია (იხ. ბ-ნი გ. ბედოშვილის სტატია, გვ. 12), იქნებ, ანალოგიურად, ჯაჭვაძის ადრეული ფორმა ჯაჭვიძე იყო...

(მაკერძოებელი „ა“ სუფიქსის დართვით, ქართულ „გეოგრაფიულ“ გვარსახელებში სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვის ანთროპონიმიზაციის მრავალი შემთხვევაა ცნობილი მაგ.: არახველაშვილი (სოფ. არახვეთი, დუშეთის რ.), ასპინძელაშვილი (დაბა ასპინძა), ბანძელაძე (სოფ. ბანძა), გორელაშვილი (ქ. გორი), გრემელაშვილი (სოფ. გრემი), ოძელაშვილი (სოფ. ოძისი დუშეთის რ.), თეზელაშვილი (სოფ. თეზი, კასპის რ.) და ა.შ.[82]).

კიდევ იმიტომ არ გვგონია, რომ „ჯაჭვა“ ჯაჭვაძეების ეთნარქის საკუთარი სახელი (ან მეტსახელი) ყოფილიყო, რომ სახელი ჯაჭვა ვაჟკაცური და საკმაოდ ლამაზი სახელია და ამ სახელის მქონე ადამიანის შთამომავალთაგან ვინმეს როგორ არ დაარქმევდნენ? *[XIX საუკუნეში და, ალბათ ადრეც, არაერთ წეველს ერქვა: ხიხონა, სისონა, გლახა, ხახუტა, კიკოლა, ანაპოტისტა (კაცსაც და ქალსაც)*[83] *ამ სახელებს, ჩემი აზრით, „ჯაჭვა“ სჯობს*[84]*...].*

სახელი (ან მეტსახელი) „ჯაჭვა“ არ გვხვდება ჩვენს საგვარეულო ლეგენდებში *[იგი მოყვანილია, მხოლოდ, ვლადიმერ ებანოიძის მიერ შემოთავაზებულ ლეგენდაში (№ 73, გვ. 180), მაგრამ ეს ლეგენდა ჩვენთვის არადამაჯერებელია, იმიტომ, რომ ბ-ნი ვლადიმერის დედა გაჩეჩილაძე-ოთიაშვილი იყო, ოთიაშვილების შტოს წარმომადგენლებმა კი განსხვავებული საგვარეულო ლეგენდები მოგვაწოდეს და რაღა მაინცა და მაინც ებანოიძე შთამომავალს უამბეს ასეთი ლეგენდა. თანაც ვიცით,*

რომ ბ-ნი ვლადიმერი გვარების ისტორიის კვლევით დაინტერესებული ადამიანი იყო. იგი გაცნობილი იყო ონომატოლოგთა ნაშრომებს და, როგორც ჩანს, მათ მიერ შემოთავაზებული გვარების წარმოქმნის ვერსიებით ხელმძღვანელობდა...].

„ჯაჭვა“ არც მცენარის სახელია. იგი არ იხსენება ძველ ბოტანიკურ ლექსიკონებში და სამედიცინო ცნობარებში...

ვინაიდან გვარი „ჯაჭვაძე“ ისტორიულ საბუთებში XIX საუკუნემდე არ იხსენება, ხოლო წევაში „ოთიაშვილი“ – გვარის სახით, არ დარჩენილა, **<u>ვვარაუდობთ, რომ ჯაჭვაძე და ოთიაშვილი გაჩეჩილაძეთა წინაპრების კრებითი მეტსახელები იყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა გვარების ოფიციალური გაფორმება არ ხდებოდა, ხოლო როცა გვარები ოფიციალურად ფორმდებოდა, იმ დროს მათი საერთო მეტსახელი გაჩეჩილაძე ყოფილა და ეს მეტსახელი გაგვარებიათ.</u>**

წევის მცხოვრებთათვის გვარის შერქმევა თუ მართლაც ბატონის სახელის (ან მეტსახელის) მიხედვით ხდებოდა, მაშინ, თუ იმ ბატონის ცხოვრების დრო გვეცოდინება, მისი სახელის (ან მეტსახელის) მიხედვით შექმნილი გვარის ისტორიის დასაწყისზეც შეგვექმნება წარმოდგენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელი „ჯაჭვა“, ისტორიულ წყაროებში, არსად გვხვდება, სახელი „ოთია“-ც XVI-ე საუკუნის შუა წლებამდე წევის შემოგარენში მცხოვრებ თავად-აზნაურთა სახელებს შორის ვერ მოვიძიეთ[85], ბატონისათვის უჩვეულო, კოლორიტული მეტსახელის „გაჩეჩილა“-ს მატარებელი ბატონის არსებობის შესახებ კი მოვიძიეთ რაღაც ინფორმაცია, მაგრამ არ ვიცით, შეიძლება თუ არა მას ჩვენი გვარის ისტორიასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს:

ისტორიკოსმა მ. ქადაგიძემ* მიგვითითა დ. ტურაშვილის წიგნზე „გურჯი ხათუნი“, სადაც ნახსენები ყოფილა ასეთი მეტსახელის მქონე თავადი. ჩვენ გავეცანით ამ წიგნს, სადაც სხვა ისტორიულ საბუთებს შორის, ავტორს მოყვანილი აქვს XIII საუკუნეში მცხოვრები ვინმე რეზე აჰმედ ბათურის (ალბათ ბედუინის – დ.ტ.) წერილი მისი მეგობრისადმი. იგი წერს, რომ მას იმერეთში გაუცვნია „მუნასიბი, ვინმე ღოღობერიძე, რომელსაც თმები არაბული ცხენის ფაფარივით აქვს და ამიტომაც ერთი აქაური დიდებული გაჩეჩილას ეძახის... მას კი სინამდვილეში გიორგი ჰქვია... ამ გიორგიმ თქვა, ერთი მთა ვიცი სამეგრელოს ზევით, მთლიანად ოქროსი, წავიდეთ... ცოტ-ცოტა მოვტეხოთ და წამოვიღოთო. აქაური ბავშვები გიჟდებიან ამ მუნასიბზე და ვენახშიც კი იმის სიმღერებსა ღიღინებენ... წავყვები და საკუთარის თვალით <u>ვნახავ, თუ მართლა არის სვანეთში ოქროს მთა... და მერე დანამდვილებით გეტყვით, ღირს თუ არა ამ ქვეყნის დალაშქვრა“-ო</u>... ეს ღოღობერიძე, თურმე, თავისი ახალი სახელით, „გაჩეჩილა“-თი ცდილობდა თავის დამკვიდრებას[86]. მართალია, ღოღობერიძეები იმერელი თავადები იყვნენ *[ამ გვარის ეთნარქად იოანე ბატონიშვილი საქართველოში 1253 წ. მყოფ ვინმე თათარ – ღუღილხანს ახახელებს[87], ექვთიმე თაყაიშვილს კი ეს გვარი ამოუკითხავს ვანში აღმოჩენილი მარმარილოს ქანდაკების, XI საუკუნით დათარიღებულ, ასომთავრულ წარწერაში... ამ საგვარეულოს აღზევების ხანაში (XV ს. – XVI ს. 60-იანი წლები) ღოღობერიძეთა სათავადო მოიცავდა სოფლებს: ღანირი, ქუტირი, ივან-დიდი, პატარა ანუ გოჩა ჯიხაიში, მათხოჯი, ნახახულევი, ხონის დიდი ნაწილი. მათი რეზიდენცია პატარა ჯიხაიშში იყო[88]]* და ეპოქაც სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში მოყვანილ ლეგენდაში ნახსენებ დროს ეახლოვება, მაგრამ ამ თავადის მეტსახელს გაჩეჩილაძის გვარის წარმოქმნის მიზეზად ვერ წარმოვიდგენთ, თუ მისი სოფ. წევის ბატონად ყოფნის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოჩნდება...

გაჩეჩილაძეების გვარი, მათი ეთნარქის მეტსახელიდანაა წარმომდგარი. მართალია ლეგენდები მას სხვადასხვა საზოგადოებრივი სტატუსის მქონე პირად (დიაკონი, მღვდელი, ხუროთმოძღვარი, ბატონის თანაშემწე, ყმა გლეხი) ასახელებენ და მისი ცხოვრების სხვადასხვა დროზე მიუთითებენ, მაგრამ მისთვის მეტსახელის შერქმევის საბაბად ყველა ლეგენდაში მისი თმაგაჩეჩილობა სახელდება. (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ყველა გაჩეჩილაძე ამ კაცის შთამომავალი, მაინც მათი გვარი ამ ერთი კაცის მეტსახელიდან წარმოქმნილი ჩანს).

ჯაჭვაძეებისათვის გვარის შერქმევის შესახებ კი ლეგენდებში სხვადასხვა მოტივია დასახელებული: *(ლეგენდები: №20, 21, 24, 24ა, 31, 38 ჯაჭვაძეების მოწოდებულია).*

1. წევიდან ჭერემისკენ გაჩეჩილაძეები ჯაჭვისებურად მიდიოდნენ და ამიტომ შეერქვათ ჯაჭვაძეები *(ლეგ.№ 20);*
2. მტრისაგან ჯაჭვებდადებული გაჩეჩილაძე ჯაჭვებიანად გაიქცა ჭერემში და ამიტომ შეერქვა ჯაჭვაძე... *(ლეგ. № 21);*
3. დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში გაქცეული კაცისთვის შეურქმევია თავად ჭავჭავაძეს, იმიტომ, რომ, თურმე, „ჯაჭვაძე ჭავჭავაძეების მონათესავე გვარი ყოფილა (?)"... *(ლეგ. 24);*
4. ბატონის ჯაჭვით მოკვლის გამო, კახეთში გაქცეული გაჩეჩილაძისათვის ჯაჭვაძე შეურქმევიათ... *(ლეგ. 53);*
5. ერთ კაცს, ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე ცოლი ჰყოლია, „ამბობდნენ თურმე – რა ჯაჭვივით გააბა ცოლ-შვილიო" და ამიტომ შეურქმევიათ ჯაჭვაძე. *(ლეგ. № 24ა);*
6. შეურქმევიათ ჯაჭვის ხელოსნებისთვის... *(ლეგ № 31,38,42,71); (რომლებიც ლეგ. № 38-სა და № 42-ში ყივჩაყებად იხსენიებიან).*
7. შეურქმევიათ წევის მოსახლეებისთვის, მათი წევის ქედზე ჯაჭვისებურად განსახლების გამო... *(ლეგ. 39ა, 41); (ლეგ. № 41-ის მიხედვით ისინი ყივჩაყები ყოფილან);*
8. შეურქმევიათ საქართველოს მთიანი რეგიონებიდან დას. საქართველოში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად ჩამოყვანილი ხელოსნებისთვის, სამშენებლო მასალის ჯაჭვისებური წესით გადატანის გამო... *(ლეგ. 40);*
9. შეურქმევიათ ერეკლე მეფის მოლაშქრის შვიდშვილიანი ოჯახისათვის, სამშენებლო მასალის ჯაჭვისებური წესით გადატანის გამო *(ლეგ. № 49);*
10. – მეფის მცველად მომუშავე კაცისთვის, იმიტომ, რომ იგი მეფეს საიმედოდ იცავდა, შეურქმევიათ „ჯაჭვა", მისი მეტსახელი მის შთამომავლებს გაგვარებიათ... *(ლეგ. 53).*

აქ დასახელებულ მოტივთაგან ოთხი: № 1, 2, 3, 4 აშკარად მცდარია: მათ მიხედვით, გაჩეჩილაძეებს ჯაჭვაძეები შერქმევიათ წევიდან კახეთში წასვლის შემდეგ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ წევაში ჯაჭვაძე არ უნდა არსებულიყო, მაგრამ ისინი, როგორც აღვნიშნეთ, მოხსენიებული არიან 1827-1840 წლების წევის საეკლესიო წიგნებში.

მე-9 ლეგენდა რომ **სინამდვილეს არ შეესაბამება**, ამას მოწმობს ის, რომ გაჩეჩილაძეების უფრო ადრე არსებობა დადასტურებულია 1550-1570 წლებით დათარიღებულ საბუთში...

მე-6, მე-7 და მე-8 ლეგენდებში ჯაჭვაძეები ერთი საერთო წინაპრის შთამომავლებად არ მოიაზრებიან. ეს კი გამორიცხავს **№5 და № 10** ლეგენდების სისწორეს, იმიტომ, რომ მათში ჯაჭვაძეები ერთი საერთო წინაპრის შთამომავლებად მოიაზრებიან... **№ 10** ლეგენდის შესახებ,რომელიც ბ-ნმა ვ. ებანოიძემ მოგვიყვა, დაეჭვება ჩვენ ზემოთ გამოვთქვით... (იხ. გვ. 241)...

ვინაიდან ლეგენდების ასეთი სიმრავლე და ურთიერთგამომრიცხაობა მათგან რომელიმეს საგვარეულოს ისტორიის რეალურ ნაწილად მიჩნევას შეუძლებლად ხდის, ამიტომ ვცადეთ ჯაჭვაძეების გვარის შექმნის ისტორია, ჩვენთვის ცნობილი რეალური ფაქტის, წეველიძეების გვარის შექმნის ისტორიის ანალოგიურად წარმოგვედგინა:

ვინაიდან ვიცით, რომ **წევიდან, XIX საუკუნეში, სხვადასხვა ადგილებში გადასახლებული გაჩეჩილაძეების რამდენიმე ჯგუფმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთნაირად იაზროვნა და, თავიანთი ძველი საცხოვრისის სახელის ხსოვნის შესანარჩუნებლად, გვარად წეველიძე დაირქვა, ჯაჭვაძეებთან დაკავშირებული ზოგი ლეგენდა კი იუწყება, რომ მათი წინაპრები წევაში სხვა ადგილიდან ჩამოსახლდნენ. ვიფიქრეთ, იქნებ, ჯაჭვაძეებმაც გვარი ძველი საცხოვრისის სახელის მიხედვით დაირქვეს?**

ადამიანების მიგრაცია მთლად უკვალოდ არ ხდება. „როგორც ცნობილია, მოსახლეობას, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის, უმეტესწილად თან მიაქვს თავისი ონომასტიკონი. ეს შეეხება როგორც გეოგრაფიულ და საკულტო სახელებს, ისე ანთროპონიმებსაც. ამიტომ ისტორიული ანთროპონიმია საუკეთესო წყაროა

მოსახლეობის მიგრაციის ფაქტების დასადგენადაც“[89]. ეს აზრი რომ ჩვენს საგვარეულოს, სოფ. წევას და მის სიწმინდეებსაც ეხება ჩანს იქიდან, რომ:
ა. წევიდან საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილას გადასულმა გაჩეჩილაძეებმა გვარად წეველიძე დაირქვეს...
ბ. წევიდან ჭერემში გადასახლებულმა ჩვენმა მოგვარეებმა, იქაც, ისევე როგორც წევაში, წმინდა გიორგის ეკლესია ააგეს, შიგ, წევიდან ჭურებით წაღებული ზედაშე დაფლეს, ამ ეკლესიის მთავარ დღესასწაულად კი კვირიკობა დაადგინეს...
გ. წევიდან წასულმა, სოფ. ლოპანში დასახლებულმა, ჩვენმა მოგვარეებმა, იქ, დანგრეული ეკლესია აღადგინეს და წევის წმინდა გიორგის სახელი შეარქვეს, ხოლო, რადგან წევიდან დიდი ხნის წასული იყვნენ და წევის ეკლესიის მთავარი დღესასწაულის სახელი კარგად არ ახსოვდათ, ეს სახელი კვირაცხოვლობის დღესასწაულის სახელს მიამგვანეს და მათ მიერ აღდგენილ ეკლესიაში კვირაცხოვლობა დაადგინეს მთავარ დღესასწაულად...
დ. ლეგენდის მიხედვით,სვანებმა,წევიდან წაღებული სასწაულთმოქმედი ხატისთვის, სვანეთში, სოფ. ხეს ახლოს (მესტიის რ. კალის სოფსაბჭო), კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) ააგეს, რომელშიც, ისევე როგორც წევაში, მთავარ დღესასწაულად კვირიკობა აღინიშნება...

ზემოხსენებული მაგალითებიდან გამომდინარე, ჩვენ კიდევ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენა, ჯაჭვაძეების გვარის წარმოშობის ისტორია წეველიძეების გვარის წარმოშობის ისტორიის ანალოგიურად გვეგულვებინა: როგორც კი ასეთი აზრი დაგვებადა, მეორე დღესვე, ისტორიულ წყაროებში წავაწყდით სოფელ ჯაჭვის არსებობის დამადასტურებელ მრავალ დოკუმენტს. მისი სახელი დატანილი აღმოჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკებზეც – მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ეს სოფელი, რომელიც ქართლის ცხოვრებაში პირველად II საუკუნის ამბებთან დაკავშირებით არის ნახსენები, 1775 წელს ლეკთა შემოსევის შედეგად განადგურებულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯაჭვაძეების გვარში შემონახულია ლეგენდები: მათი სვანეთიდან წარმომავლობაზე (ლეგ. № 33), მათი სხვა ადგილიდან სვანეთში საცხოვრებლად გადასვლაზე და ჯაჭვლიანებთან ნათესაობაზე (ლეგ. 32), ხოლო ჯაჭვლიანების გვარის ძველი ფორმები: ჯაჭვინელიანი, ჯაჭვნელიანი ქართულად ასე ითარგმნება –„ჯაჭველის შვილი“ („ჯაჭვი“ აქ ადგილის სახელია, „ნელ“ – სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი, ხოლო „იანი“ შვილს, შთამომავალს ნიშნავს). ჩვენი ვარაუდით, „ჯაჭვ(ი)აძის“ ანალოგიური გვარი სვანურად „ჯაჭვ(ი)ანი“-ა რაც ჯაჭვის (სოფ. ჯაჭვის) შვილს ნიშნავს, ანუ, „ჯაჭვაძე“ და „ჯაჭვანი“ ერთსა და იმავეს ნიშნავს სხვადასხვა დიალექტზე.

„ჯაჭვ“ ფუძიანი ზემოხსენებული გვარების მატარებელი ხალხის სოფ. ჯაჭვიდან წარმომავლობას ადასტურებს ისიც, რომ სიტყვა „ჯაჭვი“ სვანურ ენაზე არაფერს ნიშნავს (სვანურად საგან ჯაჭვის სახელი, თურმე ასე ჟღერს – „ნააჭ“) და თვითონ ჯაჭვლიანებიც, თურმე, თავიანთ თავს რომელიღაც სხვა ადგილიდან მოსულად თვლიან[90]. გარდა სვანეთში მცხოვრებთა ზოგ გვართან საერთო „ჯაჭვ“ ფუძისა, **ჯაჭვაძეების სვანეთთან კავშირზე შეიძლება მიგვანიშნებდეს:**
1. ლეგენდა ე.წ. „შალიანის ხატის“ წევიდან სვანეთში მოხვედრის შესახებ...
2. კვირიკობის დღესასწაული, რომელიც მასშტაბურად აღინიშნება წევაშიც და, „შალიანის“ ხატისთვის აგებულ, კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში (ლაგურკა) სვანეთში...
3. წევისა და სვანეთისათვის საერთო დღესასწაულები: ელიობა, კოხინჯრობა, ყაენობა...
4. წევაში, რამდენიმე დღესასწაულზე სრულდებოდა წრიული ერთსართულიანი და ორსართულიანი ფერხულები, რომლებიც (*სვანური გაჩეჩილაძის აღწერილობის მიხედვით*), აშკარად, წარმართულ სარიტუალო ცეკვებს წარმოადგენდნენ. „საფერხულო რეპერტუარით განსაკუთრებით მდიდარია სვანეთი. იქ შემონახულია უძველესი წარმართული ფერხულები“[90ა].

5. სოფ. წევის ბატონების მაჭავარიანების *(რომელთაც 1458 წლის საბუთით წევის მფლობელობა განუახლა გიორგი მეფემ...)* გვარის მოხსენიება სვანეთში XIV-XV საუკუნეების საბუთებში[91]...

6. წევის ეკლესიაში, საკურთხევლის აფსიდის კედელთან, აფსიდის ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ, ქვის იატაკში ამოჭრილია წრიული, დაახლ. 5 სმ. დიამეტრის მქონე, ხვრელი, (დახურული გადმობრუნებული წაკვეთილი კონუსის ფორმის სარქველით, რომლის ზედაპირი იატაკის სიბრტყეს თანხვდება). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ხვრელი წარმოადგენდეს წმინდა ნაწილების შესანახს... ჩვენი აზრით, ის, შესაძლოა, იყოს მიწის ხვრელ-სალოცავის იმიტაცია, რომელიც სვანეთში ყოფილა გავრცელებული წარმართულ ხანაში...[92].

7. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდა კასპის რ. სოფ. ფავნისის ეკლესიის მოხატულობასთან მსგავსებისა, წევის ეკლესიის მოხატულობის I ფენა რამდენადმე ჰგავს სვანეთის მოხატულობებს (რის შესახებაც, უფრო ვრცლად, აღნიშნული გვაქვს წევის ეკლესიის შესახებ ჩვენს მონოგრაფიაში)...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ჩანს, რომ თამარ მეფეს „ჯაჭვ“ ფუძის მქონე გვარის წარმომადგენელი სვანეთიდან იმერეთში ჩამოესახლებინა და მისი გვარი იმერეთში ძე დაბოლოებით გაფორმებულიყო.

შესაძლოა, ლეგენდები: ა). სვანის, სახელად შალიანის, მიერ იმერეთის მეფისთვის წევის ეკლესიის სასწაულთმოქმედი ხატის თხოვნის და ამ ხატის წევიდან სვანეთში წაღების შესახებ და ბ). თამარ მეფის მიერ ჯაჭვაძის წევაში ჩამოსახლების შესახებ, „მიგვანიშნებენ“ წევასა და სვანეთში მოხვედრილი სოფ. ჯაჭვის მოსახლეების ურთიერთსწრაფვაზე და ურთიერთობაზე...

სოფელი ჯაჭვი, რომელსაც, როგორც ჩანს, მისი მაცხოვრებლების საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ჯაჭვების წარმოებით დაკავების გამო შეერქვა ეს სახელი *(აქვე ახლოს მდებარეობს ე. წ. რკინის ხევი და ნაქალაქარი სარკინე...)*, მდებარეობდა აღმოსავლეთიდან მომავალი გზის პირას (აქ რომ გზა გადიოდა, ამას მოწმობს ნასოფლარში მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის მეტსახელიც – „აქლემიანთ საყდარი“...), ამიტომ აღმოსავლეთიდან მტრის შემოსევების დროს არაერთხელ ყოფილა იავარქმნილი. ამ სოფლის მოსახლეებს, ალბათ, ხშირად უწევდათ თავიანთი საცხოვრებლის მიტოვება და სხვა, უფრო უსაფრთხო, ადგილებში თავის შეფარება. ეს სოფელი ზემოდან დასცქეროდა მტკვრისა და არაგვის შესართავს. მტრის შემოსევის შემთხვევაში, ჯაჭველებისთვის გასაქცევად ყველაზე მოსახერხებელი მარშრუტი წყალმარჩხი მდინარის, არაგვის ხეობა იქნებოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს არაგვის აყოლებაზე განლაგებული „ჯაჭველის“ სალოცავები *(რომლებიც ხევსურთა სალოცავებად არის მიჩნეული)*. **ერთმანეთის მიგნების და თავიანთი სოფლის ხსოვნის შენარჩუნების მიზნით, როგორც ჩანს, ისინი გზადაგზა აარსებდნენ „ჯაჭველის“ სალოცავებს.** (ამ სალოცავების სახელში ნათლად იკითხება სოფ. **„ჯაჭვის“** სახელი და სადაურობის აღმნიშვნელი **„ელ“** სუფიქსიც). ეს რომ ასეა, ამას უნდა მოწმობდეს ამ სალოცავებზე დაწესებული ორიგინალური შესაწირავი: – მათ, თურმე, **ძეწკვებს და მძივებს სწირავენ, რაც, ჩვენი აზრით, ჯაჭვის სიმბოლო უნდა იყოს** და, შესაძლოა, მძივის მარცვლებივით დაფანტული ჯაჭველების გაერთიანების სიმბოლოც

[ხევსურულ მითოლოგიაში „ჯაჭველი“ ხევსურთა მფარველ, მებრძოლ წმინდანად მოიაზრება. მითებში ჩანს, რომ მთაში, ოდესღაც, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მოსახლეობა არსებულა: I. კაციჭამია დევები, II. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი, მაგრამ ფიზიკურად დევებზე უფრო სუსტი მოსახლეები, III. განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეზე მყოფი მოსახლეები, რომლებიც, ფლობდნენ დევებისაგან თავდაცვისათვის აუცილებელ იარაღს და რომლებიც, დამცველად მოევლინენ, მთაში მათზე უფრო ადრე ასულ, არაკაციჭამია მოსახლეებს, რის გამოც, დამხვდურები, მათ „ღვთისშვილებთან“ და „ჯვარ-ხატებთან“ აიგივებდნენ. ჩვენი აზრით, ასეთები ყოფილან სოფ. ჯაჭვიდან მთაში ასული ადამიანებიც. ზოგი გადმოცემის მიხედვით, მისახვედრია, რომ „ჯაჭველები“ რეალური ადამიანები იყვნენ. მაგალითად, ჯაჭველის ერთ-ერთი სალოცავის შესახებ, ასეთი გადმოცემა არსებობს: დევების თავდასხმებისაგან, „ხალხი რომ შეწუხდა, წავიდნენ ქავთარნი

და ოჩიაურნი და საიდანღაც მოიყვანეს ჯაჭველი დევებთან საბრძოლველად. ჯაჭველი დაარსდა ერთ ხმელ გორაზე და დაერქვა „ჯაჭველი ხმელის გორისა“. მან დაუწყო დევებს ბრძოლა და შეაშინა ისინი“[93]...

იმ ლიტერატურაში, სადაც „ჯაჭველის“ სალოცავებია ნახსენები[93, 94], ჩვენი ჰიპოთეზის (რომ „ჯაჭველის“ სალოცავები სოფ. ჯაჭვიდან გახიზნულთა მიერაა დაარსებული) მსგავსი აზრი არ შეგვხვედრია, თუმცა, არა გვგონია, რომ ეს ჰიპოთეზა მცდარი იყოს. შესაძლოა ჯაჭველების მთებში ასვლა და ჯაჭველის სალოცავების დაარსება ძალიან ძველად მოხდა და ხევსურეთის მოსახლეობამ, რომელიც, შესაძლოა, რამდენჯერმე ადგილნაცვალია მთასა და ბარს შორის, მიივიწყა, რომ ჯაჭველი სადაურობის აღმნიშვნელი სახელია.

ჩვენი ვარაუდით, მართალია, დამხვდური ხევსურები „ჯაჭველს“, მათ დამცველ, მამაკაც ღვთაებად აღიქვამდნენ, მაგრამ, თვითონ ჯაჭველები ალბათ „ჯაჭველის“ სალოცავებს ქალღვთაებისად მოიაზრებდნენ და მძიგებს ამიტომ სწირავდნენ, თუმცა, ეს არ გამორიცხავს ამ შესაწირავის ზემოხსენებულ სიმბოლიკას: – საყურადღებოა, რომ სვანეთში, უწინ, სოფელ მურყმელის პირდაპირ მდებარე მთაზე, ე. წ. ლატლიშში, ყოფილა ლამარიას (წმ. მარიამის) ეკლესია, რომლის ნანგრევებში, თურმე, მძიგებს და სხვა სამკაულებს პოულობენ. „ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს ლამარიას და წარმართული „ადგილის დედის“ ფუნქციათა თანხვედრას“[95], შესაძლოა, ჯაჭველები ადგილის დედას თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას სთხოვდნენ[96,97]).

[საინტერესოა, რომ XVII ს-ში სოფ. ჯაჭვის ახლომდებარე ადგილებიდან აყრილი მოსახლეობა ამჟამად ირანში, ფერეიდანის მხარეში ცხოვრობს. მწერალი, სახოგადო მოღვაწე და მთარგმნელი ა. ჭელიძე წერდა „ფერეიდნელი ქართველები, ჩვენი ისტორიული წყაროს მიხედვით, გადაუსახლებია შაჰ აბას დიდს 1614-17 წლებში, ტფილისის გარშემო მდებარე უბნებიდან, დაახლოებით ასოცდაათი ათასი სული. ამ გადასახლებას ამტკიცებს ამჟამად ფერეიდანში არსებული სოფლების ქართული სახელები, მაგალითად: **მარტყოფი, ნინოწმინდა, ვაშლოვანი** და სხვა“ [98].

ფერეიდანში მდებარე, თხუთმეტი ქართული სოფლის სახელებს შორის ის ასახელებს **ჩულურეთს** და **აფოსს** (რუისპირი)[99].

საქართველოს გეოგრაფიის წიგნში (რედ. ო. ხმალაძე), ნახსენებია ირანში გადასახლებული ქართველების მიერ დაარსებული სოფლებიც, მათ შორის სოფელი **ავჭალა**[100].

ვინაიდან საქართველოში მდებარე სოფლები ავჭალა და ჩულურეთი წარსულში სოფ. ჯაჭვის ახლომდებარე სოფლები იყო, ვფიქრობთ, რომ სოფ. აფოსის სახელი (თუ ეს სახელი ირანული არ არის) შესაძლოა იყოს, წარსულში სოფ. ჯაჭვის მიმდებარე, სოფ. **ფოსვის** სახელის დამახინჯებული ვარიანტი[101, 102].

საყურადღებოა, რომ ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველების შესახებ, წერს: **„მიწის მოხვნა იციან იმერულ წესზე, პატარა ხის კავ-სახნისით, გრძელი თოკით გამობმული უღელზე, სახვნელის ქუსლი და ერქვანი, ერთი სიტყვით იგივე, როგორიც არის იმერული „წეწენა“**[103].

გასულ წელს, ჩვენ (ე. გ.) შემთხვევით შევესწარით, საქართველოში ჩამოსული ფერეიდნელების საუბარს. **მოგვეჩვენა, რომ მათი საუბრის კილო, ოდნავ, იმერულს წააგავს**, ალბათ იმით, რომ ისინიც ხშირად ხმარობენ „ე“-ს – „ა“-ს ან „ო“-ს ნაცვლად (იგივე შეგვიმჩნევია გურულების მეტყველებაში), თუმცა, ფერეიდნელების საუბარში აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საუბრისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც არის... (მაგალითად „ყე“ ნაწილაკი და სხვ.) მოგვყავს ერთ-ერთი ფერეიდნელის ჩანაწერის ნაწყვეტი ზ. შარაშენიძის წიგნიდან – ფერეიდნელი გურჯები:

„პური მეეტანაყე, ერთი საპალნე. ღამით ბიჭებს არა ჰქონიყოყე პური, ემეეღოყე ხუთი ლიტრა ფქილი, წეეღოყე წყაროზე სუფრით და მეეზილაყე, მეეტანაყე, ეენთოყე, ჩარსანგები დეეცხელაყე, ფათირი დეეკრაყე“[104].

(აკადემიკოს ა. ჩიქობავას განხილული აქვს ფერეიდნული ენის მთავარი თავისებურებანი. ის აღნიშნავს, რომ ბგერათა ასიმილაცია ფერეიდნულში და იმერულში ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისაა, რასაც განსხვავებული საარტიკულაციო ბაზისი განსაზღვრავს[105], (<u>იმ მცირე მსგავსების მიზეზი კი, რამაც განაპირობა მის მიერ ფერეიდნულისა და იმერულის შედარება, მას განმარტებული არა აქვს – ე. გ...).</u>

ფოტოსურათების მიხედვით, ფერეიდნელებს იმერლებს ვერ ვამსგავსებთ. ფერეიდნელებს, თითქოს, უფრო მოგრძო და ვიწრო, უფრო მუქი სახეები უჩანთ და უფრო დანაწევრებულფორმებიანი შუბლები (წარბზედა რკალი და შუბლის ზედა ნაწილს შორის საზღვარი უფრო მეტად აქვთ გამოვლენილი)... საქართველოში მათი წინაპრები ისეთ ადგილებში ცხოვრობდნენ, რომლებიც მტერთაგან მრავალგზის იყო იავარქმნილი და საიდანაც მოსახლეობა მრავალჯერ იქნებოდა ადგილნაცვალი. ფერეიდანში ცხოვრებაც მათ გარეგნებაზე თავის კვალს დაატყობდა... ამიტომ ფერეიდნელებისა და იმერელი ჯაჭვაძეების შორეული წინაპრების საერთო წარმომავლობის გამოვლენა, ახლა, წარმოუდგენელია (გენეტიკური ანალიზის გარეშე)... (<u>ჩვენ აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ შემჩნეული, მცირე მსგავსება... იქნებ მომავალში აღმოჩნდეს მსგავსების სხვა ნიშნებიც და გაირკვეს ამ მსგავსების საფუძველი)</u>][106].

მშვიდობიანობის დროს, მთაში გამრავლებული მოსახლეობის ნაწილი ბარში ჩამოდიოდა, ნაწილი კი მთაში რჩებოდა. ბუნებრივია, რომ მთებში, მათი მიუდგომლობის გამო, უკეთ იქნება შემონახული უძველესი ანთროპოლოგიური ტიპები.

იმას, რომ ჯაჭველის სალოცავების მომლოცველი ხევსურები ნამდვილად მცხეთის მიდამოებიდან მთაში ასული მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ, უნდა მოწმობდეს ანთროპოლოგ მ. აბდუშელიშვილის დასკვნა ხევსურეთში აღმოჩენილი XVI-XVII საუკუნის ადამიანის თავის ქალების სამთავროს სამაროვანში[107] აღმოჩენილ უძველეს თავის ქალებთან მსგავსების შესახებ: „ხევსურული სერიის მსგავსება სამთავროს სერიასთან იმდენად დამაჯერებელია, რომ მას აჭარბებს მხოლოდ ხევსურული სერიის მსგავსება დუშეთის სერიასთან... ხოლო ეს მსგავსება თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს უძველესი პალეოანთროპოლოგიური ტიპები ყველაზე ნაკლებად შეცვლილი ფორმით შემორჩნენ ხევსურთა შორის, რაც აიხსნება ამ უკანასკნელთა საუკუნოვანი იზოლირებულობით“[108].

საქართველოს მაღალმთიანეთის მოსახლეობა: ხევსურები, ფშაველები, თუშები, მთიულები, გუდამაყრელები, სვანები მიეკუთვნებიან კავკასიონურ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელსაც ახასიათებს შედარებით უფრო ნათელი ფერის თვალები და თმა, ცხვირის კეხიანობის უფრო დაბალი პროცენტი, სხეულის მეტი სიმაღლე, სახის მეტი სიმაღლე და სიფართე და ნაკლებპროფილირებულობა ვიდრე ქართლ-კახეთის მოსახლეობას [109,110].

თუ ჩვენი ჰიპოთეზა, ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეთა, მცხეთის მახლობლად მდებარე, სოფ. ჯაჭვიდან წარმომავლობის შესახებ, სიმართლეს შეესაბამება, მაშინ მათ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას საერთო წარმომავლობა ჰქონიათ...

ჩვენი აზრით, **კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპის[109] ზოგი დამახასიათებელი ნიშნის** [რომელიც წეველებს აღმოსავლეთ-ქართული ანთროპოლოგიური ტიპის მოსახლეობასთან ურთიერთობის გარდა, სავარაუდოდ, წეველ აბორიგენებთან („დევებთან“) ურთიერთობითაც შეიძლებოდა შეეთვისებინათ...] **შენარჩუნება უნდა იყოს წევის მოსახლეობის, ქართველ მთიელებთან და, კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხებთან, მცირე მსგავსების საფუძველი.**

მიუხედავად იმისა, რომ წეველები, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მცირე მსგავსებას ამჟღავნებენ კავკასიონურ ანთროპოლოგიურ ტიპთან – (სახის ოდნავ ნაკლებად პროფილირებულობა, ნათელი ფერის თვალების საშუალო რაოდენობა, სხეულის, ქართლელებზე და კახელებზე მეტი, სიმაღლე) მაგრამ განსხვავება უფრო მეტია (მათ არ ახასიათებთ ისეთი მკვეთრი ბრაქიკეფალია, ისე მკვეთრად გამოხატული

ძვლოვანი სისტემა, ისეთი მაღალი და ფართო სახეები, მაღალი ყვრიმალები, ფართო ქვედა ყბა, თვალების მედიალურად დაქანებული ჭრილი, როგორც მთიელებს. წეველთა კულტურაც დიდად განსხვავდება მაღალმთიანი საქართველოს და კავკასიის ხალხთა კულტურისაგან და იმერული კულტურის სანიმუშოდ დახვეწილ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მკაფიოდ ეტყობა ქართლური, კერძოდ მცხეთა-თბილისური კულტურის კვალი.

წევაში შეგროვილ მასალებში ჩანს, რომ წეველები არ იყვნენ იზოლირებული გარე სამყაროსაგან და გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ არაქართულ ეთნოსებთან. გაჩეჩილაძეებისთვის ვინმეს ბერძნობა, ებრაელობა ან რუსობა რომ დაებრალებინა, ამის დამადასტურებლად რაღაც არგუმენტებს მაინც მოძებნიდა: ბერძნებს, ებრაელებს და რუსებსაც საკმაოდ ბევრი ჰყავთ ქერა და ცისფერთვალება... ქრისტიანული ეკლესიის მეშვეობით, XIX საუკუნის წეველთა თითქმის მესამედს ბერძნული და ებრაული სახელები ერქვა (ისევე, როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედს...), წევის ეკლესიის მოხატულობის ორივე ფენას ბიზანტიური მხატვრობის გავლენა ეტყობა (ისევე, როგორც ქართული კედლის მხატვრობის დიდ ნაწილს...), წევის ეკლესიის მინაშენები ბერძენი ოსტატების ხელითაა შესრულებული, გაჩეჩილაძეების წინაპრებს ბერძნებისა და ებრაელებზე ნაკლებად არ ეხერხებოდათ ვაჭრობა, სარწმუნოებრივ საკითხშიც, ოსებისაგან განსხვავებით, ბერძნებისა და ებრაელების მსგავსად, სტაბილურები იყვნენ, წეველთა ლექსიკაში ორიოდერუსული სიტყვაც შეიძლება მოვიძიოთ, შესაძლოა ლათინური, არაბული, სპარსული, თურქული ან რუსული სახელიც შეგვხვდეს გაჩეჩილაძეების სახელთა შორის... როგორც ვხედავთ, თუკი რომელიმე ეთნოსთან რაიმე ურთიერთობა ჰქონიათ წეველებს, ყველასგან დარჩენილა რაღაც კვალი... ოსებთან საერთო კი არაფერი ჩანს, გარდა მცირეოდენი გარეგნული მსგავსებისა, რომელიც ახასიათებს მთელ ქართულ მოსახლეობას და განსაკუთრებით მთიელებს, რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ... (ყივჩაყებთან საერთოს ქონაზე, ჩვენი აზრით, ლაპარაკი ზედმეტია...).

ასეთ მინიმალურ დონეზე, სხვადასხვა ეთნოსებთან ურთიერთობის ნაკვალევი ეტყობა მთელი ქართველი და ყველა სხვა ხალხის კულტურას და ყოფას, რომელსაც ურთიერთობა აქვს გარე სამყაროსთან. ეს არ ნიშნავს მაინცა და მაინც ამ ხალხებთან არც გენეტიკურ და არც კულტურულ ერთობას. 99% იმ მასალისა, რაც ჩვენს საგვარეულოს და ჩვენს სოფელს ეხება **სანიმუშოდ ქართულია. ზემოხსენებული მცირე მასალა, რაც წევის სხვა ეთნოსებთან ურთიერთობაზე მიანიშნებს, წევაში ან მის მიმდებარე რეგიონში არაქართველი ეთნოსების ცხოვრებაზე არ მიუთითებს, ხოლო, რაც შეეხება გაჩეჩილაძეების თვითშეგნებას** *(ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენლის ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილებას მისი თვითშეგნება განსაზღვრავს...)* **– როგორც წინაპართა გადმოცემებიდან, ისე XIX-XXI საუკუნეების გაჩეჩილაძეების ლიტერატურული ნაწარმოებებიდან გამოსჭვივის ღრმა პატრიოტიზმი – საქართველოსადმი უანგარო თავდადების განწყობა და შესაბამისი ქმედება, რომლის მაგალითები მრავლადაა მოყვანილი ჩვენს საგვარეულო კრებულებში...**

ჩვენი აზრით, ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელი ადამიანი იმ ქვეყნის და ერის შვილია, რომლის შვილადაც მას თავი მიაჩნია, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს, რომლის ენა, მამული, კულტურა, მენტალიტეტი, სარწმუნოება შესისხლხორცებული აქვს და რომელთა დასაცავად უყოყმანოდ სწირავს თავის სიცოცხლეს. ისიც შესაძლებელია, ზოგიერთ ადამიანს ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტთაგან ორი ან სამი აკლდეს, მაგრამ თავისი პიროვნების იდენტიფიკაციას მაინც საქართველოსთან და ქართველობასთან ახდენდეს (და, მით უმეტეს, რაღა საკითხავია, რა წარმომავლობისანი არიან გაჩეჩილაძეები, რომელთაც ყველა ზემოხსენებული ნიშნის ქართულობა მაღალ დონეზე აქვთ გამოხატული). მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, თუ საგვარეულოების ისტორიას ვსწავლობთ, მათი ეთნიკური წარმომავლობაც პირუთვნელად უნდა წარმოვაჩინოთ, არა იმიტომ, რომ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ქართველები დავახარისხოთ, არამედ იმიტომ, რომ ისტორიის რეალური სურათი დავინახოთ, რაც ისტორიული პროცესებიდან სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს *(სხვაგვარად ისტორიის „შესწავლას“*

რა აზრი აქვს?..) და იმიტომაც, რომ ვერავინ შეძლოს ჩვენთვის ცრუ ინფორმაციის თავს მოხვევა...

არანაირი ქსენოფობიური განწყობა არცერთი ერის მიმართ არა გვაქვს. ოსებთან და ყივჩაყებთან სისხლით ნათესაობას ქართველი მეფეები არ თაკილობდნენ და ჩვენ, უბრალო გლეხების შთამომავლები, როგორ მივცემთ ჩვენს თავს ამის უფლებას *(ან წინაპრის უარყოფა, ვინც არ უნდა იყოს ის, რა საკადრისია, მათი წინაპრობა ჩვენთვის დასაჯერებელი რომ იყოს),* მაგრამ ჩვენს კრებულებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალის შესწავლის შემდეგ, ჩვენთვის კიდევ უფრო დაუჯერებელი და მიუღებელია ის ლეგენდები, რომლებშიც წეველების და მათი მეზობლების არაქართულ წარმომავლობაზეა ლაპარაკი, იმიტომ, რომ ამის დამადასტურებელი ვერანაირი კვალი ვერ მოვიძიეთ.

ამჟამად ჩვენს ხელთ თავმოყრილი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ გაჩეჩილაძეები არიან ერთ-ერთი ყველაზე სუფთაქართული წარმომავლობის[114], ერთ-ერთი უადრესი ქართული გვარის წარმომადგენელი *(ძალიან ცოტა ქართულ საგვარეულოს თუ ექნება ამდენი მასალა თავისი წარსულის და თავისი ეთნიკური კუთვნილების წარმოსაჩენად...)*, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს სოფელში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების და ერთ-ერთ უძველეს, სასწაულთმოქმედ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის შედეგად დახვეწილი, გონიერი, ნიჭიერი, მშრომელი, სწავლისა და წესრიგის მოყვარე, საქართველოს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და ცენტრალური ხელისუფლების ერთგული, მუდამ მათ დასაცავად შემართული, საუკეთესო ქართული ეროვნული ტრადიციების მატარებელი, ძირძველი ქართველი გლეხობის შთამომავლობა[115].

ლეგენდები გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძეების ნიორაძეების, ებანოიძეების, ლეკიშვილების საერთო წარმომავლობის შესახებ

რადგან გაჩეჩილაძეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ჩვენი მოსაზრებები უკვე გაგაცანით, ახლა განვიხილავთ ზოგიერთ ლეგენდას, რომლებშიც გაჩეჩილაძეების სხვა გვარებთან გენეტიკური ნათესაობის შესახებ არის საუბარი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძის (გოგება)* მიერ მოწოდებული ლეგენდა (იხ. ლეგ. №49ა), რომელშიც მოყვანილია ინფორმაცია გაჩეჩილაძეების და ებანოიძეების ეთნარქების ერთი დედ-მამის შვილობის შესახებ, რასაც ბ-ნი თენგიზი ასაბუთებდა იმით, რომ, როცა ის 16 წლის იყო, მამამისმა გააფრთხილა, რომ, მათ ოჯახთან დაახლოებული, ვასილ ებანოიძის ლამაზ გოგონაზე „სხვანაირად“ ფიქრი არ გაებედა, რადგან ის მათი ოჯახის ნათესავი იყო... გავიდა წლები და ბ-ნ თენგიზს ტიტე ალფეზის ძე გაჩეჩილაძემ (ოქროპირი)**, ჯაჭვაძეების და გაჩეჩილაძეების გვარების წარმოშობის შესახებ, უამბო ლეგენდა (იხ. ლეგ. № 49), რომელიც იუწყება, რომ ერეკლე მეფის მოლაშქრის, კახეთიდან წევაში გაქცეული, ოჯახისათვის, შორაპნის ციხის აღდგენაზე მუშაობის დროს, საშენი მასალის ჯაჭვისებური წესით გადატანის გამო, ჯაჭვაძეები უწოდებიათ. ამ ოჯახის შვიდი ვაჟიშვილიდან ხუთი წევიდან სხვადასხვა ადგილებში გადასახლებულა... როგორც ჩანს, ბ-ნი თენგიზის ცნობიერებაში მამისეული გაფრთხილება და ეს ლეგენდა გაერთიანდა და მან, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ბავშვობაში მამისგან მოსმენილ დარიგებას ასეთი ახსნა მოუძებნა, რომ, ალბათ, ჯაჭვაძეთაგან ერთ-ერთმა, წევიდან წასულმა, ძმამ გვარი ებანოიძედ გადაიკეთა და აქედან მომდინარეობს ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეებისა და ებანოიძეების ნათესაობაო. გავიდა დრო და ბ-ნ თენგიზს დაავიწყდა, რომ ჯაჭვაძეებისა და ებანოიძეების ეთნარქების ძმობის ამბავი მან თვითონ, ლოგიკური ანალიზის გზით, მოიფიქრა და ეს ამბავი მამისგან გაგონილად მიიჩნია. მაგრამ მამამისი ამას ვერ ეტყოდა, ვინაიდან, როგორც ახლახან ქ-ნი მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძის* დახმარებით გავარკვიეთ, ზემოხსენებულ ვასილ ებანოიძეს ცოლად ჰყოლია აგრაფინა პორფირეს ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი), რაც, ცხადია, ბ-ნმა ალექსანდრემ** კარგად იცოდა და თავის შვილს ვ. ებანოიძის გოგონას შეყვარებას ამიტომ უკრძალავდა...

ის რომ ბ-ნმა ალექსანდრემ თავის შვილს არ განუმარტა თუ რაში მდგომარეობდა ებანოიძეებისა და მათი ოჯახის ნათესაობა, გახდა მისი ვაჟის მიერ, მისდა უნებურად, ახალი ლეგენდის შექმნის საფუძველი... ასე რომ, გავარკვიეთ, რომ ებანოიძეებისა და ჯაჭვაძეების ეთნარქები ძმები არ ყოფილან...

თვითონ ებანოიძეების მონაყოლი, მათი გვარის იმერეთში მოხვედრის ისტორიის შესახებ, სევასტი გაჩეჩილაძის ნარკვევში მოყვანილი ლეგენდისაგან დიდად განსხვავდება: სოფ. წევის მიმდებარე, სოფ. აჭარაში მცხოვრები, დაახლოებით 42-45 წლის ვახტანგ ებანოიძის თქმით, ებანოიძეები აჭარლები ყოფილან, გვარად ებანოღლები (გამუსულმანებულ ქართველებს, ხშირად, გვარის დაბოლოებას უცვლიდნენ). ბ-ნი ვახტანგი, აჭარიდან მისი მოგვარეების წამოსვლის შემდეგ, მეთორმეტე თაობის წარმომადგენელი ყოფილა. ანუ, გამოდის, რომ ებანოღლები იმერეთში გადმოსახლებულან დაახლოებით XVIII სს. დასაწყისში, ან XVII სს. ბოლოს (ლეგ. № 73). *(ისტორიულ წყაროში გვარი „ებანოიძე“ პირველად XVII ს-ში იხსენება[116]. იქ ხსენებულ ებანოიძეს, როგორც ჩანს, მაშინ უკვე საკმაოდ აწყობილი ჰქონია მეურნეობა – მისთვის ოთხი ძროხა წაურთმევია ჩხარის ციხის მეციხოვნეს... საეჭვოა, რომ ამ წერილობით დოკუმენტში შემორჩენილი იყოს ყველაზე ადრეული ებანოიძის ხსენება. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ეს გვარი უფრო ადრეული იყოს...).*

სოფ. აჭარაში მათი დამკვიდრების დაახლოებით ასეთივე თარიღს ასახელებენ ნიორაძეებიც. მათი თქმით, ისინი ყოფილან სამხრეთ საქართველოში, მდ. მაჭახელას ხეობაში მცხოვრები ლიონიძეების შთამომავლები, რომლებიც ჯერ აჭარაში გადასულან საცხოვრებლად და იქ კარგა ხანს დარჩენილან, შემდეგ კი იმერეთში დასახლებულან და თავიანთი ახალი სოფლისთვის აჭარა უწოდებიათ (იხ. ლეგ. 75-75ა). [ისტორიულ წყაროებში ნიორაძეები პირველად XVII საუკუნეში იხსენებიან, ხოლო სახელი ნიორა – XIII ს-ში...[117]. ჩვენს ციგნში მოყვანილი № 75ა. ლეგენდა კი ნიორაძეებისათვის გვარის შერქმევას თამარ მეფის ამალას მიაწერს...

საყურადღებოა, რომ სოფ. აჭარა ნახსენებია, 1550-70 წლებით დათარიღებულ, „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში“[23]. რაც იმას ნიშნავს, რომ ან ამ დოკუმენტის დათარიღებაა არასწორი, ან ნიორაძეების ლეგენდების (№ 75, 75ა) მიხედვით, ამ სოფლის შექმნის თარიღად საგულვებელი დრო.

იოანე ბატონიშვილი (თუ დაეჯერება...), ნიორაძეების წინაპრად მიჩნეულ, ლიონიძე-ლეონიძეებს სომხურ წარმომავლობას მიაწერს...[118].

ნიორაძე იყო ჩვენი საგვარეულო დარბაზის წევრების, მეგი იესეს ას გაჩეჩილაძის*, ბებია და თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* დედა. წეველებიც და მათი მეზობელი სოფლების წარმომადგენლებიც ეგზოგამიის წესს მკაცრად იცავდნენ. გაჩეჩილაძეებსა და ნიორაძეებს შორის სისხლით ნათესაობა რომ არსებულიყო, მათ ერთმანეთზე დაქორწინებას არ დაუშვებდნენ...

[საინტერესოა, გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო ლეგენდებში დასახელებული გვარების სულადობა მეტყველებს თუ არა ამ გვარების მეტ-ნაკლებ სიძველეზე? გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეები – 5811 სული, ებანოიძეები – 814 სული, ნიორაძეები – 673 სული, ხიბხიბაძეები – 681 სული, ხივხივაძეები – 542 სული... (1995 წლის ვაუჩერიზაციის მონაცემების მიხედვით)].

ასე რომ, გარდა გაჩეჩილაძეების არაქართულ წარმომავლობაზე ლეგენდებისა, **არ დასტურდება არც ის ლეგენდები, რომლებიც გაჩეჩილაძეების ებანოიძეების და ნიორაძეების გენეტიკურ ერთობაზე – ერთი საერთო წინაპრიდან წარმომავლობაზე მიუთითებენ.**

ადამიანის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ლეგენდებს პირდაპირი კავშირი აქვთ ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებთან – ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ გაშემო მყოფი საზოგადოების მათ მიმართ დამოკიდებულებაზე... და ამიტომ, ამგვარი ლეგენდების გადმოცემის დროს, ადამიანები უფრო ტენდენციურნი არიან, ვიდრე მათ მხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც უფრო განყენებულია მათი ყოფითი ინტერესებისაგან.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ლეგენდებს და მათ ვარიანტებს თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი და იმავე ადამიანის, ერთსა და იმავე საკითხზე, სხვადასხვა დროს, მონათხრობი. კიდევ უფრო მეტად

განსხვავდება ერთმანეთისაგან საერთო ოჯახისა და საერთო ბუნის წევრთა მონათხრობი ლეგენდები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რამდენი თაობა გამოიარეს ამ გადმოცემებმა, სანამ ჩვენამდე მოაღწევდნენ, ფრიად საეჭვოდ მოგეჩვენებათ მათში მოყვანილი ინფორმაცია.

მრავალჯერ შეგვიმჩნევია ადამიანების წარმომავლობასთან დაკავშირებული ლეგენდების მთხრობელთა სიცრუე, მაგალითად: იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები, ამა თუ იმ ოჯახთან ან პიროვნებასთან დაახლოების მიზნით, თხზავენ ლეგენდას მათი ვითომდა სისხლისმიერი ნათესაობის შესახებ, მათი წინაპრების განსაკუთრებული ახლობლობის და ურთიერთპატივისცემის შესახებ ან პირიქით – შვილებისათვის ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელზე ქორწინების ტაბუირებისათვის – არასასურველი დანათესავების თავიდან ასცილებლად; ან რომელიმე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის დამცირებისა და უცხოდ წარმოჩენის, ან პირიქით, სახელმოხვეჭილი ადამიანის თავისი ეთნიკური ჯგუფისათვის კუთვნილების დასასაბუთებლად;

შემხვედრიან მეორედ გათხოვილი ქალები, რომლებიც პირველი ქმრისაგან შეძენილ შვილს მეორე ქმრისაგან შეძენილად აცხადებენ. ისინი საზოგადოების თვალში საკუთარი ზნეობის შესახებ წარმოდგენის შელახვასაც კი არ დაგიდევენ, ოღონდ კი I ქმრისგან შეძენილი შვილის მეორე ქმრის ოჯახთან ადაპტირება მოახერხონ. და, რაც მთავარია, ასეთი გამომგონებლობის ყველაზე საზიზღარი ფორმაა, მტრის სპეცსამსახურების მიერ, სხვადასხვა (მონათესავე ან არამონათესავე) ხალხების ერთმანეთის მიმართ გაუცხოება-დაპირისპირების ან მათი ეროვნული თვითშეგნების არევის და დათრგუნვის მიზნით შეთხზული ლეგენდები, რომელიც იმ ხალხის ანთროპოლოგიური მონაცემების, ზნე-ჩვეულებების და ძირითადი პრობლემატიკის შესწავლის საფუძველზე ინერგებოდა და ინერგება, რათა მათთვის, ვისზე ზემოქმედების მოხდენაც სურთ, დამაჯერებელი იყოს[119]...

ლეგენდების გაანალიზებისას მკვლევარმა, შეძლებისდაგვარად, უნდა გაითვალისწინოს მთხრობელთა ხასიათის თავისებურებები და ცხოვრების პრობლემატიკა: წევა და მისი ახლომახლო სოფლები მცირე და მწირმიწიანია. ამიტომ გლეხები ცდილობდნენ თავის ტერიტორიაზე უცხო არავინ მიეღოთ. ამ სოფლებში დასახლების მოსურნე ცდილობდა დამხდურ მოსახლეობასთან ადაპტირებას. შესაძლებელია, გაჩეჩილაძეების ზოგიერთ გვართან გენეტიკური ნათესაობის შესახებ ლეგენდები ასეთი მიზნით შეიქმნა...

ლეგენდებში ადამიანები თავიანთ სულისკვეთებას და ფანტაზიას, გარემომცველი სინამდვილის მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას ავლენენ მაგ.: მისახვედრია, რატომ არის, მაინცა და მაინც, გაჩეჩილაძეთა გვარში ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი, არქიტექტორის მიერ მოყოლილ ლეგენდაში გაჩეჩილაძეთა ეთნარქი წარმოდგენილი წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრად, თანაც ისეთად, რომელიც მზადაა თავისი ქმნილების მაქსიმალური ხარისხიანობისათვის საკუთარი სიცოცხლეც კი გაწიროს... (იხ. ლეგ №40).

ზოგჯერ სულ მარტივ საბაბს, მაგალითად ჩვენი ეთნარქის თმაგაჩეჩილობის შესახებ გადმოცემას, სულ სხვადასხვა მიმართულებით აუმოძრავებია ჩვენი მოგვარეების ფანტაზია: მოხუც როსტომს, რომლისგანაც სევასტი გაჩეჩილაძემ ლეგენდა ჩაიწერა, თავისი მოგვარეებისადმი ზიზღის გამოსახატავად და მათ გასაღიზიანებლად ასე წარმოუჩენია გაჩეჩილაძეთა ეთნარქი: „ამ დიაკონს ისეთი გაბუძგული ბალანი ჰქონდა თურმე, რომ „ოთხი“ კაცი შეიჩრდილებოდაო“ (იხ. გვ. 128). ერთ მოხუც ქალბატონ გაჩეჩილაძეს შვილიშვილისთვის მოუყოლია, რომ, თურმე, იმ დიაკონს ორი შვილი მოჰკვდომია და იმიტომ დადიოდა თმაგაჩეჩილიო... (იხ. ლეგ. № 72); ხოლო ერთ ოხუნჯ ბატონს შვილისთვის უთქვამს, რომ გაჩეჩილაძეების ეთნარქ დიაკონს „გაჩეჩილა“ იმიტომ შეერქვა, რომ ის დიაკონი მღვდლის ოჯახში ცხოვრობდა, მის ცოლს ეკურკურებოდა და ისიც სიყვარულით ეძახდა – ჩემო თმაგაჩეჩილოო (იხ. ლეგ. № 56)...

ლეგენდების წარმოქმნაზე ზემოქმედი ზემოხსენებული და სხვა ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ სპეციალისტმა მკვლევარებმა, არამედ რიგითმა ადამიანებმაც და ბრმად არ უნდა დაიჯერონ არავის მონაყოლი...

ყველა ლეგენდაში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმება ჩვენ ვერ მოვახერხეთ. კარგი იქნება თუ საგვარეულო დარბაზის შემდეგი შემადგენლობა გადაამოწმებს თენგიზ ალექსანდრეს ძეგაჩეჩილაძის*(გოგება) მიერ მოწოდებულ ლეგენდაში (№ 49ბ) მოყვანილ ინფორმაციას **ლეკიშვილების** ნაწილის ჯაჭვაძეებიდან წარმომავლობის შესახებ: – კახეთში გადასახებული ჯაჭვაძეების ერთ-ერთი ოჯახისათვის ლეკებს 7-8 წლის ვაჟი მოუტაცნიათ. ეს ვაჟი, როცა წამოზრდილა, გამოჰპარვია ლეკებს. როცა ის დავაჟკაცებულა, გვარად ლეკიშვილი დაურქმევია. – ამის მსგავსი ინფორმაცია მოყვანილია ილია მაისურაძის წიგნშიც: – „კახეთში მცხოვრებ ლეკიშვილთა წინაპრისათვის ლეკი შეურქმევიათ, იმის გამო, რომ იგი ბავშვობისას ლეკებს გაუტაცნიათ, მაგრამ გამოპარულა. ლეკიშვილთა მეორე შტოს წინაპარი კი ქართლში გადმოსახლებული ნამდვილი ლეკი ყოფილა“[120]. – სამწუხაროდ, ბ-ნი ი. მაისურაძე არ აღნიშნავს, რა გვარისა ყოფილა ის ბავშვი მის მოტაცებამდე. შესაძლოა, იმ ლეკიშვილმა, რომელმაც მას ეს ამბავი უამბო, არც იცოდა თავისი წინაპრების გვარი...

აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 10 დეკემბერს, ჩვენი საგვარეულოს I ყრილობაზე, მოვიდა ვინმე **ტაველიძე** და განაცხადა, რომ ტაველიძეების გვარი რუსების მიერ წეველიძის გვარის არასწორი დაწერის შედეგად წარმოიშვა... (ამ კაცს ასეთი რამ რომ არ ეთქვა, ტაველიძეების გვარსახელის შინაარსს ტაოელის ძედ ვიგულვებდით...). *(ტაველიძეები სულ 50 სულია – ვაუჩერიზაციის მონაცემების მიხედვით. აქედან 45 ცხოვრობს გორში, 2 – სიღნაღში, 1 – თეთრიწყაროში)*[121].

საინტერესოა, აქვს თუ არა რაიმე საერთო წევასთან და წეველიძეებთან მცირერიცხოვან გვარს **წ̲ე̲ველიძეს...**

(XVIIIს. მოსახლეობის აღწერის დავთარში ნახსენებია გვარი **წეურიშვილი**...[122], ჩვენ ამ გვარის არსებობის შესახებ ცნობა სხვაგან არსად შეგვხვედია. თუ ეს გვარი ამჟამადაც არსებობს, საინტერესოა გავარკვიოთ, ჰქონდათ თუ არა მათ წინაპრებს კავშირი სოფ. წევასთან...).

აქვს თუ არა საერთო გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულოსთან ლეკიშვილების ნაწილს, ტაველიძეებს, წაველიძეებს ან წეურიშვილებს დროულად არის გამოსაძიებელი – სანამ კიდევ შეიძლება ვინმეს ახსოვდეს ამ გვარების წარმოშობის ისტორია[123].

შეუძლებელია, რომ ჩვენს მიერ შეკრებილი ლეგენდებიდან რამდენიმე მაინც სიმართლის ელემენტებს არ შეიცავდეს, მაგრამ რა არის მათში შეთხზული და რა არის სიმართლე, ამის გასარკვევად მათში მოყვანილი ინფორმაციის დოკუმენტურ-ფაქტობრივი მასალებით დადასტურებაა აუცილებელი ან, სულ მცირე, სხვადასხვა წყაროებიდან შეკრებილი ინფორმაციის თანხვედრა (იმ შემთხვევაში, თუ ამ ინფორმაციის სისწორის გამომრიცხავი არგუმენტები არ არსებობს...).

ზოგ ლეგენდაში მოყვანილი ინფორმაცია დასტურდება, მაგალითად:

ა). დასტურდება, რომ ჯაჭვაძეები, ნამდვილად, ცხოვრობდნენ წევაში (1827-1840 წლებში და, ალბათ, უფრო ადრეც).

ბ). რომ ჯაჭვაძეების ერთი ნაწილის წინაპრები, ნამდვილად, გაჩეჩილაძეები იყვნენ...

ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროდან შეკრებილ ლეგენდებში მოყვანილი ინფორმაცია იდენტურია ან მსგავსია, რაც ამ ლეგენდებს ასე თუ ისე სარწმუნოს ხდის, მაგალითად:

ა). ლეგენდა № 90-ში მოყვანილი ინფორმაცია, „შარლანის“ ხატის შესახებ, პარალელს პოულობს პ. უვაროვასა და ე. თაყაიშვილის მიერ „შალიანის“ ხატის შესახებ გამოცემულ ლეგენდაში (იხ. გვ. 188, ლეგ. № 90-ის II ნაწ.)...

ბ). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეგენდა ლეკებისაგან მოტაცებული ჯაჭვაძის ბავშვის შესახებ, რომელმაც შემდეგ გვარად ლეკიშვილი დაირქვა, პარალელს პოულობს ილია მაისურაძის წიგნში მოყვანილ ამავე შინაარსის ლეგენდაში...

გ). თითქოსდა დასტურდება ლეგენდა ჯაჭვაძეების სვანეთთან კავშირის შესახებ. იხილეთ 244-ე – 245-ე გვერდებზე ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულების შვიდი პუნქტი...

ლეგენდების ნაწილი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ დასტურდება...

როდესაც ჩვენ ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ სხდომაზე ვთქვით, რომ საგვარეულო ლეგენდების კომენტირებას ვაპირებდით, „საგვარეულო დარბაზის“ ზოგიერთმა წევრმა კატეგორიული წინააღმდეგობა გაგვიწია, რათა ჩვენ არ გაგვეანალიზებინა სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომში მოყვანილი ლეგენდა. იმ მოტივით,რომ თუ იმის მტკიცებას დავიწყებთ, რომ ქართველები ვართ, ხალხი იფიქრებს, ალბათ, არ არიან და იმიტომ ამტკიცებენო. ეს ლეგენდები საგვარეულოს 99-მა %-მა არ იცოდა და თქვენ მათი გამოქვეყნებით და გაანალიზებით ტყუილად სტეხთ აჟიოტაჟს და ისეთ რაღაცაზე აფიქრებთ ხალხს, რაზეც არასოდეს უფიქრიათო. იოანე ბატონიშვილმა ქართველი თავადაზნაურობის 75% არაქართველებად გამოაცხადა და არცერთ თავადაზნაურულ გვარს თავი არ გამოუდია საწინააღმდეგოს სამტკიცებლად და ჩვენ ვინღა ვართ, რომ თავს ვიდებთო?.. *(ძალიან საინტერესო კი არის, იოანე ბატონიშვილის ქართველულ თავად-აზნაურთა გვარებისადმი მიძღვნილ ნაშრომში მოყვანილი ინფორმაცია შემოწმდეს, მით უმეტეს რომ ახლა ამის გაკეთება შედარებით იოლია...).*

რას ვიზამთ, ისეთ ქვეყანაში და ისეთ სამეზობლო გარემოცვაში ვცხოვრობთ, რომ ყოველთვის ყველას და საკუთარ შთამომავლობასაც... უნდა ვუმტკიცოთ ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ, რა არის ჩვენი და რა – სხვისი... მილიონჯერ დაწერენ ჩვენი მეზობელი ერების წარმომადგენლები ქართული ძეგლების შესახებ, ეს ძეგლები ჩვენიაო, მილიონჯერ დაწერენ: ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი მუდამ რუსეთის ტერიტორიები იყოო და თუ პასუხს არაფრით გავცემთ, ბოლოს და ბოლოს ყველა დაიჯერებს...

როდემდე უნდა ვიყოთ ლეგენდების ანაბარა? ეს ლეგენდები თაობიდან თაობას გადაეცემიან და ჩვენს მოგვარეებს გონებას უმღვრევენ (რისი მაგალითებიც ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ). რატომ არ უნდა ვცადოთ სიმართლის დადგენა? მაშ რისთვის შევქმენით საგვარეულო დარბაზი და რისთვის დავიწყეთ ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა?..

სხვას რომ რამე ავუხსნათ, ამისთვის ჯერ თვითონ უნდა გავერკვეთ ჩვენს წარსულში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ ქართველებს ჩვენი სამშობლო გვიყვარს და გვინდა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის *(რომლის გარეშე ჩვენ არავისთვის, მათ შორის, არც ტურისტებისთვის ვიქნებით საინტერესო)* შენარჩუნება, მუდამ უნდა ვიკვლიოთ ჩვენი წარსული. როცა ჩვენ ჩვენი წარსულისადმი ინტერესი გაგვიქრება, საქართველოს ისტორიაც მაშინ დამთავრდება...

ეს ლეგენდები არც ჩვენ ვიცოდით, მაგრამ, როცა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა დავიწყეთ, ისინი ჩვენივე საგვარეულოს წევრებმა მოგვაწოდეს. (მომწოდებელთა ვინაობა მითითებულია ყოველ ლეგენდასთან). ამ ლეგენდებისა და სევასტი გაჩეჩილაძის „წევა, წეველები...“-ში გამოქვეყნებული ლეგენდის წაკითხვის შედეგად დაგვებადა კითხვები, რომელშიც გასარკვევად და პასუხის გასაცემად ათი წელი ინტენსიურად ვიშრომეთ. ჩვენ გვგონია, რომ ამ შრომის პროცესში უკეთესად გავარკვიეთ ვინ ვართ და რა გვიკეთებია და გვინდა ეს ინფორმაცია ჩვენს მომავალ თაობებს გავუზიაროთ. თუ მათთვის იგი სარწმუნო არ იქნება, გაუადვილებთ მაინც ჭეშმარიტების ძიების პროცესს.

რადგან, კაცობრიობის არსებობის რაღაც ეტაპზე, სხვადასხვა გარემოსა და პირობებში ცხოვრების გამო, ადამიანებს შორის მრავალმხრივი განსხვავებები დაგროვდა, კაცობრიობის განვითარების რაღაც საფეხურზე ერები ჩამოყალიბდნენ, ადამიანისათვის თვითიდენტიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი გახდა და თავიანთი თვითმყოფადი სახისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ხალხები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ, ადამიანებმა არ უნდა მისცენ თავიანთ თავს, მათი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი გაუსაძლისი ტანჯვით მოპოვებული, ეროვნული ფასეულობებისადმი ზერელედ ყურების უფლება. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ისინი, ვინც სხვა ხალხების ეროვნული ცნობიერების არევას ცდილობენ და მათ მეტისმეტი ინტერნაციონალურობსკენ მოუწოდებენ, სინამდვილეში თავიანთ ფასეულობებს ძალიან უფრთხილდებიან და სხვისი ავლადიდების – მიწა-წყლის და კულტურული ფასეულობების მითვისებას ცდილობენ.

ერის სხვა ნიშნებთან ერთად, ტრადიციების ერთობლიობის განსხვავებულობა გამოარჩევს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ხალხებს.

ტრადიცია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვა, რომლებიც გამძლეობით ხასიათდებიან და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობების შეცვლის შესატყვისად ისინიც იცვლებიან, ზოგი ტრადიცია მაინც საუკუნეობით და ათასწლეულობითაც კი ინარჩუნებს არსებობას.

ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის მანძილზე შექმნა დახვეწილი, სრულყოფილი და მტკიცე დადებითი ტრადიციები: ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის, დედა-შვილობის, მამა-შვილობის, დედმამისშვილობის, უფროს-უმცროსობის, ნათესაობის, მეგობრობის, მეზობლობის, სტუმარ-მასპინძლობის, ვაჟკაცობის და კარგი-ქალობის, სამშობლოსა და რელიგიისადმი დამოკიდებულების, სხვა ხალხებისა და მათი სარწმუნოებისადმი დამოკიდებულების, წმინდა ადგილების ხელშეუხებლობის, სწავლა-განათლებისადმი დამოკიდებულების, სასოფლო-სამეურნეო, საბრძოლო, სამედიცინო, ჭირსა და ლხინში თანადგომის, ჭირისა და ლხინის რიტუალების, საკვებისა და სასმელის მომზადება-გამოყენების, შემოსვის, ბუნების გაფრთხილების, მშენებლობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგში – შემოქმედებითი და საშემსრულებლო, სპორტის და სხვა.

ქართველთა წინაპრები ანგელოზები არ ყოფილან – დადებით თვისებებთან ერთად უარყოფითი თვისებებიც ჰქონდათ. მათგან ქვეყნისათვის განსაკუთრებით საზიანო იყო და არის ამპარტავნობა (რაც ზოგიერთების მცირედმორწმუნოებიდან გამომდინარეობს) და, მის ნიადაგზე წარმოშობილი, მოუთმენლობა, სიფიცხე, ურთიერთშუღლი.

ცხადია, ყველა ტრადიცია არ უნდა გავაგრძელოთ, მოძველებული და უვარგისი უნდა მოვიშოროთ და არც დადებითი ტრადიციები უნდა გადმოვიღოთ ბრმად, არამედ ისინი, მათი არსის და თანამედროვეობის შესაბამისად, უნდა განვავითაროთ.

კოსმოპოლიტური იდეებით აღრფთოვანებული სევასტი გაჩეჩილაძე ახალგაზედობაში სიამაყით წერდა – ჩემში ეროვნული არაფერიაო, – შემდეგ კი, როცა საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ფოლკლორი და საქართველოს ისტორია, დაინახა, რა ტანჯვა გამოუვლია მის ერს და რამხელა საგანძური შეუქმნია, წერს, – ვინც ერს უარყოფს ძალიან ცდება, მასზე ახლობელი და მშობლიური ადამიანისთვის არაფერიაო...[34] ხოლო,1939 წელს, ლიტერატურათმცოდნე და ფოლკლორისტ მიხეილ ჩიქოვანისადმი მიწერილ წერილში, იგი აღტაცებით აღნიშნავს ქართველი ხალხისა და საქართველოს შესახებ: – **„პატარა ქართველი – ქვეყნის გამზღვავებელი, პატარა საქართველო, მთელი თეთრკანიანი კაცობრიობის ჩამაგონებელი!... აქაა აკვანი თეთრ-კანიანთა“... „მე ვარ ქართველი! აი ამიტომაც ისაა *(ლაპარაკია ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე –ე.გ.)* ჩემთვის დიდება!** [124] .

მე, როგორც გაჩეჩილაძეების „საგვარეულო დარბაზის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოვუწოდებ ჩვენს მოგვარე ახალგაზრდებს, კარგად შეისწავლონ და გაიაზრონ ჩვენი ერისა და გვარის წარსული, გაუფრთხილდნენ თავის ჯიშსა და გენს, თავიანთ ეროვნულ ფასეულობებს. გლობალიზაციის პროცესს ჩვენ ვერ შევაფერხებთ, მაგრამ ნურც დავაჩქარებთ. თუ რაც შეიძლება დიდხანს გავუფრთხილდებით ქართველები ჩვენს ფასეულობებს, ამით ჩვენც მოვიგებთ და კაცობრიობაც. ქართული კულტურა ერთ-ერთი ყველაზე უმაღლესი დონის კულტურაა, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია და კაცობრიობას დიდი დრო სჭირდება მის ასათვისებლად. ჩვენ უნდა მივცეთ მას საამისო დრო... თუ ქართველები ჩვენს კულტურას არ გავუფრთხილდებით, ჩვენც და ბევრ სხვასაც მოგვიწევს ჩამოქვეითება კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე, რომელზეც ვერანაირად ვერ ვიგრძნობთ თავს კომფორტულად...

ჩვენი ქვეყნის შვილობა ძალიან დიდ სიფხიზლეს, დიდ ცოდნას, აზროვნებისა და გონივრული შრომის ძალიან დიდ ტემპს და ხარისხს მოითხოვს ჩვენგან. ქართველმა უნდა მოასწროს ერთდროულად მაღალ დონეზე განათლებაც, გამრავლებაც, შემოქმედებითი განვითარებაც...

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებმა, რაც შეიძლება კარგად, უნდა შეისწავლონ თავისი სპეციალობაც და თავიანთი ქვეყნისა და გვარის წარსულიც, ძალიან

უნდა გაუფრთხილდნენ ჩვენი ქვეყნის თითოეულ გოჯ მიწას, თავიანთ სოფლებს და სალოცავებს, ძალიან ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი ჩვენი მეზობელი და სხვა ქვეყნების მისწრაფებებს, ასევე, ფუნდამენტური ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანამედროვე მიღწევებს, რათა ჩვენი ქვეყნის სიკეთეებზე მადააღძრულ მტაცებლებისაგან ჩვენი მიწა-წყლის დაცვა შეძლონ. თუ განათლების დონით და გონივრული შრომის ტემპითა და ხარისხით ბევრად არ გავუსწრებთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას და ჩვენს უმშვენიერეს, წინაპრებისაგან წარმოუდგენელი ტანჯვით, შრომითა და ბრძოლით მოტანილ, მიწა-წყალსა და კულტურას.

მრავალი გაჩეჩილაძისათვის, ისე, როგორც საერთოდ ქართველების დიდი ნაწილისთვის, დამახასიათებელია „შორს“ ყურება და გლობალურ საკითხებზე ფიქრი მაშინ, როცა ელემენტარული საარსებო გარემო ფეხქვეშ ეცლებათ და წინაპრების და საკუთარი შემოქმედება წყალში ეყრებათ. ზოგიერთი დღესაც სახელმწიფოსაგან ან ვიღაცისგან ელის პირობების შექმნას *(რასაც ხელი შეუწყო საბჭოთა სისტემის დროს გამომუშავებულმა ჩვევამაც)*, თავიანთი შემოქმედებითი უნარების გამოსავლენად.

ახლა სხვა, უფრო მკაცრი და მომთხოვნი დროა. ყველამ უფრო აქტიურად უნდა იფიქროს და იმოქმედოს. სახელმწიფო დაეხმარება თუ არა, ადამიანმა ცხოვრების პირობებიც თვითონ უნდა შეიქმნას და თავის ქვეყანას, ოჯახს და თავის შემოქმედებასაც თვითონ უნდა მიხედოს. ერთ ადამიანსაც კი, თუ ის მიზანდასახულად და გონივრულად იმოქმედებს, ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია...

საგვარეულო მოძრაობის წამოწყება, ერის გაერთიანებისკენ სწრაფვა, გარდატეხის ეპოქის ორომტრიალში და დაჩქარებული გლობალიზაციის პროცესში, ჩვენი ხალხის თვითგადარჩენის ინსტიქტის გამოღვიძებით არის განპირობებული. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოგვარე ახალგაზრდები გააცნობიერებენ ამ მოძრაობის არსს და გვერდში ამოუდგებიან უფროს თაობას.

გაჩეჩილაძეებისათვის არასოდეს იყო დამახასიათებელი კორუფცია, რომელიმე ანგარებიან საქმეში კლანური პრინციპით მოქმედება. გაერთიანება ჩვენ იმისთვის გვჭირდება, რათა საერთო ძალებით უკეთესად შევძლოთ ჩვენი მიწაწყლისა და კულტურის დაცვა, რაც აუცილებელია ჩვენი ერის ღირსეული არსებობისათვის...

2012, 14/VI.

P. S. ა). ლეგენდებში (№1-7) წეველიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ შემონახული ინფორმაცია – რომ წეველიძეები შეირქვეს წევიდან 1840 წლის შემდეგ წასულმა და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში [აწყური (ახალციხის რ.), ტეზერი (ხაშურის რ.), ნუნისი (ხარაგაულის რ.), ტყექცეული (ყელქცეული) (გორის რ.)] ჩასახლებულმა გაჩეჩილაძეებმა, საგვარეულოში შემავალი სამი გვარის შესახებ არსებულ ინფორმაციებს შორის, ყველაზე უფრო ცალსახა და სარწმუნოა, ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდით.

სიმპტომატურია, რომ არცერთმა ჯაჭვაძემ არაფერი იცოდა წეველიძეების არსებობის შესახებ, მაშინ, როცა ყველა წეველიძემ იცოდა, წეველიძეების გაჩეჩილაძეებიდან, ხოლო გაჩეჩილაძეების ჯაჭვაძეებიდან წარმომავლობის შესახებ, რაც იმას მოწმობს, რომ წეველიძეთა წინაპრები წევიდან ჯაჭვაძეების წინაპრებზე გვიან წავიდნენ.

ბ). წინამდებარე სტატიაში მრავალი საკითხის გაშუქება ვცადეთ. წარმოდგენილი დასკვნები ჩვენ გამოვიტანეთ ჩვენს ხელში თავმოყრილი მასალების, ჩვენთვის მისაწვდომ დონეზე, კვლევის საფუძველზე. მთელი ეს მასალა, თქვენს თვალწინაა წარმოდგენილი ჩვენი საგვარეულო კრებულის სამ წიგნში და შეგიძლიათ დამოუკიდებლად გამოიკვლიოთ. მართალია, ჩვენს წიგნებში სევასტი გაჩეჩილაძის მიერ წევაში შეგროვილი ფოლკლორის მხოლოდ ნაწილია მოყვანილი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მას სრული სახით გაეცნოთ კრებულში „ძველი საქართველო“.

დოკუმენტური მასალების სიმწირის გამო, მრავალ შემთხვევაში, იძულებული ვიყავით, ინტუიციას დავყრდნობოდით და ძიება წარგვემართა ყველა იმ მიმართულებით, საითაც ხელჩასაჭიდი „ძაფი“ გვეჩვენებოდა. მნიშვნელოვანწილად ინტუიციისა და ლოგიკის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები ვერ შექმნის სრული დამაჯერებლობის შთაბეჭდილებას. შესაძლოა, მომავალში წევაში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებამ, წევის ეკლესიის ფრესკების, სათანადო, ზუსტი მეთოდებით გაშუქებამ, სხვადასხვა სიძველეთსაცავებში და ჩვენი მოგვარეების ოჯახებში ახალი დოკუმენტურ-ფაქტობრივი მასალების გამოვლენამ, ჩვენი საგვარეულოს ანთროპოლოგიური თავისებურებების უფრო ფართო მასალაზე დაყრდნობით, უფრო ზუსტი მეთოდებით შესწავლამ შესაძლებელი გახადოს ჩვენი სოფლისა და საგვარეულოს ისტორიის უფრო მეტი სიზუსტითა და დამაჯერებლობით წარმოჩენა.

ამ ეტაპზე, საშურად მივიჩნიეთ გარკვეულ დონემდე მიყვანილი, ჩვენი კვლევის შედეგების გამოქვეყნება, იმ იმედით, რომ, იქნებ, ჩვენი მოგვარეები დაინტერესდნენ და განაგრძონ სევასტი გაჩეჩილაძისა და ჩვენს მიერ დაწყებული საქმე...

გ). გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა „საგვარეულო დარბაზის“ მუშაობის პროცესში არაერთმა სპეციალისტმა შემოგვთავაზა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის შესწავლა და ჩვენთვის „საგვარეულო წიგნის“, რომლის თითო ეგზემპლარი 40-60 დოლარი ეღირებოდა, დაწერა. (საინტერესოა, წინასწარ როგორ საზღვრავენ სამუშაოს ღირებულებას?..). მაგრამ, ჩვენ არ მივიჩნიეთ საჭიროდ მათი დახმარებისთვის მიგვემართა, იმიტომ, რომ საკმაოდ დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი ვერ დაინახავდნენ და ვერ გაითვალისწინებდნენ ყველა იმ ნიუანსს და ვერ შეძლებდნენ კვლევისთვის აუცილებელი ყველა იმ მასალის მოპოვებას, რისი დანახვა და მოპოვებაც ჩვენ, ამ საგვარეულოს წევრს, შეგვეძლო. ახლა, როცა ჩვენს საგვარეულოსთან დაკავშირებული, სადღეისოდ ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ უმეტესი, მასალა შეკრებილია და რაღაც დონეზე გამოკვლეული, სპეციალისტებს ჩვენი საგვარეულოს ისტორიის კვლევის უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ...

თუ ჩვენი საგვარეულოს წევრები საჭიროდ ჩათვლით, რომ ეს საკითხები, დამატებით, რომელიმე სპეციალისტმა (სხვა გვარის წარმომადგენელმა) იკვლიოს, წინასწარ გაეცანით მის მიერ თავისი საკუთარი საგვარეულოს შესახებ გამოქვეყნებულ წიგნს... ადამიანი, რომელსაც თავისი გვარის ისტორია არ შეუსწავლია და სხვისი გვარის ისტორიის შესწავლას ლამობს, თქვენ, ამ საქმეში, არ გამოგადგებათ...

შენიშვნები:

1. აკაკის თვიური კრებული, ქუთაისი, 1899წ., № 3, გვ. 30. წინამდებარე წიგნში – გვ. 116

2. ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, ტ.VI, თბ., 2007, გვ. 418-449. [წინამდებარე წიგნში (§ 7, გვ. 25), სამმაგ ფრჩხილებში, [[[–]]], მოთავსებულ ტექსტში აღწერილია თუ როგორ მოხვდა ჩვენი წერილი ახუაშვილის წიგნში].

3. აკაკის თვიური კრებული, 1899წ., №2, №3.

4. კრებული „ძველი საქართველო“, ტ.I, 1909, IV განყ. გვ. 1-56; ტ. II, III განყ.; ტ. IV, 1914-1915, IV განყ..

„ძველ საქართველოში“ დაბეჭდილი ს. გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ნაწილი ხელახლა გამოსცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წიგნში ხალხური სიტყვიერება – ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა და გამოცანები, რედ. ე. თაყაიშვილი, 1918 წ., ტფ., გვ. 1 – 48.

5. წევის სახალხო დღესასწაულების აღწერები იხილეთ წინამდებარე წიგნში, § 11, დედნები ინახება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში, ფაა №17366–17380.

6. გაზ. „კვალი“, 1897 წ., № 34, გვ. 625.

7. გვარების ჯაჭვიანის, ჯაჭვინელიანის, ჯაჭვნელიანის უადრესი ხსენება გვხვდება ისტორიულ დოკუმენტში „მატიანე სუანეთისა კრებისა. პ. ინგოროყვა ამ მატიანეს XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს, ვ. სილოგავას აზრით კი იგი XII-XIII საუკუნეების ნუსხურითაა დაწერილი, მაგრამ უფრო ადრინდელია – გადაწერილია. იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, ტექსტები, „მატიანე სუანეთისა კრებისა“, თბ., 1941,

გვ. 142; ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები, თბ., 1986, გვ. 253.

8. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა, თბ., 2006, გვ. 153.

9. ეკვდერი (придел) 1. მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი სათავსი ან მინაშენი თავისი საკურთხეველით, კანკელით და ა.შ. 2. კაპელა. (თ. კვირკველია, მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული ლექსიკონი, თბ. 1961).

10. ლაპარაკია ჩრდ. ოსეთზე. ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ შიდა ქართლის ძირძველი ქართული ტერიტორიაა და მასზე ოსების მიერ აშენებული ეკლესია არ არსებობს.

11. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967, გვ. 13, 32, 76, 83, 126, 178, 269.

12. ვახტანგ ბერიძის, წიგნში „ძველი ქართველი ოსტატები“, თბ. 1967, გამოქვეყნებულია შუა საუკუნეების 200 ოსტატის ავტოგრაფი მათ ნაწარმოებებზე. ამ მინაწერებში სულ ორგან თუ სამგან, გვხვდება ტერმინი მონა, მაგრამ არცერთი ოსტატი თავის თავს ყმად არ იხსენიებს...

13. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციები, საქ. სახელმწ. მუზეუმი, თბ., 1941, გვ. 65-66.

14. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, вып. III, М., 1913, გვ. 51.

15. ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

16. ასეთ თარიღს გვავარაუდებინებს წევის ეკლესიის მოხატულობის I ფენის სტილისტიკური და შედარებითი ანალიზი.

17. ა). პ. უვაროვა „სვანეთი“-კავკასიის არქეოლოგიური მასალები. გამოშვ. მე- 10, მ., 1901, გვ. 94 - 100 (რუს. ენაზე).

ბ). ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910, თბ., 1991, № 2, გვ. .213.

18. „ჯაბუშანურის გვარი თათარი (ქისტი) ყოფილაო“, წერს სერგი მაკალათია წიგნში „ხევსურეთი“, თბ., 1984, გვ. 74.

19. საქართველოს საისტორიო არქივი, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, 1817-1875, ფონდი 489, აღწერა 6, 1) საქმე № 54, შორაპნის მაზრა, 1827, წევა; 2) საქმე № 229, 1834, შორაპნის მაზრა, წევა; 3) საქმე № 254ა, შორაპნის მაზრა, 1835, წევა; 4) საქმე № 391, შორაპნის მაზრა, 1840, წევა.

20. საქართველოს საისტორიო არქივი, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, 1817-1875, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე № 254ა, შორაპნის მაზრა, 1835, შროშა;

21. საქართველოს საისტორიო არქივი, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, 1817-1875, ფონდი 489, აღწერა 6, წევის საეკლესიო დავთრები: 1834წ., იესე როსტომის ძე ჯაჭვაძე; როსტომ ოთიას ძე ჯაჭვაძე 1840წ.; გიორგი ხახუტას ძე ჯაჭვაძე 1835წ.; შაქარა დავითის ძე ჯაჭვაძე 1835 წ..

22. ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, წ.VI., 1977, გვ. 439.

ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, გვ. 174, 202; ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd, №№ 8353, 8396.

23. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, [1683-1695 წწ.] ქმ № 1455.

24. ს. კაკაბაძე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.I, ტფ. 1921, გვ. 24/5. **ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნი.** საბუთი იუწყება, რომ თავადი სწირავს თავის სამკვიდრო კაცხის მონასტერს **და სხვა ეკლესიებს** მიწა-წყალს, სასახლეებს, გლეხებს... მოგვყავს ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან: **„არის შეწირული ღმრთისათვის და მის წმიდათათვის და წმიდის გიორგის წევისათვის საღაპოდ ჩემის სულისათვის საყდართან ლომინის მოსყიდული პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად, მახარებელი გაჩეჩილაძე და მისი განაყოფური და ორ გლეხად დეისმამაური და მისი განაყოფური რაც სხუას წეველს კაცსა მართებს, ისი ამათ მართებს. ამისგან ერთი ჩარექი სანთელი, ერთი ცხუარი და ერთი მრთელი საკლავი, ორი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, ერთი ლიტრა მარილი. ოთხს ხუცესსა ჟამს მიწირევდეს მისიანათ და სხუა რაც გადარჩეს, ის დეკანოზისა იყოს და კვირაში ორ-ორი დღე მუშაობა დეკანოზისა იყოს. ესე ფარემუზ მაჭავარიანმან და მისმან შვილმან და ნათესავმან და აჭარელმან, წეველმან და ილმელმან ხელოსანმან ისაქმონ...“**

მოგვიანებით იგივე დოკუმენტი გამოქვეყნდა პირთა ანოტირებული ლექსიკონის I ტომში (თბ. 1991). შემდგენელმა, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ დოკუმენტის დასაწყისში ნახსენები შეწირულობის „ადრესატი“ (კაცხის მონასტერი),

ტექსტის მომდევნო ნაწილში შეცვლილია და შეწირულობა სხვა ეკლესიებისთვისაც გამოიყოფა და არასწორად მიუთითა, რომ ვახუშტი აბაშიძემ გაჩეჩილაძეები შესწირა კაცხის მონასტერს...

25. იოანე ბატონიშვილმა ეს ნაშრომი დაწერა XIX ს. დასაწყისში, რუსეთში ცხოვრების დროს. ო. სოსელიას აზრით, იოანე ბატონიშვილი „ქართველ თავად-აზნაურთა გვარების წარმოშობას მეტწილად უცხო ქვეყნებსა და შორეულ წარსულს უკავშირებს. იგი ძირითადად ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა. ეს გადმოცემები კი, უნდა ვიფიქროთ შეთხზულია თვით თავად-აზნაურთა გვარების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი განდიდების მიზნით. ამდენად აღნიშნული წყაროების მონაცემები ხშირად ისტორიულ საფუძველს მოკლებული და შეუწყნარებელია...“ [ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბილისი, 1973, გვ. 53].

მე, ე. გ-ს, არ მგონია, რომ ამ ნაშრომში დასახელებული ზოგიერთი ერისადმი კუთვნილება ქართველ თავად-აზნაურებს თავისი თავის განსადიდებლად მიეჩნიათ... მე ვფიქრობ, რომ მრავალი გვარის წარმომავლობის შესახებ ცნობა შეთხზული უნდა იყოს თვით იოანე ბატონიშვილის მიერ, რომელსაც, იმ დროს, ალბათ, უკვე დაკარგული ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობის რწმენა და, ქართველი თავად-აზნაურებისათვის ამგვარი ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, უნდოდა მათთვის ეროვნული ცნობიერების არევა, რათა გაეადვილებინა მათი რუსებთან შერწყმის პროცესი... ამ სამუშაოს შესრულება მას, უთუოდ, რუსებისგან ექნებოდა დავალებული...

პირველად იოანე ბატონიშვილის ეს ნაშრომი გამოსცა ილია ჭავჭავაძემ 1884 წ. გაზ. „ივერიაში“. მკვლევარ გ. ხორნაულის აზრით, „ი. ჭავჭავაძეს ამით უნდოდა დაენახვებინა ქართველ თავადაზნაურთათვის, თუ როგორ ეცილებოდნენ გვარის წარმოშობაში ისინი, ვისთანაც მათ დაგირავებული ჰქონდათ (რუსეთის პოლიტიკის შედეგად) მთელი თავიანთი მამულები, უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის გამოხსნაზეც იბრძოდა და გამარჯვებითვე დაამთავრა ბრძოლა დიდმა ილიამ. მოგირავეები უმეტესად იყვნენ სომხები, ებრაელები, თათრები, რუსები, ოსები და ა.შ. სწორედ რუსეთის გამიზნული პოლიტიკით შეჭირვებულ ქართველ თავად-აზნაურთა ქონების გარმიანელთა ბრჭყალებიდან გამოგლეჯის ბრძოლის პერიოდში გამოაქვეყნა იოანე ბაგრატიონის ეს ნაშრომი ი. ჭავჭავაძემ და ეს იყო სწორი ტაქტიკური სვლა“. (გ. ხორნაული, ქართული გვარების წარმოშობის შესახებ, თბ., 2000, გვ. 38).

26. თომა მაჭავარიანი, ვარძიის მონასტერი, ჟ. „ცისკარი“, 1863, № 10.

27. ს. გაჩეჩილაძის ნაშრომის „ქართველი ხალხის ისტორია ფოლკლორის საფუძველზე“ (1942 წ.) IV რვეული დაცულია მისი შვილიშვილის, დავით ახრახაძის ბინაში. დანარჩენი რვეულები ჯერჯერობით ვერ მოვიძიე.

28. ს. გ-ძის ნაშრომის „ქართველი ხალხის სოციალური ფსიქოლოგია ფოლკლორის საფუძველზე“ ფრაგმენტი დაცულია მისი შვილიშვილის დ. ახრახაძის ბინაში.

29. ს. გ-ს ნაშრომის „ქართველი ხალხის ფილოსოფია ფოლკლორის საფუძველზე“ II რვეული დაცულია მისი შვილიშვილის დ. ახრახაძის ბინაში.

„ქართველი ხალხის სოციალური კულტურის ისტორია პრეისტორიულ ხანაში“, II რვეული დაცულია დ. ახრახაძის ბინაში.

„ჩვენი ხალხის სოციალური ისტორია და პსიხოლოგია დამყარებული ქართულ ფოლკლორზე“ (1899წ.) დაცულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში – ფაა № 17381.

30. ს. გ-ს ნაშრომს „რითმის თეორია ქართული ფოლკლორის საფუძველზე“ ვერ მივაკვლიე.

31. ამ ცაცხვის დაწვის თარიღი (1946წ., 13 დეკემბერი, პარასკევი) საეკლესიო წიგნის ფურცელზეც კი მიუწერიათ (კონდაკი, თბ., 1899, № 7-დან მე-12 გვერდზე).

32. ბ-ნი სევასტი და მისი ძმა – ერასტი (დაჩაგრულთა ქომაგად ცნობილი, დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ადამიანი) რევოლუციონერებს ეხმარებოდნენ. ერასტის შვილები – გრიშა და ივანე აქტიურად იყვნენ ჩაბმული რევოლუციურ საქმიანობაში. გრიშა ამ საქმეს შეეწირა, ივანე კი, ამავე მიზეზით, ერთხანს, გარიცხული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტიდან.

33. ეს ამბავი აღწერილია ბ-ნი სევასტის მემუარების № 41 რვეულში (გვ. 91-92), რომელიც ბ-ნი სევასტის შვილიშვილის, დ. ახრახაძის ბინაში ინახება *(დ. ახრახაძე ცხოვრობს თბილისში, სოხუმის ქუჩაზე).*

ბ-ნი სევასტის მოგონებების 45 რვეულიდან მხოლოდ ამ ერთი რვეულის ადგილსამყოფელის დადგენა მოვახერხე. 45-ვე რვეული ბ-ნი სევასტის ქალიშვილს, რაისას, გადაუცია ლიტერატურის მუზეუმისათვის, 1952 წ., მაგრამ, ერთი წლის შემდეგ,

უკან გაუტანია, რის შესახებაც არის ჩანაწერი ლიტერატურის მუზეუმის საინვენტარო წიგნში. *(№41 რვეულში მოცემული მთელი ტექსტი მე გადმოვწერე და გადავცემ საგვარეულოს არქივს – ე. გ.).*

34. ეს მას უწერია თავის ნაშრომში „ქართველი ხალხის სოციალური ფსიქოლოგია“, რომელიც დაცულია მისი შვილიშვილის, დ. ახრახაძის ბინაში.

35. სევასტი გაჩეჩილაძე, „ქართველი ხალხის ისტორია“, IV რვეული, თბ. 1942. *(ხელნაწერი ინახება ს. გაჩეჩილაძის შვილიშვილის დავით. ახრახაძის ბინაში).*

36. ეს აზრი მას გამოთქმული აქვს ორ ნაშრომში. ერთ-ერთია პოემა „ბედნიერი შემთხვევა“, კარი II, გვ. 452 / 6. *[ხელნაწერი კრებულიდან „ხუთი პოემა“, რომელიც ინახება ბ-ნი სევასტის შვილიშვილის, ნათელა გაჩეჩილაძის, ბინაში (დიდ დიდომში). ამ კრებულის ქსეროასლი ინახება დავით ახრახაძის ბინაში].*

37. რა საერთო შეიძლებოდა მას დაენახა გაჩეჩილაძეებსა და ოსებს შორის? ალბათ მხოლოდ ის, რომ გაჩეჩილაძეებს შორის საკმაოდ ბევრია ქერა და ღია ფერის თვალებიანი *(კოლხური ანთროპოლოგიური ტიპის შავიზღვისპირულ და დასავლეთ-ქართულ ჯგუფებში ბევრს აქვს ღია ფერის თმა და თვალები. ზღვისპირეთში მცხოვრებ გურულებს, მეგრელებს და აჭარლებს კიდევ უფრო ღია ფერის პიგმენტაცია ახასიათებთ, ვიდრე იმერლებს. იხ. § 17-ში კოლხური ანთროპოლოგიური ტიპის დახასიათება).* მოხუცი როსტომი გაჩეჩილაძეებს ოსებს ამსგავსებს სიმკვირცხლით და სიფიცხით, მაგრამ ამ ნიშნებით მთელი იმერეთის მოსახლეობა გამოირჩევა. გაჩეჩილაძეები, ამ მხრივ, ახლოსაც კი ვერ მოვლენ გურულებთან და მეგრელებთან და, ჩემი აზრით, იმერლებს შორისაც კი სიდინჯითა და დაკვირვებულობით გამოირჩევიან. ხოლო მათ „ოსურ გამომთქმელობაზე“ ლაპარაკი საერთოდ სასაცილოა...

38. სევასტი გაჩეჩილაძე „წევა, წეველები...“ იხ. წინამდებარე წიგნში გვ. 128.

39. კავკასიონის ზოგ. ეთნიკურ ჯგუფს ნაკლები თმიანობა ახასიათებს: ანთროპოლოგი, ვ. ბუნაკი წერდა: „ქართველები – ხევსურები და შესაძლოა მოხევეებიც განსხვავდებიან კახელების და ქართლელების უფრო სამხრეთი ჯგუფებისაგან უფრო ნაკლებად მუქი შეფერილობით, თმის საფარის უფრო ნაკლებად განვითარებით“. ციტატა მოხმობილია მ. აბდუშელიშვილის წიგნიდან, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, გვ. 87. (დამატებითი მასალების გამოვლენის შემდეგ ეს დებულება არ დადასტურებულა–ასე მითხრა ანთროპოლოგმა ლ. ბითაძემ, მაგრამ ვ. ბუნაკის ეს შეხედულება შეუძლებელია მთლად უსაფუძვლო ყოფილიყო).

ლ. ბითაძე ცხინვალის რაიონის ოსების შესახებ წერს, რომ მათ ახასიათებთ „წვერის სუსტი ზრდა“ (ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. IV ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2011, გვ. 671-672).

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ე. წ. პონტური რასის ადიღური ტიპის ჯგუფებს: ადიღებს, ჩერქეზებს, აფხაზებს, აბაზებს, აჭარლებს კავკასიონის სხვა ჯგუფებზე უფრო სუსტად აქვთ განვითარებული თმიანობა. იხ. М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, стр. 75...

40. М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, стр. 38.

41. М. Г. Абдушелишвили, დასახელებული ნაშრ. გვ. 38.

42. ანა ღვინიაშვილი, „მზე შინა და მზე გარეთა“, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1959, №3, გვ. 26-32; ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, შემდგენლები მ. ჩიქოვანი და ნ. შამანაძე, თბ., 1972, გვ. 170-175.

43. ლიანა ბითაძე, „ქართლის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპები და მათი ურთიერთგენეტიკური კავშირი“; წიგნიდან: ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ე. ყვავაძე, თ. ზუბიაშვილი, „ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით“, თბ. 2011, გვ. 659.

44. ყივჩაყები (რუსეთში მათ „პოლოვცებს“ ეძახდნენ, ევროპაში – „კუმანებს“) ძირითადად მონგოლოიდური, თურქულენოვანი ხალხი იყო. დაახლოებით XI ს-ში, ვოლგისპირეთიდან შავიზღვისპირეთში გადასახლდნენ. მისდევდნენ მომთაბარე მეცხოველეობას. ცხოვრობდნენ კარვებში. ჰქონდათ წარმართული რწმენები. იცავდნენ სისხლის აღების წესს. გარდაცვლილებს უდგამდნენ ქვის ქანდაკებებს. XII ს. დასაწყისში იყვნენ ფეოდალიზმის საწყის საფეხურზე. ოჯახები ერთიანდებოდნენ გვარებად, გვარები ურდოებად, რ-თაც სულთნები მართავდნენ, რამდენიმე ურდო ქმნიდა ტომს, რ-საც ხანი მართავდა. განვითარებული ჰქონდათ ხელოსნობის სხვადასხვა დარგები. იცოდნენ რკინის დამუშავება და იარაღის დამზადება. XIII საუკუნეში შედგენილი ჰქონიათ

სამენოვანი (ლათინურ-სპარსულ-კუმანური) ლექსიკონი, რომელიც ყივჩაყური ენის მნიშვნელოვან ძეგლად მიიჩნევა.

მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მძარცველური ომები. ჰყავდათ ცხენოსანი ჯარი. ომობდნენ ქალებიც. მშვიდობიანობის დროს რუს მთავრებს ცოლად მოჰყავდათ წარჩინებულ ყივჩაყთა ასულები. ყივჩაყი ხანის *(რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროში ათრაქა შარაღანისძედ იხსენიება)* ასული ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებელს.

XI ს. II ნახევარში ყივჩაყებმა გაილაშქრეს რუსეთზე, უნგრეთზე, ბიზანტიაზე. 1103-1116 წლებში რუსებმა გაანადგურეს ყივჩაყთა დიდი ნაწილი. გადარჩენილ ყივჩაყთაგან დონის ნაპირებზე დარჩა სირჩაქ-ხანის პატარა ურდო, უმეტესი ნაწილი კი, რომელსაც ათრაქა-ხანი მეთაურობდა – კავკასიის მთებს შეეხიზნა.

საქართველოს ლაშქრის გასაძლიერებლად, დავით აღმაშენებელმა, 1118 წელს, ჩრდ. კავკასიიდან ყივჩაყთა 40000 ოჯახი, დედაწულიანად (დაახლოებით 225000 სული), საქართველოში გადმოიყვანა და დაასახლა ქვეყნის განაპირა, მოსახლეობისაგან დაცლილ, ადგილებში (ქვემო ქართლში, ჰერეთში (საინგილოში), ჩრდ. სომხეთში (რომელიც მაშინ ქართველ მეფეთა სამფლობელო იყო). ყივჩაყთა ნამოსახლარი დადასტურებულია საინგილოში *(კავკასიის მხარის ხუთვერსიან რუქაზე დატანილია პუნქტი „ყივჩაყი“ და მდინარე „ყივჩაყ ჩაი“)* და ჩრდ. სომხეთში *(სოფ. „ღფჩახი“ და მონასტერი „ღფჩახვანქი“).*

ქართველ მკვლევარებს (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ი. ცინცაძე, რ. მეტრეველი) მიაჩნდათ, რომ ყივჩაყები ქართველ ხალხს შეერიენ.

ისტორიკოსი ჯ. სტეფნაძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. იგი აღნიშნავს (ჩემი აზრით სამართლიანად – ე.გ.): „განა შესაძლებელია, რომ 225000 ყივჩაყის ქართველებში აღრევამ ასე მცირე კვალი დაამჩნია საქართველოს ტოპონიმიკას, ისტორიულ წყაროებს?“ [44ა]. მას მოჰყავს XIII საუკუნის I მეოთხედის ვოლინელი (რუსეთი) მემატიანის ცნობა, რომ კიევის რუსეთის მთავრის, ვლ. მონომახის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ *(დავით აღმაშენებელიც იმავე წელს გარდაიცვალა – ე.გ.)*, დონის ნაპირას დარჩენილ სირჩაქ ხანს ყივჩაყთა ტერიტორიების უკან დაბრუნების იმედი მიეცა. მან კაცი გამოუგზავნა საქართველოში გადმოხვეწილ თავის ძმას ათრაქა შარაღანის ძეს (დავით აღმაშენებლის სიმამრს) და სთხოვა სამშობლოში დაბრუნება, რის შემდეგაც ათრაქა თავის ქვეყანაში დაბრუნებულა. ვოლინელი მემატიანე აღნიშნავს – ათრაქას შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ყივჩაყეთშიო და ასახელებს მის თანამედროვე ყივჩაყ მთავარს კონჩაკს.

ისტორიკოსი ი. ცინცაძე ფიქრობდა, რომ ათრაქა „ალბათ, მცირე ამალის თანხლებით დაბრუნდა სირჩანთან“-ო. ჯ. სტეფნაძე კი აღნიშნავს (ჩემი აზრით სამართლიანად – ე.გ.): „წარმოუდგენელია, რომ მთავარმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალოს და თანამეტომეები თან არ წაიყვანოს. ათრაქა შარაღანისძის, როგორც მთავრის ავტორიტეტი მის თანამეტომეებზე იყო დამოკიდებული... ულაშქრო და თავისი ხალხის უცხოეთში დამტოვებელი ათრაქა არც სირჩანს ესაჭიროებოდა“[44ა]...

პროფ. ი. ცინცაძეს ყივჩაყების გაქართველების მტკიცებულებად მიაჩნდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ ყივჩაყები სწრაფად ქრისტიანდებოდნენ და მათი სახით ქრისტეს მიმდევრები ემატებოდა.

ჯ. სტეფნაძე კი აღნიშნავს: „ყივჩაყები წარმართები იყვნენ და რადგან სხვადასხვა ქვეყნის სამსახურში ყოფნა უხდებოდათ, სარწმუნოებასაც ხშირად იცვლიდნენ... მათ მიერ ქრისტიანობის მიღება გაქართველებას არ ნიშნავდა. 1118 წლიდან 1125 წლამდე რა გაქართველება უნდა მომხდარიყო?“-ო[44ა].

„ვლადიმერ მონომახის ვაჟის მსტისლავის მთავრობის დროს (1125-1128 წწ.) და შემდეგაც ყივჩაყები ძველებურად ერევიან კიევის რუსეთის საქმეებში... რა თქმა უნდა... სირჩანს, ათრაქა შარაღანიძის თანამეტომეების გარეშე, ასეთი საქმეების მოხდენა არ შეეძლო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მან მართლაც მოახერხა საქართველოში გადასახლებულ თანამეტომეთა უკან დაბრუნება“[44ა].

ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს იმასაც, რომ, საქართველოში ჩასახლებულ ყივჩაყთა შესანახად, „დავით აღმაშენებელმა ქართველ მოსახლეობას სპეციალური გადასახადი შეაწერა...

გასაკვირი არ არის, რომ ქვეყნის წინაშე დამსახურების მიუხედავად, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ყივჩაყების საქართველოში ყოფნის წინააღმდეგი იქნებოდა. ამაზე აშკარად ლაპარაკობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. დავითის გარდაცვალების შემდეგ, ყივჩაყების საქართველოდან წასვლა ამ ძალების დამსახურებაც იქნებოდა... 1130 წელს, დედით ყივჩაყი, ცვატა დავითის ძის ადგილი დამარცხება დემეტრესთან ტახტისთვის ბრძოლაში ყივჩაყების საქართველოდან წასვლითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული“[44ა]...

ქართველთა ლაშქარში სამსახურისთვის გადმოსული, ყივჩაყთა რაზმები საქართველოში გიორგი III-ის და თამარ მეფის დროსაც იყვნენ. თამარის ისტორიკოსი

მათ „ახალ ყივჩაყებად“ იხსენიებს. ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს: „რად სჭირდებოდათ გიორგი III და თამარ მეფეს ყივჩაყების რაზმების სამსახურად გადმოყვანა, დავით IV დროს გადმოსახლებული ყივჩაყები რომ ისევ საქართველოში ყოფილიყვნენ?! ცხადია, მათი უდიდესი ნაწილი კვლავ უკან დაბრუნდა, როგორც ამას ვოლინელი მემატიანეც გვაუწყებს“- ო[44ა].

„...თამარის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული ყივჩაყები (ყუბასარის გარდა) შემდეგში, დროებით სამსახურად მოსულები არიან და დავით აღმაშენებლის დროს გადმოსახლებულებთან კავშირი არა აქვთ... ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების (1125წ.) შემდეგ, ყივჩაყთა აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ თავის ქვეყანაში დაბრუნდა“[44ა].

ქართველ, სომეხ და რუს ისტორიკოსთა ნაშრომებში ნახსენებია ყივჩაყთა სახელები: ათრაქა, სირჩანი, შარაღანი, ელხუთლუ, ხუთლუ, აბაში, ტრიტური, ყუბასარი, ორევა, კონჩაკი, სევინჯი, სავალათი...

ჩვენს საგვარეულო ლეგენდებში მხოლოდ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოყვანილ ყივჩაყებზეა საუბარი, ამიტომ გიორგი III-ის და თამარ მეფის დროისა და მას შემდეგ არსებული ყივჩაყების ისტორიას ჩვენ არ განვიხილავთ.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ. 1955;

ლიტ.: ქსე, ტ. X, თბ., 1976, გვ. 641-642;

БСЎ, т. 20, გვ. 715;

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ.2, თბ., 1965, გვ. 193-210;

შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965;

44ა. ჯ. სტეფნაძე, სად წავიდნენ ყივჩაყები?, „მნათობი“, 1984, №8, გვ. 152-157.

45. ჯ. სტეფნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

46. ენას, ისევე როგორც ადამიანის ყოველგვარი შემოქმედების ნაყოფს, კულტურის ნაწილად განვიხილავ...

47. ვ. ბარდაველიძეს აღნიშნული აქვს, რომ „ჭიაკოკონობა ცეცხლის დღეობის ნაშთია“. იხ. მისი „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარი)“, გვ. 82.

48. შ. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა საქმე №17366 (კოხინჯრობა), საქმე №17367 (ელიობა), საქმე № 17370 (აღდგომის ორშაბათი), საქმე № 17371 (კვირიკობა), საქმე № 17374 (ყეენობა), საქმე №17373 (ალილო).

49. წრიული ფერხულები ასტრალური კულტისადმი მიძღვნილ სარიტუალო ცეკვებადაა მიჩნეული. იხ. ვ. ბარდაველიძე – ქართული (სვანური საწესო გრაფიკის ნიმუშები, თბ. 1953, გვ. 127-131.

50. ნინო აბაკელიას სტატიაში – ცის თაყვანისცემა დასავლეთ სქართველოში *(მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია №2, 1983)* – აღწერილი აქვს კულტმსახურება (რომელიც სრულდებოდა სამეგრელოში) ღვთაება „ჟინი ანთარის“ მიმართ. ხალხის რწმენით, ეს ღვთაება მათ იცავდა მეხისაგან და სხვა ციური უბედურებებისაგან (და სხვა ფუნქციებიც ჰქონდა...), მკვლევარის აზრით, „ჟინი ანთარი“, როგორც ცის ღვთაება, შესაძლოა, კოლხური ღვთაება იყოს“ (გვ.150). შემდგომში მისი კულტი გადაზრდილა წმინდა გიორგის კულტში. კულტმსახურების აღწერილობაში არ არის ნახსენები არც წრიული ფერხულები და არც მოძახილი...

51. ამ სიტყვის (კრიალი) განმარტებებს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში, არ ახლავს მითითება, მისი რომელიმე სხვა ენისადმი კუთვნილების შესახებ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის ქართული წარმომავლობისაა.

52. „ძველი საქართველო“, ტ. IV, 1914-1915, IV განყოფილება.

53. ანა ღვინიაშვილი, „მზე შინა და მზე გარეთა“, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1959, №3, გვ. 26-32.

54. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, შემდგენლები მ. ჩიქოვანი და ნ. შამანაძე, თბ., 1972, გვ. 170-175.

55. ის „ბუნდოვანი“ სიტყვები, რომლებიც აქ არის დასახელებული, ზუსტად ასეთი ფორმით მე ლექსიკონებში ვერ მოვიძიე, მაგრამ მოვიძიე რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც ესადაგება აქ მოყვანილ სიტყვებს. მაგ. ერთ-ერთ გამოცანაში, რომლის პასუხია „ხაფანგი“ ნახსენებია სიტყვები: **ოხროხი, დოხროხი**. ოხრა ყოფილა კლდეებით შემოზღუდული დიდი ორმო – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ. 1974, გვ.183; ერთ-ერთ გამოცანაში ღორის მნიშვნელობით ნახმარია სიტყვა **ასკუაჩი**. მეგრულ დიალექტზე ა სკუა ჩი ასე ითარგმნება: ა, შვილო, ჭამე...; ერთ-ერთ გამოცანაში ქათმის მნიშვნელობით ნახსენებია სიტყვა **კირკიტელი**. კირკიტა ყოფილა მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა... ქეგლ, ერთტომეული თბ. 1986; ერთ-ერთ გამოცანაში

ძროხის მნიშვნელობით გამოყენებულია სიტყვა **კოკენა**. იმერულად პატარა ხბოს ეძახიან კოკინას. კოკა წყლის საზიდი თიხის ჭურჭელია დიდმუცლიანი, დაბალყელიანი და ცალყურიანი... ქეგლ, თბ. 1986, გვ. 267 და ა.შ.

56. ქსე ტ. 7, გვ. 593, 601.

57. ოლღა თედეევს თავის ნაშრომში – ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1983, განხილული აქვს ქართული ენიდან ოსურში შესული 400-მდე სიტყვა.

58. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 637-641. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

59. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ოსებს მხოლოდ შავ თვალ-წარბ-თმიანად იხსენიებს, ქართველებს შორის კი, იშვიათად, სხვა ფერებად პიგმენტირებულების არსებობასაც აღნიშნავს: „ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყორმიზნი, იშ3თ შავგურემან და მოყვითან, იშ3თ თუალჭრელ და გრემანი და მწითურ ანუ თეთრ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 44 /20.

ოსების გარეგნობის ის აღწერილობები, რაც ანთროპოლოგებმა XIX სს. ბოლოდან დღემდე შეადგინეს, საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ოსების მანამდელ გარეგნობას, სანამ ისინი სკვითურ-სარმატულ-ალანურ ტომებს წარმოადგენდნენ და კავკასიის მთებს შეეხიზნებოდნენ. ცნობილია, რომ მათ მოახდინეს კავკასიის მთებში მცხოვრები მრავალი მცირე ტომის, ასიმილაცია, რაც ბუნებრივია შეცვლიდა (გააკავკასიონურებდა) მათ გარეგნობას...

60. ალ. დიუმა, „კავკასია“, თბ., 1964, გვ. 360-361.

61. ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ. 1913, გვ. .265.

62. გ. არონიშიძე, „ღვთისმსახური გაჩეჩილაძეები, „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ.1, გვ. 46-49 გ. არონიშიძის მიერ ამ ნაშრომის დაწერის შემდეგ, საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ წევის საეკლესიო დავორებში კიდევ აღმოჩნდა სასულიერო სფეროში მოღვაწე რამდენიმე გაჩეჩილაძის სახელი.

63. ს. გაჩეჩილაძე, ქორწილი, 1938, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა № 17377.

64. ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ.. 1913, ქორწილის აღწერა, გვ. 249-251.

65. ს. გაჩეჩილაძე, ქართული (მეტწილად იმერული) სახალხო დღეობები. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა № 17366-17380; ზ. ჭიჭინაძე, დასახელებული ნაშრომი.

66. ს. გაჩეჩილაძე, ამაღლება, 1938, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა №17371 (7).

67. ზ. ჭიჭინაძე, დასახელებული ნაშრომი., ტფ. 1913, გვ. 248.

68. **ა)**. ნართები. ოსური ხალხური ეპოსი თარგმნილი ოსურიდან გ. ლეონიძის, ვ. გორგაძის და ს. ფაშალიშვილის მიერ. სტალინირი, 1947.

ბ). ნართები. ოსური ხალხური ეპოსი თარგმნილი ოსურიდან მ. ცხოვრებოვას მიერ. ცხინვალი, 1988.

გ). ნართების ეპოსი გავრცელებულია კავკასიის სხვა ხალხებშიც (ადიღელ, აფხაზ, ბალყარელ, ყარაჩაელ, ინგუშ, ჩეჩენ). მისი გამოძახილი ისმის სვანების, სხვა ქართველი მთიელების და დაღესტნის ხალხურ შემოქმედებაშიც.

69. **ა)**. ოსური ზღაპრები და ლეგენდები შეკრებილი დუდარ ბეგიზოვის მიერ. რედაქცია და შესავალი წერილი ა. ღლონტისა სტალინირი 1957;

ბ). ოსური ხალხური ზღაპრები. შემდგენელი ა.ხ. ბიაზროვი. რედაქცია და შესავალი წერილი ალ. ღლონტისა. სტალინირი, 1959...

70. ამ ეპოსის „გენეზისი საბოლოოდ არ არის დადგენილი. მას საფუძვლად უნდა დადებოდა ძვ. ალანური ეპიკური ციკლი. რ-ს ფესვები სკვითების ეპოქამდე (ძვ. წ. VII-IV სს.) აღწევს“. ქსე, ტ. VII, თბ. 1984, გვ. 320.

71. ვ. აბაევი, ნართების ეპოსის 1947 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XI.

72. გარეგნობის თავისებურებების შესახებ იხ. § 17.

73. ოსური სახელები მოყვანილი გვაქვს ვ. აბაევის შესავალი წერილიდან წიგნისათვის: ნართები, ოსური ხალხური ეპოსი. სტალინირი, 1947წ. გვ. XIV.

74. ჩვენი აზრით, აშუღური პოეზიის გავლენა ეტყობა ლექსებს: „იაგუნდისა წვიმამა...“, „პირად მზეო, ღაწვით ვარდო...“, „რადაი არ მინახიხარ...“ (იხ. „გაჩეჩილაძეთა საგავარეულო“ № 3, გვ. 25) და სხვ. წიგნში „ძველი საქართველო“ I.

74ა პორტალი – არქიტექტურულად გაფორმებული შესასვლელი.

75. პორტალების ტიპები განხილული აქვს ც. გაბაშვილს წიგნში – პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბ. 1955.
76. კონსტანტინე გაჩეჩილაძის ლექსი „კლდეკარის მუხებთან“ იხილეთ ამავე წიგნში, ლეგ. №50, გვ. 176.
77. ჯაჭვაძე იყო ცნობილი ბუკინისტისა და გამომცემლის მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის (ღველფიანი)* ფსევდონიმი; XIX ს-ის 80-იან წლებში ქართული გაზეთების ერთ-ერთი კორესპონდენტი იყო ვინმე ზარასპი ჯაჭვაძე, რომელიც ჭიათურაში მარგანეცის წარმოების შესახებ წერდა. ვინაიდან ამ წლებში იმერეთში ჯაჭვაძეების ცხოვრების დამადასტურებელ სხვა ცნობას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, გაგვიჩნდა ეჭვი, ხომ არ არის „ჯაჭვაძე“ ზარასპი იობას ძე გაჩეჩილაძის (რომელიც ჭიათურის მარგანეცის საბადოების ერთ-ერთი მეპაიე იყო) ფსევდონიმი...
78. მაჭავარიანების ბატონობა რომ უფრო მისაღები იყო წეველებისათვის ვიდრე აბაშიძეების ბატონობა, გამოსჭვივის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ (ფ. Hd. № 8230, № 81) საბუთში – „ხელით წერილი მიცემული წევას მცხოვრები გაჩეჩილაძეების მიერ „იმერეთის ჟამიერის სასამართლოსადმი“. იხ. ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960 და კრებულში „გაჩეჩილაძეების საგვარეულო“, წ. I, გვ. 15-16.
79. ახლანდელი ოთიაშვილის შტოს წარმომადგენელი გაჩეჩილაძეები XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX სს. I ნახევარში მცხოვრები გაჩეჩილაძე ოთიას შთამომავლები არიან. მათი ბუნის (ბაბუიშვილობის შტოს) ეთნარქის სახელი – ოთია წარმოადგენს შორეული წინაპრის სახელის განმეორებას.
80. ს. გ-ძე წერს, რომ XIX სს. ბოლოს გაჩეჩილაძეები ამ სოფლის მოსახლეთა 70%-ს შეადგენდნენ, მაგრამ მაშინ ქვედა და ზედა წევას ერთი სახელი – „წევა“ ერქვა. სხვა გვარის მოსახლეთა უმრავლესობა ქვედა წევაში ცხოვრობდა და ცხოვრობს. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ ზედა წევაში (რომელიც სოფ. წევის შედარებით ძველ ნაწილს წარმოადგენს) მცხოვრებთა დაახლ. 85-90% გაჩეჩილაძეები იყვნენ. უფრო ადრე კი, ალბათ, მართლაც ყველა მოსახლე გაჩეჩილაძე იყო.
81. სოფ. ჯაჭვის სახელიდან უნდა იყოს წარმოებული ადამიანის სახელი „ჯაჭველი“, არაგვის აყოლებაზე განლაგებული „ჯაჭველის სალოცავების“ სახელი, გვარი „ჯაჭველაური“. იხ. ივ. ჯავახიშვილის, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ.I, თბ. 1967. გვ. 42, კახეთის ხალხის აღწერა, XVIII ს. I მეოთხედის დავთარი, სოფ. სახასოში – <u>ტალიაური ჯაჭველი,</u> იხ. ამავე დავთარში (გვ. 43<u>) ჯაჭველაური პაპუჩა, ჯაჭველაური გამახარე...</u>
82. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ. 1979, გვ. 34 – 36.
83. საქართველოს საისტორიო არქივი. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, 1817-1875 წწ., ფონდი 489, აღწერა 6, წევის ეკლესიის დავთრები. 1826-1864 წლები. (იხ. № 19 შენიშვნა).
84. ჩვენს წიგნში ნახსენები გვაქვს ადამიანის სახელი „ჯაჭველი“, გვარი „ჯაჭველაური“ (იხ. 81-ე სქოლიო), სალოცავების სახელი „ჯაჭველი“, სვანეთში გავრცელებული გვარები: ჯაჭვანი, ჯაჭვიხელიანი, ჯაჭვნელიანი, ჯაჭვლიანი, ადრე იმერეთში, ამჟამად კი კახეთში მცხოვრები გვარი ჯაჭვაძე. არ არის გამორიცხული „ჯაჭვ“ ფუძიდან ადამიანის სახელი „ჯაჭვა“-ც წარმოებულიყო... მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყველა ამ სახელს სოფლის სახელი უდევს საფუძვლად და არა ადამიანის.
85. XVI ს-ის შუა წლებიდან გაჩეჩილაძეები იხსენებიან ისტორიულ დოკუმენტებში...
86. რეზე აშმედ ბათური წერს, რომ იმერელი აშუღი, თმაგაჩეჩილი ღოღობერიძე, იმიტომ ეძებდა ოქროს, რომ იმ ოქროთი გურჯი ხათუნის (თამარ მეფის შვილიშვილი, რუსუდან მეფის ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა რუმის სულთანს, გამოსყიდვა სურდა, საქართველოში მის გასამეფებლად...
87. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, სათავადოები, თბ. 1981, გვ. 28.
88. ო. სოსელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.
89. ი. მაისურაძე, „ქართული გვარსახელები“ (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია)
90. ეს ინფორმაცია მიუწოდებია რეჟისორ სოსო ჯაჭვლიანს გაზ. „ლელოს“ რედაქტორ თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძისათვის*.
90ა. ქსე, ტ. 10, თბ. 1986 წ., გვ. 275.
91. მაჭავარიანი ჩხეტ – ჰყავს [სახლიკაცები] გურგი და სამსონ. მისცა ივანე სეტიელს „წარკუეთილი გარდაწყუედილობის“. დაწერილი მოკეთეობის შესახებ (XIV –XV სს მიჯნა. სსძ. II, № 96 . პირთა ანოტირებული ლექსიკონი III, თბ. 2004, გვ. 115...

92. მზია მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში. სმაკ-ის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმი, სვანეთი I, თბ., 1977, გვ. 32.
93. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ. 1988, გვ. 51.
94. რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში. თბ., 1984.
95. მზია მაკალათია, დასახ. ნაშრომში, გვ. 32-36, აღნიშნავს: „უშგულში ჯგრაგის გალავანზე აგებულ ვითინს უთუოდ წინ უსწრებდა ე.წ. „მიწის სალოცავი“ (გვ.-36). უშგულის კომპლექსში შენარჩუნებულია მიწის ღვთაების წარმართული სამლოცველოს თავდაპირველი სახე – ხვრელი მიწაში)... მიწის სალოცავთან ახლოს მდებარეობს ლამარიას (წმ. მარიამის) ეკლესია... ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს ლამარიას და წარმართული „ადგილის დედის“ ფუნქციათა თანხვედრას... ლამარიას სამლოცველო უწინ სოფელ მურყმელის პირდაპირ მდებარე მთაზე ყოფილა, ე.წ. ლატლიშში. სამლოცველოს ნანგრევებს, სადაც მწყემსი ბავშვები მძივებსა და სხვა სამკაულებს პოულობენ, „ლამარიას ნამსგვოჯვერი“ (ნაბრძანები) ეწოდება“...
96. მ. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36. „მიწის ქალღვთაება, რომლის წარმართული სამლოცველოს თავდაპირველი სახე იყო – ხვრელი მიწაში (იგივე ღვთაების მიწისზედა სამყოფელია ვითინი, რომელიც ქრისტიანულ ტაძართა გვერდით კვლავ ფუნქციონირებს) ისეთივე ბუნებისა და ფუნქციების მატარებელი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო აღმ. საქართველოს მთიანეთის „ადგილის დედა“. მსგავსად სვანური ლამარიასი ადგილის დედის //მარიამწმინდას// ღვთისმშობლის ფუნქციებს შეადგენდა ორფეხისა და ოთხფეხის გამრავლება, ნაწველ-ნადღვების ბარაქიანობა, ადამიანისა და საქონლის მტრისა და ნადირისაგან დაცვა და ა.შ“....
97. სვანეთში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ეკლესიისათვის ჯაჭვების შეწირვაც ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „სვანეთის ეკლესიებში ადრეც ბლომად იყო და ახლაც გვხვდება ხატ-ჯვრებთან და სხვა საეკლესიო ნივთებთან („სიწმინდის სამსახურებელთან“) ერთად შეწირული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ვერცხლის ჯაჭვები, რომლებიც ზოგჯერ რომელიმე ხატზეა გამობმული ან საკურთხევლის წინამდებარე დიდი ზომის ჯვრებზეა შემოხვეული“... (მე ეს ნივთები არ მინახავს. იქნებ, ზემოხსენებული მკვლევარები სიტყვებში ჯაჭვი და ძეწკვი ერთსა და იმავე შინაარსს გულისხმობენ – ე.გ.)] – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910წ., პარიზი, 1937, გვ. 157 (№23), გვ. 241 (№19), გვ. 355 (№3).
98. ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ. 2011, გვ. 83.
99. ა. ჭელიძე, დასახელებული ნაშრ., გვ. 170.
100. საქართველოს გეოგრაფია, ავტორები: ნ. ელიზბარაშვილი, ლ. მაჭავარიანი, დ. ნიკოლაიშვილი... რედ. ო. ხმალაძე, გვ. 143.
101. ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ატლასში (თბ. 1997) ქართლის რუკაზე (გვ. 33) სოფ. ფოსვი დატანილია სოფ. ჯაჭვსა და მცხეთის ჯვარს შორის.
102. მართალია, ა. ჭელიძეს სოფ. აფოსის მეორე სახელიც აქვს მითითებული – რუისპირი, ლ. აღნიაშვილს კი ამავე სოფლის სახელად რუსთავიც აქვს ნახსენები (იხ. ზ. შარაშენიძის „ფერეიდნელი გურჯები“, თბ. 1979, გვ. 111), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ნასოფლარ ფოსვის ტერიტორიაზე სათავეს იღებს რუ (მას მიერთვის „ჯაჭვის წყაროდან“ ჩამონადენი წყალი, წარმოიშობა ნაკადული „ჯაჭვის წყალი“, რომელიც მტკვრისკენ ჩაედინება), არ არის გამორიცხული, რომ ამ სოფელს ასეთი დამატებითი სახელი ჰქონოდა (ან, შესაძლოა, ფერეიდანში მდებარეობს ის რუს პირას...).
103. ა. ჭელიძე, დასახელებული ნაშრ. გვ. 77.
104. ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი გურჯები, თბ., 1979, გვ. 157.
105. ა. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებები, ჟურნ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტფ. 1927, გვ. 196-247].
106. ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულებში (ენეოლითის თუ ფინალური ნეოლითის ეპოქაში) დასავლეთ საქართველოდან, დიდი რაოდენობით მოსახლეობა გადმოსულა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მათი „ნაკვალევი“ ჩანს შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში გავრცელებული არქეოლოგიური ე.წ. „სიონის კულტურის“ სახით[113], მაგრამ იმ პერიოდის ადამიანის ნაშთები (დასკვნების გამოსატანად საკმარისი), ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის და არ ვიცით, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი (ხალხის დიდი მასის მიგრაცია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, შესაძლოა, სხვა დროსაც მოხდა). მეცნიერები ფიქრობენ, რომ მაშინ ქართველური ტომები საერთო-ქართველურ ფუძე ენაზე ლაპარაკობდნენ. შესაძლოა, ოდესმე, ახალმა აღმოჩენებმა, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ენათმეცნიერების... დარგებში შესაძლებელი გახადოს თვალის მიდევნება იმისთვის, თუ როგორ აისახა შორეულ წარსულში დასავლეთ და აღმოსავლეთ

საქართველოს შორის მოსახლეობის მასობრივი გადაადგილებები საქართველოს შემდგომი ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპებზე და ქართულ ენაზე, რამაც შესაძლოა ჩვენს ნაშრომში წამოჭრილი საკითხების ახსნის შესაძლებლობაც შექმნას...

107. სამთავროს სამაროვანი, ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანის – ახ. წ. Xს. არქეოლოგიური ძეგლი, ძვ. მცხეთის ჩრდ. განაპირა მხარეს, ქსე ტ. 9, გვ. 11.

108. იხ.: М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, გვ. 87.

109. ამ ჯგუფებში „სჭარბობს ფორმები ფართო და მაღალი სახით, ფართო თავით, ჰორიზონტალური ან ჩამოშვებული ცხვირის ბოლოთი, ტანის დიდი სიგრძით, ნათელი ფერის თვალების საშუალო რაოდენობით, ცხვირის დაბალი უღლით, ნაკლებად პროფილირებული სახით და ა.შ.“ იხ.: М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, გვ. 38, 39.

110. ალექსანდრე ჯავახიშვილს, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში ანთროპოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა ქართლ-კახეთის მოსახლეობა (რომელიც, საქართველოს ისტორიის მანძილზე, მრავალგზის გადათელეს აღმოსავლეთიდან მოსულმა და აქ საუკუნეობით დარჩენილმა დამპყრობლებმა – ე.გ.), აღნიშნული აქვს, რომ მოსახლეობის 3%-ს ღია ფერის თვალები და თმები აქვს, რაც, ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ ტერიტორიაზე, ოდესღაც, ქერა და ცისფერთვალება ხალხს უცხოვრია... (А. Н. Джаваховъ. Антропология Грузии. Грузины Карталинии и Кахетии. М.. 1908, გვ. 95)].

როგორც ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისიდან I ათასწლ. შუა ხანებამდე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხმელთაშუაზღვისპირული ტიპისათვის, ისე მისი თანდათანობითი გარდაქმნის გზით ჩამოყალიბებული წინააზიური ტიპისათვის, რომელსაც განეკუთვნება საქართველოს მოსახლეობა ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან დღემდე, მუქი თმა და თვალები და სხეულის უფრო ნაკლები სიმაღლეა დამახსიათებელი. ამიტომ ვვარაუდობ, რომ შესაძლოა, III ათასწლეულზე უფრო ადრინდელი მოსახლეობა იყო კავკასიონური ტიპისა, (რომელიც სხეულის შედარებითი სიდიდით უფრო შეესაბამება ჩემს წარმოდგენას დევებზე[111], (ალბათ, პირველყოფილ ადამიანებზე), რომლებიც ხშირად იხსენებიან როგორც იმერეთის ტოპონიმიკასა და ფოლკლორში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორში).

111. წევასა და მის ახლოს მდებარე ადგილების ტოპონიმები („დეისმამაური“, „დევის ხვრელი“, „ხანდევი“, „დევის ნამუხლი“, „დევის ტბა“), წევაში და მის შემოგარენში აღმოჩენილი პალეოლითის ხანის ადამიანის ქვის იარაღები, ჭიათურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ენეოლითის ხანის ადამიანის თავი სქალა (რომელიც მეტალური და შემდგომი ხანის თავისქალებზე უფრო განიერი და ფართოსახიანია), იმაზე მიუთითებს, რომ აქ, შორეულ წარსულში, უცხოვრიათ დიდი ზომის, ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს, რომლებსაც შემდგომში მოსულმა მოსახლეობამ დევები შეარქვა. თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის სამ ანთროპოლოგიურ ტიპს შორის (რომლებიც ჩვენ § 17 -ში დავახასიათეთ), წევის აბორიგენ მოსახლეებს – დევებს, ჩემი წარმოდგენით, ყველაზე უფრო ჰგავს კავკასიონური ტიპი, რომელიც სხეულის მეტი სიმაღლით, თავის და სახის სიფართოვით გამოირჩევა. ანთროპოლოგების აზრით, კავკასიონური ტიპი, რომლის ანალოგიური ანთროპოლოგიური თავისებურებები პლანეტის სხვა ადგილებში არ გვხვდება, „ყველაზე უფრო კავკასიონურია“ საქართველოსა და კავკასიაში მცხოვრებ ტიპებს შორის[113]. მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასიონური ტიპი უფრო ძველია („პროტომორფულ ნიშნებს შეიცავს“) გამოუთქვამს ანთროპოლოგ ალექსეევს. მაგრამ ჯერჯერობით არქეოლოგიური მასალა მის მოსაზრებას არ ადასტურებს:

ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე, უძველესი კრანიოლოგიური მასალა, *[თუ არ ჩავთვლით დმანისში აღმოჩენილი არქანთროპების თავის ქალების ფრაგმენტებს, რომლებიც დაახლ. 1700000 წლისაა]*, განეკუთვნება ენეოლითის (ჭიათურაში აღმოჩენილი ერთი, ზემოხსენებული, თავის ქალას ფრაგმენტი) და ადრეული ბრინჯაოს (ჩვიდმეტი თავის ქალას ფრაგმენტები) ხანას და ტიპოლოგიურად ერთი გმონაკლისის (ჭიათურაში აღმოჩენილი თავის ქალას გარდა), განეკუთვნება დოლიქოკრანულ (გრძელთავიან), ვიწროსახიან, ე.წ. ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომადგენელ, ადამიანებს. *(საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე მხოლოდ ამ ტიპის ადამიანებს უცხოვრიათ და თანდათანობითი ცვლილება განუცდიათ ბრაქიკეფალიზაციისაკენ. ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან კრანიოლოგიური მასალა უკვე აშკარად ბრაქიკეფალურია[112]. და განეკუთვნება ე.წ. წინააზიურ რასას)*, ამიტომ ანთროპოლოგი მ. აბდუშელიშვილი მიიჩნევს, რომ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები, წინააზიური რასის და მისი შემადგენელი კავკასიონური ტიპის ადამიანები ადგილობრივ

ჩამოყალიბდნენ (გარედან შემოჭრილი უცხო ელემენტების საგრძნობი ზეგავლენის გარეშე) – ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის თანდათანობითი ბრაქიკეფალიზაციის შედეგად.

ცხადია, რომ ენეოლითის ხანის მხოლოდ ერთი, ზემოხსენებული, განიერი თავის ქალას საფუძველზე, ძნელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბრინჯაოს ხანაზე უფრო ადრინდელი ადამიანები კავკასიონური ტიპისანი იყვნენ, მაგრამ, ქვის ხანის არქეოლოგიური მასალა და წევისა და მის ახლოს მდებარე ადგილების ტოპონიმები მოწმობს ამ ადგილებში ერთ-დროს პირველყოფილი ადამიანების ბინადრობას. ხოლო ანთროპოლოგიური მასალის თითქმის არ არსებობა იმას უნდა მოწმობდეს, რომ ისინი მიცვალებულებს წვავდნენ. ვფიქრობ, რომ ასეთი თავის ქალები სხვაც იქნება შემორჩენილი და ადრე თუ გვიან, ალბათ, აღმოაჩენენ არქეოლოგები.

მოსაზრება, იმის შესახებ, რომ კავკასიის ტერიტორიაზე კავკასიონური რასა აბორიგენულია წარმოშობს ეჭვს, ხომ არ იყვნენ ქართველთა წინაპარი ხმელთაშუაზღვისპირული ან წინააზიური რასის ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ადგილიდან მოსული.

მაგრამ მე ვფიქრობ, ანთროპოლოგიური ტიპის მიხედვით ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის აბორიგენობა არააბორიგენობის საკითხის განსაზღვრა სწორი არ არის, ვინაიდან, ამ ბოლო დროს, ქართველი მოსახლეობის ახალგაზრდა თაობის ძალიან სწრაფმა ცვლილებამ მეზო და დოლიქოკეფალურობისაკენ (ჩვენი დაკვირვებით, მიმდინარეობს სხვა ანატომიური ცვლილებებიც – სახის ნაკვთების და წვივის ძვლების გასწორება და სხვა), მისახვედრი გახადა, რომ, როგორც ჩანს, ერთი და იმავე პოპულაციის თავის ქალას ფორმა და სხვა ფიზიკური ნიშნები, უცხო ეთნიკური ელემენტების შესამჩნევი ჩარევის გარეშეც, პერიოდულად, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიჩქარით იცვლება ხან ბრაქიკეფალიზაციის და ხან საპირისპირო მიმართულებით *(არ არის გამორიცხული საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ერთი და იმავე წარმომავლობის პოპულაციის ფიზიკური ნიშნების სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე ეპოქალურ ცვლილებებს ჰქონოდა ადგილი... რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მიგრაციული პროცესებიც, რაც, ალბათ, მოსახლეობის ტიპის ჩამოყალიბებაში ნაკლებად იყო განმსაზღვრელი),* სამყაროში მიმდინარე, ჯერჯერობით აუხსნელი, პროცესების შედეგად. ალბათ, უფრო სწორი იქნება, მოსახლეობის აბორიგენობა არააბორიგენობის საკითხი განისაზღვროს არა იმით, რომელი ფიზიკური ტიპის ადამიანი უფრო ადრე არსებობდა ამ ტერიტორიაზე, არამედ იმით თუ ამ რეგიონში მცხოვრები რომელი ხალხის (ყოველი ერის კულტურა პოლიეთნიკურია) დომინანტობით შეიქმნა ამ რეგიონისათვის ნიშანდობლივი, თვითმყოფადი, დომინანტური, მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად განვითარებადი კულტურა, უხსოვარი დროიდან დღემდე. ამას კი ფიზიკურ ტიპზე მეტად ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა მენტალურ-ფსიქიკური წყობა განაპირობებდა, რომლის ჩამოყალიბებასაც, ალბათ, მათ რასობრივ და ეთნიკურ წარმომავლობაზე მეტად, იმ გეოგრაფიული არეალის, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, ფიზიკური თავისებურებები და ამ გეოგრაფიულ არეალზე კოსმოსურ ძალთა სხვადასხვაგვარი ზემოქმედება განაპირობებს (ისტორიულ ფაქტორებთან ერთად).

112. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა წარმომავლობისათვის წიგნიდან საქართველოს ისტორია, ტ.I, თბ. 2012, გვ. 113 – პერიფრაზი.

113. М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, გვ. 82.

113. დ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრ. გვ. 120-121.

114. ჩვენ ამის თქმა თამამად შეგვეძლო XIX სს. ბოლოს. XX-XXI საუკუნეებში, გახშირდა სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ქორწინების შემთხვევები.

115. წეველების ოსებისაგან და ყივჩაყებისაგან დიდად განსხვავებულობის აღნიშვნა ჩემი ახირება არ არის. არა მხოლოდ წეველთა კულტურის გამოვლინებები, არამედ მათი ფიზიკური ტიპების და ფსიქიკური წყობის თავისებურებაც არ გვაძლევს საფუძველს, რომ წევის მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტიპების შეზავებაში არაქართველი ეთნოსების წარმომადგენელთა მონაწილეობა ვიგულვოთ (იხ, § 17). ოდესღაც რაღაცის არსებობაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს, თუ მისი არავითარი კვალი არ ჩანს. ასე, შეიძლება წევაში ნებისმიერი ეთნოსის ცხოვრებაზე ილაპარაკო... ასეთ საკითხებზე მსჯელობა ლეგენდებზე დაყრდნობით არ შეიძლება. თუ ლეგენდებში არის სიმართლის მარცვალი, მაშინ, ის, რაც არ ჩანს კულტურის არცერთ გამოვლინებაში, შესაძლოა ერთხანს ჩანდეს გენეტიკის დონეზე, რადგან, მეცნიერების დაკვირვებით, ადამიანის მონაცემებიდან მისი გენი ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს თავისთავადობას, თუმცა სამყაროში, სხვადასხვა ტემპით, ყველაფერი ცვალებადია... ჩვენი საგვარეულოსთან მიმართებაში, არა მგონია, რომ თუნდაც გენეტიკური ანალიზით გამომჟღავნდეს

განსხვავებული მონაცემები. მაგრამ, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება თავის წარმომავლობაში (შესაძლოა პირადად მას აქვს კიდეც საამისო საბაბი) მიმართოს ანთროპოლოგს... თანამედროვე ანთროპოლოგია სეროლოგიური, დერმატოგლიფიკური და სხვა მეთოდების გამოყენებით, ადგენს ადამიანის გენეტიკურ კოდს და ეთნიკურ კუთვნილებას *(თბილისში ასეთ კვლევებს, აწარმოებს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილება (დ. უზნაძის ქ., რეგმატოლოგიური ცენტრის ეზოში)].*

გამიგია, რომ ნებისმიერი ადამიანის სისხლში, კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ამ ადამიანის წინაპრების ჩამოყალიბებაში მონაწილე, ათობით სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლის გენი მჟღავნდება. უფრო მეტიც, ყოველი ადამიანის ემბრიონი თავისი განვითარების პროცესში ყველა იმ ცოცხალი ორგანიზმის სტადიას გადის, რომელიც გაუვლიათ ადამიანის წინაპრებს ადამიანად ჩამოყალიბებამდე. რომელი ერთი მივიჩნიოთ ჩვენს წინაპრად?..

გენეტიკური ანალიზი შეიძლება საინტერესო იყოს მეცნიერებისათვის, მედიკოსებისათვის, კრიმინალისტებისათვის, მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანთა საზოგადოებაში, ერთი ხალხის მეორისაგან განმასხვავებელი ნიშნებია: ფიზიკური ტიპი, ენა, მამული, კულტურა, მენტალიტეტი, სარწმუნოება, რაც ჩვენი საგვარეულოს ეთნიკურ კუთვნილებას ცალსახად და მკაფიოდ აჩვენებს...

116. ებანოიძე – გლეხი [ჩხარის] ციხის მეციხოვნემ, შოშია კიბაბიძემ წაართვა მას ოთხი ძროხა (XVII ს. Ad-2233ბ), პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 106.

117. ნიორაძე მახარა – [ჩხარის] ციხის მეციხოვნე, სხვა მეციხოვნეებთან ერთად დაარბია და გაძარცვა სოფელი. უცნობ პირს წაართვა ერთი ბიჭი, ერთი ყმის ცოლი, ცხვრები ნამრავლით, ერთი უსაჭკო (sic !), ერთი ფარი (XVII ს. Ad _ 2233b). პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბ. 2004, გვ. 306.

სახელი ნიორა მანამდეც არსებულა: ებერის ძე მიქაელ – ჰყავს [სახლიკაცი] **ნიორა,** ყმა უცნობი მომჩივანის მოწინააღმდეგე პირისა. მას ნიორასთან ერთად გაუძარცვავს მომჩივანის მამა (XIII ს. II ნახ. Hd. 1589) პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ II, თბ. 1993, გვ. 106; **ნიორას ძე** – სკრაში მცხოვრები, იგი გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ერგო გოშფარს ([1527-558წწ.] Qd-605). (ამ შემთხვევაში გაუგებარია აქ ნიორაძე გვარია თუ მამის სახელი). პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბ. 2004, გვ. 306.

118. იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრები თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, რედაქტ.-გამომც. ზ. კაცელაშვილი.

119. განა არ ვნახეთ, ამდაგვარი „შხამის " წვეთ-წვეთად ჩაგონებით როგორ გაუუცხოვეს და გაუორგულეს საქართველოს აფხაზები და ოსები, და როგორ ცდილობენ და ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნისაგან სამეგრელოს, სვანეთის და ასხვა კუთხეების მოწყვეტას?..

120. ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები – სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ. 1979, გვ. 29.

121. ამ კაცის განაცხადის საფუძველზე, 2002 წ., სიონის ტაძრისათვის ჩვენი საგვარეულოს მიერ შეწირული წმ. გიორგის ხატზე, საგვარეულოს წარმომადგენელი სამი გვარის გარდა, ტაველიძეც მიაწერეს. ჩემი აზრით, არ იყო საჭირო ასეთი აჩქარება, ჯერ უნდა გაგვერკვია, შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს იმ კაცის ნათქვამი...

122. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ.I. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ. 1967წ., კახეთის XVIII ს. I მეოთხედის დავთარი, გვ. 63.

123. რაღა თქმა უნდა, გამოკითხვა უნდა ჩატარდეს დაკვირვებით და საფუძვლიანად...

124. ს. გაჩეჩილაძე, „ღია წერილი დიდად პატივცემულ და ერთადერთ ღრმად ჩახედულს ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში მეცნიერს მიხეილ ჩიქოვანს!". შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა № 22000, გვ. 108.

§ 19. შალვა (გურამ) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*

(ინჟინერ-მექანიკოსი, გამომგონებელი).

კლდეკარა წევის აკვანია

I წინასიტყვაობა

გავიზარდე წევაში, ოთხი წლისას, 1943 წელს, ტრაგიკულად დამეღუპა დედა. ჩემი გაზრდა ითავეს ბებია ლეონინე კალანდაძემ და ბაბუა კასიანე გაჩეჩილაძემ – წევის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა.

წევაში განსაკუთრებით მიყვარს კლდეკარა, რომელიც ზემოდან ამაყად გადაჰყურებს მდინარე ძირულას დაკლაკნილ ხეობას. მდინარეს მარჯვნივ მიუყვება რკინიგზა, მარცხენა მხარეს კი ავტომაგისტრალი. კლდეკარას ქვემოთ იყო მატარებლის ბაქანი. ზედა წეველების ფეხით სავალი ძირითადი გზა კლდეკარაზე გადადიოდა. ბავშვები იქ ვთამაშობდით ომობანას, კლდეკარაზე უცვლელად იყო ჩვენი „შტაბი“. იქ ვეგებებოდი სტუმრებს თბილისიდან, აგრეთვე ზესტაფონში საყიდლებზე წასულ ბებიას და ბაბუას. ამ გზით დავდიოდით წისქვილშიც.

საღამო ხანს, სულ პატარა, გავიპარებოდი კლდეკარაზე და, იქ საათობით ვიჯექი, ზემოდან გადავცქეროდი წევის ბაქანზე გაჩერებულ მატარებელს, ჩამოსულ მგზავრებს და იქიდან ფეხს არ ვიცვლიდი, სანამ ბოლო მგზავრი არ ამოივლიდა. ველოდი მამას, რომელიც სამხედრო ინჟინერი იყო. ხან ხმამაღლა ვტიროდი – გავკიოდი: მამა, როდის ჩამოხვალ?!.. დაღამებას ვერ ვგრძნობდი. ბებია ჩამომაკითხავდა, თვალცრემლიანი ჩამიხუტებდა – იმედს მაძლევდა: შვილო, ომი სულ მალე დამთავრდება და მამაშენიც პირდაპირ აქ გამოივლის, მიწა მივაყარე ჰიტლერსო...

შინ მისულებს ბაბუა შემოგვეგებებოდა და ბებიას შეეკითხებოდა: ისევ კლდეკარაზე იყო? ბებია თავის დაქნევით დაუდასტურებდა. ბაბუა შუბლზე მაკოცებდა და დამაჯერებლად მეტყოდა: – „კლდეკარა წევის აკვანი რომ არის, ამიტომაც გიყვარს იქ ყოფნა“-ო.

ბაბუა კასიანეს სხვადასხვა დროს მრავალჯერ მიუნიშნებია წევის წარმოშობაში და დასავლეთ საქართველოში განთქმულ წევის ბაზრობის დაფუძნებაში კლდეკარის უდიდეს როლზე. უყვარდა გამოთქმა – „კლდეკარა წევის აკვანიაო“. მიმიხვდებით, თუ რატომ დავარქვი ამ ნარკვევს ასეთი სახელი.

ხშირად დავფიქრებულვარ: ვინ იყო პირველი მოსახლე, პირველი წეველი? საიდან დაიწყო წევა? რა უნდა ყოფილიყო სოფლის ტერიტორიაზე ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ეკლესიის აშენებამდე დიდი ხნით ადრე, მოიზიდავდა მოსახლეებს?

ზოგადი ანალიზის შედეგად ჩამომიყალიბდა კითხვა: ხომ არ არის დაკავშირებული სოფლის ტერიტორიაზე პირველმოსახლეთა გაჩენა კლდეკარასთან? ხოლო თვით კლდეკარა, ხეობის დაცვასთან და საქარავნო – აბრეშუმის გზასთან?

დოკუმენტური მასალის სიმწირის გამო სრულყოფილი ისტორიის შედგენა წევა-წეველების შესახებ, კომპლექსური გამოკვლევის და სერიოზული არქეოლოგიური გათხრების გარეშე, გაძნელდება, მაგრამ თუ ერთი ვარაუდიც კი დაგვაყენებს სწორ გზაზე, ეს ჩვენი საერთო გამარჯვება იქნება.

საკითხის შესწავლის მცდელობა გამოიწვია წევის სიყვარულმა. სპეციალისტების ყველა შენიშვნას სიხარულით მივიღებ. იქნებ მცირე დისკუსია მაინც გამოვიწვიო. წევის წარმოშობის შესახებ მსჯელობის და მცირეოდენი გამოკვლევის დაწყების გაადვილების მიზნით, უპრიანი იქნება თანმიმდევრობით განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი:

II საქარავნო ანუ აბრეშუმის გზა, კოლხეთი, შორაპანი

საქართველოს ტერიტორიაზე ფართო, მასშტაბური ვაჭრობის და საქარავნო გზის ჩამოყალიბებას უძველესი ფესვები აქვს და იგი მომდინარეობს ძვ. წ. XII

საუკუნიდან – უძველესი ქართული სახელმწიფოების დიაოხის და კოლხას წარმოშობის დროიდან.

ვახუშტი ბატონიშვილი იმოწმებს უძველეს ისტორიულ წყაროებს და აღნიშნავს: „პირველი ვაჭარნი იყვნენ ფინიკიელნი. სამი სავაჭრო გზა ჰქონდათ: კავკასიისაკენ, ეგვიპტისაკენ და ზღვით ევროპისკენ“.

თუ ბერძენთა ვაჭრობა მთლიანად ფინიკიელთა ხელში ყოფილა, ქართველებს სცოდნიათ თავისი ნაწარმის გატანაც და ნაოსნობაც.

ძვ.წ. VII საუკუნეში ძველმა პონტოელებმა „დააფუძნეს სავაჭრო ქალაქები: სინოპი, ტრაპეზუნდი და ჰქონდათ აღებ-მიცემა და სარგოიანი ვაჭრობა მეზობელ ხალხთანა... ფაზის მდინარე შორაპნამდე ზღვიდან ნავით სავლელია... ნავით მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები ვიდრე შორაპნამდე, შორაპნიდან სურამამდე ხმელის გზით აქლემებით და ცხენებით და მას უკან მტკვრით კასპიის ზღვამდე, საიდანაც გაჰქონდათ ინდოეთში და ჩინეთში“ – (ვახუშტი).

ვაჭრობა თანდათან გაფართოებულა შუა აზიასთან, სპარსეთთან, მესოპოტამიის ქვეყნებთან და ჩრდილოეთის ტომებთან. ელინისტურ-რომაულმა ხანამაც შეუწყო ხელი ხელოსნობის განვითარებას და ვაჭრობა უფრო დიდი მასშტაბებით წარიმართა. სამთავროებს გაეზარდათ შემოსავალი, ამიტომაც შეუწყვეს ხელი გზებისა და ხიდების მშენებლობას. სტრაბონი (ძვ.წ. I – ახ. წ. I საუკ.) აღნიშნავს: „ამ მდინარეების (რიონი, ყვირილა) გაყოლება მრავალი ქალაქებია და სადგურები, აგრეთვე 120 ხიდი. სადგურებზედ გაკეთებულია ხის დაფები ზედ წარწერით – გზის მიმართულების საჩვენებლად. ...ივერიაში შეისვლება ოთხი გზით, ერთი გზა მიდის კოლხიდის ციხე სარაპანიდან. ...სარაპანი დიდი ქალაქია“.

სტრაბონი ფოთს „სავაჭრო ნავსადგურს“ უწოდებს, ხოლო სოხუმს „შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ გადასასვლელი გზის დასაწყისს“.

იქნებ სოხუმის წამოწევა განაპირობა კარგმა ნავსადგურმა და იმანაც, რომ რიონის ჩრდილო – მარჯვენა მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული, რაც ხელს უწყობდა უსაფრთხო მგზავრობასაც და გზადაგზა საქონლის გასაღებასაც.

პროკოპი კესარიელი (VI) საუკ.) წერს: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის ჩრდილოეთით და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ გაუშენებიათ, მათ შორის სკანდა და სარაპანი. იბერიის საზღვრებისკენ მდინარე ფაზისს იქითა მხარეს ლაზებს პეტრას (უჩინარი – ქობულეთთან) გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ“.

შორაპანში ქარავნები შემოდიოდნენ ტაო–ზეკარა–ვარციხის გზითაც. აქ თავს იყრიდნენ ქარავნები: აღმოსავლეთიდან – სურამი – ლიხიდან, ჩრდილოეთიდან – მამისონი – ონიდან, სამხრეთიდან ზეკარა – ვარციხედან და დასავლეთიდან ფოთი – სოხუმიდან.

თუ დავუკვირდებით შორაპნის მდებარეობა-საზღვრებს, ურიცხვი ქარავნები იქ ვერ დაეტეოდა, ამიტომ მის სიახლოვეს ვაჭრებს და ქარავნის გამყოლ-დამცველებს დასჭირდებოდათ ღამის გასათევი და დასასვენებელი პუნქტი.

III წევის აკვანი

რას გულისხმობდა ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი „სადგურებში“? წევის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ასეთ ადგილად მხოლოდ კლდეკარაა გამოკვეთილი. სტრაბონი აღნიშნავს:

„ეს მდიდარი ქვეყანაა. იბერია მშვენივრადაა დასახლებული მეტწილად ქალაქებითა და დაბებით, ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული წესების თანახმად აშენებული ბინები, საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“.

„იბერია მდიდარი ქვეყანაა და იქ აუარებელი ძალიან გამაგრებული ციხე-კოშკებია“, წერს XI საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე. საქართველოს სიმდიდრე და სტრატეგიული მდებარეობა ოდითგან იყო მტრების შემოსევის მიზეზი. მორიგი შემოსევის შედეგების შესახებ მემატიანე მრავალჯერ იმეორებს: „მოისპო ყოველი სულიერი, ნაშენი და ნაწერი“. ჩვენი

ქვეყნის და ცალკეული მხარეების ისტორია დაკარგულია ან ბუნდოვანია საუკუნის მანძილზეც კი, ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც სოფელ წევის წარმოშობის შესახებ საქმე გვაქვს დოკუმენტური მასალის სიმწირესთან, თუმცა გვაქვს ხელჩასაკიდი ფაქტებიც: „წევა რომ ძირძველი სოფელია, ამას ადასტურებს მის ტერიტორიაზე XI საუკუნით დათარიღებული ეკლესიის არსებობა“ *(ქსე, ტ. IV, თბ., 1979 წ., გვ. 498; „საქართველოს კულტურის ძეგლები“, თბ., 1959 წ., გვ. 58).*

ცნობილი ფოლკლორისტი სევასტი გაჩეჩილაძე ადასტურებს: „აღებ-მიცემობა წეველებისა ძველი საქმეა“-ო.

მეტად მნიშვნელოვანია ბატონი როსტომ გაჩეჩილაძის ვარაუდი: „ვაჭართა ქარავანი სოფელში ჩერდებოდა, ეკლესიაში აღავლენდნენ ლოცვა-კურთხევას და თანაც ეკლესიასთან მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყებდნენ ვაჭრობას... სავაჭროდ მოდიოდა მთელი იმერეთის მოსახლეობა“-ო.

დიახ ბატონებო! ყველაფერი ნათელი და მისაღებია, მაგრამ გადავიხედოთ უფრო ადრინდელ ხანაში. ბუნებრივია, წევის ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას გაუჩნდება კითხვა: ანტიკური ხანიდან ეკლესიის აშენებამდე სად ჩერდებოდნენ ქარავნები? სად ათევდნენ ღამეს, ან უამინდობის დროს სად აფარებდნენ თავს? ამ გაუვალ ტყეებში მექარავნეები სად იცავდდნენ თავს „აუარებელი არამზადის“ თუ მოთარეშე ყაჩაღებისაგან? თუნდაც, გარეული მხეცებისაგან? გარეული მხეცები აქ შემთხვევით არ გვიხსენებია. ისტორიულად ცნობილია გამოთქმა „აჯამეთის მგლები“ – შიშის ზარს რომ სცემდნენ მოგზაურებსაც და მოსახლეობასაც. აღარაფერს ვამბობთ დათვებზე და სხვა მტაცებლებზე.

როდის გაჩნდა პირველი მოსახლე სოფლის ტერიტორიაზე? რომელი ადგილის ირგვლივ მოხდა თავდაპირველად მათი ლოკალიზება?

ეჭვგარეშეა, რომ მთაგორიან, გაუვალ ტყეებში სოფლის და ვაჭრობის ჩასახვას ბიძგი უთუოდ მისცა და დასაბამი დაუდო რაღაც ხელშემწყობმა პირობებმა – მასტიმულირებელმა ვითარებამ.

განსაკუთრებით გვაოცებს ვაჭრობა – აღებ-მიცემობის ჩასახვა, არა ანტიკურ შორაპან-დიმში ან უძველეს ვარციხე-სკანდაში, არამედ მთაგორიან წევაში!

სოფელში პირველი მოსახლეობის გაჩენის სავარაუდო ადგილად კლდეკარის წამოწევა ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გამოდგეს წევის ისტორიისათვის. თვით კლდეკარა აუცილებლად მიბმულია შორაპანთან, საქარავნო გზასთან და ხეობის დაცვასთან.

საქარავნო გზა, შორაპანი და კლდეკარა – აი, სად უნდა ვეძებოთ წევის გასაღები.

IV წევის ასაკი

შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ წევის ტერიტორიაზე ჯერ ეკლესია აშენდა და შემდეგ მის ირგვლივ გაშენდა სოფელი. დაუსახლებელ და მიუვალ-შენიღბულ ადგილებში მხოლოდ მონასტრებს და ციხეებს აშენებდნენ.

ანტიკური ხანიდან წევაზე ან მასთან გადიოდა ერთადერთი საქარავნო გზა, შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ, რომელზედაც მტრების ლაშქარიც მოძრაობდა. ეკლესია გამოსაჩენ ადგილზე მდებარეობს, ამიტომ მონასტრის არსებობა გამორიცხულია. რაიმე სახის სიმაგრე, კოშკი ან ქარვასლის მსგავსი ნაგებობა თუ იარსებებდა, ის მხოლოდ კარგად დაცულ ან ადვილად დასაცავ ადგილზე უნდა ყოფილიყო და იგი მხოლოდ კლდეკარა იქნებოდა, სხვა ადგილი ამ მიდამოებში არ ჩანს.

ეკლესიის აშენების მიზანშეწონილობის საკითხი რომ წამოიჭრას, დასახლებაში უნდა იყოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი. მოსახლეობის გამრავლებას კი ქვეყანაში არსებული მდგომარეობა განაპირობებს.

მიმოვიხილოთ საქართველოს და, კერძოდ, იმერეთის მდგომარეობა VI - X საუკუნეებში: ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს საქმე უკან წავიდა. ქართლის შემდეგ სპარსელები დასავლეთში გადავიდნენ. ეგრისში

დამკვიდრებით სპარსელებს სურდათ გზის გაკაფვა შავი ზღვისაკენ. შორაპნის და სკანდის ციხეებში სპარსელები ჩადგნენ. დაიწყო ხანგრძლივი ომი რომაელებსა და სპარსელებს შორის, რომელიც გაგრძელდა მერვე საუკუნემდე, ამასთან 643 წელს გამოჩნდნენ არაბები, რომლებმაც გაანადგურეს სირია, პალესტინა, ირანი, სომხეთი და შემდეგ მთელი კავკასია.

VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი აღნიშნავს: „ლაზიკე ხომ ძნელად სავალია და მთლად კლდოვანი. ჯარში ჭირი გაჩნდა. მეტი წილი ჯარისა მოისრა, ბევრი მათგანი კი დაიღუპა სურსათის ნაკლებობის გამო... იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვე ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრეა (სკანდა და შორაპანი), რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. იქ ქვრიმა (ფეტვი) მოდის“.

ასევე მნიშვნელოვანია ამავე საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი მწერლის იოანე ლიდეს ცნობაც: „კოლხებს და კავკასიას სკვითები აწუხებდნენ, ხოლო თრაკიას აუარებელი არამზადა“-ო. მერვე საუკუნის პირველ ნახევარში მურვან ყრუს ლაშქრობამ შეამცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „დაანგრიეს ყოველნი ქალაქნი და უმრავლესი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა... იყო ქალაქი ყრუვმდე“.

თუ გავითვალისწინებთ მტრების შემოსევებს, ბანდების თარეშს, უგზოობას, ჟამიანობას, შიმშილს და სხვა სიძნელეებს, წევის ტერიტორიაზე პირველი მოსახლის გამოჩენიდან სოფლის ჩამოყალიბებამდე სამ საუკუნეს მაინც უნდა გაევლო, ე.ი. პირველი მოსახლე წევაში უნდა გაჩენილიყო მეშვიდე-მერვე საუკუნეში, გამომდინარე იქიდან, რომ წევის წმინდა გიორგის ეკლესია X-XI საუკუნეშია აშენებული.

ამ პერიოდში საქართველოში და, კერძოდ, კოლხეთში პოზიტიური ძვრები დაიწყო. მატიანე ქართლისა გვამცნობს: „ძალითა მათითა (ხაზართა) გადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა“. იდგა 786 წელი, ეს იყო ლეონ II, რომელმაც სამეფოს დედაქალაქი ციხე გოჯიდან (ნოქალაქევიდან) გადმოიტანა ქუთაისში.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფის გიორგი II-ის (922-57) მოღვაწეობაც. მის სამეფოში შედიოდა იმერეთიც, ქართლიც, კახეთიც, სამეგრელოც და ტაო-კლარჯეთიც. მისი მოღვაწეობის დროს აფხაზთა სამეფომ პოლიტიკური ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ქართული ეკლესიის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც კი გავრცელდა. ქართული წყაროები მას „ეკლესიათა ამშენებელს“ უწოდებს. ამ პერიოდში მოხდა მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა, რაც უთუოდ შეეხებოდა წევასაც.

მეფე გიორგი II-ის დახმარებით ალანელებმა თავის ქვეყანაში ქრისტიანობა გამოაცხადეს სახელმწიფო რელიგიად. მანვე დააარსა ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსო კათედრა და მრავალი სხვა. საინტერესოა – ამ პერიოდში ხომ არ გადაწყდა წევაში ეკლესიის აშენების საკითხი? შეიძლება მშენებლობაც კი დაიწყო.

VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნეში დასავლეთ საქართველო ყველაზე მყუდროდ დაცული მხარე იყო. ბერძენთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ დასავლეთ საქართველოში დამკვიდრდა ქართული დამწერლობა და ქართული ღვთისმსახურება, მოძლიერდა გლეხობა, განვითარდა ხელოსნობა, გაფართოვდა ვაჭრობა. დაიწყო საქართველოს გაერთიანების ეპოქა, რომელიც მეფე ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებიდან ორი საუკუნის გავლის შემდეგ დააგვირგვინა ბაგრატ III-მ – მეფემ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“. მანამდე საბაჟო ჰქონდა ყოველ სამთავროს. ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ შეამცირა გადასახადები ვაჭრობაზე, სტიმული მისცა მას.

VIII - X საუკუნეებში ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებით მოიფინა მთელი საქართველო. აფხაზთა მეფეებმა ლეონ II,ოსოდოსიმემ,გიორგი II ააგეს გუმბათოვანი

ტაძრები ჩხარში, ხონში, ჩიხარში, მარტვილში და მრავალი სხვა, მათ შორის უამრავი ციხე-კოშკები..

IX-X საუკუნეებში აიგო: ხანძთის, ოშკის, შატბერდის, იშხნის, ბანას, ოპიზის, წყაროსთავის, ხახულის, მოქვის, ცაგერის, ილორის, ცაიშის, სავანეს, იყალთოს, ბოჭორმის, ალავერდის, გავაზის, ლაგოდეხის, ჭერემის ეკლესიები.

ბაგრატ III-ის მეფობის დროს აიგო გუმბათოვანი ტაძრები ბედიისა (X საუკუნის ბოლოს), ბაგრატისა (1003 წ.) ნიკორწმინდისა (1010-1014 წწ.), დაიწყო მცხეთის სვეტიცხოვლის და სამთავისის ტაძრების მშენებლობა. ბაგრატ მეფის სახელი ამოკვეთილია ატენის სიონის, ზარზმის, კაცხის, ზედა თმოგვის, წვიმოეთის, სამთავისის, აშურიანის და კუმურდოს ტაძრების კედლებზე. მეფე ბაგრატს ლიხნის ტაძარი აუშენებია ბიჭვინთის ტაძრის გეგმის მიხედვით 1012 წელს. ძალზე ბევრი მსგავსებაა ნიკორწმინდის და ბაგრატის ტაძრებს შორის, ასევე კაცხის და ნიკორწმინდას შორისაც (ჯვრის ფორმა, ჩუქურთმები და სხვა).

ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ ყურადღების შეჩერების მიზანია გამოვთქვათ მოსაზრება: წევის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო ან აშენდა მეფე ბაგრატ III-ის სიცოცხლეში – 1014 წლამდე, ვინაიდან შემდგომ საქართველოსათვის იწყება უმძიმესი ხანა: ომები ბიზანტიასთან, შინა ომები კლდეკარის ერისთავთან, თურქ-სელჩუკების მიერ საქართველოს და, კერძოდ, არგვეთის საერისთაოს აოხრება, საშინელი მიწისძვრები საქართველოში, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შედეგადაც დაინგრა უამრავი ციხე, კოშკი, ქალაქი თუ სოფელი. ამიტომ ამ პერიოდში ადრე დაწყებული მშენებლობა თუ დამთავრდებოდა.

წევის ეკლესიის აშენების თარიღის დაზუსტებაში დიდი ფაქტობრივი მასალა უნდა მოგვცეს კედლების მხატვრობის შრეების შესწავლამ, რაც ხელოვნებათმცოდნეების საქმეა. ჯერჯერობით წევის ეკლესია შეგვიძლია მოვიხსენიოთ X-XI საუკუნის ძეგლად.

კლდეკარა ხომ უძველესია წევის ეკლესიაზე, ანტიკურია, ამიტომ სერიოზული არქეოლოგიური გათხრები კლდეკარაზე და მის სიახლოვეს ნათელს მოჰფენდა მრავალ საკითხს.

V ვაჭრობის აკვანი წევაში და ხეობის დაცვის ფუნქცია

ლიხი-სურამის ტყიან-ხრამიან ძნელსავალზე ხუთდღიანი მომქანცველი მგზავრობით გადაღლილ მექარავნეებს დასვენება, თავის თავის და ტვირთის წესრიგში მოყვანა უცილობლად ესაჭიროებოდათ. ერთ-ერთი „სადგური“ უთუოდ წევის კლდეკარა იყო. მაშინ მასზე რამდენიმე ნაგებობაც უნდა ყოფილიყო, ცალკე ადამიანებისთვის და ცალკე ცხოველებისთვის. შემდგომში სიმაგრის მცველებთან ერთად უთუოდ წარმოიშობოდა მომსახურე ადგილობრივი ხალხიც, საკვებიც, სასმელიც – რომლებიც გაიცვლებოდა საქონელზე. ამაში ვხედავთ წევაში ვაჭრობის უძველესი ტრადიციებისათვის საფუძვლის ჩაყრას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შემორჩა სოფელს, მოგვიანებით „იარმარკის“ სახელით.

შორაპანი ძველთაგანვე ითვლებოდა ხეობის სიმაგრედ. მეფე ფარნავაზმა ძვ. წ. III საუკუნეში იმიტომაც ააშენა აქ გრანდიოზული და მიუვალი სიმაგრე – შორაპნის ციხე. ციხის ზომებით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქი მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო.

მტრის თავდასხმის დროს, მოსახლეობის ევაკუაციას და პროდუქტების შეზიდვას ციხეში საკმაო დრო ესაჭიროებოდა. ასეთი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრის დაცვისა და დროული გაფრთხილებისათვის აუცილებელი იყო მის ირგვლივ და, განსაკუთრებით ხეობებში, ციხეების და კოშკების ჯაჭვის არსებობა. მათ პირველი დარტყმა უნდა მიეღოთ თავის თავზე, შეძლებისდაგვარად შეეჩერებინათ ან შეეფერხებინათ მტრის წინსვლა და კოშკებზე ცეცხლის ანთებით ესტაფეტასავით გადაეცათ ხიფათის შესახებ შეტყობინება, რათა დროულად ეცნობებინათ ეს ქალაქისათვის.

შორაპნის, დიმის და გოჯის ციხეები ანტიკურ ხანაშია აგებული. შემდეგში ვარციხე, სკანდა, მოდი ნახე, ჩხარი, კაცხი, საზანო, ხარაგაულის, ვახანის, მწყერის, სვერის და სხვა ციხეები – ესენი არიან შორაპნის ციხის ირგვლივ ციხეთა ჯაჭვის ნაწილი.

კოშკების შესახებ ცოტა რამ ვიცით. მაშ რისი ნანგრევებია კლდეკარაზე?

მოკლედ მიმოვიხილოთ სავაჭრო დასახლებები წევის ირგვლივ:

ციხეგოჯი –ნოქალაქევი, ბერძნულად „ძველი ქალაქი“ – არქეოპოლისი, სენაკის რაიონში, ძვ. წ. III საუკუნეში დააარსა ეგრის-სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ. VI-VIII საუკ. ეგრისის დედაქალაქი. დაანგრია მურვან ყრუმ VIII საუკუნეში.

ჩხარი და ჩიხორი თერჯოლის რაიონში.

ჩხარი ააშენა აფხაზთა მეფე ლეონმა 797 წელს. სავაჭრო-სახელოსნო დასახლება – ცნობილი ბაზრობით. დაინგრა 1634 წელს.

ჩიხორი ააშენა აფხაზთა მეფე ოსოდოსიმემ 819 წელს. სავაჭრო ქალაქი XIII საუკუნემდე.

1634-35 წლებში ლევან II დადიანმა, აღებ-მიცემობის გამოსაცოცხლებლად და ამით საბაჟო შემოსავლების გაზრდის მიზნით, ვაჭართა დიდი ნაწილი ჩხარიდან და ჩიხორიდან ჩაასახლა სოფელ რუხში, შეიძლება წეველებიც, ვინაიდან ვაჭრობაში მათზე უკეთესად დახელოვნებული ვინ იქნებოდა?

ამის გარდა სავაჭრო დასახლებები იყო საჩხერის და სურამის მხარეს, აგრეთვე ოჩამჩირის რაიონში – ბედიასა და ილორში.

ბაბუა კასიანემ ერთხელ მიამბო: წევის ბაზრობაზე გასაყიდად საქონელი, ფრინველი და პროდუქტები მოჰქონდათ გურია-აჭარიდან, სამეგრელო-სვანეთ-ლეჩხუმ-რაჭიდან და ქართლიდანაცო. განსაკუთრებით გაჩაღდა ჩვენთან ვაჭრობა ჩხარის ბაზრობის დანგრევის შემდეგო.

მთაგორიან, ძნელად მისადგომ და ღარიბ სოფელ წევაში საოცარი ბაზრობა – „იარმარკა“ სამ ძლიერ ფესვზეა აღმოცენებული: პირველია ვაჭრობის უძველესი ტრადიციები ანტიკური ხანიდან – საქარავნო გზიდან და ეს დაკავშირებულია კლდეკარასთან; მეორე მძლავრი ფესვი უთუოდ წევის ეკლესიაა – მისი სასწაულმოქმედი ხატებია; ხოლო მესამე თვით წეველებია, მათი შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, ცოდნის წყურვილი, სიტყვის გაუტეხლობა და ვაჭრობა-ხელოსნობისკენ სწრაფვა.

ვაჭრობაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა საბაჟო გადასახადები და საბაჟოს ადგილმდებარეობაც. წევის ახლოს საბაჟო არ იყო. უახლოესი საბაჟო აღმოსავლეთით თამარისდროინდელ სოფელ ჩხერში იყო, დასავლეთით კი ისტორიაში ცნობილი უძველესი საბაჟო ჭალადიდთან მდებარეობდა.

VI „წევის ბოლო“

ზედა წევის უმაღლესი ადგილი მდებარეობს 563,5 მ. ზღვის დონიდან. წევასთან მდინარე ძირულა ზღვის დონიდან 177 მ. სიმაღლეზე მიედინება, ხოლო კლდეკარა 375 მ. სიმაღლეზეა. გამოდის, რომ კლდეკარის, ყველა მხრიდან მიუვალი, მაღლობი მდინარის ხეობიდან 200 მეტრითაა ასვეტილი.

წევის ბოლოს – დასავლეთ განაპირა ადგილს ხალხმა კლდის კარი ანუ კლდეკარა შეარქვა. მას სოფელთან ვიწრო ყელი აკავშირებს. თუ დავუკვირდებით, ეს ვიწრო ყელი გოდოლია და ხელოვნურად დაყრილ მიწის გორას წარმოადგენს, რომლის მონგრევის შემთხვევაში კლდეკარა მიუვალია ოთხივე მხრიდან.

კლდეკარას ჩრდილოეთ მხარეს შუა სიმაღლეზე აქვს გამოქვაბული. 1950-იან წლებში ზემოდან თოკებით ჩავეშვით, ფრთხილად დავათვალიერეთ. ვიპოვეთ უამრავი ძვალი და ნივთების (სურების და ფიალების) ნამტვრევები. როგორც მახსოვს, ადამიანის თავის ქალა ან საომარი იარაღები არ შეგვხვედრია. ვინაიდან კლდის რღვევის გამო კლდეკარას თითქმის ყველა კიდე ჩამოენგრა, გამოქვაბულის ზომებიც შემცირდებოდა, მაშინ კი მისი ზომები იყო: სიღრმე 2,5 მეტრი, სიმაღლე ორ მეტრამდე, სიგრძე 3 მეტრამდე.

კლდეკარაზე გარკვევით არის გამოკვეთილი ორი ზღუდე – თუ გალავან-გოდოლი. მათი შეხების ხაზზე შემორჩენილია რკალისებური კედლის ფუნდამენტი, სიმაღლით 30 დან 80 სმ-მდე და სიგრძით ოც მეტრამდე. ფუნდამენტი აშენებულია თეთრი, ნათალი ქვისგან და რიყის ქვებისგან, რომლებიც შედუღაბებულია უჩვეულოდ მტკიცე კირნარევი ხსნარით. ფუნდამენტმა გაუძლო საუკუნეებს წვიმას, ქარს და ყინვას.

კლდეკარას ფართობი დასავლეთ და სამხრეთ მხარეს ოდნავ დამრეც ფერდობების ჩათვლით 1000 მ^2–ზე მეტი დარჩა, ციხისათვის შეიძლება მცირეა, მაგრამ კოშკისათვის ძალზე დიდია, საშუალო ზომის სიმაგრედ – დამის გასათევად, ცხოველებისთვის ცალკე სადგომებით და საფრთხის დროს ცეცხლის დასანთებად გამოდგებოდა.

კლდეკარა მდინარე ძირულას ხეობაზე გაბატონებული კლდოვანი მაღლობია. აქედან გარკვევით მოჩანს: დასავლეთით შორაპანი, აღმოსავლეთით მდინარე ძირულას და ჩხერიმელას დაკლაკნილ ხეობებში „ბელაგორის“–ხარაგაულის მხარეს მოთეთრო კლდოვანი მაღლობები, ჩრდილო და დასავლეთით სოფელი წიფლავაკე, სამხრეთ მხარეს ილემი, ფუთი და მათი მოსაზღვრე სოფლები.

მდინარე ძირულას ხეობა კი მის ქვემოთ ხელისგულივითაა გადაშლილი. ქვედა წევასთან და ყოფილ წევის ბაქანთან მდინარე ძირულას აქვს ადვილად გასავლელი ორი ფონი, რომლებიდანაც უმოკლესი საურმე გზები კლდეკარასთან ამოდის და შემდეგ მიემართება ზედა წევისკენ.

წევაში თუ იყო რაიმე სიმაგრე ან კოშკი მაინც ისმის კითხვა: რატომ არ ან ვერ მოხერხდა მისი აღდგენა?

აღორძინების ხანაში ე.წ. ახალქალაქობის ჟამს, X-XI საუკუნეებში, საქართველოს ურთიერთობა გარე სამყაროსთან ძირითადად წარიმართა ორი მიმართულებით: ბიზანტიისაკენ და სამხრეთით ირან-შუამდინარეთისაკენ. აღორძინდა და განვითარდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მხარე – ტაო-კლარჯეთი. ძველმა ანტიკურმა გზამ მცხეთა-კასპი-სურამი-შორაპანი–ფაზისი თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა-დანიშნულება. შეიქმნა ახალი მარშრუტი: თბილისი-სამშვილდე-ახალქალაქი-არტანუჯი-ხოფა-ტრაპზონი და ძირითადი ყურადღება ამ მხარეს იქნა გადატანილი. ამ პერიოდში ტყეების გაჩეხვის გზით იმერეთში შეიქმნა ახალი დასახლებები. წყალმაც იკლო, მდინარე ყვირილა სანაოსნოდ უვარგისი გახდა. ვახუშტი აღნიშნავს: „კახნიაურს ქვემოთ რიონი დამდოვრდების, ცხენის წყლის ქვევით ვლენან ნავებითა ზღვის ბაჟამდე“. გამოდის, რომ რიონის ნაწილიც უვარგისი გახდა ნაოსნობისათვის, თუმცა მცირე რაოდენობის ქარავნები შორაპანზე მაინც მოდიოდნენ –ზეკარა-ვარციხის და სოხუმი-ქუთაისის გზებით. ამიტომ, საქართველოსათვის ამ უმძიმეს ხნაში ვინ მოიცლიდა მეორეხარისხოვან გზაზე მდებარე კლდეკარას გაშენება-აღდგენისათვის? თუმცა წევის ბაზრობა მაინც ყვაოდა – მას არ დაუკარგავს თავისი განთქმული სახელი, რომელიც ადრინდელ ხანაში წარმოიქმნა.

ისტორიული ფაქტია, რომ თრიალეთის კლდეკარის ერისთავების წინაპართა მამულობითი სამფლობელო მდებარეობდა ზემო იმერეთში და მას არგვეთის საერისთაო ეწოდებოდა. იგი მოიცავდა ტერიტორიას ლიხიდან რიონამდე, მაშასადამე შორაპანშიც და წევაში კლდეკარაზე მათი მეციხოვნეები იდგნენ, ძირითადად ადგილობრივი ხალხი.

IX საუკუნეში იმერეთი შედიოდა აფხაზთა სამეფოში, რომელიც ინ პერიოდში ძალიან გაძლიერდა. სამთავროებს შორის პირველობისათვის ატეხილი ბრძოლის გამო, დამარცხებულმა არგვეთის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა IX საუკუნის 80-იან წლებში დატოვა მამული და თავისი ერთგული მრავალრიცხოვანი ამალით გადავიდა ქართლში. (არგვეთის საერისთაო დაარსებული იყო ქართლის მეფის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში). ბაღვაშმა თავის პატრონად სცნო დავით ბაგრატის ძე კურაპალატი, დასახლდა თრიალეთში, ააგო ციხე კლდეკარი და დააარსა კლდეკარის საერისთაო.

კლდეკარის ციხესთან შედარებით, შორაპნის ციხე 12 საუკუნითაა ხნიერი. გავიხსენოთ პროკოპი კესარიელის გამონათქვამი: სიმაგრეთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საქმეაო. წევის კლდეკარი – თრიალეთის კლდეკარი –შემთხვევითი დამთხვევაა? იქნებ ეს სახელი წევიდან გაჰყვათ ბაღვაშის მეციხოვნეებს თრიალეთში?

მეციხოვნეებმა ტყუილად ხომ არ შეარქვეს კლდეკარი –კლდის კარი –კარი წევისა? ასეთ სახელებს შემთხვევით არ არქმევენ. წევაში კლდეკარაზე რაიმე სახის სიმაგრე უთუოდ არსებობდა.

რა ვიცით იმერეთის და მასზე გამავალი საქარავნო გზის შესახებ: VI საუკუნეში მდინარე რიონის ჩრდილო – მარჯვენა მხარე შედარებით მჭიდროდ იყო დასახლებული, ამასთან ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი და სოფელი ციხე-სიმაგრეებით იყო დაცული.

პ. კესარიელი ზემო იმერეთს ასე აღწერს: „იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და ჩაბუჩქებული ძნელ სავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა აქ გავლა“.

ვახუშტიც ამასვე იმეორებს: „და არს ქვეყანა ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, დახედო მაღლით მთიდან იხილავ სრულიად იმერეთს ტყედ და არსადა შენობას“. თუკი XVIII საუკუნისათვის ასეთად მოუღწევია იმერეთს, ადვილად წარმოსადგენია, რა იქნებოდა ანტიკურ ხანაში. რა თქმა უნდა, მაშინ წევა არ იქნებოდა, მაგრამ იდგა კლდეკარა – ამაყად აზიდული და ადვილად დასაცავი.

„ძნელადსავალ, დაქანებულ, ნაპრალებიან უღრან ტყეში“, ხუთდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, სანიავო და დაცული კლდეკარა ტკბილ სავანედ მოეჩვენებოდა ნებისმიერ მექარავნეს. ადვილი წარმოსადგენია როგორი სასიამოვნო იქნებოდა კლდეკარასთან მიღწევა – მიწევნა – წევაა.

განვიხილოთ უძველესი წერილობითი დოკუმენტი, სადაც მოხსენებულია წევა – 1212-1227 წ.წ. „ძეგლი ანუ „განგება“ ვახანის ქვაბთა მონასტრისა: „განგებაში“ ჩაწერილია, რომ რჩეულას ძეს ეკლესიის წმინდა ხატისათვის შეუწირავს „აღშენებული წევის ბოლო და ახალშენი მისითა ვენახითა“.

ვახუშტი აღწერს რა სამცხეს, აღნიშნავს: „ბოცოსწყალსა და ქვაბლოვანის წყალს შორის ხვანასა და უდეს შორის, არს მთა წარსული გურიის მთიდან აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანის მონასტერი, მშვენიერი, კეთილნაგები და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი კლდესა შინა და აწ უქმნი“.

I საუკუნეში სტრაბონი აღნიშნავს: „სომხებმა საქართველოს ჩამოაჭრეს სამხრეთით მდებარე მიწები გორგანე (ქვემო ქართლი), ხორძენე (კლარჯეთი) და ტაოც“. ისევ ვახუშტი: „რახან ვანს შემოესივნენ სომხები და ნელ-ნელა დაიპყრეს იგი სპარსთა ყაენების შემწეობით და განაძევეს ძველნი მკვიდრნი, საქართველოს ბატონობაც ვანსა თუ მის არემარეს მოისპო“. წლები არ არის მითითებული.

ისტორიკოსი თ. ჟორდანია განმარტავს: „ვაჰანის ანუ ვანის წმიდის გიორგის მონასტერი, განთქმული თვისის ქვაბებით (აწ სომეხთა მიერ მიტაცებული), აშენებულია ტაო-კლარჯეთის მთაში, სომხეთის საზღვრის ახლოს. როდესაც თათრებმა გააუქმეს აქ ქრისტიანობა, რამოდენიმე სიწმინდე (ხატები) ამ მონასტრისა იქაურის ქრისტიანებითურთ გადმოვიდნენ იმერეთში და დასახლდნენ ჩხერიმელას სათაურში. ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი (აქედამ ვახანის ხეობა, ვახანის ციხე) და ახლადაშენებულს ეკლესიასაც – ვახანის ქუაბი“. რა თქმა უნდა ეკლესიაც წმინდა გიორგის სახელზე აშენდებოდა (იგივე ხატებით)...

ვახუშტის დროს ეკლესია აღარ არსებობდა, იგი მხოლოდ ციხეს აღწერს: „ვახანს არს ციხე კარგი“. „განგებაში“ ჩაწერილია, რომ რჩეულას ძეს ეკლესიის წმინდა ხატისთვის შეუწირავს „აღშენებული წევის ბოლო და ახალშენი მისითა ვენახითა“. ვინაიდან ზემო იმერეთი თითქმის დაუსახლებელი იყო, შესაძლებელია წევა და მისი ვენახის ზვარი ყველაზე უახლესი დასახლებაც კი ყოფილიყო.

წევასა და ვახანს შორის მოხსენებულია მხოლოდ ჩხერის ციხე და ხარაგაულის ციხე. ეკლესია არ ჩანს. ეკლესიებს რომ ჰქონდათ საკუთარი (მათ შორის შენაწირი) მამულები ეს ცხადია. მაგალითად კაცხის საყდარს 1059 წელს ჰქონია 100 ვენახი და ჰყოლია 1083 გლეხი. რადგან თ. ჟორდანიამ ჟამთა სვლისაგან დაზიანებულ ტექსტში წაიკითხა წევა, ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ზემო იმერეთი თითქმის დაუსახლებელი იყო – გაუვალი ტყეებით იყო დაფარული. წევა და მისი ვენახის ზვარი ყველაზე უახლესი დასახლებაც კი იქნებოდა ვახანისათვის. წევასა და ვახანს შორის მოხსენებულია მხოლოდ ჩხერის ციხე და ხარაგაულის ციხე, ეკლესია არ ჩანს. ეკლესიებს რომ ჰქონდათ საკუთარი მამულები, ეს ცხადია, მაგალითად, კაცხის საყდარს 1059 წელს ჰქონია „100 ვენახი და 1083 გლეხი“.

უკვე ვახსენე, რომ რჩეულას ძემ ვენახი შეწირა ვახანის ეკლესიის წმინდა ხატს და არა შორეულ ვანის ქვაბებს სამცხეში. ჩავიხედოთ „განგებაში“: „არსებად დაუბადებელსა და გარე შეუწერელსა ხატსა ღვთაებისასა გკადრეთ და შემოგწირეთ“... „საშინელსა ხატსა სასოსა და მფარველსა ჩუენსა და თქუენსა წინაშე დამკვიდრებულთა წ-თა... ვანის ქვაბისა შემოგწირე! “. *(მკითხველს ვთხოვთ, ამ საკითხის შესახებ გაეცნოს ჩვენს მოსაზრებასაც (იხ. § 6, გვ.: 15, 16) – კრებულის რედაქტორი).*

თვით რჩეულას ძე ვანის ქვაბთა ბატონი ყოფილა, ძმებს შორის უფროსი,

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ წევის ბოლო და ახალშენი ვენახი შესაძლოა შესწირეს შორეული ვანის ქვაბებს, ვინაიდან ასეთი მაგალითები ჩვენს ისტორიაში მრავლად მოგვეპოვება, მაგალითად: „კათოლიკოს მელქისედექმა (XI ს.) მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა დიდებული და მდიდარი მონასტერი ჰერეთისა, კატეხის საყდარი მისის შემოსავლით, ორი ვაჭარი სოფ. კაკს მცხოვრები და დიდი დაბა ზიარი“ (ქრესტომათია ჩუბინაშვილისა გვ. 203-227).

...1604 წ. თინათინ დედოფალმა შუამთის მონასტერს შესწირა ბელაქნის მცხოვრები 6 კომლი ურია და 2 კომლი ქართველი (დ. ფურცელაძე, გურჯები, გვ. 85)“ და სხვ.

წინა ხანა და თამარის მეფობის ოცი წელი განუწყვეტელი დიდი და წვრილი ომების ისტორიაა. 1207 წელს გამეფდა 12 წლის გიორგი ლაშა, 1222 წელს იგი გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა რუსუდანი. 1225 წელს საქართველოს ჯერ ჯალალედინი შემოესია ურიცხვი ჯარით და ააოხრა, შემდეგ კი მონღოლები. სტრაბონზე დაყრდნობით ვანის ქვაბები სომხებს ქრისტიანობის მიღებამდე I საუკუნეში წაურთმევიათ, შემდეგ გორგასალმა და დავით აღმაშენებელმა არა მარტო დაიბრუნეს, არამედ ვანში შექმნეს ქრისტიანული მართლმადიდებლობის მძლავრი კერა. ფაქტია, რომ ეს მხარე შეუწყვეტელი ომების ასპარეზია, თან სომხები მუდმივად ჩასაფრებულნი არიან. მორწმუნე თამარმა ადრევე იზრუნა ვანის ქვაბთა სიწმინდეების გადმოტანაზე საიმედოდ დაცულ ზემო იმერეთის გაუვალ ტყეებში, სახელდობრ ვახანში. ძალზე მრავალმნიშვნელოვანია „განგების“ დასაწყისშივე 1212-1227 წლების მიწერა, ჩვენც ამ წლების შესახებ გვქონდა მსჯელობა.

ვახანის ციხის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ ვინაიდან ციხის კედლებს არ ჰქონდა სათოფურის ნიშები, იგი აგებული უნდა იყოს ომებში დენთის გამოყენებამდე, ე.ი. XV საუკუნემდე, მაგრამ მეთხუთმეტემდე არის XII, XIII და XIV საუკუნეებიც.

სადაური იყო რჩეულას ძე? წეველი? რა აღაშენა თუ აღადგინა წევის ბოლოს? ცხადზე უცხადესია, რომ წევის ბოლო ეს კლდეკარაა – ყველა გაგებით; ჯერ ერთი წევის დასავლეთი კიდეა, მეორე ზედა წევის მაღლობი კლდეკარისკენ თანდათან დაბლდება, ხოლო მდინარე ძირულასა და გლინავ-ღელეს მხარეს სწრაფად, თითქმის მართი კუთხით ეშვება. ვენახები კი კლდეკარის ძირში მისგან აღმოსავლეთით, ვაკეზე – ქვედა წევისკენ ჩემი ბავშვობის დრომდე შემორჩა, „აღშენებულის“ ნანგრევები კი მეც მინახავს და იგი კლდეკარის ძირიდან 60 – 80 მეტრზე მდებარეობს აღმოსავლეთ მხარეს. როგორც ჩანს, სასახლე დიდი

იყო. იგი დასავლეთის მხარეს კოშკისებური სიმაგრით თავდებოდა. ვენახების მხარეს ყოფილა უზარმაზარი მარანი ვეებერთელა ქვევრებით, რომელთა ნამტვრევებში კუკუდამალობანაც კი გვითამაშია. პირველი ისტორიული ცნობა 1212-1227 წლებისა ვენახის ზვრის და აღშენებული წევის ბოლოს შესახებ და ისიც – კლდეკარის ძირში – სიახლოვეს – მაინც კლდეკარას უკავშირდება – საოცარია!

VII დასკვნა

წევის წარმოშობა-დაფუძნებაში ძირითადი როლი ითამაშა საქარავნო – აბრეშუმის გზამ - „მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები“-ო. რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტი იყო შორაპანი და კლდეკარა. „კლდეკარა წევის აკვანია“ – შემთხვევით არ უთქვამს ბაბუაჩემს. მჯერა, რომ ეს აზრი მას წინაპრებისგან ჰქონდა გაგონილი.

სიმაგრეთა „დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა“...

„ამ მდინარეების გაყოლება (რიონი, ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა) მრავალი ქალაქებია და სადგურები... სადგურებზე გაკეთებულია ხის დაფები ზედ წარწერით, გზის მიმართულების საჩვენებლად“.

ერთ-ერთი სადგური – კლდეკარა უთუოდ იქნებოდა საიმედოდ დაცული ციხის მსგავსი კოშკით, რომლის ფუნქცია, ამავე დროს, ხეობის დაცვაც იყო და ქარავნებისთვის თავშესაფრის მიცემაც.

კლდეკარა იყო ცენტრი, რომლის ირგვლივაც სიმაგრის მცველების და ქარავნების მომსახურე პერსონალის ოჯახების სახით გაჩნდნენ პირველმოსახლეები და შემდეგ წარმოიქმნა სოფელი, აშენდა ეკლესია. ანტიკურ „სადგურ“ კლდეკარიდან იწყება წევაში ვაჭრობის უძველესი ტრადიციებიც.

ლიტერატურა:

1. ეკატერინე გაჩეჩილაძე, გაჩეჩილაძეთა საგვარეულო, ტომი I. თბილისი, 2005 წ..
2. როსტომ გაჩეჩილაძე, წეველი ზიკილიელები. თბილისი, 2003წ..
3. თ. ჟორდანია – ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა. თბილისი, 1896 წ..
4. ბატონიშვილი ვახუშტი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ..
5. ბატონიშვილი ვახუშტი – საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1904 წ..
6. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი –საქართველოს ისტორია, თბილისი, 1990 წ..
7. ს.ჯანაშია – საქართველოს ისტორია (ადრეული ფეოდალიზმი), თბილისი.
8. ს. ყაუხჩიშვილი –გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი 1934 წ..
9. ს. ყაუხჩიშვილი –მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, თბილისი.
10. ჯანაშვილი – საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1904 წ..
11. მ. ლორთქიფანიძე –ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-XIIსს.), თბილისი, 1963 წ..
12. ლ. ჭილაშვილი – ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბილისი.
13. Платон Иоселиани - Города существовавшие и существующие в Грузии, Тифл., 1850 г..
14. З. Анчабадзе - Из Истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959 г..

§ 20. ნიკოლოზ არსენის ძე შურღაია*
(1945-2008)

გეოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის (ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახ.) პედაგოგიური უნივერსიტეტის ყოფილი დოცენტი.
მზეთამზე ნიკოლოზის ას. გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) ვაჟი.*

ზოგიერთი ცნობა სოფელ წევისა და მისი ახლო გარემომცველი არეალის შესახებ

როგორც სამეცნიერო წყაროებიდან ირკვევა, სოფელ წევას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველ ყოვლისა, ამას ადასტურებს წევის ზეგანზე სოფლის ცენტრში მდებარე „წევის წმ. გიორგის ეკლესია. იგი არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ XI-XIV საუკუნეებით თარიღდება[1], მაგრამ სოფლის ჩასახვა შესაძლებელია ბევრად უფრო შორეულ წარსულში მოხდა. „ცნობილია, რომ კოლხეთის (რომელსაც ადგილობრივი წყაროები ეგრისს უწოდებენ) პოლიტიკური და სხვა ცენტრები ქვეყნის შიგნით, მის სიღრმეში იყო განლაგებული. ასეთებიდან, ისტორიული წყაროებით და არქეოლოგიური მონაცემებით ცნობილია კუტაია (ქუთაისი), ციხეგოჯი (არქეოპოლისი – ნოქალაქევი), ვანი, შორაპანი და სხვა“[2]. „შორაპანს და მის ციხეს დასავლეთ საქართველოსთვის ანტიკური ხანიდან დაწყებული XVIII ს-ის ჩათვლით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ცხოვრებაში. უცხოური წყაროების ცნობით, მდ. ფაზისზე (რიონზე) ზღვიდან აღმოსავლეთისაკენ ნაოსნობა შეიძლებოდა შორაპნამდე („სარაპანისამდე“). აქედან კი სახმელეთო გზა უღელტეხილზე გადავლით მტკვრამდე ჩადიოდა. სტრაბონი ამის შესახებ ასე წერს: „ფაზისზე ღრმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა (შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“[3]. ეს ცნობა ერთხმად გაზიარებულია ყველა წამყვანი მეცნიერის მიერ და ეჭვს არ იწვევს. „შორაპნის ციხის მოშლა დასავლეთ საქართველოსთვის კარის შეხსნას უდრიდა, ამიტომ ამ პუნქტში, ჩვენს ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობიდან დაწყებული, დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, სიმაგრე ყოველთვის იყო. ციხეს გვერდს ვერ აუვლიდა ვერც ერთი მტერი, განურჩევლად იმისა, თუ რა მხრიდან მოდიოდა იგი. აქედან გამომდინარე, გასაგებია ის ხშირი ცვლილებები, რომელიც ციხეს განუცდია საუკუნეების განმავლობაში. სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო, ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხე აღარ დარჩენილა. მის არსებობაზე მიგვითითებს მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ისტორიკოსთა ცნობები და არქეოლოგთა მიერ მიკვლეული რამდენიმე პირონებიანი თლილი ქვა“.[4]

ყველა ზემოთ დასახელებული დასკვნის საფუძველზე, მეტად საინტერესოა ბაბუაჩემის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძის, არქივში დაცული რვეული მისი ბაბუის მამის, სესია(იესე) როსტომის ძე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის* ისტორიული მნიშვნელობის ნაღვაწის შესახებ. მის მიერ მისი მხარისა და ქვეყნისათვის გაწეულ სიკეთეთაგან უმთავრესია „ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე არტერიის – რიკოთის უღელტეხილზე გამავალი სურამი-შორაპნის შარაგზის გაყვანა, რამაც საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები უმოკლესი გზით პირველად (პირველად XIX საუკუნეში, თორემ უდავოა, რომ ეს იყო უძველესი, ანტიკური სავაჭრო გზის აღორძინება – ნ.შ.) დააკავშირა ერთმანეთთან, რითაც დიდად შეუწყო ხელი ერთიანი საქართველოს განვითარებას... იმ დღიდან სურამ-შორაპნის შარაგზით მიმოსვლა არ შეწყვეტილა. ეს საისტორიო გზა უღელტეხილზე სესიას თაოსნობით გაკეთდა“.[5]

როგორც ცნობილია, საქართველოში სამი უმთავრესი გეოგრაფიული ზონა გამოიყოფა: კავკასიონის ჩრდილოეთი მთიანი ზონა, მთათაშორისი ბარი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი. საქართველოს მთათაშორისი ბარი მდებარეობს

ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიან ზონებს შორის და მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 2/5. იგი საკმაოდ ვიწროა თავის ცენტრალურ ნაწილში და თანდათან ფართოვდება (აგრეთვე დაბლდება) როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ბარის ზონას მერიდიანული მიმართულებით კვეთს ლიხის (სურამის) საშუალო სიმაღლის ქედი, რომელიც თავისებური ზღუდეა ორ აღნიშნულ მთიან ზონას შორის. ბარის ზონა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ლიხის ქედის დასავლეთით კოლხეთის ბარია [მისი ოროგრაფიული ერთეულებია: კოლხეთის დაბლობი, იმერეთის მაღლობი, სადაც ძირითადად მდებარეობს ზემო იმერეთი (ზესტაფონი-შორაპნის რაიონი, ჭიათურის საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებული ტერიტორია, საჩხერის და ხარაგაულის ადმინისტრაციული რაიონები) და მთის წინა გორაკ-ბორცვები], აღმოსავლეთით – ივერია, – ბარი (რომლის შემადგენელი ნაწილებია: შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ვაკე, მათ შორის მდებარე თბილისის ქვაბული, ივრის ზეგანი და ალაზნის ვაკე). ბარის უმეტესი ნაწილი, მეურნეობრივად და დასახლების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ზონაა. იგი მრავალჯერ ჭარბობს, ამ მხრივ, ერთად აღებულ ორივე მთიან სისტემას. „საკმარისია აღინიშნოს, რომ ბარში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 9/10 და აქაა თავმოყრილი ქალაქებისა და სოფლების უდიდესი ნაწილი“[6]. მშვიდობიანობის პერიოდში საქართველოს ბარი მხოლოდ ლიხის ქედზე გამავალი გზებით იყო დაკავშირებული და ყველა ხელსაყრელი კავშირისათვის ლიხის ქედის შუა ნაწილი იყო გამოყენებული. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ამერ-იმერის დამაკავშირებელი ანტიკური გზა სწორედ ბარის ამ საკმაოდ ვიწრო ცენტრალურ ნაწილში გადიოდა და რიონ-ყვირილას (ძირულას) გზას აკავშირებდა მტკვრის შუა წელთან (სურამ-ხაშურის მიდამოებთან) და სწორედ ამ არეალში, დაახლოებით 22-23 საუკუნის შემდეგ, გაიყვანა სურამ-შორაპნის შარაგზა სესია (იესე) როსტომის ძე გაჩეჩილაძემ*. „იგი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის არტერიად გადაიქცა და უმოკლესი გზით აკავშირებს ლიხს იქითა და ლიხს აქეთა საქართველოს. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართლ-იმერეთის დამაკავშირებელი გზა გადიოდა ლიხის ქედის შედარებით ჩრდილოეთ ნაწილზე, კავკასიონის ჩრდილოეთ მთიან ზონაზე ე.წ. ჭერათხევის გზაზე. ეს გზა ხაშურის რაიონის სოფ. გომთან იწყებოდა, უხვევდა ჩრდილოეთი, ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გაივლიდა ქალაქ ალზე, ჭერათხევზე და ჯვრის უღელტეხილზე გავლით გადაჰკვეთდა ლიხის (სურამის) ქედს და მდინარე ძირულას ზემო დინებას, გაივლიდა საჩხერეს ჩადიოდა ჭიათურაში. როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჯვრის უღელტეხილზე გადიოდა ქართლ-იმერეთის საფოსტო გზა. იგი საჩხერესა და ჭიათურას ჩრდილოეთით ტოვებდა, კორბოულიდან სამხრეთ-დასავლეთით მიემართებოდა, გადასერავდა იმერეთის პლატოს და <u>შორაპანზე</u> გავლით მიდიოდა ქუთაისისკენ.[7]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო ქვეყნის დამაკავშირებელმა გზებმა უფრო სამხრეთით (ისევ ლიხის ქედზე, მაგრამ მთათაშორისი ბარის განედზე, ბარის შევიწროებულ ცენტრალურ ნაწილში) ძირულასა და ჩხერიმელას ხეობებში. ფაქტიურად აღორძინდა ანტიკური გზა (რიონ-ყვირილა-ძირულა-ჩხერიმელას), რომელზედაც სესია (იესე) როსტომის ძე გაჩეჩილაძემ გაიყვანა შორაპან-სურამის გზა. მის მიერ გაკვალულმა ტრასამ აღორძინა, ერთი მხრივ, ანტიკური გზა, და მეორე მხრივ, ოპტიმალური აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მომავალი დაწინაურებისათვის.

„1865 წელს დაწყებული იქნა ფოთის ნავსადგურიდან რკინიგზის პირველი მონაკვეთი. ექვსი წლის შემდეგ, 1871 წელს ფოთი ყვირილას (ამჟამად ზესტაფონი – ნ.შ.) უბანზე დაიწყო მატარებლების მოძრაობა. ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის პირველი ნაწილის სიგრძე შეადგენდა 126 კმ-ს. მასზე იყო 6 სადგური: ფოთი, ჭალადიდი, ახალი სენაკი, სამტრედია, ქუთაისი (რიონი) და ყვირილა (ზესტაფონი). ერთი წლის შემდეგ 1872 წ. ფოთიდან თბილისში ჩამოვიდა პირველი სამგზავრო მატარებელი. ეს თარიღი ითვლება ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის დაბადების დღედ. ფოთი-თბილისის სიგრძე 310 კმ-ს შეადგენს.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის მშენებლობის მეორე ეტაპი იყო თბილისი-ბაქოს ხაზის მშენებლობა. ამ 550 კილომეტრიან ტრასაზე მოძრაობა დაიწყო 1883 წელს. მანამდე ქუთაისის რკინიგზის განშტოებისა და აგრეთვე სამტრედია-ბათუმის მონაკვეთზე. ამგვარად, 80-იან წლებში პირდაპირი სარკინიგზო კავშირი დამყარდა ბაქოსა და ბათუმს შორის.[8] 1886 წელს დაიწყო წიფის გვირაბის მშენებლობა, რომელშიც მოძრაობა გაიხსნა 1890 წელს. ამის შედეგად რკინიგზა უკვე აღარ გადიოდა სურამის უღელტეხილზე: დაჩქარდა და უსაფრთხო გახდა მოძრაობა ყველაზე რთულ უბანზე. ამგვარად, სამხრეთ კავკასიის მთავარმა სარკინიგზო ხაზმა გაიარა ზესტაფონზე და სოფ. წევასთან.

ზესტაფონი-შორაპნის რაიონისთვის მთლიანად და, კერძოდ, სოფ. წევისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1895 წელს შორაპნიდან ჭიათურამდე ვიწროლიანდაგიანი შტოს გაყვანა. სოფ. წევა დაბა შორაპნიდან სულ 8 კილომეტრითაა დაცილებული. მალე ეს რკინიგზის განშტოება საჩხერემდე გაგრძელდა. „განსაზღვრულ ეტაპზე ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანმა ხაზმა დადებითი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო მძლავრი სამთო წარმოების შექმნას. ჩვენს დროში, მრეწველობის ამ დარგის შემდგომი დაწინაურებისათვის რკინიგზის აღნიშნული განშტოება უკვე შემაფერხებელი გახდა. ამიტომ მწვავედ დაისვა ახალი, ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის საკითხი, რომელიც 1949-1957 წლებში გადაიჭრა. შორაპნის სადგურის მდებარეობა შეუფერებელი აღმოჩნდა აქედან ჭიათურის მიმართულებით ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად. ახალი გზა იწყება სადგურ ზესტაფონიდან, რომელიც შორაპანს დაცილებულია 4 კილომეტრით. (სოფ. წევიდან რკინიგზის სადგურ ზესტაფონამდე 12-13 კმ-ია. ნ.შ.) გზაზე საცდელი მოძრაობა დაიწყო 1956 წლის სექტემბერში, შემდეგ განხორციელდა გზის ელექტროფიკაცია და 1957 წლის ივლისში გზა გადაეცა საექსპლოატაციოდ. ერთდროულად დაიწყო აგრეთვე სახალხო მატარებლების მოძრაობა. მომდევნო წლებში გზა გაგრძელდა საჩხერემდე [9].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი საავტომობილო მაგისტრალი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის თითქმის პარალელურადაა გაყვანილი და ლიხის ქედზე გადის, წიფის გვირაბიდან რამდენიმე კილომეტრ მანძილზე, არსებითად სესია (იესე) გაჩეჩილაძის მიერ სურამ-შორაპნის გაკვალული გზის მიდამოებში [(მთათაშორისი ბარის იმ ვიწრო, ცენტრალურ უბანზე, რომელზეც გადის ქვეყნის მთავარი კომუნიკაციები (სარკინიგზო და საავტომობილო. საქართველოს აღნიშნული მთავარი საავტომობილო მაგისტრალი, შავი ზღვის სანაპიროს აკავშირებს აზერბაიჯანის საზღვართან (მეტიც, კასპიის ზღვის სანაპიროსთან). ეს გზა რკინიგზის მაგისტრალის მახლობლად გადის და საქართველოს ბარის რაიონებს (მათ შორის, ხარაგაულისა და ზესტაფონი-შორაპნის ადმინისტრაციულ რაიონებს) ჰკვეთს თითქმის ზუსტად განედური მიმართულებით. სამტრედიის მძლავრ სატრანსპორტო კვანძთან იგი იყოფა 2 ძირითად მომართულებად – სამხრეთ-დასავლეთით გურია-აჭარისკენ, ჩრდილო-დასვლეთით სამეგრელო-აფხაზეთისკენ. ეს უკანასკნელი ტრასა კი სენაკიდან მიემართება თითქმის პირდაპირ ფოთისკენ.

„ამრიგად, ბარში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 9/10 და აქაა თავმოყრილი ქალაქებისა და სოფლების უმეტესი ნაწილი. ბარშია შექმნილი მაგისტრალური საკომუნიკაციო ხაზების ხშირი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის შიდა და გარე კავშირების ფუნქციონირებას.“[10]

„სწორედ ჭიათურის მანგანუმის საწარმოს არსებობამ, ისე როგორც საქართველოში იაფი ჰიდროენერგიის მიღების შესაძლებლობამ, განაპირობა ზესტაფონში ელექტრომეტალურგიული ქარხნის შექმნა და ორივე მათგანმა კი ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძის ჩამოყალიბება “[10].

ქ.ზესტაფონში ფერომანგანუმის წარმოების შექმნა-განვითარებას დიდად შეუწყეს ხელი ცნობილი ქართველი მეტალურგის პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ცდებმა. სრულიად კანონზომიერია, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა გ. ნიკოლაძის სახელს ატარებს.

„ზესტაფონი-ჭიათურის კვანძის ტერიტორიას საქართველოში შუალედური ადგილი უკავია. ის მდებარეობს ორი ძირითადი ეკონომიკური რაიონის (თბილისისა და ქუთაისის ეკონომიკური რაიონების) მიჯნაზე, მთავარი სარკინიგზო და ურელსო მაგისტრალების ხაზზე, რაც აღმოსავლეთით და დასავლეთით მას აკავშირებს ამიერკავკასიის და მთლიანად საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულ ცენტრებთან. დიდად მნიშვნელოვანია შავ ზღვასთან ახლო მდებარეობა, რის შედეგად მოხერხებული გასავალი აქვს საზღვაო კომუნიკაციებზე“[11].

ზესტაფონი-ჭიოათურის სამრეწველო კვანძი აერთიანებს ზესტაფონის, ჭიათურის ტერიტორიას და საჩხერის ადმინისტრაციულ რაიონს და თითოეული დასახლებული პუნქტის (მათ შორის, ცხადია, სოფელ წევის) აწმყო და მომავალი ორგანულად არის დაკავშირებული კვანძისა და მასში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების დღევანდელ პრობლემებზე და აღდგენა-დაწინაურების სამომავლო გზებზე (პერსპექტივაზე). დღეს ქ. ზესტაფონის თანამგზავრად შეიძლება განვიხილოთ დაბა შორაპანი და არაიშვიათად იხსენიებენ ზესტაფონი-შორაპნის რაიონად. ეს ადმინისტრაციული რაიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ჭიათურის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია, აღმოსავლეთიდან–ხარაგაულის, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ბაღდათის რაიონი, დასავლეთით–თერჯოლის რაიონი. რაიონის ცენტრი ზესტაფონი თბილისიდან რკინიგზით დაშორებულია 181 კმ-ით. რაიონში (ფართობი 423,7 კმ².) შედის ზესტაფონის საქალაქო, შორაპნის სადაბო და 17 სასოფლო გამგეობა (ბოსლევის, დილიკაურის, ზოვრეთის, ილემის, კვალითის, კლდეეთის, მეორე სვირის, პირველი სვირის, როდინაულის, ზედა საქარის, ფუთის, ქვედა საზანოს, ქვედა საქარის, სანახშირის, შროშის, ცხრა წყაროს, ძირულის) სოფლების რაოდენობაა–57. სოფელი წევა იყოფა ზედა წევად და ქვედა წევად და ორივე შედის ძირულის გამგეობაში.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეცადეთ მოგვეხაზა სოფ. წევის ახლო გარემოცვა. მისი მდებარეობა კავკასიის ყელზე განედური მიმართულებით გამავალი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე, საქართველოს მთავარ საავტომობილო გზატკეცილზე, ზესტაფონი-ჭიათურის სამრეწველო კვანძის მიმართ, მისი ადგილი ზესტაფონი-შორაპნის რაიონში, მისი განლაგება სადგურ ძირულას მიმართ, წარმოადგენს რაიონის და ქვეყნის ძირითადი სამეურნეო-განსახლებითი კარკასის ერთ-ერთ საინტერესო რგოლს.

შენიშვნები:

1. ეკატერინე გაჩეჩილაძე, „გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები“, გაზეთი „ჯაჭვი“, № 1, 3 ნოემბერი, 2002 წ..
2. პარმენ ზაქარაია, „ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია“. ჟურნალ არქიტექტურისა და დიზაინის გამომცემლობა, თბილისი, 2002 წ., გვ. 26.
3. Strabo, XI გვ.3, 4, 11, 17. პ. ზაქარაიას იმავე წიგნში, გვ. 27.
4. ვ. ჯაფარიძე, „ანტიკური ხანის შორაპნის („სარაპანისი“). ახალი არქეოლოგიური მონაცემები“, თბ., 1990 წ..
5. ა). ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძის არქივი, სევასტი კორძაიას ხელნაწერი სესია(იესე) როსტომის ძე გაჩეჩილაძის ღვაწლის შესახებ თავისი მხარისა და ქვეყნის მიმართ.

ბ). გაზეთი „ჯაჭვი“, №1, 3ნოემბერი,2002 წ., „გვარი და ღვაწლი“, სტატია შეიცავს ა). პუნქტში ნახსენებ ტექსტს, რომელსაც თან ერთვის სესია გაჩეჩილაძის ერთ-ერთი შთამომავლის – გოჩა არონიშიძისა და გაზ. ჯაჭვის რედაქტორის – თენგიზ გაჩეჩილაძის შესავალი და ბილოთქმა.

6. ვ. ჯაოშვილი, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996 წ., გვ. 22.
7. ვ. ჯაოშვილი, „ჭიათურა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი“. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979 წ., გვ. 73.
8. Р.И. Кверенчхиладзе, „Географические проблемы транспорта Грузии“, Изд-во „Мецниереба“, Тбилиси, 1976, стр. 37.

9. ვ. ჯაოშვილი, „ჭიათურა“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979 წ., გვ. 71.
10. ვ. ჯაოშვილი, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996 წ., გვ. 22.
11. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. „ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძი“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973, გვ. 21.
12. იქვე, გვ. 26.

§ 21. თავდახსნილნი

ნაწყვეტი მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის* (1877-1958) მოგონებებიდან

ერთ დღეს, ალექსანდრე ბატონიშვილმა (უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი – იმერეთის მეფე სოლომონ დიდის შთამომავალი, შორაპნის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი. ცხოვრობდა სოფ. ღვანკითში, სადაც დიდძალი ადგილ-მამული და სასახლე ჰქონდა) სპირიდონს უთხრა: „ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში მქონდა შენზე ლაპარაკი და კონსტანტინე მაჭავარიანმა მითხრა: გაჩეჩილაძეები ჩემი ყმები იყვნენო... ვიცი, დიდად ერთგულნი იყვნენ, თურმე, უკანასკნელი იმერთა მეფის სოლომონის. **გაჩეჩილაძეები – შორაპნის ციხის დარაჯნი და მეციხოვნენი ყოფილან.** (შორაპანი დაშორებულია სოფ. წევას, სადაც გაჩეჩილაძეები ცხოვრობდნენ, 3-4 ვერსით). ამის საბუთი საკრებულოს არქივშიც ინახებაო... **ასე რომ, ბაგრატიონთა პატივისცემა და ერთგულება თქვენ –გაჩეჩილაძეებს ძველთაგან მოგდევთ თქვენდა სასახელოდ.“**

გაჩეჩილაძეები მართლა მაჭავარიანის ყმები იყვნენ. მამაჩემის გადმოცემით კონსტანტინე (კოწია) სასტიკი დ უგულო ბატონი იყო. მამაჩემი –სპირიდონი – იმ დროს სოფ. წევაში ცხოვრობდა. წევის ეკლესიასთან სავაჭრო და სახელოსნო დარაბები იყო გაშენებული და გამართული. ერთ-ერთ დარაბაში მას სამჭედლო ჰქონდა მოწყობილი – აკეთებდა სპილენძის ქვაბებს და კარგი ვაჭრობაც ჰქონდა. მაშინ მამაჩემი თავდაუხსნელი იყო.

კოწია მაჭავარიანი ღალას თვითნებურად, რამდენსაც მოისურვებდა იმდენს გვახდევინებდაო. ხშირად მოულოდნელად დაგვეცემოდა თავზე და გაკეთებულ ქვაბებს, ფართალს და წვრილმან საქონელს გვტაცებდა და მიჰქონდაო. ამის გამო, სუყველა ვაჭრებმა და ხელოვნებმა ერთი კაცი საყარაულოდ დავაყენეთ და, როცა კოწია თავისი მხლებლებით ღალის ასაღებად წამოვიდოდა, ჩვენი ყარაული გვატყობინებდა და საქონელს ტყეში ვმალავდითო.

სოფ. წევაში საკვირიკობოდ, ე.ი. 15-16-17 ივლისს (ძვ. სტ.) დიდი ბაზრობა იმართებოდა, სადაც აუარებელი ვაჭრები მოდიოდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან და რუსეთიდანაც. ერთ წელიწადს, როცა ბაზრობა იყო გამართული, მოვიდა კოწია მაჭავარიანი თავისი მხლებლებით ვაჭრების გასაძარცვავად. გაჩეჩილაძეები მაშინ, თურმე, სუყველა თავდახსნილნი ყოფილან, მაგრამ მაჭავარიანი მაინც, ძველი ჩვეულების მიხედვით, მოსულა, რათა ვაჭრებიდან ბაჟი აეღო. გაჩეჩილაძეებმა უთხრეს კოწია მაჭავარიანს, რომ ისინი უკვე თავდახსნილნი არიან და მას უფლება აღარ აქვს სოფ. წევაში მოსვლის და ბაჟის აღების... ლაპარაკში წაჩხუბებულან და კონსტანტინე მაჭავარიანი თავისი თანმხლებით გაჩეჩილაძეებს კეტებით მაგრად დაუბეგვიათ... ამ დღის შემდეგ, თურმე, მაჭავარიანი წევაში აღარ გამოჩენილა.

ეს მასალა მოგვაწოდა მიხეილ სპირიდონის-ძე გ-ძის შვილიშვილმა, ნინო გ-ძემ, 2003 წელს.

§ 22. კონსტანტინე გაჩეჩილაძის* მოგონებანი

ოჯახებში გაბნეული არქივები მრავალ მნიშვნელოვან მასალას ინახავენ. საინტერესო აღმოჩნდა კ. გაჩეჩილაძის არქივიც, რომლის გამომზეურებაც რამდენიმე წელია დაიწყო. მისი მფლობელი მრავალმხრივი ადამიანი იყო და არქივიც მრავალფეროვანია. აქ არის: მოგონებები ტერენტი გრანელზე, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა – სათაურით –„სივრცეში დარჩენილი ფრაზები“, კ. გაჩეჩილაძის ლექსები, მინიატურები, მოთხრობები, რომელთა ნაწილიც ამ ბოლო დროს იქნა დაბეჭდილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ისტორიული ნაშრომები, რომლებიც თანდათან ქვეყნდება ისტორიულ კრებულებში.

ამჯერად გვინდა წარმოგიდგინოთ ნაწყვეტი კ. გაჩეჩილაძის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

მარინა ქადაგიძე (ისტორიკოსი,*

კ. გაჩეჩილაძის შვილიშვილი).

კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე*

1899-1977

ისტორიკოსი, პოეტი, მწერალი, პედაგოგი.

დღეები, წლები, რომლებიც სამუდამოდ მიიჩრდილნენ

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე დავტოვო მოგონებები. შეიძლება, ვინმემ ოდესმე ნახოს და მასალად გამოიყენოს: უტილ–ნედლეულსაც ხომ იყენებენ. რასაც ვწერ, სრულიად უპრეტენზიოა... ვწერ მხოლოდ იმას, რის წერაც შეიძლება...

მე ხომ საზოგადოების ნატეხი ვარ, მაშასადამე, ჩემი განცდები საზოგადოების გუნება-განწყობილების ანარეკლად უნდა ჩაითვალოს. ჩემი მწუხარება თუ სიხარული საზოგადოებიდან მოდის, ამიტომ მის გასაცნობად ჩემი ნაფიქრალ-ნააზრევიც გამოდგება...

დავიბადე 1899 წლის ივნისში თუ ნოემბერში, სოფ. წევაში (ქუთაისის გუბერნია, შორაპნის მაზრა). მამაჩემი იყო წევის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი და სოფლის ორკომპლექტიანი სკოლის გამგე – მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე*. იგი ამ სკოლაში 27 წლის განმავლობაში ყველა საგანს ასწავლიდა, ხოლო გამგედ იყო 41 წლის განმავლობაში.

ბაბუაჩემი – ეფრემ სესიას (იესეს) ძე გაჩეჩილაძე* – სოფ. აჭარის ეკლესიის წინამძღვარი იყო, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (რომელსაც იგი მოწიწებით იგონებდა) მიერ ნაკურთხი.

გვარი ჩემი მე-18 საუკუნეზე ადრე არსად იხსენიება[1]. ***ჩემს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ლოცვანი, ჩემი აზრით, თუ მე-16 საუკუნისა არა, მე-17 საუკუნისა მაინც უნდა იყოს***. მას რამდენიმე დამახასიათებელი მინაწერი აქვს. იქ მოხსენიებული ვინმე **გრიგოლ მღვდელი, წევის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, მამის გადმოცემით, პირველი წინამძღვარი იყო გაჩეჩილაძეთაგანი**. ეს გვარი წარმომდგარია სიტყვა „გაჩეჩილისაგან“, რასაც იმერეთში მაღალი, გრუზა თმის მქონეს ეძახიან. ასე რომ, ეს გვარი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვითაა შექმნილი. ის გაჩეჩილთმიანი ადამიანი ჯაჭვაძის გვარს ატარებდა, თურმე. გადმოცემით, ეს ჯაჭვაძე მოსული იყო ქართლიდან[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველად იბერიის საზღვარი შორაპანზე გაივლიდა (შორაპანი, სკანდა და ვარციხე). მაშასადამე, ძველი საზღვრის მიხედვითაც, წევა იბერიას განეკუთვნებოდა.

ჯაჭვაძის გვარით ს. წევაში არავინაა, ხოლო საკუთრივ სოფელში მცხოვრებ გაჩეჩილაძეებში კი ძირეული განსხვავებაა. ასე, მაგალითად, მამიჩემის პაპის მოდგმას იცნობენ ოთიაშილების სახელით. საბუთებშიაც ასე წერდნენ: გაჩეჩილაძე-ოთიაშვილიო. ეს ოთია იყო მამა სესია გაჩეჩილაძის*. მას მეტსახელად ეძახდნენ დიდ ოთიას*. უთუოდ განსასხვავებლად პატარა ოთიასაგან**. ეს პატარა ოთია მეც მახსოვს დიდი ოთიას ნაშიერში. სესია განთქმული კომერსანტი ყოფილა... შორიდან მოჰქონდა საქონელი და ვაჭრობდა არა მარტო ჩვენს სოფელში, სადაც,

სევასტი გაჩეჩილაძის* გადმოცემით, 30 დუქანი იყო. ჩემს მეხსიერებაში კი მხოლოდ 10. ამ ოპერაციებზე დიდ სარფს ნახულობდა, თურმე. ასე რომ, ფულს თვლით კი არა, რწყვით აძლევდა. ასე გამოისყიდა მან მებატონე მაჭავარიანისაგან თავი, რისთვისაც **მებატონეს რამდენიმე ბათმანი ვერცხლის ფული მიართვა. ამის გამო შეარქვეს მას მეტსახელად „ბათმანა“**[3].

თავის გამოხსნის შემდეგ არ გაუვლია დიდ დროს, რომ გამოქვეყნდა გლეხთა განთავისუფლების შესახებ ბრძანებულება. სესია ოთიაშვილზე ამან დამამწუხრებლად იმოქმედა...

სესია მსხვილი ვაჭარი ყოფილა. ქუთათურ ვაჭრებსაც კი ეტოქებოდა. ასე, საჯარო ვაჭრობით მან ხელთ იგდო ქალაქის ბაღის იქით, ჯაჭვის ხიდის მხრივ, უზარმაზარი ნაკვეთი. ამ ვაჭრობის დროს დიდი მარცხი განუცდიათ ებრაელებს. ამ შესანიშნავი საჯარო ვაჭრობის გაფორმება მაინც ვერ მოუსწრია სესია ოთიაშვილს: იგი იმავ საღამოს ვახშამზე მოუწამლავთ მოქიშპეებს.

სესიას დარჩა ხუთი ვაჟი: როსტომი, მიხეილი, ეფრემი*, ალფეზი და სამსონი. სამი – ვაჭარი, ხოლო ეფრემი და სამსონი მღვდლები იყვნენ.

როგორც ჩანს, შეძლებასთან ერთად, იმ დროისათვის შესაფერისი კულტურაც ჰქონია სესია ოთიაშვილს, რომ ორ შვილს, ეფრემსა და სამსონს, იმ დროისთვის შესაფერისი განათლება მისცა.

ეფრემი მონასტერში იყო აღზრდილი. ეტყობა სამღვდელოდ ამზადებდა, ხოლო სამსონს სამოქალაქო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მაინც მღვდლად აკურთხებინა.

ეფრემს ჰყავდა ხუთი ვაჟი: მაკარი*, ექვთიმე, ლევი**, კასიანე* და ბესარიონი და სამი ქალი: მაკრინე, პიღასი და ელპიდე.

მაკარი იყო პირმშო ჩემი პაპის. მას სასულიერო სასწავლებლის კურსი ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ სემინარიაში აღარ გაუგზავნია, რადგან ოჯახს ესაჭიროებოდა ყურისმგდებელი.

სულ ოცისა თუ ოცდაერთისა იყო, როცა ბაბუას – ეფრემს მისთვის ცოლი შეურთავს. მამას არც ქალი ენახა და არც გარეულა მორიგებაში. ბაბუამ ინახულა სარძლო, მზითევზედაც ის მოელაპარაკა სასიმამროს.

დედაჩემი – ანა ივანეს ასული არაბიძე – წელმაგარი ოჯახიდან იყო გამოსული. ზედა საქარაში ივანე არაბიძე ცნობილი იყო, როგორც ღვინით მოვაჭრე და არყისმხდელი.

დედა მეტად ჭკვიანი და კეთილი გულის ადამიანი იყო. იცოდა მხოლოდ ქართული წერა-კითხვა, მაგრამ გონების სიფხიზლემ შვილები უმაღლეს სასწავლებელში შეაყვანინა.

მამას შვიდი შვილი ჰყავდა – სამი ქალი და ოთხი ვაჟი. აქედან ექვსი უმაღლესი განათლებით იყო.

ჩვენს გვარში პირველი იყო მამაჩემი, უმაღლესში რომ შვილი შეიყვანა. ეს იყო სულ უფროსი ძმა ნიკოლოზი, სპეციალობით ექიმი, დანარჩენნი კი ვიყავით პედაგოგები. ორი უფროსი ძმა სასულიერო სემინარიიდან წავიდა უნივერსიტეტში. ორი და სწავლობდა ჯერ საეპარქიო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში.

ჩემი უფროსი ძმა, რომლის მომდევნოც მე ვიყავი, ჯერ სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტში. ამ დროს დაიწყო რევოლუცია და იგი გამოეშურა სამშობლოსაკენ. აქ დაიწყო სამსახური სხვადასხვა დაწესებულებაში და პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მე ჯერ ესწავლობდი სოფლის ორკომპლექტიან სასწავლებელში, შემდეგ მიმაბარეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

გიმნაზიაში გამოცდა ჩავაბარე უფროს განყოფილებაში... გამოცდის... წინ მამამ გამაფრთხილა, რომ ცქვიტად თუ არ დაიჭირე თავი, ვერ მოხვდები მიღებულებშიო. შენი ხმა ეზოში უნდა გავიგონოო.

მამა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ჩვენს ოჯახში. ეს ჩაგვინერგა დედამ და მამამ განამტკიცა თავისი ქცევით.

მამა ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთი შვილი, უფროსის გარდა, მას „შენობით“ არ მიმართავდა... მამის სიტყვა კანონი იყო ჩემთვის. მართლაც, საგამოცდო ოთახში ისე ყოჩაღად შევედი, თითქოს სეირის საყურებლად ვყოფილიყავი მისული. შეკითხვაზე ისე ხმამაღლა ვპასუხობდი, რომ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, როგორც შემდეგ გამოირკვა, გიმნაზიის ინსპექტორმა საღარაძემ ყურებზე თითი დაიცო და მისაყვედურა – ნუ ყვირიო.

– განაგრძოს ეგრევე ყოჩაღადო, – უპასუხა მასწავლებელმა, პლატონ წულუკიძემ, ღიმილით.

ჩვენ ყველა მამამ მოგვამზადა. არც ერთი არ გამოვბრუნებულვართ გამოცდიდან. მამა ხშირად ამზადებდა მოწაფეებს პირობით, თუ მოეწყობოდა სასწავლებელში, იმ შემთხვევაში მიეცათ გასამრჯელო. რა მონდომებით უნდა ემზადებინა საცოდავს შეგირდი, რომ ფული მიეღო...

უფროს მოსამზადებელ ჯგუფში იყო თავისუფალი 16 ადგილი. მთხოვნელი ვიყავით 64. მეთექვსმეტე ვიყავი მე მიღებულთა შორის.

ეს იყო მამის პირველი მისვლა გიმნაზიაში. სწავლის ფულის ნახევრის (40 მანეთი) შეტანის შემდეგ მამას გიმნაზიის კარები არ უნახავს, ისე დავამთავრე გიმნაზია.

ბუნებით ანცი, გიმნაზიაში ამას არ ვავლენდი, თუ ვერ ვავლენდი. მამისგან ვიყავი გაფრთხილებული, რომ ვიღაც ცელქი მოწაფე გაურიცხავთ და მის ნაცვლად მიმიღეს მე. ეს მე იმდენად მჯეროდა, რომ გიმნაზიის ფართო ეზოში გაქცევა – გაკუნტრუშებისაც კი მეშინოდა.

ჩემი ამხანაგებიდან საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდნენ დოდო (ისააკი, ასე იყო საკლასო დავთარში შეტანილი) ანთაძე, იგი მე ჩამომრჩა მესამეში თუ მეოთხე კლასში, ჩატოვა რუსული ენის მასწავლებელმა ტკაჩენკომ.

ეს ტკაჩენკო ნამდვილად შავრაზმელი იყო, მაგრამ უაღრესად პუნქტუალური და მშრომელი. არ ყოფილა შემთხვევა მას რვეულების გასწორება დაგვიანებოდეს... მეხუთე კლასში მეც კარგად გამამწარა, მაგრამ ცოდნაც მომცა.

ჩემთან სწავლობდა პავლე კანდელაკი, შემდეგში რუსთაველისა და სხვა თეატრების დირექტორი. სასწავლებელში ყოფნისას არ გამოირჩეოდა არც მეცადინეობით, არც განვითარებით. მას, როგორც ხმა გამოვიდა, ეხმარებოდა საღვთო სჯულის მასწავლებელი, დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი. მაინც ვერ უშველა ამ პროტეჟემ და ერთხელ, თუ ორჯერ ჩარჩა კლასში.

მეექვსე კლასში დავეწიე შემდეგში ცნობილ მომღერალს დავით ბადრიძეს. დღემდის ვერ ამიხსნია, როგორ და რანაირად ჩატოვეს ეს ბეჯითი და ნიჭიერი ყმაწვილი იმავე კლასში! იყო უაღრესად სადა ბუნებისა კარგი საამხანაგო ჭაბუკი.

ერთი კლასით უკან იყო ცნობილი ტრაგიკოსი უშანგი ჩხეიძე. მოწაფეობის დროსვე ამბობდნენ, რომ იგი ისეა გატაცებული მელპომენით, რომ გიმნაზიის სწავლა სრულებით არ აინტერესებსო.

დოდო ანთაძე არაფრით არ გამოირჩეოდა. იქცევდა ამხანაგების ყურადღებას მით, რომ მუდამ მჭერმეტყველურად სდუმდა... როგორც ჩანს, ნიჭი შესაფერის პირობებს უცდის, რომ... გამოვლინდეს....

1918 წელს დავამთავრე სრული კურსი გიმნაზიის, ისე რომ არ დავრჩენილვარ არც ერთ კლასში. და შევედი ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე...

1. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, გაჩეჩილაძეთა გვარი პირველად იხსენება 1550-1570 წლებით დათარიღებულ საბუთში – „ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში“, ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 24/5.
2. კონსტანტინე გაჩეჩილაძის ლექსი, რომელშიც ჯაჭვაძეები ნახსენები არიან, როგორც გაჩეჩილაძეების წინაპრები, იხილეთ ამავე წიგნში, ლეგენდა № 50-თან.
3. ამ საკითხის შესახებ სხვა ინფორმაციებიც არსებობს: იხ. ლეგენდები № 79 და № 80. *რედაქტორი.*

§ 23. დალი ლევანის ას გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ცოტა რამ სოფ. წევის შესახებ

გადმობეჭდილია გაზ. „ჯაჭვი“-დან (№-3, 2003 წლის 5 მაისი, გვ.1, 2.).

სოფელს დაახლოებით 40-50 კმ^2. ფართობი უჭირავს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფ. შროშა, დასავლეთიდან სოფ. წიფლავაკე, სამხრეთიდან ჩაუდის მდ. ძირულა და ესაზღვრება სოფ. ილემი. ჩრდილოეთით ჩაედინება პატარა მდინარე, რომელსაც „გლინავ ღელეს“ უწოდებენ და ესაზღვრება წიფლავაკე.

წევა ორი პატარა სოფლისაგან შედგება: ქვედა წევა და ზედა წევა. ფართობის მიხედვით ზედა წევა აღემატება ქვედა წევას, მაგრამ ვინაიდან იგი მთაგორიანია, მოკლებულია წელიწადის მეტი დროის მანილზე საავტომობილო გზებს.

1944 წელს ზედა წევიდან ახალციხის რაიონის სოფ. ხიკილიაში მოხდა 85 კომლის ჩასახლება, ამიტომ მოსახლეობა აქ მცირეა და მეჩხერადაა დასახლებული. სოფელი ძალიან კარგია, როგორც სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთის მხრივ. სოფელი ისე მაღლობზეა, რომ აქედან, თითქმის, დასავლეთის ყველა კუთხე-რაიონი ჩანს. ასე იტყვიან აქაურები: „პირდაპირ ზღვის ჰაერი მოდისო“. სოფელში არის ძალზე კარგი სასმელი წყლები. მათში აღსანიშნავია მთის წყარო, რომელიც სკოლის მახლობლად მდებარეობს, იგი აგებულია მოხელე ეგნატე კახელის მიერ 1864 წელს, გარდა ამისა ბევრია ცივი და ანკარა წყაროები. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ზაფხულობით წევა მრავალ დამსვენებელს იზიდავს. სოფელში ამ სიმდიდრის გარდა,ბუნებრივი სიმდიდრეც ბლომად მოიპოვება. მაგალითად, აქ იჭრება თიხა ცეცხლგამძლე აგურისათვის, საჭურჭლე თიხა და საწისქვილე ქვის კარიერი, სადაც მზადდება წისქვილის ქვები.

სოფლის დიდი ნაწილი უჭირავს ტყეს. მცენარეთა ჯიშებიდან აღსანიშნავია წაბლი, რცხილა, აკაცია, სოფლის 7-8 კვ. კმ-ზე. გაშენდა წიწვიანი მცენარეები, ძირითადად ფიჭვი.

როგორც გადმოცემიდან ირკვევა, წევას დიდი ხნის ისტორია აქვს, ამას ადასტურებს ის, რომ სოფლის ცენტრში აგებულია ქვის შენობა, რომელსაც „წევის წმ. გიორგის“ სახელობის ეკლესიას უწოდებენ. თვით შენობის შიგა ნაგებობის წარწერებიდან ირკვევა, რომ იგი აშენებულია X-XI საუკუნეებში. სოფლის სიძველეს ისიც ადასტურებს, რომ ხალხური გადმოცემის მიხედვით, სოფელზე გადიოდა გზა, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთის ქვეყნებს. ასე მაგალითად, ინდოეთიდან მომავალი ქარავნები ამოივლიდნენ შორაპნისპირეთის ციხესთან და ამოვიდოდნენ სოფ. წევაში. რადგან ეს სოფელი მთაგორიანია და ზღვის დონიდან 545 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, ძნელდებოდა სოფელში მიღწევა და ამბობდნენ, თურმე, მიდიხარ ეწევი და ვეღარ ეწევიო და სწორედ აქედანაა წარმომდგარი სოფლის სახელი „წევა“.

არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ მგზავრებს ამ სოფლის მახლობლად მდებარე თვალუწვდენელი მინდვრისათვის შეურქმევიათ „ულევი“, რომელიც ამ სახელწოდებას დღესაც ატარებს. გეოგრაფ-მკვლევარს ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს მოხსენიებული ამ სოფლის სახელი. იგი ასახელებს სოფლის საზღვრებს და გადმოგვცემს, რომ „წევას სამხრეთით ჩაუდის მდინარე, რომელიც მდიდარი არის კალმახითა შიდა“. აქ ნაგულისხმევია მდ. ძირულა, რომელშიც ოდესღაც კალმახს იჭერდნენ. სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი წყაროები არ შემონახულა და ვეყრდნობით გადმოცემებს ხალხიდან. სოფლის არსებობის სიძველეს ისიც მეტყველებს, რომ როდესაც აღმოჩენილა ჭიათურის მარგანეცი და დაიწყეს მისი დამუშავება, იგი იგზავნებოდა სხვადასხვა ქვეყნებში. მარგანეცით დატვირთულ ურმებს ამ სოფელზე უნდა ჩამოევლო და ჩაეტანათ ზესტაფონში.

ზედა წევაში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა ერთი გვარისაგან შედგება, კერძოდ კი გაჩეჩილაძეებისაგან. არსებობს თქმულება ამ გვარის

წარმოშობის შესახებ. აი რას ამბობს ჩემი ბაბუა (აკაკი ოთიას ძე გაჩეჩილაძე): **„შვილო, ჩვენი წინაპრები ყოფილან გვარად ჯაჭვაძეები, რომლებსაც ცოდნიათ ლითონის დამზადება. ისინი სხვა იარაღებთან ერთად ამზადებდნენ ჯაჭვებს და ამის გამო დაუმკვიდრებიათ ეს გვარი ჯაჭვაძეებიო“**. ამას დაუმატებდა, რომ **ჩვენს წინაპრებს ყოლიათ ბატონები, რომლებიც ყოველწლიურად თითოეული სოფლიდან სამ ვაჟს და სამ ქალს წაიყვანდნენ ხოლმე კარზე მოსამსახურედ. ერთხელ, როცა ბატონს ორი ვაჟი და სამი ქალი მოჰგვარეს, ბატონმა მესამე ვაჟი მოიკითხა, რომელიც სოფელში არ აღმოჩენილა. როცა მოკვლევა აწარმოეს, გაირკვა, რომ მესამე ვაჟის მამა გარდაცვლილა და მისი დედა გათხოვილა მეორედ სოფ. სვერში (ჭიათურის რ-ში) და მღვდელს გაუცია. ვაჟი ბატონთან დაუბრუნებიათ. ბატონს შეუხედავს ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცისათვის, რომელსაც ხუჭუჭა თმები უმშვენებდა შავგვრიმალ, გაბადრულ სხეს, გადაუსვამს თავზე ხელი და უთქვამს: „სად მემალებოდი შე თმაგაჩეჩილოო“. აქედან წარმომდგარა ეს გვარი –გაჩეჩილაძეები“.**

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ სოფელი მთაგორიანია და ნაკლებად მოსავლიანი, ეს ყოფილა იმის საბაბი, რომ ხშირად აღებ-მიმცემლობასაც ეწეოდნენ აქაური მცხოვრებლები, რასაც, გარდა ამისა, ხელს უწყობდა გარე სახელმწიფოებიდან მომავალი ქარავნები. სოფლის უხუცესები ახლაც იტყვიან ხოლმე, რომ **„ნახევარი ზესტაფონი წეველი გაჩეჩილაძეების აშენებულიაო“**.

ამ სოფლის ხალხი, შედარებით სხვა სოფლელებთან, უფრო თავისუფალი იყვნენ ბატონებისაგან, ერთი ასეთი შემთხვევის გამო. როგორც აღვნიშნეთ, სოფელი უძველესია და უძველესი დროიდან ჩაყრია საფუძველი აღებ-მიმცემლობას და ვაჭრობას – რასაც ადასტურებს ძველი აქა-იქ ქვითკირის ნანგრევები, რომელშიდაც ძველად „დუქნები„ ყოფილა. ერთი ადგილის სახელი, რომელსაც „იარუნკა“ ქვია, შემდეგნაირად წარმოშობილა. აქ ბევრი დუქნები ყოფილა. ჩაღდებოდა ვაჭრობა წელიწადის ყველა დროს, განსაკუთრებით ზაფხულში. ამ სოფელში მოდიოდნენ ვაჭრები, როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან და მოჰქონდათ დიდძალი საქონელი, რასაც დუქნებში ვერ ათავსებდნენ, გლეხებიდან აგებულ უბრალო კარვებს ქირაობდნენ და შიგ ვაჭრობდნენ. იმ ადგილას, სადაც ახლა „იარუნკა“ ჰქვია, ერთ დროს ასეთი ამბავი მომხდარა. ერთ ქვრივ ქალს, რომელსაც სამი უსუსური ბავშვი ჰყოლია სახლში, გამოუყვანია „იარუნკაში“ გასაყიდად ორი ცხვარი. ამ დროს გაუვლია სოფლის ბატონს გვარად მაჭავარიანს, მოწონებია ეს ცხვრები და თავის მხლებლებისათვის უბრძანებია, ახლავე წაიყვანეთ ეს ცხვრები და შემიწვით ფურნეში (ამ დროს წევაში პურის საცხობი ფურნეც ყოფილა) და სადილად მომართვითო. თვითონ კი გასულა ამ სოფლის ცენტრში და განუცხადებია, სუფრა გამიშალეთო. ყმა-გლეხებს მართლაც ძვირფასი სუფრა გაუშლიათ. ქალი, რომლისთვისაც ცხვრები წაურთმევიათ, თავს იკლავდა ტირილით, რა მეშველება, ბავშვები შიმშილით დამეხოცებაო. ამ დროს გამოუვლია სოფლის მკვიდრს, რომელიც იმ ხანად თურმე ბათუმში ვაჭრობდა, აწ განსვენებულ პროფესორ ივანე გაჩეჩილაძის მამას–ეროსტი მიქელას-ძე გაჩეჩილაძეს. შეუნიშნავს მტირალი ქალი და უთქვამს, რა ღირდა შენი ცხვრებიო. მას უთქვამს ორ-ორი აბაზი მაინც უნდა ამეღო თითოშიო. ამოუღია ორი მანეთი და მიუცია ქალისათვის და უთქვამს – ამით ობლებს რაც გინდა უყიდეო. თვითონ კი გაუწევია იქით, სადაც ბატონი თავის მხლებლებით ქეიფობდა. ბატონს არ მოსწონებია ასეთი სტუმრის წევა, მაგრამ, როცა ეროსტი გაჩეჩილაძეს, ამ ზორბა ვაჟკაცს (ამბობდნენ ძალზედ ღონიერი ყოფილა) ერთი ორი პანღური ამოუკრავს ბატონისათვის, მას უკადრებია გაქცევა. ეროსტი ბატონს სიკვდილს დაქადნებია. სოფ. წევას ამის შემდეგ ბატონი აღარ ჰყოლია. ასეთმა და სხვა ისტორიულმა პირებმა ხელი შეუწყვეს სწავლა-განათლების შემოღებასაც. ამ სოფელში შემონახულია (ჩემი ბაბუის) მასწავლებლის აკაკი გაჩეჩილაძის სიტყვები: **„შვილო, შორაპნის მაზრაში მარტო ორი სკოლა იყო, ერთი წევაში, რომელიც იწოდებოდა ერთკლასიან სასწავლებლად, შედგებოდა ოთხი ჯგუფისაგან და მეორე ალისუბანში, რომელსაც ორკლასიან სასწავლებელს ეძახდნენ. მე კი პირადად მაქვს დამთავრებული ჯერ წევის ერთკლასიანი და**

შემდეგ ალისუბნის ორკლასიანი სასწავლებელიო“. მამაჩემიდან ლევან აკაკის-ძე გაჩეჩილაძედან ვიცი, ბაბუა რუსული ენის საუკეთესო სპეციალისტი ყოფილა მთელ რაიონში. ისიც პედაგოგი იყო, რომელიც წევის სკოლამდე ჯერ ძირულის საშ. სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა.

ცოტა რამ აკაკი გაჩეჩილაძის მონათხრობიდან:

„**წევის** ეკლესიის ეზოში მდგარა ხის დაბალი შენობა, რომელსაც სამრევლო სკოლა რქმევია. ესე იგი, სკოლისა და ბავშვების აღზრდის საქმეს მღვდლები და საეკლესიო პირები ხელმძღვანელობდნენ. მე კი ხსოვნაში ჩამრჩა ამ სოფლის მკვიდრი მღვდლების სახელები, როგორიც იყო ეფრემ გაჩეჩილაძე, შემდეგ მისი შვილი მაკარი და ბელოვან გაჩეჩილაძეები, ელეფთერ აბესაძე, ღამბაშიძე, ჭულუხაძე და სხვები. პირველ მასწავლებლად ის ასახელებდა ვიღაც გიორგაძეს, შემდეგ ეს შენობა დამწვარა რაღაც შემთხვევის გამო და სკოლა ოთიაშვილების უბანში გადაუტანიათ. კერძოდ კი ოთია გაჩეჩილაძის სახლში, რომელსაც დიდ ოთიას ეძახდნენ. მას ექვსოთახიანი კარგი ხის სახლი ჰქონია. აქ სკოლა თითქმის ათეული წლის მანძილზე ყოფილა. შემდეგ კი ეკლესიაზე მიუშენებიათ ვეებერთელა შენობა, თავისი სამრეკლოთი. მანამდე კი ზარები ჩამოკიდებული ყოფილა ეკლესიის ეზოში მდგარ ვეებერთელა ცაცხვის ხეზე. 1863 წელს ეკლესიის ცოტა მოშორებით, ეზოს მიღმა აუშენებიათ ორსართულიანი შენობა სკოლისათვის. ის ორი მოზრდილი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ამჟამადაც დგას. აქ სწავლობდნენ ნული ჯგუფიდან ოთხი კლასის ჩათვლით. 1890 წელს ამავე შენობაზე მიუშენებიათ პატარა ოთახი, რომელშიდაც თავს იყრიდნენ მასწავლებლები, ასევე ამ სოფლის მოწინავე ადამიანები, აქვე ყალიბდებოდა მაშინდელი მთავრობის საწინააღმდეგო მებრძოლი ორგანიზაცია. აქვე ირაზმებოდნენ რევოლუციონერები: სევასტი გაჩეჩილაძე, გრიშა გაჩეჩილაძე, ბესარიონ გაჩეჩილაძე და სხვები. გადმოცემის თანახმად, ასეთი შემთხვევა მომხდარა. ერთ ღამეს, როცა ორგანიზაციის წევრები თათბირს აწყობდნენ და თითქმის ყველამ მოიყარა თავი, იგი გასცა ამ სოფლის მკვიდრმა ტარიელ გაჩეჩილაძემ. მეფის მთავრობის მოხელეები თავს დასხმიან თათბირის მონაწილეებს და ურიადნიკ ნემსაძეს მოუკლავს ამ ორგანიზაციის ყველაზე გამოჩენილი წევრი გრიშა გაჩეჩილაძე, რომელსაც 29 ჟანდარმი ჰყავდა მოკლული. ამ ორგანიზაციის წევრებთან საუბარი ჰქონია ი. ბ. სტალინს, რომელსაც გზად მიმავალს ჭიათურაში, გაუვლია წევაში.

როგორც აღინიშნა, ადრევე დამკვიდრდა კულტურა წევაში და საფუძველი ჩაეყარა ამავე დროს მთავრობის საწინააღმდეგო მებრძოლ ორგანიზაციებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ სიმონ გაჩეჩილაძე, საშა და ემელიონ გაჩეჩილაძეები. აღნიშნული პირები პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ სოფელში. შემდეგ პერიოდში წევის ოთხწლიან სკოლაში სხვადასხვა დროს მასწავლებლობდნენ აკაკი და ბესარიონ გაჩეჩილაძეები, ხოლო 1924 წლიდან ქსენია სამხარაძე, ნინა გაჩეჩილაძე და სხვები.

გადმოცემიდან ცნობილია, რომ ეკლესიასთან არსებულ სკოლაში სწავლობდნენ თავადები ჭაოშვილები, სამღვდელოების წარმომადგენლები გაჩეჩილაძეები და სხვები. გლეხებს კი არ ჰქონდათ სწავლა-განათლების მიღების უფლება.

სოფელი წევა ადრე სამ კოლმეურნეობას აერთიანებდა. სოფლის ცენტრში იყო სასოფლო საბჭოს აღმასკომი, საქიმო პუნქტი, ბიბლიოთეკა და სოფლის მაღაზია. კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ აქ კოლმეურნეობის ერთი ბრიგადა, საფერშლო პუნქტი, სოფლის ორი მაღაზია და ბიბლიოთეკაა“.

სოფლის მოსახლეობამ ჯერ კიდევ ადრე იგრძნო ოქტომბრის რევოლუციის მომავალი, ამიტომ სოფლის მოწინავე ადამიანები ირაზმებოდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ქმნიდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებს და რაზმავდნენ ხალხს საბრძოლველად. მაგალითად, 1905 წლის რევოლუციის პირველი საბრძოლო ნათლობა მიუღიათ რაჟდენ გაჩეჩილაძეს, სერგო, ერმინე და ალექსანდრე გაჩეჩილაძეებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოფელში შექმნილა „რევკომი“, მუშათა რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ყოფილა პავლე გაჩეჩილაძე და სხვები. სოფლის მცხოვრებნი დიდი აღფრთოვანებით შეგებებიან საქართველოში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტი. აკაკი გაჩეჩილაძე გადმოგვცემდა, როცა ჩვენს სოფელში მენშევიკები შემოვიდნენ, ყველაფერი გაანადგურეს, დაწვეს და გაანიავეს. ისინი ასეთ აზრს ავრცელებდნენ ხალხში: „თუ რამე დასაკლავი ან შესაჭმელი გაქვთ ან ღვინო დასალევი, ბარემ ჩვენ მოგვართვით და ცოტა თქვენ გაინაწილეთ, თორემ ის კაციჭამიები რომ მოვლენ, იგულისხმებოდა ბოლშევიკები, ჭირნახულთან ერთად შეგჭამენო“. მაგრამ გლეხებს ეს არ დაუჯერებიათ. თუ რაიმე ჰქონიათ გაუტანიათ საიმედო ადგილზე, რომ მართლაც ბოლშევიკებისთვის დაეხვედრებინათ, რადგან იცოდნენ, ისინი ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ. როცა გაუგიათ, რომ გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მღვდელ კასიანე ეფრემის-ძე გაჩეჩილაძეს მთელი მოსახლეობისთვის მოუყრია თავი, შეუქებია საყდარში და „პარაკლისი“ გადაუხდიათ.

მეორე მსოფლიო ომში სოფლიდან ფრონტზე გაემგზავრა 125 მამაკაცი. ზოგი დაბრუნდა, ზოგიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

§ 24. **გაჩეჩილაძე მღვდლები ებზარძოსობის დროს (1811-1917 წწ.):**

(ინფორმაცია ამოღებულია მერაბ კეზევაძის წიგნიდან „ებზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“. ქუთაისი, 2008, გვ-ბი 146 და 170).

გაჩეჩილაძე ნიკოლოზ – **წევა** – 1789 (1829),
გაჩეჩილაძე მარკოზ დავითის ძე – **წევა** – 1789 – 1842,
გაჩეჩილაძე გიორგი ბერის (შიოს) ძე – **წევა** – 1804 (1851),
გაჩეჩილაძე იოვანე თომას ძე – **წევა** – 1816 – (1856) გარდ. 04.09.1859,
გაჩეჩილაძე შიო თომას ძე – **საღვინე** ? –1856
წევა –1848 – 1884(6),
გაჩეჩილაძე გიორგი – **სვერი** ? – (1842)
გუნდაეთი ? – (1856),
გაჩეჩილაძე ეფრემ იესეს ძე – **ღორეშა** – 1867 -1870
აჭარა – 1870 -1900
შროშა (მაცხოვრის) – 1900-1902,
გაჩეჩილაძე ლევი ეფრემის ძე – **წიფა** – 1890 – 1899
ქუთაისი (წმ. ნიკოლოზის საფიჩხიის ეკლესია) –1899-1917,
გაჩეჩილაძე მაკარი ეფრემის ძე – **წევა** – 1884 – 1917 გარდ. 1944,
გაჩეჩილაძე სამსონ იესეს ძე – **საბაჟო** –1893 – 1906
შროშა (ღმრთისმშობლის მიძინების) – 1906 – 1917,
გაჩეჩილაძე გიორგი კონსტანტინეს ძე – **ამაშუკეთი** – 1904 – 1917.

აღნიშნულ წლებში წევის ეკლესიის მღვდლები ყოფილან, აგრეთვე:

ებანოიძე დავით მამუკას ძე 1841 – 1848,
მაღრაძე (ქიოტიშვილი) ლუკა იესეს ძე –1855 – 1903 გარდ. 30.08.1914,
აბესაძე ელეფთერ სიმონის ძე –1903 – 1917.

ამ სიაში, როგორც ჩანს, ყველა მოძღვარი შეტანილი არ არის... ე. გ.

1997-98 წლებში წევის ეკლესიის მოძღვარი იყო ექვთიმე ხუციშვილი.
XXI საუკუნის დასაწყისში, წევის ეკლესიის მოძღვრები იყვნენ: ჯერ კობა (ალბათ, იაკობ) აბაშიძე, შემდეგ ანტონ კიკნაველიძე (წლები დასაზუსტებელია).
2004 წლიდან დღემდე (2012 წლის აგვისტო) ამ ეკლესიის მოძღვარია გიორგი რევიშვილი.

§ 25. *ეკატერინე გაჩეჩილაძე**

წევის წმინდა გიორგის ეკლესიის ბიბლიოთეკა

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის წევრებმა წევის ეკლესიის ბიბლიოთეკის (რომელიც, თურმე, XX საუკუნეში ამ ეკლესიის ბოლო მღვდლის, კასიანე გაჩეჩილაძის* (1879-1957წწ.), ოჯახში ინახებოდა) არსებობის შესახებ შევიტყვეთ მას შემდეგ, რაც, ეკლესიის ხელახლა ამოქმედებასთან დაკავშირებით, მღვდლის ოჯახმა ბიბლიოთეკის ეკლესიისთვის დაბრუნება გადაწყვიტა.

2002 წლის დასაწყისში, კასიანე გაჩეჩილაძის რძალმა, **თამარ ქვლივიძემ*,** გაჩეჩილაძეთა „საგვარეულო დარბაზს“ მომართა თხოვნით, რომ ეს ბიბლიოთეკა აღგვეწერა. მისი თხოვნის შესაბამისად, ჩვენ, 2002 წლის მაისში, ჩავედით წევაში და აღვწერეთ წიგნები.

აღნიშნული ბიბლიოთეკა მოიცავს XVIII-XIX სს. ოცდაშვიდ სასულიერო შინაარსის წიგნს (აქედან ოცდახუთი ქართულია – ხუცური შრიფტით ნაბეჭდი, ორი კი რუსული – „კირილიცათი“ ნაბეჭდი) და რამდენიმე ქართული და რუსული ნაბეჭდი წიგნის ფურცლებს.

ვინაიდან წიგნების უმრავლესობას აკლია საწყისი და ბოლო (და არა მხოლოდ ეს) გვერდები, ჩვენი თხოვნით, ამ წიგნებიდან ჩვენს მიერ დამზადებული ფოტოსურათების მიხედვით, მათ ამოცნობაში დაგვეხმარნენ ეროვნული ბიბლიოთეკის (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბ-კა) რარიტეტის განყოფილების თანამშრომლები – **დალი მაჩაიძე და ანა ჯაჯანიძე. *(წიგნების სია იხ. გვ-ზე)*.**

წიგნებში არის მინაწერები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან წევის ეკლესიის, წევისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა და თვით ამ წიგნების ისტორიის შესახებ. მაგალითად, მინაწერებიდან ვიგებთ წევის ზოგიერთი მცხოვრების დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების თარიღებს; ვიგებთ თუ ვინ რომელ წლებში ყოფილა წევის ეკლესიის მედავითნე; არის ცნობები ზოგი წიგნის ადრინდელი მფლობელისა და ამ წიგნის წევის ეკლესიისათვის შეძენის შესახებ. რამდენიმე წიგნში არსებული 1915, 1925, 1928 წლების მინაწერები იუწყებიან, რომ მღვდელ კასიანე გაჩეჩილაძეს ამ წლებში ზესტაფონის საწყობიდან, „დიდი შრომისა და ღვაწლის“ შედეგად, გამოუტანია წევის ეკლესიის კუთვნილი (მაშინდელი ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული) ნივთები და ა.შ.

საყურადღებოა, რომ 1720 წელს გამოცემული პარაკლიტონის ყდის ქვედა ფრთაზე დაკრულია ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდი (იხ. სურ. 15), რომელიც შეიცავს, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებულ, ღვთისმშობლის საგალობელს. ამ ხელნაწერის შესახებ აზრის გამოთქმა (ჩვენს მიერ გადაღებული ფოტოს მიხედვით) ვთხოვეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ბატონ **მიხეილ ქავთარიას**. მან აღნიშნა,რომ ეს საგალობელი სადღესასწაულოსათვის ტიპურია, რომ მასში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა ეპითეტთან დაკავშირებული „გიხაროდენია“ შეტანილი და რომ ტექსტის შედარება სხვა, ამავე შინაარსის საგალობლებთან და მისი პალეოგრაფიული სახე მოწმობს, რომ იგი XVIII საუკუნის დასაწყისისა უნდა იყოს.

წევის ეკლესიის მთელ ინვენტართან ერთად, წიგნებიც აღვწერეთ, დავშიფრეთ, დავნომრეთ, გავუკეთეთ მინაწერები მათი წევის ეკლესიისადმი კუთვნილების შესახებ, ამოვიწერეთ ყველა მინაწერი, რომელთაგან შევადგინეთ ცალკე ალბომი.

ფურცლებად დაშლილი წიგნები ავაწყვეთ, გავასუფთავეთ და სათანადო ოქმის შედგენით ჩავაბარეთ წევაში კომისიას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **თამარ იოსების ას. ქვლივიძე* და ვარლამ გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე**. ჩვენს მიერ შედგენილი საინვენტარო წიგნისა და მინაწერების ალბომის ერთი ეგზემპლარი გადავეცით წევის ერთ-ერთ მცხოვრებს შესანახად.[1]

წიგნების სია კატალოგში შესატანად გადავეცით ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებას. ხოლო მინაწერების ალბომის ერთი ეგზემპლარი, მათ ფოტოებთან ერთად, გადავეცით ხელნაწერთა ინსტიტუტს.[2]

№ საინვენტარო წიგნში	№ ქრონოლო-გიური	წევის წმინდა გიორგის ეკლესიის წიგნები:
80	1	პარაკლიტონი. თბილისი, **1720 წ.**
32	2	სახარება. თბილისი, **1786 წ.,** ერეკლე II-ის სტამბა
60	3	სამოციქულო. თბილისი, **1791 წ.,** ერეკლე II-ის სტამბა
73	4	სამსაგალობელი წმიდათა დიდთა მარხვათა. თბილისი, **1793 წ.** ერეკლე II-ის სტამბა
33	5	სადღესასწაულო. მოსკოვი, **1805-1808 წწ.,** სინოდის სტამბა
67	6	სადღესასწაულო. მოსკოვი, **1805-1808 წწ.,** სინოდის სტამბა
78	7	ლოცვანი. ქუთაისი, **1810 წ.**
61	8	პარაკლიტონი. მოსკოვი, **1822 წ.,** სინოდის სტამბა
68	9	კონდაკი. საღვთო მსახურება. მოსკოვი, **1824 წ.,** სინოდის სტამბა
31	10	სადმრთო სახარება. მოსკოვი, **1826 წ.,** სინოდის სტამბა
82	11	კურთხევანი. მოსკოვი, **1826 წ.,** სინოდის სტამბა
65	12	სამსაგალობელი – მარხვანი. მოსკოვი, **1863 წ.,** სინოდის სტამბა
34	13	სადღესასწაულო. მოსკოვი, **1865 წ.,** სინოდის სტამბა
64	14	სადღესასწაულო. მოსკოვი, **1865 წ.,** სინოდის სტამბა
75	15	ლოცვანი. თბილისი, **1866 წ.,** კავკასიის ნამესტნიკის სტამბა
59	16	ტრიოდიონი-ზატიკი. თბილისი, **1868 წ.,** სინოდის სტამბა
71	17	სადმრთო სახარება. თბილისი, **1870 წ.,** კავკასიის ნამესტნიკის სტ.
72	18	სადმრთო სახარება. თბილისი, **1870 წ.,** კავკასიის ნამესტნიკის სტ.
62	19	სადმრთო სამოციქულო. თბილისი, **1871 წ.**
77	20	ლოცვანი. თბილისი, **1879 წ.,** ექვთიმე ხელაძის სტამბა
79	21	კონდაკი. თბილისი, **XIX ს-ის 80-90-იანი წლები**
69	22	კონდაკი. თბილისი, **1899 წ.,** ექვთიმე ხელაძის სტამბა
70	23	ლოცვანი. თბილისი, **XIX ს.**
81	24	სამსაგალობელი. მოსკოვი, **XIX ს.**
76	25	ჟამნი. **XIX ს.**
66	26	Часослов. **XIX საუკ. 80-იანი წლები**
74	27	Учебная Псалтырь. **XIX საუკ. 80-იანი წლები**
82		წიგნის „კურთხევანი“ ფურცლები. მოსკოვი, **1826 წ.,** სინოდის სტამბა, ზომები: 33,8 * 21,8 * 0,4 სმ.
86		წიგნის „დავითნი“ 7 ფურცელი. მოსკოვი, **1855 წ.** ზომები: 17,8*11,5 სმ.
98		წიგნის (?) 19 ფურცელი. ზომები: 21,7 * 17,7 სმ.
93		წიგნის (?) 20 ფურცელი. ზომები: 20,5 * 14,8 სმ.
101		ფურცლები მოსკოვში **1805–1808** წლებში დაბეჭდილი სადღესას-წაულოდან. ზომები: 36,8 * 23 სმ.

მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული სია გადავეცით ეროვნულ ბიბლიოთეკას, ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, **ლალი მაჩაიძემ**, რომელიც, ადრე, დაგვეხმარა წევის ეკლესიის წიგნების ამოცნობაში, ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილების საცავში აღმოაჩინა, ჩვენი ეკლესიის კუთვნილი, **1786 წელს თბილისში, ერეკლე II-ის სტანბაში გამოცემული სახარება,** რომელიც წევის ეკლესიისათვის შეუწირავს არქიმანდრიტ გრიგოლ ცქიტიშვილს (მინაწერს ახლავს არქიმანდრიტის ბეჭედი); წიგნზე არის მღვდელ კასიანე გაჩეჩილაძის მინაწერები

(მინაწერები მათ ფოტოებთან ერთად ჩავრთეთ მინაწერების ზემოხსენებულ ალბომში). სახარება ეროვნული ბიბლიოთეკის საინვენტარო დავთარში რეგისტრირებულია **1986 წელს** – (K 1202509 ტოე 375), იგი ბიბლიოთეკისათვის ჩაუბარებია ვიღაც მოხუც კაცს.

2003 წელს, წევაში, კვირიკობის დღესასწაულზე, წევის ეკლესიის მაშინდელმა მღვდელმა, კობა აბაშიძემ გვაცნობა, რომ წევის ეკლესიის რამდენიმე წიგნი თბილისში წაუღია დათო გაჩეჩილაძეს.

გაირკვა, რომ დავით გურამის ძე გაჩეჩილაძეს (ოთიაშვილს) 2002 თუ 2003 წელს გამოურთმევია შვიდი წიგნი, კასიანე მღვდლის შვილიშვილის, გივი (კაკო) გაჩეჩილაძისათვის** და წაუღია თბილისში – სარესტავრაციოდ. მიუტანია საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, მაგრამ წიგნების რესტავრაციაზე ვერავინ დაუთანხმებია, შემდეგ წიგნები კარგა ხანს შეუნახავს გოჩა არონიშიძის* ბინაში, მოგვიანებით კი წაუღია ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც მათი რესტავრაციისათვის ძალზე სოლიდური თანხა მოუთხოვიათ (წიგნის რესტავრაცია ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია...). ბ-ნ დავითს გადაუხდია წიგნების სადეზინფექციო და ერთი წიგნის სარესტავრაციო თანხა. რესტავრირებული წიგნი **– 1805-1808 წლებში, მოსკოვში, სინოდის სტამბაში გამოცემული „სადღესასწაულო“** *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 67)****,* დაუბრუნებია წევის ეკლესიაში. დანარჩენი – 6 წიგნი:

1. **„სამოციქულო“. 1791 წ.**, თბილისი, ერეკლე II-ის სტამბა *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 60)****,*
2. **„პარაკლიტონი“. 1822 წ.**, მოსკოვი, სინოდის სტამბა. *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 61)****,*
3. **„კონდაკი. საღვთო მსახურება“. 1824 წ.**, მოსკოვი, სინოდის სტამბა. *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 68)****,*
4. **„სადღესასწაულო“. 1865 წ.,** მოსკოვი, სინოდის სტამბა, *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 34)****,*
5. **„ტრიოდიონი-ზატიკი“. 1868 წ.**, თბილისი, სინოდის სტამბა. *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 59)***
6. **„სამსაგალობელი“. XIXს**. მოსკოვი. *(წევის ეკლ. საინვენტარო წიგნში* ***№ 81)*** **ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.**

აღნიშნული წიგნები დღევანდელი მღდელმსახურებისათვის აუცილებელნი არ არიან, რადგან არსებობს მათი შემდგომდროინდელი გამოცემები. მაგრამ ისინი ჩვენთვის ძვირფასნი არიან, როგორც ქართული ბეჭდური წიგნის ადრინდელი გამოცემები, როგორც ჩვენი ეკლესიის რელიქვიები და იმიტომაც, რომ მათზე არის ჩვენი წინაპრების მინაწერები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავენ.

ამჟამად წევაში არ არის პირობები ამ წიგნების სათანადოდ შენახვისათვის, ამიტომ, ჩვენს „საგვარეულო დარბაზს“ არ უცდია მათი წევაში დაბრუნების დაჩქარება. 2012 წლის 20 ივლისს, „საგვარეულო დარბაზის“ წევრებმა: ეკატერინე მიხეილის ას.*,ანზორ გრიგორის ძე* და ლილი ვარლამის ას*. გაჩეჩილაძეებმა, გაჩეჩილაძეთა „საგვარეულო დარბაზის“ სახელით, ამ ექვსი წიგნის შესანახად „მიბარების ხელშეკრულება“ გავაფორმეთ ხელნაწერთა ინსტიტუტთან. (ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება საგვარეულოს არქივში). „საგვარეულო დარბაზს“ ნება აქვს, ნებისმიერ დროს, რესტავრაცია გაუკეთოს წიგნებს ან (რესტავრირებული თუ არარესტავრირებული) გამოიტანოს ინსტიტუტიდან და დააბრუნოს წევის ეკლესიაში.

ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის ამ წიგნების რესტავრირების შეკვეთის ნება აქვს ჩვენს ნებისმიერ მოგვარეს, მაგრამ მათი ინსტიტუტიდან გამოტანა შეეძლება მხოლოდ „საგვარეულო დარბაზს“, ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. *2012 წ., აგვისტო.*

შენიშვნები: ***1.*** *მისი ვინაობა მითითებული გვაქვს, ჩვენს მიერ შედგენილ, ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ საარქივო დოკუმენტაციაში, რომელსაც გადავცემთ*

„საგვარეულო დარბაზის“ შემდეგი შემადგენლობის ხელმძღვანელს. მასვე გადავცემთ საინვენტარო წიგნის და წიგნებზე მინაწერების ალბომის თითო-თითო ეგზემპლარს, რომლებიც, ფოტოებთან ერთად, ინახება ჩვენთან.

***2.** თეთრ საქაღალდეში ჩადებული შესანახად ჩავაბარეთ ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მიხეილ ქავთარიას. ორი წლის შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ მოგვიწია მის კაბინეტში სტუმრობა, დავინახეთ, რომ ეს საქაღალდე, ისევ, მისი მაგიდის მოპირდაპირედ განლაგებულ, თაროზე იდო...*

§ 26. ეკატერინე გაჩეჩილაძე*

მაინც რას ნიშნავს სოფელ წევის სახელი და რა სახის სასწაულთქმედება მიეწერებოდა წევის ეკლესიას ?

ჩვენი მუშაობის პროცესში შეგროვილი ლეგენდები და სხვა მასალა შეიცავს სოფ. წევის სახელის რამდენიმე განმარტებას, რომელთაც წარმოგიდგენთ ჩვენი კომენტარების დართვით:

I. მიღწევა, მიწევნა რომელიმე ადგილამდე

ასეთი განმარტება რამდენიმე ჩვენი მოგვარის მიერ მოწოდებულ ლეგენდებშია წარმოდგენილი (იხ. ლეგენდები № 43, 44...). მათგან უადრესია სევასტი გაჩეჩილაძის მიერ აკაკის კრებულში გამოქვეყნებული ლეგენდა: „თამარ დედოფალს სვანეთიდან გადმოუვლია შქმერის მთაზე, გამოუვლია „ულევი“. ამ ვაკე, დაუსრულებელ სერტრიამელისათვის გაულეველი უწოდებია და სრული „ულევი“ დარქმევია. განაპირეს ვუწიეთო და დაურქმევიათ ჩვენი სოფლისთვის „წევა“[1].

ეს ლეგენდა განსაკუთრებით საყურადღებოა იმით,რომ გვამცნობს, რომ წევა მდებარეობდა კოლხეთის დაბლობის ბოლოს, პირველსავე შემაღლებაზე. ამჟამად პირველი ქედი, რომელიც ესაზღვრება ხსენებულ დაბლობს, სოფ. წიფლავაკეს უჭირავს. თვითონ ამ სოფლის სახელი კი მიგვითითებს, რომ იგი, ადრე, ვაკეზე მდებარეობდა და, როგორც ჩანს, სოფ. წევის მოსახლეობის ახალციხის რაიონში გადასახლების შემდეგ, წიფლავაკელებმა დაიკავეს წევის ტერიტორიის ნაწილი, რაც, ალბათ, სოფ. წევის გასახლებისას, წინასწარვე ჰქონდათ განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოებს...

ამას აღნიშნულ სოფლებს შორის ტერიტორიული დავისათვის ბიძგის მისაცემად არ ვწერთ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენთ. ზედა წევის ტერიტორიაზე კიდევ არის დარჩენილი დაახლოებით 30 კომლი მოსახლისათვის სამყოფი ადგილი, ძალიან სასურველია, რომ ჩვენმა მოგვარეებმა ეს ტერიტორია მაინც აითვისონ, ვინაიდან, ჩვენი საგვარეულოს გაერთიანება ვერ მოხერხდება ჩვენი სოფლის აღორძინების გარეშე...

უნდა ვიფხიზლოთ, რათა მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენი საგვარეულოს ნაამაგარი და მოამაგე სოფელი და ეკლესია უცხოელებს არ ჩავუგდოთ ხელში...

II. გაწევა-გადაადგილება (ტვირთის, აირის)

იმ ლეგენდებში, რომლებშიც სახელი „წევას“ ასეთი განმარტებაა მოცემული (იხ ლეგ. № 40, 45), ზოგან სოფ. წევიდან, ირგვლივ მდებარე მშენებლობებისკენ, სამშენებლო მასალის გაზიდვაზეა საუბარი (იხ. ლეგენდა № 40), ზოგან პირდაპირ მითითებულია ადგილი საითაც ქვას ეზიდებოდნენ – შორაპნის ციხე (იხ ლეგენდა № 40), ზოგ ლეგენდაში კი პირიქით, სამშენებლო მასალის წევის ეკლესიის ასაგებად მოზიდვაზეა საუბარი (ლეგ. № 70).

არსებობს, გაწევა გადაადგილებასთან დაკავშირებული, ტექნიკური ტერმინი წევაც, რომელიც ქსე-ში (ტ. 11, გვ. 302). ასეა განმარტებული: 1. „საცეცხლისა და სავენტილაციო მოწყობილობებში, არხის ან მილსადენის უბანზე შექმნილი გაუხშოება, რ-ის ზემოქმედებით წარმოიშობა აირის ნაკადი. წ. ორგვარია: ბუნებრივი და ხელოვნური. 2. ტრანსპორტზე, ძალა, რ-იც გადაეცემა მიწისზედა, წყლის, საჰაერო და კოსმ. სატრანსპ. მანქანის მაძრავს“.

III. მიწევნა (ცოდვის გამო) ღვთის რისხვის, სასჯელის

მართალია, ჩვენს წიგნში წარმოდგენილ ლეგენდებში, სოფელ წევის სახელის ღვთის რისხვის მიწევნად განმარტება არ გვხვდება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია სიტყვა წევას ამგვარ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება – შემდეგი მიზეზით:

მოგეხსენებათ, წევის წმ. გიორგის ეკლესიას სასწაულმოქმედების უნარს მიაწერენ. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „არს წევას ეკლესია წმიდისა გიორგისა სასწაულთმოქმედი“. მაგრამ, წერილობითი და ზეპირი გადმოცემებიდან ჩვენ ვერ მივიღეთ ახსნა, თუ რაში გამოიხატება ამ ეკლესიის სასწაულთმოქმედება. საგვარეულო გადმოცემებში არ შეგვხვედრია ამ ეკლესიის მიერ მოხდენილ კურნების სასწაულზე მითითება, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, საკმაოდ მკაფიოდ გამოსჭვივის მინიშნება სასწაულქმედების ერთ-ერთ სახეობაზე, კერძოდ დანაშაულის მხილება-დასჯაზე, მაგალითად:

მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის (ლანჩავა)* გადმოცემით (იხ. ლეგენდა № 90), წევის ეკლესიიდან ყოფილა წაღებული ე. წ. შალიანის ხატი, შემდგომში სვანეთის უპირველეს სიწმინდედ მიჩნეული, რომლის სასწაულთმოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ყველა დამნაშავე აღიარებს დანაშაულს თუ ამ ხატზე დააფიცებენ...

მიხეილ გაჩეჩილაძის მიერვე შემონახულ ლეგენდაში (იხ. ლეგ. №40) ნახსენებია, რომ წევის ეკლესიის ხუროთმოძღვარს დაურღვევია ხალხის რწმენა-წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდა ეკლესიის აშენება დიდი სისხლისღვრის ადგილას: მიუხედავად იმისა, რომ წევის ეკლესიის საძირკვლის გაჭრისას, მრავალი ადამიანის ჩონჩხი აღმოჩენილა ერთად დაფლული, მას ეკლესია მაინც ამ ადგილზე აუშენებია. ამის გამო ის ღმერთს დაუსჯია: ტაძრის კურთხევის დღეს იგი სამრეკლოდან გადმოვარდნილა და დაღუპულა...

სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი)* ნაშრომში „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“ მოყვანილია ცნობა, რომ წევის ეკლესიის საკურთხეველში, მის დროს, ყოფილა „სენის წმინდა გიორგის“ ხატი. „როდესაც უნდოდათ ხატზე გადაცემა ან ტყის ქურდის, ან საზღვარზე მოცილესი და სხვა, წაასვენებდა მღვდელი იმ ხატს და ბუკების ხმაურობით გაჰყვებოდნენ. დიდი და პატარა მოცვივოდა. თუ დამნაშავე იყო ვინმე, უნდა ხატის წინ აღეარა“... (იხ. გვ. 125);

სევასტი გაჩეჩილაძესვე, ზემოხსენებულ ნაშრომში, აღწერილი აქვს, თუ რა უბედურება დასტყდომია თავს გაჩეჩილაძე-მოლოქაშვილების ძლიერ და მდიდარ ოჯახს, ბატონ-ყმური სუბორდინაციის მიმართ დაუდევარი მოპყრობისა და ამპარტავნობის გამო, რითაც გაუღიზიანებიათ თავმომწონე ბატონი, რომელსაც, ამის გამო, მათი ოცდაათსულიანი ოჯახი გაუნადგურებია... (იხ გვ.: 128, 129);

ჩვენი კრებულის პირველ წიგნში მოყვანილი გვაქვს, 1789-1811 წლებით დათარიღებული, „სასმართლო განჩინება დავით ღაბუაშვილისა (ღაბუაშვილი აბაშიძეების ერთ-ერთი შტოს მეტსახელია) და ზურაბ მაჭავარიანის მამულის (წევაში ყოფილა) საქმეზე“, რომელიც იუწყება, რომ თავად ღაბუაშვილს სამოცი მწეველი (წეველი) გლეხი დაპირისპირებია მამულის საკითხზე. მათ დაუფიციათ კიდეც, რომ მამული მათია და არა ღაბუაშვილის, მაგრამ ექვს კაცს, თურმე, „ფიცმა უწია“... მისულან ღაბუაშვილთან და შეხვეწნიან: ფიცი აგვხსენი და ჩვენ წილ მამულს შენ დაგიტოვებთო. საქმეში ზურაბ მაჭავარიანი ჩარეულა და, თურმე, ამტკიცებდა: – ეს მამული არც ღაბუაშვილებისაა და არც მწეველების ჩემიაო[2]...

გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძეს (ბელტიყლაპია)* ბაბუამისის გიორგი კონსტანტინეს ძის* ბიოგრაფიაში მოყვანილი აქვს შემდეგი გადმოცემა: „ერთი წეველი ბოლშევიკი აქტივისტი მრევლს არწმუნებდა, – ღმერთი არ არსებობსო!

მამა გიორგის გაუფრთხილებია: დაისჯები შვილოო!

მიდიოდა ეს აქტივისტი ზესტაფონში. ძირულა ყოფილა მოდიდებული... აქტივისტს გადაუწყვეტია მდინარის ფონზე გასვლა, დასცდენია ფეხი, ჩავარდნილა წყალში და დამხრჩვალა“...

მეგი იესეს ასულმა გაჩეჩილაძემ (ოთიაშვილი)* მოგვიყვა მამამისის ნაამბობი: – XX საუკუნის 20-იან წლებში ერთ-ერთ წეველი ათეისტის, ევტიხი გაჩეჩილაძისათვის, რომელიც, თურმე, აქტიურად მონაწილეობდა წევის ეკლესიის დარბევაში, ამ ფაქტის შემსწრე ხალხს უთქვამს, – ღმერთი დაგსჯისო. – ათეისტს მათთვის ყური არ უთხოვებია და კიდევ უფრო მეტი ჟინით გაუგრძელებია საეკლესიო ნივთების მსხვრევა. ერთი შემინული ხატი დიდი ძალით დაუხეთქებია ქვაზე. ხატის „კუბოს“ მინის ნატეხი მაღლა ავარდნილა და ათეისტისთვის თვალი გამოუთხრია. ეს ყველას თვალწინ მომხდარა...

გაჩეჩილაძე ოთიაშვილების რძალმა, თამარ ქვლივიძემ, გვიამბო: – ერთ-ერთ ოჯახში, მოკლე ხანში, ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე ადამიანი გარდაცვლილა. თამარს უკითხავს ამ ოჯახის გადარჩენილი წევრისთვის, – რა გჭირთ, რომ უბედურება აღარ გშორდებათ, ეკლესიიდან ხომ არაფერი წაგიღიათო? – ქალს გაჰკვირვებია და გამოტეხილა, – კი, პატარა მაგიდა წამოვიღეო და დაუბრუნებია მაგიდა ეკლესიაში. ახლა ეს პატარა, შავი, სამფეხა მაგიდა წევის ეკლესიაში დგას...

ყოველივე ზემოთქმულში გამოსჭვივის როგორც საზოგადოდ ღვთისმოშიშობა, ისე წევის ეკლესიის, რომელიც, ღვთის განსახიერებას წარმოადგენს წევაში, შიში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი გადმოცემები სხვაც ბევრია, მინც ვერავინ ასახელებს, თუ რაში მდგომარეობს წევის ეკლესიის სასწაულთმოქმედება. ეს ჩვენი აზრით იმიტომ ხდება, რომ, ქვეცნობიერად, ადამიანები გაურბიან ღმერთსა და ეკლესიაში, რომლებშიც ისინი შველასა და ხსნას ეძებენ, დამსჯელი ძალის დანახვას, მაგრამ, თავისთავად, ბოროტების დასჯა ხომ სიკეთისთვის მხარდაჭერაა, ვინც ბოროტს სჯის, ის კეთილს იფარავს და აძლიერებს – **<u>წევის ეკლესია ხომ წმინდა გიორგის, რომელიც ბოროტებასთან ბრძოლის და სულიერი გამარჯვების სიმბოლოა, სახელობისაა!..</u>**

წევის ეკლესიის არქიტექტურის შესწავლამ დაგვანახვა, რომ მისი თავდაპირველი ნაგებობის ხუროთმოძღვარს უმკაცრესი, უშეღავათო სიზუსტით აქვს გააზრებული და უმკაცრესი სისადავით გადაწყვეტილი ნაგებობის თითოეული უმცირესი დეტალიც კი. ამ ეკლესიის ყოველ ნაკვთში გამოსჭვივის მისი ხუროთმოძღვრის დაძაბული ფიქრი და სიყალბისა და ზედმეტობის ვერ ამტანი, ასკეტური, ამაღლებული სული, ხუროთმოძღვარს უდიდესი სულიერი ენერგია ჩაუქსოვია თავის ქმნილებაში, ამიტომ, მიუხედავად მცირე ზომებისა და მკაცრი სისადავისა, ამ ეკლესიის არქიტექტურა მეტად შთამბეჭდავი და მეტყველია.

ჭეშმარიტი ხელოვანის ხელით სამყაროს სული, გონი და ენერგია (ანუ ღმერთი) მოქმედებს და ამიტომ მისი ქმნილება მუდმივად ასხივებს მასში ჩაქსოვილ აზრსა და სულიერ ენერგიას, რითაც ახდენს ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანებზე. წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრული ენის თავისებურებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი გარემოს და წევის მცხოვრებთა ხასიათი და განწყობა. (საყურადღებოა ისიც, რომ წევის ეკლესიაში განსაკუთრებულად ვაჟკაცური და მრისხანე ჟესტით შუბშემართული, გველეშაპთან მებრძოლი ცხენოსანი წმ. გიორგია გამოსახული (მოხატულობის I ფენაში). II ფენაშიც იგივე სცენა ყოფილა წარმოდგენილი, რომლისგანაც მხოლოდ გველეშაპის შუბგაყრილი ხახის გამოსახულებაა შემორჩენილი).

ვინაიდან ხალხი წევის წმ. გიორგის ეკლესიაში ხედავდა ბოროტების მამხილებელსა და დამსჯელ, სასწაულებრივ ძალას, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ცოდვის გამო ღვთის სასჯელის მიწევნის წესახებ რწმენა სოფლის სახელშიც ასახულიყო...

IV. მიზიდვა, მიზიდულობა

ხშირად გაგვიგონია, იმათგან, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა წევაში (წეველთა რძალი იქნება, თუ სტუმარი), რომ მათ წევა ძალიან ენატრებათ და იზიდავთ, მით უმეტეს, უფრო მეტად იზიდავთ იგი ყოფილ წეველებს.

მიუხედავად იმისა, რომ წევაში ცხოვრება ყოველთვის რთული იყო, ჩვენს წინაპრებს განსაკუთრებულად უყვარდათ ის, ალბათ, მისი ბუნების სილამაზის,

მისი ჰავის თავისებურების, წევის ეკლესიის დიდი აქტიურობის და იდუმალი ხიბლის, წევის მდიდარი და სასახელო ტრადიციების, იქაურ მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობისა და სხვა პიროვნული ღირსებების გამო. ამ სიყვარულის მწვავე გამოვლინებების შესახებ არა ერთი გადმოცემაა შემონახული, მაგ.: სევასტი გაჩეჩილაძეს თავის ნარკვევში „წევა, წეველები...“ აღწერილი აქვს შემთხვევა, როცა წევიდან გატაცებული კაცი, ტყვეობიდან არაერთხელ უშედეგოდ გამოქცეული (რამდენჯერმე დაუჭერიათ და უკან მიუბრუნებიათ), საბოლოოდ 32 წლის შემდეგ გამოჰპარვია გამტაცებლებს, მიუტოვებია ტყვეობის დროს შერთული მეუღლე, იქ შეძენილი შვილები, კარგად მოწყობილი სახლ-კარი და, დიდი წვალების შედეგად, დაბრუნებულა წევაში...

1944 წელს, წევის მოსახლეობის ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში გასახლების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ზიკილიაში სამეურნეო თვალსაზრისით ბევრად უკეთესი პირობებია, რამდენიმე ქალი, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, გამოპარულა იქიდან, „რკინის ჯვრად“ წოდებული დიდი მთა ზამთარში ფეხით გადმოუვლიათ და წევაში დაბრუნებულან. სხვებსაც უცდიათ წევაში დაბრუნება, მაგრამ მთავრობას აღუკვეთავს მათი მცდელობა და სხვა...

წევის სასწაულთმოქმედ ეკლესიას ძველთაგანვე საკმაოდ შორს ჰქონდა განთქმული სახელი და მრავალ მლოცველს იზიდავდა და იზიდავს საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან.

მრავალ ვაჭარს და მყიდველს იზიდავდა წევისაკენ აქაური სახელგანთქმული ბაზრობა.

მეზობელი სოფლების მრავალ მოწაფეს იკრებდა წევის სკოლა. ასე რომ, მიწევა-მიზიდვა შესაძლებელია წევის სახელის ერთ-ერთ, სავარაუდო, განმარტებად განვიხილოთ...

V. უხვი ან დროული მოსავლის მოწევა

წევის სახელის ასეთი განმარტება შემოგვთავაზა პროფესორმა ონომატოლოგმა, გურამ ბედოშვილმა, ზემოთ წარმოდგენილ თავის წერილში „სოფელ წევის სახელწოდების შესახებ“ (იხ. გვ. 11). ასეთი განმარტების საბუთად მას მიუჩნევია, თ. ჟორდანიას მიერ 1896 წ. გამოქვეყნებულ, „ძეგლი“ ვახანის ქვაბთა“-ში ამოკითხული წევის სახელი... რასთან დაკავშირებითაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცით პასუხი გ. ბედოშვილის სტატიის კომენტირებისას (იხ. § 6, გვ.: 15, 16).

რაც შეეხება წევის მოსავლიანობას, სამწუხაროდ, რეალურად იგი უხვმოსავლიანი არასოდეს ყოფილა (წევის მოსავლიანობის შესახებ იხ. სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრ. „წევა, წეველები... “, გვ.: 120, 121) და ვერც მოსავლის ადრეული ან დროული მოწევით უხარებდა გულს მის მცხოვრებთ (ზედა წევაში ყურძენი დამწიფებასაც კი ვერ ასწრებს – მჟავე რჩება), თუმცა, ყველაფერი შეფარდებითია, გააჩნია, ვინ აფასებს – თუ ისეთი ადგილიდან მოსული ადამიანი აფასებს, სადაც მოსავალი წევაზე ნაკლები მოდის ან წევაზე გვიან მოდის, მაშინ შეიძლება ასეთ განმარტებასაც ჰქონდეს გამართლება. (მაგალითად, ცნობილია, რომ 1952 წელს სოფ. ჭერემი იმიტომ გაასახლეს, რომ იქ მოსავალი, თუმცა უხვია, მაგრამ კახეთის სხვა რიონებთან შედარებით ერთი თვით გვიან მოიწევა, რის გამოც მოსავლის ჩაბარების გეგმა ეშლებოდა რაიონს).

VI. ღვთის შეწევნა

წევის სახელის ასეთი ახსნა მოგვივიდა აზრად, როდესაც, 2003 წელს, ნასოფლარ ჯაჭვის ტერიტორიაზე მდებარე, პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესიის ღღესასწაულზე ყოფნისას ჩვენ და ჩვენს ბიძაშვილებს, ნელი* და ლილი* გაჩეჩილაძეებს, ადგილობრივმა ახალგაზრდებმა მოგვაძახეს „გეწიათ, გეწიათო!“ (ანუ, დღესასწაულის მადლი შეგეწიოთო). ისინი, ზმნა შეწევნას ნაცვლად, მის შემოკლებულ ფორმას წევას ხმარობდნენ...

(მოგვიანებით, ასეთივე ახსნა წავიკითხეთ გ. ბედოშვილის წერილში, რომელიც მას 2004 წ. გაზ. „ჯაჭვი“-სთვის დაუწერია (იხ. ჩვენს წიგნში გვ.: 11, 12), მაგრამ გაზ. „ჯაჭვი“ 2003 წლის შემდეგ აღარ გამოსულა, ამ წერილმა კი ჩემამდე 2005 წლის ბოლოს მოაღწია...).

VII. ბედის წევა, საწადელის წევა, უბედურების წევა

გაჩეჩილაძეთა ზოგი საგვარეულო ლეგენდა იუწყება, რომ მათი წინაპრები წევაში სხვა ადგილიდან მოსული არიან. თუ ისინი სხვა ადგილას უფრო ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ, შესაძლოა, მათთვის, შემდგომში სოფ. წევად წოდებულ, ადგილას დასახლება ბედის წევა, საწადელის წევა იყო...

VIII. ცხოვრების „ჭაპანის“ წევა

წევაში ცხოვრება გამუდმებით მძიმე შრომას მოითხოვდა – ეს იყო ადგილი, რომლის მობინადრენიც ცხოვრების მძიმე „ჭაპანს“ ეწეოდნენ...

IX. ადგილი, სადაც მწევარ ძაღლებს აშენებდნენ და წვრთნიდნენ

წევის სახელი აღვივებს, როგორც მოზრდილების, ისე მოზარდების ფანტაზიას. ზესტაფონის სკოლის მოწაფეს, 16 წლის ყმაწვილს, ვარლამ გიორგის ძე გაჩეჩილაძეს, მოსწავლეთა 56-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარდგენილ, მის ნაშრომში „სოფელ წევის ტოპონიმები და გაჩეჩილაძეთა გვარის შერქმეული სახელები“, თავისი ასაკის ინტერესების შესატყვისად, ასე განუმარტავს სოფ. წევის სახელი და ამ მოსაზრების დამადასტურებელი „საბუთიც“ მოუყვანია – სევასტი გაჩეჩილაძის მიერ „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებული ხალხური ლექსი (იხ. წინამდებარე წიგნში, გვ. 118):

„ჩამევიარე წევასა,
კაცი იჭერდა მწევარსა.
კაცო, რად იჭერ მწევარსა?
– ასე სჩვევია წევასა...“

X. თამბაქოს წევა

წევის სახელის კიდევ ერთი, ღიმილისმომგვრელი, განმარტება გამოსჭვივის ზემოხსენებულ, 1789-1811 წლებით დათარიღებულ, „სასმართლო განჩინებაში“, რომელშიც ლაპარაკია თავად ღაბუაშვილთან 60 „მწეველი“ კაცის დაპირისპირების შესახებ. სასამართლოს მდივანი, ალბათ, თვითონ ბრძანდებოდა მწეველი და, ალბათ ამიტომ, ამ ხალხის საცხოვრებელი სოფლის სახელი ასე გაიაზრა, თორემ, იმ წლებში, წევაში, 60 კი არა, ორიოდე მწეველი გლეხის პოვნაც, ალბათ, ძნელი იქნებოდა. *[მართალია, იმ დროს საქართველოში თამბაქო უკვე მოჰყავდათ (აფხაზეთში და აჭარაში) და სევასტი გაჩეჩილაძეც წერს, რომ ოთია გაჩეჩილაძეს, რომელიც XVIIIს. I ნახევარსა და XIX ს. I ნახევარში ცხოვრობდა, გასაყიდად „ახტალაში თუთუნი ცხენებით მიჰქონდაო“, მაგრამ, წევის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, არ გეგონია, რომ თუთუნის მოსახმარად დრო და საშუალება ჰქონოდა და არც ეკლესია დაუშვებდა იმას, რომ მათ თამბაქო მოეწიათ].*

ცხადია, სიტყვა წევას ამგვარ მნიშვნელობას სოფ. წევის სახელთან არანაირი კავშირი არა აქვს...

ამრიგად, დღემდე ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლინდა სიტყვა „წევას“, სოფ. წევის სახელის, შემდეგი განმარტებები:

წევა – **1.** მიღწევა რომელიმე ადგილამდე,
2. ტვირთის გაწევა-გადაადგილება,
3. ცოდვის გამო სასჯელის მიწევნა,
4. მიზიდულობა, მიზიდვა,
5. ღვთის შეწევნა,
6. უხვი ან დროული მოსავლის მოწევა,
7. ბედის წევა, საწადელის წევა, უბედურების წევა
8. ცხოვრების „ჭაპანის“ წევა,
9. მწევარი ძაღლების მოსაშენებელი ადგილი,
10. ადგილი სადაც ეწევიან...

ამათ გარდა, ალბათ, გამოჩნდება სხვა განმარტებებიც...

ზემოხსენებული ათი ვარიანტის ერთობლივად წარმოდგენამ გვაფიქრებინა, რომ შეუძლებელია შემთხვევითი იყოს ის, რომ ასეთ მოკლე, სულ ოთხი ასო-ბგერისაგან შემდგარ სიტყვას ამდენი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ საქართველოში

კი არა, მსოფლიოშიც შესაძლოა არ იყოს ასეთი მრავალმნიშვნელოვანი სხვა ტოპონიმი (მითუმეტეს ასეთი მოკლე). რადგან არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც ამ ტოპონიმის ავტორისეული განმარტება იქნება დაფიქსირებული, იძულებული ვართ, მისი ძირითადი მნიშვნელობის ამოსახსნელად ინტუიციას მივმართოთ. ჩვენი მსჯელობა ასე წარიმართა: ის ფაქტი, რომ ტოპონიმის სახით მოცემულ ერთ პატარა სიტყვას აქვს იმხელა „ენერგია“, რომ ამდენი სხვადასხვა მიმართულებით საფიქრალად აღძრას ადამიანის გონება, გვაფიქრებინებს, რომ სოფლისთვის ასეთი სახელის დარქმევა შემთხვევითი ვერ იქნება. უეჭველია, რომ მისი სახელი შექმნა ქურუმის დონის აზროვნების მქონე ადამიანმა, რომელიც ყოფითი შინაარსის გამოსახატავად ნაკლებად მოსცდებოდა. უეჭველია, რომ ეს სიტყვა კოდია, რაღაც გაცილებით დიდი შინაარსის, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველა ზემოხსენებულ და სხვა შინაარსებს. ასეთ განუზომლად დიდ შინაარსად კი ჩვენ მხოლოდ ღმერთი გვეგულება. მაგრამ, რა სახით უნდა ამოვიკითხოთ ამ სიტყვაში ღმერთი? ამაზე როცა ვფიქრობდით, გვახსენდებოდა ქ-ნი მერი ჯანდიერის (იგივე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის) გამოსვლები საგვარეულო დარბაზის სხდომებზე: იგი მუდამ ცდილობდა ამა თუ იმ სიტყვის შინაარსის გაშიფვრას, მასში შემავალი თითოეული ასო-ბგერისათვის დამოუკიდებელი შინაარსის მინიჭებით. მისი განმარტებით, მას ეს მეთოდი დამოუკიდებლად, ინტუიტიურად, აღმოუჩენია. ამავე დროს, იგი მუდამ ახსენებდა, მისთვის განუზომლად დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომელს, აწ გარდაცვლილ, ქალბატონ ცირა ინწკირველს, რომლის საუბრებსაც იგი, თურმე, ისმენდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში: საზოგადოება „ცოდნაში“, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში და სხვა.

ქ-ნი მერის მოსმენისას გვექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი ინტუიტიური მიგნება ქ-ნი ცირას გამოკვლევის საფუძველზე იყო აღმოცენებული. ქ-ნი მერის რჩევით, ჩვენ გავეცანით ქ-ნი ცირას საბოლოო ნაშრომს, რომლის სახელია „იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება“ (თბ. 2000). შთაბეჭდილება, რაც ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დაგვრჩა და რაც დარჩება, ალბათ, ნებისმიერ მკითხველს, ასეთია: ეს არის ფენომენალური ინტუიციისა და ხედვის მქონე ადამიანის 40 წლიანი თავდაუზოგავი შრომის ძალიან საყურადღებო ნაყოფი. თავის წიგნში ქ-ნი ცირა ასაბუთებს, ძნელად დასაჯერებელ, იდეებს: რომ ქართული ენა არის კაცობრიობის ფუძე ენა, რომლის სახისმეტყველებითი სახელია „იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება“, რომ ეს ენა ინახავს სამყაროს ყველა საიდუმლოს *(ეს შეხედულება ჯერ კიდევ იოანე ზოსიმემდე (Xს.) რამდენიმე საუკუნით ადრე ყოფილა გავრცელებული საქართველოში, XX ს-ში ამდაგვარი შეხედულებები არაერთი ქართველი მკვლევარის ნაშრომშია განვითარებული...)*, რომ ქართული ხუცური ასომთავრული ანბანი ღმერთმა ცაზე ვარსკვლავთა ხომლების სახით გამოსახა და რომ ის, წელიწადში სამი დღის განმავლობაში, ჩანს ცაზე, დიდი და მცირე დათვის თანავარსკვლავედების არეალში (რაზეც დაკვირვება ქ-ნ ცირას პირადად უწარმოებია აბასთუმნის ობსერვატორიაში), რომ სამყაროს შექმნისა და კაცობრიობის ისტორია ბიბლიაში ქარაგმებისა და იგავების სახით არის მოცემული, რომ ვეფხისტყაოსანი არის პოემის სახით წარმოდგენილი ბიბლია. ამ და სხვა დებულებების დასამტკიცებლად ქ-ნ ცირას მოხმობილი აქვს „ხღვა მასალა“, როგორც საღვთისმეტყველო წიგნებიდან, ისე სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან. მისი დებულებები რომ უარყოთ ან დაადასტუროთ, ამისათვის აუცილებელია ერკვეოდეთ იმ მასალაში, რომლითაც ის ამ დებულებებს ასაბუთებს. მიუხედავად იმისა, რამდენად დამაჯერებელია ამ წიგნის ძირითადი დებულებები, ნებისმიერი მკითხველი, ალბათ დაინახავს, რომ ამ წიგნში მოყვანილია ძალზე ბევრი, ძალზე მნიშვნელოვანი დაკვირვება, ახსნილია ბევრი მოვლენა, გამოვლენილია მათ შორის არსებული კავშირები. ეს წიგნი ნამდვილად აფხიზლებს ადამიანის ყურადრებას და ინტუიციას... აშკარაა, რომ ქ-ნი ცირას ნაშრომები ნამდვილად შეუქმნიდა საფუძველს ქ-ნი მერისეულ დაკვირვებებს. ქ-ნმა მერიმ წევის სახელი ასე განმარტა: „წმინდა ერი, რომელიც ქრისტესია“.

ჩვენ ვხვდებოდით, რომ სიტყვა წევას ორი განმარტება – **„ღვთის შეწევნა“** და **„წმინდა ერი, რომელიც ქრისტესია“**– სხვა განმარტებებზე უფრო მიახლოებული იყო ჩვენს მიერ საძიებელ შინაარსთან, მაგრამ ისინი მაინც ვერ იძლეოდნენ საბოლოო ახსნას. ქ-ნი მერისეული განმარტება ეწინააღმდეგებოდა ქ-ნი მერისავე მეთოდის პრინციპს, რომ თითოეულ ასო-ბგერას ამ ასო-ბგერითვე დაწყებული სიტყვა უნდა შეესაბამებოდეს. და თანაც, გრამატიკისა და ჟღერადობის თვალსაზრისითაც გაუმართავი, ეს ფრაზა არ ეთანხმებოდა ისეთი გამართული და დახვეწილი სიტყვის ხასიათს, როგორიცაა „წევა“. ჩვენ გავითვალისწინეთ ქ-ნი ცირსა და ქ-ნი მერის დაკვირვებები, ჩვენს მიერ 10 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები და ვფიქრობთ, რომ შევძელით სიტყვა წევას გაშიფვრა: ჩვენი აზრით, წევა ნიშნავს **„წმინდა არს ვინც ამაღლდა!“,** ანუ ის წარმოადგენს სადიდებელს ქრისტე ღმერთისა, რომელიც მოიცავს ყველა სხვა შინაარსს. თქვენ შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ სიტყვა წევას ასეთ გააზრებაში, რადგან ასო **წ**-ს აქ ასო **ე** მოსდევს და არა **ა**. მაგრამ ჩვენი წიგნის №6 პარაგრაფში, გურამ ბედოშვილის სტატიის კომენტირებისას, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ სხვადასხვა ეპოქებში სიტყვებში ზოგიერთი ბგერის მონაცვლეობაზე (იხ. გვ.: 19, 20), მოვიყვანეთ მაგალითები **ე** და **ა** ხმოვნების მონაცვლეობაზე სიტყვებში ჭერემი-ჭერამი, ტეზერი-ტაძარი *(ამ სიტყვაში ცვლილება განუცდია როგორც ე ხმოვანს, ისე ზ თანხმოვანს)*, მედანი-მადანი, ეხლა-ახლა, ნენა-ნანა და სხვა.

აქედან გამომდინარე, სიტყვა წევას განმარტება შორეულ წარსულში ასე წაიკითხებოდა: **„წმინდა ერს, ვინც ამაღლდა!“,** მაგრამ, სიტყვაში „ერს“ აქ მოიაზრებოდა ზმნა ყოფნა – აწმყო დროში (არის, არს), შესაძლოა ამ სიტყვას ჰქონდა ორივე – ერის და არსის მნიშვნელობა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უეჭველად, ძირითადი მნიშვნელობა არის ყოფნა – არის (არს). ზმნა ყოფნას, აწმყო დროში, „არს“ ფორმით იმიტომ ვიაზრებთ, რომ ამგვარი ფორმით არის ის გამოყენებული ღვთის სადიდებელ ბიბლიურ ფორმულაში: „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ!“(იხ. ესაია 6/3 და სხვ.) (სხვათა შორის, ეს ფორმულა წერია იმ გაშლილ გრაგნილებზე, რომლებიც წევის ეკლესიის აფსიდის მოხატულობის III რეგისტრში გამოსახულ წმ. მამებს „ხელთ უპყრიათ“).

არ არის შემთხვევითი, რომ წევის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობის დამაგვირგვინებელი სცენა (აფსიდის მიმდებარედ, კამარის ჩრდ. მხარეს) „ქრისტეს ამაღლებაა“.

ვინაიდან წევის ეკლესიის მოხატულობის II ფენაში, კონქში გამოსახული ვედრების კომპოზიციის ქვეშ, ისევ ვედრების კომპოზიცია ჩანს, ხოლო გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის გამოსახულების ნაშთის ქვეშ – ისევ, გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის გამოსახულება, საგულვებელია, რომ მოხატულობის II ფენის ქრისტეს ამაღლების კომპოზიციის ქვეშაც, ისევ, ქრისტეს ამაღლების კომპოზიცია იყოს გამოსახული. ამ ეკლესიის სხვადასხვა პერიოდის მხატვრებისათვის, რომლებიც უეჭველად ღვთისმოსავი ადამიანები იქნებოდნენ, გასაგები იქნებოდა სოფ. წევის სახელის საიდუმლო და, არ არის გასაკვირი, რომ ორივეს ამ სოფლის ეკლესიის მოხატულობის დამაგვირგვინებელ სცენად „ქრისტეს ამაღლება“ შეერჩია. *[წინამდებარე სტატის დასრულების შემდეგ, ჩვენ ველაპარაკეთ ქ-ნ მერის, ვუთხარით მას, რომ ჩვენი დაკვირვებისა და მისი და ქ-ნ ცირას მოსაზრებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, გავშიფრეთ სოფ. წევის სახელის შინაარსი. ქ-ნმა მერიმ გვიპასუხა, რომ ის მოკლე ხანში აპირებს საპატრიარქოში საუბრის ჩატარებას ქართული ანბანის საკითხებზე და განიხილავს სოფ. წევის სახელწოდების, მისეულ, ახალ გაშიფვრასაც, კერძოდ: რომ წევა ნიშნავს – **„წმინდა ერის ვედრება არის!“.** ქ-ნი მერის ეს ახალი მოსაზრება მის ადრინდელ მოსაზრებაზე უფრო გამართულია იმ მხრივ, რომ, ამ შემთხვევაში, ყველა სიტყვის საწყისი ასო-ბგერა ემთხვევა სახელ „წევა“-ში შემავალ ასო-ბგერებს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსაზრება უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან...]*.

ჩვენი აზრით, სამყაროში როგორც ყოველ სასწაულს, ისე ყოველი ღირსშესანიშნავი ქმნილების შექმნას განაპირობებს დიდი და მიზანმიმართული ენერგიის

მოქმედება. ასეთი დიდი და მიზანმიმართული ენერგიის სამყაროდან გმოხმობა და თავის (და ღვთის) ქმნილებაში კონცენტრირება მოუხდენია როგორც წევის სახელის შემქმნელს, ისე წევის თავდაპირველი ეკლესიის ხურომოძღვარს. როგორც ტოპონიმი წევა არის გენიალური გონების მიერ, დიდი ენერგიის დაძაბვის შედეგად, მიღებული უსადავესი, ულაკონიურესი და ამავე დროს უღრმესი და უმრავალფეროვნესი შინაარსის მქონე სიტყვა, ასევეთივე უსადავესი, ულაკონურესია ფორმით, მაგრამ უღრმესი შინაარსის გამომხატველია, არქიტექტურის ენაზე, წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილი ნაგებობა. (რაშიც ჩვენ შევეცდებით დაგარწმუნოთ წევის ეკლესიისადმი მიძღვნილ ჩვენს მონოგრაფიაში).

საქართველოში წმინდა გიორგის ეკლესია ბევრია, მაგრამ ყველას არ იხსენიებენ „სასწაულთმოქმედის“ სახელით. ჩვენი აზრით, სწორედ წევის წმინდა გიორგის ეკლესიის ხუროთმოძღვრის მიერ სამყაროდან გამოხმობილი და ეკლესიის ნაგებობაში ჩაქსოვილი უდიდესი ენერგია განაპირობებს წევის ეკლესიის სასწაულთმოქმედებას.

ჩვენ ამ წერილში შევეცადეთ აგვეხსნა ორი მრავალსაუკუნოვანი საიდუმლო: ჩვენი კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ **წევის ეკლესიის სასწაულთმოქმედების ძალა მდგომარეობს ბოროტების მხილებასა და დასჯაში და სიკეთის მხარდაჭერაში, ხოლო სოფ. წევის სახელი არის ქრისტე ღმერთის სადიდებელი და იშიფრება ასე: „წმინდა არს ვინც ამაღლდა!!!“.**

ჩვენი ქვეყნის კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანა, – ყურადღებით მოეკიდეთ შვილისთვის სახელის დარქმევას, რადგან სახელი ყველაფერიაო!..

ჩვენი წინაპრები უდიდესი პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან, როგორც სოფლისათვის სახელის შერჩევას, ისე წევის ეკლესიის ყოველი ნაკვთის და ამ ეკლესიასთან დაკავშირებული ყოველი „წვრილმანის“ გადაწყვეტას. ვფიქრობთ, რომ ჩვენი, მათი შთამომავლების, ვალია ასევე მოვეკიდოთ ჩვენი წინაპრების ნაამაგარ და მოამაგე სოფელს და ეკლესიას...

2011 წ. 5/II.

შენიშვნები: 1. *იხ. ჩვენს წიგნში ს. გაჩეჩილაძის სტატია „წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“ – § 11, გვ. 127.*

2. *ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. წ.VI. თბ., 1977, გვ. 439.*

P.S. აქ წარმოდგენილი სტატია წაკითხული იქნა „საგვარეულო დარბაზის“ სხდომაზე, 2011 წლის 6 თებერვალს (მაშინ სტატიაში არ იყო შეტანილი სოფ წევის სახელის მე-7, მე-8 და მე-10 განმარტებები). ჩვენს გარდა, სხდომას ესწრებოდნენ: **ნელი ალექსანდრეს ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*, ციური ნიკოლოზის ას. გაჩეჩილაძე (ლულია)** და ზურაბ გიორგის ძე გაჩეჩილაძე (კუნკურახი)*.**

ნაშრომი მოწონებული იქნა. გამოთქმული იქნა მხოლოდ ერთი შენიშვნა: იქნებ არ იყოსო მიზანშეწონილი ამ ნაშრომში ბავშვის მოსაზრების შეტანა, მით უფრო, რომ მისი მოსაზრება სიმართლეს არ ჰგავსო, მაგრამ ჩვენ არ გავიზიარეთ ეს მოსაზრება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისასალმებელია და სასიხარულო, რომ ბავშვებიც ფიქრობენ თავიანთი სოფლისა და საგვარეულოს შესახებ და, მეორეც, იმიტომ, რომ ხსენებული ბავშვის მოსაზრება ეყრდნობა ხალხურ ლექსს. იმ ლექსში, წევის გარდა, მოკლედ, სხვა სოფლებიცაა დახასიათებული (გვ.: 118, 119). იმ დროს, როცა ეს ლექსი შეიქმნა, შესაძლოა, წევაში მართლაც ჰყავდათ მწევარი ძაღლები და ლექსის დამწერს, წევის, სხვა სოფლებისაგან გამოსარჩევ, დამახასიათებელ და, ალბათ, მისი სახელის განმსაზღვრელ, ნიშნადაც სწორედ ეს მიუჩნევია...

(მწევარი სწრაფი და ძლიერი ძაღლია. მას იყენებენ კურდღელზე, მელაზე, მგელზე და წვრილფეხა ჩლიქოსნებზე უთოფო ნადირობისათვის. ნადირობა წეველებსაც უყვარდათ და მათ ბატონებსაც. ასეთი ძვირფასი ძაღლის მოშენება და გაწვრთნა, უფრო მოსალოდნელია, რომ წეველებს ბატონებისაგან ექნებოდათ დავალებული).

შემდეგ ჩვენ წინამდებარე სტატიაში შევიტანეთ ზემოხსენებული (№7,8,10) განმარტებებიც. მართალია, სოფ. წევის სახელის, ამ სტატიაში მოყვანილ, განმარტებათაგან მკითხველს ზოგიერთი, შეიძლება, სავსებით შეუსაბამოდ მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დავაფიქსირეთ ყველა, ჩვენი აზრით, სწორი თუ არასწორი შეხედულება, რომელიც კი ადამიანებს აზრად მოსვლიათ, ამ საკითხთან დაკავშირებით...

§ 27. *ეკატერინე გაჩეჩილაძე**

ჩვენი სოფელი – წევა

გაჩეჩილაძეთა ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებების და მათი კულტურის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა იმერეთის სოფელმა წევამ. ეს სოფელი მდებარეობდა და მდებარეობს ქართული სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილში. შორეულ წარსულში იგი იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

წევა ადრეც ახლოს იყო და ახლაც ახლოსაა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და შორეული ქვეყნების დამაკავშირებელ მაგისტრალურ გზასთან. ამ სოფლის მიმდებარედ სავაჭრო ქარავნების მიმოსვლა და, დიდი ტრადიციების მქონე, წევის ბაზრობა ხელს უწყობდა წევის გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით კი დედაქალაქთან ურთიერთობას. ამ სოფელში ძირძველი და ძლიერი ეკლესიის არსებობა განაპირობებდა წევის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცეს, მათ მობილიზებულობას ცენტრალური ხელისუფლების და სამშობლოს დასაცავად. სოფლის მცირე და მწირმიწიანობა აიძულებდათ მათ გონების დაძაბვას, განათლებას დაწაფებას, აქტიურ ჩაბმას ვაჭრობაში და ქვეყნის სააღმშენებლო და საწარმოო საქმიანობაში.

საუკუნეთა განმავლობაში, წევა, მის მიმდებარე მიკრორეგიონში, იყო რელიგიური და საერო იდეოლოგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო, და სავაჭრო ცენტრი. ეს იყო მეტად აქტიური, „მებრძოლი“ სოფელი. წეველები არა მარტო გარეშე მტრისაგან იცავდნენ თავიანთ რეგიონს (იყვნენ შორაპნის, სვერის და სხვა ციხეების მეციხოვნენი), არამედ საკუთარ მებეტონეებსაც არ აბედვინებდნენ ზედმეტს...

წევაში ცხოვრობდა მშრომელი, გონიერი, შემოქმედი ხალხი. მათი ინტერესები და აქტიურობა მრავალმხრივი იყო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს სცდებოდა. ისინი დადიოდნენ შორეულ ქვეყნებში სავაჭროდ, აგზავნიდნენ შვილებს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად. წევა იყო ტრადიციების „სკივრი“ (XIX ს-ში აქ ჩაწერილია მდიდარი ფოლკლორი და აღწერილია მრავალი სახალხო დღესასწაული) და, ამავე დროს, იგი იყო რევოლუციონერების „ბუდე“. აქაურები მონაწილეობდნენ არა მხოლოდ საქართველოში და რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში, არამედ ირანის რევოლუციაშიც; წევაში იმართებოდა სპექტაკლები და საქველმოქმედო ღონისძიებები... წევას, რომ იტყვიან, „ნაპერწკლები სცვიოდა“!..

XIX საუკუნის პრესას რომ გადახედოთ *[წინამდებარე წიგნში ვაქვეყნებ რამდენიმე წერილს (იხ. § 30)]*, გაგაოცებთ მასში წევის შესახებ გამოქვეყნებული კორესპონდენციების სიმრავლე და მრავალფეროვნება. თითქმის, თვე არ გადის, რომ რომელიმე გაზეთში არ ამოიკითხოთ: „წევიდამა იტყობინებიან!..“ ამ სოფელში, ჩვენი ქვეყნის პრესას ათობით კორესპონდენტი ჰყოლია. ზოგჯერ თვეში რამდენიმე კორესპონდენცია იბეჭდებოდა. მათში გამოსჭვივის მეტად დაძაბული ცხოვრება, ხშირად, ქართველებისათვის დიდად დამახასიათებელი, ურთიერთქიშპი: – არაერთ კორესპონდენციაში მოყვანილ ინფორმაციას სხვა კორესპონდენტები უარყოფენ და საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. სასაცილოც არის და გულსატკენიც, რომ ერთ პატარა სოფელში, ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები, ბიძაშვილები ერთმანეთს პრესის საშუალებით ეპაექრებოდნენ. კორესპონდენტებს შორის ყოფილან ქალებიც...

მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფელი მცირე და მწირმიწიანია, XX ს-ის 40 – იანი წლების დასაწყისში მას, მეზობელი სოფლებისაგან განსხვავებით, ჰქონდა, სოფლის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, ყველა კომპონენტი: საქართველოში ერთ-ერთი უძველესი, სასწაულმოქმედებით სახელგანთქმული, სასულიერო ლიტერატურითა და ინვენტარით მდიდარი, მოქმედი ეკლესია, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი, დიდი ავტორიტეტის მქონე სკოლა, ბიბლიოთეკა, ერთ-ერთი უძველესი ბაზარი, ორი მაღაზია, აფთიაქი, მედპუნქტი; სოფელში ფუნქციონირებდა ორი კოლმეურნეობა. ეს ყოველივე ჩვენს წინაპრებს ხანგრძლივი, გონივრული, მძიმე შრომით ჰქონდათ შექმნილ-მოპოვებული. და სწორედ ასეთი აქტიური, სიცოცხლით სავსე სოფელი, 1944 წელს,

„მოთხარეს“ და „დაადუმეს“... არ აკმარეს ის, რომ II მსოფლიო ომში, ამ პატარა სოფლიდან 45 ვაჟკაცი დაიღუპა (მათ შორის 32 გაჩეჩილაძე) და, მაინცა და მაინც, ეს სოფელი გადაასახლეს ახალციხის რაიონში – იქიდან გასახლებული „თურქი მესხების“ სანაცვლოდ. დატოვეს ის სოფლები, რომელთაც, ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეთაგან, თითქმის, არაფერი ებადათ!.. უეჭველად გამოსაძიებელია, რატომ და ვისგან იქნა მიღებული მაინცა და მაინც წევის სრული გასახლების გადაწყვეტილება, მაშინ, როცა შეიძლებოდა აქედან და მეზობელი სოფლებიდან გაესახლებინათ მხოლოდ მცირემიწიანი მოსახლეები, რომლებიც მოწადინებულიც კი ყოფილან უფრო ხალვათ და ნაყოფიერ ადგილას დასახლებას.

ამის გაკეთება საჭიროა არა იმიტომ, რომ მისი გამსახლებლების შთამომავლებზე შური ვიძიოთ – ღმერთმა დაგვიფაროს!.. (ვიღაცის ბოროტებაზე ჩვენი ყველაზე საუკეთესო შურისძიება ის იქნება, რომ ჩვენ ჩვენი ახალი სოფელი ზიკილიაც ავაყვავოთ და წევაც ავადორძინოთ), არამედ იმიტომ, რომ არ შეიძლება, მრავალსაუკუნოვან სოფელს ვიღაცა ასე უსულგულოდ მოექცეს, ასეთი უსაშველო ბოროტება გაუკეთოს და სოფელმა არც კი გამოიძიოს, ვინ და რატომ მოექცა ასე...

იქნებ ვიღაცას მოშურნეს მოუნდა, ყველაფერი, რაც წეველებს ხანგრძლივი ტანჯვითა და შრომით ჰქონდათ მონაპოვარი, ერთბაშად წაერთმია მათთვის და ისინი ერთბაშად აეძირკვა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი „ბუდიდან“? ან, იქნებ, საბჭოთა ხელისუფლებამ, იმ არამარეში ყველაზე ძირძველი და ტრადიციული, სოფელი წევა, იმიტომ გაასახლა[1], რომ, სხვა ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, იმედოვნებდა წეველთა მეხსიერების, ტრადიციების, მათი ეროვნული ცნობიერების მოშლას... ყოველივე ზემოთქმულის გარკვევა იმიტომაა საჭირო, რომ მომავალში უფრო ფხიზლად ვიყოთ, ბრმად არ მივენდოთ უკეთურთა ნებას და არც ვინმესგან თავსმოხვეულმა ჭორებმა აგვიბნიოს თავგზა...

წევა რომ მაინც არსებობს, ეს ზოგიერთი ჩვენი მოგვარის და მათი თანასოფლელების მოხერხებისა და ბრძოლისუნარიანობის შედეგია. მართალია, აქტიურმა და შრომისმოყვარე წეველებმა თავიანთი ჩასახლების ადგილზეც მოახერხეს და მშვენიერი სოფელი გააშენეს, მაგრამ ის სოფელი, ჯერჯერობით, ნაკლებად ცნობილია... ზიკილიას (ამ სოფლის სახელი, ქართულად, მზისგულეთს ნიშნავს) ახლა ეძლევა განვითარების საშუალება. მის მეზობლად შენდება ელექტროსადგური, გაუმჯობესდა გზა, დასასრულს უახლოვდება ამაღლების სახელობის ეკლესიის მშენებლობა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ზიკილიელი მოგვარეები და მათი თანასოფლელები ზიკილიასაც წევაზე არანაკლებ მნიშვნელოვან სოფლად აქცევენ და არც თავიანთ „ბუდეˮ სოფელს მოაკლებენ ყურადღებას.

ჩვენი წინაპრების მოამაგე სოფელი ზედა წევა კი ახლა „სულს ღაფავს“. იქ კიდევ ცხოვრობს ოცდახუთიოდე ადამიანი, მაგრამ მათ შორის არც ერთი ბავშვი აღარ არის. წევის საშუალო სკოლაში ამჟამად მხოლოდ 20 მოსწავლე სწავლობს (ქვედა წეველები და წიფლავაკელები). სკოლას შარშან და წელს პირველ კლასში მიღება არ ჰქონია!!!

წევა საჭიროებს სასწრაფო შველას. მოვუწოდებ ჩვენს მოგვარეებს: გავერთიანდეთ საქართველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი და ულამაზესი სოფლის გადასარჩენად და ამით შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისა და აღორძინების საქმეში.

საგვარეულოთა კავშირის ხელმძღვანელების თქმით, მათთან მიდიან მრავალი გვარის წარმომადგენლები, რომლებმაც არ იციან თავიანთი წარმომავლობის ადგილი და ამის გარკვევას საგვარეულოთა კავშირს სთხოვენ.

ღვთის მადლით, ჩვენ გვაქვს ჩვენი საგვარეულო სოფელი, რომელსაც ჯერ კიდევ სული უდგას. იქ არის ჩვენი წინაპრების სალოცავი და ჩვენი წინაპრების საძვალე. საგვარეულოს, რომელსაც თავისი „ბუდეˮ სოფელი არა აქვს და თავის ფესვებს მოწყვეტილია, შნო და ლაზათი აკლია, მისი გაერთიანება ძნელად წარმოსადგენია. საქართველოს თავისუფლებას რა ფასი აქვს თუ აქ არაფერი ქართული აღარ იქნება? ქართული კი აბა როგორ იქნება თუ ჩვენ ჩვენს ნათესავებს, ჩვენს სოფელს, ჩვენს სალოცავს და წინაპრების სასაფლაოს დავკარგავთ. მაშინ რომელი ტრადიციების შენარჩუნებაზე შეიძლება ლაპარაკი?

როცა ჩვენი საგვარეულო დარბაზი შეიქმნა, იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ თბილისში აგვეშენებინა საგვარეულო ცენტრი, სადაც ჩატარდებოდა საგვარეულო შეკრებები და განთავსდებოდა საგვარეულოს შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციული მასალა, მაგრამ ჩვენ არც ფული გვაქვს, რომ თბილისში მიწის ნაკვეთი შევიძინოთ და ზედ სახლი ავაშენოთ და რომც გვქონდეს, თბილისში ჩვენი საგვარეულო ცენტრის შენობა ძნელი შესანახი იქნება და ვერც საგვარეულოს გამაერთიანებლის ფუნქციას შეასრულებს, იმიტომ, რომ თბილისიდან და ერთმანეთისგან შორ მანძილზე განსახლებულ, ჩვენს მოგვარეებს იქ ვერაფრით მივიზიდავთ – ჩვენს „საგვარეულო დარბაზს“ არც ამჟამად აქვს მათთვის რაიმე სახის თანადგომის გაწევის შესაძლებლობა და არც ახლო მომავალში ექნება...

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი მოგვარეების გაერთიანება მხოლოდ საერთო გვარსახელის გამო. ჩვენი მოგვარე მრავალი ახალგაზრდისთვის ის, ალბათ, უბრალოდ ასო-ბგერათა კომბინაციაა, რომელიც უცნობი წინაპრის, არცთუ სიმპათიურ, დახასიათებას გამოხატავს...

ერთადერთი, რაც ჩვენ ჯერ კიდევ გვაერთიანებს, ჩვენი საერთო წარმომავლობის ადგილის და ჩვენი წინაპრების სალოცავის (რომლებიც უმრავლესობას არც კი უნახავს) ბუნდოვანი ხსოვნაა. ჩვენი გაერთიანების ერთადეთ საფუძვლად ჩვენ ჩვენი „ბუდე“ სოფლის აღორძინებისათვის, ჩვენს სალოცავში მუდმივი ღვთისმასახურების აღდგენისათვის ზღუნვა და, ყოველწლიურად, კვირიკობის დღესასწაულზე საგვარეულო შეკრებების ჩატარება მიგვაჩნია და, ასევე, ჩვენი საგვარეულო კრებულისა და საგვარეულო გაზეთის რეგულარული გამოცემა.

წევა ჩვენი სართო საზრუნავი კი არ იქნება მხოლოდ, არამედ მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენთვის: მართალია, მას დიდი სამეურნეო პოტენციალი არა აქვს *(ადრინდელი სამეურნეო საშუალებების პირობებში ეს ასე ჩანდა. იქნებ არც არის ასე. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ადგილი, სადაც ამდენი სახის მცენარეულობა ხარობს, მწირი იყოს. ალბათ, სათანადო ცოდნაა საჭირო ამ ადგილის სამეურნეო შესაძლებლობების გამოსავლენად...),* მაგრამ მას აქვს შესანიშნავი საკურორტო პოტენციალი. იქ არის შესანიშნავი, მრავალფეროვანი ბუნება, სუფთა ჰაერი, ანკარა წყაროები, ორი ღელე და ერთი მდინარე, რომელსაც, წევის მიმდებარედ, აქვს შესანიშნავი საპლაჟე ადგილები. წევა სულ 4 კმ-თაა დაშორებული საავტომობილო მაგისტრალიდან, სოფლის ერთ კუთხეს ჰკვეთს სარკინიგზო ხაზი...

სასურველია, წევაში მოეწყოს პატარა, კოპწია, ადგილობრივი მოხმარების კურორტი ჩვენი მოგვარეების, სხვა წეველთა და მათი შთამომავლების დასასვენებლად და თავიანთ „ფესვებთან“ საზიარებლად. სასურველია იქ იყოს მუზეუმი, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ გაეცნონ თავიანთი წინაპრების ისტორიას...

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველოში ფართოდ გაშლილი საგვარეულო მოძრაობა, ჩვენს, რევოლუციური გარდაქმნების, ეპოქაში, ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გამოხატულებაა. თავისი ეროვნული პოზიციის გასაძლიერებლად, ქართველი ხალხი ცდილობს გაერთიანებას, თავისი ფესვების მოძიებას, თავისი „ბუდე“ სოფლების აღორძინებას, თავისი ისტორიისა და კულტურის გააზრებას... ჩვენი საგვარეულო დარბაზის პირველმა შემადგენლობამ დიდი ძალისხმევა გასწია ამ მიმართულებით. რაიმე კეთილი საქმის საკეთებლად შეკრებილ ადამიანებს, თითქოს, განგებაც ეხმარებათ. ჩვენმა გაერთიანებამ, უსახსრობის პირობებშიც კი, ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეგვაძლებინა (იხ. საგვარეულო დარბაზის მუშაობის ანგარიში § 35) მაგრამ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჩვენი საგვარეულოს გაერთიანებისა და ჩვენი სოფლის აღორძინებისაკენ მიმავალ გზაზე. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ახალგაზრდა მოგვარეები გულისყურით და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდებიან უფროსი თაობის ძალისხმევას და განაგრძობენ ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს...

1. *არა მარტო წეველები აჰყარეს, არამედ ასევე „პირწმინდად“ აჰყარეს წევიდან წასული და სოფ ჭერემში კომპაქტურად ჩასალებული ჩვენი მოგვარეები.*

§ 28. *ეკატერინე გაჩეჩილაძე**

მაინც რამდენი წლისაა წევის სკოლა ?

წევის სკოლა, საქართველოს გასაბჭოებამდე, სამრევლო იყო და მის დოკუმენტაციას სასულიერო პირები ადგენდნენ, ამიტომ სკოლის დაარსების თარიღად სკოლის ჟურნალში მითითებული 1825 წელი, თითქოს, უეჭველი უნდა იყოს, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალებში, სკოლის დაარსების თარიღად სხვადასხვა წლებია დასახელებული, ასევე სხვადასხვა ინფორმაციაა მოყვანილი ამ სკოლის ყველაზე ადრინდელი მასწავლებლების შესახებ, რაც ამ საკითხების დამატებით კვლევას ითხოვს, რისი საშუალებაც ჩვენ, ამჟამად, არ გვაქვს. ამიტომ, წინამდებარე წერილში შევკრიბეთ, ჩვენს მიერ მოძიებული, წევის სკოლის ისტორიის საწყის პერიოდთან დაკავშირებული ყველა მასალა, რათა ამ საკითხების კვლევა გავუადვილოთ სკოლის ისტორიის შემდგომ მკვლევარებს:

1. ჟურნალ „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“-ს 1971 წლის №1-ში გამოქვეყნებულ კონსტანტინე გაჩეჩილაძის წერილში „წევის სკოლა 110 წლისაა“ *(იხ. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ.I გვ. 50-53)* აღნიშნულია, რომ ეს **სკოლა დაარსდა 1860 წელს**, რომ თავიდან იგი ერთკომპლექტიანი (სამგანყოფილებიანი) ყოფილა და მოთავსებული ყოფილა სესია გაჩეჩილაძის სახლში, 1900 წელს კი დაუმატებიათ მეოთხე განყოფილება და სკოლა 2 კომპლექტიანად გადაუკეთებიათ. ხოლო სკოლის ქვითკირის **ორსართულიანი შენობა აუგიათ 1890** წელს. სანამ სკოლა ერთკომპლექტიანი იყო, მას ჰყოლია გამგე და ორი მასწავლებელი, ორკომპლექტიანად გადაკეთების შემდეგ კი მათ შემატებიათ კიდევ ერთი მასწავლებელი.

კ. გაჩეჩილაძე წერს, რომ **აღნიშნული სკოლის უხუცესი მასწავლებელი იყო მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე,** რომელმაც ამ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა 1876 წ. და ორმოცდაერთი წლის განმავლობაში უმუშავია აქ – 27 წლის განმავლობაში ასწავლიდა ყველა საგანს, ხოლო 1902-დან 1917 წლამდე სკოლის უცვლელ გამგედ ითვლებოდა.

კ. გაჩეჩილაძე ასახელებს კიდევ ერთ **მასწავლებელს – იონა ცხადაძეს,** რომელიც ადგილობრივი მკვიდრი არ ყოფილა.

(ამ ცნობის წინ მოყვანილი ტექსტი ზოგადად მასწავლებლების მდგომარეობას ეხება, ამიტომ გაუგებარია, კ. გაჩეჩილაძეს იონა ცხადაძე ნახსენები ჰყავს როგორც წევის სკოლის მასწავლებელი თუ როგორც ერთ-ერთ მასწავლებელი ჩვენს ქვეყანაში).

კ. გაჩეჩილაძეს დასახელებული აქვს ორი დაწესებულება, რომლებიც იმ დროს **სკოლების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ: მაზრის სასკოლო განყოფილება და სინოდთან არსებული სასწავლებელი.** წევის სკოლის ისტორიის შემდგომ მკვლევარებს დასჭირდებათ, ამ სკოლის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად, ზემოხსენებულ დაწესებულებათა არქივების მოძიება...

2. გაზ. „ივერიის“ 1886 წლის №157-ში გამოქვეყნებულ, მღვდელ მაკარ გაჩეჩილაძის წერილში აღნიშნულია, რომ **სკოლა წევაში არსებობდა 1868 წლიდან**, „მინამ ჭუთაისის დირექცია დააარსებდა“. იმავე გაზეთის, იმავე წლის, №176-ში გამოქვეყნებულ, კ. მაღრაძის წერილშიც, წევის **სკოლის დაარსების თარიღად, 1868 წელია მითითებული** (იხ. წინამდებარე წიგნში გვ. 312).

3. გაზ. „ივერიის“ 1887 წლის № 145-დან ვიგებთ, რომ სკოლა წევაში არის, მაგრამ არა თუ შესაფერი სადგომი არა აქვს, არამედ სრულიადაც უსახლოდ არის დარჩენილი და მასწავლებელი – სოფლის მღვდელი მოსწავლეებს ღია ცის ქვეშ ამეცადინებს.

4. გაზ. „ივერია“, **1888 წ.** , (№ 163, გვ. 2-3) იუწყება – **უკვე დაიწყეს სკოლის სადგომის შენება,** ქვედა სართული აშენებულია.

5. გაზ. „ივერია“, **1889 წ.,** №142 – **ახალი სკოლა აგებულია,** ჯერ მხოლოდ I კლასია გამართული.

6. გაზ. „ჯაჭვში“, 2003 წლის № 3. გივი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძის* მეუღლე, თამარ ნემსაძე* წერს: **„სესიას (გაჩეჩილაძე – ოთიაშვილი)* სახლი წევაში არის ჩვენი სახლი. ამ სახლში სესიას შვილმა, მიხეილმა გახსნა წევის პირველი სკოლა – ორი კლასი“... „მიხეილი იყო მასწავლებელი იმ პირველ კლასებში“.**
7. დალი გაჩეჩილაძის წერილში: „ცოტა რამ სოფელ წევის შესახებ“ (იხ. წინამდებარე წიგნში § 23, გვ. 287) მოყვანილია მისი ბაბუის, მასწავლებელ აკაკი ოთიას ძე გაჩეჩილაძის, სიტყვები: „შვილო, **შორაპნის მაზრაში მარტო ორი სკოლა იყო, ერთი წევაში, რომელიც იწოდებოდა ერთკლასიან სასწავლებლად, შედგებოდა ოთხი ჯგუფისაგან და მეორე ალისუბანში, რომელსაც ორკლასიან სასწავლებელს ეძახდნენ**. მე კი პირადად მაქვს დამთავრებული ჯერ წევის ერთკლასიანი და შემდეგ ალისუბნის ორკლასიანი სასწავლებელიო“... ბაბუა რუსული ენის საუკეთესო სპეციალისტი ყოფილა მთელ რაიონში... მისი თქმით: **„წევის ეკლესიის ეზოში მდგარა ხის დაბალი შენობა, რომელსაც სამრევლო სკოლა რქმევია**. ესე იგი, სკოლისა და ბავშვების აღზრდის საქმეს მღვდლები და საეკლესიო პირები ხელმძღვანელობდნენ. მე კი ხსოვნაში ჩამრჩა ამ სოფლის მკვიდრი მღვდლების სახელები, როგორიც იყო ეფრემ გაჩეჩილაძე, შემდეგ მისი შვილი მაკარი და ბელოვან გაჩეჩილაძეები, ელეფთერ აბესაძე, ღამბაშიძე, ჭულუხაძე და სხვები. **პირველ მასწავლებლად ის ასახელებდა ვიღაც გიორგაძეს, შემდეგ ეს შენობა დამწვარა რაღაც შემთხვევის გამო და სკოლა ოთიაშვილების უბანში გადაუტანიათ**. კერძოდ კი ოთია გაჩეჩილაძის სახლში, რომელსაც დიდ ოთიას ეძახდნენ. მას ექვსოთახიანი კარგი ხის სახლი ჰქონია. აქ სკოლა თითქმის ათეული წლის მანძილზე ყოფილა. შემდეგ კი ეკლესიაზე მიუშენებიათ ვეებერთელა შენობა, თავისი სამრეკლოთი. მანამდე კი ზარები ჩამოკიდებული ყოფილა ეკლესიის ეზოში მდგარ ვეებერთელა ცაცხვის ხეზე. **1863 წელს ეკლესიის ცოტა მოშორებით, ეზოს მიღმა აუშენებიათ ორსართულიანი შენობა** სკოლისათვის. ის ორი მოზრდილი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ამჟამადაც დგას. აქ სწავლობდნენ ნული ჯგუფიდან ოთხი კლასის ჩათვლით. **1890 წელს ამავე შენობაზე მიუშენებიათ პატარა ოთახი**, რომელშიდაც თავს იყრიდნენ მასწავლებლები, ასევე ამ სოფლის მოწინავე ადამიანები“.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან **სკოლის, დღესაც არსებული შენობის, აგების** ყველაზე უეჭველ თარიღს გვატყობინებენ გაზ. ივერიის **1888** წლის № 163-ში და **1889** წლის №142-ში გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც წევის სკოლის **მშენებლობის** პროცესზეა საუბარი...

ისიც უეჭველია, რომ სკოლა, ამ შენობის აგებამდე, ოთია გაჩეჩილაძის სახლში (შემდეგში სესია გაჩეჩილაძის, ოთიას შვილიშვილის, სახლი) ყოფილა განთავსებული, მაგრამ ამ სახლში განთავსების თარიღად სხვადასხვა წლებია დასახელებული: **1860** *(კ. გაჩეჩილაძე „წევის სკოლა 110 წლისაა, „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“, წ. I გვ. 50-53)* და **1868** *(მ. გაჩეჩილაძე „ივერიის“ 1886 წლის №157 და კ. მაღრაძე, იმავე გაზეთის, იმავე წლის №176).*

აკაკი გაჩეჩილაძეს წერილიდან ირკვევა, რომ სკოლა წევაში უფრო ადრეც, ოთიაშვილების სახლში მის განთავსებამდეც, არსებულა – ხის შენობაში, რომელიც დამწვარა.

გაუგებარია, რას გულისხმობს აკაკი გ-ძე, როცა წერს, რომ – „ეკლესიაზე მიუშენებიათ ვეებერთელა შენობა თავისი სამრეკლოთი“. ამ წინადადებამდე მისი ტექსტი წევის სკოლას ეხება, ამიტომ მკითხველი ამ წინადადებასაც წევის სკოლასთან დაკავშირებულად აღიქვამს.

ცნობილია, რომ წევის ეკლესიას 1863 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია – *[1863 წ. ეკლესიის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები თაღებით გაუხსნიათ, დასავლეთი კედელი მოუშორებიათ და ეკლესია დასავლეთით დაუგრძელებიათ, თავდაპირველი ეკლესიის დასავლეთი ნაწილისა და მისი დასავლეთი მინაშენისათვის მიუშენებიათ თავდაპირველ ეკლესიაზე უფრო დაბალი გვერდითი ნავები)* რის შედეგადაც ეკლესიის ზომები დიდად გაიზარდა.

(XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიისათვის მიუშენებიათ ამ ნაგებისავე სიმაღლის სამკვეთლო და სადიაკვნე. სულ ბოლოს კი, სვარაუდოდ, XX საუკუნის 10-იანი წლებში – სამსართულიანი სამრეკლო], ეკლესიისათვის გვერდითი ნავების მიშენების დროიდან, სამრეკლოს მიშენების დრომდე დაახლოებით 50 წელი გავიდა. XX სს. 10-იან წლებში ეკლესიაზე სკოლის მიშენებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან სკოლის ახლანდელი ნაგებობა უკვე აშენებული იყო. ამიტომ, ბ-ნი აკაკის აღნიშნული ფრაზა, როგორც ჩანს ეკლესიის რეკონსტრუქციას ეხება. მას, როგორც ჩანს, ეკლესიისათვის გვერდითი ნავების მიშენების წელი (1863წ.) სკოლის აგების თარიღში აერია... ჩვენ ამ საკითხზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, რომ არა ერთი გარემოება: წევის ეკლესიის სამივე შესასვლელის ზემოთ, ქვის კედლებში ამოჭრილია სამ-სამი პატარა ოთხკუთხა ნიშა – ორფერდა სახურავის ჩასამაგრებლად. როგორც ჩანს, გარკვეული დროის განმავლობაში, სამივე შესასვლელს მიდგმული ჰქონდა ორფერდა გადახურვიანი მცირე კარიბჭე. ორფერდა გადახურვის (რომელიც სამრეკლოს აგებამდე არსებულა) კვალი განსაკუთრებით აშკარად ჩანს ეკლესიის დასავლეთი შესასვლელის ზემოთ. გაუგებარია, ისეთი რა აუცილებლობა გაჩნდა ეკლესიაზე ნავების მიშენების დროიდან მასზე სამრეკლოს მიშენების დროის შუალედში, რომ ახალი ნაგებობის, არქიტექტურულად გაფორმებულ, ქვის კედლებში ნიშები გამოჭრეს და ორფერდა გადახურვიანი სამი კარიბჭე მიაშენეს? იქნებ ბ-ნი აკაკი გ-ს სიტყვები: „ეკლესიაზე მიუშენებიათ ვეებერთელა შენობა თავისი სამრეკლოთი“-ო ეკლესიის უკვე რეკონსტრუირებულ ნაგებობაზე სკოლის მიშენებას გულისხმობს და ეს კარიბჭეები იმ სკოლის ნაწილები იყო? მაგრამ ეკლესიის გვერდითი ნავების კედლებს, კარიბჭეების გადახურვის ნაკვალევის გარდა, სხვა ადგილებში, გადახურვის კვალი არ ემჩნევათ...

რეკონსტრუირებულ ეკლესიაზე სკოლა მართლაც რომ მიეშენებიათ, ეს მოხდებოდა 1863 წლის შემდეგ... ასე რომ, 1825 წლამდე მაინც ვერ „ჩავდივართ“, მაგრამ სკოლის დაარსების თარიღად 1825 წლის მითითება მთლად უსაფუძვლო, ალბათ, არ იყო: წევის ეკლესია მოქმედი იყო მისი აგების დროიდან 1953 წლამდე (XX საუკუნეში მისი ბოლო მღვდლის, კასიანე გაჩეჩილაძის, გარდაცვალებამდე). XIX საუკუნემდე სამღვდელოება და მათი დამხმარე პერსონალი საეკლესიო განათლებას, ალბათ, წევაში ან ახლომდებარე სოფლებში იღებდა, რომელიმე მოძღვრისაგან.

სინოდის კანტორის მოთხოვნით, 1826 წლიდან საეკლესიო აქტები (ნათლობა, ქორწინება, „წესის აგება“) რეგისტრირდებოდა სპეციალურ ჟურნალებში, რომლებიც ამჟამად ინახება საქართველოს საისტორიო არქივში. [სამწუხაროდ, უცნობია, საეკლესიო აქტები მანამდე აღირიცხებოდა თუ არა – საქართველოს ეკლესიებიდან ბევრი რამ (საბუთები და ნივთები) გაიტანეს რუსებმა...].

როგორც წევის ეკლესიის აქტების ჩანაწერების წიგნიდან ირკვევა, 1826 წელს ამ ეკლესიას ერთდროულად 4 მღვდელი ემსახურებოდა (ოთხივე გაჩეჩილაძე). 1826-1832 წლამდე შესრულებულ ჩანაწერებში მითითებულია რომელმა მოძღვარმა აღასრულა ესა თუ ის აქტი, მაგრამ ეს ჩანაწერები მოძღვრის მიერ ხელმოწერილი არ არის და არც ის არის მითითებული, ჩანაწერი ვინ შეასრულა. 1833 წლიდან კი, როგორც ჩანს, მოითხოვეს მოძღვრების მიერ ჩანაწერების ხელმოწერა. შემდეგი წლების საეკლესიო აქტების ჩანაწერებს აქვს ასეთი მინაწერები: ვინაიდან მღვდელმა წერა არ იცოდა მის მაგივრად ხელს ვაწერ და დასახელებულია ესა თუ ის პირი, რომლის, ასეთივე შინაარსის, მინაწერები გვხვდება იმერეთის მრავალი ეკლესიის დავთრებში (შეუძლებელია, რომ იგი ამდენ სოფელში მისულიყო და ამდენ საეკლესიო აქტს დასწრებოდა... სავარაუდოა, რომ ის ზედამხედველის როლს ასრულებდა და მწერლის მიერ შესრულებულ ჩანაწერებს აწერდა ხელს).

1833 წლის ჩანაწერებში წევის ეკლესიის ოთხივე მოძღვარი წერა-კითხვის უცოდინრადაა გამოცხადებული და ასე გრძელდება 1837 წლამდე. შემდეგ ერთ-ერთი მოძღვრის (იოანე გაჩეჩილაძის) ხელმოწერებიც ჩნდება. მე, სპეციალურად, გადავხედე სხვა ეკლესიების ჩანაწერებსაც. მთელი იმერეთის მოძღვართა დაახლოებით 97%, მათ შორის თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, წერა-კითხვის

უცოდინრად არიან გამოცხადებული. რას უნდა ნიშნავდეს ეს? მართლა ასე გაჩანაგებული იყო ჩვენი ქვეყანა, რომ თავად-აზნაურებმა და მოძღვრებმაც კი არ იცოდნენ წერა-კითხვა? წერა-კითხვის ცოდნა რომ მაშინ პრობლემა იყო, ცნობილია. სწორედ ამიტომ გამხდარა საჭირო XIX სს. ბოლოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება. მაგრამ, ალბათ, არც მთლად ასე შავად იქნებოდა საქმე... (მაშ რისთვის სჭირდებოდა წევის ეკლესიას XVIII საუკუნეში წიგნების შეძენა, თუ აქ წერა-კითხვის მცოდნე არავინ იყო?). საქმე, ალბათ, იმაშია, რომ ახალი ხელისუფლება ქართველ სამღვდელოებას და არისტოკრატიას არ ენდობოდა და თავისთვის სანდო პირებს ავალებდა მათ ზედამხედველობას... (ხშირად, ახალი ხელისუფლება ძველ კადრებს უვიცად და საქმისათვის გამოუსადეგარად მიიჩნევს...).

რადგან 1826 წლიდან საეკლესიო აქტების რეგისტრაცია სავალდებულო გახდა, ბუნებრივია, რომ სავალდებულო გახდა სასულიერო პირთა მიერ წერა-კითხვის და ახალი ხელისუფლების მოთხოვნების ცოდნაც, რაც ვიღაცას უნდა ესწავლებინა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია,რომ წევაში,სადაც ძლიერი და მრევლმრავალი ეკლესია ფუნქციონირებდა, 1825 წელს ჩამოყალიბებულიყო სასწავლო „უჯრედი“, რომელიც წევის სკოლის ჩანასახს წარმოადგენდა. ალბათ, ამ „უჯრედის“ დაარსების შესახებ იუწყება სკოლის ჟურნალში მითითებული თარიღი, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და, ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად, საჭროა დამატებითი მასალების მოძიება...

ძალიან საინტერესოა, აგრეთვე, წევის სკოლის პირველი მასწავლებლების ვინაობის დადგენა:

ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძე თავის 1897 წ. ჟურნ. „კვალი“-ს № 176 –ში გამოქვეყნებულ წერილში (იხ. წინამდებარე წიგნში გვ. 316) და 1899წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „წევა წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი“ (იხ. გვ.: 117, 124) ძალიან აქებს წევის სკოლის მაშინდელ მასწავლებელს, მაგრამ, სამწუხაროდ, მის სახელს არ ასახელებს. ამ სკოლის მასწავლებლებს ძალზე დადებითად იხსენიებს ყველა ვინც კი წევის სკოლაში სწავლების საკითხის შესახებ წერს [იხ. წინამდებარე წიგნში (§ 30) სტატიები: გაზ. „ივერია“, 1886წ. № 176, გაზ. “ივერია“ 1887 წ. № 145, გაზ „ივერია“ 1894 წ. 6/I და სხვ.)].

წევის სკოლის თავდაპირველმა პედაგოგებმა, ვინც უმცირესი ანაზღაურების ფასად ან სულაც უანგაროდ, თავდადებით ემსახურებოდნენ ახალი თაობების აღზრდის საქმეს, უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი წინაპრების განათლების საქმეში, რაც, რა თქმა უნდა, მომდევნო თაობების ცხოვრებაზეც აისახა. მათ საფუძველი ჩაუყარეს წევის სკოლის დადებით ტრადიციებს, განაპირობეს მისი მაღალი ავტორიტეტი. ისინი ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ მათი სახელები ცნობილი იყოს და მათი ღვაწლი ჯეროვნად დაფასებული.

2011 წ., 8 სექტემბერი.

§ 29. 21 წლის შემდეგ XXI საუკუნეში

ერთი პატარა, 10 წლის, უნიჭიერესი მოსწავლე მყავდა, ნათია როდონაია. მამამისმა, მოძღვარმა ცოტნე როდონაიამ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ამერიკას მიაშურა და ცოლ-შვილიც თან წაიყვანა. მისი ოჯახის წასვლა, რატომღაც, ჩემი ყურადღების მიღმა დარჩა.

ამერიკაში ეს, ცეკვაზე უზომოდ შეყვარებული, ბავშვი მისულა სამეჯლისო ცეკვების სტუდიაში, სწავლის გასაგრძელებლად. ბუნებრივია ჰკითხეს, ცეკვა თუ იცით? უცეკვია!!! სად ისწავლე ასეთი ცეკვაო? „ჯორჯიაშიო“. ეს სად არისო?.. იქ ბევრია შენისთანა მოცეკვავეო? უპასუხია: ჩემზე უკეთესებიც არიანო.

და აი, ჩემს ტელეფონზე ზარი გაისმა:

– გამარჯობა, ბატონო თენგიზ!

– ცოტნე ვარ, ამერიკიდან გირეკავთ.

– კარგი ახლა, ნუ ხუმრობ, მითხარი, რა გინდა?

– არ გატყუებთ, ამერიკიდან გირეკავთ. თუ შეგიძლიათ, თქვენი ანსამბლი ჩამოიყვანოთ აქ, საკონცერტო მოგზაურობაში, ან თქვენ ჩამოხვიდეთ, როგორც სპეციალისტი და აქ ჩაატაროთ მასტერ-კლასები?

მე შევყოყმანდი, დავფიქრდი და გავგზავნე ჩემი შვილი და სიძე, საქართველოს უცვლელი ჩემპიონები და მრავალი ტურნირის გამარჯვებულები, შორენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოევი.

ეს მოხდა, ვგონებ, 1990 წელს. შემდეგ: თბილისის ომი, ავტომატების კაკანი, დაკარგული ტერიტორიები, შიმშილი, განუკითხაობა, უშუქობა, უწყლობა და რა ვიცი კიდევ რა, და მე, თენგიზ გაჩეჩილაძე, თავგადაკლული ქართველი, რომელსაც ქართველის საზღვარგარეთ დატოვება სიკვდილის ტოლფასად მიმაჩნდა და რომელიც ყოველ წამს ვახსენებდი ჩემს ქალიშვილს და სიძეს, არც კი ეფიქრათ იქ დარჩენა, თანდათან შევეგუე იმ აზრს, რომ აქ მათ არავითარი პერსპექტივა არ ექნებოდათ. ისევ მე ჩავიცვი რკინის ქალამნები და რამდენიმეჯერ ჩავაკითხე ჩემს შვილებს. ჩავდიოდი, ჩავუტანდი საჭუქრებს, ისინი აქეთ დამასაჩუქრებდნენ და გამომიშვებდნენ დატვირთულს. რასაკვირველია, ნათესავებსაც არ ივიწყებდნენ.

ჩემი ბოლო ვიზიტი 2011 წლის 3 მარტს შედგა – 4 მარტს შორენა 40 წლის გამიხდა. ახლა კი კატეგორიულად დავუსვი საკითხი: როდემდე უნდა ვიარო აქეთ ამ წლოვანმა კაცმა. უკვე დროა, თქვენ ჩამოხვიდეთ ჩვენთან-მეთქი. – მამი! – მითხრა ქალიშვილმა: – ჩვენი კარიერის მანძილზე წელიწადში 25 კონკურსში ვიღებთ მონაწილეობას. ვყოფილვართ ევროპაში, ამერიკის ყველა ქალაქში და სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში. ამდენმა გადაფრენა-გადმოფრენამ დაღი დაასვა ჩვენს ორგანიზმს. გვქონდა ფრენის კრიტიკული მომენტები და მეც, უფრო კი გოჩას, შეგვძულდა ფრენა. როგორც იცი, გოჩას, ფილმებში გადასაღებად, პერიოდულად იწვევენ „ჰოლივუდში“, რომელიც აქედან 2500 კილომეტრითაა დაშორებული და იქაც კი მანქანით მიდის, თვითმფრინავს ერიდება. მე და ლევანი (შვილიშვილი) წამოვალთ, მაგრამ გოჩასთვის არ გვითქვამს, ის დარდით თავს მოიკლავს და როგორი იქნება, მე იქ წამოვიდე და აქ ჩემი საყვარელი ადამიანი იტანჯებოდეს?

ვუთხარით გოჩას. რასაკვირველია, ჩემთვის არაფერი უპასუხია, რადგან დიდი ხათრი აქვს, მაგრამ შეეტყო, რომ ძალიან გაუკვირდა. ერთი კვირა იტანჯებოდა. თურმე, ყველას შესჩიოდა: რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? ყველას ეცინებოდა. შენ ჩვენს თვალში გამორჩეული ვაჟკაცი ხარ და შენი ცოლ-შვილის თვითმფრინავით მგზავრობაზე როგორ დარდობ ამდენსო? ბოლოს გადაწყვიტა, მე თვითონ წამოვალ და ლევანი აქ დავტოვოთო.

ამრიგად, შორენა და გოჩა, 21 წლის შემდეგ, პირველად XXI საუკუნეში, ჩემთან ერთად თბილისში გამოემგზავრნენ.

რა დასამალია, ამ დროის განმავლობაში, საქართველოში იმდენი ცუდი ამბავი მოხდა და საერთაშორისო მასმედიის საშუალებები იმდენ საშინელებას წერდნენ ჩვენს ქვეყანაზე, რომ ცოტა ეშინოდათ კიდეც. ჯერ კიდევ დალასში ყოფნისას, ინტერნეტით მოიძიეს თბილისის ყველა სასტუმრო და მათი შესაძლებლობები. ბოლოს, მე შევთავაზე ისეთ სასტუმროში წაყვანა, სადაც უზრუნველყოფილიც იქნებოდნენ და დაცულიც. არის თბილისში ერთი საკმაოდ ცნობილი, კეთილშობილი ადამიანების, ემზარ და ხათუნა გამეზარდაშვილების ოჯახი, რომელთაც თავისი საკმაოდ კარგი ბინის („ზემელის“ თავზე, 8 მარტის ქუჩაზე) ნახევარი ცნობილი და მაღალი დონის სტუმრებისთვის აქვთ გაქირავებული სასტუმროდ. თუ ვარსკვლავების მიკუთვნებაზე წავიდა საქმე, მე ამ სასტუმრო-ოჯახს 7 ან 8 ვარსკვლავს მივანიჭებდი: უდიდესი ფართის ოთახები, მშვენიერი მომსახურება, შესანიშნავი ხედი თბილისზე და, რაც მთავარია, კეთილი გული და დადებითი ენერგეტიკა... ჰოდა, ჩემი შვილები სწორედ მათ მივუყვანე და არც შევმცდარვარ...

მშვენივრად ვიმგზავრეთ, ჩიკაგოს და მიუნჰენის გავლით. არც ძილის წამალი დასჭირვებია გოჩას და არც დალევა.

თბილისში 13 მარტს, გამთენიისას ჩამოვედით. ჩვენი ჩამოსვლა ისეთივე გასაიდუმლოებული იყო, როგორც დალასიდან წამოსვლა, მაგრამ თბილისის აეროპორტში მაინც აუარება ხალხი დაგვხვდა. საიდან გაიგეს არ ვიცი – ორ დღეში მოგვაკითხა ჟურნალ „თბილისელების“ ჟურნალისტმა მაკა დათეშიძემ, რომელმაც მშვენიერი ინტერვიუ აიღო მათგან და მთელ გვერდზე დაბეჭდა მათი სურათი. საუკეთესო ინტერვიუ გადასცა, პირდაპირი ეთერით, რადიო „ჯაკომ“, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ბატონი ჯამლეთ ხუხაშვილი – დიდი პროფესიონალი და დიდი ქართველი. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოხატა თავისი შვილების მიმართ. იყო ყოველმხრივი ინტერესი, მაგრამ, რასაკვირველია, პირველ რიგში ნათესავების მხრიდან. იმისათვის, რომ ყველას ერთად ენახა ისინი, 15 მარტს მოვაწყეთ ნადიმი და დავპატიჟე ნათესაობა. ღმერთო! რამდენი ყოფილან. ალბათ ვერასდროს შევკრებდი მათ ასეთი რაოდენობით. აბა, წავიდა გადაპატიჟებები, რიგში ჩადგომა...

შორენა და გოჩა სტუდია „თელას“ მოცეკვავეებთან ატარებდნენ მასტერ-კლასებს ჩვენი ქვეყნის წამყვანი მოცეკვავეებისა და სპეციალისტებისათვის. დღეში 8 საათს მუშაობდნენ. საღამოს ცოტას ვასწრებდით ქალაქის დათვალიერებას.

აღფრთოვანებული იყვნენ სანიმუშო წესრიგით ქალაქში, იმით თუ როგორ გალამაზდა იგი და აქ, 21 წლის განმავლობაში, მომხდარი სხვა დადებითი ცვლილებებით.

ეს ექსტრავაგანტური წყვილი რომ დასეირნობდა თბილისის ქუჩებში, ხალხი ჩერდებოდა და თვალს აყოლებდა მათ. მე ხანდახან ვგრძნობდი, რომ ცოტა მეუხერხულებოდა კიდეც მათთან ერთად სიარული.

ძალზე დაძაბული დღის რეჟიმის მიუხედავად, მაინც მოვახერხე მათი სიღნაღში ჩაყვანა. ძალიან მოეწონათ იქაურობა, ვეღარც კი იხსენებდნენ როგორი იყო მანამდე სიღნაღი. ყველგან, სადაც კი ვიყავით, უამრავ სურათს და ვიდეო კადრებს იღებდნენ და სასწრაფოდ აგზავნიდნენ ამერიკაში. ასე რომ, იქაურები სრულად იყვნენ საქმის კურსში.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა ორჯერ გადასცა მათზე სიუჟეტი და მაშინ უნდა გენახათ აჟიოტაჟი. ბევრმა გაიგო და სტუმართა მოსვლას ბოლო არ უჩანდა. ჩრდილო კავკასიიდან ტაქსით ჩამოვიდნენ ჩემი სიძის ნათესავები (ის თბილისელია, ეროვნებით ოსი – ჩერტკოევი). გზაში დიდთოვლობამ გააჩერათ და კინაღამ გაიყინენ.

სპორტის დეპარტამენტში შედგა პრესკონფერენცია. მიგვიღო სპორტის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გია გალდავამ – მინისტრი უცხოეთში იყო. შემდეგ, ქუთაისის და აჭარის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მათთან შეხვედრის სურვილი. გველოდნენ კიდეც, მაგრამ ძალები და დრო აღარ გვეყო. მხოლოდ ზესტაფონამდე ჩავაღწიეთ და წევაში (ჩვენი საგვარეულო სოფელია), წმინდა გიორგის XI საუკუნის ეკლესიას შევწირეთ წმინდა ნინო კაბადოკიელის ძვირფასი ხატი. იქ დაგვხვდნენ ჩვენი სისხლით ნათესავები. ამოვიდნენ ზესტაფონიდან ოჯახის მეგობრები, გაგვიმართეს მშვენიერი ნადიმი. გახარებული იყო ჩემი უსაყვარლესი ბიცოლა 87 წლის ლიდა – მადლობა ღმერთს,შენს ნახვას რომ მოვესწარიო. ბევრი ვიმხიარულეთ მეზობლებთან ერთად. გავათენეთ ერთი ღამე და დავბრუნდით თბილისში. ქუთაისელებს და ბათუმელებს ბოდიში მოვუხადეთ, რომ ვერ ვეწვიეთ.

ყველაფერი დადებითი ემოციით იყო დატვირთული, მაგრამ მთელი ამ ძვირფასი დღეების და წუთების აპოგეა მაინც მის უწმინდესობასა და უნეტარესობასთან ვიზიტი გახლდათ.

ჩემმა სიძემ თქვა: მე თბილისმა და საქართველომ გამზარდეს და რასაც მივაღწიე, თბილისს, საქართველოს და ქართველებს უნდა ვუმადლოდე. მე მყავს ქართველი მეუღლე და მინდა დალასში ქართული ეკლესია ავაშენო, მხოლოდ, ქართული ტრადიციული ფორმის.

ჩემმა მეგობარმა პროფესორმა მურმან გელენიძემ და ქაშვეთის დეკანოზმა ელიზბარმა, როცა გაიგეს, რომ გოჩა, ჩემი სიძე, ფიქრობს ქალაქ დალასში ქართული ეკლესიის აშენებას, იმ წამს უთხრეს ეს მეუფე დიმიტრის, რომელიც განაგებს აჭარის ეპარქიას და სულიერ ხელმძღვანელობას უწევს ამერიკის ქართველობას. შეხვედრაზე მან გვიამბო ამერიკელ ქართველებზე, იქ არსებულ სალოცავზე. თუმცა, ამერიკაში არსად არის ქართველების მიერ აშენებული ეკლესია. იქაური ქართველები ყიდულობენ ან ქირაობენ ფართობს და იქ აღავლენენ მართლმადიდებლურ ლოცვებს. შემდეგ მეუფემ შეგვახვედრა ჩვენს პატრიარქს. ეს იყო წარმოუდგენლად ამაღლებული წუთები. რაოდენ წარმოუდგენლად დიდი სითბო და სიყვარული გვიბოძა პატრიარქმა...

–„შენ ბრწყინვალე ქართველი ქალი ხარ და ნუ დაიკარგები საქართველოსთვის“ – უთხრა მან შორენას.

იმისდა მიუხედავად, რომ პატრიარქს უამრავი ხალხი ელოდებოდა (ეპისკოპოსები, მეუფენი), ბოლომდე მოგვასმენინა თავის მიერ შეთხზული „ავე მარია“, დაგვაჯილდოვა წიგნებით, თავის მიერ შექმნილი მუსიკის დისკით, გაგვიკეთა ხელზე სამაჯურები წარწერით – „ღმერთმა დაგლოცოთ“ – ილია II, ნება მოგვცა გადაგვეღო უამრავი ფოტოსურათი და, 30 წუთიანი აუდიენციის შემდეგ, დალოცვილი გამოგვიშვა.

აეროპორტში უამრავი ხალხი მოვიდა გასაცილებლად, აეროპორტი მათით შეივსო. რომ ვთქვა ასე დამთავრდა მეთქი მათი ვოიაჟი, ალბათ, არ ვიქნები

მართალი. იყო ბევრი ამაღლებული მომენტი და შეხვედრა, მაგრამ მაინც სჯობს ამ ნოტზე დავამთავრო ეს ჩემი მცირე ჩანახატი.

თენგიზ გაჩეჩილაძე (ლობიო). 2011, VI.*

§ 30. წევისა და ზიკილიის ძველი და ახალი ამბები

XIX ს. II ნახევრისა და XXს. დასაწყისის ქართული პრესა სოფელ წევის შესახებ

„დროება“, 1875 წ., 27 ივლისი, № 84, გვ.1-2
[სოფ.წევაში „სკაპენის ცულლუტობის“ დადგმა].

„სკაპენის ცულლუტობა“ სწორედ ნამდვილ სახალხო კომედიათ გადიქცა ჩვენში. სადაც არ გინდა, იქ არდგენენ ამ მოლიერის მახვილს კომედიას.

ყვირილიდამ გვწერენ ახლა, რომ ზემო-იმერეთის ერთს სოფელში – წავას წარმოუდგენიათ, იქაური სასოფლო შკოლის სასარგებლოთ. მართალია, შემოსავალი წარმოდგენიდამ არაფერი ყოფილა, მაგრამ წარმოდგენით მაინც წარმოუდგენიათ...

„დროება“, 1883 წ., 2 ივლისი, № 126, გვ.1

სოფ. წევიდამა (შორაპ. მაზრა) გვწერენ, რომ სოფელს სასაფლაო მეტად ახლო აქვს და ამის გამოისობით ავად-მყოფობაა გავრცელებულიო. სასაფლაო ისე გავსილა, რომ ერთსა და იმავე ადგილას ხუთი მკვდარი მარხია, მაგრამ სხვაგან კი არ გადააქვთო. ემდურიან დაუდევრობისათვის იქაურ ექიმს ბ. უტულოვს. ამ სოფელში არის თურმე სკოლა, რომელშიაც წელს დაიარებოდა ოც-და-თვრამეტი ბავშვი. კორესპონდენტი ემადლიერება ამ სკოლის მასწავლებელს.

„დროება“, 1883 წ., 6 ოქტომბერი, № 197, გვ. 2

სოფ. წევადამა (შორაპნის მაზრადამ) გვწერენ: ჩვენი სოფელი თუმცა კარგა დიდი სოფელია, ისე რომ ორ კლასიანი სასწავლებლის შენახვაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ის პირნი, რომელთაც ამ საქმეში მოთავეობა შეეძლოთ, არაფერსა ზრუნავენ. სოფელს ამ საქმისათვის, სხვათა შორის, შეეძლო გადაედო ის ფული, რომელსაც ყოველ წელიწადს 15 ივლისს, კვირიკობის იარმარკის დროს იღებენ აქაური მცხოვრებლები. მაშინ სასოფლო ადგილზედ ორასი მეტი კარავი იმართება და თითო კარვის ქირა რვა მანეთი არის, ასე რომ ამ ფულით ჩინებულის სკოლის გამართვა და შენახვა მოხერხდებოდა.

„დროება“, 1884 წ., 15 აგვისტო, № 177, გვ. 1

სოფ. წევიდამ (შორაპნის მაზრა) ჩვენ გვწერენ შემდეგს: „წლევანდელი იარმუკობა გათავდა რამდენიმე უბედური შემთხვევით. თოკიდან თავდახსნილი ავაზაკები შეუვარდენ სახლში გლეხს ბესია გაჩეჩილაძეს და სულ მთლად გაფხიკეს მისი ოჯახი. ავეჯეულობის გარდა, წაუღიათ ოთხმოცი მანათი ფული. აგრეთვე გლეხი დათია გაჩეჩილაძის სახლში რომ ვერა უპოვნიათ რა, სტუმრების ტანისამოსი წაუღიათ და ჭურიდგან ღვინო მოუპარავთ. ამ ნაირმა ქურდობამ, როგორც პირველმა მაგალითმა ძალიან ააღელვა ხალხიო.

იქიდანვე გვწერენ, რომ ადგილობრივი სკოლის საქმე კარგად მიდისო. მასწავლებელი თუმცა ამ საქმისათვის დიდი განათლებისა და მომზადების პატრონი არ არის, მაგრამ მუყაითად და ბეჯითად ექცევა თავის საქმესო.

„დროება“, 1885 წ., 25 ივნისი, № 134 გვ. I.

შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ ამ ახლო ხანში ძირულისა და ყვირილის სტანციებ შუა ერთი ახალი სტანცია გაიხსნება სოფ. წევის ბოლოზე და სახელად „წევა“ დაერქმევაო.

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ მომავალ ივლისის შუა რიცხვებში სოფ. წევაში იარმუკობა დაიწყობა და ერთ კვირას გაგრძელდება. აქ დიდ-ძალი ვაჭრები იყრიან თავს გორიდამ, თბილისიდამ, ქუთაისიდამ და სხვა ადგილებიდამ. რამდენსამე ყმაწვილ კაცს განუზრახავთ ამ იარმუკობის დროს ოთხიოდე წარმოდგენა გამართონ „წერა-კითხვის საზოგადოების“ და პარიჟელი სტუდენტების სასარგებლოდ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვინც კი ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დანიშნულებას და პარიჟელი სტუდენტების გაჭირვებულს მდგომარეობას თანაუგრძნობს, იგი ხელს მოუმართავს ქართული წარმოდგენების მოთავეთ და ყოველის ფრით დაეხმარება.

„ივერია“, 1886წ. 17 ივლისი, № 154, გვ. 2

სოფ წევიდგან გვწერენ... მთელს წევაში ამ ჟამად მუცელაა (დისენტერია) მოდებული და რამდენიმე ადამიანი კიდეც იმსხვერპლაო. არ ვიცი, რა მიზეზით ამ ავადმყოფობას ყურადღებას არავინ აქცევს და ისე არიან მინებებული ავად-მყოფებიო.

„ივერია“, 1886წ., № 157, გვ. 4

ივერიის № 154-ში იყო დაბეჭდილი სოფ. წევიდამ გამოგზავნილი წერილი, ვითომც წევაში არ არის პირველდაწყებითი სკოლა, რომ ცოტა ოდენი განათლება მიიღონ ბავშვებმაო და სხვა-და-სხვა. საკვირველია, ასე რამ დაუყენა თვალები შენიშვნის დამწერს, რომ ს. წევაში 1868 წლიდამ, მინამ ქუთაისის დირექცია დააარსებდა, გამართული იყო სკოლა, დღესაც არსებობს იგი ს. წევაში და რიგიანად მიდის სწავლის საქმე.

არც ერთს სასოფლო სკოლაში არ დაიარებიან იმდენი შეგირდები, რამდენიც წევის სკოლაში, რადგან ხედავენ, რომ სწავლა რიგიანად მიდის. ასრე გასინჯეთ, სხვა შორეულ სოფლებიდამაც კი მოჰყავთ წევის სკოლაში ბავშვები სასწავლებლად.

დღემდის წევის სკოლა ნაქირავებს სახლში იყო გამართული და ეხლა კი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ეკკლესიის გალავანში უნდა აშენდეს ნორმალურის სასწავლებლის მსგავსი სკოლა და ეკკლესიის ფულიც უნდა მოხმარდეს სკოლის აშენებისათვის. საკვირველია, რამ ათქმევინა შენიშვნის ავტორს ასეთი სიცრუე. ესრეთი აშკარა ტყუილი რამ დააწერინა.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ამ გვარს ვაჟ-ბატონებს შეცდომაში შეჰყავთ რედაქცია და მკითხველებიცა.

შორაპნის მაზრის სოფელ წევის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი მაკარი გაჩეჩილაძე.

„ივერია“, 1886წ., № 176

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

...წევაში სთესავენ უმეტეს ნაწილად სიმინდსა და პურსა, მაგრამ მომეტებული ყურადღება გლეხებისა მიპყრობილია ვაზის კეთებაზე, რომელიც შეადგენს მათის ცხოვრების უმთავრეს საგანს. აქ სამას კომლამდე გლეხი ცხოვრობს.

შუაგულ სოფელში, ეკკლესიის მახლობლად, არის პატარა ბაზარი; ბაზარში სულ ათი-თორმეტი დუქანია: წინად კი დიდი ყოფილა და თითქმის მთელ შორაპნის მაზრაში პირველი ადგილი სჭერია. აქ მაშინ ვაჭრობდნენ თურმე სომხები და ურიები, ეხლა კი ერთსაც ვეღარ ნახავთ იმათ. აქაური ვაჭრები უმეტეს წილად მოსკოვში და სტამბოლში დადიოდნენ სავაჭროდ. ამ ყოფაში იყო ეს დაბა რკინის გზის გაყვანამდინ. როდესაც რკინის გზა გაიყვანეს და რკინის გზის სადგური ააშორეს წევას, მას შემდეგ წევა დაეცა. ვაჭრები დაბა ყვირილაში წავიდნენ, რომელიც ცხრა-ათი ვერსის სიშორეზეა აქედამ, და იქ დაიწყეს ვაჭრობა, ქვითკირის დუქნები უქმად დარჩენ.

ხალხი ამბობს: როდესაც რკინის გზა გაჰყავდათ მაშინ გზის სადგურს წევაში აკეთებდნენო, მაგრამ ინჟინერმა თურმე კომლზე თითო და ვაჭარზე ორ-ორი მანეთი ფული ითხოვაო და დაჰპირდა, რომ რკინის გზის სადგურს აქ გავაკეთებო. ხალხმა მამასახლისის ჩაგონებით უარი განუცხადა ინჟინერს და სადგური ააცილესო. როდესაც ხალხი მიხვდა რკინის გზის სარგებლობას, ბევრი ინანა და სთხოვაო რკინის გზის მმართველობას: სადგური გამართეთ ჩვენშიო. როგორც გავიგეთ წეველების თხოვნა სახეში მიუღიათო.

1868 წლიდამ აქ არსებობს საეკკლესიო სკოლა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ხალხის წინაშე. ამ სკოლის საქმე პირველად წარმატებით მიდიოდა, წინად ოთხმოციდან ასამდე შეგირდი იყო ამ სკოლაში...

... ეკკლესიას თავისი სკოლისათვის საკუთარი სახლი არა ჰქონდა და უხეირო სადგომს ჰქირაობდნენ ხოლმე; მაგრამ ეხლა... სკოლის ბედი ისევ წაღმა დატრიალდა. ეხლა ეკკლესია თვით აშენებს თავის ხარჯზე ორ-სართულიანს სახლს სკოლისათვის; მასალას კიდეც ეზიდებიან. სკოლა იქნება ორ-კლასიანი; სწავლას გაიცლიან პროგრამმით, რომელსაც გადიან სას. სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში.

აქაური ეკკლესია, ხალხის გადმოცემით, აშენებულია თამარ მეფის დროს. ხალხი ამბობს: **„როდესაც აქ თამარ მეფე მობრძანებულა, თან ბევრი ქალები ჰხლებიან, თვითოეულს ქალს ლეჩაქის ყურში ჰქონდა გამოკრული ცოტ-ცოტა კირიო და ამ კირით აშენდა ეს ეკკლესიაო“**. ეკკლესია წინად პატარა ყოფილა, მაგრამ შემდეგში ამ ეკკლესიისათვის მიუდგამთ ახალი შენობა. ძველი ეკკლესიის ნახევარი საკურთხეველად დაუტოვებიათ. ეს ნახევარი მშვენიერის, ძველის მხატვრობით არის შემკული. **აქ ერთი**

ძველი ხელთნაწერი წიგნია, სახელდობრ: „ეფუთი“. წიგნი მეცამეტე საუკუნის დასაწყისშია დაწერილი.

ეკკლესია სდგას მაღლობს ადგილზე და მას ირგვლივ მცხოვრებლები არტყია. აქვე არის სასაფლაო. წეველმა მღვდელმა ბევრჯელ გამოუცხადა ხალხს, რომ სასაფლაო სხვა ადგილას გადაიტანეთო, მაგრამ ხალხმა არ ჰქნა. ზოგი გაიძახოდა: „მე ეკლესია იმიტომ მინდა, რომ იქ უნდა დავიმარხოვო, ტყეში რად ჩავიმარხებიო!..

... კვირიკობა დღეს წევაში გაიმართება ხოლმე ბაზრობა, რომელიც გასტანს ხოლმე თითქმის ერთ კვირას; ბაზრობის დროს მოდიან სხვა-და-სხვა ვაჭრები ფარჭეულობის გამსყიდველნი ურიები, ხარაზი, მექუდე, თერძი, მიკიტანი, მეთევზე, მეხანჯლე და სხვა. მორეკენ ხოლმე თხა-ცხვარს და სხვა საქონელს. ვაჭრები მოდიან ტფილისიდამ, გორიდამ, სურამიდამ, ზესტაფონიდამ (ყვირილიდამ), ქუთაისიდამ, ბათუმიდამ და სხვა პატარა დაბებიდამ და მაზრებიდამ ხომ სათვალავი აღარა აქვს. ბაზრობა უფრო გაჩაღდა შავი-ქვის მადნების აღმოჩენის შემდეგ. შავმა ქვამ დიდ-ძალი ფული დაატრიალა ხალხში. ჩვენი სოფლის მახლობლად არის შავი ქვის საწყობები. ხალხმა იმდენი ქვა ჩამოზიდა სადღესასწაულოდ, რომ საწყობები გაავსო; რაც ფული აიღეს, იმითი ბაზრობის დროს ივაჭრეს. აქვე მოაქვთ სხვა სოფლებიდამ თავიანთი ნაწარმები გასასყიდად: აბრეშუმის ძაფი, საჩოხე შალი, ჩინურისა და უბრალო თიხის ჭურჭელი და სხვა.

იარმუკობისთვის ხალხი აკეთებს ხოლმე კარვებს. თითო კარავი, ადგილის მიხედვით, ქირავდება ხოლმე 1-10 მანეთამდე; წელს კი ვაჭრების სიმრავლისა გამო თითო კარავის ქირა 20 მანეთამდე ავიდა. ამ აღებულის ფულიდამ მანეთზედ აბაზი ეკკლესიისაა...

წელს უბრალო ხალხიც ბლომად იყო და ჩხუბსა და ყიჟინას ახედვა აღარ ჰქონდა. ქურდობაც ხშირი იყო. დ. ყვირილიდამ ყოველ ამ დროს მოდის ხოლმე აქ პოლიცია. წელსაც, რასაკვირველია, მოვიდა პრისტავი სამის ჩაფრითა, მაგრამ ოთხი კაცი ამდენს ხალხს, ამდენს ჩხუბებს და აყალ-მაყალს როგორ გაუძღვება – უმჯობესი იქნება, ცოტა მეტი ჩაფრები ჰყავდეს ხოლმე პრისტავსა, რომ გახდეს რასმეს.

კ. მაღრაძე.

„ივერია“, 1886წ. 15 აგვისტო, № 177, გვ. 2

ჩვენი გაზეთის დღევანდელს № 176-ში წევადამ მოწერილს ამბავში მოხსენებულია, რომ **წევის ეკკლესიაში ძველი ხელთ-ნაწერი წიგნიაო, სახელად „ეფუთი“, რომელიც მეცამეტე საუკუნეს ეკუთვნისო**. შეიძლება იმ ეკკლესიაში სხვა ძველი წიგნებიც იყოს, და თუ სხვები არ აღმოჩნდება, ეს „ეფუთი“ მაინც გამოუგზავნონ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავს (ბიბლიოთეკას). უეჭველია დღეს თუ ხვალ გაიტანს ვინმე, ან დაიკარგება, ან დახევს ვინმე და არა სჯობიან, რომ ჩვენს საკუთარს წიგნთ-საცავში შევინახოთ?

„ივერია“, 1886წ. 4 სექტემბერი, № 190, გვ. 1

სოფ წევაში, როგორცა გვწერენ, ეკკლესია აარსებს თავის ხარჯზე ორ-კლასიან სამრევლო სკოლასაო. სკოლის ასაშენებლად ყოველგვარი მასალა მზადა აქვთ, მხოლოდ ქვა აკლდათ და სოფელსა სთხოვეს, რომ ქვა მოგვიტანეო. სოფელი ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ ვიღაცას ჩაუგონებია გლეხებისათვის, არ მოიტანოთ, თორემ ბეგარად გადაგექცევათო და ყოველთვის მოგატანინებენ ხოლმეო.

გლეხებსაც მართალი ჰგონებიათ და არა ნდომულობენ ქვის ზიდვასაო. ამის გამო ამ ჟამად მთელს სოფელში ერთი აყალ-მაყალია და არ ვიცით, რით გათავდება ეს საქმეო.

„ივერია“, 1887 წ. 16 ივლისი, № 145

სოფ. წევიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ, რომ აქაური სამრევლო სკოლა ძალიან შეწუხებულიაო. საქმე ის არის, რომ ამ სკოლას არამც თუ შესაფერი სადგომი არა აქვს, არამედ ამ ჟამად სრულიადაც უსახლოდ არის. ბ-ნს მასწავლებელს, სოფლის მღვდელს, სკოლა თავდაპირველად გაემართა თავის მამის სახლში, მაგრამ ეს სადგომი ყოველ მხრით უვარგისი გამოდგა, იმდენად უვარგისია, რომ მასწავლებელს შეეშინდა, ვაითუ სახლი სრულად დაინგრესო. ამიტომაც სკოლა იქიდამაც გადაიტანა და, რადგანაც სწავლის შეჩერება არ უნდოდა და თანაც სადგომი არ ჰქონდა, იძულებული შეიქნა ყმაწვილებისათვის ესწავლებინა ცის ქვეშ, ხის ძირში. უნდა ვსთქვათ, მართალიაო, ამბობს ჩვენი კორესპონდენტი, **რომ მასწავლებელი, თუმცა ამ გვარ ცუდ მდგომარეობაშია მოქცეული ძალიან გულ-მოდგინედ და ენერგიულად ეკიდება თავის საქმესაო.** კორესპონდენტი უმატებს: სოფელი წევა იმდენად მდიდარია, რომ სკოლისთვის შეუძლიან საკუთარი სახლი აიშენოს, წევის თემი რომ გულ-გრილი და დაუდევარი არ იყოსო.

„ივერია“ 1887 წ., 15 აგვისტო, № 169

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი) სოფ წევა, 8 მარიამობისთვეს.

წევა დაბა ზესტაფონიდამ რვა ვერსტის მანძილზეა აღმოსავლეთისკენ. მთელი შორაპნის მაზრაში ამ სოფლისთანა ხრიოკს და გორაკიანს ადგილზედ არც ერთი სოფელი არა სძევს. კაცს უკვირს, რა მიზეზით გაშენებულა ეს სოფელი ასეთს მიუვალსა და უალაგო ალაგასაო. არც გარეშემო ადგილებია ნაყოფიერი აქ. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ წეველებმა, თუ ყველამ არა უმრავლესობამ მაინც, კლდეებს ხელი უშვეს, რადგან მათი შემუშავება თვით კატალონიელთაც არ შეუძლიათ და მიჰყვეს ხელი აღებ-მიცემობას. აღებ-მიცემა, ვაჭრობა სარფა და სასარგებლო საქმე გამოდგა წეველებისათვის. წეველები გამდიდრდნენ, შვილები სკოლაში მისცეს, ბევრმა საშუალო სასწავლებელშიაც მიაბარა შვილი. ზოგიერთი ამასაც არ დასჯერდა და ეხლა და ეხლა იწყეს უმაღლეს სასწავლებლებშიაც გზავნა თავიანთ შვილებისა. ეხლა წეველებს განზრახვა აქვთ თავიანთ შვილებისათვის, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი დაარსონ სოფ. წევაში და ამით გაუადვილონ ახალ-თაობას სწავლა-განათლების მიღება.

თუმცა ჯერ-ჯერობით სწავლის ღირსნი გახდნენ მხოლოდ ვაჟები და ქალი კი მხოლოდ ორიოდეა ცოტაოდენად ნასწავლი, მაგრამ არ შეიძლება არ უძღვნათ დიდი მადლობა ამ უკანასკნელებს, რადგან მათ თავიანთი მცირე ცოდნა და სწავლა გაუზიარეს თავიანთ უსწავლელ დებს. ვერ ნახავთ წევაში ისეთ ქალს (შვიდი წლიდგან დაწყებული მოხუცებულებამდის), რომ მას არ შეეძლოს ქსოვა, ქარგვა და კერვა. იშვიათად შეხვდებით იმისთანა ოჯახსაც, რომელსაც საკერავი მაშინა არ ედგას წინ და ერთის კვირის საქმეს ერთს საათს არ ათავებდეს; წერა-კითხვა, ხომ თქმაც აღარ უნდა, ყველამ იცის.

ჭეშმარიტად მადლობის ღირსნი არიან ამ ნაირ საქმის მოთავენი და ღმერთმა ჰქნას, სხვა განათლებულ ქალებსაც წაებაძოთ წეველ, ცოტა თუ ბევრად, ნასწავლ ქალებისათვის და არ დაემარხოთ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება უქმად, არამედ მოეხმაროთ თავიანთ მოძმეთა და დათა სასარგებლოდ. ღმერთმა ინებოს!

ერთი ნაწილი წეველებისა ისევ მიწის შემუშავებას მისდევს, თუმცა ძნელი საქმეკია. ამ ნაირად წეველები ორ ნაწილად გაიყვნენ. პირველ ნაწილს, როგორც მოგახსენეთ, შეადგენენ მოვაჭრენი; მეორეს-კი – მხვნელ-მთესველნი. ამ უკანასკნელთ ნამეტანი ყურადღება მიაქციეს მევენახეობას. მევენახეობამ დიდი სარგებლობა ვერ მოუტანა ხალხს. ამის მიზეზი ზევითაც მოვიხსენიეთ: ეს მიზეზი ღონე-გამოცლილი ნიადაგი გახლავთ. წეველი მაინც არ შეუშინდა ბუნების სიძუნწეს – გააშენა ბლომად სხვა-და-სხვა გვარი ვაზი, შეაყარა ძირში სასუქი და ამნაირად დიდმა შრომამა და ჯაფამ იმ სანატრელ დღეში ჩააყენა მევენახეობა, რომ წეველს (წევაში სულ გლეხები არიან) არამც თუ სამყოფი, თუ კარგი წელიწადი შეუხვდა, გასასყიდელიც-კი მოჰყავს ღვინო. სხვა ჭირნახულზედ-კი ღარიბად გახლავთ წეველი, მაგრამ ღვინის კარგ მოსავალს გამოჰყავს გაჭირვებიდამ.

თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ სამწუხაროდ, წევას ამ ბოლოს დროს შემოეპარა ერთი მეტად საძაგელი სენი: ფულის გასესხება მევახშეთაგან უღმერთო, ურიულის სარგებლითა. ორიოდ-სამიოდე ჩვენებური ფულის პატრონი თუ მოასწრობს გლეხს გაჭირვებაში, აღარა ჰზოგავს; აძლევს ფულს სესხად და სამუდამოდ ვალში არჩობს. აქ ხშირია, რომ ფულის პატრონი მანათზედ წელიწადში ათს შაურს ახდევინებს. ორი აბაზი და ექვსი შაური სარგებელი ხომ ხშირია და ხშირი.

ასეთი მაგალითიც არის: ასესხებს ფულიანი კაცი გლეხს, ვსთქვათ, ხუთს თუმანს და წელიწადში სარგებლის მაგიერ ყოველ კვირა ორს დღეს ამუშავებს თავის სასარგებლოდ, ან სარგებელში მოჯამაგირედა ჰყავს უილაჯო გლეხი-კაცი.

ზოგს ორი დღე მუშაობა კვირაში ეცოტავება კიდეცა. ხუთის თუმნის სარგებლად ეგ ძალიან ცოტაა ორის დღის მაგივრად ყოველ კვირაში სამ-სამი დღე უნდა იმუშავოვო. რა ქნას ილაჯ-გაწყვეტილმა გლეხმა? ფულის გადახდა არ შეუძლიან და ისევ იმას არჩევს, თვითეულ კვირაში სამ-სამი დღე იმუშავოს, ვიდრე ჯარიმა და ნეუსტოიკები იხადოს განრისხებულის ფულის პატრონის სასარებლოდ. რომ ვიანგარიშოთ გამოვა, რომ ხუთის თუმნის სარგებელში გლეხმა უნდა იმუშაოს თითქმის ნახევარ-წელიწადი. სულ რომ მცირედი ჩავაგდოთ, დღიური ქირა მუშისა ყოველთვის აღემატება ორ აბაზს, ნამეტნავად ჩვენში, სადაც ოთხ აბაზამდისაც-კი მიატანს ხოლმე. ადვილად შეგვიძლიან ამის შემდეგ ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ხუთს თუმანს ბევრით გადააჭარბებს წლიური სარგებელი, და ათის შაურის მაგივრად მანეთი ექვს აბაზზედ მეტს სარგებელს იძლევა. ნუთუ ეს უღმერთობა ურიობა არ არის?!

ს. ჯ – ძე

„ივერია“, 1888 წ. 6 მაისი, № 94, გვ. 2

მაყურებელი ბესარიონ გაჩეჩილაძე

„ჩვენს სოფელში წმ. გიორგის ეკკლესიაა რომლის მრევლი ოთხას კომლამდე არის. ამ ეკკლესიის გალავანს უჭირავს სამ ქცევამდე ადგილი, რომელიც ხუთის წლის წინადაც აღვსილი იყო მიცვალებულებით“...

სასაფლაო ჰაერს აფუჭებს, სოფლელებს ვნებს სხვადასხვა დაავადებებს აჩენს... სასაფლაოს სივიწროვემ კინაღამ რამდენიმე კაცი შეიწირა...

„ეს სასაფლაო ეკუთვნის სოფლებს: წევას, ჭალას, წიფლავაკეს და სანახშირეს. წევას მეტი ადგილი აქვს სასაფლაოზე და წეველებს დიდი შეწუხება ადგია, როდესაც დანარჩენ სოფლების მიცვალებულები უნდათ დამარხონ, რადგანაც დანარჩენ სოფლებს ნაკლები აქვთ სამარხი მიწა, ამიტომ უსათუოდ მოპარვით ან ძალით უნდათ დამარხონ თავიანთი მიცვალებულები წეველების სასაფლაოზე. 22 აპრილს ღღით წიფლავაკელებმა მოასვენეს მიცვალებული დასამარხად წეველების საკუთარს სასაფლაოზე. წეველებმა გაიგეს ეს თუ არა, მაშინვე შემოესივნენ წიფლავაკელებს და ნება არ მისცეს დაემარხათ თავიანთი მიცვალებული. რიცხვით წიფლავაკელები ცოტანი იყვნენ და წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს; წავიდნენ უკანვე, მხოლოდ მიცვალებული დაუმარხავი მიატოვეს.“ მეორე დღეს მოსულან უკან მამასახლისთან და ბევრ ხალხთან ერთად კეტებით შეიარაღებული. წეველებიც დახვედრიან კეტებით მაგრამ წიფლავაკელები მეტნი ყოფილან და თავისი გაუტანიათ.

„ივერია“, 1888 წ. 4 აგვისტო, №163, გვ.1

სოფ. წევა (შორაპნის მაზრა): ჩვენმა საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ აქაური ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა ორკლასიანად გადააკეთოს, და უკვე დაიწყეს თავიანთის ხარჯით სკოლის სადგომის შენება ეკკლესიის გალავანთან. ქვედა სართული დღეს აშენებულია, ხოლო მეორე სართული ათის დღის განმავლობაში იქნება მზად. ამ მომავალ ენკენისთვეში სწავლა დაიწყება ახალს სადგომში.

„ივერია“, 1889 წ. 8 ივლისი, № 142, გვ. 2-3

ავტორი წუხს შორაპნის მაზრაში გავრცელებული შურიანობისა და მაბეზღარობის და სხვისი უბედურების ხარჯზე ხელის მომობობი ადვოკატების სიმრავლის გამო.

წერს, აგრეთვე, აქაური ბაზრობისა და სკოლის შესახებ:

... „წლიური შემოსავალი (კვირიკობის დროს მოწყობილი) კარვებიდან თითქმის ორას თუმნამდე მიაღწევს. აქამდე მეხუთედს ნაწილს ამ შემოსავლისას ადგილობრივ წმინდა გიორგის ეკკლესიას სწირავდა საზოგადოება და დანარჩენი კარვების გამკეთებლებს რჩებოდათ. ამ ორის წლის განმავლობაში ეს შემოსავალი საზოგადოებამ ეკკლესიას ჩამოართვა და დაუთმო ახლად დაარსებულს სამრევლო ორ-კლასიანს სასწავლებელს, რისათვისაც ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა უკვე ააგეს და ამასთანავე სხვა შემწეობასაც შეჰპირდნენ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი კლასია გამართული, არ შემიძლიან არა ვსთქვა ორიოდე სიტყვა ამ შენობის შესახებაც, რომელიც ჩვენს სოფელს ორას თუმანზე მეტი დაუჯდა. ამ კეთილის საქმისათვის სოფელმა აირჩია კომიტეტად სამი კაცი (მეოთხემ, ე.ი. თავმჯდომარემ, თავისი თავი თითონვე ამოირჩია, რადგან მეტისმეტად თავმოყვარე გახლავთ ეს არა-მკითხე და დაუპატიჟებელი თავმჯდომარე), შენობაც ააგეს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი ნამდვილს, შესაფერს გეგმას სრულებით მოკლებულია... ეს სხვისი არავისი ბრალია, გარდა იმ დაუპატიჟებელი სტუმრისა, ე.ი. კომიტეტის თავმჯდომარისა... ჯერ ისე დაგვიანებული არ გახლავთ, რომ შენობის გადაკეთებაც არ შეიძლებოდეს, მით უმეტეს, რომ სკოლის ზედა (და თითქმის ქვედაც) სართულის შეკეთება დაუსრულებელია...

წეველები ამ ბოლოს ხანებში მეტად ააღელვა შემდეგმა ამბავმა: თავ. აბაშიძეებმა განიზრახეს ჩვენის სოფლიდგამ ბაზრობის გადატანა თავიანთ მამულში. ამის შესახებ, როგორც ნამდვილად ვიცით, უკვე მიჰმართეს თხოვნით ბ-ნ გუბერნატორს და არ ვიცით-კი საქმე რით გათავდება. მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ არა ღონისძიებას არ ჰზოგავენ აბაშიძეები, ოღონდ ჩვენს სოფელს ესეთი შემოსავალი გამოაცალონ ხელიდამ. ღმერთმა ნუ ჰქნას რომ ეს განზრახვა აუსრულდეთ, თორემ, თქვენი მტერია, ჩვენს სკოლას საქმე გაუჭირდება. ჩვენ ეჭვიც არა გვაქვს, რომ მთავრობა ამ ამბავს პირუთვნელად შეჰხედავს და უსაფუძვლო თხოვნას უყურადღებოდ დასტოვებს“. *ბელტი-ყლაპია.*

„ივერია“, 1891 წ. 29 მარტი, № 68

15 მარტს დიდი თოვლი მოსულა, 27 მარტს კიდევ. ხალხმა მოსავლის იმედი გადაიწყვიტაო. ამასთანავე ჩვენში გაჩნდა ყვავილი. ჯერ მხოლოდ აქა იქ არის, მაგრამ შეიძლება გაძლიერდეს და მთელს სოფელს მოედოს თუ დროზედვე ღონისძიება არა იქმნა-რა მიღებული, ხალხი ახლო-მახლო სოფლებში გაიხიზნა.

„ივერია“, 1894 წ., 6 იანვარი, № 4, გვ. 2

სოფ. წევა (შორაპნის მაზრა): ჩვენ კარგი ორ სართულიანი სკოლა გვაქვს, რომელსაც ვინახავთ აქაური ბაზრობის შემოსავლით. სამწუხაროდ შარშან წინ ხოლერობის გამო ბაზრობა არ მოხდა. შარშან კი ბაზრობამ მოგვცა 300 მანეთი, ამას გარდა შეგირდს ვახდევინებთ წელიწადში 4 მანათს; თუ გარეშე სოფლის შეგირდია – 6 მანათს. ამ სახითაც 300 მანეთამდე შემოგვდის. **მასწავლებელი ორი გვყავს. ერთი ჯამაგირით არის, ხოლო მეორე აქაური მღვდელია, რომელიც უჯამაგიროდ ასწავლის საღმრთო წერილს**. მოსწავლეთა რიცხვი 60-მდეა.

„ივერია“, 1894, 13 აგვისტო, № 173, გვ. 3-4

„კვალის“ მე-29 №-ში დაბეჭდილია ს. წევის სამრევლო სკოლის შესახებ შემდეგი ამბავი: „მოსწავლეები თურმე თანდათან ემატება ამ სკოლას და სწავლის მსურველი ბევრნი არიან, მაგრამ რადგან მოთავე კაცები – მზრუნველები არა ჰყავთ, შენობა უხეირო მდგომარეობაში ჩავარდნილა, დღეს ხვალე თუ ხელი არ შეუწყეს სიძველე დასძლევს. კარგი იქნება ადგილობრივ სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს და პატრონობა გაუწიოს, მაგრამ თურმე იმათაც თავიანთი საქმე სანუგეშოდ არ მიჰყავთ, რამდენი ხანია მნათე არა ჰყავთ და იმის ამორჩევისათვისაც თავს არ იდებენ“.

როგორც წინამძღვარი ადგილობრივი ეკკლესიის, რომელსაც ეკუთვნის ზემოხსენებული სკოლა, ჩემს მოვალეობად ვსთვლი გამოვაცხადო, რომ ზემოხსენებული ამბავი სრულიად სიცრუეა და მოჭორებული. დიდი ხანი არ არის, რაც სკოლისათვის მშვენიერი ორსართულიანი ქვითკირის სახლი ავაგეთ და ჯერაც სავსებით არ მოგვიწყვია და თანდათან ვამკობთ შეძლებისდაგვარად. ნეტავი ვიცოდეთ, წეველმა მოამბემ საიდგან მოჭორა: შენობა უხეირო მდგომარეობაშია და მალე სიძველე დასძლევსო“? ალბათ წეველ მოამბეს ან არ უნახავს ამ სკოლის შენობა და ან განგებ თვალები აუხვევია, ამ ორში ერთ-ერთია. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამ სკოლას ადგილობრივი სამღვდელოების მზრუნველობა აკლდეს ან ჰკლებოდეს. თუ ასე ყოფილიყო, ვერც ამისთანა შენობა გაკეთდებოდა. აბა სთქვას ერთი ბ-ნმა მოამბემ, რამდენს სოფლებშია ჩვენში ამისთანა შენობა სკოლისათვის?..

მნათე ვერ ამოურჩევიათო, დაასახელოს როდის არა გვყავდა მნათე ან რას ნიშნავს ეს სიტყვები „თავიანთი საქმე სანუგეშოდ არ მიჰყავთო“? წერილს აშკარად ეტყობა, რომ იგი ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელსაც თვისგანვე დაწერილისა არა სცოდნია-რა.

წინამძღვარი წევის ეკკლესიისა მღვდელი ლუკა მაღრაძე.

ჟურნ. „კვალი“, 1897 წ., № 34, გვ. 625

სევასტი მ. გაჩეჩილაძე

ს. წევა მაღლობზეა, აქ არის ზეგანი და მოუსავლიანი ადგილები, ამიტომაც აქაური მცხოვრებლები ერთ-თავათ აღებ-მიცემობას მიზდევენ... აქ არის პონტიკოს ქვისაგან აშენებული საყდარი, რომელიც დღეს მხოლოდდა საკუდთხევლად მიდგმია ზედ მიმატებულ სამლოცველოს...

გადმოცემა ამას ამბობს, **თამარ დედოფალი სვანეთიდან გამომგზავრებული შქმერზე გადმოსულა და წამოსულა დასავლეთ-სამხრეთისაკენ. აქ დაუსრულებელი ვრცელი ვაკეები შეხვედრია და „ულევი“ დაურქმევია. როცა გადასახედზე მიუწევია დაურქმევია იმ სოფლისთვის „წევა“; ხის საჯვარე დახვედრია ამ სოფელში და იქ თმა გაბურძგნულ მედავითნესათვის „გაჩეჩილი“ დაურქმევია, საიდანაც მის შვილებს გაჩეჩილაძე დაეგვარათ.**

აქვე საჯვარის მაგიერათ, ჩვეულებისამებრ აუშენებია მაშინ ეს ვიწრო და მაღალი საყდარი, რომელიც თავისი მხატვრობით დღემდეა დაცული.

ამ ეკლესიას ეძახიან წმ. გიორგის ეკლესიას და წმ. კვირიკეს დღესასწაულს იხდიან 15 კვირიკობის თვეს (მკათათვეს). მაშინ იმართება აქ ბაზრობა და გრძელდება 3 დღეს. ხოლო 20% კარვების ქირა აქაურ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ არის გადადებული, რომლისთვისაც გვარიანი ორსართულიანი ქვითკირის შენობაა გამართული. მასწავლებელი სემინარიელია.

ჩვენი წევის მასწავლებელი ღირს შესანიშნავია: ბ. ქორიძის ნოტებზე გადაღებული გალობის ხმა მოსწავლეთა მიერ საყდარში და სკოლაში თავთავის დროზე გულის

დამატკბობლად გაისმის, კითხვა ქართული კილოიანი და გამომეტყველი მსმენელის სულს იტაცებს და ალხენს... ჯამაგირი კი მთელ წელიწადში მხოლოდ 20 მანეთი მიიღო მასწავლებელმა, ფულების უქონლობის გამო. ეს თავგანწირვა, უჯამაგირობის გამო გულის აუცრუებლობა საქმეზე, მოუსვენებელი ზრუნვა ქართველ უმანკო სულში ქართული სულიერი საუნჯის ჩაგანძებისა... ეს ყოველივე ღირსია ყურადღებისა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ხშირად მერმისათვის თავის უზრუნველყოფის იმედიც აღარ აქვთ ხოლმე ამ პატიოსან მოღვაწეთა, მათს დამსახურებას უპირატესობა არ ეძლევა სასულიერო იერარქისაგან, თუმცა ეს ასე იყო აწ განსვენებული ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელის დროს...

(სამწუხაროდ, ბ-ნი სევასტი არ ასახელებს მასწავლებლის ვინაობას. XIX საუკუნის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში ნახსენები, რიგითი, თუნდაც დადებითად დახასიათებული, ადამიანების ვინაობა, ხშირად, დასახელებული არ არის, როგორც ჩანს, ეს იმ დროისათვის დამახასიათებელი ტენდენცია იყო – ე.გ.).

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897წ. 14 ივლისი, № 254, გვ. 2
მარმარილოს მადანი შორაპნის მაზრაში

გაზ. „ჩერნ. ვესტ.“ რედაქციაში მიხეილ გაჩეჩილაძეს წარუდგენია, თურმე, მარმარილოს ქვის ნიმუშები, ნაპოვნი შორაპნის მაზრაში და თხოულობს, რომ მცოდნე პირებმა გამოიკითხონ ხსენებულ მარმარილოს ღირსებაო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., 24 ივლისი, № 263, გვ. 3
წევა (იმერეთი აქაური მადნეულობა და მისი ბედ-იღბალი

ერთი თვეც არ იქნება, რაც ამ სოფელში რკინის მადანი აღმოჩნდა, მადანი საუკეთესო ხარისხისაა – 60% და კიდევ მეტი რკინაა შიგ. როგორც გამოცდილმა პირებმა გადმოგვცეს, მადანი ადგილობრივ ფუთი არა ნაკლებ 2 1/2 – 2 3/4 კაპ ღირსო. რკინის მადნისთვის ასეთი ფასი შესამჩნევად დიდია, მაგრამ რა გამოვიდა! საწყალ კაცს ამ შეუსმენელ გლეხს მაინც არა წაეცხება-რა თუგინდ შაურადაც გაყიდოს ფუთი. ყველა ადგილები გლეხებისაა სადაც კი მადანი აღმოჩნდა.

გაიგეს თუ არა ადგილობრივმა ჩარჩ-მოვაჭრებმა საქმე ასეაო, მაშინვე გაძვრენ და გამოძვრენ – იმდენი ითვალთმაქცეს ამ ვაჟბატონებმა, რომ რამდენიმე გლეხის ადგილი კიდეც ჩაიგდეს მუქთად ხელში: აქაური ვითამ-და ვაჭარი მიდის გლეხთან და ეუბნება... მომეცი შენი უფლება, მე გაგიყიდი და ფუთზე ნახევარ კაპიკს შენ მოგცემ, გინდ მოვიგო, გინდ ვიზარალოო. ამაზე კარგი და პატიოსანი სიტყვა გინდა?.. ზოგიერთმა „ფრაკოსნებმაც“ დაიწყეს ჩარჩული მოქმედება... ჩარჩზე არა ნაკლებ ჩარჩი გამხდარა და გლეხებს ტყავს აძრობს.

...ნურავის ნუ მიჰყიდიან თავიანთ ადგილ-მამულს, რადგანაც ისედაც მუდმივი სარგებლობა უეჭველად ყველას ექნება.

ამავე სოფლის ახლოს აღმოჩნდა მარმარილოს ქვა. ის დალოცვილი მეპატრონე ნაჯახით უვლის ადგილს და კაცს არ აკარებს.

ადგილის გაყიდვას არც მას და არც სხვას არასოდეს არ ვურჩევთ, მაგრმ თვითონ მადანი რომ არ გავყიდოთ ეს კი მეტის – მეტია. *წეველი გლეხი.*

ჟურნ. „კვალი“ 1897 წ., № 36, გვ. 657-658
სევასტი გაჩეჩილაძე

აგერ ოცი წელი იქნებ დაახლოებით მას აქეთ, რაც აქ წითელი რკინის მადნის ნიშნები აღმოაჩინა სხვათა შორის ბ. სემენოვიჩმა, ერთ-ერთმა, თუ არ ვცდები, ქართველი ძუძუს გაზდილმა გეოლოგმა სოფ. ბრომაში (?-ე.გ.) და ს. სანახშირეში.

მას შემდეგ ამ საქმეს ბევრი გამვლელ გამომვლელი და შემთხვევის მაძიებელი აუტყდა. მე ცოტაოდენათ გამოცდილმა შავი ქვის წარმოებით მადნის საქმეში, თან ადგილობრივმა მცხოვრებმა ამ საქმეს თებერვლის შუადან მოვკიდე ხელი.

(ბ-ნი სევასტი ანგარიშობს, რომ მადნის რუსეთში გატანა ძვირი დაჯდება და თვლის, რომ მისი დამუშავება საქართველოშივე უნდა მოხდეს. ის წერს, რომ ვიდაც „წეველ გლეხს“, თვით სევასტისგან გაგონილი, მის წინააღმდეგ მოუტრიალებია და სევასტის ფრაკიან ჩარჩს ეძახის – აბრალებს, რომ მას „ 1/2 კაპეიკ იჯარას აძლევს, თვითონ კი 2 3/4 კაპეიკს იღებს“. სევასტი ურჩევს ამ გლეხს, „საპატიო საქმეს პატიოსანი თვალით შეხედოს და შურიანობას შეეშვას“ – ე.გ.).

გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1897 წ. № 410, გვ. 3

სოფლის დიდი ბედნიერება და ნუგეშია, როდესაც მას გულ-შემატკივარი კაცი ჰყავს, მის მკვიდრთა შორის ტრიალობს, იგნებს მათს სულიერ მოთხოვნილებას და მასთან ცდილობს სოფლის მდგომარეობა გააუმჯობესოს. ჩვენს წევასაც აღმოუჩნდა ამისთანა ღვთისნიერი კაცი, სევასტი გაჩეჩილაძე, რომელიც თვითონ წევის მცხოვრებია და ყოველივე ღონის ძიებას ხმარობს როგორმე კვალი დაატყოს ჩვენ სოფელს.

სევ. გაჩეჩილაძემ აღმოაჩინა რკინის მადნით წითელი ქვა, რომლიდგანაც სარგებლობა მოელის მუშა ხალხს. იგი ძრიელ მოწადინებულია როგორმე სწავლის სურვილი აღუძრას აქაურ გლეხებს, დღეს ჩვენი სოფლის სკოლა დიდად დავალებულია მისგან. მისი შთაგონებით, ბევრი ბავშვები ეწვია ჩვენ შკოლას. ორ ბავშს თავის ხარჯითა ზრდის და სხვებსაც შემწეობას აძლევს. ურიგებს მათ წიგნებს, რვეულებს და სხვა სამოსწავლო ნივთებს. გარდა ამისა, როგორც შევიტყვეთ, ს. გაჩეჩილაძე შედგომია ხალხში ზეპირსიტყვაობის შეკრებას; მას კიდეც ბევრი შეუკრებია და იმედია ყველას გააცნობს, თუ როგორი ყოფილა ს. წევის სულიერი მოძრაობა, რა ყოფილა და რა არის იგი დღეს.

ელეფთერ *(აბესაძე – წევის ეკლესიის წინამძღვარი და წევის სკოლის მასწავლებელი –ე. გ.)*

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 20 იანვარი, კვირა. გვ.1

სოფ. წევაში (შორაპნის მაზრა) მცხოვრებთ ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით განუზრახავთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება და უკვე შესაფერის თხოვნით მოუმართავთ მთავრობისათვის, ამ განზრახულ ბიბლიოთეკას დიდი კერძო შემოწირულება მოელის. მარტო ერთს ადგილობრივ მცხოვრებს – სევასტი გაჩეჩილაძეს – აღუთქვამს ამ წიგნთ-საცავისათვის თავისი წიგნები, სულ ათას ეგზემპლარამდე.

გაზ„ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 8 მაისი, № 1802, გვ. 2

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უკანასკნელ სხდომაზე, სხვათა შორის, გადაუწყვეტიათ: 1) დაარსდეს ს. წევაში (შორაპნის მაზრა) სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომლის დამაარსებელია ბ. სევ. გაჩეჩილაძე.

XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის წევის ამბები

გაზ. „ლენინელი“ *(საქართვ. კომპარტიის ზესტაფონის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ორგანო),* **1980 წლის 10 ივლისი.**

ის ურჩევნია მამულსა...

ჩვენს დროში ქვეყანას გაუთენდა, გზა სვანეთში, ხევსურეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მივიდა. ხალხი შორეული სოფლებიდან მსუბუქი მანქანებით და ავტობუსებით დადის, ჩვენ კი ისევ ფეხით ვთელავთ 4 კილომეტრიან აღმართს – კლდეკარას. ასე ბუზღუნებდნენ წეველი გლეხები. ბოლო არ უჩანდა საყვედურებს.

საუკუნეების განმავლობაში იწმენდნენ ჭირის ოფლს სოფელ წევაში, კლდეკარაზე მოსიარულენი, მაგრამ ხსნა არსად იყო. სოფელს ვერ ტოვებდნენ, თორემ უგზოობით გამწარებულნი ზოგჯერ ასეც იტყოდნენ: აღარ ღირს აქ ცხოვრებაო. ტვირთაკიდებულნი რომ მიუყვებოდნენ იმ ღრიანკელს, მაშინ იტყოდნენ, თორემ როგორც კი გაუთავებელი აღმართის ავლას მორჩებოდნენ და წევის საამო სიო შემოეგებებოდათ, „პირზეოფლჩამომდინარეთ“ დაღლილობა ავიწყდებოდათ, მერე იმ გადასახედიდან, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ჩვენი რაიონის სოფლები, დაბა შორაპანი, ზესტაფონი, უფრო შორს კი სვირი და მისი შემოგარენი, მაინც აღტაცებულთ აღმოხდებოდათ: არა, უგზოობას რა ვუთხრათ, თორემ წევა ყველაზე კარგი სოფელია ამ ქვეყნად. მისი მიტოვება არ შეიძლება.

წევა ისტორიულად ცნობილი სოფელია. აქ მხოლოდ გაჩეჩილაძეები ცხოვრობენ. ისინი ოდითგანვე ყოფილან დიდვაჭრები. მემატიანეც აღნიშნავს ამის შესახებ: იმერეთსა შინა არს სოფელი წევა, რომელსა შინა ცხოვრობენ გაჩეჩილაძეები და რომელთა საქმიანობას წარმოადგენს აღებ-მიცემობა“.

საკვირველია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოფელი წევა სავაჭრო ცენტრიც ყოფილა ერთ დროს. ჩვენი სოფლის დღეგრძელნი დღესაც სიამაყის გრძნობით გვიამბობენ

ამის შესახებ. თურმე, სწორედ კვირიკობა დღეს, 15 ივლისს (ძველი სტილით) იწყებოდა აქ საკმაოდ დიდი ბაზრობა, რომელიც თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა. აქ ვაჭრობდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ერევნიდან, ბაქოდან, სოჩიდან მოსული სოვდაგრები.

ასე იყო ძველ დროში. შემდეგ კი, ჩვენს დროში, მეცნიერების ტრიუმფის საუკუნეში, გეზი უცვლიათ, მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის დაუწყიათ ბრძოლა. მიზნისთვისაც მიუღწევიათ: ბევრი მათგანი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა. აბა ვის არ გაუგონია წეველი პროფესორების: ივანე, სიმონ, გივი, ჟორა, ამბერკი, გიორგი, ცინარასა და კიდევ სხვათა შესახებ.

წევიდნ წასულ გაჩეჩილაძეებს ძალიან უყვართ თავისი სოფელი. ბევრი მათგანი ზაფხულის ცხელ დღეებს წევაში ატარებს. არ აცივებს მამა-პაპათა გაჩაღებულ კერას. მაგრმ გზა? გზა ისევ პრობლემად რჩებოდა.

და აი, ზაფხულის ერთ დღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორმა, **პროფესორმა ჟორა აბესაძემ*** სინანულით უთხრა **პროფესორ სიმონ გაჩეჩილაძეს***: მეცნიერების განვითარებაში ერთი აგური ჩვენც მივიტანეთ, მაგრამ ეს რაღაა, სოფელს ვერაფრით დავეხმარეთ, ვერ მივეშველეთ უგზოობით შეწუხებულ თანასოფლელებს, თვითონაც ერთი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით დავდივართ. – არც ახლა იქნებაო გვიან, – უთხრა სიმონმა, მაშ, შევუდგეთ საქმეს! დაიწყო ბრძოლა. საქმეში ძალიან აქტიურად ჩაერია **სამამულო ომის მონაწილე ივანე გელაშვილი**. წევაში მოვიდნენ სპეციალისტები, შედგა პროექტი; დაგეგმეს, დაუშვეს თანხა და გასულ წელს საქმეც დიძრა.

გაჩაღდა მუშაობა. გზა სწრაფად მიიწევდა ზევით, სულ ზევით. წეველები ხედავდნენ და არ სჯეროდათ – როგორ, მართლაც ჩვენამდე ამოვა ეს მშვენიერი გზატკეცილი? კლდეკარას აღმართ-დაღმართზე წვა-დაგვას გადავრჩებით? – და გადარჩნენ. ეს ხომ მართლა ოცნების ხორცშესხმა იყო. ასრულდა წეველი კაცის ნატვრა. მშენებლები დამკვრელურად შრომობდნენ და გზა წმინდა გიორგის ტაძართან, სკოლის წინ, სოფლის ცენტრში შევიდა. გზა განიერი, ლამაზი, მოხრეშილი და თუ ერთი ავტობუსიც დაგვინიშნეს, ჩვენი სიხარული მართლაც უნაპირო იქნებაო – ამბობენ წეველები.

კლდეკარაზე მეტყევეები მოვიდნენ, მოიტანეს ბარები, წერაქვები, თოხები და ეკვეთენ იმ ღორდიან კიდეს. მწვანე ნარგავებით გაავსეს ის ვებერთელა გორა. ცოტა კიდევ და წევის მშვენიერ ტყეებს ნაძვნარიც შეემატება. ის ხრიოკი, გადამწვარი კლდეკარა, წეველებს გულს რომ უკლავდა მშვენიერ დასასვენებელ ტყედ იქცევა. ყველაფრისათვის მადლობას უხდიან სოფლის მცხოვრებნი პარტიას, მთავრობას, კიდევ, ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორთ, ყველა იმათ, ვინც იშრომა იმისთვის, რომ ნანატრი ოცნება ახდენოდათ წეველებს.

*გუგული გაჩეჩილაძე**
ზესტაფონის № 3 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1981 წლის 6 ივნისი, მე-3 გვ.
სოფელს ამშვენებს ადამიანი

*გუგული გაჩეჩილაძე**

ქ-ნი გუგულის ეს წერილი დაახლოებით იმავე შინაარსისაა, როგორიც ზემოთ წარმოდგენილი მისი წერილი „ის ურჩევნია მამულსა...“. ამიტომ, აღნიშნული წერილიდან ჩვენ ვაქვეყნებთ მხოლოდ იმ ნაწყვეტს, რომელიც არ იმეორებს ზემოთ მოყვანილ ტექსტს და რომელშიც წევის რამდენიმე ტოპონიმია ნახსენები... (ე.გ.)

„საუცხოო ჰაერთან ერთად სოფლის სიმდიდრე ყინულივით ცივი და ანკარა წყაროებია: **ჭონოულა და ქვეითწყარო, ნათლიწყარო, ჭურიწყარო**. აკი უთქვამს მწერალ ლ. გოთუას: საქართველო მარტო პოეტების კი არა, წყაროების ქვეყანაცააო“.

წევის ეკლესიის გადახურვა 1990-1991 წლებში

1990–1991 წლებში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალგაზრდა ინჟინრებმა, კომკავშირლებმა ვასო გველესიანმა და ვალოდია ახობაძემ გამოიჩინეს ინიციატივა და სათავეში ჩაუდგნენ წევის წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვის საქმეს. მოაგროვეს მასალები,აიტანეს წევაში და ჩააბარეს ეკლესიის მცველს, ლოლა გაჩეჩილაძეს. აღმოჩნდა, რომ მარტო მათი ძალები საკმარისი არ იყო და ამ საქმეში ჩაერთო ზესტაფონის კომპარტიის რაიკომის მდივანი ნათელა სალაძე, კომკავშირის რაიკომის მდივანი გოგი უგრეხელიძე და ზესტაფონის მთელი ახალგაზრდობა.

რადგან ძეგლის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ დაზიანებული იყო კედლები და ლავგარდანიც, მოიწვიეს ძეგლთა დაცვის სამმართველოდან სპეციალისტები. მათ შემოწმებული ჰქონდათ წევის ეკლესია (ადრე აქ იმუშავა ირაკლი ციციშვილის ჯგუფმა), იცოდნენ, რა დაზიანებები ჰქონდა მას და ძალიან გაახარათ რაიონის დახმარებამ. მათ გამოგზავნეს ხუროები, და დაიწყეს ეკლესიის დაზიანებული ნაწილების აღდგენა და გადახურვა. რესტავრატორებს ეხმარებოდნენ ზესტაფონის რაიონის კომკავშირლები – ფეროელები. მათ საუკეთესო მასპინძლობას უწევდათ წევის მოსახლეობა. მოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე. სადილებს უმზადებდათ ლოლა გაჩეჩილაძე.

სახურავის მასალა – ალუმინი შეიძინეს ზესტაფონის ღვინის ქარხნებმა. ის მასალა მშენებლებმა დაიწუნეს და შეცვალეს უკეთესი ხარისხის მასალით, დაწუნებული მასალა კი გამოიყენეს წევის სკოლის გადახურვისათვის, ასე რომ, გაკეთდა ორი დიდებული საქმე.

(აღსანიშნავია, რომ თავიდან ახალგაზრდები აპირებდნენ ტაბაკინის ეკლესიის შეკეთებას. ეს გაუგია ფეროშენადნობთა ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის უფროსს, მეგი იესეს ას. გაჩეჩილაძეს* და ურჩევია მათთვის: ტაბაკინის ეკლესიას მრავალჯერ ჩაუტარდა რესტავრაცია, წევის ეკლესია კი დიდი ხანია არ შეკეთებულა, თანაც იქ წყალი ჩადის და აუცილებელია სახურავის გამოცვლაო. ახალგაზრდებიც დათანხმებიან).

(მასალა მოგვაწოდეს მეგი გაჩეჩილაძემ და ვასილ გველესიანმა).

წევის სკოლის იუბილე

2005 წლის 15 ოქტომბერს აღინიშნა წევის სკოლის დაარსებიდან 180 წლისთავის იუბილე. ამ თარიღის აღნიშვნის საბაბი გახდა, ის, რომ ამ სკოლის პედაგოგმა აზა გაჩეჩილაძემ სკოლის ჟურნალში, სადაც სკოლის ისტორიაა ასახული, აღმოაჩინა, რომ მისი დაარსების თარიღად 1825 წელია მითითებული. ეს ჟურნალი გადაწერილია უფრო ადრინდელი ჟურნალიდან, რომელიც ზესტაფონის არქივში ინახება.

იუბილის ჩატარების მიზეზი კი იყო სკოლის პედკოლექტივის სურვილი, რაიონის ხელმძღვანელობის ყურადრება მიეპყროთ ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთი უძველესი, საგანმანათლებლო საქმეში დიდი დამსახურებისა და სასახელო ტრადიციების მქონე, სასწავლებლის მიმართ, რომელსაც XX სს. ბოლოსა და XXI სს. დასაწყისში, ქვეყანაში და განათლების სისტემაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, დახურვის საფრთხე დაემუქრა.

საიუბილეო საღამო გაიმართა წევის სკოლის ეზოში. ღონისძიება გახსნა ამავე სკოლის დირექტორმა მერაბ ფერაძემ. მოხსენებით წარსდგნენ ზესტაფონის რ. განათლების განყოფილების გამგე ირმა მეფარიძე და მისი მოადგილე პაატა შველიძე, წევის სკოლის პედაგოგები: აზა გაჩეჩილაძე*, ნანული შარიქაძე**, სოფ. ქვედა წევის მცხოვრები პეტრე ჭანკვეტაძე, ტექნ. მეცნ. დოქტორ, გივი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძის*, მეუღლე, თამარ ნემსაძე*, გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის წარმომადგენლები: ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე*, ხელოვნებათმცოდნე ეკატერინე გაჩეჩილაძე*, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი მელერი გაჩეჩილაძე*, ცნობილი არქიტექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია**.

შეკრებილთ გადასცეს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის, მილოცვა-დალოცვა.

სკოლის იუბილეს, ზემოთ დასახელებულთა გარდა, ესწრებოდნენ თბილისიდან ჩასული გაჩეჩილაძეები: მზეთამზე ნიკოლოზის ას.*, მეგი იესეს ას.*, ზურაბ გიორგის ძე*, რუსუდან მირიანის ას. და სხვები.

სხდომის შემდეგ, წევის სკოლისა და რაიონის მოსწავლეთა ძალებით, გაიმართა კონცერტი, შემდეგ კი ბანკეტი. საზეიმო სუფრა გაშლილი იყო მელერი გაჩეჩილაძის ეზოში.

საიუბილეო ღონისძიებას უძღვებოდა სკოლის ყოფილი მოსწავლე, იურისტი ნინო ნიშნიანიძე.

წევის სკოლის იუბილის შესახებ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2005 წ. 19 ოქტომბერი, № 242) გამოქვეყნდა თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძის* წერილი „წევის სკოლა 180 წლისაა“.

ეკატერინე გაჩეჩილაძე.*

წევის ეკლესიის რესტავრაცია 2006 წელს

2006 წლის ზაფხულში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის ძეგლთა სარესტავრაციო სახელოსნომ და ბიზნესმენ ბ. ივანიშვილის ფონდმა ჩაატარეს **წევის ეკლესიის არქიტექტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები**

(პროექტის ავტორი, არქიტექტორი მიხეილ გელაშვილი, სამუშაოთა ხელმძღვანელი, ინჟინერი ზურაბ გაჩეჩილაძე) **და კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები** (პროექტის ავტორი, კულტურის სამინისტროს ექსპერტი, ნანა კუპრაშვილი, მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, რესტავრატორი ზაზა სუმბაძე).

მათ გარდა სამუშაოებში მონაწილეობდნენ რესტავრატორები: ვლადიმერ გურგენაძე, ილარიონ მსხილაძე, ანთიმოზ კუპატაძე, რევაზ ხოჯელანი და სტუდენტები: დათო კობაიძე, ვარლამ ჯმუხაძე, ნიკოლოზ წოწინაშვილი, ბექა გრემელაშვილი, ლელა ნინოშვილი და ირინა ბარამიძე.

მათ გაამაგრეს და გაწმინდეს მოხატულობა, გვიანი ერთფეროვანი საღებავის ფენისაგან გაათავისუფლეს მოხატულობის ქვედა რეგისტრი, ბათქაშით შელესეს მინაშენთა კამარების დაზიანებული ნაწილები, შეაკეთეს სახურავი, მოამზადეს სათანადო დოკუმენტაცია, ნახაზები და ფოტოები.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაქვეყნა 2006 წ. ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების საანგარიშო ალბომი, სადაც წევის ეკლესიის შესახებ აღნიშნულია, რომ ამ „X-XI საუკუნეების ეკლესიამ XII საუკუნის ფერწერა შემოგვინახა, XVI საუკუნეში ინტერიერი ხელმეორედ შელესეს და ახალი მხატვრობით შეამკეს, XIX საუკუნეში კი ნაგებობა საფუძვლიანად გადააკეთეს“.

(წევის ეკლესიის რესტავრაციის დასაჩქარებლად, ზემოხსენებული ორგანიზაციების მოსაზიდად იაქტიურეს დავით ალექსანდრეს (ბუტოს) ძე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილმა, გაჩეჩილაძეების სიძემ, არქიტექტორმა მიხეილ გელაშვილმა და სხვებმა. რესტავრატორთა ჯგუფს ადგილზე კურირებას უწევდნენ ალექსანდრე (ბუტო) გაჩეჩილაძის ოჯახი და სხვა წეველები). *ეკატერინე გაჩეჩილაძე**

2007 წ.ლის 28 სექტემბერს, ქორეოგრაფ თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ზესტაფონის თეატრში ჩატარდა **საქველმოქმედო კონცერტი – წევის სკოლის დასახმარებლად**. კონცერტში მონაწილეობდნენ სპორტული ცეკვების სტუდია „თელას“ (რომლის ხელმძღვანელები არიან თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები) მოცეკვავეები, ჩოხოსან მომღერალთა ანსამბლი, ბ-ნი თენგიზ გაჩეჩილაძის მიერ აღზრდილ ქორეოგრაფთა მოწაფეები – ბათუმიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან და რუსთავიდან. კონცერტის წამყვანი იყო ქ-ნი ლარისა გაჩეჩილაძე. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჟურნალისტმა თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძემ.

კონცერტს ესწრებოდნენ წევის სკოლის პედკოლექტივი და მოწაფეები, გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის წევრები: ქუთაისიდან – პროფესორი მელერი გაჩეჩილაძე, თბილისიდან ეკატერინე გაჩეჩილაძე, ბაბალე გაჩეჩილაძე და სხვები.

კონცერტი ძალზე შთამბეჭდავი იყო და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგრამ იგი არ იყო წინასწარ საკმარისად რეკლამირებული, ამიტომ მისი შემოსავალი დიდი არ იყო. შემოსავლის ნაწილი წაიღო თეატრის ხელმძღვანელობამ, ნაწილი კი დარჩა სკოლას. *ე. გ**.

2011 წელი. ამჟამად წევის ეკლესიაში სამ კვირაში ერთხელ ადის **მღვდელი – გიორგი რევიშვილი** და ატარებს წირვა-ლოცვას.

აქ ფუნქციონირებს საშუალო სკოლა, რომელიც სოფელში მოსახლეობის შემცირებისა და იმის გამო, რომ სოფლის მცხოვრებთა ნაწილს სხვა, უფრო თანამედროვედ აღჭურვილ, სკოლებში მიჰყავთ შვილები სასწავლებლად, თანდათან მოაკლდა მოწაფეები. სამწუხაროდ, წელს I კლასში მიღება არ ჰქონიათ... ამჟამად ჰყავთ სულ 20 მოწაფე.

2012 წლის 19-20 მაისს სოფ. წევის სკოლის შენობაში გაიმართა **მხატვარ აკაკი გაჩეჩილაძის** (ლობიო) **ნამუშევრების გამოფენა**. გამოფენას ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, წევის მოსახლეობა, რაიონის ხელმძღვანელობისა და პრესის წარმომადგენლები. გამოფენის გახსნის ამსახველი კადრები 24 მაისს აჩვენა სატელევიზიო არხმა „რუსთავი - 2“.

2012 წლის კვირიკობას **წევის ეკლესიაში ამოვიდა მაჭავარიანთა** საგვრეულო გაერთიანების მრავალრიცხოვანი **წარმომადგენლობა**, დაესწრნენ წირვას და ეკლესიას შემოსწირეს წმ. გიორგის, დიდი ზომის, ძვირფასი, ჭედურპერანგიანი, ხატი.

2012 წლის 21 აგვისტო. დღეს საქართველოს რადიოს I-მა არხმა ორჯერ გადმოსცა ინფორმაცია, რომ სოფ. ზედა წევაში, ინტერნეტით, აუქციონის წესით გაყიდულა 4 ჰექტარი მიწა.

როგორც გავიგე, ულევის მხარეს მიწა უყიდია რუსეთის მოქალაქე მაევსკაიას. ის და მისი მეუღლე კომერსანტები ყოფილან. აპირებენ იმ ნაკვეთის შემოღობვას და იქ ბიზნეს საქმიანობის წამოწყებას.

წევის ცენტრში, „იარმუკის“ მოპირდაპირე მხარეს, მიწის დიდი ნაკვეთი უყიდია ქვედა წეველ გურგენიძეს. მას ნაკვეთი შემოუღობავს და იქ თავისი ნახირი გაუშვია. წევის დანარჩენ მოსახლეებს კი საქონლის საბალახო ადგილი აღარ დარჩათ...

ეს ჩვენი დაუდევრობის, მოუქნელობის და სიზარმაცის ბრალია... ახლა მაინც მოეგეთ გონს ჩემო მოგვარეებო! ახლა ის დროა, რომ ყველანი ერთად დავდგეთ და შეთანხმებულად, გააზრებულად და აქტიურად ვიმოქმედოთ, რათა ჩვენივე ქვეყანაში უმიწაწყლო მონებად არ ვაქციოთ ჩვენი შთამომავლობა!..

ეკატერინე გაჩეჩილაძე.*

ზიკილიის ძველი და ახალი ამბები

წეველი ზიკილიელები

წეველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მესხეთში, თურქების ხანგრძლივი ბატონობის დროს გაჩანაგებული, სოფლის მეურნეობის აღორძინებაში: 1944 წლის დეკემბერში ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში გადასახლებულმა 1945 წლის გაზაფხულზე დაიწყეს იქ ვაზის გაშენება. ამ საქმეში პირეველნი იყვნენ: ნიკოლოზ ოქროპირის ძე, კარპო მიხეილის ძე, ვასილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძეები და გალაქტიონ გელაშვილი, რომლებსაც მომდევნო წლებში თანასოფლელებიც შეუერთდნენ. გააშენეს ალიგოტეს, რქაწითელის, ხარისთვალას, ცხენის ძუძუს, პინოს ჯიშის ვაზი. ვინაიდან ახალქალაქის რაიონში მკაცრი ზამთარი იცის, ვაზი რომ არ გაყინულიყო, მას ზამთარში მიწაში მარხავდნენ.

მალე ახალჩაყრილმა ვენახმა საკმაოდ კარგი მოსავალი მისცათ. (აგრონომი შ. წიქვაძე მევენახეობისადმი მიძღვნილ თავის წიგნში წერდა: სოფ. ზიკილიის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გ. გაჩეჩილაძე საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული რქაწითელი ჯიშის ვაზებიდან 0,25 ჰექტარზე ყოველწლიურად კრეფს 50 ცენტნერ ყურძენს“-ო. წიგნში გამოქვეყნებული აქვს ერთ-ერთი წარმატებული მევენახის კ. გაჩეჩილაძის ფოტოსურათიც...)[1]. ზიკილიელები ყურძენს აბარებდნენ წრიოხის საბჭოთა მეურნეობაში (რომელიც 1947 წ. ჩამოყალიბდა)...

ლიტ.: 1. შ. წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, თბ. 1958 წ., სმაკ-ის გამომცემლობა.

2000 წ. სოფ. ზიკილიაში დაიწყო ამაღლების სახელობის ერთნავიანი ეკლესიის მშენებლობა. ეკლესიას აშენებენ ამ სოფლის მცხოვრებნი საკუთარი შრომით და ხარჯით. 2011 წლის ზაფხულში, სოფელს, ეკლესიის დასამთავრებლად, გარკვეული თანხა გამოუყო სოფლის ახლოს მშენებარე ელექტროსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელობამ. ამჟამად ეკლესიის აგება დასასრულს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ შენობა დაუმთავრებელია, მას უკვე რამდენიმე წელია ჰყავს მოძღვარი, რომელიც კვირაში ერთხელ ჩამოდის ახალციხიდან და ატარებს წირვა-ლოცვას.

2010-2011 წლებში სოფ. ზიკილიის ახლოს მიმდინარეობს ელექტროსადგურის კაშხლის და ელექტროგამანაწილებელი სადგურის მშენებლობა, წესრიგდება სოფელში შესასვლელი გზა. მშენებლობაზე დასაქმებულია სოფლის მოსახლეობის ნაწილი.

§ 31. <u>გაჩეჩილაძე-ჯაჯვაძე-წეველიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა წარმატებები უახლოეს წლებში</u>

(აქ წარმოდგენილია მხოლოდ იმ წარმატებების სია, რომლის შესახებაც ინფორმაციამ ჩვენამდე მოაღწია –ე.გ.).

<u>რევაზ გივის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*</u>

1999 წ. მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი,

2002 წ. მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში – წიგნისათვის „ახალი საქართველო: „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, ლონდონი, 1995წ., (ინგლისურ ენაზე),

2008 წ. აირჩიეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად,

2009 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად,

2009 წ. გამოსცა წიგნი „ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში“, ტ. I. (490 გვ),

2010 წ. მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია გეოგრაფიის დარგში – წიგნისათვის „ახლო აღმოსავლეთი: „სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, თბილისი, 2008 წ.,

2011 წ. გამოსცა წიგნი „ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში“, ტ. II. (503 გვ.).

<u>ირინა რევაზის ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*</u>

2009 წ. დადგა ვ.ა. მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი“ – ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში,

2010 წ. დადგა სპექტაკლი „ონეგინი“, ა.ს. პუშკინის ნაწარმოების მიხედვით – თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში,

2011 წ. მოაწყო პერსონალური გამოფენა-ინსტალაცია „სამი ხმოვანი სკულპტურა“ – თბილისის ისტორიის მუზეუმში.

<u>დუდანა გიორგის ას. გაჩეჩილაძე (ბელტიყლაჰია)*</u>

2011 წ. ექიმ-რადიოლოგ დ. გაჩეჩილაძეს, სამეცნიერო ნაშრომების ციკლისათვის „ინსულტის დაძლევის სტრატეგია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში“ მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

<u>ციალა (სიდონია) მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*</u>

2000-2009 წლებში მისი დასურათებითა და მხატვრული რედაქტორობით გამოდიოდა საქველმოქმედო საზოგადოება „ბეთლემის“ ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“,

2000 და 2002 წწ. გააფორმა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ გამოცემული ბროშურების: „ცხოვრება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა პეტრესი და პავლესი“ და „ნერვულობა მისი სულიერი მიზეზები და გამოვლინებები“ ყდები,

2001 საქართველოს საპარტიარქომ გამოსცა მის მიერ დასურათებული იესო ქრისტეს ახალი აღთქმის ნაწილი
– „მათეს სახარება“,

2005 წ. საქართველოს საპარტიარქომ გამოსცა მის მიერ დასურათებული „მარკოზის სახარება“,

2006 წ. საქართველოს საპარტიარქომ გამოსცა მის მიერ დასურათებული ძველი აღთქმის ნაწილი – „წიგნი შექმნისა“,

2008 წ. საქართველოს საპარტიარქომ გამოსცა მის მიერ დასურათებულიძველი აღთქმის ნაწილი – „გამოსვლათა“,

2008 წ. იესო ქრისტეს ახალი აღთქმის ნაწილი – „ლუკას სახარება“,

2010 წ. იესო ქრისტეს ახალი აღთქმის ნაწილი – „იოანეს სახარება“.

2011 წ. „ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, ოთხთავი (ახალი თარგმანი).

მარიამ (მარინე) მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*

2009 წ. მისი ხელმძღვანელობით და თანაავტორობით გამოიცა წიგნი-ალბომი „სმირნოვების სახლი – საჩუქრად საქართველოს“,

2010 წ. მისი თანაავტორობით გამოიცა მხატვარ გიორგი როინიშვილის ალბომი,

2010 წ. მისი თანაავტორობით გამოიცა ალბომი ART ხიდი – თბილისელი სომეხი მხატვრები.

ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*

2005 წ. საკუთარი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოსცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ I წიგნი,

2010 წ. საკუთარი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოსცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ III წიგნი,

2012 წ. საკუთარი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოსცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ II წიგნი.

შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*

2006 წ. გამოსცა კრებული „წევის ესკიზები“, რომელშიც შესულია მისი მოგონებები, გამოკვლევა და ნოველები.

ნანი მიხეილის (მიტოს) ას. გაჩეჩილაძე (ლობიო)**

2010 წ. გამოსცა ლექსების კრებული „ჩემი ცხოვრების სამკაულები“.

ზვიად შალვას (გურამის) ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)**

2011 წ. დაამთავრა სტუ-ის ასპირანტურა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ინვესტიციები საქართველოს ენერგეტიკაში“.

იზა ზაქარიას (შაქროს) ას. ჯაჭვაძე*

2001 წ. აღიარეს წლის საუკეთესო ჟურნალისტად.

2001 წ. ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მცოდნეთა კავშირმა მიანიჭა გაბრიელ ჯაბუშანურის სახელობის პრემია – მთის თემატიკაზე გამოქვეყნებული წერილებისათვის,

2001 წ. მიენიჭა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ლაურეატის წოდება – პანკისის ხეობის შესახებ გამოქვეყნებული წერილებისათვის,

2001 წ. დაჯილდოვდა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით – როგორც მთის პრობლემებზე და ცხელ წერტილებში მომუშავე ჟურნლისტი,

2003 წ. გამოსცა პუბლიცისტური სტატიების კრებული „ნისლივით მთასა ვკიდივარ“. გამომც. „ოპიზა“,

2004 წ. ზემოთ აღნიშნული კრებულისათვის მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახ. პრემია. (საქართველოში ეს უმაღლესი პრემიაა ჟურნალისტიკის დარგში),

2004 წ. მიენიჭა „საპატიო ჩარგლელის“ წოდება,

2004 წლის მაისიდან დღემდე გამოდის ყოველთვიური გაზეთი „კავკასია“, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორია იზა ჯაჭვაძე,

2006 წ. გამოსცა პოეტური კრებული „ცრემლის ყელსაბამი“, გამომც. „ეროვნული მწერლობა“,

ქ-ნი იზას ლექსები შესულია შემდეგ კრებულებში:

2003 წ. „XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (რუსულ ენაზე), პროექტის ავტ. და შემდგ. ნათან ბააზოვი,

2008 წ. „უსიყვარულოდ“, პროექტის ავტ. და გამოცემის რედაქტ. ეთერ ზარიძე,
2008 წ. „ეს სიმღერაა საქართველოსი“ – ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია, გამომც. „პალიტრა“, პროექტ. ავტ. და რედაქტ. ეთერ ზარიძე,
2008 წ. „სიყვარული ღვთიური“, გამომომც. „შემეცნება“, პროექტის ავტ. და შემდგ. ნინო ტარყაშვილი,
2009 წ. „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, გამომც. „ქართული მწერლობა“, მთ. რედაქტ. ვაჟა ოთარაშვილი,
2009 წ. „დედა ქართულ პოეზიაში“, გამომც. „ეროვნული მწერლობა“, შემდგ.-გამომცემელი ვაჟა ოთარაშვილი,
2010 წ. „საქართველო და ქართველი პოეტები“ (შემდგენელ-რედაქტ. ეთერ ზარიძე), (ამავე კრებულში შესულია ი. ჯაჭვაძის მამის, ზაქრო ჯაჭვაძის, ორი ლექსიც),

ქ-ნი იზას შესახებ გამოქვეყნდა:
2007 წ. გამოცემულ დემიკო ლოლაძის ფოტონამუშევრების ალბომში „დრო და ადამიანები“, ტ.-II, შეტანილია ი. ჯაჭვაძის ფოტოები,
2009 წ. გამოცემულ კრებულში „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“ (შემდგენელი ოთარ ნაცარაშვილი) შეტანილია ინფორმაცია ი. ჯაჭვაძის შესახებ,
2009 წ. გამომც. „ეროვნულმა მწერლობამ“ გამოსცა კრებული „იზას“, რომელშიც შესულია იზა ჯაჭვაძისადმი მიძღვნილი 53 ქართველი პოეტის ლექსები.

§ 32. ხალხური სამკურნალო საშუალებები

<u>იმერული შელოცვები:</u>

ეს შელოცვები მოგვაწოდა ნატო ტარიელის ას. გაჩეჩილაძემ (ქშუტუნი). ქ-ნ ნატოს ისინი 1979 წლის აგვისტოში, სოფ. წიფლავაკეში ჩაუწერია მიხეილ ბარნაბის ძე გაჩეჩილაძის (ქშუტუნი) დედის, ქ-ნ ივლიონ ფერაძისაგან, რომელიც იმ დროს 92 წლისა ყოფილა (გარდაცვლილა 1983 წელს 96 წლისა).

გთავაზობთ უცვლელად:

თვალის ლოცვა

ალისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალ-ყბისასა, ამვლელისას, ჩამვლელისას, შინოურისას, გარეულისას, მოძულარისას, მოყვარულისას.

რავარც ავმა სულმა, ავმა თვალმა, ავმა გულმა შენ შემოგხედოს ავი სულით, ავი გულით, თვალში ეყრება ნაცარი, გულზე ესობა მახათი, ხუთასი კოდი ღველფი, ღადარი, ცეცხლი გენია გადურჩენელი, მის გულს, მის მუცელს გადურჩენელი.

შენი ავი სულით, ავი გულით, ავი თვალით შემხედავს ავბალთავ, დავბალთავ ჩემი შავტარიანი დანით, მის გულს, მის მუცელს მივცემ ცეცხლს, წუმწუმას, დავსწვავ, დავხრაკავ.

ერთი ხე ამოსულიყო აღმოსავლეთში, მეორე დასავლეთში, სანამ იმათმა მხარი მხარს, ტოტი ტოტს არ გადადგას, მანამდე ღმერთმა არ უხსნას, არ უშველოს შენი ავი სულით, ავი გულით, ავი თვალით შემომხედავს.

შენ ჯვარი გწერია ყოველი ავი თვალისაგან, ავი სულისაგან, შინოურისგან, გარეულისგან. ასე გაშავდა მისი თვალები.

(საჭიროა დანა და ნახშირის წასმა).

ნაღრძობის ლოცვა

სახელითა ღვთისითა, მამისითა, ძისითა, უცხო სოფელსა ვიყავი, უცხო ხე ამოსულიყო, უცხო ფრინველსა ბუდე შეეკრა, კვერცხი დაედვა. შევედი უფეხოდ, ჩამოვიტანე უხელოდ, შევწვი უცეცხლოდ, შევჭამე უპიროდ.

ადამ დაეცა, ცხვარმა დაჰბღავლა, ხორცმა იკრთუნა, ძვალმა დარეძგვა, კრავმა მისწამა 63 დღისამა, ვინ გეიგონა ნაღძობი 3 დღის იქით გაძნელებულიყო. გოროლა გორდებოდაო, ნაღძობი მთელდებოდაო.

(შემოახვევდა ნაღრძობზე დანაყილი ნიგვზის არტაშანს და 3 დღეში გაუხსნიდა).

წყლისას[1] ლოცვა

წყლისა აღმართო-დაღმართო, გოჭის კუდო, კაკანახო, რას წამოკუნცხულხარ შავი ჯირკივით, რას წამოგისხამს შავი მაზარა, ფეხი რას გაგიდგავს გლერტასავით. ანლებით, დანლებით, გაქრებით და გაწყვებით, წყლისა და იამანო, გეიპარე დილამდი ჩემი (სახელი) ძუძუებიდან.

ანი იყო, ბანი იყო, წყალთაშუა ნავი იყო, ნავის თავზე საყდარია, შიდა დედაკაცია, მევიდა წყლისა ბუძგვი, ღმერთო, დასწერე შენი პირჯვარი! ღმერთო, უშველე!

ავალ ზეცას, ვკითხავ დედას, ჩამოვიტან ჩანგალს, ჩუნგულს, დავკრავ წყლისას, იამანისას, გაპარვისას.

გადაავლე შენი წყალობის თვალი,ღმერთო,არგე და მოუხდინე ჩემი ლოცვაი, როგორც ცულს თავისი მოჭრილი ტარი ტარად ერგებოდეს.

1. *წყლისა (იგივეა, რაც მაწავართი) მეძუძურის ძუძუს დაავადება – სარძევე ჯირკვლის ანთება. ქეგლ, თბ., 1986 წ., გვ.285. (რედაქტ.).*

შეშინებულის ლოცვა

აშინაო, მაშინაო, გულო რამ შეგაშინაო, სულო რამ შეგაშინაო, ფერო რამ შეგაშინაო, ჭკუა რამ შეგაშინაო, სისხლო რამ შეგაშინაო, ძარღვებო რამ შეგაშინაო, ნერვებო რამ შეგაშინაო, (სახელი) რამ შეგაშინაო.

შიში ხარ, შიშის ქარი ხარ, მიწის ქარი ხარ, ჰაერიდან ხარ ჩამოსული, მიწიდან ხარ ამოსული, ქვის ქვეშ ხარ ნამყოფი, ფოთოლზე ხარ ნაჯდომი, გამოცილდი, გამოშორდი, ძვალში, რბილში, ყოველიფერი სხეულში, შიში ხარ, შიშის ქარი ხარ.

ორშაბათს შეშინებული ხარ, სამშაბათს შეშინებული ხარ, ოთხშაბათს შეშინებული ხარ, ხუთშაბათს შეშინებული ხარ, პარასკევს შეშინებული ხარ, შაბათს შეშინებული ხარ, კვირა ღვთისაა, გამოდი ქარივით, გამოდინდი წყალივით, თქვენ გზას ჩაუდექით, რა ხარ, რა სულიერი ხარ, მღვდელი ხარ, ოსი ხარ, თათარი ხარ, ურჯულო ხარ, თუ რჯულიანი ხარ, გამოდი, გამოეცალე.

ცას ოთხი კუთხე აქვს. საიდანაც მოსულხარ, იქით წაბრძანდი.

არგე ღმერთო და მოუხდინე ჩემი ლოცვა, როგორც ცულს თავის მოჭრილი ტარი ტარად ერგებოდეს.

(შელოცვის დროს იხმარებოდა დანა, ლობიო, მარცვალი, სიმინდი, ნაცარი).

მოყოლილის ლოცვა

მოხდომილო დედიანო, მოხდომილო მამიანო, მოხდომილო შვილიანო, მოხდომილო ძირიანო, საიდან ხარ მოხდომილი, საიდან ხარ მოყოლილი, საიდან ხარ მოფორჩხილი, ჰაერიდან ხარ, მიწიდან ხარ, შორებელი ხარ, ახლობელი ხარ, დიდი ხნის ხარ, ცოტა ხნის ხარ, გამოდი, გამოშორდი ტანში, ძვალში, ტვინში, რბილში, ყველაფერს სხეულში.

ნიავს ხარ მოყოლილი, მთვარეს ხარ მოყოლილი, ვარსკვლავს ხარ მოყოლილი, გამოდი, გამოეცალე.

აქ დავიბარებ ათას ხუთასი კუთხის წმინდა გიორგის, მიქელგაბრიელს მთავარანგელოზს, დაკრავს და ჩაარბენინებს ჩემი (სახელი, ვისაც ულოცავს) ტანისას.

ორშაბათს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
სამშაბათს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
ოთხშაბათს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
ხუთშაბათს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
პარასკევს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
შაბათს მოხდომილი – მოყოლილი იყო,
კვირა ღვთისაა, გამოდი, გამოეცალე,

თუ არ გამოხვალ შენი ნებით, მე გამოგიყვან ჩემი ლოცვით და შავტარიანი დანით.

წამლები:

თუ თვალში ვირუსი ან სოკო გაქვთ, 1 ჩაის ჭიქა ანადუღარ და ოთახის ტემპერატურამდე გაცივებულ წყალში პიპეტით ჩააწვეთეთ 10 წვეთი (არც მეტი და არც ნაკლები) ნატურალური ღვინის ძმარი და დღეში სამჯერ გამოივლეთ თვალებში სამი დღის განმავლობაში. წამალი ყოველ დღე დაამზადეთ ახალ-ახალი. ხუთი დღის შემდეგ ისევ გაიმეორეთ ასეთივე სამ დღიანი კურსი.

(თვალის ვირუსული დაავადების შემთხვევაში, ძმრიანი წყალი გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ინტერფერონი, ზოვირაქსის და ვიროლექსის მალამოები... ასეთი შემთხვევის დროს, თვალში ანტიბიოტიკის ჩაწვეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება – ანტიბიოტიკი ვირუსულ დაავადებას ამწვავებს).

თუ ხელებზე ან ფეხებზე სოკო გაგიჩნდებათ *(წვრილი, სითხით სავსე ბუშტუკები კანქვეშ, რომელიც იწვევს ქავილს და კანის აქერცვლას)*, აიღეთ ნატურალური ღვინის ძმრით გაჟღენთილი ბამბა და წაუსვით დაზიანებულ ადგილებს (ძმრის წყლით გაზავება საჭირო არა არის). აგეწვებათ, მაგრამ მოითმინეთ ერთი-ორი წუთი და წყლით ჩამოიბანეთ. შესაძლებელია, ძმრის ერთხელ წასმითაც კი განიკურნოთ. თუ ერთხელ წასმა არ გეყოფათ, გაიმეორეთ მეორე და მესამე დღესაც. *ე. გ.*



გაჩეჩილაძეები ომში დაღუპულთა მემორიალთან, ს. ზიკილიაში, 2002 წ., 7/IX

§ 33. XX საუკუნის ომებში დაღუპულ გვარიშვილთა სია

1939 წ. სსრკ – ფინეთის ომში დაიღუპა შაქრო ნიკოლოზის (ნიკას) ძე ჯაჭვაძე (დრუჭუნიანთი). იგი იყო კ. ვოროშილოვის პირადი ადიუტანტი. ფრონტზე წავიდა გურჯაანის რ. სოფ. ველისციხიდან.

1941-1945 წლების „დიდ სამამულო ომში“ დაღუპულები:

(საგვარეულო კრებულის I წიგნში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ ომში დაღუპული 61 ადამიანის სია. ამჟამად ვაქვეყნებთ შემდგომში მოძიებულ მასალას. მაგრამ, აქ წარმოდგენილი სიაც არ არის სრული – ჩვენ არ მოგვსვლია ინფორმაცია მრავალი სოფლიდან, სადაც ჩვენი მოგვარეები ცხოვრობენ. ვთხოვთ ჩვენი სგვარეულოს წარმომადგენლებს, მოაწოდონ საგვარეულო დარბაზს შესაბამისი ინფორმაცია).

1941-1945 წლების ომში დაღუპული გაჩეჩილაძეები:

№	სახელი	მამის სახელი	ქვეგვარი	შენიშვნა
62	ოთარ	ეფრემის ძე		1920-1941, უცოლშვილო.
63	ქუჩუნა	ეფრემის ძე		-1941, უცოლშვილო.
64	გიორგი (გიგლა)	ლევანტის ძე		დ.1923წ., უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა თბილისიდან. დაიღუპა ქერჩში.
65	მიხეილ	მიხეილის ძე		ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან (აბოს და სამსონის ძმისშვილი, სპირიდონის შვილიშვილი).
66	ზურაბ	ერასტის ძე		ცხოვრობდა ზესტაფონში. 1939წ., I კურსის სტუდენტი, გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა პოლონეთის საზღვარზე.
67	ვანო	ტერენტის ძე	მეწურბლე?	დ. 1922 წ. უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა, სავარაუდოდ, თბილისიდან.
68	სერგო (სერიოჟა)	ანდროს ძე	წველა (ოქროპირი)	უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან.
69	ბიძინა	კონსტანტინეს ძე	წველა (ოქროპირი)	უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან.
70	ნიკოლოზ (ღუტუ)	ნიკოლოზის (კოლიას) ძე	წველა (ოქროპირი)	უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან.
71	დიმიტრი	ბესარიონის ძე	წველა (ოქროპირი)	უცოლშვილო. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან.
72	პავლე (კუკური)	მიხეილის ძე	ცეტი	ჭიათურიდან წაიყვანეს რუსეთში – კომისრად ამზადებდნენ. დაიღუპა ხარკოვთან.

1941-1945 წლების ომში დაღუპული ჯაჭვაძეები:

73	ვაჟიკა			ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი (პოეტური ფსევდონიმი – „ფხოველი“).
74	გიორგი	ნიკოლოზის (ნიკას) ძე	დრუჭუნიანთი	ფრონტზე წავიდა გურჯაანის რ. სოფ. ველისციხიდან. დარჩა შვილები თინათინი და ვალერიანი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის 1992-1994 წლებში წარმოებულ ბრძოლებში (გარდა იმ სამი ახალგაზრდისა, რომელთა სახელებიც „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I წიგნშია შეტანილი) **დაიღუპნენ გაჩეჩილაძეები:**

75	ნუგზარ	ვაჟას ძე		1959-1993. 28/IX დაიკარგა უგზო-უკვლოდ. ფრონტზე წავიდა თბილისიდან.(ბატალიონი „გორდა“)
76	მამუკა	ნოდარის ძე		1972-1993. 27/IX დაიკარგა უგზო-უკვლოდ. ფრონტზე წავიდა რუსთავიდან.
77	ზაზა	კიაზოს ძე		1966-1992 30/XI. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან. (23-ე ბრიგადის საარტილერიო დივიზია).

1992-1993 წლების ბრძოლებში დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ომის ვეტერანთა დეპარტამენტის თანამშრომელმა, ლალი ცერაძემ, მის მიერ საკუთარი ინიციატივით შექმნილი ბაზიდან.

§ 34. გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წევნელიძეთა „საგვარეულო დარბაზის“ შემადგენლობა 2005-2011 წლებში

1. გაჩეჩილაძე თენგიზ თომას ძე* – გაზ. „ლელოს“ მთავარი რედაქტორი, „საგვარეულო დარბაზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, გაზ. „ჯაჭვის“ დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

2. გაჩეჩილაძე თენგიზ ივანეს ძე* – გამოჩენილი ქორეოგრაფი, სპორტული ცეკვების სტუდია „თელას“ ხელმძღვანელი, „საგვარეულო დარბაზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, თანაპრეზიდენტი და სამუშაო ბაზის „გამგე“ *(„დარბაზის“ პრეზიდენტის მოუცლელობის გამო, ამ წლებში, ძირითადად ის ასრულებდა მის მოვალეობას).*

3. გაჩეჩილაძე როსტომ გალაქტიონის ძე* – ღვაწლმოსილი ინჟინერ-ენერგეტიკოსი, „საგვარეულო დარბაზის“ პრეზიდენტის მოადგილე. საგვარეულოს ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი *(გარდაიცვალა 2009 წლის 6 თებერვალს).*

4. გაჩეჩილაძე ეკატერინე მიხეილის ას.* – ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, „საგვარეულო დარბაზის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სოფ. წევის, მისი ეკლესიის და გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიის მკვლევარი.

5. გაჩეჩილაძე თენგიზ ალექსანდრეს ძე* – საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი.*(„საგვარეულო დარბაზის“ სხდომებზე დასწრება ვეღარ შეძლო 2008 წლის მარტიდან. შემდეგში სამუშაოს ასრულებდა ტელეფონის მეშვეობით, გარდაიცვალა 2011 წლის 7 ნოემბერს).*

6. გაჩეჩილაძე ნელი ალექსანდრეს ას.* – ბიოლოგიის მეცნ. აკად. დოქტორი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, „საგვარეულო დარბაზის“ ზიკილიელ გაჩეჩილაძეებთან ურთიერთობის კოორდინატორი.

7. გაჩეჩილაძე ემირ მიხეილის ძე* – საქართველოს დამსახურებული აგრონომი. *(გარდაიცვალა 2007 წლის 4 აგვისტოს).*

8. გაჩეჩილაძე რევაზ ანდროს ძე* – ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკად. დოქტორი. ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

9. გაჩეჩილაძე მეგი იესეს ას.* – ელექტროქიმიურ წარმოებათა ღვაწლმოსილი ტექნოლოგი. *(„საგვარეულო დარბაზის“ სხდომებზე დასწრება ვეღარ შეძლო 2008 წლის ოქტომბრიდან. შემდეგში სამუშაოს ასრულებდა ტელეფონის მეშვეობით).*

10. გაჩეჩილაძე ციური ნიკოლოზის ას.** – დამსახურებული ბუხჰალტერ-ეკონომისტი.

11. გაჩეჩილაძე მერი ივანეს ას.* – ღვაწლმოსილი ხელოვნებათმცოდნე.

12. გაჩეჩილაძე ნათელა რაჟდენის ას.** – მედიცინის ღვაწლმოსილი მუშაკი.

13. გაჩეჩილაძე ვახტანგ ზოსიმეს ძე* – ღვაწლმოსილი ეკონომისტი, „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენელი ლაგოდეხის რაიონში.

14. გაჩეჩილაძე აზა აკაკის ას.* – წევის სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, „საგვარეულო დარბაზის წარმომადგენელი სოფ. წევაში.

15. გაჩეჩილაძე მელერი ვარლამის ძე* – ქიმიის მეცნ. დოქტორი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, „საგვარეულო დარბზის“ წარმომადგენელი ქუთაისში.

16. გაჩეჩილაძე ელგუჯა ივანეს ძე** – ეკონომისტ-მენეჯერი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, „საგვარეულო დარბაზის“ წარმომადგენელი ზნაურის რაიონის სოფ. ლოპანში.

17. ჯაჭვაძე იზა ზაქარიას ას.* – პოეტი, პუბლიცისტი, გაზ. „კავკასიის“ რედაქტორ-გამომცემელი.

„საგვარეულო დარბაზის“ მუშაობაში ეპიზოდურად მონაწილეობდნენ:
შალვა (გურამ) შალვას ძე (ოთიაშვილი)*, **ზურაბ გიორგის ძე** (კუნკურახი)*, **შალვა ლევანტის ძე***, **ნატო ტარიელის ას.** (ქშუტუნი), **მაგული გიორგის ას.** (წველა), **რუსუდან გიორგის ას.** (წველა), **ზურაბ ვარლამის ძე** (ლანჩავა), **მანანა ალექსანდრეს ას.** (ლანჩავა)*, **ბაბალე ივანეს ას.** (ლანჩავა)**, **ლილი ვარლამის ას.** (ლანჩავა)* **და სხვა გაჩეჩილაძეები, ასევე გაჩეჩილაძე ქალბატონების**

შთამომავლები: დავით ახრახაძე (რაისა სევასტის* ას. გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის ვაჟი)**, გოჩა არონიშიძე“*** (მზეთამზე* ნიკოლოზის* ას. გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის ვაჟი) და სხვები.

§ 35. **გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა „საგვარეულო დარბაზის“ მიერ 2001-2011 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში**

2001 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა საგვარეულოს I ყრილობა და, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების სტუდია „თელას“ ბაზაზე, შეიქმნა „საგვარეულო დარბაზი“;

2002 წლის 10 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ დალოცა გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო. საგვარეულომ სიონის ტაძარს შესწირა წმიდა გიორგის ხატი, რომელიც ამჟამად ასვენია ამ ტაძრის საკურთხეველში*;

2002 წელს აღიწერა წევის ეკლესიის ბიბლიოთეკა და ინვენტარი;

2002 წელს დაარსდა გაზეთი ჯაჭვი და გამოიცა მისი სამი ნომერი;

2002 წლის 7 სექტემბერს „საგვარეულო დარბაზის“ წევრები ჩავიდნენ სოფ. ზიკილიაში, სადაც ცხოვრობს 1944 წ. წევიდან გასახლებული მოსახლეობა;

2003 წელს წევის ეკლესიისათვის დამზადდა და კვირიკობის დღესასწაულზე ჩატანილი იქნა ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა საეკლესიო ნივთები*.

2003 წ. გამოიცა „საგვარეულო დარბაზის“ წევრის, როსტომ გაჩეჩილაძის ბროშურა „წეველი ზიკილიელები“;

2003 წელს დაიგო წევის ეკლესიის სამრეკლოს II სართულის იატაკი;

2003 წელს წევის ეკლესიისთვის ჩატანილი იქნა: სკამები, ხის კიბე, სეიფები. მოწესრიგდა ეკლესიის შიდა განათების მოწყობილობა,

2003 წლის 20 სექტემბერს „საგვარეულო დარბაზის“ წევრები ჩავიდნენ სოფ. ლოპანში, სადაც 1914 წ. ჩასახლებულა გაჩეჩილაძეთა ნაწილი;

2004 წელს წევის ეკლესიისათვის ჩატანილი იქნა ხის მასალა ხარაჩოებისათვის (რომელიც მოკლე დროში გაქრა ეკლესიიდან...);

სამჯერ ჩატარდა სიონის ტაძართან საგვარეულოს შეკრება *(2003 წლის 9 მარტს, 2004 წლის 7 მარტს, 2005 წლის 13 მარტს),* მისი პატრიარქისაგან დალოცვის წლისთავების აღსანიშნავად;

2005 წლის თებერვალში გამოიცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ I წიგნი, რომელშიც შესულია მასალები წევისა და წეველების ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ;

ხუთჯერ ჩატარდა საგვარეულოს ყრილობა *(2001 წლის 10დეკემბერს – I; 2002 წლის 3 ნოემბერს – II; 2003 წლის 26 ნოემბერს – III; 2005 წლის 17 აპრილს – IV ყრილობა და საგვარეულო წიგნის I ტომის პრეზენტაცია; 2006 წლის 21 მაისს – V ყრილობა);*

2005 წლის 15 ოქტომბერს საგვარეულო დარბაზის წევრები დაესწრნენ წევის სკოლის 180 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებას; ამავე წლის 19 ოქტომბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძის* სტატია „წევის სკოლა 180 წლისაა“.

2005 წლის 19 ნოემბერს თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძემ*, საგვარეულოს სახელით, სამების ახალ ტაძარს შესწირა ელია წინასწარმეტყველის ხატი ზ, ხატის კურთხევას ესწრებოდა საგვარეულოს 30-მდე წარმომადგენელი. გადაღებული იქნა კურთხევის ცერემონიალის ვიდეოფილმი (რომელიც ინახება თენგიზ ივანეს ძის ოჯახში).

2005-2006 წლებში „დარბაზის“ წევრებმა წევის სკოლას საჩუქრად გადასცეს 500-მდე წიგნი;
„დარბაზის“ წევრების მცდელობის შედეგად განათლების სამინისტრომ წევის სკოლას გამოუყო 1500 ლარი;

2006 წელს გამოიცა „საგვარეულო დარბაზის“ წევრის, შალვა (გურამ) გაჩეჩილაძის, წიგნი „წევის ესკიზები“;

2007 წლის 28 სექტემბერს, ქორეოგრაფ თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ზესტაფონის თეატრში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი – წევის სკოლის დასხმარებლად ზ;

2003-2008 წლებში დაიწერა „საგვარეულო დარბაზის“ წევრის, როსტომ გაჩეჩილაძის, მოგონებების წიგნი, რომელიც ეხება, ავტორის თანამედროვე, წევისა და წეველების ცხოვრებას. იმედია, რომ წიგნი მალე გამოიცემა;

ექვსჯერ (2002, 2004, 2005 2008, 2009, 2011 წლების 29 იანვარს) ჩატარდა „დარბაზის“ წევრების გასვლა, სავარაუდოდ ჯაჭვაძეების ადრინდელ საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ, ნასოფლარ ჯაჭვის მიმდებარე, პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესიის დღესასწაულზე;

2008 წელს წევის ეკლესიისათვის ჩატანილი იქნა თაროედი წიგნების დასაწყობად;
2001-2011 წლებში „დარბაზის“ წევრებმა წევის ეკლესიას შესწირეს რამდენიმე ხატი;

2010 წლის დასაწყისში გამოიცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ III წიგნი, რომელშიც შესულია წევის XIX სს. ფოლკლორისა და გაჩეჩილაძეებისა და ჯაჭვაძეების ლიტერატურული და სახვითი შემოქმედების ნიმუშები. ამავე წლის 28 თებერვალს სტუდია „თელას“ შენობაში მოეწყო ამ წიგნის პრეზენტაცია;

ქორეოგრაფ თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* მიწვევით, „დარბაზის“ წევრები ოთხჯერ დაესწრნენ სამეჯლისო და სპორტული ცეკვების საერთაშორისო კონკურსებს;

„დარბაზის“ წევრები ყოველწლიურად ჩადიან კვირიკობის დღესასწაულზე წევაში. 2002, 2003, 2004, 2005 წლებში იქ ჩატარდა საგვარეულოს კრებები, რომლებსაც დაესწრნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ზიკილიიდან და სხვა ადგილებიდან ჩასული გაჩეჩილაძეები;

2011 წელს გამოიცა კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“ II წიგნი, რომელშიც შესულია სოფ. წევისა და გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიასა და თანამედროვეობასთან დაკავშირებული საკითხები;

წევის ეკლესიის არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის შესახებ დაიწერა მონოგრაფია, რომელიც მალე გამოიცემა.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა სამუშაოების ჩატარების შედეგად, რამდენადმე გამოცოცხლდა საგვარეულოს წარმომადგენელთა ინტერესი თავიანთი მოგვარეებისადმი და თავიანთი წინაპრების სოფლისადმი. მათ დაიწყეს წევაში ჩასვლა კვირიკობის დღესასწაულზე. (კვირიკობაზე ჩასულ მოგვარეები რამდენჯერმე თავის სახლში დააბინავა და უმასპინძლა „დარბაზის“ წევრმა მელერი ვარლამის ძე გაჩეჩილაძე-ღიღინამ*), საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა გაჩეჩილაძეებმა შესწირეს წევის ეკლესიას ხატები, ზარი, და სხვა ინვენტარი, დავით ალექსანდრეს (ბუტოს) ძე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილმა და სხვა გაჩეჩილაძეებმა, ასევე, გაჩეჩილაძეების სიძემ, მიხეილ გელაშვილმა, იაქტიურეს წევის ეკლესიის რესტავრაციის დასაჩქარებლად, წევის ეკლესიის არქიტექტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შეადგინა არქიტექტორმა მიხეილ გელაშვილმა, სამუშაოთა ხელმძღვანელი იყო ინჟინერი ზურაბ გიორგის ძე გაჩეჩილაძე-კუნკურახი*, დავით გურამის ძე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილმა ძვირადღირებული რესტავრაცია გაუკეთა წევის ეკლესიის XIX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ წიგნს, „სადღესასწაულოს“, თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის* ოჯახმა, დიდი ზომის, ძვირფასი ხატები შესწირა წევის ეკლესიას [წმიდა გიორგის ფერწერული ხატი, წმ. ნინოს ფერწერული ხატი (ორივე დაწერილია მოძღვარ ალ. გალდავას მიერ), ჭედურპერანგიანი ხატი „ღვთისმშობელი ყრმით“ (ახალი „მზა ნაკეთობა“)], ზურაბ ვარლამის ძე გაჩეჩილაძე-ლანჩავამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ნასოფლარ ჯაჭვის მოძიებაში, ასევე, შესრულების სტილით წევის ეკლესიის მოხატულობის მსგავსი, ერთ-ერთი ეკლესიის მოხატულობის ფოტოფიქსაციაში, ზოგმა გაჩეჩილაძემ შეძლებისდაგვარი დახმარება გაუწია წევის სკოლას, გაჩეჩილაძეებმა და მათმა ახლობლებმა (მაგ. დალი იესეს ას. გაჩეჩილაძემ*, მარინა ქადაგიძემ*, გოჩა არონიშიძემ* და სხვებმა) რელიგიურ და საერო პრესაში (მათ შორის იზა ჯაჭვაძის* გაზეთ „კავკასიაში“) გამოაქვეყნეს წერილები თვალსაჩინო გაჩეჩილაძეების შესახებ და ა.შ.

ბუდიდანაყრილი ჩვენი საგვარეულოს შესაკავშირებლად და სოფელ წევის გადასარჩენად „საგვარეულო დარბაზის“ I შემადგენლობის მიერ ჩატარებული მუშაობა არ კმარა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი „საგვარეულო დარბაზის“ ჯაჭვის მომდევნო რგოლების წარმომადგენლები განაგრძობენ ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს!..

შენიშვნები:

ა. ხატი შესრულებულია ხატმწერის, კობა ქუბიაშვილის მიერ. მისი დაახლ. ზომებია 40/35. იგი ჩანს გაზ. „ჯაჭვის“ № I-ის I გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზე.

ბ. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. გაზ. „ჯაჭვი“, 2003წ. № 3, გვ. I, გოჩა არონიშიძის სტატია „28 ივლისს წევაში“.

გ. ხატი ამჟამად წარმოდგენილია სამების ტაძრის გვერდით მდებარე წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიაში. იგი დაწერილია მოძღვარ ალექსანდრე გალდავას მიერ, ხატის დაახლ. ზომებია 150/100 სმ.. მისი ფოტო იხილეთ წინამდებარე წიგნში გვ-ზე.

დ. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. გვ-ზე.

§ 36. **„გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I და III წიგნებში შემჩნეული ძირითადი შეცდომების გასწორება**

I წიგნში

მე-100 გვერდზე, ზემოდან VI სტრიქონის დასაწყისში წერია: დაიბადა 1941 წ., **უნდა ეწეროს: დაიბადა 1914 წ.,**
116-ე გვერდზე, ქვემოდან მე-II აბზაცის დასაწყისში წერია, 1960 წ. წევაში... **უნდა იყოს 1860 წ. წევაში.**

128-ე გვერდზე ზემოდან V სტრიქონზე წერია: მარინა ქადაგიძე გათხოვილია აფციაურზე. ჰყავს ორი ვაჟიშვილი. **უნდა ეწეროს: მარინა ქადაგიძე გათხოვილია აფციაურზე, ჰყავს ქალ-ვაჟი.**

140-ე გვერდზე, 104 ბიოგრაფიის ბოლოს წერია: ქალბატონ მარიამს დარჩა მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი. უნდა იყოს: **ქალბატონ მარიამს დარჩა ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.**

144-ე გვერდზე ზემოდან VI სტრიქონზე წერია: №3 ელექტროლიტური მანქანების საამქროში... უნდა ეწეროს **ელექტროლიტური მანგანუმის საამქროში.**

215-ე გვერდზე არასწორადაა მითითებული ღორეშელი გაჩეჩილაძე (ღვირძლების) შტოს მეთაურის სახელი. უნდა ეწეროს: **დიდი დიმიტრი.**

I წიგნში ჩასაწერია
წიგნის გამოსვლის შემდეგ დადგენილი, ზოგიერთი გაჩეჩილაძის საგვარეულო შტოს სახელი (ქვეგვარი):
1). ამბერკი ნიკოლოზის ძე (ბიოგრ. № 10) იყო „ქეჩუა“;
2). გივი ვახტანგის ძე (ბიოგრ. № 21) არის „ბაჩა“;
3) გიორგი ამბერკის ძე (ბიოგრ. № 27) არის „ქეჩუა“;
4). გრიგოლ მაკარის ძე (ბიოგრ. 43) იყო „ოთიაშვილი“,
5). თინათინ შალვას ას. (ბიოგრ. № 72) იყო „ღორისთავი“;
6). ივანე ამბროსის ძე (ბიოგრ. № 76) არის „ლოპანელი“;
7). ივლიტა ამბერკის ას. (ბიოგრ.№ 80) არის „ქეჩუა“;
8) კონსტანტინე არქიფოს ძე (ბიოგრაფია № 89) იყო „ოთიაშვილი“;
9). ნუნუ ვიქტორის ას. (ბიოგრ. № 123) იყო „ოთიაშვილი“;
10). რუსუდან ვახტანგის ას. (ბიოგრ. № 135) არის „ბაჩა“;
11). ქეთევან არჩილის ას. (ბიოგრ. № 141) იყო „ოთიაშვილი“.

III წიგნში

1). კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძის (კონნე სპერელლი) ლექსში „კლდეკარის გზაზე“ **(გვ. 93-94)** ბოლოში გამოტოვებულია ერთი ტაეპი. გთხოვთ, თქვენს წიგნში, სიტყვების: „გლინავის ხევში სხვა ზღაპრები იბადებიან“ შემდეგ, ჩაწეროთ:

ოჰ, ეს ზღაპრები, მომხიბლავი ნაზი ზღაპრები,
და ფერუცვლელი,
კლდეკარის გზაზე ჭინკებივით ამოგყვებიან...
ამოგაცილებს ამ გრძელ გზაზე ზღაპარი ხევზე,
ელვის ალერსზე გიამბობენ ამბავს ცაცხვები,
რომ ალევ აღმართს და კლდეკარის შუბლს შემოუვლი,
წევის ტაძარი წმინდა ლოცვით შეგეგებება.
1942 წ. 29/III

2). სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძის ნაწარმოებების:
ა. „ნაწყვეტი პოემიდან ლაბირინტი“ (გეგენას მოგონებანი), **გვ. 88,**
ბ. ნაწყვეტი პოემიდან „ბასილ კვეტენაძე“ (ეპილოგი), **გვ. 89,**
გ. „წერილი კოტესადმი“ **გვ.178** წინ, ამ ნაწარმოებების შენახვის ადგილის სახელწოდება არასწორადაა მითითებული: უნდა იყოს: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

(ჩვენი წიგნის გამოცემის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ სევასტი გაჩეჩილაძის პოემის **ეპილოგი (გვ.89),** რომელიც ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მასალაში პოემა „ბასილ კვეტენაძის“ ნაწილად იხსენება, სინამდვილეში ყოფილა ს. გ-ს პოემების კრებულის –„ხუთი პოემა საბურთალოს ცხოვრებიდან“ *(რომელიც ამჟამად დაცულია ს. გაჩეჩილაძის შვილიშვილის, ნათელა გაჩეჩილაძის ბინაში, კრებულის ასლი კი – ს. გაჩეჩილაძის შვილიშვილის დ. ახრახაძის ბინაში)* საერთო ეპილოგი. *(პოემა „ბასილ კვეტენაძე“ ამ კრებულის შემადგენელი ნაწილია).* მაგრამ ეს ეპილოგი სტილით მნიშვნელოვნად განსხვავდება აღნიშნულ კრებულში შემავალი პოემებისაგან და, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული იყო პოემების სხვა კრებულისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, ავტორმა ვეღარ განახორციელა...).

3). მე-16 გვ-ზე გამოქვეყნებულ **ლექსში „ლოცვა მზისადმი“** წასაშლელია **ბოლო ორი სტრიქონი: „მეც გობითა, შენც გობითა!..**
დავრჩი უპერანგობითა!“.
(ეს ორი სტრიქონი დავამატე კრებულში „ძველი საქართველო“, რედაქციის მიერ გაკეთებული შენიშვნის შესაბამისად... მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ რადგან ბ-ნი სევასტის ტექსტში ეს სტრიქონები არ არის, და არც ზემოხსენებულ ლოცვას შეეფერება... სჯობს, რომ არც ჩვენ შევიტანოთ...).

§ 37. გენეალოგიური სქემები

გაჩეჩილაძე „ჭიმატების“ გენეალოგიური სქემა



გაჩეჩილაძე „ლობიოების“ გენეალოგიური სქემა





შენიშვნები: აქ წარმოდგენილი სქემა და მისი II - **ვრცელი ვარიანტი**, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გაჩეჩილაძე ქალბატონების შთამომავლობის შესახებაც, **მოამზადა თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძემ (გოგება)*** (II ვარიანტი დაცულია საგვარეულოს არქივში].

ბ-ნი თენგიზისთვის ცნობილი იყო, რომ II თაობაში დასახელებული **იოსები, ეგნატე და ყარამანი** სამივე გიორგის ძეები იყვნენ და ერთმანეთს ახლობლობდნენ. აქედან გამომდინარე, იგი ვარაუდობდა, რომ რომ ისინი ძმები იყვნენ, ამიტომ, მათი შთამომავლობა ერთ სქემაზე წარმოადგინა. **ყარამანის შთამომავლებს გოგებები შერქმევიათ...**

(P.S. ბ-ნ თენგიზს, ზესტაფონელი ტიტე გაჩეჩილაძის ნაამბობზე დაყრდნობით, მომზადებული აქვს, ასევე, ჯაჭვაძე-გაჩეჩილაძეების საგვარეულოს წარმოშობა-გამრავლების ისტორიის ამსახველი ერთ-ერთი სავარაუდო სქემა, რომელიც დაცულია საგვარეულოს არქივში. იმ სქემის შესაბამისი ლეგენდა იხილეთ წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ საგვარეულო ლეგენდებს შორის № 49).

სქემა გადაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.



სქემის პროექტი წარმოადგინა ვაჟა მიტროფანეს ძე გაჩეჩილაძემ („ოქროპირმა“).

სქემა გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.

გაჩეჩილაძეების „ოქროპირების“ გენეალოგიური შტოს სქემა 2010 წელი



შენიშვნები: ა. გაჩეჩილაძეთა სახელები მოყვანილია მუქი შრიფტით.
ბ. საგვარეულოს არქივში დაცულია სქემის ვარიანტი, რომელშიც ასახულია ქალბატონი გაჩეჩილაძეების შთამომავლობაც.

გ. სქემის პროექტები შეადგინა ვაჟა მიტროფანეს ძე გაჩეჩილაძემ.

პროექტები შეაჯერა და გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.

გაჩეჩილაძეების („კრეჭიების“) გენეალოგიური ხე

2009 წელი



სქემის პროექტი შეადგინეს ნათელა რაჟდენის ას. და დიმიტრი გრიგოლის ძე გაჩეჩილაძეებმა.

გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.



საგვარეულო დარბაზმა ლოპანში მცხოვრებ ყველა გაჩეჩილაძეს, მოგვარეთაგან გამოსარჩევ მეტსახელად, „ლოპანელი" შეარქვა (2005 წელს).

სქემის ვრცელი ვარიანტის (რომელშიც შესულია გაჩეჩილაძე ქალბატონების შთამომავლობაც) ***პროექტი შეადგინა ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძემ (ლოპანელმა)****. აღნიშნული პროექტი ინახება საგვარეულოს არქივში.*

სქემა გადაამუშავა და გამოსაცენმად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.

გაჩეჩილაძეების (ლულიების) გენეალოგიური შტო



სქემის პროექტი მოამზადა **ციური ნიკოლოზის (კოლიას) ას. გაჩეჩილაძემ.**

გაჩეჩილაძეების (კუნკუშრახების) გენეალოგიური შტო



შენიშვნა: გრიგორ რაჟდენის ძეს ჰყავდა რუსი მეუღლე, მათი შთამომავლობა ცხოვრობს რუსეთში.
სქემაზე წარმოდგენილი ინფორმაცია მოგვაწოდა **ზურაბ გიორგის ძე გაჩეჩილაძემ.**



ამ შტოს უფროსი თაობა დიდი ხნის წინ წამოსულა თბილისში და დასახლებულა საბურთალოზე. ამჟამად ყველაზე უფროსმა, ზურაბ ტერენტის ძემ, არ იცის ეს როდის მოხდა. თვითონ თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. (სავარაუდოდ, მათი თბილისში ჩამოსახლება უნდა მომხდარიყო XX სს. დასაწყისში ან XIX ს-ის ბოლოს).

*წარმოდგენილი ინფორმაცია გვიკარნახა **ზურაბ ტერენტის ძე გაჩეჩილაძემ.** სქემა მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ*


2009 წელი
ზაქარია + ანა
წიფლავაკელი გაჩეჩილაძეების (ქუტუნების) გენეალოგიური შტო
მურმანი + ეკატერინე ნებიერიძე
ესმა
ვლადიმერი
თებრო
ერმილე 1895-1931
ბარნაბი
ელიაზარი
არტემი 1890-1978
იაშა
კონსტანტინე
შალიკო
ალიოშა 1909-2000
ტარიელი 1925-2008
ვახტანგი 1923-1932
თინა 1921-2002
მიხეილი 1924-1983
შუქურა
ზურაბი
გიგი
ანზორი 1937-1970
ელზა
ნარგიზი
მურმანი 1938-1952
გურამი
გიგლა
ნოდარი
ვაჟა
მამული
ლამარა
ნორა
ლეილა
ნელი
ნუნუ
ჯემალი 1939-2007
ნინო-1962
ნატო-1963
ნუგზარი (ნუკრი) 1965
სოფიკო
თინიკო
ანზორი
ალიკა 1974-1994
სქემის პროექტი მოამზადა ნატო ტარიელის ას. გაჩეჩილაძემ.



მიხეილის (№1) წინაპრებში მოხდა განშტოება, წარმოიშვნენ „კრუხები“ და „სურათიაშვილები“, მაგრამ, რომელ თაობაში, ჩვენთვის უცნობია. ღიღინებს მიხეილის შემდეგ გვეძახიან. მიხეილი – №1, ცნობილი შემლოცველი იყო, რომელიც წევის მიმდებარე სოფლებშიც დაჰყავდათ „ბატონების“ და სხვა სენის შელოცვისათვის. №3 –ტრიფონი ჭიათურაში პარტიული (კომუნისტური) უჯრედის ხაზინადარი იყო და ავაზაკებმა მოკლეს; №4, №5, №6.–ვარლამი, ლევანი და ვალიკო მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი არიან. ლევანი ფრონტზე დაიღუპა. იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა დიდების ორდენით. ვარლამი და ვალიკო ომიდან დაბრუნდნენ. დაჯილდოებული არიან სხვადასხვა რანგის ორდენებით და მედლებით. ვალიკო დღესაც ცოცხალია და ოჯახით ცხოვრობს სოფ. ძირულაში; № 7, მიშა* აგრონომი იყო. წლების განმავლობაში კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, ითვლებოდა სოფ. წევის თავკაცად. გარდაიცვალა 2003 წ.; დავითს (ღუტუ)**, ზაურს, გიორგის, ამირანს, ავთანდილს, სოსოს, სხვადასხვა სპეციალობით, უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, მელერი* ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი. ისინი ცხოვრობენ წევაში, ან მჭიდრო კავშირი აქვთ მასთან.

(სქემა შეადგინადა შენიშვნები დაურთო მელერი ვარლამის ძე გაჩეჩილაძემ).*

კვალითელი გაჩეჩილაძეების („ღვირძლების“) გენეალოგიური შტოს სქემა 2007 წ.



ინფორმაცია მოგვაწოდა ლალი ზურაბის ას. გაჩეჩილაძემ.

ღორეშელი გაჩეჩილაძე -„ღვირძლების“ გენეალოგიური შტოს სქემა გამოქვეყნებულია „გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს“ I წიგნში.

გაჩეჩილაძეების („ცეტების“), გენეალოგიური შტოს სქემა 2010 წ.



სქემის პროექტი მოამზადა თეიმურაზ პეტრეს ძე გაჩეჩილაძემ.

გაჩეჩილაძეების – „პაპაუჩელაშვილ-ხბოსთავების“ გენეალოგიური შტოს სქემა

2010 წელი



შენიშვნები: რეზო ანდროს ძის ვაჟი – მამუკა ამჟამად ცხოვრობს შვედეთში. მისი ვაჟი გიორგი (გუგა) დაიბადა შვედეთში, ხოლო მამუკას ვაჟი I ცოლისაგან (სანა) ცხოვრობს საფრანგეთში, დედასთან ერთად. მალონი ანდროს ძის ვაჟი – დათო ცხოვრობს ამერიკაში. მისი ვაჟი – გიორგი დაიბადა ნიუ-იორკში.

აქ წარმოდგენილი სქემის ვრცელი ვარიანტი, რომელშიც მითითებულია ქალბატონი გაჩეჩილაძეების შთამომავლობაც (დაცულია საგვარეულოს არქივში), **სქემა შეადგინა რეზო ანდროს ძე გაჩეჩილაძემ**, *გადაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.*



გაჩეჩილაძეების ერთ–ერთი ოჯახის გენეალოგიური სქემა

2010 წელი

შენიშვნები: ც.-აღნიშნავს ცოლს, ქმ.–ქმარს.

ალექსანდრეს სახელი, დაბადების მოწმობის მიხედვით, იყო რუალი, მაგრამ მას ყველა ალეკოდ იცნობდა.

ირაკლი გიორგის ძისა და იანა გორელოვას ვაჟი ალექსანდრე და მისი შვილები ატარებენ ლევინის გვარს.

წინამდებარე სქემის ვრცელი ვარიანტი, რომელშიც აღნიშნულია ქალბატონი გაჩეჩილაძეების შთამომავლობაც (და რომელიც ინახება საგვარეულოს არქივში), **მოგვაწოდა ირაკლი გიორგის ძე გაჩეჩილაძემ.**

სქემა გადაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე გაჩეჩილაძემ.

გაჩეჩილაძეების „ხრაკების“ გენეალოგიური შტო



სქემის პროექტი მოგვაწოდა ნელი ალექსანდრეს ას. გაჩეჩილაძემ* („ლანჩავა“).

ჯაჯვაძეების (ზაკალაანთები) გენეალოგიური შტოს სქემა 2009 წ.



ინფორმაცია მოგვაწოდა ლამზირა მიხეილის ას. ჯაჭვაძემ

§ 38-39. სურ. 1. სოფ. წევაში გაჩეჩილაძეების განსახლების ამსახველი რუკა.

სურ. 2. ასე დაიწყო ჩვენი „საგვარეულო მოძრაობა“
2001 წლის 10 დეკემბერს, გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა „საგვარეულო გაერთიანების“ დამფუძნებელი, I ყრილობის სხდომაზე, საცეკვაო სტუდია „თელას“ დარბაზში. მარცხნიდან: ვახტანგ ვახტანგის ძე გ-ძე*, თენგიზ თომას ძე გ-ძე*, იაკობ ახუაშვილი, გოჩა არონიშიძე*, თენგიზ ივანეს ძე გ-ძე*, ეკატერინე გ-ძე*.

სურ. 3. შეკრება სიონის ეზოში 2004 წლის 7 მარტს *(საგვარეულოს პატრიარქის მიერ დალოცვის 2 წლისთავთან დაკავშირებით)*
I რიგში (მარცხნიდან): რეზო გ-ძე (პაპუჩელაშვილი)*, როსტომ გ-ძე (კვიცინა)*, დავით ახრახაძე (სევასტი გ-ძის შვილიშვილი), ნათელა გ-ძე (კრეჭია)*, შალვა გ-ძე*, ემირ გ-ძე (კვიცინა)*. **უკანა რიგში**: თამთა გ-ძე (ღიღინა), ლილი გ-ძე (ლანჩავა)*, მეგი გ-ძე (ოთიაშვილი)*, თენგიზ გ-ძე (გოგეგა)*, ზურაბ გ-ძე (კუნკურახი)*...

სურ. 4. მარჯვნიდან: იური გურგენიძე, გიგლა გაჩეჩილაძე და ბავშვები ქვედა წევაში აღმოჩენილ ჭაჭის საწბერის ნაწილთან, „მერა ტაფასთან“, 2003 წ. 29/VII. ეს ნივთი ისტორიის მეცნ. დოქტორმა, ე. ნადირაძემ, რომელსაც შესწავლილი აქვს დას. საქართველოს ქვის ნაკეთობები, ფოტოსურათის მიხედვით, XX სს. 20-იანი წლებით დაათარიღა.

სურ. 5. წევაში აღმოჩენილი, პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები.

სურ. 6. წევის სკოლის იუბილეზე 2005 წლის 15 ოქტომბერს

წინა რიგში მარცხნიდან: III–დავით (დუტუ) გ-ძე (ღიღინა)**, IV–თენგიზ გ-ძე (თომაშვილი)*, V–მეგი გ-ძე (ოთიაშვილი)*, VI–ზურაბ გ-ძე (კუნკურახი)*, VIII– რუსუდან გ-ძე (ოთიაშვილი), IX–მზეთამზე გ-ძე (ოთიაშვილი)*. უკანა პლანზე, ჰალსტუხით, მელერი გ-ძე (ღიღინა)*.

სურ. 7. წევის სკოლის პედაგოგი, აზა გაჩეჩილაძე (ლობიო)*, სიტყვით გამოსვლისას სკოლის იუბილეზე.

სურ. 8. წევის სკოლის საიუბილეო კონცერტის მონაწილენი.

სურ. 9. შეკრება სიონის ეზოში 2005 წლის 13 მარტს
წინა რიგში მარცხნიდან: ელენე ჩიქოვანი (ლილი გ-ძის* შვილიშვილი), იზა ჯაჭვაძე*, ზოია ჯაჭვაძე, ეკატერინე გ-ძე (ლანჩავა)*; **II რიგში:** ლილი გ-ძე (ლანჩავა)*, მეგი გ-ძე (ოთიაშვილი)*, ნელი გ-ძე (ლანჩავა)*, ნათელა გ-ძე (კრეჭია)*, შალვა გ-ძე* და მისი შვილიშვილი – გიორგი იესეშვილი, როსტომ გ-ძე (კვიცინა)*, თენგიზ გ-ძე (ლობიო)*; **უკანა რიგში**: რევაზ გ-ძე (პაპუჩელაშვილი)*, ზურაბ გ-ძე (ლანჩავა), შალვა (გურამ) გ-ძე (ოთიაშვილი)*, მანანა გ-ძე (ლანჩავა)*, მიხეილ გ-ძე (კვიცინა)**.

სურ. 10. 'საგვარეულო დარბაზის" წევრები, 2008 წლის 5 ოქტ.ომბერს, მუშთაიდის ბაღში: თენგიზ გ-ძე (ლობიო)*, ციური გ-ძე (ლულია)*, ნათელა გ-ძე (კრეჭია)*, მეგი გ-ძე (ოთიაშვილი)*, ნელი გ-ძე (ლანჩავა)*.

სურ. 11. გაჩეჩილაძე-ჯაჯვაძე-წეველიძეები სამების ტაძართან, ამ ტაძრისათვის ელია წინასწარმეტყველის ხატის შეწირვის დღეს, 2005 წლის 19 ნოემბერს.



სურ. 12. საპატრიარქო სიგელი, რომლითაც დაჯილდოვდა ინჟინერ-კონსტრუქტორი ზურაბ გ-ძე (კუნკურახი)* სამების ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობისათვის.



სურ. 13. მღდელ კასიანე გაჩეჩილაძის* მინაწერი 1868 წ., ტფ-ში გამოცემული ტრიოდიონის ფორზაცზე, რომელშიც იუწყება 1925 წ. ზესტაფონის საწყობიდან წევის ეკლ. ნივთების წამოღების შესახებ... ნივთები მას იქიდან წამოუღია 1915 და 1928 წლებშიც, რის შესახებაც არის მინაწერები სხვა წიგნებზე.



სურ. 14. 1720 წ., ტფილისში გამოცემული პარაკლიტონის ტვიფრული ტყავის ყდა.



სურ. 15. 1720 წ., ტფილისში, გამოცემული პარაკლიტონის ყდაზე დაკრული ხელნაწერი წიგნის გვერდი, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებული ღვთისმშობლის საგალობლის ტექსტით.

სურ. 16. ტფილისში, ერეკლე II-ის სტამბაში, 1786წ. გამოცემული სახარების გვერდი ლუკა მახარებლის გამოსახულებით.



სურ.. 17. მაცხოვრის ხატი. სავარაუდოდ, XIX სს. II ნახევრის. (ფრაგმენტი). რუსული სკოლა.

სურ. 18. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი. სავარაუდოდ, XIX სს. II ნახევრის. (ფრაგმენტი). რუსული სკოლა.



სურ. 19. მაცხოვრის ხატი. სავარაუდოდ, XIX სს. II ნახევრის. შესრულებული უნდა იყოს ქართველი მხატვრის მიერ.

სურ. 20. „საგვარეულო დარბაზის“ სხდომის შემდეგ, 2009 წლის ივლისს, მუშთაიდის ბაღში. დგანან: ნათელა*, ნატო, ლილი, ციური* გ-ძეები, იზა ჯაჭვაძე*, ელგუჯა გ-ძე**, წინა პლანზე – ეკატერინე გ-ძე*.

სურ. 21. სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძის* საფლავი კუკიის ძველ სასაფლაოზე. მდებარეობს ეკლესიიდან ჩრდ.-აღმოსავლეთით, დაახლ. 120 მ. მანძილზე.

ტაბ. 22. ქართველი ქალების ორმოცდაათი წელი, იწერება ორსაუკუნოვან ისტორიულ ეპოქაში. XXI\VII. ს. 2008 წელი

ტაბ. 23. ქიზიყელი ორსაუკუნოვანების ქალების ისტორიული ეპოქის ცნობილი ქალბატონები: ქალბატონი ნინო ორბელიანი, ქალბატონი ანა ორბელიანი, ქალბატონი ანა ორბელიანი II, ორბელიანების ოჯახის ნათესავი, ორბელიანების ოჯახის ექიმი, ოტარ იწერაო I. ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ორბელიანი, ანა იწერაო II ორბელიანების ოჯახის ექიმი, ოტარ იწერაო III). ცნობილი ქიზიყელი ორბელიანების ოჯახის ნათესავი, ექიმი, ფოტოზე (ნაბეღლავი) ანა ორბელიანი.

§ 40. **წიგნში წარმოდგენილი ბიოგრაფიების სია ბაჩეჩილაძეები**

სახელი	მამის სახელი	ქვეგვარი	გაჩეჩილაძის შთამომავლის ან მეუღლის გვარი	ბიოგრაფიის №	გვერდის №
აკაკი	ვახტანგის ძე	ლობიო		1	32
ალექსანდრე	გედევანის ძე			2	32
ალექსანდრე	ოთიას ძე	ოთიაშვილი		3	33
ალექსანდრე	პავლეს ძე	ხიხინი		4	33
ალექსანდრე	ყარამანის ძე	გოგება		5	34
ალექსანდრე	ჩიქოვანის ძე	ცივი		6	35
ალფეზ	ფარსადანის ძე	ოქროპირი		7	36
ამბროსი	ნიკოლოზის ძე	ნოდა		8	37
ანდრო	სამსონის ძე			9	38
ანდრო	სპირიდონის ძე	პაპუჩელაშვილი-ხბოსთავა		10	38
ანზორ	იერემიას ძე	(ოთიაშვილის შთამომავალი)	კობერიძე (ლილი არკადის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე).	11	39
არჩილ (იაშა)	ლავრენტის ძე			12	40
არჩილ	რამაზის ძე	ოქროპირი		13	40
ბაბალე (ბაია)	ივანეს ას.	ლანჩავა		14	41
ბარბალე(თალიკო)	კასიანეს ას.	ოთიაშვილი		15	42
ბელოვან (ლევი)	ეფრემის ძე	ოთიაშვილი		16	42
ბესარიონ-კოტორი				17	43
ბორის	ანდროს ძე			18	43
ბორის	ტრიფონის ძე			19	44
ბორის	ბორისის ძე			19ა	44
გალინა	მაკარის ას.			20	44
გენო	ერმალოზის ძე	ბურდუხა		21	44
გივი (კაკო)	გრიგოლის (ბახვას) ძე	ოთიაშვილი		22	45
გიორგი	ალექსანდრეს ძე	ოთიაშვილი		23	46
გიორგი (ჟორა)	არტევანის ძე			24	46
გიორგი	ელეფთერის ძე	(ოთიაშვილების შთამომავალი)	აბესაძე (ანასტასია ალფეზის ასულ გაჩეჩილაძის ვაჟი).	25	25
გიორგი	თამაზის ძე	ლანჩავა		26	47
გიორგი	ივანეს ძე	მაღალი		27	48
გიორგი (ჟორა)	ივანეს ძე	ლანჩავა		28	49
გიორგი (ჟორა)	ნიკოლოზის ძე	ჭიჭილი		29	49
გიორგი	სტეფანეს ძე	წველა		30	50
გიორგი (გაჩეჩილაძე ან ჯაჭვაძე)		(„გაჩეჩილა მღვდელი“–პირადი მეტსახელი)		31	50
გიორგი			კურდღელაშვილი (მედეა ტერენტის ას.გაჩეჩილაძის მეუღლე)	32 89ა	84

სახელი	მამის სახელი	ქვეგვარი	გაჩეჩილაძის შთამომავლის ან მეუღლის გვარი	ბიოგრაფიის №	გვერდის №
გიული	მიტროფანეს ას	ოქროპირი		33	51
გრიგოლ (ბახვა)	კასიანეს ძე	ოთიაშვილი		34	51
გურამ	მიტროფანეს ძე	ოქროპირი		35	52
დავით (დუტო)	ვარლამის ძე	ღიღინა		36	53
დავით	ივანეს ძე			37	54
დავით	ლავრენტის ძე			38	54
დალი	ირაკლის ას.			39	55
დიმიტრი (მიტუშა)	მიხეილის ძე			40	55
დომნა	სიმონის ას	(კრეჭიების რძალი)	აბესაძე (რაჟდენ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძის მეუღლე).	41 116ა	100
ეთერ (ელენა)	ერასტის ას.			42	56
ელენე	მოსეს ას.	ბაჩა		43	57
ელენე	სამსონის ას.			44	57
ელგუჯა	ივანეს ძე	ლოპანელი		45	58
ელიზბარ	ალექსანდრეს ძე	ოთიაშვილი		46	58
ელისე				47	59
ვაჟა	მიტროფანეს ძე	ოქროპირი		48	59
ვასილ	ვახტანგის ძე	ჭიმატი		49	60
ვასილ	ნიკოლოზის ძე	ლანჩავა		50	61
ვასილ	ქრისტეფორეს ძე	(გუნდაეთელების სიძე)	მეცუგოვი (მეწუღიშვილი) – თინათინ ლავრენტის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე.	51 69ა	73
ვახტანგ			დავითაია (ნათელა არჩილის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე).	52	62
ვახტანგ	ირაკლის ძე			53	63
ვახტანგ	ლავრენტის ძე			54	63
ვერა	ალექსანდრეს ას.	(პაპუჩელაშვილ-ხბოსთავების რძალი)	კოპაძე (ანდრო სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე).	55 10ა	39
ვერა	სამსონის ას.			56	64
ვერა	შალვას ას.	ღორისთავი		57	64
ვიქტორ	ოსიას ძე	ლულია		58	66
ზვიად	მელერის ძე	ღიღინა		59	66
ზვიად	შალვას ძე	ოთიაშვილი		60	67
ზურაბ	დავითის ძე	კრეჭია		61	68
ზურაბ (შონზო)	თენგიზის ძე	მეწურბლე		62	68
თამაზ	ალექსანდრეს ძე	(კრეჭიების სიძე)	ხუსკივაძე (ნელი რაჟდენის ას. გაჩეჩილაძის მეუღლე)	63 106-ა	94
თამაზ	გიორგის ძე	ოთიაშვილი		64	69

სახელი	მამის სახელი	ქმეგვარი	გაჩეჩილაძის შთამო-მავლის ან მეუღლის გვარი	ბიოგ-რაფი ის №	გვერ-დის №
თამარ	ალექსანდრეს ას.	(ლანჩავების რძალი)	ნიშნიანიძე (ვასილნიკოლოზის ძე გა-ჩეჩილაძის მეუღლე).	65 50ა	61
თამარ	ტრიფონის ას.			66	70
თენგიზ	კონსტანტინეს ძე	წველა		67	71
თინა	ერმილეს ას.	ქშუტუნი		68	72
თინათინ	ლავრენტის ას.	გუნდაეთელი		69	72
თორნიკე	ბაქარის ძე	თომაშვილი		70	73
იასონ (იაშა)	ვლადიმერის ძე	ქშუტუნი		71	74
იესე	ალმასხანის ძე	ოთიაშვილი		72	75
ირაკლი	ლევანტის ძე			73	76
კეკლუცა (ნანა)	ევგენის ას.	(პაპუჩელაშვილ-ხბოსთავების რძალი)	ჭუმბურიძე (რევაზ ანდროს ძე გაჩეჩი-ლაძის მეუღლე)	74	77
ლავრენტი	ანდრიას ძე	გუნდაეთელი		75	78
ლევან	გიორგის ძე	ღიღინა		76	78
ლევან	ერასტის ძე			77	79
ლევან	ლევანის ძე			78	79
ლიანა	გიორგის ას	წველა		79	80
ლიდა	ალექსის ას.	(ლობიოების რძალი)	ლობჟანიძე (აკაკი იპოლიტეს ძე გაჩე-ჩილაძის მეუღლე).	80	80
ლილი	არკადის ას.			81 11ა	39
ლოლა	ამბროსის ას.	(ოთიაშვილების რძალი)	ვაჭარაძე (გრიგოლ კასიანეს ძე გაჩე-ჩილაძის მეუღლე)	82 34ა	52
მაია	გივის ას.	თხაჭამია		83	81
მაია	ნოეს (ნოდარის) ას.	ლანჩავა		84	81
მანანა	თენგიზის ას.	გოგება		85	82
მარია (მაშურა)	მაკარის ას.	ოთიაშვილი		86	82
მარინა	თენგიზის ას.	გოგება		87	83
მედეა	ალექსანდრეს ას.			88	83
მედეა	ტერენტის ას.			89	84
მელანო	ვასილის ას.	ლანჩავა		90	84
მერი	ირაკლის ას.			91	85
მერი	ვასილის ას.	(ხიხინების რძალი)	ფანქველაშვილი (სოსიკო გაჩეჩილაძის მეუღლე).	92	86
მზია	ვახტანგის ას.	ჭიმატი		93	87
მიტროფანე	ალფეზის ძე	ოქროპირი		94	87
მიხეილ	ემირის ძე	კვიცინა		95	88
მიხეილ (მიტო)	იპოლიტეს ძე	ლობიო		96	89
მიხეილ	ნიკოლოზის ძე	ცეტი		97	89
მურმან (ბადრი)	გიორგის ძე	ბურდუხა		98	90

სახელი	მამის სახელი	ქვეგვარი	გაჩეჩილაძის შთამო-მავლის ან მეუღლის გვარი	ბიოგ-რაფი ის №	გვერ-დის №
ნათელა	რაჟდენის ას.	კრეჭია		99	90
ნანი	მიხეილის (მიტოს) ას.	ლობიო		100	91
ნანული	დიმიტრის ას.			101	92
ნანული	სევერიანის ას.	(დიღინების რძალი)	შარიქაძე (დავით ვარლამის ძე გაჩე-ჩილაძის მეუღლე).	102 36ა	53
ნატალია	მოსეს ას.	ბაჩა		103	92
ნელი	გრიგოლის (ბახვას) ას.	ოთიაშვილი		104	93
ნელი	გრიგორის ას.			105	93
ნელი (მერი)	რაჟდენის ას.	კრეჭია		106	94
ნინო	გივის ას.			107	95
ნინო	ზოსიმეს ას.	ჭიმატი		108	96
ნინო (ნუნუ)	მიხეილის ას.			109	97
ნიკოლოზ	გრიგორის ძე	წველა		110	97
ნიკოლოზ	ნიკოლოზის ძე	წველა		111	98
ნორა	ერმინეს ას.	უწვავი		112	98
ოთია (პატარა)	ნიკოლოზის ძე	ოთიაშვილი		113	99
ომარ (ომია)	დიმიტრის ძე			114	99
რამაზ	მიტროფანეს ძე	ოქროპირი		115	99
რაჟდენ	ზაქარიას ძე	კრეჭია		116	100
რიმა	მალაქიას ას.		გელაშვილი (გიორგი არტევანის ძე გაჩე - ჩილაძის მეუღლე).	117 24ა	46
სანდრო (სანდალა)				118	101
სიმა	დიმიტრის ას.			119	101
ტარასი	მიხეილის ძე			120	102
ტარიელ	ერმილეს ძე	ქშუტუნი		121	102
ტატიანა (თათუშა)	ივანეს ას.	ოთიაშვილი		122	103
ტიტე	ალფეზის ძე	ოქროპირი		123	103
ტიტე	დავითის ძე	ოთიაშვილი		124	104
ფრიდონ	ელგუჯას ძე	ლოპანელი		125	104
ქეთევან	ალექსანდრეს ას.		გუგუციძე (ირაკლი ლევანტის ძე გაჩე-ჩილაძის მეუღლე).	126 73ა	76
ქეთევან	ნიკოლოზის ას.	წველა		127	105
ქეთო				128	106
ქსენია	გალაქტიონის ას.	კვიცინა		129	107
შალვა (ანზორ)	ამბროსის ძე	ლანჩავა		130	107
შალვა	გიორგის ძე	ღორისთავი		131	108
შოთა		(ღორისთავების სიძე)	გორშკოვი (ვერიკო შალვას ას. გაჩეჩი-ლაძის მეუღლე)	132-57ა	65

სახელი	მამის სახელი	ქმეგვარი	გაჩეჩილაძის შთამო-მავლის ან მეუღლის გვარი	ბიოგ-რაფი ის №	გვერ-დის №
ციალა	მიხეილის ას.	კვიცინა		133	109
ცისანა	ვახტანგის ას.			134	109
ციური	ნიკოლოზის ას.	ლულია		135	110
ცოტნე	ბაქარის ძე	თომაშვილი		136	110
ჯინა	თამაზის ას.	ოთიაშვილი		137	111
ჯავაძეები					
გაიოზ				138	111
ეთერ	ალექსის ას.	დრუჭუნიანთი		139	112
ვაჟიკა				140	112
ზარასპი				141	113
ლუბა	ივანეს ას.			142	142
შაქრო	ნიკას ძე	დრუჭუნიანთი		143	115

სარჩევი

§ 1. შემდგენელ-რედაქტორისაგან 3
§ 2. **მურმან ლებანიძე**, იმერული ბალადა 4
§ 3. **გურამ ბედოშვილი**, საშვილთაშვილო წიგნი 7
§ 4. **გურამ ბედოშვილი**, სოფელ წევის სახელწოდების შესახებ 10
§ 5. **ზურაბ ჭუმბურიძე**, კრებულის „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I წიგნის შესახებ 12
§ 6. **ეკატერინე გაჩეჩილაძე***, კომენტარები „გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო“-ს I წიგნის გ. ბედოშვილის და ზ. ჭუმბურიძისეულ რეცენზიებზე და გ. ბედოშვილის სტატიაზე „სოფელ წევის სახელწოდების შესახებ“ 13
§ 7. **ეკატერინე გაჩეჩილაძე***, ი. ახუაშვილის წიგნებში გაჩეჩილაძეების საგვარეულოს შესახებ მოყვანილი ინფორმაციის კომენტარები 22
ამონარიდი იაკობ ახუაშვილის წიგნიდან 27
§ 8. **გაჩეჩილაძეების ბიოგრაფიები** 32
§ 9. **ჯაჭვაძეების ბიოგრაფიები** 111
§ 10. **სევასტი გაჩეჩილაძე***, წევა, წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი 116
§ 11. **ეკატერინე გაჩეჩილაძე***, სოფელ წევის სახალხო დღესასწაულები (§ 11ა ს წინასიტყვაობა) 133
§ 11ა. **სევასტი გაჩეჩილაძე***, ქართული კერპთაყვანისმცემლობის და ქრისტიანული სახალხო დღეობები (სოფ. წევაში) 135
გასვენებისა და ქორწილის რიტუალები (სოფ. წევაში) 145
§ 12. **ვარლამ (ვალერი) გაჩეჩილაძე**, სოფელ წევის ტოპონიმები და გაჩეჩილაძეთა გვარის შერქმეული სახელები 148
§ 13. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*** შენიშვნები სოფ. წევის და მისი მიდამოების გეოგრაფიულ სახელთა შესახებ 152
§ 14. **გაჩეჩილაძეების ბუნთა მეტსახელები (ქვეგვარები)** 154
§ 15. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*** შენიშვნები გაჩეჩილაძეების ბუნთა მეტსახელების შესახებ 155
§ 16. **გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძე-წეველიძეთა საგვარეულო ლეგენდები** 161
ა. **წეველიძეები** მათი გვარის წარმოშობის შესახებ 161
ბ. **ჯაძვაძეები** მათი გვარის წარმოშობის შესახებ 162
გ. **გაჩეჩილაძეები** გაჩეჩილაძეების, ჯაჭვაძეების და წეველიძეების გვარების წარმოშობის შესახებ 168
დ. სხვა გვარების წარმომადგენლები გაჩეჩილაძეების, ჯაჭვაძეების, წეველიძეების, ნიორაძეების და ებანოიძეების შესახებ 180
ე. პიროვნებისა და ბუნის მეტსახელების წარმოშობის შესახებ . . . 182
ვ. გაჩეჩილაძეების სხვადასხვა ადგილებში განსახლების შესახებ — 185
ზ. წევის ეკლესიის სიწმინდეების შესახებ 187
თ.საგვარეულო გადმოცემებში წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერება 189
§ 17. **ეკატერინე გაჩეჩილაძე***, გაჩეჩილაძეთა ფიზიკური და ფსიქიკური დახასიათებისა და მათი წინაპრების ადგილწარმომავლობის გარკვევის მცდელობა 194
ანთროპოლოგიური სქემები 206
§ 18. **ეკატერინე გაჩეჩილაძე***, საგვარეულო ლეგენდების კომენტარები 211
ა. გაჩეჩილაძეების შესახებ არსებული ლეგენდების კომენტარები — 211
ბ. ჯაჭვაძეების შესახებ არსებული ლეგენდების კომენტარები . . . 239
გ. გაჩეჩილაძეების სხვა გვარებთან ურთიერთმიმართების შესახებ არსებული ლეგენდების კომენტარები 249
§ 19. **შალვა (გურამ) გაჩეჩილაძე***, კლდეკარა წევის აკვანია 268
§ 20. **ნიკოლოზ შურღაია***, ზოგიერთი ცნობა სოფელ წევისა და მისი ახლო გარემომცველი არეალის შესახებ 278

§ 21. **მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე*,** თავდახსნილნი 282
§ 22. **კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე*,** დღეები, რომლებიც სამუდამოდ მიიჩრდილნენ 283
§ 23. **დალი ლევანის ას. გაჩეჩილაძე,** ცოტა რამ სოფელ წევის შესახებ . . 286
§ 24. გაჩეჩილაძე მღვდლები ეგზარქოსობის დროს 289
§ 25. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*,** წევის წმინდა გიორგის ეკლესიის ბიბლიოთეკა 290
§ 26. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*,** მაინც რას ნიშნავს ჩვენი სოფლის სახელი და რა სახის სასწაულთქმედება მიეწერებოდა წევის ეკლესიას? 293
§ 27. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*,** ჩვენი სოფელი – წევა 301
§ 28. **ეკატერინე გაჩეჩილაძე*,** რამდენი წლისაა წევის სკოლა? 304
§ 29. **თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძე*,** 21 წლის შემდეგ, XXI საუკუნეში . . . 308
§ 30. **წევისა და ზიკილიის ძველი და ახალი ამბები** 311
XIXს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქართული პრესა სოფელ წევის შესახებ 311
XXს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის წევის ამბები: 318
გუგული გაჩეჩილაძე*, ის ურჩევნია მამულსა (წევაში გზის მშენებლობის შესახებ 1980 წ.) 318
მეგი გაჩეჩილაძე*, ვასილ გველესიანი –წევის ეკლესიის გადახურვა 1990-1991 წლებში 319
წევის სკოლის იუბილე 2005 წ. 320
წევის ეკლესიის რესტავრაცია 2006 წ. 320
ანსამბლ „თელას“ საქველმოქმედო კონცერტი წევის სკოლის დასახმარებლად 2007 წ. 321
მხატვარ აკაკი გაჩეჩილაძის ნამუშევრების გამოფენა** წევაში 2012წ. 321
ზიკილიის ძველი და ახალი ამბები:
ვაზის გაშენება ზიკილიაში 322
2000-2011 წლებში ზიკილიაში მიმდინარე მშენებლობები 322
§ 31. გაჩეჩილაძეებისა და ჯაჭვაძეების მიერ ბოლო წლებში მოპოვებული წარმატებები 322
§ 32. ხალხური სამკურნალო საშუალებები – შელოცვები, წამლები 325
§ 33. XX საუკუნის ომებში დაღუპული გაჩეჩილაძეები და ჯაჭვაძეები . . . 327
§ 34. საგვარეულო დარბაზის შემადგენლობა 2005 –2011 წლებში 329
§ 35 საგვარეულო დარბაზის მუშაობის შედეგები 330
§ 36. „გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“-ს I-III წიგნებში შემჩნეული ძირითადი შეცდომების გასწორება 333
§ 37. გენეალოგიური სქემები 335
§ 38. წევის რუკა (გაჩეჩილაძეთა საგვარეულო შტოების განსახლების ადგილების მითითებით) 350
§ 39. ფოტოები 351
§ 40. ბიოგრაფიების სია 361
§ 41. სარჩევი 366

წიგნის გასაფორმებელი ელემენტების ნიმუშად გამოყენებულია წევის ეკლესიის ერთ-ერთი ხუროთმოძღვრული ორნამენტი და მხატვარ ლ. გრიგოლიას ალბომში (თბ. 1989) მოყვანილი № 105, 311, 317 ორნამენტები.

ტირაჟი 350 ცალი

ფასი 10 ლარი

დაიბეჭდა შპს „დარბეგში“